

იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

მიხეილ ბიჭია

პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო  
სამართლის მიხედვით

წარდგენილია სამართლის დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსამავებლად

ხელმძღვანელი: თევდორე ნინიძე,  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული  
ფაკულტეტის სრული პროფესორი



თბილისი

2012

# მ ო კ ლ ე      ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

## *შესაგადო*

თავი I. პირადი ცხოვრების შინაარსი

თავი II. საქართველოს კანონმდებლობა ზოგადი პიროვნული უფლების შესახებ და პირადი ცხოვრების სამართლებრივი დაცვა

თავი III. პირადი ცხოვრების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის ფუნქციები და ფორმები

თავი IV. პირადი ცხოვრების დაცვის სამოქალაქო საპროცესოსამართლებრივი გარანტიები

## *დასკვნა*

# ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

<b>ა ბ რ ე გ ი ა ტ უ რ ა</b>	<b>7</b>
<b>შ ე ს ა გ ა ლ ი</b>	<b>9</b>
ა) თემის აქტუალობა	9
ბ) პირადი ცხოვრების ისტორიული და თანამედროვე ხედვა	11
გ) ნაშრომის მიზნები და ძირითადი მიმართულებები	18
დ) კვლევის ხაგანი და ობიექტი	18
ე) კვლევის მეთოდები	18
ვ) ნაშრომის სიახლე	19
ზ) დასაცავად წარდგენილი ძირითადი დებულებები	19
თ) ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა	24
<b>თავი I. პირადი ცხოვრების შინაარსი</b>	<b>24</b>
1. საჯარო და საზოგადოებრივი ცხოვრება	24
2. კერძო, პირადი და ინტიმური ცხოვრება	27
2.1. თემორიგები კერძო, პირადი და ინტიმური ცხოვრების შესახებ	27
2.1.1. კერძო ცხოვრების შესახებ სოციოლოგიური მიღება	27
2.1.1.1. კერძო ცხოვრება, როგორც სოციალური მოვლენა	27
2.1.1.2. კერძო ცხოვრება, როგორც განცალკევება	28
2.1.1.3. ინდივიდუალობის შესახებ თეორია	29
2.1.2. კერძო ცხოვრება, როგორც სამართლებრივი მოვლენა	30
2.1.2.1. მონაცემთა შეზღუდული სელმისაწვდომობა	31
ა) შეზღუდული ხელმისაწვდომობის შესახებ თეორია	31
ბ) ე. წ. „კონტროლის შესახებ“ თეორია	32
2.1.2.2. კერძო ცხოვრება, როგორც საიდუმლოება	34
2.1.2.3. პრაგმატიზმი კერძო ცხოვრების ცნების შესახებ	34
2.1.3. კერძო ცხოვრების ცნებისადმი შერეული მიღება	35
2.1.3.1. კერძო ცხოვრების სფეროთა შესახებ თეორია	36
ა) ინტიმური სფერო	36
ბ) კერძო სფერო	39
გ)პირადი ცხოვრების სოციალური და საჯარო სფეროები	44
2.1.3.2. „მოზაიკის“ თეორია	45
2.1.3.3. სპეციფიკური როლების შესახებ თეორია	45
მოქლე დასკვნა	45
3. საჯარო და კერძო სფეროთა საზღვრები	46
4. პირადი ცხოვრების არსი საქართველოს კანონმდებლობაში	48
4.1. პირადი ცხოვრების დაცვის სამართლებრივ საშუალებათა სისტემა	48
4.1.1. კონსტიტუცია, როგორც პირადი ცხოვრების დაცვის შესახებ ძირითადი კანონი	48
4.1.2. პირადი სფეროს დაცვის შესახებ კანონები	52
4.1.2.1. კერძო ცხოვრების საჯაროსამართლებრივი რეგულირების ზოგადი დახასიათება	52
4.1.2.2. საჯარო სამართლით დაცული პირადი ცხოვრების ცნების მოცულობა	57
4.1.2.3. კერძო სამართლის კანონმდებლობა კერძო ცხოვრების სფეროების შესახებ	58
ა) ქონებრივი ასპექტები კერძო ცხოვრებაში	58
ბ) საიდუმლოება, როგორც კერძო ცხოვრების ელემენტი	60
გ)საოჯახო ცხოვრება	62

დ)კერძო სამართლით დაცული პირადი ცხოვრების ცნების მოცულობა	63
<b>მოქლე დასკვნა</b>	<b>64</b>
<b>4.1.3. პირადი ცხოვრების შინაარსი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით</b>	<b>65</b>
4.1.3.1. პირადი ცხოვრების დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობა და ადამიანის უფლებათა ეფროშული სასამართლოს პრაქტიკა	65
ა) პირადი ცხოვრების გაგება ადამიანის უფლებათა ეფროშული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით	66
ბ) პირადი ცხოვრების გაგება საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით	71
<b>მოქლე დასკვნა</b>	<b>78</b>
<b>4.2 პირადი ცხოვრება და პირადი ცხოვრების დაცვის უფლება</b>	<b>79</b>
4.2.1 სიკეთე, როგორც კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი	79
4.2.2 აბსოლუტური ურთიერთობის ობიექტი	80
4.2.3 პირადი ცხოვრება, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი	81
<b>მოქლე დასკვნა</b>	<b>84</b>
<b>თავი II. საქართველოს კანონმდებლობა ზოგადი პიროვნული უფლების შესახებ და პირადი ცხოვრების სამართლებრივი დაცვა</b>	<b>85</b>
5. ზოგადი პიროვნული უფლების ცნება და საქართველოს კანონმდებლობა	85
5.1. ზოგადი პიროვნული უფლება და განსაკუთრებული პიროვნული უფლებები	93
5.1.1. ზოგადი პიროვნული უფლების სფეროები	96
5.1.1.1. თვითგამორკვევის უფლება	97
5.1.1.2. თვითგამოსახვის უფლება და პირადი ცხოვრების უფლება	98
5.1.2. პირადი ცხოვრების დაცვის უფლება და განსაკუთრებული პიროვნული უფლებები	99
ა) პირადი ცხოვრების დაცვა და სახელის დაცვის უფლება	99
ბ) პირადი ცხოვრების დაცვა და საქუთარი გამოხატულების დაცვის უფლება –	104
გ)პირადი ცხოვრებისა და პატივისა და ღირსების დაცვა	111
დ)ერსონალური მონაცემების დაცვა და პირადი ცხოვრება	115
5.2. სამართლებრივ ღირებულებათა კოლიზია	119
<b>მოქლე დასკვნა</b>	<b>129</b>
<b>თავი III. პირადი ცხოვრების დაცვის სამოქალაქოსამართლებრივი ფუნქციები და ფორმები</b>	<b>130</b>
6. პირადი ცხოვრების დაცვის სამოქალაქოსამართლებრივი ფუნქციები	131
6.1. პ რ ე ვ ე ნ ც ი ა	131
6.2. ს ა ტ ი ს ვ ა ქ ც ი ა	133
6.3. კ რ მ ბ ვ ა ც ი ა	134
7. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა პირადი ცხოვრების ხელყოფისთვის	136
7.1. პირადი ცხოვრების უფლების დაცვის ფორმები	138
7.1.1. ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნები	138
7.1.1.1. ქონებრივი ზიანის ანაზღაურება	138
ა) ქონებრივი ზიანი	138
ბ) მართლწინააღმდეგობა	140
გ)მიზეზობრივი კაგშირი	140
დ)ბრალი	141

გ) ქონებრივი ზიანის ანაზღაურების კრიტერიუმები	143
<b>7.1.12. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება</b>	<b>144</b>
ა) არაქონებრივი ზიანი	144
ბ) მართლწინააღმდეგობა	147
გ) მიზეზ-შედეგობრივი კავშირი	148
დებრალი	148
ე) არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების კრიტერიუმები	150
<b>7.1.13. უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი მოთხოვნა (რესტიტუცია)</b>	<b>154</b>
<b>7.1.2. უფლების დაცვის სხვა ფორმები</b>	<b>155</b>
7.1.2.1. უფლების აღიარება	155
7.1.2.2. მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებისა და შეწყვეტის შესახებ მოთხოვნები	155
7.1.2.3. საკუთარი პასუხის გამოქვეყნების შესახებ მოთხოვნა	157
7.1.2.4. უარყოფის შესახებ მოთხოვნა	157
მოქლე დასკვნა	159
8. პირადი ცხოვრების დაცვის უფლების სუბიექტები	160
8.1. ფიზიკური პირების პირადი ცხოვრების დაცვა	160
8.2. იურიდიული პირი და კერძო ცხოვრების დაცვის პრობლემა	164
8.3. გარდაცვლილის პირადი ცხოვრების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვა	170
8.3.1. გარდაცვლილის პირადი ცხოვრების დაცვა სამოქალაქო კოდექსის მიხედვით	170
8.3.2. გარდაცვლილის პირადი ცხოვრების დაცვა „სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მიხედვით	176
მოქლე დასკვნა	178
<b>თავი IV. პირადი ცხოვრების დაცვის სამოქალაქო საპროცესოსამართლებრივი გარანტიები</b>	<b>178</b>
<b>9. პირადი საიდუმლოების ხელყოფის საფრთხე</b>	<b>178</b>
სამართალწარმოებისას	178
<b>10. სამართალწარმოების მონაწილეთა პირადი ცხოვრების ხელყოფის საფრთხე</b>	<b>180</b>
10.1. მხარეთა პირადი ცხოვრება	180
10.2. მოწმის ინსტიტუტი და პირადი ცხოვრება	183
10.3. ექსპერტების მოწვევა და პირადი ცხოვრება	184
11. პირადი ცხოვრებისა და პროფესიული საიდუმლოების დაცვა	188
11.1. პირადი ცხოვრების დაცვა და სამედიცინო საიდუმლოება	189
11.1.1. სამედიცინო საიდუმლოების არსი	189
11.1.2. სამედიცინო საიდუმლოებისა და პირადი ცხოვრების დაცვა	190
11.1.3. სამედიცინო საიდუმლოების ხელყოფის ლეგიტიმაცია	191
11.2. პირადი ცხოვრების დაცვა და შეილად აყვანის საიდუმლოება	194
11.2.1. შეილად აყვანის საიდუმლოების არსი	194
11.2.2. შეილად აყვანის საიდუმლოების გაცემის დასაშვებობა	195
11.3. პირადი ცხოვრების დაცვა და სამოქალაქო საპროცესო წარმომადგენლობა	196
11.3.1. საადვოკატო საიდუმლოების ძირითადი არსი და საფუძვლები	196
11.3.2. პასუხისმგებლობა საადვოკატო საიდუმლოების ხელყოფისთვის	203
11.4. პირადი სფერო და საბანკო საიდუმლოება	206
11.4.1. საბანკო საიდუმლოების არსი	206

11.4.2. საბანკო საიდუმლოების დაცვის ძირითადი სამართლებრივი საფუძვლები	207
<b>11.5. პირადი სფერო და სანოტარო მოქმედების საიდუმლოება</b>	<b>209</b>
11.5.1. სანოტარო მოქმედების საიდუმლოების არსი	209
11.5.2. სანოტარო მოქმედების საიდუმლოებისა და კერძო სფეროს დაცვის ძირითადი სამართლებრივი საფუძვლები	210
<b>11.6. პროფესიული საიდუმლოების სხვა ასპექტები</b>	<b>212</b>
<b>12. ინტერესთა კონფლიქტი სამართალწარმოებაში</b>	<b>213</b>
12.1. ზოგადი დახასიათება სამართალწარმოების საჯაროობისა და საიდუმლო სფეროს დაცვის თაობაზე	213
12.1.1. სამართალწარმოების საჯაროობის ობიექტები დირექტულება	214
12.1.2. სასამართლოს საჯაროობის ფაქტობრივი მნიშვნელობა	214
12.1.3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, როგორც საჯაროობის ქომაგები	215
12.1.4. ინფორმაციის თავისუფლება და სასამართლოს გამჭვირვალობა	218
12.1.5. სამართალწარმოების საჯაროობის შეზღუდვა	219
<b>13. პირადი საიდუმლოების დაცვის სამოქალაქო</b>	<b>220</b>
<b>საპროცესოსამართლებრივი საშუალებები</b>	<b>220</b>
<b>მოქლე დასკვნა</b>	<b>223</b>
<b>დ ა ს კ გ ნ ა</b>	<b>225</b>
<b>გამოყენებული ლიტერატურა</b>	<b>234</b>

## ა ბ რ ე გი ა ტ უ რ ა

- გვრ - გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა  
ეშს - ევროპული შედარებითი სამართლის ინსტიტუტი  
საია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია  
სზაკ - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი  
სხიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სხს - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი  
სხრ - საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა  
სხსკ - სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი  
სხსსკ - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

CCCP - Союз Советских Социалистических Республик (საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი)

Cal. L. Rev. - California Law Review (კალიფორნიის სამართლის მიმოხილვა)

Colum. L. Rev. - Columbia Law Review (კოლუმბიის სამართლის მიმოხილვა)

Co. - Company (კომპანია)

Geo. L. J. - Georgia Law Journal (ჯორჯიის სამართლის მიმოხილვა)

Harv. L. Rev. - Harvard Law Review (ჰარვარდის სამართლის მიმოხილვა)

Harv. C. R.\_C. L. L. Rev. - Harvard Civil Rights-Civil Liberties Law Review  
(ჰარვარდის სამოქალაქო უფლებათა და სამოქალაქო თავისუფლებათა სამართლის მიმოხილვა)

ICCPR - International Covenant on Civil and Political Rights  
(საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებების შესახებ)

ISEDJ - Information Systems Education Journal (ინფორმაციული სისტემის განათლების უურნალი)

ICS - Information and Communication Solutions  
(საინფორმაციო და საკომუნიკაციო გადაწყვეტილებები)

Inc. - Incorporation (გაერთიანება)

L. - London (ლონდონი)

L. Rev. - Law Review (სამართლის მიმოხილვა)

Stan L. Rev. - Stanford Law Review (სტანფორდის სამართლის მიმოხილვა)

UCLA Law Review - University of California, Los Angeles Law Review (ლოს ანჯელესის კალიფორნიის უნივერსიტეტის სამართლის მიმოხილვა)

U. S. - United States (შეერთებული შტატები)

AGG - Arbeitsgerichtsgesetz (შრომით დავებზე სასამართლოების შესახებ კანონი)

- BayObLG - Bayerisches Oberstes Landsgericht (ბაიერის უმაღლესი საქალაქო სასამართლო)
- BGH - Bundesgerichtshof (გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლო)
- BGHZ - Bundesgerichtshofs in Zivilsachen (ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებული სამოქალაქო საქმეებზე)
- BVerfGE - Bundesverfassungsgericht (ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო)
- EMRK - Europaeschemenschenrechtskonvention (ადამიანის უფლებათა ეგროვული კონვენცია)
- EGStGB - Einführungsgesetz zum Strafgesetzbuch (სისხლის სამართლის კოდექსის შესავალი კანონი)
- EGBGB - Einführungsgesetz zum Bürgergesetzbuch (სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონი)
- f, ff
- GTZ - folgend (მომდევნო), fortfolgende (მომდევნონი)
- Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება)
- HausratsVO - Hausratsverordnung (ბინის ამხანაგობის დებულება)
- JuS - Juristische Schulung (იურიდიული სწავლება)
- NJW - Neue Juristische Wochenschrift (ყოველკვირკეული გერმანული იურიდიული ჟურნალი)
- ProdHaftG - Produkthaftungsgesetz (კანონი პროდუქტისგან გამოწვეული პასუხისმგებლობის შესახებ)
- StGB - Strafgesetzbuch (სისხლის სამართლის კოდექსი)
- UKlaG - Unterlassungsklagengesetz (ნეგატორული სარჩელების შესახებ კანონი)
- WEG - Wohnungseigentumsgesetz (საცხოვრებელ ადგილზე საკუთრების შესახებ კანონი)

## შ ე ს ა გ ა ლ ი

### ა) ოქმის აქტუალობა

საქართველო საბჭოთა სისტემის რღვევის შემდეგ აღმოჩნდა ფუნდამენტური საზოგადოებრივი ცვლილებების პირისპირ. აღნიშნულმა დღის წესრიგში დააყენა ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნის საკითხი, რაც დამოკრატიულ საწყისებს დაეფუძნებოდა. ამ თვალსაზრისით გატარდა ძირეული სამართლებრივი რეფორმები. კვლევის მიზნებისთვის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი საქართველოს კონსტიტუცია და სამოქალაქო კოდექსი, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონი და სხვა. ამ საზოგადოებრივი ცვლილებების ფონზე პირადი ცხოვრების დაცვამ და უფლების დაცვის უფასებური მექანიზმების პოვნამ კიდევ უფრო მეტი აქტუალობა შეიძინა. სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში უფროდაუფრო იზრდება დამუშავებულ საკითხთა წრე. თუმცა მათ პარალელურად არსებობს პრობლემური საკითხები, რომლებიც მიმდინარე ცვლილებების საფუძველზე ძველი დებულებების გადახედვის აუცილებლობას წარმოშობს. ერთ-ერთ ასეთ ნაკლებად დამუშავებულ თემად (მით უფრო ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში) შეიძლება ჩაითვალოს პირადი ცხოვრების დაცვის პრობლემა.

საქართველოში პირადი სფერო დაცულია საქართველოს კონსტიტუციით, სისხლის სამართლის კოდექსით, სამოქალაქო კოდექსით, ზოგადი აღმინისტრაციული კოდექსით, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონით, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონით, საპროცესო კანონმდებლობით... მათი შესწავლის შედეგად ჩნდება ბუნდოვანების განცდა. ამ თვალსაზრისით სამოქალაქოსამართლებრივი დაცვა არაა საკმარისი. აუცილებელია დასახელებული ნორმების დახვეწა-შესწორება მწყობრი მეცნიერული თეორიის შედეგად განსაზღვრული დებულებების ჩამოყალიბების საფუძველზე. ამასთან, მიზანშეწონილია მოცემული საკითხის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლთან სისტემურ კავშირში შესწავლა. თემა ასევე უკავშირდება რთულ თეორიულ პრობლემებს ფილოსოფიის, სამართლის თეორიის, სამოქალაქო სამართლის, საპროცესო სამართლის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის პრობლემატიკიდან. ამდენად, დასახელებული პრობლემების გადაწყვეტა ითხოვს ამ საკითხებისადმი სპეციალური სამეცნიერო ნაშრომის მიღწევას.

პირადი ცხოვრების დაცვის პრობლემურობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს პრაქტიკაში სამართლებრივ ღირებულებათა კოლიზიების არსებობაც. უკეთაზე გავრცელებულია პირადი ცხოვრების დაცვის უფლებისა და გამოხატვის თავისუფლების დირებულებითი კონფლიქტები, პრესის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების დაცვის უფლების კოლიზიები.

პირადი სფეროს ხელყოფის ლატენტურობა ასევე მეტყველებს კვლევის აქტუალობაზე. საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში უშუალოდ პირადი ცხოვრების დაცვის თაობაზე სამოქალაქო საქმეთა წრე სულ რამდენიმე გადაწყვეტილებით შემოიფარგლება. აღნიშნული შეიძლება კანონმდებლობის არასწორი ინტერპრეტაციის ან ნაცვლად პირადი ცხოვრების დაცვისა, სხვა უფლებების (მაგალითად, სახელის, საკუთარი გამოსახულების დაცვის

უფლებების და ა. შ.) დაცვის მიზეზი იყოს. ეს პირადი სფეროს დაუცველად დატოვების წინაპირობა შეიძლება გახდეს. ამასთან, საქართველოს სასამართლო პრაქტიკა პირადი ცხოვრების დაცვის თვალსაზრისით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გამოცდილებისგან განსხვავებული შეიძლება იყოს. ამ გაგებით საყურადღებოა პირადი ცხოვრების ხელყოფის შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 17 ოქტომბრის განჩინება საქმეზე „გურგენიძე საქართველოს წინააღმდეგ“. საქართველოში მოცემული ტიპის საქმეები ფაქტობრივად, ნაცვლად პირადი ცხოვრების ხელყოფისა, სხვა საკითხებთანაა გაერთიანებული, რის გამოც პირადი ცხოვრების დაცვის იურიდიული გარანტიები გაუთვალისწინებელი რჩება. ამასთან, პირადი ცხოვრების დაცვასთან დაკავშირებით შედარებით მდიდარია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია კერძო ცხოვრებისა და მისი სფეროების განსაზღვრა, რაც აქამდე ფუნდამენტური კვლევის საგანი ნაკლებად იყო, რადგან ის პირად არაქონებრივ უფლებათა ჭრილში განიხილებოდა და სფეროთა განსხვავებები უყურადღებოდ რჩებოდა. პირადი ცხოვრების დაცვა მჟიდობაა დაკავშირებული თავად პირად არაქონებრივ უფლებებსა და პირად სფეროს შორის მიმართების დადგენასა და სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის ფუნქციებთან. საკითხის პრობლემურობას ადასტურებს ისიც, რომ, მიუხედავად პირადი ცხოვრების მრავალმხრივი კვლევისა, იურიდიულ ლიტერატურაში დღემდე არ შექმნილა ლოგიკურად გამართული და მეცნიერულად მყარი თეორია, რომელიც პასუხს გასცემდა კითხვებს: რა არის კერძო სფერო? რა არის პირადი სფერო? რითია განსაკუთრებული პირადი ცხოვრების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვა დაცვის სხვა ხერხებთან შედარებით? საკმარისია თუ არა სამოქალაქოსამართლებრივი წესით პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა?..

პირადი სფეროს სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის საკითხი ნაკლებად არის შესწავლილი ჩვენს იურიდიულ ლიტერატურაში. ამასთან, ამ საკითხზე არ არსებობს სპეციალური მონოგრაფიები ქართულ ენაზე. აღნიშვნის დირსია თ. ნინიძის სტატიები პირადი საიდუმლოების, ინდივიდუალობისა და პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის შესახებ. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ასევე პ. ოქრუაშვილის ნაშრომი „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა“. არანაკლები ყურადღების დირსია პ. ზოიძის ნაშრომები დირებულებათა წესრიგის შესახებ, რომელიც კოლიზიურ შემთხვევებში გარკვეული ბალანსის დაცვის თვალსაზრისით საყურადღებო დებულებებს შეიცავს. ამავე დროს, გამოიცა უ. კილკელის ნაშრომი „პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის განხორციელება.“

რესულ, ინგლისურ და გერმანულენოვან იურიდიულ ლიტერატურაში ყურადღება ეთმობა პირადი ცხოვრების დაცვას. ამასთან, საქართველოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შედარება ცხადყოფს საქართველოსთვის ამ თემის სათანადოდ კვლევის აუცილებლობას. აღნიშვნის ადასტურებს თემის პრობლემურ ხასიათსა და აქტუალობას კანონმდებლობის სრულყოფის, თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით.

## ბ) პირადი ცხოვრების ისტორიული და თანამედროვე ხედები

ე. წ. „privacy“-ის სამართლებრივი ცნება უძველეს დროშიც არსებობდა.<sup>1</sup> კერძო ცხოვრების ერთ-ერთი ასპექტი, საექიმო საიდუმლოება, სათავეს იღებს ჯერ კიდევ ჩვ. წ.-ით მე-5 საუკუნიდან პიპოკატებს ფიცის სახით. პიროვნული უფლებები გახდა ინტენსიური განსჯის საგანი ასევე, როცა მიმოწერის საიდუმლოება ზოგადად აღიარეს<sup>2</sup> საერთოდ, ისტორიულად პირადი არაქონებრივი უფლებების შესახებ მოძღვრება საკუთარ პიროვნებაზე უფლების თაობაზე მოძღვრების სახით წარმოიშვა. მისი წარმოშობა უკავშირდება დონელუსის სახელს. მან ჯერ კიდევ რომის სამართლის კომენტირებისას სამართლებრივი დაცვა გაავრცელა სიცოცხლეზე, ფიზიკურ ხელშეუხებლობაზე, თავისუფლებასა და პატივზე. სავინი მიუღებლად თვლიდა ადამიანის მიერ საკუთარი სახელისა და სიცოცხლის განკარგვის უფლების ცალკე მოწესრიგებას.<sup>3</sup> პუხტა უშვებდა საკუთარ პიროვნებაზე უფლების არსებობას. ამ იდეას დერნბურგიც განამტკიცებდა პანდექტების ცნობილ სახელმძღვანელოში.<sup>4</sup>

პირადი არაქონებრივი უფლებების პირველი დეფინიცია წარმოადგინა გირკებ, რომელიც მიიჩნევდა, რომ პიროვნული უფლებები, რომლებიც საკუთარი სფეროების ამა თუ იმ ნაწილში მისი სუბიექტის ბატონობას უზრუნველყოფს.<sup>5</sup> გარეისის აზრით, პირადი უფლება არის სამართლის სუბიექტის ინდივიდუალობის აღიარების უფლება,<sup>6</sup> რაც არსებითად საავტორო სამართლის გაძლიერებამ გამოიწვია.

გერმანიასა და ავსტრიაში ჩამოყალიბდა კონცეფცია „პიროვნული უფლებებისა“ და „კერძო ცხოვრების საკუთარი შეხედულებისამებრ მოწყობის უფლების თაობაზე“ (გირკე, გარეისი). აქ სასამართლო პრაქტიკამ შექმნა ზოგადი პიროვნული უფლება, რომელიც ორიენტირებულია პიროვნების სრულ დაცვაზე. საფრანგეთში პირადი არაქონებრივი უფლებების ინსტიტუტის შემუშავებას მნიშვნელოვანი შრომები მიუძღვნეს ბერტომ და

<sup>1</sup> იხ. გ. ოქრუაშვილი, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თბ., თავისუფლების ინსტიტუტი, 2005, გვ. 9.

<sup>2</sup> იხ. G. Tichy, W. Peissl, Beeinträchtigung der Privatsphäre in der Informationsgesellschaft, „Institut für Technikologen-Abschätzung manu:script“ (ITA-01-01), 2001, Dezember, გვ. 15; ნაშრომი ხელმისაწვდომია ინტერნეტ-გვერდზე: <<http://epub.oewa.ac.at/ita?frames=yes>> [30.07.10 16:12]

<sup>3</sup> იხ. F. C. von Savigny, System des heutigen Römischen Rechts, Band 1. 1840, გვ. 335-337 ხელმისაწვდომია: <[http://dlib-pr.mpi.mpg.de/m/kleioc/0010/exec/bigpage/199236\\_00000387.gif](http://dlib-pr.mpi.mpg.de/m/kleioc/0010/exec/bigpage/199236_00000387.gif)> [13.09.09 20:34]; მოყვანილი ისტორიული ექსპრესის შესახებ ასევე იხ. J. von Staudinger, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, 12. Auflage, Einleitung, Erstes Buch, Allgemeinen Teil, erläutert von Helmut Coing, Berlin, 1980, გვ. 133-135

<sup>4</sup> იხ. H. Dernburg, System des Römischen Rechts, Pandekten, 8. Aufl., Zweiter Teil, bearbeitet von P. Sokolowski, Berlin, Verlag von Müller, 1912, §18

<sup>5</sup> იხ. O. von Gierke, Deutsches Privatrecht, Band 1, Allgemeiner Teil u. Personenrecht, Leipzig [u.a.] 1895, გვ. 702, იხ.: <[http://dlib-pr.mpi.mpg.de/m/kleioc/0010/exec/bigpage/143555\\_00000736.gif](http://dlib-pr.mpi.mpg.de/m/kleioc/0010/exec/bigpage/143555_00000736.gif)> [13.09.09 20:33]

<sup>6</sup> იხ. K. Gareis, Das juristische Wesen der Autorrechte sowie des Firmen- und Markenschutzes BuschArch, Bd. 35, 1877, გვ. 185 და შემდგომი გვერდები; ასევე იხ. Gareis, Juridical Nature of Author's Rights, 1877. იხ.: <[http://www.archive.org/stream/cu31924017565981/cu31924017565981\\_djvu.txt](http://www.archive.org/stream/cu31924017565981/cu31924017565981_djvu.txt)> [20.10.10 19:05]

პერობ. აშშ-ში ლიბერალიზმის წარმომადგენელმა ლუის ბრანდეისმა წარმოსწია „პირად სფეროზე უფლების“ იდეა.<sup>7</sup>

კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის ოფიციალურმა თეორიამ ფაქტობრივად ხორცი შეისხა უერებისა და ბრანდეისის სტატიაში, რომელიც პირადი სფეროს დაცვის შესახებ პირველ განხილვას წარმოადგენდა.<sup>8</sup> ეს სტატია დაიწერა „უფლების პრესი“ უცერემონიობის სოციალური შედეგების განხილვის გამო, რაც სენატის მიებაში გარკვეულწილად ეთიკურობის საზღვრებს გადადიოდა.<sup>9</sup> მირითადი პრინციპი „ინდივიდის პიროვნულობა ხელშეუვალია“ უერებმა და ბრანდეისმა მორალური კონცეფციიდან აიღეს და განავითარეს. დადგა ამ უფლების სამართლებრივად აღიარების დრო.<sup>10</sup>

უერები და ბრანდეისი ხაზს უსვამდნენ, რომ კერძო ცხოვრებაზე უფლება არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ადამიანთა ყოვლისმომცველი აბსოლუტური უფლება; არამედ არსებობს გარემოებანი, რომელთა შემთხვევაშიც ადამიანის ღირსება უკან იხევს საზოგადოებრივი კეთილდღეობის მოთხოვნებთან კოლიზიისას.<sup>11</sup> როდესაც კონგრესმა მიიღო კერძო ცხოვრების შესახებ კანონი (1974 წ.), კერძო ცხოვრების უფლება უკვე იყო მუარად ფესვებადგმული ამერიკულ იურიდიულ გამოცემებში.<sup>12</sup>

„პირადი ცხოვრების უფლება განისაზღვრა, როგორც „უფლება ეპუთვნოდე საკუთარ თავს.“<sup>13</sup> თუმცა ახალი იდეა უაპელაციოდ არ მიუღიათ.<sup>14</sup>

<sup>7</sup> იხ. M. Petroсян, США: Правовая защита от вторжения в «личную сферу», Всесоюзный научно-исследовательский институт советского законодательства, «Учебные записки», Выпуск 30, М., 1974, გვ. 158-159

<sup>8</sup> იხ. Harry H. Wellington, Common Law Rules and Constitutional Double Standards: Some Notes on Adjudication, 83 yale Law Journal, 1973, გვ. 221, 249-251. ციტირებულია: იხ. მ. ოქრუაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 10-11

<sup>9</sup> იხ. მ. პეტროსიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 160-161; უერებისა და ბრანდეისის სტატიის „პირადი ცხოვრების უფლების“ გამოქვეყნება განაპირობა ერთმა ჩვეულებრივმა ამბავმა: პრესა ინტენსურად აშექმდა ქალბატონი სემუკლ უერების მიერ სახლში გამართულ წევულებებს, ხშირად პირად, ინტიმურ დეტალებს, რომლებმაც „პიქს მაშინ მიაღწია, როდესაც ბატონი უერების ქალიშვილის ქორწილის შესახებ ბოსტონის პრესაში უამრავი ჭორი გამოქვეყნდა.“ იხ. მ. ოქრუაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 11. საერთოდ, რომ არა უერების დაქორწინება, ალბათ, არ დაიწერებოდა უერებისა და ბრანდეისის სტატია. მისი შექმნის მიზეზი იყო 1883 წლის ქორწილის დეტალების „ნიუ-იორკ თაიმსში“, „ვაშინგტონ პოსტსა“ (იხ. A. Gajda, What if Samuel D. Warren hadn't married, a senator's daughter?: Uncovering the press coverage that led to "the right to privacy", Michigan State Law Review 35, 2008, გვ. 36, 37) და გაზეთ „სეთერდეი ინინგის ოფიციალურ ბეჭდვითი ორგანიზმი“ ფურცლებზე ინფორმაციის გავრცელება. თუმცა, შესაძლებელია, ამის მიზეზი „უერენი და ბრანდეისი“-ს ფირმის სახელის ფართოდ გავრცელებაც ყოფილიყო. იხ. Dorothy J. Glancy, The invention of the right to privacy, Arizona Law Review 1, 1979 (VOLUME 21), გვ. 6, <<http://law.scu.edu/site/dorothy-glancy/File/Privacy.pdf>> [07.09.10 20:54]

<sup>10</sup> იხ. მ. ოქრუაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 11

<sup>11</sup> აღნიშნულზე იხ. ლორომი ჯ. გლანცი, დასახ. ნაშრომი, გვ. 37

<sup>12</sup> იხ. Samuel D. Warren & Louis D. Brandeis, The Right to Privacy, 4 HARV. L. REV., 1890, გვ. 193; Patricia Mell, Seeking Shade in a Land of Perpetual Sunlight: Privacy as Property in the Electronic Wilderness, 11 BERKELEY TECH. L.J., 1996, გვ. 1, 29-30; William L. Prosser, Privacy, 48 CAL. L. REV., 1960, გვ. 383, 384

<sup>13</sup> მ. პეტროსიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 161

<sup>14</sup> აღნიშნულს ადასტურებს Roberson v. Rochester Folding Box Co., 64 App. Div. 30, reversed 1902 წლის გადაწყვეტილება, <<http://faculty.uml.edu/sgallagher/Roberson.htm>> [16.03.11 10:22]

1902 წელს ნიუ-იორკში „პირად სფეროზე უფლების“ შესახებ კანონის მიღებითა და რიგი გადაწყვეტილებებით განისაზღვრა ასალი უფლების განვითარება. აღნიშნულმა განაპირობა ამა თუ იმ ფორმით მისი აღიარება თითქმის ყველა შტატში, თუმცა სპეციალური საკანონმდებლო აქტები, რომელებიც მის დაცვას ითვალისწინებდა, მხოლოდ რამდენიმე შტატში (ნიუ-იორკი, ოკლაჰომა, იუტა და ვირჯინია) მიიღეს. შტატების უმრავლესობა სასამართლოს საშუალებით ახორციელებდა პირადი სფეროს დაცვას, რადგან „კერძო ცხოვრების“ დარღვევა დელიქტად იყო აღიარებული. სასამართლები მხოლოდ ოთხ შტატში (როდ-აილენდი, ნებრასკა, ოკეანი და ვისკონტისი) აცხადებდნენ უარს „პირად სფეროზე უფლების“ აღიარებაზე, ვინაიდან მოქმედ საერთო სამართალში ცვლილებების შეტანა მხოლოდ საკანონმდებლო წესრიგით არის დასაშვები.<sup>15</sup>

ნიუ-იორკის შტატის კანონში (1902 წ.),<sup>16</sup> რომელიც შემდგომი საკანონმდებლო აქტებისთვის ნიმუშს წარმოადგენდა, განისაზღვრა, რომ „პირად სფეროზე უფლების“ დარღვევა იმავდროულად არის დელიქტი და სისხლის-სამართლებრივი სამართალდარღვევა. „პირად სფეროზე უფლების“ დაცვა გულისხმობს პირის სახელისა და გამოსახულების დაცვას. „პირად სფეროზე უფლება“ შეიძლება გამოიხატოს უფლებამოსილი პირის გამოსახულების თანხმობის გარეშე კომერციული ექსპლუატაციისაგან დაცვის უფლებაში მხოლოდ მაშინ,<sup>17</sup> თუ მოსარჩევის გამოსახულების (ან სახელის) გამოყენებასა და რეკლამას ან სავაჭრო მიზანს შორის პირდაპირი და უშუალო კავშირია. ამასთან, არსებობს სხვა საქმეც, რომელშიც არ დაკმაყოფილდა სარჩევი მსახიობისა, რომლის პირტრეეტი განთავსებული იყო ყოველდღიური უერნალის ერთ გვერდზე სხვა სარეკლამო განცხადებებთან ერთად.<sup>18</sup>

ამდენად, ამერიკელებმა დეკლარაციაში ასახეს განმარტოების უფლების სახელმწიფოებრივად დაცვა იდეა (რაც იყო ჯონ ლოკის შრომებში აღწერილი). მართალია, ეს არ იყო უფლება კერძო ცხოვრებაზე იმ გაგებით, როგორც დღეს არის გააზრებული, თუმცა აღნიშნულმა დაუდო დასაბამი საერთო სამართალში კონცეფციას, რომ ადამიანთა ცხოვრება და საკუთრება ჩარევისაგან თავისუფალი უნდა იყოს.<sup>19</sup>

<sup>15</sup> იხ. მ. პეტროსიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 161-162

<sup>16</sup> შეერთებულ შტატებში პირადი სფერო მე-19 საუკუნის ბოლო ხანებამდე დაცული იყო კონსტიტუციის ისეთი მუხლებით, რომელებიც პირდაპირ არ ეხებოდა კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის გარანტიებს. მაგალითად, კონსტიტუციის 1-ლ დამატებაში დადგენილია პრესისა და გაერთიანებების თავისუფლების გარანტიები; კონსტიტუციის მე-4 დამატებით დაწესებულია კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის თვითხელური და უკანონო ჩერეკისა და ამოღებისგან დაცვის გარანტიები... ადსანიშნავია კერძო საკუთრებაში შეღწევის, პირადი საუბრების მოსმენის აკრძალვის შესახებ ნორმებიც და სხვა. იხ. მ. ოქრუაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 9-10

<sup>17</sup> იხ. Spahn v. Messner, INC., 1964 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება, <[http://174.123.24.242/league/xmlResult.aspx?xmlDoc=196426243Misc2d219\\_1189.xml&docbase=CSLWA\\_R1-1950-1985](http://174.123.24.242/league/xmlResult.aspx?xmlDoc=196426243Misc2d219_1189.xml&docbase=CSLWA_R1-1950-1985)> [20.07.11 23:35]

<sup>18</sup> იხ. Cardy v. Maxwell, 1957 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება, <[http://174.123.24.242/league/xmlResult.aspx?xmlDoc=19573389Misc2d329\\_1179.xml&docbase=CSLWAR1-1950-1985](http://174.123.24.242/league/xmlResult.aspx?xmlDoc=19573389Misc2d329_1179.xml&docbase=CSLWAR1-1950-1985)> [09.09.11 22:43]; მ. პეტროსიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 163-164

<sup>19</sup> იხ. Congress and the Right to Privacy, An Introductory Essay by Donald R. Wolfensberger For the Congress Project Seminar on, „Congress and Individual Privacy in a New Security Age,“ Woodrow Wilson

კერძო ცხოვრების დაცვის შესახებ პირველი სასამართლო გადაწყვეტილება იყო 1881 წელს მიჩიგანის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება. სასამართლომ ზიანის ანაზღაურება დააკისრა პირს ქალის სასარგებლოდ, რომელსაც მოპასუხე აკვირდებოდა მშობიარობის დროს მისი თანხმობის გარეშე.<sup>20</sup> ერთი წლის შემდეგ მოსამართლე ტომას ჯულიძე ერთერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში „განმარტოების“ უფლება სამოქალაქო დელიქტების ერთ-ერთ ნაწილად ჩათვალა. 1873 წელს ამას მოჰყვა ნაშრომი, რომელიც კერძო ცხოვრების დაცვის მნიშვნელობას ეხებოდა.<sup>21</sup>

უძველესი პრინციპი „ინდივიდს თავისი პიროვნებისა და საკუთრების დაცვის სრული უფლება აქვს“ დროთა განმავლობაში იცვლება. თანდათანობით ამ უფლებების მასშტაბი გაიზარდა და პირის იმუნიტეტი ფიზიკური იმუნიტეტიდან გავრცელდა პირის ემოციებზეც, ისეთ არამატერიალურ ფასეულობებზე, როგორიცაა პირის ინტელექტუალური საკუთრება, კომერციული საიდუმლო, სავაჭრო ნიშანი და სხვა. ბოლოდროინდელმა გამოგონებებმა და ბიზნესის განვითარებამ, პრესის მიერ უხამსი ინტერესების დასაკმაყოფილებლად სხვების სქესობრივი ცხოვრების დეტალების გავრცელებამ გამოიწვია განმარტოების უფლების წინ წამოწევა.<sup>22</sup> ამ სახის მოქმედებისგან თავდასაცავად საერთო სამართლი პირს ანიჭებს უფლებას, თვითონ განსაზღვროს, რამდენად გაუზიაროს სხვას თავისი ფიქრები, ემოციები და გრძნობები. მათი გავრცელება უფლებამოსილი პირის თანხმობას საჭიროებს. უფლება იკარგება, როდესაც პირი თავად გადაწყვეტს საზოგადოების-თვის საკუთარი ფიქრების, ემოციების გაცნობას ანუ მათ გამოაქვეყნებს. აქვე უნდა გაიმიჯნოს პირის ყოფითი სინამდვილის შესახებ რაიმეს აღწერა, რომელიც მისი საყოფაცხოვრებო წვრილმანებს შეეხება და წერილი ან დღიურის ნაწილი, როგორც ლიტერატურული ნაშრომი.<sup>23</sup>

ინგლისში სასამართლო არ აღიარებდა „პირად სფეროზე უფლებას“ დამოუკიდებელ უფლებად: „პირადი ცხოვრების“ დარღვევის გამო სარჩელის დაკმაყოფილება ხდებოდა მხოლოდ დიფამაციის შესახებ ტრადიციული ნორმების საფუძველზე. თუ ფოტოგრაფიის, კარიკატურის ან სახელის გამოქვეყნება დიფამაციური ხასიათისაა, ეს არაა საკმარისი საფუძველი სარჩელის წარსადგენად,<sup>24</sup> თუ არაა აღნიშნული სათანადოდ დამტკიცებული.

International Center for Scholars, Monday, May 15, 2006, გვ. 2-3, <http://www.wilsoncenter.org/events/docs/privacy-essay-drw4.pdf> [15.01.10 22:35]; აღნიშნულის თაობაზე ასევე იხ. M. Hünemörder, The right to provacy: Debates and meanings in American political and legal history, Ghi Reserch, Bulettin No. 41 (Fall 2007), გვ. 67

<sup>20</sup> იხ. *De May v. Roberts*, 9 N. W. 146 Mich. მიჩიგანის უზენაესი სასამართლოს 1881 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება, <http://faculty.uml.edu/sgallagher/DeMay.htm> [16.03.11 23:20]

<sup>21</sup> იხ. J. Stephen, Liberty, Equality, Fraternity, second edition, SMITH, ELDER, & CO., 15 VATERLOO PLACE, 1873, <http://library.gipe.ac.in/xmlui/bitstream/handle/1/3331/GIPE-003539-Contents.pdf?sequence=2> [20.20.10 07:57]

<sup>22</sup> იხ. Warren and Brandeis, The Right to Privacy, Harvard Law Review, Vol. IV December 15, 1890 No. 5, გვ. 2, 3 <http://www.abolish-alimony.org/content/privacy/Right-to-Privacy-Brandeis-Warren-1890.pdf> [07.09.10 20:26]

<sup>23</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. *Prince Albert v. Strange*, 1 McN. & G. 25 (1849); იხ.: [http://www.readingnewengland.org/app/books/righttoprivacy/popups/popup\\_AlbertvStrange.html](http://www.readingnewengland.org/app/books/righttoprivacy/popups/popup_AlbertvStrange.html) [16.03.11 15:30]; ასევე იხ. მ. ოქრუაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 13-15

<sup>24</sup> იხ. მ. პუტროხიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 162

ამდენად, პირადი ცხოვრების უფლებაში მოიაზრება ინდივიდუალური თვითგამორკვევის მოლოდინი. თითოეულმა პირმა უნდა განსაზღვროს, თუ ცხოვრების რომელი ასპექტი ჩათვალოს კერძო სფეროდ, რათა დაიცვას ის „საზოგადოებრივი თვალისაგან.“<sup>25</sup>

აღსანიშნავია საქმე, რომლის მიხედვით, მოსარჩელე (ყოფილი მემავი) ფიგურირებდა მკვლელობის შესახებ პროცესში და იყო გამართლებული. მას შემდეგ იგი გათხოვდა, გარშემო მყოფებმა კი არ იცოდნენ მისი წარსული. პროცესიდან შვიდი წლის შემდეგ მოპასუხებმა შექმნეს მისი ცხოვრების ამსახველი ფილმი, სადაც იგი ნამდვილი სახელით იყო ნახსენები. ამიტომ ეს მოქმედება შეფასდა მოსარჩელის პირადი სფეროს ხელყოფად.<sup>26</sup>

ამდენად, აშშ-ის სასამართლო პრაქტიკაში „პირად ცხოვრებაზე უფლება“ განიხილება, როგორც ინდივიდის პირადი გადაცემაუუნარო უფლება. ზიანის მიუწენების მიხედვით პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს იმ შემთხვევებში, როცა დარღვევა „უხამს“ ხასიათს ატარებს. პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებას პირად სფეროში ჩარევასთან დაკავშირებით წარმოადგენს მოსარჩელის თანხმობა.<sup>27</sup>

ზემოაღნიშნულის ფონზე საგულისხმოა, რომ საქართველოში პირადი ცხოვრების დაცვის ისტორიული ექსკურსი ჯერ არ ყოფილა სპეციალური შესწავლის საგანი. თუმცა შესაძლებელია ამ ასპექტის შესახებ ზოგიერთი ტენდენციის გამოკვეთა. პირადი ცხოვრების დაცვის პერიოდიზაცია შეიძლება მოხდეს ამგვარად: ა) პირადი სფეროს დაცვა ფეოდალურ ეპოქაში; ბ) პირადი ცხოვრების დაცვა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მე-19 ასწლეულის ბოლომდე; გ) პირადი ცხოვრების დაცვა თანამედროვე ეპოქაში. ფეოდალურ ხანაში პირადი ცხოვრების გამოვლინების ცალკეული ფორმები პატივისა და ღირსების სახით ძირითადად ზეობრივ სფეროსა და რელიგიურ მრწამსს დაუკავშირდა. შეიძლება ითქვას, რომ პირადი ცხოვრება ზოგადად დამოკიდებული იყო წოდებრიობაზე, კერძოდ, რაც უფრო მაღალი წოდების იყო პირი, მით უფრო მაღალი პატივი და ღირსება პქონდა საზოგადოებისა და სახელმწიფოსაგან მინიჭებული. ფეოდალური სამართლის ძეგლებში პირადი ცხოვრების ცალკეულ გამოვლინებათა (პატივისა და ღირსების) დაცვის გარკვეულ ასპექტებზე აღნიშვის ღირსია გ. ნადარეიშვილის პოზიცია,<sup>28</sup> თ. მონიაგას ხედვა.<sup>29</sup>

<sup>25</sup> იხ. დოროთი ჯ. გლანცი, დასახ. ნაშრომი, გვ. 21, <<http://law.scu.edu/site/dorothy-glancy/File/Privacy.pdf>> [07.09.10 20:54]

<sup>26</sup> იხ. Melvin v. Reid, 297, კალიფორნიის სააპელაციო სასამართლოს 1931 წლის 28 ოქტომბერის გადაწყვეტილება, გვ. 91, <<http://www.findadeath.com/forum/showthread.php?25198-Dorothy-Davenport-Reid>> [20.10.10 08:40]; აღნიშნულის შესახებ იხ. მ. პეტროსიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 169

<sup>27</sup> იხ. მ. პეტროსიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 173-174

<sup>28</sup> იხ. გ. ნადარეიშვილი, ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით, „ალმანახი“, ქართული სამართლის ისტორიის ძეგლები, 2000, №14, გვ. 53-54; გ. ნადარეიშვილი, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., „ბონა კაუზა“, 2003, გვ. 160

<sup>29</sup> იხ. თ. მონიაგა, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვა საქართველოში (უძველესი დროიდან საბჭოთა პერიოდის ჩათვლით), თბ., „მერიდიანი“, 2005, გვ. 47-53, 69-71. თ. მონიაგა, ფიზიკური პირის პატივისა და ღირსების ცნება, „სამართალი“, №6-7, 2003, გვ.

პირად ცხოვრებას, როგორც სოციალურ მოვლენას, ქართულ პუბლიკისტიკაში ყურადღება ეთმობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამ საკითხზე საყურადღებოა ფ. გოგიჩაიშვილის „წერილების სერია. საგულისხმოა, რომ პატრიარქალური დროისთვის დამახასიათებელი იყო ოჯახური, კარჩაგებილი ცხოვრება და საკუთარი თავით დაკმაყოფილება. ამ დროს ძალიან ძნელია კერძო და საზოგადოებრივი სფეროების გამიჯვნა, ვინაიდან ორივე მხარე ერთმანეთშია გადახლართული, ოჯახებიც ერთმანეთს ჰგავს თავისი მეურნეობითა და ეკონომიკური საქმიანობით. თუმცა ნელ-ნელა იცვლება ვითარება. თანდათან მამაკაცი სოციალურ თავისუფლებას იძენს; მას შეუძლია მოჰკიდოს ხელი ისეთ საქმიანობას, რომელიც მოელს მის ძალ-დონეს მოითხოვს და ამ ზორმით აკმაყოფილებს ცოლ-შვილსა და ზოგადად ოჯახს. თუმცა ქალს ჯერჯერობით არ აქვს, მამაკაცის მსგავსად, „თავისუფლად“ მოქმედების უფლება. ალბათ, სწორედ ამიტომაა ქალის არსებაში ჩაბუდებული უკმაყოფილების გრძნობა საკუთარი თავისა და საზოგადოების მიმართ. ადამიანთა ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათაგან წინა პლანზე წამოიწია სქესობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებამ. ასევე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სულიერ მოთხოვნილებებსაც.<sup>30</sup> აღნიშნული, ცხადია, ეხება ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის პრობლემას, ქალთა უფლებების დაცვას პოლიტიკასა თუ ზოგადად საზოგადოებრივ ცხოვრებაში.<sup>31</sup> ეს საკითხი საქართველოში დადგა და საჯარო სფეროში ამან განაპირობა ქალთა საქმიანობის გაზრდა. ამდენად, აღნიშნულ ეპოქაში პირადი ცხოვრების ცალკეული გამოვლინებანი არის დაცული.

მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში კერძო ცხოვრების მოცულობა კიდევ უფრო გაფართოვდა. მართალია, ეროვნული თვითგამორკვევის არსია გამოხატული დიდი ილიას სიტყვებში: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, მაგრამ არც ტექსტზე პერმენეტიკული ძალადობა გამოვა, თუ აქ ინდივიდის დამოუკიდებლობასაც მოვიაზრებთ. საბჭოთა პერიოდში დაცული იყო პირადი სფეროს გარკვეული ასპექტები, თუმცა მე-20 საუკუნიდან ტექნოლოგიურმა განვითარებამ პიროვნების დაცვა გაცილებით აქტუალურ პრობლემად აქცია. დღეს მოქმედმა სსკ-მა პირადი ცხოვრება აღიარა დამოუკიდებელ დაცვის დირს სიკეთედ. აღნიშნულმა გაზარდა პირადი ცხოვრების დაცვისადმი ყურადღება.

რაც შეეხება საქართველოს სასამართლო პრაქტიკას, ის იურისპრუდენციაში ცხობილი კონსერვატიზმის პოზიციებიდან შეხვდა პირადი ცხოვრების დაცვის უფლების აღიარებას. აღნიშნული ჩანს თვით საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 1 დეკემბრის განჩინებაში, რომელიც პატივისა და ღირსების შელახვას უკავშირდება. თუმცა, მოცემულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ეკროპული სასამართლოს 2006 წლის 17 ოქტომბრის განჩინების გაცნობის შემდეგ აშკარა ხდება, რომ შეილახა პირადი ცხოვ-

<sup>30</sup> ი. ფ. გოგიჩაიშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1974, გვ. 166-182

<sup>31</sup> ეს პერიოდის როლის შესახებ ქალთა უფლებების დაცვის საქმეში ი. გ. Bonder, M. Nari, A turning point for Women's political participation in Argentina, The 30 percent quota Law, გვ. 184-191, <<http://www.un.org/womenwatch/osagi/feature/postconflict/argentina.pdf>> [20.10.10 20:55]

რების პატივისცემის უფლება.<sup>32</sup> ამდენად, პირადი სფეროს შესახებ პირველი საქმე საქართველოში წარუმატებელი გამოდგა.

საგულისხმოა ასევე ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოში განხილული საქმე „ნიკოლაი შვილი საქართველოს წინააღმდეგ“, რომელშიც პირადი ცხოვრების ერთ-ერთი ასპექტის – გამოსახულების – ხელყოფა გამოიკვეთა.<sup>33</sup> აღნიშნულს მოჰყვა საქმე, რომელიც ეხებოდა პირადი საიდუმლოების ერთ-ერთ გამოვლინებას – შვილად აუვანის საიდუმლოებას.<sup>34</sup> საყურადღებოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობების გავრცელების თაობაზე; პირის რეაბილიტაციის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2003 წლის 11 ნოემბრისა და დიდი პალატის 2003 წლის 24 მარტის განჩინებები. ამის შემდეგ შედარებით განვითარდა პირადი ცხოვრების დაცვისადმი მიღებობა, რაც განაპირობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებამ.<sup>35</sup> თუმცა მაინც იყო გარკვეული საკითხები, რაშიც არ იზიარებდნენ ევროპულ გამოცდილებას.<sup>36</sup> ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წვლილი.<sup>37</sup> თუმცა ინტერესთა დაბალანსება სათანადოდ მაინც ვერ ხორციელდებოდა.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში პერსონალური მონაცემების მიღების შესახებ 2008 წელს შესული დამატებით შეივსო საკანონმდებლო ხარვეზი, ვინაიდან მანამდე პერსონალური მონაცემების დაცვა კერძოსამართლებრივად არ იყო ცალკე გათვალისწინებული.

21-ე საუკუნის დასაწყისში პირადმა ცხოვრებამ უფრო მეტი აქტუალობა შეიძინა საქართველოში. ეს განპირობებული იყო სექსუალური რევოლუციის წარმოშობის ტენდენციების გაჩენით.<sup>38</sup>

<sup>32</sup> ი. გურგენიძე საქართველოს წინააღმდეგ, 2006 წლის 17 ოქტომბრის განჩინება (განაცხადი №71678/01) (საბოლოო 17/01/2007), [http://www.article42.ge/human/Gurgenidze\\_v\\_georgia.doc](http://www.article42.ge/human/Gurgenidze_v_georgia.doc) [15.03.08 22:24]

<sup>33</sup> ი. ნიკოლაი შვილი საქართველოს წინააღმდეგ 2009 წლის 13 იანვრის განჩინება (განაცხადი №37048/04), <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/BROSHURA-adamianis%20uflebata.pdf> [15.04.09 23:44]

<sup>34</sup> ი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2001 წლის 18 ოქტომბრის განჩინება (საქმე №2-კ-141 დად-02)

<sup>35</sup> ი. თბილისის საქალაქო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე №3/2058)

<sup>36</sup> ი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება (საქმე №ას-968-1269-07)

<sup>37</sup> ი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება, 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინება (საქმე №1/7/454), საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე №2/3/406,408)

<sup>38</sup> ი. შ. გაბურია, ვირტუალური კომუნიკაციების როლი თბილისელ დესტი ქალთა ცხოვრებაში, თბ., 2010, გვ. 1-14; სექსუალური რევოლუციის შესახებ ი. ლ. Сорокин, Американская сексуальная революция, Перевод Г. Войтенковой, М., 2006, გვ. 57-70

## **გ) ნაშრომის მიზნები და ძირითადი მიმართულებები**

ნაშრომის მიზანია: 1) კერძო და პირადი ცხოვრების ცნების მოცულობის დადგენა; 2) პირადი ცხოვრების დაცვის თაობაზე თეორიების, საქართველოსა და საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის გაცნობა-ანალიზი, ასევე ადამიანის უფლებათა ეგროპული სასამართლო პრაქტიკის შესწავლა; 3) კერძოსა-მართლებრივი დაცვის გარანტიების გაფართოება; 4) საკანონმდებლო ნორმების სრულყოფისა და პრაქტიკაში წამოჭრილი პრობლემების გა-დაჭრის გზების ჩვენება.

## **დ) კვლევის საგანი და ობიექტი**

კვლევის საგანი და ობიექტია: 1) საზოგადოებრივი, საჯარო, კერძო, პირადი და ინტიმური ცხოვრება; 2) ზოგადი პიროვნული უფლება და პირადი ცხოვრების დაცვის უფლება; 3) პირადი სფეროს სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის ფუნქციები (კომპენსაცია, სატისფაქცია, პრევენცია) და ფორმები; 4) გარდაცვლილის პირადი ცხოვრების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვა; 5) იურიდიული პირის კერძო ცხოვრების დაცვის პრობლემა; 6) პირადი ცხოვრების დაცვის სამოქალაქო საპროცესოსამართლებრივი გარანტიები.

## **ე) კვლევის მეთოდები**

ნაშრომში პირადი ცხოვრების დაცვის არსისა და თავისებურებების გამოსაკვეთად გამოყენებულია იურიდიული მეცნიერებისთვის ტრადიციული იდეალური მეთოდები – დოგმატური და ნორმატიული მეთოდები. ამასთან, კვლევაში ვიხელმძღვანელეთ ისტორიული, შედარებითსამართლებრივი, სისტემური, ანალიზისა და სინთეზის, ლოგიკური მეთოდებით. აზროვნების ლოგიკურ კანონებთან კავშირში თემის განხილვა ლოგიკურად მწყობრი დასკვნის ჩამოყალიბების წინაპირობაა. ამასთან, არ იქნება ინტერესმოკლებული, პირადი ცხოვრების დაცვის პრობლემის სოციოლოგიური მეთოდის<sup>39</sup> გამოყენებით შესწავლა, ვინაიდან პირადი სფერო უკავშირდება სოციოლოგიას. უნდა გაიმიჯოს კერძო ცხოვრების იურიდიული და სოციოლოგიური ასპექტები, რათა არ მოხდეს იურიდიულის სოციოლოგიურზე დაყვანა; ამასთან, სამართლებრივი ურთიერთობები საზოგადოებრივი ურთიერთობის მოწესრიგების იურიდიული ფორმა, თუმცა განსაზღვრულწილად სოციოლოგიურ საფუძვლებსაც უკავშირდება. ამდენად, ნაშრომის საკვლევად დიდია ზოგადი სოციოლოგიის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. საკითხის როგორც სოციოლოგიური, ისე სამართლებრივი ასპექტების განხილვა პრობლემის მთელი სისაგნით აღქმის შესაძლებლობას იძლევა.

<sup>39</sup> იდეალური და რეალური მეთოდების შესახებ. იხ. Р. Лукич, методология права, перевод с сербохорватского В. Кулстикова, , М., «Прогресс», 1981, გვ. 133-134, 138-197, 92-129

## გ) ნაშრომის სიახლე

სამოქალაქო სამართალში პირადი ცხოვრების დაცვის შესახებ მონოგრაფიული კალება ქართულ ენაზე არ შექმნილა. მსოფლიო მასშტაბით უკანასენელი ასწლეულის განმავლობაში პირადი ცხოვრების დაცვის პრობლემას, რამდენადაც შეგვიძლია განვსაჯოთ, მონოგრაფიის დონეზე მხოლოდ რამდენიმე ნაშრომი მიეძღვნა. შესაბამისად, წინამდებარე კალება არის ქართულ სინამდვილეში პირადი ცხოვრების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის პრობლემის შესწავლის პირველი ცდა. ამასთან, ნაშრომში გადმოცემულია, თუ როგორაა დაცული ზოგადად კერძო ცხოვრება ადამიანის უფლებათა ევროკონვენციით. კვლევა ასევე ეხება პირადი სფეროს დაცვის საერთაშორისოსამართლებრივ ასპექტებს. ამავე დროს, განსაზღვრულია მათი მნიშვნელობა შიდასახელმწიფოებრივ დონეზე პირადი ცხოვრების დაცვის უფრო მყარი მექანიზმის ჩამოყალიბებისთვის; კვლევაში დადგენილია, თუ რა მიმართებაა პირად არაქონებრივ უფლებებსა და ზოგად პიროვნულ უფლებას შორის, თუ რითა განპირობებული პირადი ცხოვრების კერძოსამართლებრივი დაცვის განსაკუთრებული სამართლებრივი ბუნება...

კვლევაში არის მცდელობა, განხილულ იქნეს პირადი სფეროს დაცვის თაობაზე პრაქტიკული პრობლემები, პირადი ცხოვრების ხელყოფის ლატენტურად დატოვების საფრთხეები. ამასთან, ნაშრომი სამართალწარმოების დროს პირადი სფეროს ხელყოფის შემთხვევებსაც ეხება. ამ თვალსაზრისით აშკარაა თემის პრაქტიკული მნიშვნელობა.

აღნიშნული ნაშრომი არის ქართულ სინამდვილეში პირველი მცდელობა, წარმოდგენილ იქნეს პირადი ცხოვრების ნიშნები და დაცვის ტენდენციები; დაიხვეწოს სამოქალაქო კანონმდებლობა პირადი სფეროს კონსტიტუციურსამართლებრივი საწყისების საშუალებით. ამასთან, კვლევაში არის მცდელობა, მოხდეს პირად ცხოვრებასთან დიალექტიკურად დაკავშირებული პრობლემების კომპლექსური შესწავლა. ზემოგანხილულ გარემოებებზე დაყრდნობით აღმოჩენილია საკანონმდებლო ხარვეზები და წარმოდგენილია მათი აღმოფხვრის გზები როგორც სამოქალაქო სამართალში, ისე საპროცესო სფეროში. აღნიშნული, ალბათ, საერთაშორისო მასშტაბითაც იქნება საყურადღებო და საინტერესო, რაც მის თეორიულ მნიშვნელობაზე მიუთითებს. ამდენად, ნაშრომი მნიშვნელოვანია პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარების, ასევე სსკ-ის სრულყოფის თვალსაზრისით.

## ზ) დასაცავად წარდგენილი ძირითადი დებულებები

კვლევის შედეგად პრობლემათა გადაწყვეტისათვის შემუშავებულია სასწავლო-მეთოდური და პრაქტიკული მნიშვნელობის შემდეგი რეკომენდაცია-წინადაღებები:

1. კერძო ცხოვრების ნიშნები უნდა გამოიკვეთოს საჯარო და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან შეპირისაპირებით, რისთვისაც, ბუნებრივია, დასადგენია საჯარო და საზოგადოებრივი ცხოვრების არსი. ამის შემდეგ გამორიცხვის მეთოდის გამოყენებით უნდა გაიმიჯნოს კერძო, პირადი და ინტიმური სფეროები.

2. მიზანშეწონილია, კერძო ცხოვრების დაცვის უფლების დამოუკიდებელ ინდივიდუალურ უფლებად გათვალისწინება სამოქალაქო კოდექსში.

3. მიზანშეწონილია, გარკვეულწილად მოხდეს კერძო სფეროს სამართლებრივი დაცვის საშუალებათა სისტემატიზაცია. უნდა გამოიყოს ძირითადი კანონი კონსტიტუციის სახით, კანონები საჯარო და კერძო სამართლის მიმართულებით და სასამართლო პრაქტიკა, რითაც ფაქტობრივად შეიკვრება პირადი ცხოვრების დაცვის საშუალებები ერთ მთელად.

4. ა) „ზოგადი პიროვნული უფლება“ ფართო გაგებით უნდა გამოიყენებოდეს პიროვნული უფლებების აღსანიშნავად. ზოგად პიროვნულ უფლებასა და პირად არაქონებრივ უფლებებს შორის მჭიდრო კავშირია, მაგრამ ისინი ურთიერთგანსხვავებულიცაა. სსკ-ი არ იცნობს ტერმინს „ზოგადი პიროვნული უფლება“, თუმცა არეგულირებს პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფის ცალკეულ შემთხვევას. ეს არ ნიშნავს ჩვენი კანონმდებლობით ზოგადი პიროვნული უფლების დაუცველობას. მის დასაცავად პირად არაქონებრივ უფლებებზე დაყრდნობით აუცილებელია მათი ფართო განმარტება-განზოგადება (აბსტრაქტურული); ბ) უფლების დაცვის სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ზოგადი პიროვნული უფლების დანიშნულება. აქ საქმე ეხება ზოგადი პიროვნული უფლების აღიარებას, რაშიც სამოსამართლო სამართალმა უნდა ითამაშოს დიდი როლი. მნიშვნელოვანია პირადი ცხოვრების ქმედითი და უფექტური დაცვის-თვის სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის ფუნქციების გაფართოებაც.

5. ზოგადი პიროვნული უფლების ელემენტებს – თვითგამორკვევის, პირადი ცხოვრებისა და თვითგამოსახვის უფლებებს შორის მჭიდრო კავშირია. ისინი კორელაციურ ურთიერთობაშია ერთურთონან, თუმცა შეიძლება კერძო ცხოვრების დაცვის უფლება სხვა პიროვნულ უფლებებთან განსაზღვრულ (ზოგჯერ მჭიდრო, ზოგჯერ მთელისა და ნაწილის) დამოკიდებულებაში იყოს.

6. პირადი ცხოვრება მჭიდრო კავშირშია თავისუფლებასა და ხელშეუხებლობასთან. აუცილებელია, გამოიკვეთოს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლების, როგორც არამატერიალური უფლების, მნიშვნელობა კერძოსამართლებრივი დაცვის ხერხების გაფართოების გზით.

7. პირადი ცხოვრება უკავშირდება ინდივიდუალიზაციის საშუალებას – სახელს. სახელის დაცვის უფლება იგივე დამოკიდებულებაშია კერძო ცხოვრების დაცვის უფლებასთან, როგორი მიმართებაც არსებობს განსაკუთრებულ და ზოგად პიროვნულ უფლებებს შორის. ამასთან, სახელის შეღასვამ შეიძლება გამოიწვიოს პირადი სფეროს ხელყოფაც, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მისი ცალკე სამართლებრივი დაცვის უარყოფის საფუძველი. ასევე სსკ-ით დაზუსტებას საჭიროებს სახელის დაცვის უფლების შინაარსი.

8. სსკ-ში გამოსაკვეთია საკუთარი გამოსახულების დაცვის უფლება. ისიც თავისი სამართლებრივი ბუნების გამო ზოგჯერ პირადი სფეროს დაცვის ქვეშ ექცევა.

9. ა) კერძო სფეროს გამოვლენის ერთ-ერთ ფორმად შეიძლება ჩაითვალოს პერსონალური მონაცემები. ამ გაგებით საქმე ეხება ინფორმაციულ თვითგამორკვევას. პერსონალური მონაცემების ხელყოფა შეიძლება იყოს პირადი ცხოვრების შეღასვის დეტერმინანტი. საქართველოში აღნიშნული თვალსაზრისით განხორციელებულმა ცვლილებამ კერძოსამართლებრივი

დაცვის მექანიზმი შეუქმნა პერსონალურ მონაცემებს; ბ) ასევე გასამიჯნია პერსონალური მონაცემების საჯარო და კერძოსამართლებრივი დაცვა.

10. პირადი ცხოვრების დაცვის უფლების დარღვევა ავტორის მიერ არ შეიძლება გამართლდეს ხელოვნების (ან პრესის) თავისუფლების ძირითადი უფლების დაცვის საფუძვლით. ნაწარმოები (სტატია) უნდა აკმაყოფილებდეს პუმანურობის, ზნეობრიობისა და სამართლიანობის მოთხოვნებს, ხოლო აღნიშნულ პრინციპებთან შეუსაბამობისას ავტორის თანხმობით უნდა შევიდეს მასში ცვლილება ან საერთოდ მოხდეს მისი გავრცელების აკრძალვა.

11. ა) პირადი ცხოვრების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, კანონი „სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ უნდა იყოს წაკითხული სამართლის წყაროთა და სამართლებრივ ღირებულებათა იერარქიის გათვალისწინებით; ბ) ამასთან, თავისუფლება პასუხისმგებლობითაა ზღვარდებული და კანონის დათქმებს ემორჩილება. შესაბამისად, უსაზღვრო თავისუფლება ხელყოფს პირად სფეროს, რითაც ადგილი აქვს პირადი ცხოვრების შედახვას და არა ინტერესთა კონფლიქტს. ღირებულებითი კოლიზის დროს კი უნდა გამოიკვეთოს ღირებულებათა იერარქია, ვინაიდან პირადი სფეროს დაცვა (მით უმეტეს, რიგითი პირისა) გაცილებით რელევანტურია, ვიდრე საჯარო ინტერესის დაცვა. განსაზღვრულ გამონაკლის შემთხვევებში კი შეიძლება პირადი სფეროდან გარკვეული ასპექტების გაცემა. ასევე ზოგჯერ პირადი სფეროს დაცვის უფლებას აქვს სხვა პიროვნულ უფლებებთან დაკავშირებით მომსახურებითი ფუნქციაც, რაც მიზანშეწონილია პრაქტიკაშიც გამოიკვეთოს.

12. ა) საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლში გათვალისწინებულია საკუთარი პიროვნების განვითარების თავისუფლება, რომელშიც შედის ზოგადი პიროვნული უფლება და საყოველთაო თავისუფლება. ზოგადი პიროვნული უფლების გამოვლინებანი – განსაკუთრებული პიროვნული უფლებები – სახელისა და გამოსახულების დაცვის სახით (პირადი საიდუმლოება და სხვა) არის სსკით ან სხვა კანონებით უზრუნველყოფილი. ტერმინი „ზოგადი პიროვნული უფლება“ სამართლებრივ უსაფრთხოებას იცავს და მისი უარყოფა დაუშვებელია, რადგან არსებობს მასზე კიდევ უფრო ზოგადი და ზოგადი პიროვნული უფლების ცალკეული გამოვლინებანი. შესაბამისად, იგულისხმება, რომ მათ შორის არსებული კატეგორიაც არის საქართველოს კანონმდებლობით დაცული; ბ) ამასთან, ზოგადი პიროვნული უფლების აღიარება შეიძლება სსკის 992-ე და შემდგომი მუხლების საფუძველზე; გ) პიროვნების ყოველმხრივი დაცვის მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პრაქტიკის მიერ ზოგადი პიროვნული უფლების აღიარება. ამასთან, აუცილებელია კერძო ცხოვრების უფლების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის გაფართოება და სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის კომპენსატორული ფუნქციის გამოკვეთა.

13. კერძო სფეროს დაცვის უფლება კერძო სამართლის იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს, ისიც გარკვეული საეციფიკური თავისებურებებით. ზოგადად იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს კერძო ცხოვრების საიდუმლოება. ამ კუთხით უნდა გაიმიჯნოს სამოქალაქო და აღმინისტრაციულსამართლებრივი დაცვის ფორმები.

14. გარდაცვლილის პირადი ცხოვრების დაცვის დროს „დაცვის დირსი ინტერესის მქონე პირი“ ხდება მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვ-

ნის უფლების დამოუკიდებელი სუბიექტი. ამასთან, „დაცვის დირსი ინტერესის მქონე პირს“ უნდა შეეძლოს მისი უფლების დაცვის განხორციელება.

15. პირადი ცხოვრების უკეთესი დაცვის თვალსაზრისით მიზანშეწონილია ევროპული სასამართლო პრაქტიკის გამოყენება, რაც მნიშვნელოვანია სამართლის და ერთგვაროვანი პრაქტიკის განსავითარებლად.

16. გარკვეული სამართლებრივი პრობლემების თავიდან ასაცილებლად უმჯობესია ტერმინით „არაქონებრივი ზიანი“ ხელმძღვანელობა. ასევე უმნიშვნელოვანესია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ფუნქციები იყოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამოუკიდებლად გაანალიზებული და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კომპენსაციურ ფუნქციას.

17. საპროცესო სფეროში უნდა იქნეს შუალედი ნაპოვნი ჩვენების მიცემის მოვალეობასა და ჭეშმარიტების ძიების ინტერესებს შორის. ადნიშნული პრობლემა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს საჯარო და კერძო ინტერესთა აწონ-დაწონვის გზით პროპორციულობის საფუძველზე.

18. კვლევამ გამოკვეთა, რომ პირადი სფეროს განსაზღვრული ასპექტები შეიძლება აისახოს პროფესიულ საიდუმლოებაში. პროფესიული საიდუმლოების ძირითადი ნიშნებია: საიდუმლოების სუბიექტთა შორის ნდობაზე აგებული ურთიერთობა; ეთიკური ნორმების სისტემის შინაარსი განპირობებულია ამა თუ იმ პროფესიული საქმიანობის სპეციფიკით; რთული ობიექტი კერძო და საჯარო ინტერესთა ან სიკეთეთა ერთობლიობის სახით, რომელთაც საიდუმლოების დარღვევის შემთხვევაში შეიძლება ზიანი მიადგეს.

19. მიზანშეწონილია, პროფესიული საიდუმლოების დაცვის მოვალეობის სუბიექტთა წრის გაფართოების მიზნით ტერმინ „სამედიცინო საიდუმლოების“ გამოყენება.

20. განსაკუთრებული ყურადღების დირსია ინტიმური სფეროს დაცვა სამედიცინო საიდუმლოების დროს. ინტერესთა კონფლიქტის დროს, როგორც წესი, ის გაცილებით რელევანტურია, ვიდრე საჯარო ინტერესი. ამასთან, სავარაუდოდ საექიმო საიდუმლოებას უნდა ეხებოდეს გამონაკლისი წესი, როდესაც ინტიმური ხასიათის მონაცემები შეიძლება გაიცეს ლეგიტიმური საჯარო ინტერესის დაცვის მიზნით (თუ ამას მოითხოვს გარდაცვლილის ნათესავი ან კანონიური წარმომადგენელი). ასევე დასაშვებია საექიმო სფეროში არსებული ინტიმური ცნობების გაცემა, თუ ადნიშნულს მოითხოვს სასამართლო, საგამოძიებო ორგანოები ან საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და სხვათა უფლებების დაცვა.

21. კერძო ცხოვრების ქონებრივი ასპექტები შეიძლება წარმოდგენილ იქნეს საბანკო საიდუმლოებაში. ამდენად, საბანკო საიდუმლოების დაცვით კერძო ცხოვრებაც იქნება დაცული.

22. ა) მიზანშეწონილია სანოტარო მოქმედების საიდუმლოების დაცვის მოვალეობა გავრცელდეს როგორც ნოტარიუსზე, ისე სანოტარო მოქმედების შემსრულებელ სხვა თანამდებობის პირებზე. ბ) აუცილებელია სანოტარო მოქმედების საიდუმლოების ხელყოფის შემთხვევაშიც არაქონებრივი ზიანის არსებობაზე აქცენტის გაკეთება, რაც საკანონმდებლო ხარვეზის შევსებას საჭიროებს. ამდენად, აუცილებელია შემოღებულ იქნეს ტერმინი „კერძო ცხოვრება“, რომლის გამოვლენის ერთ-ერთ ფორმად უნდა ჩიათვალოს სანოტარო მოქმედების საიდუმლოება. ბ) მეანაბრეთა პირად ქონებრივ

უფლებათა დაცვის ოვალსაზრისითაც მიზანშეწონილია პირის კერძო ცხოვრების არსის გამოკვეთა.

23. პირადი სფერო ასევე შეიძლება გამოვლინდეს შვილად აყვანის საიდუმლოების დაცვაში. შვილად აყვანის საიდუმლოების დაცვა და კონფიდენციალურ სფეროთა წრეში მოთავსებაც თვით უფლებამოსილი პირის ნებაზეა დამოკიდებული.

24. ა) მიზანშეწონილია, გაფართოვდეს საადვოკატო საიდუმლოების ცნების შინაარსი, რათა მოიცვას კლიენტისგან ადვოკატისთვის მიცემული ცნობები, რომელთა გავრცელება კლიენტისთვის არასასურველია; ბ) კონფიდენციალობის დაცვა უნდა დაევალოს პირებს, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოდიან წარმომადგენლებად; სხვა ადვოკატს ან მის თანაშემწებს, ასევე ადვოკატის სტაჟიორსა თუ მდივანს, რადგან მათ უკავშირდება ნდობაზე აგებული ურთიერთობა; გ) ამასთან, კლიენტის შესახებ ინფორმაციის გავრცელება შეიძლება მხოლოდ კლიენტისავე თანხმობით. თუმცა ამ ტიპის ცნობების გავრცელება დასაშვებია, თუ ადვოკატის მიერ ინფორმაციის გამუდაგნება აუცილებელია მის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან თავის დასაცავად (და სხვა კანონით დადგენილ გამონაკლის შემთხვევებში).

25. საგულისხმოა, რომ პროფესიულ საიდუმლოებაში შეიძლება მოიაზრებოდეს ასევე მომსახურების გაწევისას მიღებული ან გაგებული ცნობები. ამასთან, ხშირად მუშები ინტერნეტში განათავსებენ საკუთარ ნახელავს, რომელიც უკავ სხვა პირის პირადი სფეროს ელექტრონული წარმოშობს ამ ორ ინტერესს შორის კონფლიქტს. აქ აუცილებელია ინტერესთა დაბალანსება, წინააღმდეგ შემთხვევაში თუ კერძო სფერო დაუსაბუთებლად შეილახა, კერძო ცხოვრების დელიქტური სამართლით დაცვის შესახებ საკითხი დადგება.

26. ა) პირადი ცხოვრება საქართველოს კანონმდებლობაში სხვადასხვა ნორმითაა დაცული. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია სსკ-ის მე-18 მუხლი, რომელიც ღირსების დაცვაზე მიუთითებს. ღირსება, თავის მხრივ, უკავშირდება ზოგადი პიროვნული უფლების შინაარსს. ზოგადი პიროვნული უფლება ახდენს საკუთარი პიროვნების განვითარების თავისუფლების (საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი) კონკრეტიზაციას ღირსების დაცვის უფლების მეშვეობით, რომელიც სპეციალური უფლებაა. ზოგადი პიროვნული უფლება კი პიროვნების (ინდივიდუალობის) ყოველმხრივი დაცვის საფუძველია. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ასევე ქართული დელიქტური სამართლი, რომელიც საქართველოს სამოქალაქო სამართალში ზოგადი პიროვნული უფლების აღიარების შესაძლებლობას იძლევა (სსკ-ის 992-ე მუხლი). ეს ორი მომენტები ერთად ქართულ სამოქალაქო სამართალში ზოგადი პიროვნული უფლების აღიარებაზე მიუთითებს; ბ) რაც შეეხება პირადი ცხოვრების დამცავ საჯაროსამართლებრივ ნორმებს, ისინი გაცილებით უხვადაა, კერძოსამართლებრივი ნორმებისაგან განსხვავებით. თუმცა აქაც შეიძლება ზიანი დადგეს და ქონებრივი თუ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების კონტექსტში დელიქტური ვალდებულება წარმოიშვას. აღნიშნული ზოგადი პიროვნული უფლების საშუალებით პირადი ცხოვრების სამოქალაქოსამართლებრივ დაცვას გულისხმობს.

27. განსაკუთრებით საგრძნობია სამოქალაქო სამართალწარმოებისას საიდუმლო სფეროსა და პროცესის საჯაროობას შორის ინტერესთა კონფლიქტი. ამ პრობლემის გადაწყვეტა მოითხოვს სასამართლოს საჯაროობის პრინციპის ობიექტური და ფაქტობრივი დირექტულების გათვალისწინებას. ასევე აუცილებელია პროპორციულობის პრინციპზე დაყრდნობით აწონ-დაწონვის გზით საიდუმლოების დაცვის კონკრეტული გარემოებების შეფასება; ამასთან, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების განსორციელებამ (ინფორმაციის თავისუფლების ინტერესებიდან გამომდინარეც) არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები, თუმცა საიდუმლოება არაა საჯაროობის ტოლფასოვანი დირექტულება. საიდუმლოება გაზრდილი საჯარო ინტერესის გამო შეიძლება გაიხსნას.

28. სასამართლო გადაწყვეტილებაში პირად კანონიერ ინტერესს ენიჭება პრიორიტეტი ინფორმაციის თავისუფლებასთან შედარებით ან ზოგადად საჯარო ინტერესთან შედარებით. საიდუმლოების დაცვის მიზნით უნდა გაიმიჯნოს სასამართლოს გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადება და გადაწყვეტილების ქსეროასლების გაცემის პროცედურა.

## თ) ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, ძირითადი ნაწილისა და დასკვნისგან. კვლევა მოიცავს ოთხ თავს, ცამეტ ქვეთავს, რვა მოკლე დასკნას, თემის საბოლოო დასკვნას. დისერტაციას თან ახლავს გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა. ნაშრომი შედგება დაახლოებით ორას ორმოც-დათხუთმეტი გვერდისგან.

### თავი I. პირადი ცხოვრების შინაარსი

#### 1. საჯარო და საზოგადოებრივი ცხოვრება

ტერმინი „*public*“ გამოიყენება საზოგადოების, სახალხოს, საჯაროს, საზოგადო ცნობილი მოვლენების ან მოღვაწეების ან საჯარო პირების აღსანიშნავად. ის უკავშირდება თავისუფალ ადგილს, სადაც ხალხს ინდივიდის დანახვის ან მოსმენის უფლება აქვს. იგი კერძოს ანტონიმია.<sup>40</sup> ამდენად, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს საჯარო ცხოვრების არსი, რათა შემდეგ განისაზღვროს კერძო ცხოვრების ნიშნები.<sup>41</sup> აღნიშნულის დასადგენად კი აუცილებელია საჯარო და კერძო სფეროების შესახებ არსებული თეორიების მიმოხილვა. ძირითადად განასხვავებენ ტრადიციულ, ნეიტრალურ-სამართლებრივ და ქცევის შესახებ თეორიებს.

<sup>40</sup> იხ. A. Hornby, Oxford Advanced learner's Dictionary, Oxford, New York, Oxford university press, 2002, გვ. 1022-1023

<sup>41</sup> საჯაროობა განისაზღვრება ძირითადად კერძო ცხოვრების საპირისპიროდ. იხ. W. Lesch, Medienethik zwischen öffentlichem und Privatem, Im Zoom K&M Nr. 11, Juli 1998, გვ. 40. <[http://www.medienheft.ch/uploads/media/11\\_ZOOM\\_KM\\_08\\_Walter\\_Lesch\\_Medienethik.pdf](http://www.medienheft.ch/uploads/media/11_ZOOM_KM_08_Walter_Lesch_Medienethik.pdf)> [06.04.11 22:30]

ე. წ. „კვაზი-ბუნებრივი“ ანუ ტრადიციული თეორიის მიხედვით, საჯარო სფეროში ურთიერთობა სამართლისა და სხვა სოციალური ნორმებითაა მოწესრიგებული; კერძო სფერო ოჯახის საშუალებით განისაზღვრება და აქ ურთიერთობები ურთიერთგაგებასა და სიყვარულზეა აგებული. ეს რეგულირება სპეციფიკურია სქესობრივი თვალსაზრისით: საჯარო სფეროში მოქმედებს კაცი, ქალი კერძო სფეროს დამცველია, სახლსა და საშინაო აღმოსფეროზე ზრუნავს.<sup>42</sup> ეს თეორია ეფუძნება არისტოტელუს შეხედულებას, რომელიც განასხვავებს თანაცხოვრებას სახელმწიფოსა (პოლისი) და სახლში (ე. წ. ოიკოსი (Oikos)) ანუ საჯარო და კერძო სფეროებში. პოლისი მამაკაცების უფლებას იცავს, ოიკოსი არის ქალებისა და მონების ადგილი კაცებთან, როგორც სახლის ბატონებთან, ერთად. ამ პოზიციას ასოციაციურად უახლოვდება აგრეთვე თ. პობსისა და ჸ. ლოკის ხელშეკრულების თეორია, რომელიც დუალისტურ ხასიათს ატარებს. პოლიტოლოგი ჸ. არენდტი საჯარო და კერძო სფეროების შესახებ არისტოტელუსეულ თეორიას ეფუძნებოდა.<sup>43</sup> კერძო ცხოვრების სფეროები არის სფეროები, რომლებშიც პირი ცხოვრობს, კერძოდ, ქორწინება და ოჯახი. საოჯახო სფეროები იქცა კერძო სფეროებად, ხოლო საჯარო სფეროები – პოლიტიკოსების სფეროებად.<sup>44</sup> ასევე ამერიკელი სოციოლოგი რ. სენეტი თვლიდა, რომ კაპიტალისტურ რეალობაში, ერთი მხრივ, მატერიალური ხასიათის ელემენტები საოჯახო (ფამილიარულ, ინტიმურ) სფეროში არ გხვდება, თუმცა, მეორე მხრივ, აისახება მხოლოდ საჯარო სფეროში. ამიტომ საჯაროობა ქალებისთვის „ამორალურ სფეროში“ მოქმედებას უკავშირდებოდა, მამაკაცებისთვის საჯაროობას მორალური დატვირთვა ჰქონდა.<sup>45</sup> ამჟამად საჯარო სფეროში წარმოდგენილია ქალიც და კაციც; ხშირად ქალი ახერხებს საჯარო და კერძო სფეროებში საქმიანობის შეთავსებას. ამდენად, ტრადიციული მოდევრება ვერ გამოდგება საჯარო და კერძო სფეროების ერთმანეთისგან გასამიჯნად.

ნეიტრალურ-სამართლებრივი თეორიის მიხედვით, საჯარო და კერძო სფეროები განიხილება თავისუფლების ცნების გამოყენებით: კერძო სფეროში პირებს უნდა შეეძლოთ სახელმწიფოსა და საზოგადოების თვალწინიშნიანდებობების გარეშე საკუთარი შეხედულებისამებრ ცხოვრება.<sup>46</sup> ეს

<sup>42</sup> ი. Chr. Beier, Autonomie, Privatheit und Selbstbestimmung, Proseminar Informationelle Selbstbestimmung, 21. August 2005, გვ. 11; ხელმისაწვდომია: <<http://www2.informatik.hu-berlin.de/~beier/txts/2005-Informationelle%20Selbstbestimmung%20-%20Autonomie.%20Privatheit,%20und%20Selbstbestimmung.pdf>> [15.01.10 20:40]

<sup>43</sup> აღნიშნულის შესახებ ი. D. Kölmeier, Das Öffentliche-Das Private (und der (Un)Bestand dieser Termin, Wintersemester 2008/09, გვ. 8-9, 11, ი. ინტერნეტ-გვერდზე: <[http://www.dkmotion.at/theses/privatheit\\_oeffentlichkeit\\_david\\_koehlmeier.pdf](http://www.dkmotion.at/theses/privatheit_oeffentlichkeit_david_koehlmeier.pdf)> [25.01.10 13:23]

<sup>44</sup> ი. H. Arendt, Vita activa oder vom tätigen Leben. Piper: München 1996, გვ. 38 ციტირებულია: A. Siegetsleitner, Forschungsinstitut für Angewandte Ethik, Forschungsberichte und Mitteilungen (herausgegeben von A. Siegetsleitner und O. Neumaier), Heft 29, Salzburg, 2002, გვ. 13, <<http://www.uni-salzburg.at/pls/portal/docs/1/467581.PDF>> [11.09.09 9:55]

<sup>45</sup> ი. Р. Сеннем, Падение публичного человека, Перевод с английского /Перевод О. Исаева, Е. Рудницкая, Вл. Софронов, К. Чхрукиძе. М., «Логос», 2002, გვ. 32

<sup>46</sup> აღნიშნულზე ი. H. Pauer-Studer, Privatheit: “Ein ambivalenter, aber unverzichtbarer Wert,” გვ. 2. ნაშრომი ი. ინტერნეტ-გვერდზე: <<http://www.oeaw.ac.at/ita/privconf/pauer-studer.pdf>> [10.09.10 21:43]; ბ. ბაიკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 11-12

თეორია მნიშვნელოვანია, მაგრამ სრულად ვერ ამოწურავს კერძო სფეროს შინაარსს. თუმცა აღნიშნული ხაზს უსვამს, რომ კერძო ცხოვრების ცნების მოცულობა დიდია, ვინაიდან რაც უფრო მცირეა ცნების ნიშნები, მით უფრო დიდია ამ ცნების მოცულობა.<sup>47</sup>

ქცევის თეორიის თანახმად, კერძოსა და საჯაროს შორის განსხვავება შეიძლება კონკრეტული ქცევის მიხედვით. არსებობს ქცევა, რომელიც კერძო ადგილებისთვისაა დამახასიათებელი (კერძო სახლები) და მოქმედებანი, რომელიც შეეფერება საზოგადოებრივ ადგილებს (ქუჩები, პარკები, ფირმები, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები). საზოგადოებას შეიძლება ჰქონდეს ქცევის სხვადასხვა კოდექსი საზოგადოებრივი და კერძო ადგილებისთვის. პირები იქცევიან საჯაროდ და კერძოდ მათთვის მისაღები საშუალებებით. ამდენად, თუ შეყვარებულები დაკავებულები არიან ინტიმური ურთიერთობით საზოგადოებრივ პარკში, ეს არის პირად ცხოვრებაში ჩარევა იმათი მხრიდან, ვისაც სურს გამოიყენოს პარკი არა ამ სახით. თუმცა ეს უფრო არის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩარევა, ვინაიდან ქცევა არ შეესაბამება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მიღებულ ქცევებს. ინტიმური ურთიერთობა უნდა იყოს კონფიდენციალური.<sup>48</sup>

რაღაც ბენდრათის აზრით, კერძო და საჯარო უნდა გამოიყოს ფორმულით: კერძო არის სიმშვიდესთან ასოცირებული, მაგრამ მისი ნეგატიური ასპექტი არის განმარტოება. საჯარო ნიშნავს ყურადღების ცენტრში ყოფნას, ხოლო ამ შემთხვევაში საჯარო სფეროს ნეგატიური ასპექტი გულისხმობს ე. წ. „სირცხვილის ბოძე“ გაკვრას.<sup>49</sup> ეს ოზაც შეეხება კერძო სფეროს მხოლოდ ერთ ასპექტს – სიმშვიდეს, განმარტოებას, რომელიც კერძო ცხოვრების უძირითადესი დეტალია, მაგრამ ის კერძო ცხოვრების ზემეტად ფართო ინტერპრეტაციას უწყობს ხელს. ამიტომ მიზანშეწონილია, დაზუსტდეს მისი სფეროები.

როგორც ჩანს, საჯარო ცხოვრება შინაარსობრივად უახლოვდება ტერმინს „საზოგადოებრივი ცხოვრება.“ საზოგადოებრივი ცხოვრება, სოციოლოგიური გაგებით, არის იმ მოვლენათა კომპლექსი, რომლებიც გარკვეულ შეზღუდულ სივრცეში მყოფი ინდივიდებისა და ერთობების ურთიერთქმედებით წარმოიქმნება. თუმცა ზოგჯერ აფართოებენ საზოგადოებრივი ცხოვრების შინაარსს და მასში მცენარეთა გარემოსა თუ ცხოველთა ჯოგებში მიმდინარე მოვლენებსაც მოიაზრებენ.<sup>50</sup> ე.ი., სიტყვები „საჯარო ცხოვრება“ და „საზოგადოებრივი ცხოვრება“ ფართო გაგებით იღენტური მნიშვნელობისაა და მათ აერთიანებს განსაზღვრული საჯარო ფუნქცია. თუმცა ვიწრო გაგებით საჯარო ცხოვრებაში, სავარაუდოდ, უნდა იგულისხმებოდეს საზოგადოებრივი (როგორც სახელისუფლო, ისე არასახელისუფლო) ინტერპრეტაცია.

<sup>47</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. კ. ბაქრაძე, ლოგიკა, თბ., საქ. პედაგოგ. მეცნ. ინსტ. გამომც., 1946, გვ. 45

<sup>48</sup> იხ. Richard J. Arneson, Egalitarian justice versus the right to privacy? (published in Social Philosophy and Policy 17, No. 2 (Summer, 2000), გვ. 3-4, <<http://philosophy.ucsd.edu/faculty/rarneson/privacy3.pdf>> [15.01.10 23:20])

<sup>49</sup> იხ. R.Bendrath, (Future of Privacy) Zukunft von Netz und Gesellschaft, In: LDI NRW Persoenlichkeit im Netz 2008, გვ. 105

<sup>50</sup> იხ. ი. შეგანსკო, სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები (თარგმნა თ. გრატიაშვილმა), თბ., „მეცნიერება“, 1997, გვ. 14-16

სებისთვის საქმიანობა. ამასთან, შესაძლოა, რომ საჯარო ცხოვრება გაცილებით ფართო იყოს, ვიდრე საზოგადოებრივი სფერო. შესაბამისად, კერძო სფერო, რომელიც არაა საჯარო. აღნიშნული, ცხადია, კერძო ცხოვრების არსის ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამიტომ აუცილებელია გაირკვეს, კონკრეტულად რომელ ასპექტებს მოიცავს კერძო სფერო.

## 2. კერძო, პირადი და ინტიმური ცხოვრება

### 2.1. თეორიები კერძო, პირადი და ინტიმური ცხოვრების შესახებ

კერძო ცხოვრების ცნების შინაარსის განსაზღვრა არის ძალიან რთული. ტერმინი „კერძო სფერო“ გამოიყენება რამდენიმე ვარიაციის სახით,<sup>51</sup> რომელიც სხვადასხვა მოძღვრებაში აისახა. ამიტომ პირადი სფეროს არსის შესასწავლად აუცილებელია კერძო ცხოვრების შესახებ არსებული კონცეფციების მოკლედ განხილვა. ძირითადად გამოიყოფა კერძო ცხოვრების სოციოლოგიური მიდგომა, რომელ შიც შედის თეორიები კერძო სფეროს, როგორც სოციალური მოვლენის, ინდივიდუალობისა და განმარტოების შესახებ. ასევე არსებობს კერძო სფეროს შესახებ იურიდიული მიდგომა, რომელ შიც გაერთიანებულია კერძო ცხოვრების შესახებ პრაგმატული სედვა, შეზღუდული ხელმისაწვდომობის, ე.წ. „კონტროლისა“ და საიდუმლოების შესახებ თეორიები. მიზანშეწონილია, ცალკე ჩამოყალიბდეს კერძო ცხოვრების შესახებ შერეული მიდგომა, რომელიც აერთიანებს სფეროთა, მოზაიკის, სპეციფიკური როლის შესახებ თეორიებს.

#### 2.1.1. კერძო ცხოვრების შესახებ სოციოლოგიური მიდგომა

##### 2.1.1.1. კერძო ცხოვრება, როგორც სოციალური მოვლენა

კერძო სფერო, ერთ-ერთი თეორიის მიხედვით, განიხილება სოციალურ მოვლენად. „ადამიანის პირადი ცხოვრება თავისი კონკრეტული გამოვლინებებითურთ მუდამ განუმეორებელი და თვითგანვითარებადია.“ ის არის სოციალური, ისტორიულად განპირობებული მოვლენა. ზოგადად კერძო ცხოვრება მოიცავს სხვადასხვა სფეროს: ა) „განსაკუთრებით პიროვნულ (ინტიმურ)“; 2) „ყოფით“; 3) „საოჯახო“; 4) „ქონებრივ“; 5) „კულტურულ“; 6) „ორგანიზაციულ“; 7) „სანიტარულ-ჰიგიენურ“; 8) „გამაჯანსაღებელ“; 9) „გართობა-დასვენების“; 10) „საკომუნიკაციო“ და სხვა მხარეს.<sup>52</sup> ამდენად, აქ პირადი ცხოვრება გამოიყენება ფართო გაგებით და გულისხმობს გარკვეულ სოციალურ კონსტრუქციას, რომელიც კერძო ცხოვრების დატვირთვას

<sup>51</sup> ი. ა Special Report issued by Privacilla.org., *The Privacy Torts: How U. S. State Law Quietly Leads the Way in Privacy Protection*, July, 2002, გვ. 17, ნაშრომი ი. ინტერნეტ-გვერდზე: <[http://www.privacilla.org/releases/Torts\\_Report.pdf](http://www.privacilla.org/releases/Torts_Report.pdf)> [10.09.10 13:41]

<sup>52</sup> ი. ლ. Красавчикова, Личная жизнь граждан под охраной закона, М., «Юрид. Лит-ра», 1983, გვ. 9, 15-16

ატარებს. კერძო სფეროს თითოეული განმარტება არის სუბიექტური. კერძო ცხოვრება არის სოციალური სფერო, რომელიც მოიცავს პირის უნარებს და არა ტექნიკურ შესაძლებლობას. პირადი სფერო არის სუბიექტური მდგომარეობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ინდივიდები საკუთარი ნებისა და მოთხოვნილების მიხედვით წყვეტებ, თუ როგორი იყოს მის შესახებ წარმოდგენები. თუმცა, თვით ეს თეორია ვერ გაეძვა კერძო სფეროში არსებულ სამართლებრივ ასპექტებს, რომელებსაც მაინც სოციოლოგიური ელფერი დაკვრავს: ა) პირს უნდა ჰქონდეს იურიდიული ძალაუფლება, მართოს ინფორმაცია საკუთარ თავზე, რაც არჩევანის არსებობაზე მიუთითებს. ამასთან, კერძო სექტორში პირს ყოველთვის შეუძლია მართოს საკუთარი თავის შესახებ ინფორმაცია; ბ) ინფორმაციის კონტროლის განცდა – პირი საკუთარ ინტერესებს ბაზარზე ანდობს განათლებულ და მცოდნე წარმომადგენელს. მან უნდა განახორციელოს ძალაუფლება, რომელიც შეესატყვისება მის ინტერესებსა და დირექულებებს.<sup>53</sup> თუმცა ამით არ ამოიწურება კერძო სფეროს სამართლებრივი ნიშნები.

### 2.1.12. კერძო ცხოვრება, როგორც განცალკევება

კერძო სფეროს შესახებ მნიშვნელოვან თეორიას წარმოადგენს განმარტების შესახებ თეორია (The Right to Be Let Alone). უკრება (ბოსტონელმა ადვოკატმა) და ბრანდფიქტა (საკონსტიტუციო სასამართლოს წევრმა) ჩამოაყალიბეს ინდივიდუალობის ხელშეუხებლობის პრინციპი სტატიაში სათაურით „კერძო ცხოვრების უფლება“ (1890 წ.).<sup>54</sup> ამ თეორიის თანახმად, პირადი ცხოვრება არის განმარტოების სფერო, რომელიც განისაზღვრება ტერმინ „განცალკევების“ საშუალებით. განცალკევებაში მოიაზრება იზოლირების ფორმა, სხვა ადამიანთაგან განყენება, მარტო ყოფნა. ეს თეორია ფართო გაგებით ეხება განმარტოებას. ამდენად, პირს შეუძლია თვითონ განსაზღვროს, თუ რა მოცულობით იყოს საზოგადოებრივი უურადღების საგანი.<sup>55</sup> ესაა უფლება, განმარტოვდე, რომელიც, თავის მხრივ, მონაცემთა დაცვას უკავშირდება.<sup>56</sup> ამ გაგებით კერძო ცხოვრება განისაზღვრება, როგორც განმარტოება, სხვებისაგან ან ნებისმიერი სოციალური ზემოქმედე-

<sup>53</sup> ი. ა Special Report issued bay Privacilla. org., *The Privacy Torts: How U. S. State Law Quietly Leads the Way in Privacy Protection*, გვ. 8-9, 15

<sup>54</sup> ი. ა. Samuel D. Warren & Louis D. Brandeis, The Right to Privacy, 4 Harv. L. Rev., 1890, გვ.193, 205

<sup>55</sup> ი. ა. E.L. Godkin, Libel and Its Legal Remedy, 12 J. Soc. Sci. 1880, გვ. 69, 80. ციტირებულია: Daniel J. Solove, Conceptualizing Privacy, California Law Review, 2002, გვ. 1103; <[http://securitylaw.info/pdf/Daniel\\_Solove\\_Conceptualizing\\_Privacy\\_90\\_Cal\\_L\\_Rev\\_1087\\_2002.pdf](http://securitylaw.info/pdf/Daniel_Solove_Conceptualizing_Privacy_90_Cal_L_Rev_1087_2002.pdf)> [07.09.10 20:21]

<sup>56</sup> ი. ა. თავისი, გ. პაისლი, დასახ. ნაშრომი, გვ. 15; ა. ზეგვეთსლაიტერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 31; რ. ბენდორათი, დასახ. ნაშრომი, გვ. 97; ასევე ი. M. Fuellsack, Skriptum für den Workshop Informationsethik am Studiengang Information and Communication Solutions (ICS), FH-Studiengänge Burgenland, გვ. 95; ნაშრომი ი. ინტერნეტ-გვერდზე: <<http://homepage.univie.ac.at/manfred.fuellsack/Informationsethik.pdf>> [04.09.10 18:51]

ბისაგან თავისუფლად ცხოვრება<sup>57</sup> ამდენად, კერძო ცხოვრებაზე უფლებაში იგულისხმება პირის უფლება, სურვილისამებრ გაანდოს ან არ გაანდოს სხვებს საკუთარი ცხოვრების, ჩვევების, მოქმედებებისა და ურთიერთობების შესახებ ინფორმაცია.<sup>58</sup> ზემოთ განხილული ცხადყოფს, რომ ეს თეორია წარმოადგენს კერძო ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ნიშანს პირის სხვა პირთაგან განცალკევების სახით. მართალია, პირადი სფეროს უფლების ადგილი განმარტოების უფლებაშია, მაგრამ განმარტოების უფლება არის გაცილებით ფართო უფლების ნაწილი, უფლებისა, ფლობდე ცხოვრებას, რომელიც უშუალოდ ცხოვრებაზე ადამიანის უფლების ნაწილი გახდეთ.<sup>59</sup>

ამ გაგებით განმარტოების თეორია არის ძალიან ფართო, ვინაიდან ბევრ ასპექტს უკავშირდება და ართულებს საჯარო და კერძო სფეროთა გამიჯვნას. ასევე უმნიშვნელოვანების კერძო ცხოვრების შინაარსის დაზუსტება კონკრეტული სფეროებით, რათა გარკვეული წარმოდგენა შეიქმნას კერძო ცხოვრების ცნებასთან დაკავშირებით, რაც ამ თეორიით არაა გამოკვეთილი. აღნიშნული კონცეფცია ვერ ხსნის კერძო ცხოვრების ისეთ ძირითად დეტალებს, როგორიცაა: ქონებრივი ასპექტები, ინდივიდუალობა, დირსებისა და საიდუმლოს დაცვის პრინციპი და სხვა. ეს მომენტები კი უკავშირდება კერძო და პირად სფეროების შორის საზღვრების დადგენის პრობლემას, ასევე წარმოაჩენს კერძო ცხოვრების არსებობას.

### 2.1.1.3. ინდივიდუალობის შესახებ თეორია

ინდივიდუალიზმი კერძო ცხოვრების ცენტრალური რაობაა. ესეისტ და პოეტ რალფ ვალდო ემერსონის თვალსაზრისი ინდივიდუალიზმის შესახებ ეფუძნებოდა „განმარტოებას“, როგორც ინდივიდუალიზმის კულტივირების-თვის ძირითად ნაწილს.<sup>60</sup> ეს თეორია პირად სფეროში მოიაზრებს მხოლოდ ინდივიდუალობის დაცვის ფორმას და აგებულია პირადი ცხოვრების ნორმაზიულ კონცეფციაზე, კერძოდ, ინდივიდუალობის ხელშეუხებლობაზე. ამასთან, ამ თეორიაში მნიშვნელოვანია ტერმინები „ავტონომია, ლირსება და ინდივიდუალობა“ და ასევე „ანტიტოტალიტარიზმი“.<sup>61</sup>

საგულისხმოა, რომ ძირითადი ინდივიდუალური დირებულებებია: ინდივიდუალობა (ინდივიდუალობის დაცვა გულისხმობს გათანაბრებისგან დაცვას); ავტონომია ანუ ადამიანის შესაძლებლობა, გააკეთოს საკუთარი არჩევანი; დირსება, როგორც კერძო ცხოვრების ქვაკუთხედი;<sup>62</sup> ხელშეუხებლობა;

<sup>57</sup> იხ. R. Wacks, Personal Information: Privacy and the Law. Oxford Clarendon Press, 1989, გვ. 7; D. Flaherty, Privacy and Data Protection: An International Bibliography. Knowledge Industry Publication Inc., 1984, გვ. 14

<sup>58</sup> იხ. Warren & Brandeis, The Right to Privacy, 4 HARV. L. REV., 1890, გვ. 216

<sup>59</sup> იქვე, გვ. 205, დოროთი ჯ. გლანსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 3

<sup>60</sup> იხ. დოროთი ჯ. გლანსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 25-26

<sup>61</sup> იხ. დანიელ ჯ. სოლოვე, დასახ. ნაშრომი, გვ. 1116-1119

<sup>62</sup> იხ. James Q. Whitman, The Two Western Cultures of Privacy: Dignity versus Liberty, 113 Yale L.J., 2004, გვ. 1161, იხ.: <http://ssrn.com/abstract=476041> [20.10.09 00:19]. ციტირებულია: Brt-Jaap Koops, Ronald Leenes, ‘Code’ and the slow erosion of privacy, 12 Michigan Telecommunications and Technology Law Review, 2005, გვ. 135, <http://www.mttlr.org/voltwelve/koops%26leenes.pdf> [15.10.09 22:50]

ემოციური განტვირთვა; თვითშეფასება; დაცული კომუნიკაცია; ღირებულება; ხელმისაწვდომობა; სარგებლის მიღება; თანამშრომლობა (როცა აუცილებელია რამდენიმე მომხრე პირთა შეკავშირება რადაც ჩანაფიქრის განსახორციელებლად); უსაფრთხოება; პასუხისმგებლობა; ნდობა.<sup>63</sup> მოცემული თეორიაც პირადი ცხოვრების სოციოლოგიურ ჭრილში განხილვის გარკვეული გამოვლინებაა. თუმცა ეს კონცეფცია პირადი ცხოვრების არც სამართლებრივ მხარეს უგულებელყოფს. პირადი სფეროს სამართლებრივი განხილვის თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ ინდივიდუალობის ხელშეუხებლობაც უკავშირდება საიდუმლოების დაცვას. აღნიშნული თეორია შეეხება პირადი ცხოვრების არსებით ნაწილს – ინდივიდუალობას. პირადი სფერო კი კერძო ცხოვრებაში შედის და კერძო ცხოვრების არსი მხოლოდ ამით როდი ამოიწურება; კერძო სფეროში აუცილებელია ასევე ქონებრივი ასპექტების, გაკონტროლების უფლების, სხვადასხვა სფეროს (კერძო, პირადი და ინტიმური) და სხვა მომენტების ასახვა. ამდენად, ეს თეორიაც სრულად ვერ ხსნის კერძო ცხოვრების არსს.

ამდენად, ეს თეორია განიხილავს კერძო ცხოვრებას ძირითადად რეალურ მოვლენად. სამართლებრივი მეცნიერების ობიექტი კი არ შეიძლება საგანი იყოს, რადგან რეალური არსის კანონზომიერება ბუნებისმეცნიერების საგანია.<sup>64</sup> შესაბამისად, აღნიშნულ ასპექტს კერძო ცხოვრება გაჰყავს „წმინდა“ იურიდიული სფეროდან, რადგან, ჯერ ერთი, ცხოვრება რეალური მოვლენაა; მეორე, საზოგადოებრივი ურთიერთობის შემადგენელი ნაწილია მოქმედება, რომელსაც საგნობრივი ხასიათი უნდა ჰქონდეს ანუ რეალური უნდა იყოს;<sup>65</sup> მესამე, ცხოვრება რელატიური და სასრულია; მეოთხე, ცხოვრება არაა აბსტრაქტული, ის კონკრეტულია. ეს ნიშნები კი რეალური სფეროსთვისაა დამახასიათებელი.<sup>66</sup> კერძო ცხოვრება რომ მოქმედეს სამართლებრივი რეგულირების სფეროში, აუცილებელია მისი იურიდიული ასპექტების გამოკვეთა, კერძოდ, მისი სამართლის მოქმედების სფეროში განსაზღვრა.<sup>67</sup> ამ გაგებით მოცემული თეორიები, თითქოს სამართლებრივ ელემენტებსაც შეიცავს, თუმცა კერძო სფეროს იურიდიული ასპექტები ამით არ შემოიფარგლება.

## 2.1.2. კერძო ცხოვრება, როგორც სამართლებრივი მოვლენა

კერძო ცხოვრების შესახებ არსებობს ასევე იურიდიული მიდგომა, რომელიც კერძო სფეროს გარკვეულ სამართლებრივ ასპექტებს შეეხება. აღნიშნული მოძღვრება მოიცავს შეზღუდული ხელმისაწვდომობისა და ე. წ.

<sup>63</sup> იხ. ბერტ-იაპი კუპი, დასახ. ნაშრომი, გვ. 135-137

<sup>64</sup> იხ. ხ. ავალიანი, თეორიული ფილოსოფია, თბ., „უნივერსალი“, 2007, გვ. 127, 241

<sup>65</sup> სამართლებრივი ურთიერთობის, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობის, შესახებ იხ. Ю. Ткаченко, Методологические вопросы теории правоотношений, М., «Юрид. лит-ра», 1980, გვ. 102, 104, 107

<sup>66</sup> იხ. ხ. ავალიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 35, 36, 38

<sup>67</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. В. Сенчишев, Объект гражданского правоотношения. Общее понятие, Задачи и задачи: «Актуальные проблемы гражданского права» (ред. М. Брагинский), М., «Статут», 1998, გვ. 139

„კონტროლის“ თეორიებს, საიდუმლოების შესახებ თეორიას, პრაგმატულ მიღვომას კერძო ცხოვრების შესახებ. აქაც ძირითადად პირადი ცხოვრება არის წარმოდგენილი კერძო სფეროს შინაარსობრივი დატვირთვით და ამ თეორიებით გათვალისწინებული წესები ზოგადად ვრცელდება პირად ცხოვრებაზეც. თუმცა განსაკუთრებით აღსანიშნავია პრაგმატიზმი, რომელიც პირადი ცხოვრებისთვის დამახასიათებელ სპეციფიკას გამოკვეთს.

### 2.12.1. მონაცემთა შეზღუდული ხელმისაწვდომობა

#### ა) შეზღუდული ხელმისაწვდომობის შესახებ თეორია

შეზღუდული ხელმისაწვდომობის თეორიის თანახმად, კერძო ცხოვრება არის სფერო, რომელშიც პირი დაცულია „სხვების არასასურველი ხელმისაწვდომობისაგან – ფიზიკური ხელმისაწვდომობისგან (პირადი ინფორმაცია ან ყურადღება).“<sup>68</sup> ვიწოდ გაგებით პირი კმაყოფილია კერძო ცხოვრებით, როცა ის არაა სხვებისთვის ხელმისაწვდომი, რომელშიც შეიძლება ფიზიკური სიახლოვეც მოიაზრებოდეს.<sup>69</sup> ამდენად, თვით ეს პირი წყვეტს პერსონალური მონაცემების სხვებისთვის ხელმისაწვდომობას.

სოციოლოგ ერნესტ გან დენ ჰააგის აზრით, პირადი სფერო არის ფიზიკური ან იურიდიული პირის განსაკუთრებული ხელმისაწვდომობა საკუთარ სამფლობელოზე. კერძო ცხოვრება აძლევს პირს უფლებას, დაიცვას კერძო სამფლობელო სხვათა ა) ოვალოვალისაგან; ბ) გამოყენებისაგან; გ) (ბოროტი ან სხვა მიზნით) ჩარევისაგან.<sup>70</sup> ამდენად, კერძო ცხოვრება წარმოადგენს ხელისუფლებისაგან თავისუფალ ტერიტორიასა და პირადი თავისუფლების ციხესიმაგრეს, რომელიც მხოლოდ ინდივიდის თვითმმართველობას ემსახურება.<sup>71</sup> პოლიტიკოსი დევიდ ო ბრინი განასხვავებს მათ, ვინც საუბრობს შეზღუდულ ხელმისაწვდომობაზე, როგორც ინდივიდუალური კონტროლის ფორმაზე და მათ, ვინც შეზღუდულ ხელმისაწვდომობას მიიჩნევს არსებობის საშუალებად. ამდენად, კერძო სფერო შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ადამიანის ცხოვრებისეულ მოვლენებსა თუ გარემოებებთან შეზღუდული ხელმისაწვდომობის ფუნდამენტური თავისებურება. ეს მოძღვრება კერძო სფეროს ვიწროდ განიხილავს. საქმე ისაა, რომ კერძო ცხოვრება შექება არა მარტო ინფორმაციის გავრცელება-არგავრცელებას;

<sup>68</sup> S. Bok, Secrets: On the Ethics of Concealment and Revelation, 1983, გვ. 10-11, ციტირებულია: დანიელ ჯ. სოლოვე, დასახ. ნაშრომი, გვ. 1103

<sup>69</sup> იბ. Richard J. Arneson, Egalitarian justice versus the right to privacy? (published in Social Philosophy and Policy 17, No. 2 (Summer, 2000), გვ. 4, <<http://philosophy.ucsd.edu/faculty/rarneson/privacy3.pdf>> [15.01.10 23:20])

<sup>70</sup> იბ. E. Van Den Haag, On Privacy, in Nomos XIII: Privacy 149, 149 (J. Ronald Pennock & J.W. Chapman eds., 1971, გვ. 149 ციტირებულია: დანიელ ჯ. სოლოვე, დასახ. ნაშრომი, გვ. 1103

<sup>71</sup> იბ. W. Sofsky, Verteidigung des Privaten, München, C. H. Beck, 2007, გვ. 18, 37

კერძო სფეროში ჩარევა ასევე ხდება უსიამოვნებების გზით, როგორიცაა ხმაური, სუნი და სულიერი სიმშვიდის სხვა დარღვევა.<sup>72</sup>

### ბ) ე. წ. „კონტროლის შესახებ“ თეორია

მონაცემთა ხელმისაწვდომობა, გარდა შეზღუდული ხელმისაწვდომობის თეორიისა, მოიცავს ასევე ე. წ. „კონტროლის შესახებ“ თეორიას, რომლის წარმომადგენლები არიან კენტინი, ბენზანსონი, რუბაუსენი და სხვები.<sup>73</sup> აღნიშნული კონცეფციის მიხედვით, კერძოა სფერო, რომლის გაკონტროლებაც შეუძლია დაინტერესებულ პირს. ამ სფეროში მოიაზრება მონაცემთა მიღება, ლოკალური (სივრცობრივი) კერძო ცხოვრების გამოვლენის ფორმა საცხოვრებლის სახით და გადაწყვეტილების მიღების კერძო სფერო. საქმე ეხება გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას, შეატყობინოს ან არ აცნობოს საზოგადოებას რაიმე საკუთარი თავის ან ზოგადად კერძო ცხოვრების შესახებ.<sup>74</sup> ამასთან, ინფორმაციული კერძო ცხოვრების ქვესახედ გამოიყოფა კომუნიკაციის პირადულობა. კომუნიკაციის კერძო ხასიათს იცავს საფოსტო და სატელეფონო საიდუმლოება და ის საკომუნიკაციო საშუალებების (ფოსტა, ტელეფონი ან ელექტრონული ფოსტა) უკანონო ჩარევებისაგან დაცვას მოიცავს. ამდენად, ამ თეორიის მიხედვით, კერძო არის სფერო, სადაც დაინტერესებული პირი უფლებამოსილია, განსაზღვროს პიროვნულ ინფორმაციაზე, ასევე საკუთარ საცხოვრისზე, საკუთარ გადაწყვეტილებებზე ნებართვის გაცემის კონტროლი.<sup>75</sup>

ამასთან, ე.წ. „კონტროლის შესახებ“ თეორიის ქვეთეორიად შეიძლება დასახელდეს მონაცემთა დაცვისა და ინფორმაციული თვითგამორკვევის შესახებ თეორია.<sup>76</sup> ინფორმაციულ კერძო ცხოვრებაში იგულისხმება პირის შესაძლებლობა, პირადად გააკონტროლოს საკუთარი თავის შესახებ ინფორმაცია.<sup>77</sup> ეს თეორია არაა სრულყოფილი, ვინაიდან ხშირად ვერ ხდება იმის განსაზღვრა, თუ რომელ ინფორმაციაზე დაიშვება კონტროლი

<sup>72</sup> ი. დავიდ მ. ო'ბრიენ, Privacy, Law, and Public Policy, 1979, გვ. 15-16, 22, 13. ციტირებულია: დანიელ ჯ. სოლოვე, დასახ. ნაშრომი, გვ. 1104

<sup>73</sup> ი. ა. ფ. ვესტინ, Privacy an Freedom, New York, Athenum, 1967, გვ. 7; Randall P. Benzanson, The Right to Privacy Revisited: Privacy, News, and Social Change, 1890-1990, 80 Calif. L. Rev., 1992, გვ. 1133, 1135; Oscar M. Ruebhausen & Orville G. Brim, Jr., Privacy and Behavioral Research, 65 Colum. L Rev., 1965, გვ. 1184, 1189. ციტირებულია: დანიელ ჯ. სოლოვე, დასახ. ნაშრომი, გვ. 1104

<sup>74</sup> ი. ბ. ბაიერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 4; დანიელ ჯ. სოლოვე, დასახ. ნაშრომი, გვ. 1109

<sup>75</sup> ი. ბ. ბაიერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 6; S. Fink, Datenschutz zwischen Staat und Markt, Die "Safe Harbor" Lösung als Ergebnis einer strategischen Interaktion zwischen der Eu, den USA und der IT-Industrie, Konstanz, 2002, გვ. 10; ი. ბ. ბაიერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 6; <http://kops.ub.uni-konstanz.de/bitstream/handle/urn:nbn:de:bsz:352-opus-10126/magarbsfink.pdf?sequence=1> [02.09.10 20:58]

<sup>76</sup> ი. რ. დრეიკე, M.A., phil. Karsten Weber, Mobile Internetdienste und Privatsphäre (Theoretische Überlegungen und empirische Daten zu einem vieldeutigen Konzept), Frankfurt (Oder), Nr. 10 – Dezember 2007, გვ. 23-25

<sup>77</sup> ი. ალ რ. პესლაკ, Privacy Primer: An Ethical Review in an, Information Systems and Technology Curriculum, Information Systems Education Journal (შემდგომში – ISEDJ) Volume 4, Number 83, September 26, 2006, გვ. 3

და რომელი არის ხელმისაწვდომი.<sup>78</sup> ამ თეორიასთან ერთად ხშირად განიხილავენ კერძო ცხოვრების, როგორც საკუთრების, შესახებ კონცეფციას. სწორედ აღნიშნული გაგებით გაჩნდა შეხედულებები კერძო სფეროს „ახალ საკუთრებად“ მოაზრების შესახებ.<sup>79</sup> თუმცა მონაცემების გადამუშავებაზე აუცილებელია მესაკუთრის ნებართვა ანუ პირი უშვებს, რომ შეტყობინება გადასცეს მანქანას. ამდენად, კერძო ცხოვრების თეორია საკუთრებაზე დაყრდნობით პიროვნულ მონაცემებს არ ქმნის, რათა მდგომარეობა მორალურად არ გაამართლოს შინაარსობრივად დაცულ შემთხვევებში.<sup>80</sup> გამოყოფებ რამდენიმე მომენტს: ა) კერძო ცხოვრებაზე უფლება საკუთრების უფლებიდან გამომდინარეობს და პირადი სფეროს შესახებ ინფორმაცია მის საკუთრებად განიხილება; ბ) კერძო ცხოვრების უფლება საკუთარი პიროვნების ხელშეუხებლობის უფლებიდან გამომდინარეობს. ის ასევე უნდა ეხებოდეს შესაძლებელ ტკიფილებს, ზიანს, საკუთარი პიროვნების შესახებ არასწორი ინფორმაციის გავრცელებას.<sup>81</sup> ამდენად, კერძო სფეროს დაცვა, თავის მხრივ, უკავშირდება ეროვნული სისტემის ორ შეზღუდვას: ინფორმაციის ინტერნაციონალიზაცია და მოქალაქის პიროვნულ მონაცემებთან დაკავშირებით სახელმწიფოს სადად მოაზროვნე საზოგადოების აუცილებლობა.<sup>82</sup> ამასთან, საკუთრების უფლება ფართო გაგებით მოიცავს ინდივიდუალობის ხელყოფაზე უფლებასაც.<sup>83</sup> პირადი ინფორმაცია, როგორც საკუთრება, გამართლებულია, თუ ის ინდივიდუალობას განიხილავს ფართოდ.<sup>84</sup> ამდენად, საქმე ეხება არა უფლებას, რომელიც ნდობიდან ან კონფიდენციალური ურთიერთობიდან აღმოცენდება, არც საკუთრების უფლებას; ეს არის უფლება მთელი დანარჩენი სამყაროს წინააღმდეგ.<sup>85</sup>

მართალია, კერძო სფეროში ქონებრივი მომენტებიც მოიაზრება, მაგრამ იგი არის მისი მხოლოდ ერთ-ერთი ნაწილი. კერძო ცხოვრება სამართლებრივი გაგებით მოიცავს ასევე კონფიდენციალობას, ინდივიდუალობას და სხვა მომენტებს, რაც მის სამართლებრივ ბუნებას გამოკვეთს.

<sup>78</sup> იხ. დანიელ ჯ. სოლოვე, დასახ. ნაშრომი, გვ. 1111

<sup>79</sup> იხ. Charles A. Reich, The New Property, 73 YALE L.J. 1964, No5, გვ. 777; Paul M. Schwartz and William M. Treanor, The new privacy, Michigan Law Review, May 2003, გვ. 2163-2164, <<http://www.paulschwartz.net/pdf/michiganbookreview.pdf>> [15.01.10 22:09]

<sup>80</sup> იხ. რ. დორუქ, მ. ა. ფილ კარსტენ ვებერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 27. კერძო ცხოვრების საკუთრებად განხილვის იდეა წამოყენებულ იქნა 1890 წელს უერგისა და ბრანდეისის სტატიაში. იხ. G. Leiby, Privacy As It Relates To Security, PUBP 726-001, Telecommunications Policy, Wednesday (7:20-10:00 PM), გვ. 2, <<http://www.theleibys.com/pdf/privacy.pdf>> [15.01.10 21:46]

<sup>81</sup> იხ. ბ. ბაიროი, დასახ. ნაშრომი, გვ. 4; მონაცემთა დაცვასა და საკუთრების შესახებ ასევე იხ. რ. დორუქ მ. ა. ფილ კარსტენ ვებერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 30

<sup>82</sup> იხ. გ. თოხი, გ. პაისლი, დასახ. ნაშრომი, გვ. 21

<sup>83</sup> იხ. Warren and Brandeis, The Right to Privacy, Harvard Law Review, Vol. IV December 15, 1890 No. 5, გვ. 9, <<http://www.abolish-alimony.org/content/privacy/Right-to-Privacy-Brandeis-Warren-1890.pdf>> [07.09.10 20:26]

<sup>84</sup> იხ. დანიელ ჯ. სოლოვე, დასახ. ნაშრომი, გვ. 1112

<sup>85</sup> იხ. Prince Albert v. Strange, 1 McN. 7 G. 25 (1849); Abernethy v. Hutchinson, 3L.J.Ch. 209 (1825), ქ. იქრუა შვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 17

## 2.12.2. კერძო ცხოვრება, როგორც საიდუმლოება

ცალკე გამოიყოფა ასევე თეორია, რომლის თანახმად, კერძო ცხოვრება განიხილება საიდუმლოებად. ეს არის გაცილებით ვიწრო კონცეფცია, ვიდრე შეზღუდული ხელმისაწვდომობის შესახებ თეორია, რამდენადაც ეხება პირადი ფაქტების დაცვის თაობაზე ხელმისაწვდომობის მხოლოდ ერთ ასპექტს. იურისტები განსაზღვრავდნენ, რომ კერძო ცხოვრებას ძალიან ვიწროდ გამოხატავდა საიდუმლოება. ადამიანები, რომელთაც ჩვენ ვხვდებით, საგნები, რომელთაც ვყიდულობთ, წიგნები, რასაც ვკითხულობთ, განიხილება კერძო სფეროდ, მაგრამ არა საიდუმლოდ.<sup>86</sup> ამდენად, კერძო ცხოვრება მხოლოდ საიდუმლოებამდე როდი დაიყვანება. მასში, ამავე დროს, მოიაზრება ინდივიდუალობა, განმარტოება, ავტონომია... ამასთან, კერძო სფეროს ზემოთ განხილულ ასპექტებს აერთიანებს საიდუმლოების ცნება, რაც უმნიშვნელოვანესია კერძო ცხოვრების სამართლებრივი არსის წარმოსადგენად, თუმცა მოცემული მოძღვრება კერძო სფეროს სრულად ვერ გადმოსცემს.

## 2.12.3. პრაგმატიზმი კერძო ცხოვრების ცნების შესახებ

დღევანდელ ეპოქაში კერძო ცხოვრება ფართო მნიშვნელობისაა. კერძო სფერო უკავშირდება აზრის თავისუფლებას, სხეულზე კონტროლს, სახლში განმარტოებას, საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის გაკონტროლებას, თვალთვალისგან თავისუფლებას, რეპუტაციას, ძებნისა და დაკითხვისგან დაცვას.<sup>87</sup> ამდენად, კერძო ცხოვრების განსაზღვრა რთულია,<sup>88</sup> ვინაიდან მისი შინაარსი მუდამ ცვალებადია.<sup>89</sup> კერძო ცხოვრებას აქვს ცვალებადი მოცულობა და უნარი, იყოს ყველას ადვოკატი, აღნიშნავდა იურისტი ტომ გერეტი.<sup>90</sup> აქ მსჯელობა ეხება ექვს ელემენტს: 1) კერძო ცხოვრების უფლება; 2) სხვათა არასასურველი ხელმისაწვდომობისაგან შეზღუდული დასაშვებობის შესაძლებლობა; 3) საიდუმლოება – განსაზღვრულ საქმეთა ფარულობა; 4) პირად ინფორმაციაზე კონტროლი – შესაძლებლობა, გააკონტროლო შენს შესახებ ინფორმაცია; 5) ინდივიდუალობა – დაცვა ინდივიდუალობისა, პიროვნებისა და ღირსებისა; 6) სიახლოვის კონტროლი ან შეზღუდული ხელმისაწვდომობა, ახლო ურთიერთობები ან ცხოვრებისეული მომენტები. ამ მიღეომის თანახმად, თუ პირადი ცხოვრება დაცულია განსაზღვრული წესების რღვევის ხარჯზე, პირად სფეროში ჩარევა უკავშირდება განსაზღვრულ წესებს და ასევე არღვევს ან კრძალავს მათ.<sup>91</sup>

ეს პოზიცია ასოციაციურ ჯაჭვს ქმნის კერძო ცხოვრების თაობაზე იურისტ-მეცნიერ პროსერის შეხედულებასთან. იგი გამოყოფდა კერძო სფეროს კანონიერი უფლებების ხელყოფის ოთხ სახეს: ა) პირად საქმეებში

<sup>86</sup> ი. დანიელ ჯ. ხოლოვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 1105, 1108, 1109

<sup>87</sup> იქვე გვ. 1095

<sup>88</sup> ი. Robert C. Post, Three Concepts of Privacy, 89 Geo. L.J., 2001, გვ. 2087

<sup>89</sup> ი. Arthur R. Miller, The assault on privacy: computers, Data Banks and Dossiers, , 1971, გვ. 25;

<sup>90</sup> ი. T. Gerety, Redefining Privacy, 12 Harv. C.R.-C.L. L. Rev., 1977, გვ. 233, 234

<sup>91</sup> აღნიშნულის შესახებ ი. დანიელ ჯ. ხოლოვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 1093

ჩარევა ანუ განმარტოების დარღვევა; ბ) მოსარჩელის აზრით, მოსარიდებელი პირადი ხასიათის ცნობების გავრცელება; გ) საზოგადოების წინაშე მოსარჩელის ცრუ ფორმით გამოყვანა და დ) პირის სახელის ან გამოსახულების კომერციული მიზნით გამოყენება (აპროპრიაცია). პირადი ცხოვრების შედახვის ამ ოთხი სახიდან ერთ-ერთის არსებობისას პირს შეუძლია ზიანისთვის სარჩელის წარდგენა.<sup>92</sup> კანონიერ უფლებებში ჩარევა (მაგალითად, ტელეფონით გამუდმებული რეკვა პირის სულიერ მდგომარეობას ხელყოფს) არის სარჩელის წარდგენის საფუძველი იმის მიმართ, ვინც ინფორმაციას იდებს. პირადი ცხოვრების ცრუდ წარმოდგენა პირებს იცავს საზოგადოებაში ხელმეორედ ცრუდ წარმოდგენისგან. პირის სახელის ან გამოსახულების კომერციული მიზნით გამოყენება არის ადამიანის პიროვნული ნიშნების ექსპლუატაცია კომერციული მიზნით. ამასთან, გამოქვეყნებული ნაშრომი, რომელიც პირს არასწორად წარმოაჩენს, უარყოფით ინფორმაციას ასახავს, ვერ ემორჩილება პიროვნულ ინფორმაციაზე პირის კონტროლს.<sup>93</sup>

ამდენად, კერძო ცხოვრების უფლება მოიცავს უფლებას, იყო თავისუფალი დევნისა და შეწუხებისაგან; დაიცვა პერსონალური ინფორმაცია, კომუნიკაცია და დოკუმენტების საიდუმლოება, საშინაო ატმოსფერო, ოჯახი, ჯანმრთელობა და პირადი კორესპონდენცია...<sup>94</sup> ზემოთ განხილული ცხადყოფს, რომ, პრაგმატიზმი ეხება პირადი ცხოვრების უმნიშვნელოვანების ნიშანს, კერძოდ, პატივისა და ღირსების თავისებურება ვლინდება მათი ხელყოფის შემთხვევაში. ასევე ამ თეორიაში კერძო ცხოვრების გარკვეული მხარეებიც არის წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, პრაგმატიზმი პირადი სფეროს არსის გარკვევას თავს არიდებს და ამ პრობლემას განიხილავს ინტერესების დარღვევის პროცესში. მართალია, პირად უფლებებთან დაკავშირებითაც არსებობს დაცვითი სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც უფლებების დარღვევას ეხება, მაგრამ ეს პირადი სფეროს დაცვის ერთ ასპექტს ხსნის. აქ, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია პირადი ცხოვრების კონკრეტული მხარეების დადგენა, რაც გააიღლებს იმის გარკვევას, თუ პირადი სფეროს რომელი ნიშანი შეიღაბა; წინააღმდეგ შემთხვევაში პირადი ცხოვრების სხვა მხარეები (თვითგამორკვევა, კონფიდენციალური სფეროს დაცვა თუ სხვა მომენტები) იქნება უყურადღებოდ დატოვებული.

### 2.1.3. კერძო ცხოვრების ცნებისადმი შერეული მიდგომა

მიზანშეწონილია ცალკე გამოიყოს კერძო ცხოვრების შესახებ შერეული მიდგომა, რომელშიც დაახლოებით თანაბარი ხარისხით არის წარმოდგენილი კერძო სფეროს სოციოლოგიური და იურიდიული ასპექტები.

<sup>92</sup> ob. *William L. Prosser, Privacy, California law Review, VOL. 48, No. 3, August 1960, გვ. 389*

<sup>93</sup> ob. A Special Report issued by Privacilla.org., *The Privacy Torts: How U. S. State Law Quietly Leads the Way in Privacy Protection*, July, 2002, გვ. 5-10

<sup>94</sup> ob. *H. Münch, Der Schutz des Einzelnen vor Presseveröffentlichungen durch den Deutschen Presserat und die britische Press Complaints Commission, Eine Untersuchung zur Sprachpraxis unter besonderer Berücksichtigung des zivilechtlichen Rechtsschutzes der Privatsphäre (Dissertation)*, Konstanz, 2001, გვ. 21, <[http://www.buskeismus.de/literatur/privatsphaere\\_muensch.pdf](http://www.buskeismus.de/literatur/privatsphaere_muensch.pdf)> [10.07.09 20:10]

### 2.1.3.1. კერძო ცხოვრების სფეროთა შესახებ თეორია

სფეროთა თეორიის მიხედვით, არის მცდელობა, გაიმიჯნოს სხვადასხვა სფერო ერთმანეთისაგან, რადგან ისინი განსხვავებული მოცულობით საჭიროებს დაცვას: მაგალითად, ინდივიდუალური-კერძო-საიდუმლო სფეროები (პუბლიკი)<sup>95</sup> ან საჯარო-სოციალური-ნდობის-ინტიმური-საიდუმლო სფეროები (ზაიდელი).<sup>96</sup> ზოგადად უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მოძღვრების თანახმად, კერძო ცხოვრების სამი სფერო გამოიყოფა: ინტიმური, კერძო, სოციალური და საჯარო სფეროები.<sup>97</sup>

#### ა) ინტიმური სფერო

ინტიმური ცხოვრების სამართლებრივი დაცვის პრობლემის წარმოშობა განაპირობა აბორტისა და ჰომოსექსუალობის შესახებ მსჯელობამ.<sup>98</sup> ამდენად, სფეროთა შესახებ თეორიის გარკვეულ გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს ინტიმური ურთიერთობის შესახებ თეორია, რომლის მიხედვით, კერძო ცხოვრება ინტიმური ურთიერთობის ფორმაა. თუმცა არც სიტყვა „სიახლოვე (ინტიმი)“ არის კერძო ხასიათის საკითხთა განსასაზღვრად საკმარისი.<sup>99</sup> პირადი ცხოვრება უკავშირდება ტერმინს „სხეული“. აქ მნიშვნელოვანია სხეულებრივი ნაწილების, ვენერიული დაავადებისა და სხეულებრივი მდგომარეობის შესახებ საიდუმლოების, ინდივიდუალობის დაცვა.<sup>100</sup>

ინტიმურ სფეროსთან დაკავშირებით საინტერესოა საქმე „მაკამარა გაზეო „თავისუფლების“ წინააღმდეგ“, რომელშიც გაზეოთმა გამოაქვეყნა საშუალო სკოლის ფეხბურთელის გენიტალის ფოტოსურათი. სტუდენტმა წარადგინა სარჩელი კერძო ფაქტების საჯაროდ გამოტანის გამო. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე უნდა შეწყვეტილიყო, რადგან ის საზოგადოებრივი მოვლენის – თამაშის – ამსახველი საგაზეოთ სტატიის ნაწილი იყო, სტუდენტი კი ნებაყოფლობით მონაწილეობდა ამ თამაშში. საგულისხმოა, რომ ადამიანები იბანენ, იცვამენ და ა. შ. საზოგადოების წინაშე დირსეულად წარსადგომად. ისინი მაღავენ დეფექტურ სხეულს საჯაროდ

<sup>95</sup> იხ. H. Hubmann, Das Persönlichkeitsrecht, Köln, Böhlau, 1967, გვ. 269. ციტირებულია: გ. თიხი, კაისლი, დასახ. ნაშრომი, გვ. 11

<sup>96</sup> იხ. U. Seidel, Das Datenbanken und Persönlichkeitsrecht, Köln, Schmidt, 1972, გვ. 65. ციტირებულია: გ. თიხი, კ. კაისლი, დასახ. ნაშრომი, გვ. 11

<sup>97</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. W. Schulz, U. Jurgens, Das Recht am eigenen Bild – Eine fall-orientierte Einführung in Struktur und aktuelle Probleme des Bildnisschutzes, JuS, 1999, Heft 8, გვ. 774-775

<sup>98</sup> იხ. *Bowers v. Hardwick*, 478 US, 1987, გვ. 186; *Lawrence v. Texas*, 539 US, 2003, გვ. 558; უკიდული, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, ადამიანის უფლებათა ევროპელი კონვენციის მე-8 მუხლის განხორციელება (გზამკვლევი) (თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო ლ. ჭელიძემ, ბ. ბოხაშვილმა, თ. მამუკაშვილმა), თბ., ევროპის საბჭო, 2005, გვ. 27-28

<sup>99</sup> იხ. დანიულ ჯ. სოლოვე, დასახ. ნაშრომი, გვ. 1121; ამ თეორიის მიმდევარია როსენი. იხ. J. Rosen, The Unwanted Gaze: The Destruction of Privacy in America, New York, 2000, გვ. 8, <[http://www.amazon.com/Unwanted-Gaze-Destruction-Privacy-America/dp/0679445463/ref=sr\\_1\\_1?ie=UTF8&qid=1327152322&sr=8-1](http://www.amazon.com/Unwanted-Gaze-Destruction-Privacy-America/dp/0679445463/ref=sr_1_1?ie=UTF8&qid=1327152322&sr=8-1)> [20.10.10 22:55]

<sup>100</sup> იხ. დანიულ ჯ. სოლოვე, დასახ. ნაშრომი, გვ. 1135

ეთიკის ნორმების საფუძველზე. საერთოდ, ღირსების შემლახველი ფაქტები ადამიანთა ცხოვრებასაც უკავშირდება. როცა სოციალური მეთოდები, რომლებიც ეხება ღირსებას, დაირღვევა, შედეგი შეიძლება იყოს სერიოზული და ზოგჯერ შეურაცხმყოფელი. ამიტომ, როგორც იურისტი სოლოვიე აღნიშნავს, სტუდენტის გენიტალიების საჯაროდ გამოქვეყნების ფაქტმა დაკარგა საიდუმლო ხასიათი. ფაქტი, რომელიც საზოგადოებრივ ადგილას მოხდა, უნდა განიხილებოდეს მნიშვნელობის არმქონედ.<sup>101</sup>

ამდენად, კერძო ცხოვრებაში შედის ინტიმური სფერო, რომელიც არის პიროვნულობის არსებითი და ცენტრალური ნაწილი, ზოგადი პიროვნული უფლების არსი. ინტიმურ ცხოვრებაში მოიაზრება გველაზე ვიწრო კერძო სფერო.<sup>102</sup> იგი ხელშეუვალია და აბსოლუტურად დაცულია ჩარევებისაგან. მისი განკარგვა შეუძლია მხოლოდ ინდივიდს და არავის სხვას. ამასთან, ინტიმურ სფეროში ჩარევა მხოლოდ ორ შემთხვევაში შეიძლება იყოს კანონიერი: 1) ინდივიდის თანხმობისას; 2) საჯარო პირებთან დაკავშირებით, როცა ფაქტები რომელიმე ინტიმური სფეროდან გარკვეულ სოციალურ ან პოლიტიკურ გამოძახილს ჰქოვებს.<sup>103</sup> ასევე ჩვეულებრივი პირისა და საჯარო პირის სამართლებრივი მდგომარეობის გათანაბრებისა და განსხვავების წასაშლელად შესაძლებელია ასეთი სურათის წარმოდგენა: მაყურებლები და ცნობადი სახეები (მსახიობები, მუსიკოსები) გარკვეულ ინტიმურ პოზასა და ატმოსფეროში შეიძლება იყვნენ წარმოდგენილი. მაგალითად, არსებობდა სერიალური ფორმატის გადაცემები, როგორიცაა „ოსპორნები“ (MTV-ზე), სადაც ცნობადი სახეები პირად გარემოში იყვნენ და ისე იქცეოდნენ, როგორც საკუთარ სახლში. საგულისხმოა ანა ნიკოლ სმიტის შოუც.<sup>104</sup> ამდენად, ის, რაც კერძო სფეროა, შეიძლება საჯარო გახდეს, თუ თვითონ უფლებამოსილი პირები მოისურვებენ კერძო ცხოვრების შესახებ კონკრეტული ცნობების გავრცელებას.

„ინტიმურობას“ კერძო და საჯარო ცხოვრებას შორის ურთიერთობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. „ინტიმურობაში“ მოიაზრება: 1. სიახლოვე და სახდომბა (გასაიდუმლოება); 2. სექსუალური, ეროტიკული მოქმედებანი, შეხება; 3. მყუდრო ატმოსფერო; 4 ინტიმური (როგორც განსაკუთრებით პიროვნული) და გენიტალიებთან დაკავშირებული სფერო. ინტიმურობა პირად ცხოვრებაში ექსკლუზიურ ხასიათს ატარებს. ამდენად, ინტიმურობა არის კომუნიკაციის სახე და ორ პირს შორის შეთანხმება, რომელიც კერძო და

<sup>101</sup> იბ. *McNamara v. Freedom Newspapers*, 1991 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება; აღნიშნული საქმის შესახებ ასევე იბ. დანიელ ჯ. სოლოვიე, დასახ. ნაშრომი, გვ. 1147-1149

<sup>102</sup> იბ. *N. Brief, M. Markowitz*, Das sog. „Recht auf Gewährleistung der Integrität und Vertraulichkeit informationstechnischer Systeme“ (Präsentation), 2008, გვ. 21, <<https://www.datenschutzzentrum.de/vortraege/20080929-brief-markowitz-neues-grundrecht.pdf>> [20.08.11 22:46]

<sup>103</sup> იბ. ქ. ჯუბლაშვილი, მირითადი უფლებები (მე-2 გამოც.), თბ., „ჯისიაი“, 2010, გვ. 112

<sup>104</sup> აღნიშნულის შესახებ იბ. *G. Anders*, Von der Unmöglichkeit einer Orientierung in der Fernseh- und Internet-Gesellschaft. Versuch einer Aktualitätsanalyse der medienphilosophischen Reflexionen (Dissertation), Ostenfeld/Nordfriesland, 2003, გვ. 193-194; იბ. ინტერნეტ-გვერდზე: <<http://www.zhb-flensburg.de/dissert/schoenberg/Dissertation%20Schoenberg%20-%20Universitaet%20Flensburg.pdf>> [26.01.10 18:50]

საჯარო ცხოვრებას შორის მიჯნას ავლებს. ამასთან, არსებობს ინტერნეტი, როგორც ინტიმურობის გამოვლინების გარკვეული საშუალება.<sup>105</sup>

პიროვნების განვითარების ამ ცენტრალური სფეროს პრინციპული ხელ-შეუხებლობა ზოგადი პიროვნული უფლებიდან გამოდის. აღნიშნულ სფერო-ზე მოხსენების გაკეთებისას ძირითადად არ არსებობს საჯარო ინტერესი. რეპორტაჟის გაკეთება ამ თემაზე დაიშვება, თუ სექსუალურ საქმიანობას სოციალური ზეგავლენა აქვს ან დაინტერესებული პირი თვითონ საზოგა-დოებას საკუთარი სექსუალური ცხოვრების მონაწილედ ხდის. ასევე ინტიმური საუბრები დაცულია მაშინაც, როცა ისინი სამუშაო ადგილას წარმოებს.<sup>106</sup> ამასთან, სურათების (გამოსახულებათ) ბეჭდვა სარეკლამოდ ან ინტიმური შინაარსით ან მხოლოდ დიფამაციური თუ მაკომპრო-მიტირებელი შინაარსით არც ერთ შემთხვევაშია დასაშვები.<sup>107</sup> რაც უფრო ინტიმურია გამოქვეყნებული ინფორმაცია, მით უფრო რთულია მასში ჩარე-ვის გამართლება. ამიტომ ინტიმურ სფეროში ჩარევა ყოველთვის კანონსაწი-ნააღმდეგო ხასიათს ატარებს. შესაბამისად, ინტიმური სფერო განისაზღვრა, როგორც პიროვნული მდგომარეობა, რომელშიც ადამიანი თავისუფალია ყველაზარი სოციალური მოთხოვნებისგან.<sup>108</sup>

ამდენად, ინტიმური სფერო მოიცავს სექსობრივ ცხოვრებას,<sup>109</sup> პირად საიდუმლოებას მიკუთვნებულ მონაცემებს (სამედიცინო გამოკვლევების შე-დებებს), აღსარებისას გამოთქმულ მოსაზრებებს, ადვოკატისთვის მიწოდე-ბულ ცნობებს.<sup>110</sup> ინტიმურ ცხოვრებაში შედის ასევე შინაგანი განცდებისა და გრძნობების სამყარო,<sup>111</sup> ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორ-მაცია, როგორიცაა სხეულის ჰიგიენის დაცვის ჩვევა. ამასთან, ავადმყოფო-ბის დროს პრინციპულად უნდა ითქვას პირის სახელის ხსენებაზე უარი.<sup>112</sup>

როგორც ჩანს, ინტიმური სფერო არის კერძო ცხოვრებაში შემავალი ძალიან ვიწრო სფერო და მიზანშეწონილია, იგი სხვებისთვის მიუწვდომელი იყოს. თუ დასაშვები იქნება სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის ინტიმურ სფეროში შეჭრა, ადამიანი გახდება სახელმწიფოს საქმიანობის „შიშველი ობიექტი“.<sup>113</sup> ამასთან, ფიზიკური პირი სულიერისა და ფიზიკურის ჰარმო-ნიულ ერთიანობას წარმოადგენს. ინტიმური სფეროს საჯაროდ გამოფენით კი ხორციელდება მისი გაშიშვლება. ამ თვალსაზრისით დაუშვებელია პირ-თა დიფერენცირება რაიმე ნიშნის მიხედვით, როცა საქმე ინტიმურ სფეროში

<sup>105</sup> ი. ს. Burda, „Was nützt die Liebe im Virtuellen?“ Adoleszenz, Sexualität und der virtuelle Erfahrungsraum des Internet (Dissertation), Freiburg, 2008, გვ. 71-74, <[http://opus.bsz-bw.de/phfr/volltexte/2008/44/pdf/Dissertation\\_Silke\\_Burda.pdf](http://opus.bsz-bw.de/phfr/volltexte/2008/44/pdf/Dissertation_Silke_Burda.pdf)> [26.01.10 23:50]

<sup>106</sup> ი. პ. მუხრანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 111-112; BGH NJW 1996, გვ. 1128, 1129; BGH NJW 1988, გვ. 1984, 1985

<sup>107</sup> ი. პ. მუხრანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 134

<sup>108</sup> იქვე, გვ. 110-111; BayObLG, NJW 1979, გვ. 2624, 2625

<sup>109</sup> ი. პ. Dungeon v. the United Kingdom, 1981 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება

<sup>110</sup> ი. პ. კუბლაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 112

<sup>111</sup> ი. პ. Chr. Peyer, Die Bildberichterstattung über Prominente im Spannungsfeld von Privatsphärenschutz und Pressefreiheit, unter besonderer Berücksichtigung der „Caroline von Hannover“ – Entscheidung des EGMR und der Reaktionen in der deutschen Lehre, Seminar zum Thema: „Menschenrechtsschutz in Europa“, Wintersemester 2006/2007, გვ. 13

<sup>112</sup> ი. პ. მუხრანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 112, 203

<sup>113</sup> ი. პ. კუბლაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 87

შექრას ეხება. ამდენად, ინტიმური სფერო განსაკუთრებულ დაცვას მოითხოვს. კერძო სფერო დაცვის უფლებით შეიძლება სარგებლობდეს ნებისმიერი პირი, თუმცა საჯარო პირებთან დაკავშირებით საჯარო ინტერესი გადაწონის კერძო საწყისს. რაც შეეხება პირად სფეროს, პირადი ცხოვრების დაცვის უფლება აქვს ორგორც რიგით, ისე საჯარო პირს, მაგრამ საჯარო ინტერესი აქაც შეიძლება იყოს პრიორიტეტული კერძო ინტერესთან შედარებით. ინტიმური ცხოვრება კი განსაკუთრებით ღრმა პიროვნული სფეროა. ინტერესთა კონფლიქტის დროს ინტიმური სფეროს დაცვა გაცილებით რელევანტურია საჯარო ინტერესთან შედარებით.

## ბ) კერძო სფერო

სფეროთა თეორიის მიხედვით, პირადი სფერო გაიგება ფართოდ და იგი „მოიცავს ინტიმური სფეროს ფარგლებს გარეთ ადამიანის პირად ცხოვრებას, განსაკუთრებით საოჯახო ცხოვრებას.“<sup>114</sup> აღნიშნულზე დაყრდნობით ადამიანის უფლებათა ეკროპულმა სასამართლომ პირადი ცხოვრების შინაარსში გააერთიანა არა მხოლოდ პირის შინაგანი სამყარო, არამედ მისი ურთიერთობა გარე სამყაროსთან, სხვა ადამიანებთან.<sup>115</sup> შესაბამისად, სფეროთა შესახებ თეორია გამოყოფს პირად სფეროს, რომელსაც ფაქტობრივად კერძო ცხოვრების დატვირთვა აქვს, თუმცა „წმინდა“ პირადი სფერო მიჩქმალულია. მართალია, ეს კონცეფცია გადამწყვეტ როლს თამაშობს ინტიმური და კერძო სფეროების გამიჯვნაში, თუმცა მიზანშეწონილია, ასევე თვისებრივად სხვადასხვა კერძო და პირადი ცხოვრების განსხვავება, რაც სფეროთა თეორიით არაა ნათლად ახსნილი. საერთოდ, პირადი ცხოვრების გაგება გაადვილდება, თუ, უპირველეს ყოვლისა, საკვლევი სფეროები იქნება ტერმინოლოგიური თვალსაზრისით განხილული და შემდეგ უშავლოდ საკითხი სიღრმისეულად შესწავლილი.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, ტერმინში „კერძო“ მოიაზრება პირის კუთვნილი, ის, რაც არაა სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ხასიათის და თვითონ პიროვნებას ეხება, პირადი,<sup>116</sup> პიროვნული (ლათ. *privatus*).<sup>117</sup> სფერო, რომელიც არაა სახელისუფლო ან სხვა საჯარო (არასახელისუფლო) ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებული, არის საჯარო. ესე იგი, სფერო, რომელიც არაა საჯარო, არის კერძო.<sup>118</sup>

ოქსფორდის ლექსიკონის მიხედვით, კერძო ცხოვრების განმარტება შეიცავს სოციოლოგიურ-სამართლებრივ ასპექტებს, სახელდობრ, კერძო ცხოვრებაში მოიაზრება: (1) საზოგადოებისგან ან საჯარო ინტერესისგან

<sup>114</sup> იქვე, გვ. 113

<sup>115</sup> იხ. ქ. თქმულების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თბ., თავისუფლების ინსტიტუტი, 2008, გვ. 56

<sup>116</sup> იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც., 1955, გვ. 1149

<sup>117</sup> იხ. ლექსიკონი ინტერნეტ-გვერდზე: <<http://www.koeblergerhard.de/der/DERP.pdf>> [25.01.10 13:30]

<sup>118</sup> საჯარო და კერძო ცხოვრების ურთიერთმიმართების შესახებ იხ. ქ ლექსიკონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45

განმარტოებულად ცხოვრება, თავისუფალი საზოგადოებრივი ყურადღების-გან, როგორც არჩევანი ან უფლება; (2) კერძო ან ფარული ადგილი, კერძო ოთახები; განმარტოების ადგილი; (3) არასაჯარო, პირობა, რაც უახლოვ-დება საიდუმლოებას ან ფარულობას. საიდუმლოების დაცვა;<sup>119</sup> (4) კერძო საკითხი, საიდუმლოება, პირადი საქმე ან ურთიერთობები. სექსუალური ორგანოები; (5) ინტიმური და კონფიდენციალური ურთიერთობები; (6) ადგი-ლის დამოუკიდებლად არჩევა.<sup>120</sup> თვით სიტყვა „ინტიმურობას“ შემავსებელი მნიშვნელობა აქვს სითბოს, ნდობისა და განცდების დიად გამოსახატავად.<sup>121</sup> ამდენად, ეს კრიტერიუმები აზუსტებს, თუ რომელ ასპექტებში შეიძლება განცალკევდეს ერთი პირი მეორისაგან (ან სხვათაგან).

ცალკე გამოსაყოფი პირადი სფეროც, ვინაიდან მასში მნიშვნელოვანი ასპექტები მოიაზრება. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, პირადია ის, რაც მხოლოდ ერთ პირს ეხება, ერთი პირის ინტერესების შესაბამისი, პიროვნული, პერსონალური, ინდივიდუალური.<sup>122</sup> ამდენად, პირადი ცხოვრება უკავშირდება სხვათაგან უკვე განმარტოებული პირის სფეროს, მის სულიერ და პიროვნულ მხარეებს. აქ საქმე ეხება ამ სუბიექტის ინდივიდუალურ თავისებურებებს. ამიტომ პირადი ცხოვრების განსასაზღვრად უნდა გაირკვეს საკითხები: ცხოვრობს პირი საკუთარი მოთხოვნილებების დასაქმაყოფილებლად? ეგუება იმას, რომ საკუთარი ცხოვრებით არაა ქმაყოფილი? აქვს მას ცხოვრებისეული პერსპექტივები? როგორ უკავშირებს საკუთარ ცხოვრებაში იმას, რაც სურს, შეუძლია და უნდა გააკეთოს?.. მნიშვნელოვანია ცხოვრების სტილის წარმოდგენაც.<sup>123</sup> ე.ი. ტერმინოლოგიური თვალსაზრისით პირადი არაა „კერძოს“ იდენტური; პირადი არის პირთან დაკავშირებული (persönlich). „კერძო“ არის ის, რაც არ არის საჯარო. კერძო შესაძლოა უფრო ფართო იყოს, ვიდრე პირადი (საოჯახო, ჯგუფური, ქონებრივი); კერძო გამოიხატება სიტყვით „Privatum“.

შესაბამისად, კერძო სფეროს სწორედ ამ გაგებით უნდა განეკუთვნებოდეს პირის საცხოვრებელი ადგილი, შემოსავლისა და ქონების საკითხები. რაც შეეხება პირად ცხოვრებას, მასში შედის ალკოჰოლთან დაკავშირებული ჯანმრთელობის მდომარეობის პრობლემები, რელიგიასა თუ სხვა მსოფლმხედველობრივ ჯგუფებთან ურთიერთობა,<sup>124</sup> სამედიცინო მონაცემები; ის, თუ რომელ ტანსაცმელს ატარებს და რა პროფესიას აირჩევს; და კერძო სფეროს განეკუთვნება საცხოვრებელი.<sup>125</sup> ამასთან, არამატერიალური უფლე-

<sup>119</sup> ი. Oxford, Advanced learner's Dictionary, გვ. 1006

<sup>120</sup> ი. Oxford English Dictionary 1989, გვ. 515; ციტირებულია: ა. ზოგვარსკლაიონერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 22

<sup>121</sup> ი. რ. სენეტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 11

<sup>122</sup> ი. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, თბ., საქართვ. სსრ მეცნ. აკად. გამომც., 1960, გვ. 192

<sup>123</sup> ი. ი. Коломинский, О. Белановская, Жизнь и судьба в контексте социологического исследования, Актуальные проблемы психологии, т. 7, вып. 20, ч. 1, 2009 გვ. 199. ი. [http://www.nbuu.gov.ua/portal/soc\\_gum/znpip/2009\\_20\\_1/Sb20\\_Ch1\\_48.pdf](http://www.nbuu.gov.ua/portal/soc_gum/znpip/2009_20_1/Sb20_Ch1_48.pdf) [20.04.11 16:08]

<sup>124</sup> ი. ქ. ძუბლაძვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 113; ქ. მუხრანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 204

<sup>125</sup> ი. B. Rössler, Der Wert des Privaten, 2001, გვ. 16, <https://www.dpunkt.de/leseproben/1888/Kapitel%201.pdf> [11.03.10 23:24]; აღნიშნულის თაობაზე

ბების შინაარსი შეიცავს როგორც პიროვნულ უფლებას, ისე ქონებრივ ელემენტებს.<sup>126</sup> ამ გაგებით კერძო სფეროს ერთ-ერთი ასპექტია კერძო საიდუმლოება, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პირის ოჯახური, მატერიალური და არამატერიალური ქონებრივი მდგომარეობის შესახებ,<sup>127</sup> ასევე კონფიდენციალურ ინფორმაციას ფრენშიაზინგისა და დავალების ხელშეკრულებებში... ვინაიდან არასაჯარო საწყისებზეა აგებული<sup>128</sup> და კერძო პირთა მიერ ხდება მათი მოწესრიგება. ამასთან, კერძო ცხოვრებაში შედის საოჯახო ცხოვრება, რომლის<sup>129</sup> დაწყებიდანვე ქრება „მე“ და მეუდღეთა თანაცხოვრება ხდება ერთი მთლიანი.<sup>130</sup> კერძო ცხოვრებაში შედის ასევე ინტიმური სფერო, რომელიც უნდა იყოს საზღვარი, საიდანაც უნდა აითვლებოდეს სიმშვიდის დაკარგვა.<sup>131</sup> ზემოგანხილულიდან გამომდინარე, კერძო ცხოვრებასთან კავშირშია ფინანსური აქტივებიც, რომელთა დაცვაც ევალება კომპანიებს.<sup>132</sup> შესაბამისად, კერძო სფერო საკუთრებასთან მჭიდრო კავშირშიც განიხილება<sup>133</sup> და ეკონომიკურ სფეროში პიროვნების განვითარებას ეხება.<sup>134</sup> ამ გაგებით კერძო სფერო გულისხმობს ქონებრივ ასპექტებსაც, რასაც არ მოიცავს პირადი ცხოვრება.

როგორც ჩანს, კერძო ცხოვრება საკმაოდ ფართო სფეროა. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით განასხვავებენ კერძო ცხოვრების ოთხ სფეროს: 1. ინფორმაციულ კერძო ცხოვრებას (პერსონალური მონაცემების დაცვა); 2. სხეულებრივ პირად ცხოვრებას (სხეულის ხელშეუხებლობისა და ინტიმური სფეროს დაცვა); 3. საკომუნიკაციო კერძო ცხოვრებას (საფოსტო და სატელეგრაფო საიდუმლოება, კომუნიკაციის საშუალებათა უსაფრთხოება); 4. ტერიტორიის ხელშეუხებლობას (საცხოვრებლის, სამუშაო ადგილის,

ob. K. Weber, Grundlagen der Informations-ethik, China, Konrad Adenauer Stiftung, September 2007, გვ. 3, <[http://www.kas.de/upload/dokumente/2007/KAS\\_Rede\\_china.12066.pdf](http://www.kas.de/upload/dokumente/2007/KAS_Rede_china.12066.pdf)> [15.01.10 22:35]

<sup>126</sup> ob. K. Wasserburg, Der Schutz der Persönlichkeit im Recht der Medien, Heidelberg, 1988, გვ. 53

<sup>127</sup> იბ. ზ. ძელაშვილი, საგადასახადო საიდუმლოების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი, „მართლმაჯულება“, 2008, №2, გვ. 116

<sup>128</sup> იბ. И. Петрухин, Личная жизнь: пределы вмешательства, М., «Юрид. Лит-ра», 1989, გვ. 7

<sup>129</sup> საოჯახო-საქორწიო ურთიერთობების შესახებ იბ. Robert E. Mensel, The Antiprogressive Origins and Uses of the Right to Privacy in the Federal Courts 1860 – 1937, 2008, გვ. 112

<sup>130</sup> პირადი ცხოვრება სოციოლოგიურ ჰრილში საბჭოთა პერიოდში განიხილებოდა საოჯახო-საქორწიო ურთიერთობებიდან გამომდინარე. იბ. А. Харчев, Личная жизнь в зеркале социологии, «Советская культура», 3 февр. 1979, №10, გვ. 6

<sup>131</sup> ინტიმური სფეროს რამდენიმე ასპექტის შესახებ იბ. P. Schmoll, Spektakuläre Konstruktion der Intimsphaere am Beispiel der Pornographie, In: Revue des Sciences Sociales, 2005, n° 33, „Abgrenzung zwischen öffentlich und privat“, Zusammenfassungen, გვ. 4. აღნიშნული ნაშრომი იბ. ინტერნეტ-გვერდზე: <<http://www-umb.u-strasbg.fr/tele/pdf/00-ResumesDerss33.pdf>> [21.04.09 15:25]

<sup>132</sup> აღნიშნულის შესახებ იბ. John T. Soma, J. Zachary Courson, John Cadkin, Corporate Privacy Trend: The “Value” of Personally Identifiable Information (“PII”) Equals the “Value” of Financial Assets, Richmond Journal of Law & Technology, Volume XV, Issue 4, გვ. 2, 3; <<http://jolt.richmond.edu/v15i4/Article11.pdf>> [07.09.10 20:47]

<sup>133</sup> ლორდმა კოტენებმა აღნიშნა, რომ პირს უფლება აქვს დაიცვას ის საგნები, რომელიც ექსკლუზიურად მისი საკუთრებაა. მან კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლებაც საკუთრებად განიხილა. იბ. Prince Albert v. Strange, 1 McN. 7 G. 25 (1849); Abernethy v. Hutchinson, 3L.J.Ch. 209 (1825)). იბ. ბ. მერუაშვილი, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, 2008, გვ. 16-19

<sup>134</sup> იბ. ბ. ვახრძევი, დასახ. ნაშრომი, გვ. 53

კერძო თვითმფრინავის ჩარევებისგან, როგორიცაა სახლის ჩერეკა, ვიდეოგადაღება და სხვა. დაცვის უფლება).<sup>135</sup> ფაქტობრივად კერძო ცხოვრების იგივე მსარეები გამოყო ფილოსოფოსმა პ. როსლერმა იმ განსხვავებით, რომ მან ინფორმაციულ თვითგამორკვევაში გააერთიანა საკომუნიკაციო კერძო ცხოვრება. ამასთან, მან გამოყო ინდივიდუალურად გადაწყვეტილების მიღების კერძო სფერო. ამიტომ მან „კერძო ცხოვრების“ სამი სახე წარმოგვიდგინა: როდესაც გაიცემა პირის შესახებ მონაცემები, საქმე ეხება მის ინფორმაციულ კერძო ცხოვრებას ანუ პირის შესაძლებლობას, გააკონტროლოს საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის გავრცელება-არგავრცელება; თუ ადგილი აქვს დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღებასა და გარკვეული მოქმედებების განხორციელებას, ეს მისი დეციზიური (გადაწყვეტილებების მიღების) კერძო სფეროა; პირის საცხოვრებლის პირადი სფერო ლოკალურ კერძო ცხოვრებას შეეხება.<sup>136</sup>

საგულისხმოა, რომ ინფორმაციული კერძო ცხოვრება ორ ძირითად ასპექტს უკავშირდება: ა) სხვების შესახებ ცნობების გაცნობის ან შეფასების უნარისა და ბ) სხვების (პოლიცია, სახელმწიფო, დაწესებულება ან უბრალოდ მეგობრების წრე) შესაძლებლობას, გაატარონ კონკრეტული ღონისძიებები ცნობების გავრცელებისთვის პირის საწინააღმდეგოდ.<sup>137</sup> აქაც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა მონაცემების ხელმისაწვდომობის კონტროლი: როგორია კერძო და საჯარო სფეროებს შორის საზღვრები, ემორჩილება ამ სფეროთა შორის მიჯნის პრობლემა საზოგადოებრივ ცვლილებებს (პოლიტიკურ მოვლენებს, აღმოჩენებსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს). აღნიშნული განაპირობებს კერძო და საჯარო სფეროთა ცნების მოცულობის სახეცვლას. ეს, ერთი მხრივ, პოტენციურ კონფლიქტს გულისხმობს; მეორე მხრივ, წარმოიშობა ინფორმაციული კერძო ცხოვრების შეზღუდვისა და თავისუფლების პრობლემები, როგორიცაა ვიდეოგადაღება საჯარო ადგილებში.<sup>138</sup> ამდენად, სფეროთა შესახებ მოძღვრება ე.წ. „კონტროლის“ თეორიის ელემენტებს შეიცავს. თუმცა, სამწუხაროდ, კონტროლის მოდელი არ გამოდგა კერძო სფეროს ზუსტი შინაარსის გადმოსაცემად.<sup>139</sup>

ამასთან, კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების სფერო, რაც იცავს ინდივიდის მიერ დამოუკიდებლად მიღებულ კერძო გადაწყვეტილებებსა თუ მოქმედებებს. ესაა პირად ავტონომიაზე უფლება, რომელიც უკავშირდება ქორწინების, ოჯახის შექმნის, რეპროდუქციული თავისუფლების, ფიზიკური ხელშეუხებლობის, მკურნალობაზე უარის თქმის,

<sup>135</sup> ი. მ. Füllsack, Skriptum für den Workshop Informationsethik am Studiengang Information and Communication Solutions (ICS), FH-Studiengänge Burgenland, გვ. 98; ი. ინტერნეტ-გვერდზე: <<http://homepage.univie.ac.at/manfred.fuellsack/Informationsethik.pdf>> [04.09.10 18:51]

<sup>136</sup> ი. პ. როსლერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 17. აღნიშნულზე მიუთითებს ასევე კერძო. ი. კ. კერძო, დასახ. ნაშრომი, გვ. 3; გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესახებ ი. პ. ბაიერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 7

<sup>137</sup> ი. პ. ბ. ბაიერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 8; პერსონალურ მონაცემთა კონტროლის შესახებ ი. პ. ა. დორუქ, პ. კ. კერძო, დასახ. ნაშრომი, გვ. 22-23

<sup>138</sup> ი. პ. ბ. ბაიერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 12

<sup>139</sup> ი. რ. ბენდორათი, დასახ. ნაშრომი, გვ. 104

თანაცხოვრებისა და ინტიმური ურთიერთობების უფლებებს;<sup>140</sup> ავტონომიურ სფეროს განეკუთვნება ასევე პროფესიის არჩევა, განსაზღვრული სტილის ტანსაცმლის შერჩევა... რაც შეეხება ლოკალურ კერძო ცხოვრებას, ის ოთხ კედელში მოქცეული კერძო სფეროა (საკუთარი საცხოვრისის დაცვის უფლება ჩარევისაგან, როგორიცაა სახლის ჩხრეკა და ვიდეოგადაღება, სამსახურებში სათვალთვალო და ვიდეოგადაღება).<sup>141</sup> აქ საქმე ეხება ავტონომიას იმ გაგებით, რომ პირი საკუთარ ადგილს დამოუკიდებლად საკუთარი ინტელექტის შესაბამისად იყენებს. ამ ადგილას ინდივიდს შეუძლია გააკეთოს ის, რაც სურს. მაგალითად, თუ სურს, პირს აქვს უფლება, საკუთარი საცხოვრისი ჯუნგლად გადააქციოს, გაავრიანოს.<sup>142</sup> ამასთან, ელემენტი „სახლი“ განსაზღვრავს ზღურბლსა და კომპლექსური გადასვლის ზონებს, რომლებიც არქიტექტურით, სივრცობრივი წესრიგით, შინაგანი ოთახების განლაგებით არის წარმოდგენილი.<sup>143</sup> ამდენად, კერძო სფეროს საჯაროდ გავრცელება დამოკიდებულია მხოლოდ უფლებამოსილ პირზე და პირად სფეროში საზოგადოებას შეუძლია ჩაერიოს ამ პირის თანხმობით... თუმცა შეიძლება მისი ნების საწინააღმდეგოდაც.<sup>144</sup>

ზემოთ განხილული კერძო ცხოვრების რამდენიმე ძირითად ნიშანს გამოკვეთს, რაც გარკვეულ წარმოდგენას ქმნის იმის თაობაზე, თუ რომელ მხარეებს ეხება კერძო სფერო. კელეგი ცხადყოფს, რომ კერძო ცხოვრება არის სფერო, რომელიც არაა საჯარო<sup>145</sup> და გამოიხატება ადამიანთა შორის არასაჯარო საწყისებზე აგებული ურთიერთობის თავისუფლებაში;<sup>146</sup> რომელშიც პირებს ან სოციალურ ინსტიტუტებს არა აქვს ჩარევის უფლება;<sup>147</sup> სადაც ინდივიდს შეუძლია საქუთარი შეხედულებისამებრ მოქმედება.<sup>148</sup> სწორედ კერძო ცხოვრებით განცალკევდება პირი სხვა პირთაგან. აქედან ჩანს, რომ კერძო სფეროს ცნების მოცულობა დიდია,<sup>149</sup> თუმცა აუცილებელია მისი მხარეების დაკონკრეტება, რომ ზედმეტად ფართო კონცეფცია არ მივიღოთ. აღნიშნული მიიღწევა კერძო ცხოვრების თეორიების დადებითი მხარეების გათვალისწინებით.

<sup>140</sup> ი. მ. Jeffrey M. Shaman, The right of privacy in State constitutional Law, Table of Contents, Rutgers Law Journal, [Vol. 37:371], 2006, გვ. 972-973,

<[http://org.law.rutgers.edu/publications/lawjournal/issues/37\\_4/Shaman.pdf](http://org.law.rutgers.edu/publications/lawjournal/issues/37_4/Shaman.pdf)> [07.09.10 20:37]

<sup>141</sup> ი. მ. ბ. ბაიგრი, დასახ. ნაშრომი, გვ. 5; ვიდეოგადაღებისას კერძო ცხოვრების დაცვის შესახებ ი. მ. J. Brassil, Technical Challenges in Location-Aware Video Surveillance Privacy, HP Laboratories, HPL-2008-213, Ed. Springer-Verlag, Computer Imaging, 2009, გვ. 22. <<http://www.hpl.hp.com/techreports/2008/HPL-2008-213.pdf>> [15.01.10 22:05]

<sup>142</sup> ი. მ. ბ. ბაიგრი, დასახ. ნაშრომი, გვ. 7-8

<sup>143</sup> ი. მ. Marie-Noëlle Denis, Privat- und Wohnbereich im traditionellen elsässischen Haus, In: Revue des Sciences Sociales, 2005, n° 33, "Abgrenzung zwischen öffentlich und privat", Zusammenfassungen, გვ. 1. ი. მ.: <<http://www-umb.u-strasbg.fr/tele/pdf/00-ResumesDerss33.pdf>> [21.04.09 15:25]

<sup>144</sup> აღნიშნულის შესახებ ი. მ. კოლმაიგრი, დასახ. ნაშრომი, გვ. 15

<sup>145</sup> საჯარო და კერძო ცხოვრების ურთიერთმიმართების შესახებ ი. მ. კ. ლემი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45

<sup>146</sup> აღნიშნულის შესახებ ი. მ. კ. ლემი, დასახ. ნაშრომი, გვ. 7-8

<sup>147</sup> აღნიშნულზე ი. მ. კ. ლემი, დასახ. ნაშრ., გვ. 3

<sup>148</sup> ი. მ. კ. ლემი, დასახ. ნაშრომი, გვ. 15

<sup>149</sup> რაც უფრო მცირევა ცნების ნიშნები, მთო უფრო დიდია ამ ცნების მოცულობა. ი. მ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 45

რაც შეეხება პირად ცხოვრებას, ის არის კერძო სფეროდან ნაწილი, რომელიც შემოიფარგლება პიროვნული ინტერესებითა თუ ასპექტებით. ამდენად, კერძო და პირად სფეროებს შორის გვარისა და სახის დამოკიდებულება არსებობს.<sup>150</sup> მიზანშეწონილია, ცალკე გამოიყოს პირადი ცხოვრებაც, რომელიც კერძო სფეროსგან საგრძნობლად განსხვავდება. პირადი ცხოვრება არის რა პიროვნებასთან მჭიდროდ დაკავშირებული სფერო, ის მოწესრიგებულია მორალით და სამართალი იცავს მას. შესაბამისად, ყველა პირადი არის კერძო, მაგრამ არა პირიქით, თუმცა ამის გათვალისწინებით ზოგჯერ კონტექსტში შეიძლება კერძო ჩაენაცვლოს პირადს.

### **პირადი ცხოვრების სოციალური და საჯარო სფეროები**

პირადი ცხოვრება შეიძლება ასევე გამოვლინდეს საჯარო სფეროში. აქ საქმე ეხება საჯარო ცხოვრებაში პიროვნული ნიშნების გამოხატვას. „სოციალური და საჯარო სფეროები არის ადამიანის ცხოვრების, საქმიანობის ისეთი სფეროები, რომლებშიც მოქმედება მიმდინარეობს კერძო, პირად და ინტიმურ სფეროთა ფარგლებს გარეთ, ნაწილობრივ შეზღუდული ან შეუზღუდავი საჯაროობის პირობებში.“ საჯარო სფეროში ძირითადად არ არსებობს ინფორმაციის გავრცელების რაიმე შეზღუდვა. ეს განსაკუთრებით ეხება იმ პირებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ დგანან საზოგადოების ყურადღების ცენტრში, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევებში ნებაყოფლობით ისსნიან ანონიმურობას და პოპულარულნი ხდებიან.“ ინდივიდმა სოციალურ სფეროში „მხოლოდ მაშინ უნდა მოითმინოს მისი პიროვნების შესახებ საჯარო ინფორმაციები და კომენტარები, თუ ამაზე არსებობს საზოგადოების განსაკუთრებული, ლეგიტიმური და აქტუალური საინფორმაციო ინტერესი.“<sup>151</sup> ინდივიდუალური ან სოციალური სფეროდან შეიძლება რეპორტაჟის გაკეთება შეუზღუდავად, თუ საქმე არ ეხება არასწორი ფაქტების მტკიცებას ან პატივის ხელყოფას. ინდივიდუალური ან სოციალური სფეროდან შეუზღუდავად რეპორტაჟის გაკეთება არაა დასაშვები, ვინაიდან შეიძლება დაინტერესებული პირის იდენტიფიცირება მოხდეს; ამასთან, ვიდრე მის მიმართ საზოგადოებრივი დაინტერესება არ გაჩნდება, რიგითი პირი არაა საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული. უცნობი პირები შეიძლება მხოლოდ მეორეხარისხოვანი ფიგურების სახით იყოს ნახსენები, რადგან დაუშვებელია ვინმე განსაკუთრებული საფუძვლის გარეშე ყურადღების ცენტრში იყოს.<sup>152</sup>

ამდენად, სფეროთა თეორია მნიშვნელოვან დეტალებს შეიცავს კერძო სფეროს არსის გასაგებად, მაგრამ სრულად ვერ ასახავს კერძო ცხოვრების პრობლემებს. ეს თეორია ართულებს საჯარო და კერძო სფეროთა შორის მკვეთრი საზღვრების გავლებას. ასევე ცალკე უნდა ყოფილიყო გამოყოფილი პირადი სფერო შესაბამისი დაცვის მექანიზმებით, რაც კიდევ უფრო მაღალ ხარისხში აიყვანდა ადამიანის დირსებისა და ინდივიდუალობის დაც-

<sup>150</sup> იხ. ქ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 49-50

<sup>151</sup> ქ. კუბლაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 114-115

<sup>152</sup> იხ. ქ. მუხრანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 117

გას; ამასთან, მკვეთრ ზღვარს გაავლებდა კერძო და პირად სფეროებს შორის, ვინაიდან მიზანშეუწონელია, ერთი დონის სიკეთეებად იყოს მიჩნეული კერძო ცხოვრების საიდუმლოება და ინტიმური საიდუმლოება, პატივი; აღნიშნული მჭიდროდ უკავშირდება ფიზიკური პირის როგორც პირადი, ისე კერძო ცხოვრების და იურიდიული პირის კერძო სფეროს დაცვას; გარდა ამისა, სფეროთა თეორია ვერ ხსნის პრაქტიკულ ხარვეზებს, რომლებიც განსაზღვრული პიროვნული ასპექტების დაუცველობის წინაპირობაა.

### 2.1.3.2. „მოზაიკის“ თეორია

„მოზაიკის“ თეორიის თანახმად, მიღებული მონაცემები ინფორმაციული თვალსაზრისით სხვა მონაცემებთან არის დაკავშირებული ისევე, როგორც მოზაიკის ქვები (ეგერი). ამდენად, დაცულია როგორც გრძნობადი სფეროებიდან მონაცემები, ისე ამ მონაცემების დაკავშირებაც.<sup>153</sup> ეს თეორია მნიშვნელოვანია, ვინაიდან სფეროების დაკავშირებასაც კი იცავს, თუმცა კერძო სფეროს მხოლოდ ინფორმაციული კუთხით განხილვა ვერ ამოწურავს სრულად მის არსეს. ამ კონცეფციაში არაა ხაზგასმით წარმოდგენილი ინდივიდუალობა, განმარტოებულობა, განსაკუთრებით პიროვნული სფეროები და სხვა, რასაც კერძო ცხოვრება მოიცავს, რის გამოც ის ნაკლულია.

### 2.1.3.3. სპეციფიკური როლების შესახებ თეორია

სპეციფიკური როლების შესახებ კონცეფციიდან ჩანს, რომ პირადი სფერო სხვადასხვა როლში გამოდის და პირებს უნდა მიეცეს უფლება, განსაზღვროს ამ მონაცემებიდან ვის რომელი ინფორმაცია გადასცეს.<sup>154</sup> ესეც გარკვეულწილად შეიძლება მოზაიკის თეორიის გარკვეულ სახესხვაობას წარმოადგენდეს, ვინაიდან ასახავს კერძო სფეროს ინფორმაციული გაგებით, თუმცა სხვადასხვა როლის გათვალისწინებით. ამდენად, აღნიშნული კონცეფციაც ვერ გამოკვეთს კერძო ცხოვრების არსეს სრულად.

## მოქლე დასკვნა

ტერმინი „ავტონომია“ („autonomia“) ბერძნული წარმოშობისაა და გამოიხატება ფორმულაში „საკუთარ თავს კანონს ვუწერ“ ან „დამოუკიდებელს“ ან „გადაწყვეტილების მიღების თავისუფლებას.“<sup>155</sup> საერთოდ, პირადი თავისუფლება პიროვნებად არსებობის აუცილებელი პირობაა. საზოგადო-

<sup>153</sup> იხ. E. Egger, Datenschutz versus Informationsfreiheit – Verwaltungstechnische und verwaltungspolitische Implikationen neuer Informationstechnologien, 1990, გვ. 57; in series:Schriftenreihe der Österreichischen Computer Gesellschaft, Vol. 52, edited by OCG, Oldenburg, Vienna, Munich. ციტირებულია: გ. თიხი, გ. პაისლი, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

<sup>154</sup> იხ. გ. თიხი, გ. პაისლი, დასახ. ნაშრომი, გვ. 11

<sup>155</sup> იხ. ბ. ბაიერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 3; აღნიშნულის შესახებ ასევე იხ. გ. როსლერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 17-19

ება, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის პირად თავისუფლებას, უქმნის მას პირობებს, გახდეს პიროვნება; საზოგადოება, რომელიც ინდივიდს ართმევს პირად თავისუფლებას, უსპობს მას პიროვნებად ჩამოყალიბების შესაძლებლობას.<sup>156</sup> სწორედ აქედან უნდა ამოვიდეთ პირადი ცხოვრების არსის გასარკვევად. ზემოთ მოცემული ოეორიები ცალ-ცალკე ვერ ხსნის კერძო სფეროს არსს, თუმცა მათში მეტ-ნაკლები ხარისხით არის კერძო ცხოვრების სოციოლოგიურ-იურიდიული ასპექტები წარმოდგენილი. გასაზიარებელია, რომ კერძო სფერო განმარტოებას უზრუნველყოფს, მაგრამ ის არ უნდა იყოს შეუზღუდავი და ძალიან ფართო. აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია, კერძო სფეროს მხარეები დაზუსტდეს და კერძო ცხოვრება განიხილებოდეს მეტწილად საიდუმლოების, სფეროთა შესახებ და კონტროლის თეორიების დადებითი მხარეების სინთეზირებით. თუმცა არ უნდა იყოს უგულებელყოფილი სხვა მოძღვრებებში არსებული რაციონალური მარცვალი (მაგალითად, პრაგმატიზმი, ინდივიდუალობა, ღირსება, ინტიმური ურთიერთობების შესახებ თეორია...). ეს თეორიები განსაკუთრებით ეხება პირად ცხოვრებას, ვინაიდან პიროვნებასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სპეციფიკურ მახასიათებლებს შეეხება. ამიტომ პირადი სფეროს არსი აღნიშნულ თეორიებზე დაყრდნობით უნდა განისაზღვროს, რაც როგორც სამართლებრივ, ისე არასამართლებრივ საწყისებს უკავშირდება. პირადი ცხოვრება, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი, უკვე სამართლებრივ „სამოსშია“ გახვეული. პირადი ცხოვრების სამართლებრივ ფორმას კი ქმნის პრაგმატული მიღომის, საიდუმლოების, სამართლებრივი ძალაუფლებისა და კონტროლის ასპექტები, მაგრამ აუცილებელია მისი რეალური საწყისებიც იყოს წარმოდგენილი. აღნიშნული კი მიიღწევა პირად ცხოვრებაში ინდივიდუალობისა და სფეროთა შესახებ თეორიების მნიშვნელოვან ასპექტებზე აქცენტების გაკუთებით. ისინი ერთად გამოკვეთს პირადი ცხოვრების ონტოლოგიურ ბუნებას. ამდენად, კერძო ცხოვრება გაცილებით ფართოა, ვიდრე პირადი ცხოვრება.

### 3. საჯარო და კერძო სფეროთა საზღვრები

დღეს ყველას შეუძლია თავისი რაიმე უნარი წარმოადგინოს საზოგადოების წინაშე სხვადასხვა ტექნოლოგიური საშუალებით; ყველაზე ინტიმური და პირადი საკითხებიც კი არის მიმოფენილი ინტერნეტში, რამაც ფაქტობრივად კიდევ უფრო გაზარდა შანსი, გახდე პოპულარული. დღეს დროის ცვლამ გამოიწვია მრავალი პირადი საკითხის საჯარო სფეროში გადასვლა.<sup>157</sup> ამდენად, კერძო და საჯარო სფეროთა საზღვრების პრობლემა ფაქტობრივად ეხება ინდივიდსა და საზოგადოებას შორის ურთიერთმიმართების დადგენას, რაც „მე“-სა და „ჩვენ“-ს შორის ბალანსის პოვნას უკავ-

<sup>156</sup> იხ. ვ. ერქმაიშვილი, ადამიანი, თავისუფლება, იდეოლოგია, თბ., სახ. უნივერ. გამომც., 2002, გვ. 137

<sup>157</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. დ. კოლმაიერი, დასახ. ნაშრომი გვ. 23

შირდება. ე. ი., საქმე პიროვნულ და საერთო ინტერესებს უნდა ეხებოდეს.<sup>158</sup> თვით პიროვნება განიხილება როგორც საზოგადოების წევრად, ისე ინდივიდად. „პიროვნება საზოგადოების წევრია არა ნებელობითი აქტის, არამედ ობიექტური აუცილებლობის გამო.“ ამიტომაცაა, რომ „მე“-სა და „ჩვენ“-ს შორის მიჯნა ცვალებადია.<sup>159</sup> საჯაროობა ქმნის კერძო ცხოვრების აუცილებლობას. რაიმეს საჯაროობას განსაზღვრავს სახელმწიფო. ამდენად, საჯარო და კერძო სფეროთა საზღვრები მუდამ ცვალებადია. საჯარო და კერძო ცხოვრება ერთმანეთთან დაპირისპირებულია, თუმცა, ამავე დროს, ერთმანეთის გარეშე ვერ იარსებებს. ამიტომ მათ შორის ისეთივე მიმართებაა, როგორიცაა მარჯვენა და მარცხენა ხელს ან პოზიციასა და ოპოზიციას შორის.<sup>160</sup> დღეს საჯარო და კერძო სფეროებს შორის ბალანსი ხშირად ირდვევა, ვინაიდან ჩვეულებრივ „უნებლიერ“ საქციელი განიხილება იმ გაგებით, რომ პირები გარშემოყოფთ აცნობენ საკუთარ განცდებს და ამ ფორმით აშიშვლებენ ემოციებს.<sup>161</sup> თანამედროვე ინფორმაციულ საზოგადოებაში კერძო და საჯარო სფეროებს შორის საზღვრები ემორჩილება საზოგადოებრივ ცვლილებებს.<sup>162</sup>

ამასთან, ქსელური საზოგადოების გაზრდის შედეგად იმდენად შემოიჭრა საჯარო ცხოვრება კერძო სფეროში, რომ ზოგიერთმა ავტორმა კერძო ცხოვრება მკვდრად მონათლა.<sup>163</sup> თუ პირი ანდობს სხვას თავის ცხოვრებას ინტერნეტის საშუალებით, ეს შეიძლება გამართლდეს იმით, რომ საყიდლები სარგებლიანი გამოდგეს.<sup>164</sup> აქ ის იხსნის ანონიმურობას და მასზეც ვრცელდება თმენის ვალდებულება ისევე, როგორც საჯარო პირებზე. ამასთან, ინდივიდთა შესახებ ინფორმაციის გაცვლა და გამოყენება უკავშირდება მაგალითად საბანკო საქმის წარმოებას, კრედიტის გაცემას, დაზღვევას, სამედიცინო მომსახურების გაწევას. ეს ეხება კერძო ცხოვრების დაცვის

<sup>158</sup> იხ. ბ. ელიასი, ცივილიზაციის პროცესის შესახებ, სოციოგენეტიკური და ფსიქოგენეტიკური გამოკვლევები, წ. I, ქცევის ცვლილებანი დასავლური სამყაროს საერო ზედა ფენებში (თარგმა ი. წერეთელმა), თბ., „ნეკრო“, 2005, გვ. 14-40

<sup>159</sup> იხ. თ. ნინიძე, ცოცხალი ხატი დირსებისა, საქართვ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1987, №3, 64-65

<sup>160</sup> იხ. A. Demirovic, Hegemonie und das Paradox von privat und öffentlich, Dienstag, 02. März 2004 um 00:00 Uhr – Aktualisiert Montag, 01. März 2010 um 22:22 Uhr, გვ. 10. ნაშრომი იხ. ინტერნეტ-გვერდზე: <[http://www.pumuck.de/projekte-a-veranstaltungsreihen/2010-veranstaltungsreihe-zu-neoliberaler-hegemonie-und-aneignungsformen/147-hegemonie-und-das-paradox-von-privat-und-oeffentlich\\_.pdf](http://www.pumuck.de/projekte-a-veranstaltungsreihen/2010-veranstaltungsreihe-zu-neoliberaler-hegemonie-und-aneignungsformen/147-hegemonie-und-das-paradox-von-privat-und-oeffentlich_.pdf)> [06.04.11 22:30]

<sup>161</sup> იხ. რ. სენური, დასახ. ნაშრომი, გვ. 33

<sup>162</sup> იხ. დ. კოლმაიერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 7. ამ სფეროებს შორის საზღვრების ცვალებადობა განსაკუთრებით საგრძნობია მათი განვითარების ისტორიული თავისებურებების შესწავლისას. მოცემულ საკითხზე XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე არსებული მიღებები ახლოსაა ტერმინების „საჯარო“ და „კერძო“ თანამედროვე გაგებასთან. „საჯარო“ იყო საყოველთაო განხილვისთვის დია, „პირადი“ – ცხოვრების დაფარული მხარეები, რომლებიც ოჯახითა და მეგობრებით იყო შემოფარგლული. ამდენად, საჯარო ცხოვრება არის სფერო, რომელიც ახლო მეგობრებისა და ოჯახის ფარგლებს გარეთ მოიაზრება. იხ. რ. სენური, დასახ. ნაშრომი, გვ. 24-25

<sup>163</sup> იხ. A. Michael Froomkin, The Death of Privacy?, 52 Stan. L. Rev. , 2000, გვ. 1461

<sup>164</sup> იხ. ბ. ბაიკორი, დასახ. ნაშრომი, გვ. 12

მოლოდინს, რომელიც უკავშირდება პირის საცხოვრებელს ან მატერიალურ სფეროებს, როგორიცაა პირად დღიურში წარმოდგენილი ინფორმაცია.<sup>165</sup>

განხილული ცხადყოფს, რომ კერძო სფეროს ყოველდღიური „ერთზია“ არის ბუნებრივი პროცესი: ტექნოლოგიური განვითარების ფონზე კერძო ცხოვრების გრძივრული მოლოდინიც სახეს იცვლის.<sup>166</sup> ამ ფორმით აშკარაა, რომ საჯარო სფერო უფროდაუფრო იზრდება და კერძო ცხოვრების ცნების მოცულობა დროთა განმავლობაში ვიწროვდება. ამჟამად კერძო და საჯარო სფეროები სამოქალაქო საზოგადოებაში დაცული ცხოვრების ფორმებში ურთიერთგადაიკვეთება. განსაკუთრებით მედიაშია რთული იმის დადგენა, ესა თუ ის საკითხი საჯარო სფეროს მიეკუთვნება თუ კერძო სფეროს.<sup>167</sup> ამდენად, კერძო და საჯარო ურთიერთგამომრიცხველი, მაგრამ მჭიდროდ დაკავშირებული კატეგორიებია. ამ სფეროებს შორის ბალანსის უზრუნველყოფა დამოკიდებულია თვით უფლებამოსილი პირის ნებაზე. სწორედ მის ხელთაა შესაძლებლობა, გავლოს ზღვარი საჯარო და კერძო სფეროთა შორის. უფლებამოსილი პირი წყვეტს, რა მიაწოდოს სხვას და რა არა,<sup>168</sup> რითაც კერძო ცხოვრების შესახებ გარკვეული დეტალების გაცემაზე მისი ექსპლუზიური უფლებაა დადასტურებული.

#### 4. პირადი ცხოვრების არსი საქართველოს კანონმდებლობაში

##### 4.1. პირადი ცხოვრების დაცვის სამართლებრივ საშუალებათა სისტემა

###### 4.1.1. კონსტიტუცია, როგორც პირადი ცხოვრების დაცვის შესახებ მირითადი კანონი

პირადი ცხოვრება არის დაცული სიკეთე, რადგან ის წარმოშობს ისეთ მოთხოვნებს, როგორიცაა ინდივიდუალური იდენტობისა და თვითგანხორციელების განვითარების, ავტონომიურ ურთიერთობათა სივრცეში დაცვის მოთხოვნები.<sup>169</sup> ამასთან, პირად სფეროში მოიაზრებენ ავტონომიასა და ადამიანის დირექტორის დაცვას შორის შუალედსაც.<sup>170</sup> ამდენად, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, თუ რა მოცულობითა და ფორმითაა დაცული პირადი

<sup>165</sup> აღნიშნულზე იხ. Jeffray A. Meldman, American expectations of privacy in an information age (CISR No. 66, Sloan WP No. 1180-81), January 1981, გვ. 1

<sup>166</sup> იხ. ბერტ-ააპ კუპერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 184

<sup>167</sup> იხ. ვ. ლექში, დასახ. ნაშრომი, გვ. 45

<sup>168</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. M. Knill, Privatleben und Öffentlichkeit – ein Balancakt, Kommunikation Medienrhetorik, Juni 2004, გვ. 62

<sup>169</sup> იხ. R. Weiß: Privatheit im „öffentlichen Raum“ – Klärungsbedarf. In: ders./Jo Groebel: Privatheit im öffentlichen Raum. Medienhandeln zwischen Individualisierung und Entgrenzung, Opladen 2002, გვ. 20. ციტირებულია: M. Bradtka, Zwischen öffentlichem Interesse und Voyeurismus, Die Ethik journalistischer Informationsbeschaffung und –verwertung, 2009, გვ. 144

<sup>170</sup> იხ. K. Müßigbrodt: Journalismus und der Schutz des Privaten, Paderborn, 2006, გვ. 58. ციტირებულია: M. Bradtka, Zwischen öffentlichem Interesse und Voyeurismus, Die Ethik journalistischer Informationsbeschaffung und –verwertung, 2009, გვ. 144

ცხოვრება საქართველოს კანონმდებლობაში. აღნიშნული საჭიროებს დაცვის სამართლებრივ საშუალებათა სისტემის ჩამოყალიბებას, რათა დადგინდეს კერძო სფეროს ნიშნები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

საქართველოში პირადი ცხოვრება დაცულია როგორც კერძო, ისე საჯარო სამართლის ნორმებით. იგი კომპლექსური სამართლებრივი დაცვის ობიექტია.<sup>171</sup> კერძო სფეროს დაცვის სამართლებრივ საშუალებათა სისტემა საქართველოს სამართლისა და ოვით პირადი სფეროს დაცვის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება ამგვარდად დალაგდეს: 1) ძირითად კანონს; 2) კანონებს და 3) სასამართლო პრაქტიკას. მიზანშეწონილია საქართველოს კანონმდებლობაში კერძო ცხოვრების დაცვის თვალსაზრისით ძირითად კანონად განისაზღვროს კონსტიტუცია, ვინაიდან ის საფუძვლად უდევს პირადი ცხოვრების დაცვის მთელ სისტემას. ამასთან, ძირითადი კანონი ადგენს პირადი სფეროს დაცვის ეროვნული სისტემის მიზნებსა და სტრუქტურას.<sup>172</sup> კანონებში მოიაზრება (დარგობრივი) საჯარო და კერძოსამართლებრივი კანონები. საჯარო სამართლის დარგებიდან პირადი სფერო დაცულია სისხლის, ადმინისტრაციული, საგადასახადო, საპროცესო კანონმდებლობით... რაც შეეხება კერძო სამართალს, პირადი ცხოვრების ცალკეული ელემენტები გათვალისწინებულია სამოქალაქო, საავტორო და საპატენტო, ჯანდაცვის, სანოტარო სამართალში... ანგარიშგასაწევია სასამართლო პრაქტიკაც, რომელშიც საქართველოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა უნდა იგულისხმებოდეს. ცალკე უნდა შევჩერდეთ საერთაშორისო კონვენციების ადგილზე ქართულ სამართლებრივ სივრცეში.

საყურადღებოა პირადი ცხოვრების დაცვის კონსტიტუციურსამართლებრივი საფუძვლები. საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცულია საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარება, რომელიც ამოსავალია პირადი ცხოვრების არსის განსასაზღვრად. კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობა უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით. მართალია, აქ გვხვდება ტერმინი „პირადი ცხოვრება“, მაგრამ მასში კერძო სფეროს გარკვეული გამოვლინებანია ჩადებული: თითოეული პირის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. ეს, ალბათ, ფართოდ უნდა იქნეს გაგებული და უნდა მოიაზრებოდეს ნეგატიურ-პოზიტიური ვალდებულებანი.<sup>173</sup>

<sup>171</sup> კერძო ცხოვრების ერთ-ერთი გამოვლინების – პერსონალური მონაცემების – დაცვის სამართლებრივ საშუალებათა სისტემა შესახებ იხ. В. Иванский, Правовая защита информации о частной жизни граждан, М., Изд. российского ун-та дружбы народов, 1999, გვ. 36-37, 57-108. ამ ჩამონათვალის სათავეში კერძო ცხოვრების კონსტიტუციურსამართლებრივ საფუძვლებსაც აყენებენ. იხ. გ. ცაცანა შეილი, ინფორმაციული სამართალი, თბ., 2004, გვ. 110.

<sup>172</sup> აღნიშნულის თაობაზე იხ. გ. ივანეს დასახ. ნაშრომი, გვ. 38; კერძო ცხოვრების შესახებ 1974 წლის კანონი იყო პირველი კანონი მსოფლიოში მონაცემების დაცვის შესახებ იხ. გ. პიუნემორდერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

<sup>173</sup> ამ მუხლის ვიწროდ (მხოლოდ ნეგატიური ვალდებულების ჭრილში) გაგების შემთხვევაში იგი არ იქნება კონვენციის სტანდარტების შესაბამისი. იხ. კ. კორაულია, ბ. შეედლიძე, ა. ნალბანდოვი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბ., ევროსაბჭოს საინფორმაციო ბიურო საქართველოში, 2005, გვ. 203.

ამდენად, პირადი ცხოვრება მჭიდრო კავშირშია თავისუფლებასა და ხელშეუხებლობასთან. საქართველოს სამოქალაქო სამართლისთვის პირადი ხელშეუხებლობის განსასაზღვრად ამოსავალი უნდა იყოს კონსტიტუციური დებულება. სსკ-ის მე-18 მუხლში მოცემულ პირად ხელშეუხებლობაში მოიაზრება თავისუფლების ხელშეუგალობა, თავისუფლების აღკვეთის ან მისი სხვაგვარად შეზღუდვის დაუშვებლობა.<sup>174</sup> აუცილებელია, გამოიკვეთოს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლების, როგორც არამატერიალური უფლების, მნიშვნელობა კერძოსამართლებრივი დაცვის ხერხების გაფართოების გზით.

პირადი ცხოვრება ასახვას ჰპოვებს ასევე სქესის მიუხედავად კანონის წინაშე ადამიანების ოანასწორობაში (კონსტიტუციის მე-14 მუხლი), მორალურ და ფიზიკურ ხელშეუხებლობაში (კონსტიტუციის მე-17 მუხლი), საოჯახო (საქორწინო) ცხოვრებაში (კონსტიტუციის 36-ე მუხლი). კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 ნაწილი იცავს ადამიანის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან დაკავშირებულ ოფიციალურ ჩანაწერებში არსებულ ინფორმაციას, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როცა გაცნობა აუცილებელია ლეგიტიმური მიზნებისთვის. ამდენად, სამართლებრივი საფუძვლები გაუჩნდა თვითგამორკვევის უფლებასაც, როგორც კერძო ცხოვრების ერთ-ერთი გამოვლენის ფორმას. ამასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემები განეკუთვნება „განსაკუთრებით მგრძნობიარე“ პერსონალურ მონაცემებს, ქონებრივი და სხვა კერძო საკითხი შედის „მგრძნობიარე“ პერსონალურ მონაცემთა წრეში.<sup>175</sup> ამდენად, კანონმდებელმა კონსტიტუციაში გაიზიარა პირადი ცხოვრების ფართო გაგება, თუმცა არც მისი გამოვლინებანი დარჩენია ყურადღების მიღმა. აქ მნიშვნელოვანია, რომ პიროვნების დაცვა მხოლოდ მაშინაა ეფექტურად უზრუნველყოფილი, თუ განსაკუთრებული პიროვნული უფლებების გვერდით არსებობს ზოგადი პიროვნული უფლება ზოგადი ფორმით.<sup>176</sup> პიროვნების დაცვის ეს სისტემა არის საქართველოს კონსტიტუციაშიც გაზიარებული.

როგორც ჩანს, გარკვეული პირადი უფლებები წარმოიშობა დაბადებით. მაგალითად, ჯანმრთელობაზე უფლება.<sup>177</sup>

ამასთან, პირადი თავისუფლება მიზანმიმართულია ინდივიდუალობის განვითარებისკენ და წარმოადგენს სხეულებრივი, ფსიქიკური და სულიერი ურთიერთობის გამოვლინებას. ადამიანის თავისუფლება და ღირსება მიიჩნევა უზენაესი სამართლებრივ ღირებულებებად. ღირსება მთელი სამართლებრივი წესრიგის საფუძველია. ამასთან, პირადი საიდუმლოების ხელშეუხებლობის უფლება არის სულიერი თავისუფლების ბაზისი და შემადგენელი ნაწილი, ფართო გაგებით კი – წარმოდგენილი პირადი ან ინდივიდუალური თავისუფლების საფუძველი და შემადგენელი ნაწილი. პირადი თავისუფლების ძირითადი უფლება, როგორც კონსტიტუციი

<sup>174</sup> იხ. ქ. ჩიკვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, თბ., „მერიდიანი“, 2003, გვ. 178-179

<sup>175</sup> იხ. ქ. ივანეს, დასახ. ნაშრომი, გვ. 14

<sup>176</sup> იხ. Marie-theres Frick, Persönlichkeitsrechte, Beiträge, Liechtenstein-Institut, Forschung und Lehre, Nr. 5, Liechtenstein, Fürstentum Liechtenstein, 1996, გვ. 7; იხ. ინტერნეტ-გვერდზე: <[http://www.liechtenstein-institut.li/Portals/11/pdf/lib/LIB\\_5.pdf](http://www.liechtenstein-institut.li/Portals/11/pdf/lib/LIB_5.pdf)> [27.04.09 11:56]

<sup>177</sup> იხ. ქ. ჩიკვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, გვ. 8

პრინციპი, უზრუნველყოფს ყველა თავისუფლებას, რომელიც ადამიანის პიროვნების განვითარების ელემენტარულ გამოვლენას წარმოადგენს.<sup>178</sup>

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ „ხელშეუხებლობისა“ და „საიდუმლოების“ სამართლებრივ ცნებებს შორის განსხვავება შეფარდებითია. ის, რაც არის ხელშეუხებელი, შედის საიდუმლოებაში; და პირიქით: საიდუმლო არის ხელშეუხებელი. ამასთან, არსებობს საიდუმლოების სხვადასხვა სახე: საექიმო, საადვოკატო, მიმოწერის, შვილად აყვანის და სხვა საიდუმლოებანი. შესაბამისად, ამ ფორმით შეიძლება პირადი ცხოვრება განიხილებოდეს, როგორც საიდუმლოებათა ერთობლიობა. აღნიშნული გაგებით შეიძლება გამოიყოს პირადი (რაც არავისთვის გაინდობა) და პროფესიული საიდუმლოება (თუ განსაზღვრული პროფესიის წარმომადგენლებს გაანდობენ რაიმეს უფლებათა და კანონიერ ინტერესთა დასაცავად). პირადი საიდუმლოებაა შემოქმედებისა და ურთიერთობის, საოჯახო და ინტიმური ურთიერთობების, საცხოვრებლის, დღიურების, პირადი ქაღალდების, საფოსტო-სატელეგრაფო კორესპონდენციებისა და სატელეფონო საუბრების საიდუმლოება. პროფესიული საიდუმლოება მოიცავს სამედიცინო, სასამართლო დაცვის, აღსარების, შვილად აყვანის, საგამოძიებო საქმიანობის, სანოტარო მოქმედებათა და სამოქალაქო მდგომარეობის ჩამწერი აქტების საიდუმლოებას.<sup>179</sup> ამდენად, გარკვეული პირადი უფლებების წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს გარიგება. მაგალითად, საადვოკატო საიდუმლოება.<sup>180</sup>

ამასთან, საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებაში მოიაზრება ბინის, სახლის ან სამსახურებრივი შენობების მესაკუთრის უფლება, ოთახები თავისუფლად გამოიყენოს და განსაკუთრებულ შემთხვევაში საკუთარი შეხედულებისამებრ მესამე პირებს შესვლის ნება დართოს ან აუკრძალოს შესვლა. საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლება იცავს კერძო საიდუმლოს.<sup>181</sup> ამდენად, საცხოვრებლის ხელშეუხებლობა შეიძლება განიხილებოდეს, როგორც საცხოვრისში მიმდინარე ან არსებული მოვლენების საიდუმლოება.<sup>182</sup> შესაბამისად, სისხლისსამართლებრივად არის დაცული პირი, რომლის საცხოვრებლის ხელშეუხებლობა მესამე პირების საშუალებით ხელიყოფა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლი).

რაც შეეხება საფოსტო გზავნილების, სატელეგრაფო შეტყობინებებისა და სატელეფონო საუბრების საიდუმლოებას, ისინი კერძო და საიდუმლო სფეროს განსაკუთრებული შემთხვევებია. საფოსტო გზავნილების, სატელეგრაფო შეტყობინებებისა და სატელეფონო საუბრების საიდუმლოება ემსახურება პირად თავისუფლებას ფართო გაგებით და ის სამართლით დაცულ თავისუფლებად ითვლება.<sup>183</sup> აქ მნიშვნელოვანია დაწესებულების შინაგანაწესის დებულებებით სატელეფონო საიდუმლოების ელექტრონული მისა-

<sup>178</sup> აღნიშნულზე იხ. R. Von Meis, Die persönliche Geheimsphäre und deren Schutz im prozessualen Verfahren, Diesenhofen, Büger Verlag, 1975, გვ. 151-152, 154

<sup>179</sup> იხ. ი. პეტრუხისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 13-14

<sup>180</sup> იხ. შ. ჩიკვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, გვ. 8-9

<sup>181</sup> იხ. რ. ფონ მაისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 155

<sup>182</sup> იხ. ი. პეტრუხისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 13

<sup>183</sup> იხ. რ. ფონ მაისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 156-157

მართის კონტროლი, რომელიც მხოლოდ მაშინ ხდება, თუ ვინმე კომერციული მიზნებისთვის სატელეკომუნიკაციო მომსახურებას იყენებს.<sup>184</sup>

მიმოწერისა და სატელეფონო საუბრების საიდუმლოება არის დაცული საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით. ამ სიკეთის დაცვის მექანიზმები კი დაზუსტებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში. ამასთან, ინდივიდუალური ინტერესი იხევს უკან სამართლის განხორციელებისა და სიმართლის პოვნის სახელმწიფო ინტერესთან შედარებით, ცხადია, მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შეზღუდულ ფარგლებში. სამართლით დაცული თავისუფლებები შეუზღუდავი არაა. სამართლით დაცული თავისუფლებების შეზღუდვები იწყება იქ, სადაც საქმე შეეხება სხვების კანონიერ ინტერესებს. ამდენად, ამ თავისუფლებათა ზღვარი გადის საჯარო ინტერესებსა და პროპრიეტეტის პრინციპზე.<sup>185</sup>

#### 4.1.2. პირადი სფეროს დაცვის შესახებ კანონები

##### 4.1.2.1. კერძო ცხოვრების საჯაროსამართლებრივი რეგულირების ზოგადი დახასიათება

კანონები პირადი ცხოვრების დაცვის ძირითადი კანონის დამაზუსტებელი დებულებებია, რომლებიც პირადი სფეროს დაცვის უზრუნველყოფის კენაა მიმართული და რომელთა მიზანია ძირითადი კანონის შევსება. კანონები პირადი ცხოვრების კომპლექსური დაცვის საშუალებას იძლევა. პირადი სფერო შეიძლება გამოვლინდეს პერსონალური მონაცემების დაცვაში. კერძო ცხოვრების ამ მხარის რეგულირებისას მიზანშეწონილია, ვიხელ-მძღვანელოთ „მგრძნობიარობის“ კრიტერიუმის საფუძველზე პერსონალური მონაცემების კლასიფიკაციით, რაც საზღვარგარეთის ქვეყნების (გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა) კანონებიდან გამომდინარეობს. პერსონალური მონაცემები „მგრძნობიარობის“ ნიშის მიხედვით იყოფა სამ კატეგორიად: ა) „ჩვეულებრივი“ პერსონალური მონაცემები – მათი შეგროვება, დამუშავება, გამოყენება და გადაცემა დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილ რეჟიმში სპეციალური ნებართვის გარეშე; ბ) „მგრძნობიარე“ პერსონალური მონაცემები – მათი შეგროვება, დამუშავება, გამოყენება, გადაცემა მოითხოვს კანონით დადგენილ დაცვის განსაკუთრებულ ღონისძიებებს; გ) „განსაკუთრებით“ პერსონალური მონაცემები – რომელთა შეგროვება, დამუშავება, გამოყენება, გადაცემა საერთოდ იყრდალება ან დაიშვება გამონაკლის შემთხვევებში დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენებით.<sup>186</sup> „მგრძნობიარობის“ კრიტერიუმი სუბიექტივიზმს უკავშირდება. ამიტომ საერთო სამართლის ქვეყნების სამოქალაქო სამართალწარმოებაში არსებული პრეცედენტების საფუძველზე შემუშავდა პრინციპი: პერსონალური მონაცემების შესახებ რაიმე ფაქტის გავრცელება პირად ცხოვრებაში ჩარევად

<sup>184</sup> იხ. T. Hoeren, Internetrecht, 2005, გვ. 255; ხელმისაწვდომია ინტერნეტ-გვერდზე: <[http://www.uni-muenster.de/Jura.itm/hoeren/material/Skript/skript\\_maerz2005.pdf](http://www.uni-muenster.de/Jura.itm/hoeren/material/Skript/skript_maerz2005.pdf)> [14.09.10 17:43]

<sup>185</sup> აღნიშვნულის შესახებ იხ. რ. ფონ მაისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 105, 157-158

<sup>186</sup> პერსონალური მონაცემების დაცვის საშუალებების შესახებ იხ. ვ. ივანესი, დასახ. ნაშრომი, გვ. 40-41, 13-14; ასევე იხ. მ. ცაცანა შვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 141

ჩაითვლება, თუ ფაქტის გამოქვეყნება საჩოთიროდ მიაჩნია ყველა ჩვეულებრივ მგრძნობიარე ადამიანს.<sup>187</sup> ამ გაგებით მიზანშეწონილია, პერსონალურ მონაცემებად ჩაითვალოს ინდივიდთან მჭიდროდ დაკავშირებული ფაქტები, შეტყობინებები ან შეხედულებები, რომელთაც ის მიიჩნევს კონფიდენციალურად. სწორედ ინდივიდის ნებაზეა დამოკიდებული პირადი მონაცემების გავრცელების შეწყვიტა ან შეჩერება.<sup>188</sup>

პირადი სფეროს ხელყოფის სამართალდარღვევად შესარაცხად ის უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე ძირითად პირობას: ა) პირადი ფაქტების გავრცელება არ უნდა შემოიფარგლოს პირთა მცირე ჯგუფით ან კანონიერად დაინტერესებული მხარეებისათვის არაა დარღვევა; ბ) საჯაროდ გამოტანილი ფაქტები უნდა იყოს კერძო ხასიათის ფაქტები. თუმცა ინფორმაცია, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესის გამო გავრცელდა, არაა სარჩელის წარდგენის საფუძველი; გ) ინფორმაციის გავრცელება უნდა შეურაცხყოფდეს გონიერ პირს ჩვეულებრივი მგრძნობიარობით.<sup>189</sup>

კერძო სფეროს შემადგენელ ნაწილს – პირად (საიდუმლო) ინფორმაციას იცავს ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდგომში – სზაკი) მე-2 მუხლის I ნაწილის „ნ“ პუნქტი, 23-ე და 31-ე მუხლები. პერსონალურ მონაცემებს განეკუთვნება საჯარო ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა (სზაკ-ის 27-ე მუხლის „თ“ პუნქტი). სზაკ-ის 27<sup>1</sup>-ე მუხლიდან გამომდინარე, პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წყვეტს პირი, რომლის შესახებ არსებობს ეს ინფორმაცია. ე. ი. პერსონალური მონაცემების გასაიდუმლოება ყოველთვის ამ პირის ნებაზე არაა დამოკიდებული. კანონით შეიძლება განისაზღვროს პერსონალური მონაცემების გასაიდუმლოების დაუშვებლობა (მაგ.: თანამდებობის პირის პერსონალური მონაცემები). ასევე შესაძლებელია, პერსონალური მონაცემები იმთავითვე საიდუმლო იყოს (მაგ.: საჯარო მოსამსახურეთა აღმასრულებელი პრივილეგია) და მას პირდაპირ იცავს კანონი.<sup>190</sup> ამავე კოდექსის 44-ე მუხლი იცავს პერსონალური მონაცემების საიდუმლოებას. სზაკ-ის 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, პირს შეუძლია საჯარო დაწესებულებას ან საჯარო მოსამსახურეს მოსთხოვოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება პერსონალური მონაცემების უკანონო შეგროვების, დამუშავების, შენახვის, გავრცელებისა თუ გადაცემისას. „განსაკუთრებით მგრძნობიარეა“ პერსონალური მონაცემები, თუ ისინი ეხება ჯანმრთელობის მდგომარეობას, „მგრძნობიარე“ პერსონალურ მონაცემთა წრეში შედის ქონებრივი და სხვა კერძო საკითხი.<sup>191</sup>

ასევე საყურადღებოა „ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მონაცემთა დაცვის სააგენტოს შესახებ“ კანონები. აქ გადამწყვეტია ნაციონალური კანონ-

<sup>187</sup> ი. ბ. W. Freedmann, Right of Privacy in Age of Computer-London, N.Y., 1986, გვ. 53

<sup>188</sup> ი. ბ. ცაცანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 105-106

<sup>189</sup> ი. ბ. A Special Report issued by Privacilla.org., *The Privacy Torts: How U. S. State Law Quietly Leads the Way in Privacy Protection*, July, 2002, გვ. 6

<sup>190</sup> ი. ბ. ძ. ძელაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 115

<sup>191</sup> ი. ბ. ივანეს კოდექსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 14

მდებლობის ევროსაბჭოს 108-ე კონვენციის პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანა. კონვენციის პრინციპები ელექტრონული საშუალებით ავტომატიზებულ დამუშავებას ეხება. თუმცა საქართველოში გაცილებით უფრო ხშირია არაავტომატიზებული დამუშავების პრაქტიკა. ამიტომ კონვენციის დებულებები უნდა განიხილებოდეს ფართოდ და გავრცელდეს არაავტომატიზებულ დამუშავებაზეც.<sup>192</sup> ასევე მნიშვნელოვანია „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ კანონი. რაც შეეხება კერძო სფეროს დაცვის ორგანოს, უკელა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანოს ან ორგანიზაციის მოვალეობაა, დაიცვას სხვისი პირადი ცხოვრება, მათ შორის პერსონალური მონაცემები. „მონაცემთა დაცვა“ ხომ ინფორმაციული კერძო ცხოვრების ცნების მიახლოებითი ეკვივალენტია.<sup>193</sup> პერსონალური მონაცემების დაცვის საეციალიზებული ეროვნული ორგანო, საერთაშორისო შეთანხმების მიხედვით, უნდა იყოს კომპეტენტური და დამოუკიდებელი.<sup>194</sup> საქართველოში ასეთ ორგანოდ გვევლინება საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მონაცემთა დაცვის სააგენტო. იგი აწარმოებს ინფორმაციის ერთიან სახელმწიფო რეესტრს ანუ რეესტრის სუბიექტის მონაცემთა ბაზების, რეესტრების, მომსახურებისა და ინფორმაციული სისტემების ერთიან კატალოგს.<sup>195</sup>

საჯარო სამართალში დაცული კერძო ცხოვრების ზემოთ აღნიშნულ სფეროთა ხელყოფით შეიძლება დადგეს დელიქტი, რაც წარმოადგენს სამოქალაქო სამართალდარღვევას. ამდენად, პერსონალური მონაცემების უკანონო შეგროვების, დამუშავების, შენახვის, გავრცელებისა თუ გადაცემისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელია ოთხი საფუძვლის (ზიანი, მართლწინააღმდეგობა, მიზეზობრივი კავშირი და ბრალი) ერთდროულად არსებობისას, რაზეც დაწვრილებით ქვემოთ მოგახსენებთ. ამ შემთხვევაში დასახელებული სიკეთის შელახვით დადგება დელიქტური სამართლით გათვალისწინებული შედეგები (სსკ-ის 992-1008-ე მუხლები).

საქართველოში საჯარო სამართლის კანონმდებლობა სხვადასხვა ნორმაში უზრუნველყოფს კერძო სფეროს დაცვას. კერძო ცხოვრება დაცულია მისი გამოვლინებების დაცვის გზით პირადი და ოჯახური საიდუმლოება (საქართვ. სისხ. სამ. კოდექსის 157-ე მუხლი), კერძო საუბრების (158-ე მუხლი) ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობა (160-ე მუხლი), შვილად აყვანის საიდუმლოება (175-ე მუხლი). ამ სიკეთების შელახვამ შეიძლება გამოიწვიოს ზიანი (ქონებრივი ან არაქონებრივი), რაც უნდა განიხილებოდეს დელიქტური სამართლის ჭრილში (სსკ-ის 992-ე მუხლი).

<sup>192</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. მ. ცაცანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 110

<sup>193</sup> იხ. ს. ფინქი, დასახ. ნაშრომი, გვ. 9; იხ. ინტერნეტ-გვერდზე: <<http://kops.ub.uni-konstanz.de/bitstream/handle/urn:nbn:de:bsz:352-opus-10126/magarbsfink.pdf?sequence=1>> [02.09.10 20:58]; ლიბერალური მიდგომის მიხედვით, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით დაცული ინდივიდუალური ავტონომიის სფერო არის თავისუფალი მოქმედების ის სფერო, რომელიც არ ლახავს სხვა ადამიანის თავისუფლებას. იხ. ს. ააპუაშვილი, თავისუფლება-ადკვეთილი პირების უფლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, სტატიათა კრებულში: „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე“ (რედ. ქ. ქორქელია), თბ., 2006, გვ. 240-241

<sup>194</sup> იხ. გ. ივანესქი, დასახ. ნაშრომი, გვ. 41-42

<sup>195</sup> იხ. მ. ცაცანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 110

კერძო ცხოვრების ერთ-ერთი კომპონენტი არის ფიდუციური ურთიერთობის საფუძველზე ინფორმაციის მინდობა, რაც საპროცესო კანონმდებლობაში ხდება საიდუმლოების დაცვაზე აქცენტირებით. ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „b“ პუნქტში საადვოკატო საქმიანობის ერთ-ერთ უძირითადეს პრინციპადაა ჩამოყალიბებული.<sup>196</sup> ინფორმაციის მინდობა ნიშნავს, რომ ეს ინფორმაცია მხოლოდ პირთა შეზღუდული წრისთვის უნდა იყოს ცნობილი. ასეთ ინფორმაციად შეიძლება ჩაითვალოს საოჯახო საქმე-ებში შემავალი ან სექსუალური ცხოვრების შესახებ ინფორმაცია.<sup>197</sup> ამდენად, საადვოკატო საიდუმლოებაში შედის სხვადასხვა სახის ცნობები, რომლებიც აუცილებელია ადვოკატისთვის საქმესთან დაკავშირებით იურიდიული დახმარების აღმოსაჩენად. ამიტომ უმჯობესია საადვოკატო საიდუმლოების ფართო გაგება, რათა მან მოიცვას კლიენტისგან ადვოკატისთვის მიცემული ცნობები, რომელთა გავრცელება კლიენტისთვის არასასურველია.<sup>198</sup>

თუმცა საადვოკატო საიდუმლოების განხილვა მნიშვნელოვანია იმ გაგებით, რომ ამ პროფესიული საიდუმლოების დარღვევა შეიძლება მოექცეს კერძო ცხოვრების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის ფარგლებში. აღნიშნული შეიძლება შეეხოს ადვოკატის მიერ არასათანადო პრაქტიკის წარმოებას, რამაც შესაძლებელია ზიანი გამოიწვიოს და წარმოშვას სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა დელიქტური სამართლის მიხედვით (სსკ-ის 992-1008-ე მუხლები).

სსსსკ-ის მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, გამოძიების პროცესში მხარეს არა აქვს უფლება, თვითნებურად და უკანონოდ ჩაერიოს სხვის პირად ცხოვრებაში. კერძო საკუთრების ან მფლობელობის და ნებისმიერი საშუალებით განხორციელებული კერძო კომუნიკაციის ხელშეუხებლობა გარანტირებულია კანონით. აქ დასაწყისში საუბარია რა პირად ცხოვრებაზე, ივარაუდება, რომ შემდგომი წინადადება მის წინა ფრაზას აზუსტებს, თუმცა მეორე წინადადება შინაარსობრივად ეხება კერძო ცხოვრების საიდუმლოებას. ე. ი. აქაც აღრეულია კერძო და პირადი ცხოვრება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედების ჩამტარებელმა არ უნდა გაამჟღავნოს ცნობები პირადი ცხოვრების შესახებ, ასევე პირადი ხასიათის ცნობები, რომელთა საიდუმლოდ დაცვაც პირს საჭიროდ მიაჩნია. აქ გვხვდება ტერმინი „პირადი ცხოვრება“, თუმცა საქმე კერძო სფეროს შეეხება. მოცემული კოდექსის 67-ე მუხლით პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების ერთ-ერთი საფუძველია საქმის განხილვა იმ ქმედების ჩადენის ფაქტზე, რომლის საჯარო განხილვაც თავისი ბუნებით არსებით ზიანს მიაყენებს პროცესის მონაწილის პირად ცხოვრებას. საქმე ეხება პირადი ამოსაცნობი და იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველი მონაცემების – სახელის, გვარის, მისამართის, სამუ-

<sup>196</sup> საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“ ი. ინტერნეტ-გვერდზე: <[http://gba.ge/pdf/2010/kanoni\\_advokatta\\_shesaxeb.pdf](http://gba.ge/pdf/2010/kanoni_advokatta_shesaxeb.pdf)> [27.05.10 18:36]

<sup>197</sup> ი. პ. მუხლი, დასახ. ნაშრომი, გვ. 50

<sup>198</sup> ი. ლ. კრახაგრივა, დასახ. ნაშრომი, გვ. 154. დეტალურად საადვოკატო საიდუმლოების შესახებ იხილეთ კვლევის საპროცესო ნაწილში

შაო ადგილის, პროფესიის ან სხვა ინფორმაციის ამოღებას ან შეცვლას; ამ მონაცემების გასაიდუმლოებას; ფსევდონიმის მინიჭებას; გარეგნობის თუ საცხოვრებელი ადგილის დროებით ან სამუდამოდ შეცვლას. ეს განპირობებულია პირის დაცვის ინტერესებით. სსსსკ-ის 121-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ პირად ჩხრეგას თან სდევს გაშიშვლება, იგი უნდა ჩაატაროს იმავე სქესის პირმა მხოლოდ იმავე სქესის პირთა მონაწილეობით. საპროცესო მოქმედებები კი უნდა ჩატარდეს პირადი ცხოვრების დაცვით (სსსსკ-ის 125-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ამდენად, აღიარებულია „მგრძნობიარე“ პერსონალური მონაცემების დაცვა საადვოკატო საქმიანობისას დოკუმენტაციების მოძიება-გადამუშავებისა თუ ზოგადად სასამართლო მონაცემების დაცვის სახით.<sup>199</sup>

პერსონალური მონაცემები, როგორც კერძო ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი, დაცულია ასევე კანონით „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“, კანონით „მუზეუმების შესახებ“, კანონით „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“, კანონით „ოპერატიულ-სამქებრო საქმიანობის შესახებ“.<sup>200</sup>

ამდენად, საჯარო სამართალში, მართალია, ტერმინი „კერძო ცხოვრება“ არ გვხვდება, მაგრამ ასპექტების უმეტესობა, რომლებიც პირადი სფეროს დატვირთვით გამოიყენება, კერძო ცხოვრების შინაარსს ატარებს. საჯარო სამართალში „კერძო“-დ მოიაზრება სფერო, რასაც ძირითადად თვით პირი ჩათვლის არასაჯაროდ (ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მიხედვით). ზემოთ განხილულ ასპექტებს აერთიანებს ერთი ცნება – საიდუმლოება. ამიტომ შეიძლება „საიდუმლოების“ ნიშნის მიხედვით გამოიყოს კერძო ცხოვრებაში პროფესიული, სამსახურებრივი და პირადი საიდუმლოებანი. შესაბამისად, აქ აღიარებულია ძირითადად კერძო ცხოვრების, როგორც საიდუმლოების დაცვის თეორია. ამასთან, პროფესიული საიდუმლოება არის პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას მინდობილი ინფორმაცია, რომელიც არ უნდა იყოს სახელმწიფო ან მუნიციპალურ სამსახურში ცნობილი და არ უნდა განეკუთვნებოდეს სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას. საჯაროსამართლებრივი გაგებით პროფესიულ საიდუმლოთა წრეში შედის კავშირგაბმულობის, საადვოკატო, შვილად აყვანის, ადსარების საიდუმლოება. სამსახურებრივ საიდუმლოებაში მოიაზრება კანონით დაცული ინფორმაცია, რომელიც სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოებისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას და მისი ხელმისაწვდომობა კანონითაა შეზღუდული. ამ საიდუმლოების ნაირსახეობად განიხილება საგადასახადო საიდუმლოება,<sup>201</sup> რომლის გამჟღავნება იწვევს დისკიპლინურ, სამოქალაქოსამართლებრივ და სისხლისსამართლებრივ შედეგებს. კერძოსამართლებრივი გაგებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგადასახადო საიდუმლოების ხელყოფისთვის სამოქალაქოსამართლებრივი შედეგები. აქ კი საქმე ეხება დაზარალებულის უფლებამოსილებას, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო წესით (სსკ-ის 992-ე მუხლი). აღნიშნული ემსახურება როგორც პირადი

<sup>199</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. გ. ივანესკო, დასახ. ნაშრომი, გვ. 14-15

<sup>200</sup> იხ. გ. ცაცანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 110

<sup>201</sup> იქვე, გვ. 118-120

ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას, ისე გადასახადის გადამხდელთან დაკავშირებული ინფორმაციის არაკეთილსინდისიერად და არადანიშნულებისამებრ გამოყენების თავიდან აცილებას.<sup>202</sup>

#### 4.1.2.2. საჯარო სამართლით დაცული პირადი ცხოვრების ცნების მოცულობა

პირადი ცხოვრება ასევე უზრუნველყოფილია საქართველოს საჯარო-სამართლებრივი ნორმებით. პირადი სფერო დაცულია ფსიქოლოგიური და ფიზიკური ხელშეუხებლობის სახით სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-3 ნაწილში. ასევე საგულისხმოა, რომ ინტიმური თავისუფლება არის დაცული სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე, 138-ე და სხვა მუხლებით (სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა წრე). რასობრივი თუ ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური თუ პოლიტიკური მრწამსის, სექსუალური თავისუფლების სისხლის-სამართლებრივად დაცვით საქართველოს სისხლის სამართალი „განსაკურებით მგრძნობიარე“ პერსონალურ მონაცემებს<sup>203</sup> იცავს (ამავე კოდექსის 142-ე და 142<sup>1</sup>-ე მუხლები). სწორედ ამ პერსონალური მონაცემების მიმართ სამართლებრივი დაცვის განსაკუთრებულ რეჟიმს უნდა ავრცელებდეს ევროსაბჭოს 108-ე კონვენცია.<sup>204</sup> ამდენად, სისხლის სამართალში პირადი ცხოვრების კონკრეტული გამოვლინებები (პირადი საიდუმლოება, პატივი, ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობა, სქესობრივი ურთიერთობები) აისახა. ამ სიკეთეთა ხელყოფამ შეიძლება გამოიწვიოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი, რაც კონკრეტულ შემთხვევაში სამოქალაქო პასუხისმგებლობის წინაპირობების გარკვევას უკავშირდება. აღნიშნული დელიქტური სამართლის ნორმების გამოყენებას გულისხმობს. ამდენად, მართალია, პირადი ცხოვრების სხვადასხვა მხარე გათვალისწინებულია საჯარო სამართლის ნორმებში, მაგრამ მათი ხელყოფის დროს უზრუნველყოფილია პირადი ცხოვრების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვა.

პირადი ცხოვრების სფეროები დაცულია სსსსკ-შიც. პიროვნების ღირსების ხელშეუვალობა სისხლის სამართლის საპროცესო პრინციპებს შორის კონსტიტუციურ პრინციპად გვევლინება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან ერთად არის ნახსენები (სსსსკ-ის მე-4 მუხლი). ამით აღიარებულია ღირსებისა და პირადი ცხოვრების მჭიდრო კავშირი, რაც გარკვეულ მინიშნებებს შეიცავს ზოგად პიროვნულ უფლებაზე, ვინაიდან ღირსება მისი ცენტრალური რაობაა. სისხლის საპროცესო სამართალსა და კონსტიტუციურ სამართალში გამოკვეთილია ღირსებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის კავშირი. აქ ჩანს გარკვეული მითითებები ზოგად პიროვნულ უფლებაზე, რომელიც კონკრეტიზირდება პიროვნულ ღირებულებ-

<sup>202</sup> ი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოდეგის 2008 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე №2/3/406,408)

<sup>203</sup> ი. მ. ცაცანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 107

<sup>204</sup> ი. ს. Совет Европы. Конвенция о защите личности в связи с автоматической обработкой персональных данных, от января 1981, Спб.: Манускрипт, 1995, გვ. 12

ბებზე აქცენტირებით.<sup>205</sup> შესაბამისად, ზოგადი პიროვნული უფლება არის პირადი ცხოვრების კონსტიტუციურ საფუძვლებსა და კონკრეტულ სამართლების მის დაცვას შორის დამაკავშირებელი ხიდი.

#### 4.1.2.3. კერძო სამართლის კანონმდებლობა კერძო ცხოვრების სფეროების შესახებ

##### ა) ქონებრივი ასპექტები კერძო ცხოვრებაში

პირადი ცხოვრების დაცვის კონსტიტუციურ სამართლებრივი საფუძვლები დაზუსტდა კერძო სამართლებრივი კანონებითაც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირადი სფეროს დაცვის კერძო სამართლებრივი ფუნქციები, რომელებიც არსობრივად განსხვავდება საჯარო სამართლებრივი დაცვის ფუნქციებისაგან.

საგულისხმოა, რომ ცნებები „პიროვნულობა“ და „პირადი ურთიერთობები“ მოიცავს პიროვნებასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ყველა თვისებასა და უფლებას. ის უკავშირდება პირის ყოფა-ცხოვრების, სულიერი და სხეულებრივი ძალების პატივისცემას. ამ შემთხვევაში დაცვის ობიექტი არის ინდივიდის არა რომელიმე უფლება, არამედ პიროვნება („მე“) თავისი ფიზიკურ-სულიერი არსებობით, ყოფა-ცხოვრების პირობებითა და თვითგამორკვევის სოციალური სტრუქტურით. სამართლებრივი სიკეთე არის პიროვნება („მე“) და არა მაგალითად, ჯანმრთელობა, პატივი ან პირადი საიდუმლოების სფერო. ამიტომ, ცხადია, სარჩელები უნდა ეფუძნებოდეს იმას, თუ რამდენად შეიღახა პიროვნება; სწორედ მოცემულ შემთხვევაში შეიძლება მოსამართლეებმა პიროვნების განვითარების ახალ-ახალი შესაძლებლობანი აღმოაჩინონ და, შესაბამისად, ისინი პიროვნების ხელყოფის მუდამ ახალ ფაქტებს აწყდებიან. პირადი საიდუმლო საკუთარი სულიერი არსებობის ნაწილია და აუცილებელია საზოგადოებაში ცალკეულ პირთა თვითგამორკვევისა და პიროვნების დაცვისთვის.<sup>206</sup> ამდენად, პირადი სფეროს შელახვას შეიძლება მოჰყვეს ქონებრივი ზიანი.

ქონებრივი ზიანისთვის პასუხისმგებლობის დადგომა, გარდა ზიანისა, გულისხმობს სხვა პირობებსაც. აქ საქმე ეხება პირადი ურთიერთობების უკანონოდ შელახვას. არაკანონიერი ნიშნავს კანონსაწინააღმდეგოს, დაწერილი ან დაუწერებლი მოთხოვნის ან სამართლებრივი წესრიგის დარღვევას. საიდუმლო სფეროში ნებადართულ და კანონსაწინააღმდეგო ჩარევებს შორის საზღვრების დადგენა ხშირად რთულია. იგი წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტს საიდუმლოების მფლობელის საიდუმლოს შენახვის ინტერესსა და მესამე პირების ინტერესს შორის, რომელიც საიდუმლო სფეროს ინტერესის ხელყოფას ეფუძნება.<sup>207</sup> ამასთან, ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისთვის აუცილებელია დამდგარ ზიანსა და ამ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირისა და ბრალის არსებობა (სსკ-ის 992-ე მუხლი).

<sup>205</sup> იხ. კ. გასურბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 52

<sup>206</sup> იხ. რ. ფონ მაისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 170-171

<sup>207</sup> იქვე, გვ. 172

კერძო ცხოვრების ქონებრივი ასპექტები განსაკუთრებით საგრძნობია კერძო სამართალში, რომელიც პირადი საიდუმლოების დამცავ დებულებებს შეიცავს. მაგალითად, დავალების მიცემა, რომელიც გულისხმობს სახელ-შეკრულებო ურთიერთობას ადგოკატსა და მის მიმნდობს შორის ან შემოსავლებისა და ქონების დაცვა. ადამიანის კერძო სფეროდან ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება გამართლებულია იმ შემთხვევაში, როცა იგი ხორციელდება თვით ამ პირის თანხმობის საფუძველზე; ასევე როდესაც საქმე ეხება საჯარო პირებს.<sup>208</sup> საგულისხმოა, რომ კერძო სფეროს ქონებრივი ასპექტები უკავშირდება უნებართვო სარგებლობას, რომელიც სახელისა და გამოსახულების გამოყენებას ეხება. ამ შემთხვევებში შესაძლოა პირის ქონებრივი ინტერესი შეიღაბოს.<sup>209</sup>

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, ამ დოკუმენტის მე-12 მუხლის მიხედვით, არ შეიძლება თვითნებური ჩარევა პირად და საოჯახო საქმეებში, საცხოვრისისა და კორესპონდენციის საიდუმლოების, ღირსებისა და რეპუტაციის თვითნებურად ხელყოფა. ყოველ ადამიანს კანონით აქვს ამგვარი ჩარევისა და ამგვარი ხელყოფათაგან თავის დაცვის უფლება.<sup>210</sup>

ასევე სსკ-ის მე-18<sup>1</sup> მუხლი ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების მიღების შესაძლებლობას. ამ ნორმის მიზანია პირთათვის სამართლებრივი გარანტიების შექმნა. მაგალითად, მსესხებელს დაუყოვნებლივ შეუძლია მოითხოვოს ვალის დაბრუნება, თუ მას აქვს ჩანაწერები მისი ფინანსური მდგომარეობის არსებითად გაუარესების შესახებ და ამით საფრთხე ემუქრება სესხის დაბრუნებას. ამიტომ მსესხებელს, სსკ-ის მე-18<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, აქვს უფლება, გაეცნოს ამ ჩანაწერებს და მიიღოს მისი ასლები.<sup>211</sup> ამასთან, სსკ-ის მე-18<sup>1</sup> მუხლის შინაარსი ევროსაბჭოს 108-ე კონვენციის შესაბამისი დებულებიდან უნდა მომდინარეობდეს. თვით ევროსაბჭოს მიზანია, მონაწილე ქვეყნების ტერიტორიაზე პერსონალური მონაცემების ავტომატიზებულ დამუშავებასთან დაკავშირებით კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა. მაშასადამე, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას პლუს პერსონალურ მონაცემთა ავტომატიზებული დამუშავება უდრის მონაცემთა დაცვას.<sup>212</sup> მართალია, ამ კუთხით საქართველოში 2009 წლამდე არ არსებობდა ამ ტიპის კანონები, მაგრამ დღეს ეს ხარევზი შეივსო და დასახელებულ კანონებშიც აისახა ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავება თუ გამოყენება. ამით კი საქართველოს კანონმდებლობა საერთაშორი-

<sup>208</sup> იბ. კ. კუბალაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 114

<sup>209</sup> იბ. ო. ნინიძე პირადი არაქონებრივი უფლებები, წიგნში: „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“, წ. I, თბ., „სამართალი“, 2002, გვ. 59

<sup>210</sup> იბ. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, საკანონმდებლო აქტების კრებული (კრებულის შემდგენელი: პ. ცხობილაძე), თბ., 2002, გვ. 162

<sup>211</sup> იბ. პ. (თ.) მონიაზა, პერსონალური მონაცემების მიღების უფლება სამოქალაქო სამართალში, „ცხოვრება და კანონი“, 2009, №2 (6), გვ. 17

<sup>212</sup> ამ სახის ინფორმაცია განეცუთვნება „განსაკუთრებით მგრძნობიარე“ მონაცემთა წრეს. იბ. პ. ცაცანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 107

სო პარმონიზაციას დაექვემდებარა<sup>213</sup> და გამოიკვეთა, რომ კერძო ცხოვრების ეს ნაწილიც მოექცა სამართლებრივი რეგულირების ფარგლებში.

კერძო ცხოვრება ასახვას ჰქონდებს ასევე განდობილი ინფორმაციის შენახვის მოვალეობაში, რომელიც ფრენშაიზინგის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოიშობა (სსკ. 610-ე მუხლი). დავალების ხელშეკრულებაც ითვალისწინებს საიდუმლოს დაცვის მოვალეობას, რაც სახელშეკრულებო ურთიერთობების დამთავრების შემდეგაც გრძელდება (სსკ. 714-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები). ასევე კერძო სფეროს გამოვლინებაა ანგარიშებთან დაკავშირებული საიდუმლოება, რომელიც საკრედიტო დაწესებულებაშ უნდა დაიცვას ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც (სსკ. 863-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები). ამასთან, განისაზღვრა, რომ პირმა, რომელიც განზრას ან გაუფრთხილებლად ავრცელებს ან ახმაურებს სხვა პირისთვის ქონებრივი ზიანის მომზან ფაქტებს, უნდა აანაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი, თუ ეს ფაქტები აშკარად არასწორია. თუმცა ზიანის ანაზღაურების მოვალეობა არ წარმოიშობა ისეთი გამონათქვამებისას, რომლებიც კანონიერი საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას ემსახურება (სსკ. 993-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები). ესეც აშკარად გამოკვეთს ქონებრივ მომენტებს კერძო ცხოვრებაში. ამით კერძო ცხოვრების მოცემული მხარეები მოექცა კერძოსამართლებრივი რეგულირების სფეროში.

### ბ) საიდუმლოება, როგორც კერძო ცხოვრების ელემენტი

კერძო სფეროს გამოვლენის ფორმად შეიძლება ჩაითვალოს საიდუმლოება. იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების მიხედვით, საიდუმლოება მოიცავს ფაქტებს, რომლებიც მხოლოდ ცალკეული პირისთვის ან პირთა შეზღუდული წრისთვის<sup>214</sup> ან სულაც არაა პირთა შეუზღუდავი წრისთვის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, საიდუმლოება ეხება გარემოებებს, რომლებიც არსებულ და განვლილ ცხოვრებისეულ ურთიერთობებს უკავშირდება, სახელდობრ: განსაზღვრულ განზრახვებს, მიზნებს, წარმოდგენებებს, მოსაზრებებს, შეფასებებს, ხასიათის გამომხატველ ნიშნებს. აღნიშნული, ბუნებრივია, უკავშირდება პირებს, რომლებმაც შეიტყვეს ეს ინფორმაცია ან თანამონაწილეთა წრეს, ვისთვისაც ხელმისაწვდომი გახდა მოცემული ცნობები.<sup>215</sup> სწორედ ამ პირთა წრის მიერ საიდუმლოების დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოვლინებად მიიჩნევა პროფესიული საიდუმ-

<sup>213</sup> იხ. განმარტებითი ბარათი „სსკ-ში დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 14 მარტის №5919-І-ს კანონზე. აქ საგულისხმოა 1985 წლის 14 ივლისის შენგანსკის შეთანხმება, რომელსაც ხელი მოაწერეს საფრანგეთმა, გერმანიამ, ბელგიამ, ლუქსემბურგმა და ნიდერლანდებმა, თუმცა მოგვიანებით ამ აქტს შეუკრთდა ევროსაბჭოს ეკონომიკური სახელმწიფო (გარდა დანიისა და ლიბიის ბრიტანეთისა). იხ. ვ. ივანეს გამოვლინება პროფესიული საიდუმ-

<sup>214</sup> იხ. H. Tröndle, T. Fischer, Kommentar zum StGB, O. Schwarz, fortgeführt von E. Dreher, H. Tröndle, 51. Aufl. bearbeitet von T. Fischer, München, 2003, § 203 Rdn. ციტირებულია: J. Körke, Bedeutung des § 203 Abs. 1 Nr. 5 StGB für Private Krankenversicherer, insbesondere bei der innerorganisatorischen Geheimnisweitergabe (Dissertation), Tübingen, 2003, გვ. 30

<sup>215</sup> იხ. ი. კორეკ, დასახ. ნაშრომი, გვ. 30, 31-33

ლოების დაცვა.<sup>216</sup> ამასთან, სადაცოდ რჩება საკითხი იმის შესახებ, საიდუმლოება შეიცავს საიდუმლოს შენახვის ნებას თუ ინტერესს. ეს პრობლემა ასევე უკავშირდება მსჯელობას იმის თაობაზე, უფლება გამოხატავს ნებას თუ ინტერესს. აღნიშნული ეხება ნებისა და ინტერესთა თეორიებს, რომლებიც ფსიქოლოგიურ-ინდივიდუალურ ასპექტებს გულისხმობს<sup>217</sup> და საიდუმლოების იურიდიულ შინაარსს ვერ ხსნის. ამასთან, რთულია იმის განსაზღვრა, ფაქტობრივი ნება შეესაბამება თუ არა ნაგულისხმევ ნებას. ინტერესთა თეორიის მიხედვით, საქმე ეხება იმას, შეესაბამება თუ არა ცნობების გავრცელება უფლებამოსილი პირის ინტერესს (იგულისხმება გონივრული ინტერესი).<sup>218</sup> ეს საიდუმლოების სუბიექტურ მომენტებს ასახავს, საიდუმლოების დაცვის თვალსაზრისით კი მნიშვნელოვანია ობიექტურ ფაქტორებზე დაფუძნებული გარემოებანი, რათა ის იურისპრუდენციის კვლევის სფერო გახდეს. ამიტომ უმჯობესია, ეს დეტალები „ობიექტური“ სამართლის ჭრილში განიხილებოდეს.

ამ გაგებით საიდუმლოება შეიძლება გამოვლინდეს პირად და პროფესიულ საიდუმლოებებში. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „ნ“ პუნქტის მიხედვით, პირადი საიდუმლოება არის პირადი ფასეულობის მქონე ინფორმაცია, რომლის საიდუმლოობის დაცვასაც მოითხოვს კანონი, ყველა ის ინფორმაცია და გარემოება, რომელთან დაკავშირებითაც პირს აქვს კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის გონივრული მოლოდინი. ის, თუ რა ითვლება „გონივრულ მოლოდინად“ შეფასებითია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დეტალური შესწავლის შედეგად უნდა დადგინდეს. ამავე კანონის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პირადი საიდუმლოების დაცვის მოტივით არ შეიძლება შეიზღუდოს გამოხატვის თავისუფლება, თუ ეს აუცილებელია ადამიანისთვის დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განსახორციელებლად.

ამასთან, კერძო ცხოვრების საიდუმლოებას უკავშირდება პროფესიული საიდუმლოებები – სანოტარო მოქმედების საიდუმლოება („ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი), სამედიცინო (საექიმო) საიდუმლოებასა თუ პაციენტთა პირად უფლებებს („ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3, მე-6 და სხვა მუხლები).<sup>219</sup> საერთოდ, ურთიერთობა მედიცინის მუშაკსა და ავადმყოფს შორის აიგება აბსოლუტურ ნდობაზე. ავადმყოფი სწორედ ნდობის გამო გადასცემს თავისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან, პირად (ინტიმურ) ცნობებს ექიმს. სამედიცინო საიდუმლოება მოიცავს როგორც თვით ავადმყოფის მიერ მედიცინის მუშაკისთვის გადაცემული ან თვით გამოკვლევა-დათვალიერებისას მიღებული ცნობებს, ისე ავადმყოფის შესახებ მონაცემებს, რომლებიც არ უნდა გააცნოს ამ უკანასკნელს მედიცინის მუშაკმა.<sup>220</sup> ამასთან, დავალების

<sup>216</sup> პროფესიული საიდუმლოების ცალკეული გამოვლინების შესახებ იხ. თემის საპროცესო ნაწილში.

<sup>217</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ო. გამყრელიძის შესავალი ო. სურგულაძის წიგნზე „ხელისუფლება და სამართალი“, თბ., საია, 2002, გვ. 24-26

<sup>218</sup> იხ. ო. კორკე, დასახ. ნაშრომი, გვ. 36-37

<sup>219</sup> იხ. ვ. ივანესი, დასახ. ნაშრომი, გვ. 14

<sup>220</sup> იხ. Б. Петров, Врачебная тайна, «Фельдшер и якушерка», 1974, №1, გვ. 54-55

ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშობა საიდუმლოება, რომელიც უნდა დაიცვას მინდობილმა პირმა. საბანკო თუ საანგარიშსწორებო ურთიერთობებშიც აუცილებელია საიდუმლოების დაცვა, რომელიც განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მომხმარებელთათვის.<sup>221</sup>

პროფესიული საიდუმლოების ზემოთ წარმოდგენილი გამოვლინებების შემთხვევაში შესაძლებელია პირადი სფეროს ხელყოფა. აქ მნიშვნელოვანია კერძო ინტერესის დაქმაყოფილება. ამასთან, პირადი ცხოვრების დაცვის უფლების ხელყოფა კი ვალდებულების წარმოშობის საფუძველია (სსკ-ის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწ.). აღნიშნული, თავის მხრივ, დელიქტური ვალდებულებების შესახებ ნორმებს აამოქმედებს, ვინაიდან საქმე ეხება აბსოლუტური უფლების შელახვას. ამ უფლების ხელყოფას შეიძლება მოჰყვეს არაქონებრივი ან/და ქონებრივი ზიანი, რომელთა ანაზღაურება გარკვეული წინაპირობების კუმულატიურად არსებობას გულისხმობს (სსკ-ის 992-ე მუხლი).<sup>222</sup> ამდენად, პროფესიული საიდუმლოების აღნიშნულ გამოვლინებათა დაცვა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ კერძო ცხოვრების ეს ასპექტები იყოს წარმოდგენილი სამოქალაქოსამართლებრივ ცნებებსა და კატეგორიებზე დაყრდნობით კერძოსამართლებრივ დაცვის ფორმებში.

## გ) საოჯახო ცხოვრება

კერძო სფერო ასევე შეიძლება საოჯახო ცხოვრებაშიც გამოიხატოს. საგულისხმოა, რომ სსკ-ის 1106-ე მუხლის თანახმად, ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით მამაკაცისა და ქალის ნებაყოფლობითი სამისდღეშიო ხასიათის კავშირი, რომელიც სამოქალაქო რეესტრის ტერიტორიულ სამსახურში რეგისტრირდება. ამ კავშირის სახელმწიფო რეგისტრაცია წარმოშობს მეუღლეთა შორის უფლება-მოვალეობებს.<sup>223</sup> ამდენად, საქმე უნდა შეეხოს საოჯახო ცხოვრების ინტიმს, რაც ნათლად გამოკვეთს პირის კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის მოლოდინის არსებობას.

ამასთან, მეუღლეთა ურთობლივი თანაცხოვრების ფარგლებში შეიძლება მინდობილი ინფორმაციის დაცვის მოვალეობა წარმოშვას. მაგალითად, მოპასუხემ მოსარჩევესთან ურთიერთობაში უნდა დაიცვას მინდობილი ინფორმაციის საიდუმლოება. განსაკუთრებულ დაცვაში მოიაზრება მეუღლეთა ურთიერთობა. საიდუმლოების შენახვის მოვალეობა მეუღლეთა აზრის გათვალისწინებით საოჯახო საშინაო საქმეებში ოჯახის არსებობისა და დაცვის მოთხოვნილებით შეიძლება დასაბუთდეს; ოჯახური ურთიერთობა მოითხოვს ნდობას და შეიძლება მაშინაც ფუნქციონირებდეს, თუ ეს ნდობა განქორწინების შემდეგ გაგრძელდება.<sup>224</sup>

<sup>221</sup> საბანკო საიდუმლოების შესახებ იხ. მ. ცაცანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 117-119

<sup>222</sup> აქ მნიშვნელოვანია აღნიშნული ასპექტების კერძოსამართლებრივ ფორმებში ასახვა. ამ და დელიქტური ვალდებულებების თავისებურებების შესახებ იხ. დისერტაციის მე-3 თავი.

<sup>223</sup> იხ. რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართლი, მე-2 გამოცემა, თბ., „მერიდიანი“, 2011, გვ. 66-71

<sup>224</sup> იხ. პ. მუხრანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51, 52; შეად. რ. შენგელია, ე. შენგელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 13-15

## დეკრძო სამართლით დაცული პირადი ცხოვრების ცნების მოცულობა

როგორც აღინიშნა, პირადი ცხოვრება უშუალოდ პიროვნებასთან მჯიდროდ დაკავშირებული სფეროა. პირადი სფერო შედის კერძო სფეროში, შესაბამისად, გაცილებით ვიწროა, ვიდრე კერძო ცხოვრება.<sup>225</sup> პირადი სფეროს გამოვლინებაა სახელი და გამოსახულება, ვინაიდან ისინი ინდივიდუალობის განვითარებას ეხება. სახელის განხილვაც მნიშვნელოვანია იმ გაგებით, რომ სახელის შედახვას შეიძლება მოჰყვეს კერძო ცხოვრების ხელყოფა. სახელი სოციალური მოვლენაა, საზოგადოება კარნახობს პირს მისი არჩევის აუცილებლობას.<sup>226</sup> სახელი, თავის მხრივ, მოიცავს სახელსა და გვარს (სსკ-ის მე-17 მუხლი). ამავე კოდექსის მე-18 მუხლში დაცულია მორალური ხელშეუხებლობა, როგორც კერძო ცხოვრების ერთ-ერთი კომპონენტი: პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა შელახვისგან. ასევე დაცულია გამოსახულება, რაც პირადი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. სსკ-ის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ ამ სიკეთების ხელყოფი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, პირს შეუძლია საპასუხო ცნობების გამოქვეყნება იმავე საშუალებებში. მოცემული მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირადი სფეროს დაცვა ხდება, მიუხედავად ხელყოფის ბრალისა.

ამასთან, კერძოსამართლებრივად დაცულია „განსაკუთრებით მგრძნობიარე“ მონაცემები ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობების დაცვის სახით. ასევე მორალური თუ ფიზიკური ხელშეუხებლობის დაცვა უკავშირდება „მგრძნობიარე“ პერსონალურ მონაცემებს. არაქონებრივი ზიანი ანაზღაურდება ორ შემთხვევაში: 1) პირადი არაქონებრივი უფლებების ბრალეული შელახვისა (სსკ. მე-18 მუხლი) და 2) სხეულის ან ჯანმრთელობის ხელყოფის დროს (სსკ. 413-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ამით კერძოსამართლებრივადა გამყარებული მორალური და ფიზიკური ხელშეუხებლობაც.

ასევე საგულისხმოა, რომ სსკ არ შეიცავს ნორმას, რომელიც ეხება სინამდვილის შესაბამისი ცნობების გავრცელებისას პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფას. ეს ხარვეზი შეავსო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, როცა მან გაიზიარა მოსარჩევის პოზიცია, რომ გაზეთში გავრცელებული ცნობები მოსარჩელის გაუპატიურების შესახებ, მიუხედავად

<sup>225</sup> ამასთან, არის მოსაზრება, რომლის თანახმად, პირადი ცხოვრება და კერძო ცხოვრება სინონიმებია ისევე, როგორც პირადი ცხოვრების საიდუმლოება და პირადი საიდუმლოება. იხ. თ. (პ.) მონიაზა, სამოქალაქო სამართლის სუბიექტები, თბ., 2011, გვ. 102-103

<sup>226</sup> იხ. თ. ნინიძე სახელის უფლების შინაარსი, „საბჭოთა სამართლი“, 1976, №1, გვ. 29

ინფორმაციის სისტორისა, პატივისა და პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფაა (სსკ-ის 992-ე მუხლი).<sup>227</sup>

ზემოგანხილულიდან გამომდინარე, პირად სფეროდ უნდა მოიაზრებოდეს ის, რისი გავრცელებაც პირს არ სურს; გამოხატულია პირთან მჯიდროდ დაკავშირებულ გამოვლინებებში (პატივი, ღირსება, პერსონალური მონაცემები, პირადი საიდუმლოება, სახელი, გამოსახულება...) და ესება ინდივიდის ნების ავტონომიის გამოვლინების სფეროს. რაც შეეხება პირად საიდუმლოებას, ის უშუალოდ პირის ინდივიდუალობასთან (პიროვნებასთან) მჯიდროდ დაკავშირებული ინფორმაციაა, რომელიც არ ექვემდებარება გავრცელებას თვით ამ საიდუმლოების მფლობელის ნებართვის გარეშე.<sup>228</sup> თუმცა პირადი სფეროს უმნიშვნელოვანები ელემენტები სრულად არაა კერძო სამართლით დაცული. ამდენად, ეს მომენტები ზოგადი პიროვნული უფლების არსს უკავშირდება.<sup>229</sup> დირსების დაცვა ხომ ზოგადი პიროვნული უფლების ძირითადი ამოცანაა.<sup>230</sup> დირსება კი დაცულია სამოქალაქო სამართლით. აღნიშნული ზოგად პიროვნულ უფლებასა და დირსების დაცვას შორის კავშირზე მეტყველებს.

## მოკლე დასკვნა

კერძო სამართლში დაცულია კერძო სფეროს გარკვეული დეტალები ქონებრივი, საოჯახო, პირადი თუ სხვა მომენტების სახით. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა კერძო ცხოვრების ცნების მოცულობა, რაც საკმაოდ ფართოა. თუმცა გარკვეული სახის პირად სფეროს კერძო სამართლი იცავს. ამდენად, კერძო ცხოვრება არის დაუსაბუთებელი ჩარევის გარეშე არასაზოგადოებრივ სფეროში მოქმედება და უნდა იყოს დაცული უსაფუძვლო ჩარევებისგან, რასაც შეუძლია მისი უფლების ხელყოფა ან მისთვის სულიერი ტანჯვის მიყენება თუ ჩვეულებრივი გრძნობის დაკნინება.<sup>231</sup> ამასთან, კერძო სამართლშიც მიზანშეწონილია „საიდუმლოების“ კრიტერიუმით დაიყოს კერძო სფეროს შემადგენელი ელემენტები: კერძო ცხოვრების საიდუმლოება (საბანკო საიდუმლოება, პროფესიული საიდუმლოება) და პირადი საიდუმლოება. ცხადია, რომ საქართველოს კანონმდებლობაში კერძო ცხოვრება ძირითადად გაგებულია, როგორც საიდუმლოება, თუმცა კერძო ცხოვრების მასშტაბის გადმოსაცემად აუცილებელია სხვა თეორიებიდანაც გარკვეული ელემენტების გათვალისწინება.

<sup>227</sup> იხ. Л. Чантурия, Свобода и ответственность, право и правосудие постсоветской эпохи, Тб., 2004, САНИ, გვ. 164-165.

<sup>228</sup> პირადი უფლებების კლასიფიკაციის სხვადასხვა კრიტერიუმის შესახებ იხ. ქ. ჩიკვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, გვ. 20-22

<sup>229</sup> იხ. ქ. გასურბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 48-57

<sup>230</sup> იხ. ქ. კუბლაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 104

<sup>231</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. ქ. კუტროხიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 165-166

## 4.1.3. პირადი ცხოვრების შინაარსი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით

### 4.1.3.1. პირადი ცხოვრების დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

პირადი სფეროს დაცვის სამართლებრივ საშუალებათა შორის უნდა გამოიყოს სასამართლო პრაქტიკის როლი. ამ თვალსაზრისით ანგარიშგა-საწევია საქართველოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, საერთაშორისო კონვენციები.

საერთაშორისო ხელშეკრულებათა ადგილი საქართველოს კანონმდებლობაში ძირითადად განისაზღვრება რამდენიმე ნორმატიული აქტით.<sup>232</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.“ „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილისა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს ნორმატიული აქტია. ასევე „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, თუ უცხო ქვეყნის სამართლის ნორმები ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს, მაშინ უცხო ქვეყნის სამართლის ნორმები არ გამოიყენება. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება სასამართლოს მიერ მნიშვნელოვანია, თუ ასეთი გამოყენებით სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელსაც ვერ მიიღებდა მისი გამოყენების გარეშე<sup>233</sup> საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება კი ქვეყნის კანონმდებლობის ნაწილი ხდება მისი ტექსტის ოფიციალურად გამოქვეყნების მომენტიდან. „on obligat lex nisi promulgata“ – კანონი არ ავალდებულებს, თუ არაა გამოქვეყნებული.<sup>234</sup> ასევე „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლშიც საუბარია ამ კანონის განხილვაზე საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი გალდებულებების, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად.<sup>235</sup>

<sup>232</sup> იხ. ქ. კორეკტილია, სასამართლოს როლი საერთაშორისო ხელშეკრულების გამოყენებაში, „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1998, №1, გვ. 103

<sup>233</sup> იხ. ქ. კორეკტილია, ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება, თბ., ევროპის საბჭო, 2007, გვ. 26-27, 48

<sup>234</sup> იხ. ქ. კორეკტილია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბ., ევროპის საბჭო, 2004, გვ. 46

<sup>235</sup> იხ. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის სახელმძღვანელო, მე-19 მუხლი – გამოხატვის თავისუფლების გლობალური კომპანია, 2005 წლის მაისი, გვ. 26

ამდენად, დაშვებულია პრეცედენტული სამართლის გამოყენებაც, რომელიც იძლევა განმარტების შედარებით ფართო შესაძლებლობებს.

### ა) პირადი ცხოვრების გაგება ადამიანის უფლებათა ეკროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით

პირადი ცხოვრების დაცვის საქმეში საკვანძო წერტილად ითვლება ადამიანის ღირსება. ინდივიდის სწორედ ამ უფლებიდან გამომდინარეობს სახელმწიფოს მიერ თავისუფალი საიდუმლო სფეროს აღიარება. სახელმწიფოს მიერ სამოქალაქო, სისხლის ან ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ადამიანის უფლებათა ეკროპული კონვენციის განხორციელებით საიდუმლო სფეროს ხელყოფის მრავალი შესაძლებლობა იზღუდება.<sup>236</sup>

ადამიანის უფლებათა ეკროპულმა სასამართლომ ფაქტობრივად გაიზიარა თეორიაში დამკვიდრებული დებულებები ზოგადი და განსაკუთრებული პიროვნული უფლებების შესახებ. პირადი ცხოვრების დაცვის უფლება, პარივი სცენ მის ღირსებასა და ინდივიდუალობას, უპირისპირდება განსაკუთრებულ პიროვნულ უფლებებს, რომლებიც ზოგადი უფლების გამოვლინებაა.<sup>237</sup> ამის გავლენით ადამიანის უფლებათა ეკროპულმა სასამართლომ პირად სფეროში შეიტანა პირადი ინფორმაციის შეგროვება-დამუშავებასა და შენახვასთან დაკავშირებული საკითხები.<sup>238</sup> პირადი ცხოვრების ელემენტთა შორის გამოიყო ასევე სახელის დაცვა,<sup>239</sup> სქესობრივი ურთიერთობების თავისუფლება<sup>240</sup>, ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობა<sup>241</sup>, პროფესიული საქმიანობის დროს დამყარებული ურთიერთობები<sup>242</sup>... თუმცა აქ პირადი ცხოვრება კერძო ცხოვრების დატვირთვითაა გაგებული.

როგორც ითქვა, კერძო ცხოვრების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია პირადი მონაცემების შეგროვება-დამუშავება და შენახვა. პირადი ინფორმაციის თავმოყრა თვით უფლებამოსილი პირის თანხმობით უნდა მოხდეს, თუმცა ევროკონვენციის მე-10 მუხლშია გათვალისწინებული ორი გამონაკლისი, კერძოდ, პირადი ინფორმაციის შეგროვება დასაშვებია ამ პირის ნებართვის გარეშეც: ა) დანაშაულთან ბრძოლისა და გამოძიების<sup>243</sup> ან ბ) ეროვნული უსაფრთხოებისა და უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე.<sup>244</sup> ასევე დასაშვებია მესამე პირისთვის ეჭვმიტანილის ფოტოსურათის გადაცემა, თუ ის დანაშაულის გამოძიებას ემსახურება და ფოტოსურათი

<sup>236</sup> იბ. რ. ფონ მაისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 164

<sup>237</sup> იბ. მარი-დერქეს ფრიძი, დასახ. ნაშრომი, გვ. 6

<sup>238</sup> იბ. *Gaskin v. the United Kingdom*, 1989 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება

<sup>239</sup> იბ. *B. v. France*, 1992 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება

<sup>240</sup> იბ. *Dudgeon v. the United Kingdom*, 1981 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება

<sup>241</sup> იბ. *X and Y v. Netherlands*, 1985 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება

<sup>242</sup> იბ. *Niemietz v. Germany*, 1992 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება; *P.G. and J.H. v. United Kingdom*, 2001 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება

<sup>243</sup> იბ. *McVeigh, O'Neill and Evans v. the United Kingdom*, 1981 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება

<sup>244</sup> იბ. *Leander v. Sweden*, 1987 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება

საპროცესო წესების დაცვითაა მოპოვებული.<sup>245</sup> კონვენციის მე-8 მუხლის ნორმები გავრცელდა ასევე სახელისა და გვარის თუ სხვა სახის პირის მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციაზე. აქ შეიძლება საქმე შეეხოს სქესის შეცვლას. სასამართლომ ასევე განსაზღვრა, რომ პირის ნების შემთხვევაში საიდუმლო უნდა გახდეს სქესის შეცვლის შემდეგ ძველი პირადობის დამადასტურებელი ინფორმაცია.<sup>246</sup> ასევე დასაშვებია სამედიცინო ინფორმაციის გავრცელება ეფექტური გამოძიებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველსაყოფად, მიუხედავად ამ ინფორმაციის პირადი ხასიათისა.<sup>247</sup> ამასთან, მართალია, სასამართლომ შეიძლება მოითხოვოს პირის გონიერივი მდგომარეობისა და შესაბამისი სამედიცინო მკურნალობის შესახებ ინფორმაცია, მაგრამ ის არ უნდა გახმაურდეს, თუ არაა ამისი აუცილებლობა. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ მიიღო ამ ტიპის ინფორმაცია საავადმყოფოსგან და მოგვიანებით გაახმაურა საჯარო სხდომის დროს, რომელსაც ესწრებოდნენ მხარეები და სხვა პირები. აღნიშნულს შედეგად მოჰყვა იმ პირთა წრის გაფართოება, რომელთათვისაც ცნობილი გახდა პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული წვრილმანები. ამით კი შეილახა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება, მით უმეტეს, თუ ამ დეტალებს არ შეეძლო გავლენა მოეხდინა სასამართლო პროცესის შედეგზე.<sup>248</sup>

გარდა ამისა, მართალია, ადამიანის უფლებათა ეკროკონვენციის მე-8 მუხლი არ მოიცავს რაიმე სახის მინიშნებას გვარებთან დაკავშირებით, მაგრამ გვარი პირადი და საოჯახო ცხოვრების ელემენტია, რადგან ის ინდივიდთა პირადი იდენტიფიცირების საშუალებაა.<sup>249</sup> იგივე შეიძლება ითქვას სახელზეც<sup>250</sup> საქართველოს კანონმდებლობა ამ თვალსაზრისით გაცილებით დახვეწილია, ვინაიდან პირდაპირ ითვალისწინებს, რომ სახელი მოიცავს სახელსა და გვარს (სსკ. მე-17 მუხლი). შესაბამისად, სსკ-ი იძლევა საშუალებას, რომ დაცვა გავრცელდეს გვარზეც.

აქვე საგულისხმოა, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა მოიცავს ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობას, მის იდენტიფიკაციასა და სხვა ელემენტებს. გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ განსაზღვრა, რომ ფოტოები და სტატიები ექსკლუზიურად პირის პირადი ცხოვრების დეტალებს ეხება, რადგან თუ ამ ფოტოების გამოქვეყნებას არ შეაქვს რაიმე სახის წვლილი საჯარო დებატებში და არ ასრულებს ოფიციალურ ფუნქციას, მაშინ ისინი ყოველდღიური ყოფითი ცხოვრების ამსახველი სცენებია, რომელთაც პირადი ხასიათი აქვს.<sup>251</sup> ამდენად, პირადი ცხოვრება უკავშირდება სხეულებრივ და სოციალურ იდენტობას ისე, როგორც პიროვნების განვითარების უფლებას. ადამიანის უფლებათა ეკროპული კონვენციის მე-8

<sup>245</sup> ი. მ. *Doorson v. Netherlands*, 1993 წლის 29 ნოემბრის რეზოლუცია, ასევე *Doorson v. Netherlands*, 1996 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება

<sup>246</sup> ი. მ. *B. v. France*, 1992 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება

<sup>247</sup> ი. მ. *Z. v. Finland*, 1997 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება

<sup>248</sup> ი. მ. *Panteleyenko v. Ukraine*, 2006 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება

<sup>249</sup> ი. მ. *Stjerna v. Finland*, 1994 წლის 25 ნოემბრის განაჩენი

<sup>250</sup> ი. მ. *Guillot v. France*, 1996 წლის 24 ოქტომბრის განაჩენი

<sup>251</sup> ი. მ. BGH 128, 1-Caroline von Monaco-Entscheidung I; BGH, NJW 1996, 984, 985-Caroline von Monaco-Entscheidung II.

მუხლში მოთავსებულია პირის ავტონომიის პრინციპი, მისი თვითგამორკვევის საფუძვლები.<sup>252</sup> თუ პირის მიმართ ფიზიკური ძალადობა, სხეულებრივი სასჯელები ცდება დაშვებულ ფარგლებს, საქმე ეხება ევროპის კონკენციის მე-8 მუხლის დარღვევას.<sup>253</sup>

ამასთან, სექსუალური ცხოვრების წესის წინააღმდეგ სანქციების დაწესება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პირდაპირი ხელყოფის გამოვლინებაა. სქესობრივი ურთიერთობის თავისუფლება გულისხმობს სქესობრივი ცხოვრების წესის დამოუკიდებლად არჩევას.<sup>254</sup> თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აქაც დააწესა გარკვეული მორალური ზღვარი, კერძოდ, თუ საკითხი არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვას შეეხება, სახელმწიფო უფლებამოსილია, გამოიყენოს ამკრძალავი ზომები.<sup>255</sup> ასევე სასამართლომ ჯგუფური სექსუალური ქმედებები, რომლებიც ახალი ადამიანების მონაწილეობისკენ, სცენების გადაღებისა და გავრცელებისკენაა მიზანმიმართული, არ მოათავსა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დაცვის ფარგლებში.<sup>256</sup> თუმცა ჯგუფური სექსი, რომელიც ამ სახის ინფორმაციის გავრცელებას არ ისახავს მიზნად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ინტიმურ სფეროდ მიიჩნია და გაავრცელა ევროკონვენციის მე-8 მუხლის მოქმედება.<sup>257</sup> ასევე ზოგიერთი საიდუმლოება, მაგალითად სამედიცინო საიდუმლოება არ წყდება პაციენტის სიკვდილით, არამედ მისი გარდაცვალების შემდეგაც გრძელდება. პაციენტის ავადმყოფობის ისტორია მისი გარდაცვალების შემდეგაც რჩება საიდუმლო.<sup>258</sup>

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საოჯახო ურთიერთობები ადამიანის შინაგან სამყაროს მიაკუთვნა და მასზე გაავრცელა ევროკონვენციის მე-8 მუხლი.<sup>259</sup> ოჯახურ ცხოვრებაში სასამართლო აერთიანებს ქორწინების ფარგლებში არსებულ მეუღლეებსა და შვილებს შორის ურთიერთობას, თუ ქორწინების მიზანია ოჯახის შექმნა. თუმცა ოჯახურ ცხოვრებად მოიაზრება სამართლებრივი გაფორმების გარეშე პირთა და მათ შვილთა თანაცხოვრებაც, თუ ეს თანაცხოვრება ატარებს ხანგრძლივ და სტაბილურ ხასიათს.<sup>260</sup> განსაკუთრე-

<sup>252</sup> ი. *Jens Meyer-Ladewig*, Menschenwürde und Europäische Menschenrechtskonvention, NJW, 2004, 57. Jahrgang, 1. Halbband, გვ. 983

<sup>253</sup> ი. მ. ოქრუგაშვილი, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, 2008, გვ. 57

<sup>254</sup> ი. *Dudgeon v. the United Kingdom*, 1981 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება

<sup>255</sup> ი. *Norris v. Ireland*, 1988 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება

<sup>256</sup> ი. *Laskey, Jaggard and Brown v. the United Kingdom*, 1997 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება

<sup>257</sup> ი. *ADT v. the United Kingdom*, 2000 წლის 31 ივნისის გადაწყვეტილება

<sup>258</sup> ი. მარი-დერეს ფრიკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 10

<sup>259</sup> ი. მ. ოქრუგაშვილი, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, 2005, გვ. 53

<sup>260</sup> ი. *Johnston v. Ireland*, 1986 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება; საოჯახო ცხოვრებით სარგებლობისთვის არაა აუცილებელი ქორწინება, ე. ი. ევროკონვენციის მე-8 მუხლი ეხება დედასა და მის შვილს შორის არსებულ ურთიერთობას, მიუხედავად მშობლის საქორწინო მდგრმარეობისა. ი. *Marckx v. Belgium*, 1979 წლის 13 ივნისის განაჩენი; საქმეში „*Kerkhoven v. the Netherlands*“ დადგინდა, რომ ორ ქალსა და ახალშობილს შორის არსებული სტაბილური ურთიერთობები არ იყო ოჯახური ცხოვრება (განაცხადი №15666/89, *Kerkhoven, Hinke & Hinke v. the Netherlands*, 1992 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება, არაა გამოქვეყნებული). მართალია,

ბულ შემთხვევებში შეიძლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დაცვა გავრცელდეს, მიუხედავად თანაცხოვრების არსებობისა, მშობლებისა და შვილების ურთიერთობებზე.<sup>261</sup> ოჯახურ ურთიერთობებად ითვლება ნათესაური ურთიერთობები ბებია-ბაბუასა და შვილიშვილებს,<sup>262</sup> და-ძმებს, ბიძა-დეიდასა და დისშვილ-ძმისშვილს, მშვილებელსა და ნაშვილებს შორის.<sup>263</sup> ამდენად, ოჯახი არის წყვილთა შორის ურთიერთობა და ურთიერთობა ნათესავებს შორის ფიზიკური ან ნორმატიული გაგებით (*defacto-ოჯახი*). მეუღლეთა ურთიერთობა ისევე გაიგება, როგორც დაუქორწინებელთა ურთიერთობა.<sup>264</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად შვილად აყვანისა<sup>265</sup> ან გაძევებისა,<sup>266</sup> ოჯახური ცხოვრება შეიძლება შეწყდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.<sup>267</sup> ასევე სისხლის ნათესაობა არაა კონვენციის მე-8 მუხლით დაცული ოჯახური ურთიერთობის აუცილებელი წინაპირობა. მაგალითად, ნაშვილები ბავშვი ოჯახური ცხოვრების ნაწილია.<sup>268</sup> არც სისხლისმიერი კავშირი გულისხმობს უცილობლად ოჯახურ ურთიერთობას, მაგალითად, სპერმის დონორის შემთხვევაში.<sup>269</sup> აღნიშნული სამართლებრივი ფიქციით აიხსნება.

ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის მე-8 მუხლის დაცვა ვრცელდება საცხოვრებელ ადგილზეც, რომელიც წარმოადგენს კერძო ტერიტორიას, სადაც ადამიანს აქვს განმარტოების კერძო მოლოდინი. საცხოვრებელი ადგილი შეიძლება იყოს აგარაკიც, ღროებითი საცხოვრებელი ადგილიც და დამხმარე შენობა-ნაგებობებიც. კონვენციის მე-8 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, ამა თუ იმ ტერიტორიაზე საკუთრების უფლება არ არის განსაზღვრული იმისთვის, რომ ის საცხოვრებელ ადგილად ჩაითვალოს. აღნიშნულისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სტაბილურ კავშირს საცხოვრებელ ადგილთან.<sup>270</sup> ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განსაზღვრა, რომ პირადი ცხოვრება „მოიცავს ბიზნესსა და პროფესიულ საქმიანობასაც, ვინაიდან ურთიერთობის დიდი ნაწილი

ისინი ერთობლივ ოჯახურ ცხოვრებას ეწეოდნენ და ბავშვზე ზრუნვის მოვალეობებს ინაწილებდნენ, მაგრამ მათი განაცხადი მიეკუთვნა მხოლოდ პირად ცხოვრებას.

<sup>261</sup> ი. *Söderbäck v. Sweden*, 1998 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება

<sup>262</sup> ი. *Boughanemi v. France*, 1986 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება

<sup>263</sup> ი. *Whalen v. Roe*, 429 U. S. 589, 599 (1977)

<sup>264</sup> ი. *H. A. Wolff*, Ehe und Familie in Europa, in “Europarecht”, Eua, Heft 6., Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, Nov-Dec. 2005, გვ. 725

<sup>265</sup> ი. *X v. the United Kingdom*, 1977 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება, DR 11, გვ. 160

<sup>266</sup> ი. *Yousef v. the United Kingdom*, კომისიის მოხსენება, 1992 წლის 30 ივნისი, პ. 43

<sup>267</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასასამართლოს პრეცედენტული სამართლი (მასალები მოიძია და მოამზადა ბ. ბოხაშვილმა), თბ., საია (შემდგომში – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია), 2004, გვ. 266-270. ი. *Gillou v. the United Kingdom*, 1997 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება

<<http://gyla.ge/files/publications/q9z18pmtnn.pdf>> [24.01.11 21:43]

<sup>268</sup> ი. *X, Y and Z v. the United Kingdom*, 1997 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება

<sup>269</sup> სპერმის დონორსა და ბავშვის დაბადებას შორის ურთიერთობის არსებობა თვითსთავად არაა ოჯახური ცხოვრება კონვენციის მე-8 მუხლის ჭრილში, თუ არ იქნება სათანადო მტკიცებულება, რომ მათ შორის სისხლისმიერ კავშირთან ერთად არსებობს ახლო პირადი კავშირები. *G. v. the Netherlands*, 1993 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება, 16 EHRR 38

<sup>270</sup> ი. *Gillou v. the United Kingdom*, 1986 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება

სწორედ საქმიანობის პროცესში მყარდება.<sup>271</sup> ასევე სიტყვაში „შინ“ (home) კონვენციის მონაწილე ზოგიერთ სახელმწიფოში, მათ შორის გერმანიაში ბიზნეს-ოფისიც შეიძლება მოიაზრებოდეს.<sup>272</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით სავსებით სამართლიანად მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, რომ სამსახურებრივი სათავსოს ჩერეკამ შეიძლება ხელყოს პირადი ცხოვრება, თუ ის კანონიერ მიზნებს არ ემსახურებოდა.<sup>273</sup>

კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის ერთ-ერთი გამოვლენის ფორმაა მიმოწერის ხელშეუხებლობაც, თუმცა მასში იგულისხმება როგორც წერილობითი კორესპონდენციების გაცვლა, ასევე ინფორმაციის ტელეკომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებით გაზიარება.<sup>274</sup> აღნიშნული უკავშირდება კორესპონდენციების გახსნისა თუ ცენზურის დაუშვებლობას. კორესპონდენციის გახსნა და მასზე ცენზურის გავრცელება, თავის მხრივ, ეხება კორესპონდენციის პატივისცემის ხელყოფას, რაც ევროკონვენციის მე-8 მუხლითაა მოცული.<sup>275</sup> ამასთან, აუცილებელია კორესპონდენციაზე ცენზურის დაწესება შემოწმდეს ამ დონისძიების კანონთან შესაბამისობის კონტექსტში. თუ დადგინდა, რომ ცენზურის განხორციელება კანონით არ იყო დასაშვები, თავისთავად ადგილი აქვს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევას.<sup>276</sup> კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი არსებითად ეხება კონკრეტული ქმედების კანონშესაბამისობის გარკვევას ეროვნულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით, რაც, თავის მხრივ, მატერიალური თუ პროცესუალური წესების შემოწმებას გულისხმობას.<sup>277</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ზოგადი პიროვნული უფლება აღიარა, რითაც შექმნა პირადი ცხოვრების დაცვის სამართლებრივი საფუძველი. კერძო სფერო არაა ხელშეუვალი და აბსოლუტურად დაცული. დასაშვებია ამ სახის ინფორმაციის გაცემა თვით ამ პირის თანხმობის ან საჯარო პირებთან დაკავშირებით ინტერესთა შედარებისა და თანაზომიერების პრინციპების დაცვით.<sup>278</sup> ამასთან, პირს უნდა ჰქონდეს საცხოვრებელი ადგილით მშვიდობიანად სარგებლობის უფლება. კონვენციის მე-8 მუხლი იცავს განსაზღვრულ ტერიტორიას კანონსაწინააღმდეგო ხელყოფისა<sup>279</sup> და ჯანმრთელობისთვის საზიანო ზემოქმედებისაგან.<sup>280</sup> ასევე კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობა შეიძლება ბუნების დაბინძურებამ შედახოს.<sup>281</sup>

საგულისხმოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი იცავს პირადი ცხოვრების წესის ძირითად სფეროებს და ქმნის კომუნიკაციის ძირითად უფლებას, რომელიც როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ფორმით არსებობს. ასევე ის აყალიბებს პიროვნების განვითარების-

<sup>271</sup> ქ. ოქრუაშვილი, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, 2008, გვ. 64

<sup>272</sup> იბ. Niemietz v. Germany, 1992 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება

<sup>273</sup> იბ. Panteleyenko v. Ukraine, 2006 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება

<sup>274</sup> იბ. A. v. France, 1993 წლის 23 ნოემბრის გადაწყვეტილება

<sup>275</sup> იბ. Klyakhin v. Russia, 2004 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება

<sup>276</sup> იბ. Labita v. Italy, 2000 წლის 1 მარტის განაჩენი

<sup>277</sup> იბ. Elci and Others v. Turkey, 2003 წლის 13 ნოემბრის განაჩენი

<sup>278</sup> იბ. ქ. კუბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 113-114

<sup>279</sup> იბ. Akdivar and Others v. Turkey, 1996 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება

<sup>280</sup> იბ. López Ostra v. Spain, 1994 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება

<sup>281</sup> იბ. Guerra and Others v. Italy, 1998 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება

თვის თავისუფალ სივრცეს (მათ შორის სოციალურ კონტექსტში). ცხოვრების მოწყობაზე უფლების ფარგლებში უმცირესობის განსაკუთრებული ცხოვრების სტილის დაცვაც არის უზრუნველყოფილი. ამასთან, ინდივიდუალური უფლება კერძო ცხოვრების პატივისცემაზე მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური დაცვის მოვალეობას, ადამიანის ინდივიდუალური ეთნიკურ-ენობრივი იდენტობა აღიაროს კომუნიკაციის სიმბოლოებთან დაკავშირებული პროცესების მიხედვით. მათ განეკუთვნება ორენოვანი ნიშნების განსაზღვრა. თუ სახელმწიფო უარს ამბობს საგზაო სიმბოლოების ინტეგრაციის ამ პროცესზე და ორენოვანი საგზაო ნიშნების დადგენას უარყოფს, მაშინ ამ ვალდებულების შეუსრულებლობა, ევროკონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე, კერძო ცხოვრების დაცვის უფლებაში ჩარევაა.<sup>282</sup>

### **ბ) პირადი ცხოვრების გაგება საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით**

როგორც აღინიშნა, კვლევის მიზანია, უპასუხოს მთავარ კითხვას: იცავს ქართული სამოქალაქო სამართლი კერძო ცხოვრების საიდუმლოებას ზოგადად თუ სამოქალაქო სამართლით დაცული კონფიდენციალური სფერო განეცუთვნება მხოლოდ ფიზიკური პირის პირად ცხოვრებას? ნაშრომი ემუარება თვალსაზრისს, რომლის მიხედვით სამოქალაქო სამართლით დაცული კონფიდენციალობის შემთხვევათა წრე უფრო ფართოა, ვიდრე ფიზიკური პირის პირადი ცხოვრების საიდუმლოების ცნების შინაარსი. კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში არსებული ცნებების აღრევისა და ტერმინოლოგიური უზუსტობების მიუხედავად, ქართული სამართლი ძირითადად მიჰყვება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. თუმცა, ამავე დროს, შეიმჩნევა გარკვეულ საკითხებზე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და საქართველოს სასამართლო პრაქტიკას შორის განსხვავებული მიდგომები, რაც საჭიროებს შედარების საფუძველზე პრაქტიკული ხარგებების აღმოფხვრის გზების წარმოჩნას. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ძველი სამოქალაქო კანონმდებლობის გავლენით გაიზიარა ცალკეული პირადი არაქონებრივი უფლების<sup>283</sup> სპეციალური დაცვის იურიდიულ-ტექნიკური ხერხი. ამიტომ დასადგენია, კერძო ცხოვრების საიდუმლოების დაცვის სფეროში საქართველოს სასამართლო პრაქტიკა ეფუძნება თუ არა „ზოგადი პიროვნული უფლების“ დაცვის უნივერსალურ ფორმას. აღნიშნულის გარკვევას დიდი პრაქტიკული დატვირთვა აქვს. დასახელებულ საკითხთა განხილვა მოითხოვს ადამიანის

<sup>282</sup> იხ. H. Tretter, Gutachten, Artikel 8 EMRK als Grundlage eines individuellen Rechts auf zweisprachige Ortstafeln?, Wien, am 17. Oktober 2005, გვ. 3, 5-6; ნაშრომი იხ. ინტერნეტ-გვერდზე: <[https://docs.google.com/viewer?url=http://bim.lbg.ac.at/files/sites/bim/Tretter\\_Gutachten\\_Art8\\_EMRKOrtstafeln.pdf](https://docs.google.com/viewer?url=http://bim.lbg.ac.at/files/sites/bim/Tretter_Gutachten_Art8_EMRKOrtstafeln.pdf)> [07.08.10 18:19]

<sup>283</sup> არსებობს ასევე მოსაზრება, რომლის თანახმად, პირადი არაქონებრივი უფლებები სამოქალაქო სამართლის ქვედარგია. იხ. С. Слипченко, Личные неимущественные права: определение содержания их преподавания в пределах курса гражданского права, «Форум права», 2006, №3, გვ. 123-127, <<http://www.nbuv.gov.ua/e-journals/FP/2006-3/06ssakgp.pdf>> [29.09.11 18:10]

უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესწავლის პარალელურად საქართველოს სასამართლო პრაქტიკის ანალიზს.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაც ძირითადად არ განასხვავებს კერძო და პირადი ცხოვრების ცნებებს. აქ გვხვდება ტერმინი „პირადი ცხოვრება“, რომელიც კერძო ცხოვრების დატვირთვით გამოიყენება. ამასთან, საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებების ნაწილი უარს ამბობს კერძო ცხოვრების დაცვაზე, ნაწილი კი იცავს ნაწილობრივ ან არა-ეფექტურად სხვადასხვა გარემოებაზე დაყრდნობით ან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გამოცდილების გავლენით. აღნიშნულის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს პირადი ცხოვრების არასწორი ინტერპრეტაცია. მიუხედავად ამისა, საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, პირად ცხოვრებაში მოიაზრება საკუთარი ცხოვრების წესი, საკუთარი ცხოვრებისა<sup>284</sup> და პიროვნების განვითარება, ოჯახის კეთილდღეობა, ბავშვთა და დედათა ურთიერთობები, თვითგამორკვევა,<sup>285</sup> პირადი საიდუმლოება,<sup>286</sup> მიმოწერის ხელშეუხებლობა...<sup>287</sup>

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ კონსტიტუციის მე-20 მუხლზე დაყრდნობით და ევროკონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ პირადი ცხოვრების უფლება არის პირის უფლება, იცხოვროს ისე, როგორც თავად სურს და (მისი ცხოვრების წესი) დაცული იყოს საჯაროობისგან.<sup>288</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გამოკვეთა კერძო ინტერესი და განსაზღვრა, რომ პირადი ცხოვრება ინდივიდის ცხოვრება და განვითარების კერძო სფეროა. უფლება პირად ცხოვრებაზე არის ინდივიდის შესაძლებლობა, საკუთარი შეხედულებისამებრ დამოუკიდებლად შექმნას და განავითაროს თავისი კერძო ცხოვრება, ასევე იყოს დაცული მის კერძო სფეროში როგორც სახელმწიფოს, ისე ნებისმიერი პირის ჩარევისგან.<sup>289</sup>

პირადი ცხოვრების გარკვეული მხარეები წარმოჩნდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაში. დადგინდა, რომ პირად ცხოვრებას განკუთვნილი ცალკეული სფეროები საქართველოს კონსტიტუციის 36-ე (ოჯახის კეთილდღეობის, დედათა და ბავშვთა უფლებების დაცვა), მე-16 (პიროვნების თავისუფალი განვითარება), 41-ე (ოფიციალური და საიდუმლო დოკუმენტების გაცნობის თაობაზე) და სხვა მუხლებით არის დაცული. თუმცა აქეთ აღინიშნა, რომ პირადი ცხოვრება არის ფართო და, მრავალმხრივი შინაარსიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი ამომწურავი

<sup>284</sup> ი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №3/1240-02).

<sup>285</sup> ი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინება (საქმე №1/7/454), გვ. 2-6.

<sup>286</sup> ი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2008 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე №2/3/406,408)

<sup>287</sup> ი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №1/3/407)

<sup>288</sup> ი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №3/1240-02)

<sup>289</sup> ი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №1/3/407), გვ. 8

განმარტება.<sup>290</sup> ამასთან, განისაზღვრა, რომ თუ დაირღვა პირადი ცხოვრების ნებისმიერი კომპონენტი, მაშინ ზოგადად ილახება პირადი ცხოვრება. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ნებისმიერი ასეთი კომპონენტის ხელყოფით აუცილებლად ირღვევა კონსტიტუციის მე-20 მუხლი. ამის გარეშე დიდია პირადი ცხოვრების უფლებრივი კომპონენტის შინაარსი და მასში დასაშვები ჩარევის ფარგლების არასწორი განმარტების საფრთხის ალბათობა. ასევე სასამართლომ მიუთითა, რომ პირადი ცხოვრების გარკვეული სფეროების (ჯანმრთელობა, ქონება ან სხვა კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელშეუხებლობა) გავრცელება დაიშვება მხოლოდ უფლებამოსილი პირის თანხმობით, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როცა ეს აუცილებელია კანონიერი მიზნების დასაცავად. ამ მიზანთა წრეს განეცუთვნება სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და სხვა სიკეთეთა დაცვა. მაგალითად, არჩევნებში მონაწილეობა წარმოადგენს საჯარო პროცესს. ერთ-ერთ საქმეში მოსარჩელე ვიდეოფირით დაფიქსირებულია, როგორც არჩევნების მონაწილე და პაროტესტებს მის საჯაროებას, თუმცა ვერ უთითებს, პირადი ცხოვრების რომელი სფერო შეიღახა. ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში ეს საქმე.<sup>291</sup> თუმცა არაა ეს გარემოება უგულებელსაყოფი. აქ აუცილებელია აღინიშნოს, რომ პირი, რომელიც ნებაყოფლობით ერთგება საჯარო პროცესში (ამ შემთხვევაში არჩევნებში), საჯარო პროცესის მონაწილედ ითვლება და ამიტომ ის, რასაც საჯარო პროცესში გააკეთებს, საჯარო ცხოვრების ელემენტად უნდა განიხილებოდეს. ამასთან, ხაზი გაესვა კერძო ცხოვრების სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის სპეციფიკას, გამოიკვეთა, რომ საქმე ეხება უფლებამოსილი პირის ავტონომიურ სფეროს. ამიტომაცაა, რომ მას ეკუთვნის ექსკლუზიური უფლება კერძო ცხოვრების შესახებ მონაცემების გავრცელებასთან დაკავშირებით ნებართვის გაცემაზე.

სსკ-ის 1106-ე მუხლის თანახმად, ქორწინება არის მამაკაცისა და ქალის ნებაყოფლობითი სამისდევებით ხასიათის კავშირი, რომელიც ოჯახის შექმნის მიზნით იქმნება და სამოქალაქო რეესტრის ტერიტორიულ სამსახურში რეგისტრირდება. სწორედ სახელმწიფოებრივი რეგისტრაცია წარმოშობს მეუღლეთა შორის უფლება-მოვალეობებს.<sup>292</sup> ამასთან, საგულისხმოა, რომ ქორწინება უნდა შედგეს ოჯახის შექმნის მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ფიქციური ქორწინების ბათილობის საფუძველი კი შეიძლება იყოს ორივე მეუღლის მიზანი, არ შექმნას ოჯახი და მიიღოს რაიმე გამორჩენა. ამასთან, ქორწინების გაბათილება უკავშირდება მექორწინეთა შორის მეუღლებრივი უფლება-მოვალეობათა არსებობის უარყოფას. ამიტომ ქონებრივი დაცაც მათ შორის უნდა გადაწყვდეს ისევე, როგორც კერძო პირებს შორის საერთო საკუთრების თაობაზე წარმოშობილი დავის შემთხვევაში. თუმცა აქ საქმე ეხება საერთო წილობრივ საკუთრებას და ქორწინების გაბათი-

<sup>290</sup> აღნიშნულზე იხ. *Costello-Roberts v. the United Kingdom*, 1993 წლის 25 მარტის განაჩენი, პ. 36. აქაც გვხვდება ტერმინი „პირადი ცხოვრება“ და მოიაზრება „კერძო ცხოვრება“.

<sup>291</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინება (საქმე №1/7/454), გვ. 2-6.

<sup>292</sup> იხ. რ. შენგელია, ე. შენგელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 66-71

ლების შემდეგაც მათ მიერ შექმნილი ქონება უნდა გაიყოს სსკ-ის 173-ე მუხლის მიხედვით.<sup>293</sup> ამ გაგებით კი შეიძლება კერძო ცხოვრება შეიძლახოს და ქონებრივი ზიანი დადგეს. მოცემულ შემთხვევაში დავა კეთილსინდი-სიერი მეუღლის სასარგებლოდ უნდა გადაწყვდეს სსკ-ის 1147-ე მუხლის საფუძველზე, თუმცა კანონი არაფერს ამბობს არაქონებრივ ზიანზე. არადა ქორწინების გაბათილებამ შეიძლება გამოიწვიოს არაქონებრივი ზიანი, რაც სამართლიანად აღინიშნა, რომ საკანონმდებლო ცვლილებას საჭიროებს.<sup>294</sup> აქაც, სავარაუდოდ, ამ ხარვეზს შეავსებდა ტერმინ „კერძო ცხოვრების“ შემოდება, ვინაიდან მის შელახვას შეიძლება მოჰყვეს არაქონებრივი ზიანი.

აღნიშნულთან დაკავშირებით საგულისხმოა ერთ-ერთი საქმე, რომელ შიც მოსარჩელე ითხოვდა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის გარდაცვალებამდე თანაცხოვრების აღიარებას ჯვრისწერის ფაქტზე დაყრდნობით. მოსარჩელემ მოიხმო ადამიანის უფლებათა უკროპული სასა-მართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „კრონი ნიდერლანდების წინააღმდეგ“. ამ საქმის მიხედვით, ოჯახური ურთიერთობა არ იზღუდება მხოლოდ ქორწინებაზე დამყარებული ურთიერთობებით და შეიძლება მოიცავდეს სხვა *de facto* ოჯახურ კაგშირებს, თუ მხარეები ერთად ცხოვრობენ ქორწინების გარეშე. თუმცა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა ეს პოზიცია,<sup>295</sup> რითაც აშკარად სასამართლოს გაუბედაობა დადასტურდა უკროპული სტანდარტების პრაქტიკაში გამოყენების თვალსაზრისით.<sup>296</sup> აქვე განისაზღვრა, რომ შვილის აღზრდაში მონაწილეობა უნდა ატარებდეს სისტემატური ხასიათის კონკრეტულ მოქმედებებს, რომლებიც ადასტურებს საოჯახო ურთიერთობების არსებობას.<sup>297</sup>

ასევე საოჯახო ცხოვრების დაცვის თვალსაზრისით საინტერესოა საქ-მე, რომლითაც „პატიმრობის შესახებ“ კანონის დებულება პატიმრობაში ყოფნისას ოჯახის წევრების თვეში მხოლოდ ერთხელ და ერთი საათით პა-ემნის დაწესების შესახებ ეწინააღმდეგება კონვენციის მე-8 მუხლს. აქ გა-დამწყვეტი იყო საქმე „ნოვიცა პოლონეთის წინააღმდეგ“, რის საფუძველ-ზეც თბილისის საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ „პატიმრობის შესახებ“ კანონის ეს ნორმა ხელყოფს კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას.<sup>298</sup> აქ უპირატესობა ენიჭება იერარქიულად მაღლა მდგომ კანონს – საერთაშორისო ხელშეკრულებებს. ამიტომ თბილისის საქალაქო სასამართლომ დაავალა იუსტიციის სამი-ნისტროს, გამოეცა ნორმატიული აქტი, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა

<sup>293</sup> იქვე, გვ. 137-139

<sup>294</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. ქ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართლი, მე-4 გადამუშავებული გამოცემა, თბ., „მერიდიანი“, 2004, გვ. 264

<sup>295</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება (საქმე №ას-968-1269-07)

<sup>296</sup> იხ. ქ. კორუკლია, სასამართლოს აქტივიზმი და იდამიანის უფლებათა უკროპული კონვენციის გავლენა საქართველოს სასამართლო პრაქტიკაზე, „საკონსტიტუციო სასა-მართლოს მიმოხილვა“, 2011, №4, გვ. 49-50

<sup>297</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 12 სექტემბრის განჩინება (საქმე №ას-36-390-07); საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 22 მარტის განჩინება (საქმე №ას-902-1149-04)

<sup>298</sup> იხ. Nowicka v. Polan, 2002 წლის 3 დეკემბრის განაჩენი

კონვენციის მე-8 მუხლთან და ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებსაც გაითვალისწინებდა.<sup>299</sup> აღნიშნული, ცხადია, უაღრესად დადებითი მომენტია.<sup>300</sup> ეს სიტუაცია გარკვეულწილად შეიცვალა „პატიმ-რობის შესახებ“ კანონის ძალადაკარგულად გამოცხადებითა და „პატიმ-რობის კოდექსის“ მიღებით, რომლითაც დაწესდა ერთ თვეში ოთხი სანმოქლე პატიმანი და სამ თვეში ერთი ხანგრძლივი პატიმანი.

ამასთან, პირადი სფერო შეიძლება აისახოს პერსონალურ მონაცემებში. განისაზღვრა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს ინფორმაციის ავტორმატურად გასაიდუმლოებას. ასეთი ინფორმაცია როგორიალურ ჩანაწერებში არსებული მონაცემები, რომლებიც შეეხება პირის კერძო საკითხებს, თუმცა ამ ინფორმაციის განსაიდუმლოებაც შეიძლება თვით ამ პირის თანხმობით, ვისაც ეს ინფორმაცია ეხება. ამდენად, როგორიალურ წყაროებში არსებული პირის კერძო საკითხები ხელშეუხებელია და სახელმწიფოს მიერ უნდა იყოს გამხელისაგან დაცული. ამასთან, შეწყალების შესახებ გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს შეწყალების კომისიის წინადაღება მსჯავრდებულის მიმართ შეწყალების გამოყენების შესახებ. აქ ითვალისწინებენ შეწყალების გამოყენების მოტივს, რომელიც შეიძლება იყოს პირის ჯანმრთელობის, ოჯახური და სხვა კერძო სახის ინფორმაცია. ამიტომ შეწყალებულ პირს აქვს სამართლიანი მოლოდინი, რომ შეწყალების აქტში ასახული ინფორმაცია დაცული იქნება გარეშე პირთაგან და მას არ ექმნება მოვალეობა შეხედულებისამებრ წინასწარ მოითხოვოს მისი დაცვა პირადი განცხადების საფუძველზე პირად საიდუმლოებად აღიარებით. შეწყალება პირის ნასამართლობას ეხება, რაც განსაკუთრებულ მგრძნობიარე პერსონალურ მონაცემებს განეკუთვნება.<sup>301</sup> ამიტომ კერძო სფეროში შედის ცნობები წარსულში თავისუფლების აღკვეთისა ან მანამდელი ნასამართლობების შესახებ.<sup>302</sup> აქ კი არსისმიერია ის, რომ შეწყალებულის კერძო ცხოვრება იყოს დაცული სამოქალაქოსამართლებრივად. საქმე ისაა, რომ პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა ამ თვალსაზრისით სპეციფიკურია. ეს თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ პირადი ცხოვრების საიდუმლოების ამსახველი ცნობები შეიძლება სინამდვილეს შეესაბამებოდეს, თუმცა უფლებამოსილი პირი იყოს დაინტერესებული ამ ცნობების გახმაურებისაგან დაცვით,<sup>303</sup> ვინაიდან პირადი ცხოვრების საიდუმლოების ამსახველ ცნობებს შეიცავს (სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი). საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ხაზგასმით მართებულად შენიშნა, რომ პირადი ცხოვრების საიდუმლოება მოიცავს ცხოვრების ისეთ მომენტებს, რომლებიც სინამდვილეში მოხდა, თუმცა მხოლოდ ინდივიდის

<sup>299</sup> იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე №3/2058)

<sup>300</sup> იხ. კ. კორკელია, სასამართლოს აქტივიზმი და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გავლენა საქართველოს სასამართლო პრაქტიკაზე, გვ. 48

<sup>301</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 5 ივნისის განჩინება (საქმე №ბს-1278-1240(ქ-08))

<sup>302</sup> იხ. კ. მუხრანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 204

<sup>303</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №3-ქ-1240-02)

საკუთრებაა. ამიტომ აღნიშნული სფერო, მისივე სურვილის შესაბამისად, ხელშეუხებელია.<sup>304</sup>

როგორც აღინიშნა, კერძო ცხოვრების ერთ-ერთი კომპონენტი არის პირადი საიდუმლოება. თუმცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ისევ კერძო ცხოვრების საიდუმლოების ცნების შინაარსი გამოიყენა პირადი საიდუმლოების განსამარტად, რითაც ადგილი ჰქონდა კიდევ ერთხელ ცნებების აღრევას. აქ განისაზღვრა, რომ მართალია, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტში ტერმინი „პირადი საიდუმლოება“ არ გვხვდება, მაგრამ ჯანმრთელობის, ფინანსების ან სხვა კერძო საკითხების შემცველი ინფორმაცია, რომელიც ოფიციალურ ჩანაწერებში არსებობს, პირადი საიდუმლოების დატვირთვას ატარებს. ამასთან, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უმთავრესი ასპექტია პირის ინტერესი, არ დაუშვას კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამუღავნება და აკონტროლოს ამ ინფორმაციის გავრცელება. პირის კერძო სფერო მანამ არის დაცვადი, სანამ პირი არ გამოხატავს საწინააღმდეგო ნებას.<sup>305</sup> ეს ეხება თვითგამორკვევის უფლებას, რომელიც ზოგადი პიროვნული უფლების შემადგენელი ელემენტია.<sup>306</sup> ამით საკონსტიტუციო სასამართლომ გააფართოვა პირადი ცხოვრების დაცვა. იბადება შეკითხვა: რამდენად შეიძლება პირადი საიდუმლოება იყოს სხვა კერძო საკითხის ტოლფასოვანი ღირებულების? თუ პირად საიდუმლოებაში შედის კერძო საკითხები, რომელთა შორისაც გამოიყოფა ჯანმრთელობა, მაშინ ერთი ტიპის გამოდის საფინანსო საიდუმლოება და ჯანმრთელობის შესახებ საიდუმლოება?! პირადი საიდუმლოება არის უშუალოდ პირთან მჭიდროდ დაკავშირებული სფერო, ფინანსები – კერძო სფერო; დაუშვებელია ჯანმრთელობის, როგორც სამართლებრივი დაცვის ობიექტის, დაკინება. ვიწრო გაგებით, კერძო სფერო არის უზოგადესი, რომელიც სხვა ასპექტებთან ერთად მოიცავს პირად სფეროსა და ქონებრივ მომენტსაც. კერძოსამართლებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სსკ-ის მე-18<sup>1</sup>-ე მუხლი, რომელიც ინფორმაციულ კერძო ცხოვრებას ეხება. თვითგამორკვევის უფლება საოჯახო სამართლით არის დაკონკრეტებულია სსკ-ის 1190-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც ქართულ სამოქალაქო სამართალში არაპირდაპირ ზოგადი პიროვნული უფლების არსებობაზე მიუთითებს.

ასევე კერძო ცხოვრების საიდუმლოება შეიძლება აისახოს ჯანმრთელობის შესახებ ცნობებში. მაგალითად, გავრცელებული ცნობები მოსარჩელის შვილის ავადყოფობის შესახებ არის პირადი საოჯახო ცხოვრების საიდუმლოება, რადგან ის მის საზოგადოებრივ ცხოვრებას არ ეხება და პირთა განსაზღვრული წრისთვისაა გამიზნული. ამასთან, მართალია, შეიძლება პირადი ცხოვრების საიდუმლოების ამსახველი ცნობები სინამდვილეს შეესაბამებოდეს, მაგრამ პირი იყოს მათი გახმაურებისგან დაცვით დაინტერესებული. სასამართლომ დაასკვნა, რომ შეილახა მოსარჩელის პირადი

<sup>304</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №ას-593-1241-03)

<sup>305</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლგის 2008 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე №2/3/406,408)

<sup>306</sup> იხ. კუტლაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 95-96

საოჯახო ცხოვრების საიდუმლოება.<sup>307</sup> გადაწყვეტილებაში ხელოვნურადაა გამოყენებული სიტყვები „პირადი საოჯახო ცხოვრების საიდუმლოება“, მთ უმეტეს, უცხოა კანონმდებლობისთვის. თუ აქ პირადი ცხოვრების საიდუმლოება იგულისხმება, ეს არ ასახავს ამ პრობლემას სრულად; თუ საოჯახო ცხოვრების საიდუმლოება მოიაზრება, გაუგებარია, ოჯახის წევრის ჯანმრთელობის საკითხი რატომ არაა მისი პირადი საიდუმლოება. აქ აქცენტი უნდა გადატანილიყო კერძო ცხოვრების საიდუმლოებაზე.

პირადი საიდუმლოების ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს შვილად აყვანის საიდუმლოება. სწორედ აღნიშნულზე უნდა ყოფილიყო აქცენტი გაპეტებული შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნების დროს.<sup>308</sup> ასევე კერძო ცხოვრების კომპონენტს წარმოადგენს პირის უფლებრივი მდგომარეობის აღდგენა. ეს კი, თავის მხრივ, პირის რეაბილიტაციის გათვალისწინებით მიიღწეოდა. აქ მნიშვნელოვანია ქონებრივ უფლებებში აღდგენა, რაც გარკვეულწილად განცდებისა თუ ტკივილების კომპენსირებისკენ არის მიმართული.<sup>309</sup> საქმე უნდა ეხებოდეს ზიანის ანაზღაურებას იმ ოდენობით, რაც საქმარისი იქნება პირის „გონივრული ნუგეშისთვის“.<sup>310</sup> თუმცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2003 წლის 11 ნოემბრისა და დიდი პალატის 2003 წლის 24 მარტის განჩინებებში საუბარია მხოლოდ პირის რეაბილიტაციაზე.

ამასთან, პირადი ცხოვრების საიდუმლოება შეიძლება აისახოს მიმოწერის ხელშეუხებლობაში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ მოსმენები და სატელეფონო საუბრებზე კონტროლის სხვა ფორმები პირადი ცხოვრებისა და კორესპონდენციის თავისუფლებაში სერიოზული ჩარევაა, რომელიც უნდა იყოს დაფუძნებული კანონზე. ეს დათქმაც ამ ნაწილში განსაკუთრებით ზუსტად უნდა იყოს ფორმულირებული,<sup>311</sup> რაც ადამიანის უფლებათა ეკროპული სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას ეფუძნება.<sup>312</sup> მიმოწერის საიდუმლოებაც, თავის მხრივ, შეიძლება პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას გულისხმოდეს და ამ მონაცემების გავრცელებამ ხელყოს პირადი სფერო. შესაბამისად, მოცემული ინფორმაციის უნებართვოდ (უკანონოდ) გავრცე-

<sup>307</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №3/1240-02)

<sup>308</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2001 წლის 18 ოქტომბრის განჩინება (საქმე №2-141დადგ.-02)

<sup>309</sup> იხ. მარი-დერეს ფრიკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 19

<sup>310</sup> იხ. *Ogus F. I, The Law of Damages, L., 1973, გვ. 195*

<sup>311</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №1/3/407), გვ. 13-14; 1974 წლის კანონი მოქმედებს პრაქტიკულად ელექტრონურადამცემი მოწყობილობების მიმართ, რაც მიმართულია მოსმენისა და სატელეფონო საუბრების ჩაწერისკენ, რომელიც ხორციელდება საზოგადოებრივ სატელეფონო ჯიხურში. ასეთი მოსმენი კერძო ცხოვრებას ხელყოფდა, აშშ-ის კონსტიტუციის მე4 დამატების მიხედვით. იხ. *H. Hong, Dismantling the private Enforcement of the privacy act of 1974: Doe v. Chao, Akron Law Review, [38:71] 2005 (HONG.DOC 12/17/2004 12:05 PM), გვ. 78, 79;* იხ.: <http://www.uakron.edu/law/lawreview/v38/docs/Hong381.pdf> [07.09.10 20:51]; სატელეფონო საუბრების მოსმენის, როგორც პირად სფეროში ჩარევის შესახებ, იხ. გ. მუფარიშვილი, ერთი საკანონმდებლო სიახლის გამო, „სამართლი“, 1991, №3-4, გვ. 7

<sup>312</sup> იხ. *Kopp v. Switzerland*, 1998 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება, პ. 72

ლებას შეიძლება მოჰყვეს ზიანი, რომლის ანაზღაურება, ზოგადი წესის მიხედვით, პასუხისმგებლობის ოთხი საფუძვლის კუმულატიურ არსებობას უკავშირდება (სსკ-ის 992-ე მუხლი).

აღნიშვნის ღირსია ასევე ის გარემოება, რომ პირადი ცხოვრების ერთ-ერთი გამოვლინებაა გამოსახულება. ფოტოსურათით სარგებლობა კი გულისხმობს ხებართვის საფუძველზე მის გამოყენებას, თუმცა ამაზე არ ყოფილა საუბარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაში, რომლითაც არაა დადასტურებული პატივისა და ღირსების ხელყოფა. ამ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების გაცნობის შემდეგ აშკარა ხდება, რომ საქმე სწორედ პირად ცხოვრებას შეეხებოდა. საქმეზე „გურგენიძე საქართველოს წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა განაპირობა გაზეთ „ახალი თაობის“ ფურცლებზე განმცხადებლის შესახებ ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნებულმა სტატიამ და ამ მხრივ შიდა სასამართლო ორგანოთა მიერ გამოტანილმა გადაწყვეტილებებმა. ამასთან, მანვე სასამართლოს წარუდგინა სარჩელი ჟურნალისტის მიერ საკუთარი ფოტოსურათის უკანონო მოპოვებისა და ცილისმწამებლური ინფორმაციის საჯარო უარყოფის შესახებ გაზეთის რედაქციის მიერ მიღებული უარის თაობაზე.<sup>313</sup> არადა გამოსახულების დაცვის უფლება სსკ-ის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილით არის უზრუნველყოფილი და კერძო ინტერესის დაცვა შესაძლებელი იყო დელიქტური ვალდებულებების შესახებ ნორმების საფუძველზე ზოგადი პიროვნული უფლების აღიარებით. ზემოთ განხილულმა ცხადყო, რომ საქართველოში არაა პირადი ცხოვრების შინაარსი სწორად გაგებული. არც ზოგადი და განსაკუთრებული პიროვნული უფლებები განსაზღვრულა სათანადოდ. ამასთან, საქმეში გამოიკვეთა ღირსების ხელყოფა, ფოტოსურათების უნებართვოდ გამოყენება და სადაც პუბლიკაციის ფარგლებში ფოტოსურათების გამოქვეყნებას კი მოიცავს კერძო ცხოვრება. ამ საკითხების არასწორი ინტერესურებაცია იყო საბოლოოდ პირადი ცხოვრების შელახვის ერთ-ერთი საფუძველი, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ გაესვა ხაზი.<sup>314</sup> არადა ეს სფეროები არის ზოგადი პიროვნული უფლების გამოვლენის ფორმები. ზოგად პიროვნულ უფლებას კი სამართლებრივი საზრისი აქვს და იგი პრაქტიკული შედეგისკენაა მიმართული. ეს უფლება მნიშვნელოვანია, ვინაიდან პირადი ცხოვრება მოწესრიგებულია მორალით და სამართლებრივად მისი სრულად დაცვა მოხერხდება ზოგადი პიროვნული უფლების აღიარებით.

## მოკლე დასკვნა

ამდენად, საქართველოში პირადი ცხოვრებისა (და მისი სხვა მნიშვნელოვანი სფეროების) დასაცავად მიზანშეწონილია ადამიანის უფლებათა

<sup>313</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2000 წლის 1 ღეკემბრის განჩინება, გურგენიძე საქართველოს წინააღმდეგ, 2006 წლის 17 ოქტომბრის (საბოლოო 17/01/2007) განჩინება

<sup>314</sup> იხ. *Sciacca v. Italy*, no 50774/99, § 29, CEDH 2005 და ა. ჭ.

ევროსასამართლოს გამოცდილების გაზიარება. ასევე პირადი სფეროში უნდა მოიაზრებოდეს ის, რაც უშეალოდ პიროვნებას მჭიდროდ უკავშირდება (პატივი, ღირსება, პირადი საიდუმლოება, სახელი, გამოსახულება...) და ინდივიდის ნების ავტონომიის გამოვლინების სფეროს ეხება. ამასთან, პირადი სფეროს კონკრეტული გამოვლინებების წარმოშობა უკავშირდება დაბადებას ან კანონს<sup>315</sup> ან კიდევ გარიგებას. პირადი ცხოვრება არის უსაფუძვლო ჩარევებისგან დაცულ არასაჯარო სფეროში მოქმედება.<sup>316</sup> დასახელებული სფეროები უკავშირდება ზოგად პიროვნულ უფლებას, რომლის ძირითადი ამოცანაა ღირსების დაცვა.<sup>317</sup> ამდენად, კვლევამ ცხადყო, რომ იკვეთება ზოგად პიროვნულ უფლებასა და ღირსების კერძოსამართლებრივ დაცვას შორის მჭიდრო კავშირი.

## 4.2 პირადი ცხოვრება და პირადი ცხოვრების დაცვის უფლება

### 4.2.1 სიკეთე, როგორც კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი

კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტია ქონებრივი ან არაქონებრივი დირექტულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არაა ამოღებული (სსკ. მე-7 მუხლი). ამ გაგებით სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტში მოიაზრება მატერიალური და სოციალური სიკეთე, რომლის გამოყენებითაც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე კანონიერ ინტერესს იკმაყოფილებს.<sup>318</sup> საერთოდ, საგანი რომ სიკეთედ ჩაითვალოს ოთხ წინაპირობას უნდა აკმაყოფილებდეს კუმულატიური წესით: ა) უნდა არსებობდეს ადამიანის მოთხოვნილებები, ბ) რომელთა დაკმაყოფილებასაც მოემსახურება საგნის თვისებები, გ) ადამიანმა უნდა აღიაროს ეს მიზეზობრივი კავშირი და დ) მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, განკარგოს საგანი ისე, რომ გამოიყენოს ის ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. სიკეთეები, რომლისკენაც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები მიისწავვიან, ყოველთვის ობიექტური სინამდვილის მოვლენებია. კანონიერი ინტერესის რეალიზაცია, რომელიც შესაბამისი სიკეთის მისწრაფებაშია მოცემული, გადადის მატერიალურ, სულიერ თუ სოციალურ რეალობაში. სამართლებრივი მათი განსახიერების დროს ისინი ჩვეულებრივ იძენს სამართლიანობისა და თანაზო-

<sup>315</sup> იურიდიულ პირთა არაქონებრივი უფლებები შეიძლება კანონითაც წარმოშვას. იხ. ქ. ჩიკვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზოანისთვის, გვ. 9

<sup>316</sup> იხ. ქ. პეტროსიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 165-166. ასევე იხ. M. Nowak, UN Covenant on Civil and Political Rights, ICCPR Commentary, 1993, გვ. 288; იხ. F. Wittern, Das Verhältnis von Right of Privacy und Persönlichkeitsrecht zur Freiheit der Massenmedien (Eine rechtsvergleichende Darstellung des Verhältnisses von Right of Privacy und Persönlichkeitsrecht zu der Redefreiheit in den Vereinigten Staaten von Amerika und der Presse- und Rundfunkfreiheit in Deutschland), (Dissertation), Hamburg, 2004, გვ. 265, იხ. <<http://www2.sub.uni-hamburg.de/opus/volltexte/2004/2277/pdf/Dissertation.pdf>> [12.08.10 11:55]

<sup>317</sup> იხ. ქ. აუბლაშვილი, დასახ. ნაშრომი, 95-96, 104

<sup>318</sup> იხ. ქ. ხეხილუაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 118

მიერების პრინციპების მნიშვნელობას. ეს პრინციპები თავისებურად ხორციელდება სამართლის სხვადასხვა სფეროს იურიდიულ მატერიაში.<sup>319</sup>

სსკ-ის 147-ე მუხლის მიხედვით, ქონებაა ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ პირებს და შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუ ეს არაა კანონით აკრძალული ან ზნეობრივ ნორმებს არ ეწინააღმდეგება.<sup>320</sup> ცნება „ქონება“ სამართლებრივად ძირითადად ეხება სანივთო და მოთხოვნის ვალდებულებით უფლებებს. ამასთან, ესა თუ ის მატერიალური ან არამატერიალური სიკეთე უნდა ხასიათდებოდეს სამართლობიექტობით, ე. ი. უნდა იყოს კანონით აღიარებული სამართლის ობიექტი. ამდენად, არსებობს ობიექტების ცალკე ჯგუფი ისეთი სიკეთების სახით, რომლებიც ამ სიკეთეების მატარებელთა პიროვნებასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული (ჯანმრთელობა და სიცოცხლე; დირსება; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა; პირადი და საოჯახო საიდუმლოება; სახელი, ავტორობა და ა. შ.). ამასთან, სამოქალაქო უფლებათა ობიექტები, რომლებიც ბრუნვაში არაა მოქცეული, კანონში უნდა იყოს პირდაპირ მითითებული. სსკ-ის მე-7 მუხლი გარკვეულ ბუნდოვანებას იწვევს, ვინაიდან განსაზღვრულ ფარგლებში შეიძლება ობიექტი იყოს ბრუნვიდან ამოდებული. ამასთან, ქონებრივი უფლებები არის ბრუნვაუნარიანი, პირადი არაქონებრივი უფლებები – ბრუნვაუნარო.<sup>321</sup> ეს საკითხი უფრო ღრმად შესწავლას მოითხოვს.

## 4.2.2 აბსოლუტური ურთიერთობის ობიექტი

აბსოლუტურია უფლება, რომელიც შეიძლება შეიძლახოს არა თუ კონკრეტული პირის, არამედ ყველა მესამე პირის მიერ.<sup>322</sup> ამიტომ ამ უფლებას უპიროსპირდება ნებისმიერი პირის მოვალეობა ანუ მოქმედების განხორციელებისგან თავის შეკავების აუცილებლობა, რაც აბსოლუტურ უფლებას ხელყოფს.<sup>323</sup> ამ უფლებას შეესაბამება ყველა პირის მხოლოდ ზოგადი მოვალეობა, არ ჩაერიოს უფლებამოსილი პირის „სამფლობელოში“<sup>324</sup> ამდენად, აბსოლუტური უფლებები წარმოიშობა რაიმესთან კავშირის გარეშე.<sup>325</sup>

საგულისხმოა, რომ ფიზიკური გაგებით ადამიანის სხეული მატერიაა, თუმცა ის ნივთი არაა, რადგან არ შეიძლება სამოქალაქო ბრუნვის ობიექტი

<sup>319</sup> იხ. В. Лапач, Система объектов гражданских прав: теория и судебная практика, Санкт\_Петербург, «Юридический центр Пресс», 2002, გვ. 73, 60, 68

<sup>320</sup> კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტების შესახებ იხ. დ. კერძოების, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, „ქართული სამართლის მმოხილვა“, 7/2004-1, გვ. 28

<sup>321</sup> იხ. გ. ლაპახი, დასახ. ნაშრომი, გვ. 274, 164, 165, 202-203, 290, 278

<sup>322</sup> იხ. С. Братусь, О. Иоффе, Гражданское право, М., «Знание», 1967, გვ. 41; ა. კობახიძე, სამოქალაქო სამართლი, ტ. I, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, გვ. 100

<sup>323</sup> აბსოლუტური უფლების შესახებ იხ. О. Иоффе, Советское гражданское право, общая часть.

Право собственности. Общее учение об обязательствах, Л., Изд. Ленинградского Ун-та, 1958, გვ. 75

<sup>324</sup> იხ. Л. Эннекерус, Т. Кипп, М. Вольф, Курс германского гражданского права, т. 1, введение и общая часть, Перевод с 13-го немецкого издания К. Граве, Г. Полинской и В. Альтшулера, М., Изд. Иностранной Лит-ры, 1949, გვ. 274

<sup>325</sup> იხ. E. Prediger Die Grundlagen des Eigentumsrechts, ნაშრომი იხ.: <<http://doctorate.ulbsibiu.ro/obj/documents/REZ-GERM-PREDIGER.pdf>> [07.05.10 20:55]

იყოს, ნივთები კი ბრუნვაუნარიანი ობიექტებია.<sup>326</sup> საგნები ადამიანთა ბატონობას დაქვემდებარებული მატერიალური ობიექტებია. არამატერიალური სიკეთები, თუ სხვა რამ არ გამომდინარეობს მათი არსიდან, პირადი არაქონებრივი უფლებების ობიექტებია. ივარაუდება, რომ ამ სახის აბსოლუტური უფლებები სამართლებრივი ურთიერთობის გარეთ არსებობს და სამართლი მათ კი არ არეგულირებს, არამედ მათი დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყოფს დაცვით.<sup>327</sup> აქ მნიშვნელოვანია სიკეთის სამართლებრივი რეჟიმი, ვინაიდან ამ გაგებით სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი მოიცავს სამართლებრივ და „არასამართლებრივ“ მოცემულობას. სამართლებრივი სასიათია სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტზე სამართლებრივი ზემოქმედება და ამ ობიექტის სამართლებრივი რეჟიმი, როგორც ამ ზემოქმედების რეზულტატი.<sup>328</sup> აქ არსებობს უფლებამოსილება, ზემოქმედება მოახდინო უფლებაზე (მოთხოვნის უფლებაზე), თუმცა გამოიყოფა სხვა სახის უფლებამოსილებებიც, რომლებიც არა თვით უფლებას, არამედ ობიექტს ეხება.<sup>329</sup>

მაშასადამე, იურიდიული ფაქტის შედეგად აბსოლუტური უფლება, რომელიც სამართლებრივი ურთიერთობის გარეთ არსებობს, შეიძენს რა სამართლებრივ „სამოსს“, ზეგავლენას მოახდენს საგანზე ან სხვა რეალური არსის გამოვლინებაზე, რომელიც სამართლებრივ სიკეთები გადაუცემადი და ბრუნვაუნაროა, მაგრამ სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობაში ჩვეულებრივი ობიექტებია. ეს ცხადყოფს, რომ სიკეთე ფართო მნიშვნელობისაა და მასში მოიაზრება ნივთები, საგნები, არამატერიალური სიკეთეებიც; ამდენად, ბრუნვაუნარობა არ უნდა იყოს ამ სიკეთეების სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტებად აღიარებისთვის შემაფერხებელი მომენტი.

#### **4.2.3 პირადი ცხოვრება, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი**

პირად ცხოვრებაზე უფლება არის პირადი არაქონებრივი უფლება. „პირადი არაქონებრივი უფლებების ობიექტია არამატერიალური (სულიერი) სიკეთეები.“<sup>330</sup> კერძო ცხოვრების დაცვის უფლება მისი სტრუქტურის მიხედვით ანალიზის დროს ორ ურთიერთდაკავშირებულ უფლებამოსილებათა ჯგუფს მოიცავს: პირველი ახორციელებს კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის ფუნქციას, მეორე კი იცავს პირადი ცხოვრების საიდ-

<sup>326</sup> იბ. ბ. ზოიძე, ქართული სანიტორ სამართალი, მე-2 გადამუშ. და სრულყ. გამოცემა, თბ., „მეცნიერება“, 2003, გვ. 26; აბსოლუტური უფლების შესახებ იბ. *Tübingen (Mohr/Siebeck), Das subjektive Recht als Normsetzungsbefugnis*, 1965, Nr. 3, გვ. 145; იბ. ინტერნეტ-გვერდზე: <[http://www.eugenbucher.ch/pdf\\_files/03.pdf](http://www.eugenbucher.ch/pdf_files/03.pdf)> [07.05.10 20:57]

<sup>327</sup> იბ.: <<http://dissertations.ub.rug.nl/FILES/faculties/jur/2002/j.e.wichers/wichers.PDF>> [07.05.10 20:55]; მხგავსი შეხედულების შესახებ იბ. ვ. ლაპარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 106, 115

<sup>328</sup> იბ. ვ. სენის შეკვირვები, დასახ. ნაშრომი, გვ. 149

<sup>329</sup> იბ. ლ. ენერეზები და სხვები, დასახ. ნაშრომი, გვ. 259

<sup>330</sup> M. Малейна, Личные неимущественные права граждан: понятие, осуществление, защита, 2-е издание, исправленное и дополненное, М., «МЗ\_ПРЕС», 2001, გვ. 13; მაღალიანი მოსაზრება ასევე აქვს მოყვანილი ქ. ჩიკვაშვილს წიგნში „პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის“, გვ. 8

უმლოებას. პირველ ჯგუფში შედის: საცხოვრებელი, პირადი ურთიერთობების საშუალებათა, პირადი დოკუმენტაციის, ინდივიდის გარეგანი სახის ხელშეუხებლობა (საკუთარი გამოსახულების უფლება). მეორე წრეს განეკუთვნება: საექიმო, შვილად აყვანის, საადვოკატო, სანოტარო, იურისდიქციული ორგანოების საქმიანობის საიდუმლოება. ამდენად, სამოქალაქო უფლება კერძო ცხოვრების დაცვაზე არის სტრუქტურულად რთული. მასში შემავალი თითოეული ელემენტი სრულად იმსახურებს დამოუკიდებელ განხილვას. თუმცა მათ შევეხებით მხოლოდ თემის ფარგლებში.<sup>331</sup>

ამასთან, საცხოვრებელზე კონსტიტუციური უფლების სამოქალაქოსა-მართლებრივი რეალიზაციის ნორმატიული ფორმა არის „ის სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები, რომლებიც არეგულირებს საცხოვრებლის გამო წარმოშობილ სხვადასხვა ქონებრივ ურთიერთობას.“ საგულისხმოა, რომ საცხოვრებლის დაცვის უფლება განსხვავდება საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებისაგან; პირველი არის ქონებრივი უფლება, მეორე კი – პირადი არაქონებრივი უფლება. შესაბამისად, მისი რეალიზაციის სამოქალაქოსამართლებრივი ფორმა საცხოვრებელთან დაკავშირებით ადამიანის მატერიალური მოთხოვნილებების იურიდიულ დაკმაყოფილებაშია. რაც შეეხება საცხოვრებლის ხელშეუხებლობას, ის არ უნდა განიხილებოდეს ფიზიკური გაგებით (ბინა, ოთახები) და პირადი საცხოვრებების უფლების ობიექტის ხელშეუხებლობად. საცხოვრებლის ხელშეუხებლობა არის პირის კერძო ცხოვრების ერთ-ერთი ელემენტი, რომლის სამართლებრივი შეზღუდვები ფაქტობრივად განისაზღვრება პირის საცხოვრებელთან სამართლებრივ საფუძვლებზე (ურთიერთობაზე). ამდენად, ეს უფლება არის აბსოლუტური ურთიერთობის ელემენტი, რომელშიც ამ უფლების სუბიექტის უფლებამოსილებას ეწინააღმდეგება ყველა მესამე პირის მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების პასიური მოვალეობა, რომელიც მიმართულია საცხოვრებლის ხელშეუხებლობის დარღვევისკენ.<sup>332</sup>

ასევე აღსანიშნავია, რომ საცხოვრებლის ხელშეუხებლობაზე უფლებას აქვს განსაკუთრებული შინაარსი, რომელიც მოიცავს შინაგან და გარეგან მხარეებს. ამ უფლების შინაგანი მხარე გულისხმობს პირთა თავისუფლების საშუალებას, მოიქცეს თავის საცხოვრისში საკუთარი შეხედულებისამებრ. რაც შეეხება საცხოვრებლის ხელშეუხებლობაზე უფლების გარეგან მხარეს, ის ასრულებს დაცვით ფუნქციას, რომელიც იურიდიულად იცავს პირს საცხოვრებელში (შესაბამისად, კერძო ცხოვრებაში) მესამე პირთა ჩარევის-გან. ე. ი., „სამოქალაქო უფლება საცხოვრებლის ხელშეუხებლობაზე არის პირადი არაქონებრივი აბსოლუტური უფლება, რომლის ძალით უფლებამოსილ პირს შეუძლია მოიქცეს თავის საცხოვრებელში საკუთარი შეხედულებისამებრ და თავიდან აიცილოს საცხოვრებელში მისი ნების გვერდის ავლით ჩარევა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“<sup>333</sup>

ამასთან, კერძო ცხოვრება შეიძლება აისახოს საოჯახო ცხოვრებაში. პირის ოჯახური, მატერიალური და არამატერიალური ქონებრივი მდგომა-

<sup>331</sup> იხ. ლ. კრასავჩიკოვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 45-46

<sup>332</sup> იქვე, გვ. 58, 59-62

<sup>333</sup> იქვე, გვ. 64-66

რეობა განეკუთვნება პირად საიდუმლოებას.<sup>334</sup> კერძო სფეროში საგულისხმოა ასევე კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა ფრენშაიზინგის ხელშეკრულებაში, დავალების ხელშეკრულებით საიდუმლოების შენახვა... მიუხედავად ზემოთ ოქტომბრისა, ზოგჯერ სიკეთე შეიძლება იყოს ბრუნვაუნარო, ვინაიდან ქონებრივი უფლებები არის ბრუნვაუნარიანი, პირადი არაქონებრივი უფლებები – ბრუნვაუნარო.<sup>335</sup> წარმოიშობა შეკითხვა: არის ასეთი უფლება სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი?

უპირველეს ყოვლისა, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობა თავისი არსით წარმოადგენს რეგულატიური სამოქალაქო უფლებების უზრუნველყოფის საშუალებას.<sup>336</sup> სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის, როგორც უფლებისა და მოვალეობის იურიდიული კავშირის, რეგულატიურობას ადასტურებს, სსკ-ის მე-9 მუხლიც, რომლითაც აღიარებულია სამოქალაქო კანონების ძირითადი მიზანი, უზრუნველყოს „საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლება, თუ ამ თავისუფლების განხორციელება არ ხელყოფს მესამე პირთა უფლებებს“. თუმცა გამონაკლის შემთხვევებში სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობა ხელყოფის შემდეგაც არსებობს. როგორც კერძინი მიუთითებს, „დაცვითი მატერიალური სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა მატერიალური რეგულატიური უფლებების დარღვევის მომენტში. უფლებამოსილ სუბიექტს უფლება აქვს ცალკეულ შემთხვევაში მიმართოს დაცვის დამოუკიდებელ საშუალებებს (პრეტენზია წარუდგინოს, შეასრულოს სამუშაო მოვალის სასარგებლოდ და ა. შ.). პირს, რომელიც დაარღვევს უფლებას, შეუძლია ნებაყოფლობით აიღოს პასუხისმგებლობა (აანაზღაუროს ზიანი, გადაიხადოს ჯარიმა და ა. შ).“<sup>337</sup>

რეგულატიური ურთიერთობაა საზოგადოებრივი ურთიერთობების იურიდიულად გაშუალებული დინამიკა. იურიდიულ დაცვაში მოიაზრება შესაძლო ან განხორციელებული სამართლდარღვევების გაფრთხილება და შეწყვეტა (აღკვეთა).<sup>338</sup> ამასთან, დაცვითი უფლება ჩაენაცვლება რეგულატიურ მოვალეობას ახალ ურთიერთობაში. რეგულატიური უფლებების დარღვევა წარმოშობს წინააღმდეგობათა ურთიერთშეპირობებულობას, რაც გამოხატავს სამართლებრივ ურთიერთობას და ხდება მისი „პარალიზება“; ის ახალ დაცვით სამართლებრივ ურთიერთობას უთმობს ადგილს.<sup>339</sup> „ერთი და იგივე საზოგადოებრივი ურთიერთობა არ შეიძლება მოწესრიგდეს სა-

<sup>334</sup> იხ. ბ. ძეულაშვილი, დასახ. ნაშრომი გვ. 116

<sup>335</sup> იხ. ვ. ლაპახი, დასახ. ნაშრომი, გვ. 278

<sup>336</sup> იხ. Е. Крашенинников, Охраняемый законом интерес и средства его защиты, в материалы научной конференции: «Вопросы теории охранительных правоотношений», Ярославль, 1991, гვ. 14, 18

<sup>337</sup> А. Вершинин, Охранительные материально-правовые отношения и право на судебную защиту, в материалы научной конференции: «Вопросы теории охранительных правоотношений», Ярославль, 1991, гვ. 36

<sup>338</sup> იხ. О. Иоффе, Личные неимущественные права и их место в системе советского гражданского права, «Советское государство и право», 1966, №7, გვ. 53

<sup>339</sup> დაცული და დასაცი ურთიერთობების ურთიერთგანპირობებულობისა და არსის შესახებ იხ. Е. Мотовиловкер, Основное разделение охранительных правоотношений, В материалы научной конференции: «Вопросы теории охранительных правоотношений», Ярославль, 1991, გვ. 25, დაწვრ. იხ. Е. Крашенинников, Учение Муромцева о защищаемых и защищающих отношениях, გვ. 39-45, იხ. Е. Мотовиловкер, Теория регулятивного и охранительного права, გვ. 54, 56, 55

მართლის რამდენიმე დარგით. იქ, სადაც მოქმედებს სამართლის სხვადასხვა დარგის ნორმები, ადგილი აქვს არა ერთ კომპლექსურ საზოგადოებრივ ურთიერთობას, არამედ სხვადასხვაგვარ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელ კომპლექსს.<sup>340</sup> პირადი არაქონებრივი ურთიერთობები, როგორც აბსოლუტური სამართლებრივი ურთიერთობები, რეგულირდება მხოლოდ სამოქალაქო სამართლის ნორმებით.<sup>341</sup> სამოქალაქო სამართალი ძირითადად აწესრიგებს ქონებრივ ურთიერთობებს, ასევე პირად არაქონებრივ ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულია ქონებრივთან. ამასთან, გარკვეული პირადი არაქონებრივი ურთიერთობები, რომლებიც არაა ქონებრივთან დაკავშირებული, დაცულია სამოქალაქოსამართლებრივი ნორმებით.<sup>342</sup>

ამდენად, კერძო ცხოვრება მოიცავს რა კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო თუ პირად სფეროებს, მასზე უნდა გავრცელდეს კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტის მიმართ მოქმედი წესები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პირადი ცხოვრების უფლება თავისი არსით არის პირადი არაქონებრივი უფლება და ის უნდა ჩაითვალოს დაცვითი სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტზე. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში როგორც კერძო, ისე პირადი ცხოვრება უნდა განიხილებოდეს სიკეთედ, რომელიც სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტია.

## მოკლე დახსენა

როგორც ჩანს, კერძო ცხოვრების სოციალურ და სამართლებრივ საფუძვლებს შორის კორელაციური დამოკიდებულება იკვეთება ისევე, როგორც კერძო და საჯარო სფეროებს შორის. ამასთან, ხშირად კერძო და საჯარო სფეროები ისე უახლოვდება ერთმანეთს, რომ ზოგჯერ მათ შორის მიჯნაც იყარება. რაც შეეხება კერძო და პირადი ცხოვრების ცნებებს, ისინი ჩვეულებრივ ყოფით ურთიერთობებში, მეცნიერებაში, კანონმდებლობასა და პრაქტიკაშიც აღრეულია.

კერძო ცხოვრების საიდუმლოების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით საქართველოს სასამართლო პრაქტიკა მწირია. ამ გაგებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მდიდარ პრაქტიკაში მოცემულია ახსნა-განმარტებები ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა საოჯახო თუ სქესობრივი ცხოვრება, თვითგამორკვევა, საცხოვრებელი ადგილი და სხვა, რაც აქტუალურია საქართველოსთვის. აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია, კერძო სფეროში მოიაზრებოდეს ადამიანთა შორის არასაჯარო საწყისებზე აგებული ურთიერთობა, რომელშიც დაუშვებელია სხვების ჩარევა და ინდივიდს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ მოქმედება. სწორედ კერძო ცხოვრებით არის პირი სხვა პირთაგან გამოცალკევებული. თუმცა იმისათვის, რომ განმარტოების ნიშანი ფართოდ

<sup>340</sup> Н. Егоров, Личные неимущественные права граждан и организации как институт советского гражданского права, в журнале «Правоведение», 1984, №6, გვ. 32

<sup>341</sup> იქვე, გვ. 33

<sup>342</sup> იხ. მ. მალევინა, დასახ. ნაშრომი, გვ. 24; პირადი ურთიერთობის დაცვის შესახებ იხ. დ. კერველიძე, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, ქართული სამართლის მიმოხილვა, 7/2004-1, გვ. 7

არ იყოს ინტერპრეტირებული, მნიშვნელოვანია მისი დაკონკრეტება სფეროებით, რომლებითაც პირი გამოეყოფა სხვა პირებს, კერძოდ, საოჯახო ცხოვრება, საცხოვრებელი, ქონებრივი ასპექტები და სხვა. რაც შეეხება პირად ცხოვრებას, ის სხვათაგან უკვე გამოცალკევებული პირის არსებაში მიმდინარე პროცესებს უკავშირდება. პირადი ცხოვრება არის კერძო სფეროდან ერთ-ერთი ნაწილი, რომელიც უშუალოდ პიროვნებასთანაა მჭიდროდ დაკავშირებული, ეხება სხეულებრივ და მორალურ მთლიანობას (სიცოცხლე, ჯანმრთელობა, მორალური და ფიზიკური ხელშეუხებლობა), უზრუნველყოფს პიროვნების ავტონომიას (პირადი ცხოვრების საიდუმლოება, მიმოწერის საიდუმლოება...), განავითარებს ინდივიდუალობას (პატივი, ღირსება, სახელი, სქესობრივი თავისუფლება, თვითგამოსახვა, თვითგამორკვევა, ცხოვრების წესი). ამასთან, ჯანმრთელობა, სიცოცხლე წარმოიშობა დაბადებით, ზოგიერთი პირადი უფლების წარმოშობას კი იწვევს კანონი. პირად ცხოვრებას მჭიდრო კავშირი აქვს საადვოკატო საიდუმლოებასთან, რომლის დაცვის მოვალეობას წარმოშობს გარიგება.<sup>343</sup> თუმცა ეს კომპონენტები შეიძლება დამოუკიდებლადაც არსებობდეს. ამდენად, კერძო ცხოვრების საიდუმლოება გაცილებით ფართოა, ვიდრე პირადი ცხოვრების საიდუმლოების ცნების შინაარსი. ასევე გასამიჯნია პერსონალური მონაცემების კერძო და საჯაროსამართლებრივი დაცვა, რომ აქცენტი გაკეთდეს კომპენსატორულ-სატისფაქციურ, პრევენციულ თუ რეპრესიულ მომენტებზე.

ამასთან, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტის შესახებ წესები უნდა გავრცელდეს კერძო სფეროს მიმართაც. ამავე დროს, საქმე ეხება რა პირად არაქონებრივ და აბსოლუტურ უფლებებს, მოცემულ შემთხვევაში მათვის დამახასიათებელი ნიშნებიც უნდა იყოს მხედველობაში მიღებული.

## თავი II. საქართველოს კანონმდებლობა ზოგადი პიროვნული უფლების შესახებ და პირადი ცხოვრების სამართლებრივი დაცვა

### 5. ზოგადი პიროვნული უფლების ცნება და საქართველოს კანონმდებლობა

საქართველოს კანონმდებლობაში უშუალოდ არსადაა მითითებული ტერმინი „ზოგადი პიროვნული უფლება“, თუმცა ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ამ უფლებას ქართული სამართალი არ აღიარებს. აღნიშნულის დასაბუთება, უპირველეს ყოვლისა, საჭიროებს ზოგადი პიროვნული უფლების არსის გარკვევას, ასევე გერმანული სამართლის მოკლედ მიმოხილვას, ვინაიდან ზოგადი პიროვნული უფლება გერმანული სამართლის პირმშოა.

პირადი სფეროს სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის საფუძველი არის ზოგადი პიროვნული უფლება, რომელიც სასამართლო პრაქტიკის

<sup>343</sup> პირადი არაქონებრივი წარმოშობის საფუძვლებისა და კლასიფიკაციის შესახებ იხ. ქჩიკაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, გვ. 8-9, 20-22

პროდუქტს წარმოადგენს. გერმანიაში პირადი სფერო განისაზღვრა ზოგადი პიროვნული უფლების კონსტრუქციის საშუალებით. ზოგადი პიროვნული უფლებაში შედის განმარტოების უფლება. ზოგადი პიროვნული უფლება სამოქალაქოსამართლებრივ სიბრტყეზე მოიცავს საკუთარი პიროვნების თავისუფალ განვითარებასა და პატივისცემის უფლებას. პიროვნების დაცვაში იგულისხმება პიროვნების ორი ასპექტი: გარანტირებულია განვითარების თავისუფალი შესაძლებლობის უფლება, ასევე აქტიური გადაწყვეტილების მიღებისა და მოქმედების თავისუფლების გვერდით განმარტოების უფლება (*Das Recht in Ruhe gelassen*). აქ მნიშვნელოვანია საკუთარი ცხოვრების დამოუკიდებლად მოწყობა. ამ სფეროში პირს შეუძლია საზოგადოების ჩარევისაგან, კონტროლისა და კრიტიკისგან განმარტოება.<sup>344</sup> უპირველეს ყოვლისა, საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი იცავს საკუთარი პიროვნების თავისუფალ განვითარებას, რაც კონკრეტულება საჯარო და კერძო სამართლის ნორმებში. აღნიშნულს კი, თავის მხრივ, ლოგიკურად უკავშირდება ღირსების უზრუნველყოფა. ჩვენთვის ამჯერად მნიშვნელოვანია ღირსების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვა (სსკ-ის მე-18 მუხლი), რაც უფლების დაცვის სხვადასხვა ფორმით მიიღწევა. ღირსება, რომელიც ზოგადი პიროვნული უფლების ცენტრალური რაობაა, თავისი არსით პირად სფეროს უკავშირდება. ამასთან, ამ სიკეთის ხელყოფამ შეიძლება გამოიწვიოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი, რომელთა ანაზღაურება სამოქალაქო პასუხისმგებლობის ფუნქციების განხორციელებისკენ არის მიმართული. ეს კი უმნიშვნელოვანებია პირადი ცხოვრების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვისთვის (სსკ-ის 992-1008-ე მუხლები).

თუმცა პიროვნული უფლებების დაცვა კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში ხორციელდება ძირითად უფლებებთან მათთი კავშირის შესაბამისად. სწორედ იმის მიხედვით, თუ როგორ ზემოქმედებს ძირითადი უფლებები პიროვნულ უფლებებზე, გამოიყოფა კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში ძირითადი უფლებების უშუალო და არაპირდაპირი მოქმედების თეორიები. ამასთან, ცალკე არის კონცეფცია, რომელიც ამ საკითხის გადაწყვეტის შუალედურ მიღგომას ითვალისწინებს.

პირდაპირი მოქმედების თეორიის მიხედვით, ძირითადი უფლებების თაობაზე არსებული დებულებები უშუალოდ ე. ი. კანონის ჩარევის გარეშე ანუ კერძო სამართალში არსებული მოთხოვნების გარეშე გამოიყენება. თუმცა ეს შეხედულება სასამართლო პრაქტიკაში არაა მიღებული.<sup>345</sup> ამ გაგებით ზოგადი პიროვნული უფლება არის ზოგადი ნორმები, რომლითაც თითოეული პირის თვითგამორკვევის უფლება სხვათა თავისუფლებასთან უნდა იყოს კავშირში.<sup>346</sup> გვრ-ს კონსტიტუციის 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საკუთარი უფლებების დაცვის მოვალეობებს კავშირი აქვს

<sup>344</sup> ი. პ. მუნკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 21, 109-110

<sup>345</sup> ი. მარი-დერეს ფრიკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 8

<sup>346</sup> ი. ე. Ehmann, BGB, 12. Auflage, Handkommentar mit AGG, EGBGB, ErbbauRG, HausratsVO, LPartG, ProdHaftG, UKlaG, VAHRG und WEG, 2008, გვ. 22; ი. ინტერნეტ-გვერდი: <[http://www.soldan.de/WebRoot/SoldanDB/Shops/Soldan/Sample/9783504471002\\_LP.pdf](http://www.soldan.de/WebRoot/SoldanDB/Shops/Soldan/Sample/9783504471002_LP.pdf)> [11.09.09 9:38]

ძირითად უფლებებთან, რომლებიც გამოიყენება კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში დისპოზიციური ნორმების გათვალისწინებით.<sup>347</sup>

თუმცა ძირითადი უფლებების უშუალო ზეგავლენის შესახებ მოძღვრებას მკაცრი კრიტიკა მოჰყვა, ვინაიდან კერძო პირთა შორის ურთიერთობაზე ძირითადი უფლებების უშუალოდ მოქმედება უცხოა ძირითადი უფლებების არსისთვის. ამ თეორიის საწინააღმდეგოდ მეტყველებს, რომ ძირითადი უფლებების კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებზე გავრცელების მიზანია, დაიცვას ძირითადი უფლებების სუბიექტის უფლება და მისცეს მას შესაძლებლობა, აწარმოოს სხვებთან პირადი ურთიერთობები დამოუკიდებლად. არადა კერძო სამართალში ძირითადი უფლების უშუალო მოქმედების თეორია ეწინააღმდეგება ძირითადი უფლების მიზანს. ძირითადი უფლებების მთავარი ფუნქციაა სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევების ასახვა კერძოსამართლებრივ სფეროში. ძირითადი უფლებები დირექტულებათა ობიექტურ წესრიგს ასხამს ხორცს, რომელიც გარდაიქმნება კერძოსამართლებრივ ურთიერთობად. ზოგადი პიროვნული უფლების ჩვეულებრივ უფლებად აღიარებამ კი სამოქალაქო სამართალში უზვეულოდ გააფართოვა დაზარალებულის დაცვა.<sup>348</sup> ამდენად, კონსტიტუცია ადგენს კერძო სამართლის განვითარებისთვის აუცილებელ ფარგლებს და ძირითადი უფლებების ერთ-ერთი აღრესატი ყოველთვის სახელმწიფოა. არადა კერძო უფლების აღრესატი არის კერძო პირი. შესაბამისად, კონსტიტუციით განმტკიცებული ძირითადი უფლებები კერძო სამართალში არ მოქმედებს უშუალოდ (სსკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილი).<sup>349</sup>

რაც შეეხება ძირითადი უფლებების არაპირდაპირი მოქმედების შესახებ მოძღვრებას, ამ თეორიის მიხედვით, ძირითადი უფლებები კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში მოქმედებს მხოლოდ ეგნეტუალურად. კერძო სამართალზე ძირითადი უფლებების ზემოქმედების საშუალებად ითვლება ზოგადი ხასიათის პირობები. ამ გაგებით ძირითადი უფლებები განიხილება კერძო სამართლისთვის ფორმის მიცემისა და ახსნა-განმარტების მასშტაბად.<sup>350</sup> სწორედ ეს ზოგადი დებულებები წარმოადგენს ზოგად პიროვნულ უფლებას. მიუხედავად წინააღმდეგობებისა, აღიარეს ზოგადი პიროვნული უფლება, რომლის სამოსამართლო სამართლის მიერ ცნობა მოტივირებული გახლდათ სამოქალაქო კოდექსში იდეალური ინტერესების დაცვით.<sup>351</sup> ამასთან, ძირითადი უფლებების გამოყენება ქართულ სამოქალაქო სამართალში უშუალოდ ვერ განხორციელდება, აქ აუცილებელია გადამსვლელი

<sup>347</sup> ი. ხ. Uesseler, Einwirkungen der Grundrechte auf das Schadenersatzrecht (Dissertation), Wuppertal, 2008, გვ. 46; ასევე ი. ინტერნეტ-გვერდი: <[http://miami.unimuenster.de/servlets/DerivateServlet/Derivate-4532/diss\\_uesseler.pdf](http://miami.unimuenster.de/servlets/DerivateServlet/Derivate-4532/diss_uesseler.pdf)> [06.08.10 20:43]

<sup>348</sup> იქვე, გვ. 48-51, 70

<sup>349</sup> აღნიშნულის შესახებ ი. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., „სამართალი“, 2011, გვ. 82-84

<sup>350</sup> ი. ხ. უგელერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 49; ამ თეორიის შესახებ ი. ხ. Hofmann, Die Grundrechte 1789-1949-1989, NJW, 1989, 42. Jahrgang, Heft 50, გვ. 3185

<sup>351</sup> ი. ხ. EuGHMR (große Kammer) 2006/11/07-Jalloh gegen Deutschland (განაცხადი №54810/00); BGHZ 1954.25.05-Schacht-Entscheidung; BGHZ 1958.14.02-Herrenreiter-Entscheidung; BGHZ 1958.20.05-Tonband-Entscheidung; BGH, Soraya-Entscheidung, NJW 1965, გვ. 685 და შემდგომი გვერდები, ასევე ი. ხ. უგელერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 72, 73

ხიდების გადება დირსების დაცვის, ასევე დელიქტური სამართლის ნორმების საფუძველზე. ეს ეხება შემთხვევებს, როდესაც აუცილებელია პირადი ცხოვრების დაცვა ნებისმიერი ხელყოფისაგან ან უკვე ზიანის მიყენებისას უფლების დაცვის სხვა ფორმების გამოყენება (ქონებრივი თუ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება). აღნიშნული გარკვეულ ფარგლებში აქცევს კერძო ავტონომიის (სსკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი) და თანასწორობის (სსკ-ის 1-ლი მუხლი) საწყისებს, რომლებსაც ეფუძნება კერძო უფლების სუბიექტობრივ ურთიერთობებში.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ცალკეულ შემთხვევაში ძირითადი უფლებებისთვის გამოსავალს წარმოადგენს ზოგადი პიროვნული უფლების ცნება. სწორედ ზოგადი პიროვნული უფლება გამოვლინდება ძირითად უფლებებში და გამოიყენება კერძო პირთა შორის ურთიერთობაში.<sup>352</sup> არა-პირდაპირი მოქმედების შესახებ მოძღვრება ითვალისწინებდა ძირითად ნორმას კი არა, არამედ ღირებულებების შესახებ წარმოდგენებს, რომლებიც ამ ნორმებს ფარგლებს გარეთაა. ძირითად სამართლებრივ ნორმაში გამყარებული ღირებულებები „არაპირდაპირ“ აყენებს საკითხს ცნებათა შევსების შესახებ, მაგალითად, ზოგადად მისაღებ მორალურ ნორმებს, ნდობასა და მრწამსს, სამართლიანობას ან ზოგადი პიროვნული უფლების შესახებ ზოგადი პირობებს კერძო სამართალში.<sup>353</sup>

ზემოთ განხილული ცხადყოფს, რომ კერძოსამართლებრივი ზოგადი პიროვნული უფლება არაა ზოგადი პიროვნული უფლების, როგორც ძირითადი უფლების, იდენტური. კერძოსამართლებრივ პიროვნულ უფლებაში ჩარევა სრული მოცულობით შეიძლება, თუ ჩარევა არ ხელყოფს კონსტიტუციურ წესრიგს. კონსტიტუციურსამართლებრივი პიროვნული უფლება კერძოსამართლებრივი პიროვნული უფლების საყრდენია. კონსტიტუციურსამართლებრივი პიროვნული უფლების გამოყენების სფერო არაა ისეთივე, როგორც კერძოსამართლებრივია, რადგან ცალკეული ასპექტები სპეციალური ძირითადი უფლებებითაა დაცული. სამოქალაქო სამართლის პიროვნული უფლება პირიქით, მოიცავს ამ ელემენტებს.<sup>354</sup> სამოქალაქო სამართალი ეფუძნება გარკვეულ ღირებულებებს, რომლებიც ქმნის კერძო სამართლის ფუნდამენტს. ეს ღირებულებები კი განმტკიცებულია კონსტიტუციით და შემდგომ ისინი მოქმედებს კერძო სამართალში. სსკ-ი ღირებულებითი წესრიგის საზომად ასახელებს საქართველოს კონსტიტუციას (სსკ-ის მე-2 მუხლი). ამდენად, კონსტიტუცია კერძო სამართლის განვითარებისთვის აუცილებელ ფარგლებს განსაზღვრავს. შესაბამისად, ძირითადი უფლებები კერძოსამართლებრივი ურთიერთობებში უშუალოდ ვერ მოქმედებს, ვინაიდან ძირითადი უფლებების ერთ-ერთი ადრესატი ყოველთვის სახელმწიფოა. კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში კი კერძო უფლების ადრესატი არის კერძო პირი. ესე იგი, კონსტიტუციით განმტკიცებული ძირითადი უფლებები არაპირდაპირ მოქმედებს კერძო სამართალში.<sup>355</sup>

<sup>352</sup> იხ. ბ. უეხელერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 73

<sup>353</sup> იხ. მარი-დეკრეს ფრაი, დასახ. ნაშრომი, გვ. 8-9

<sup>354</sup> იხ. ფ. ვიტერნი, დასახ. ნაშრომი, გვ. 160-161

<sup>355</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გვ. 82-84

ამასთან, პირადი ცხოვრების დაცვის მექანიზმების ასამოქმედებლად აუცილებელია ზოგადი პიროვნული უფლების აღიარება, ვინაიდან მის ამოცანებს სხვა ინსტიტუტი ვერ იტვირთავს. ზოგადი პიროვნული უფლების დაცული სფერო ძირითადად ორ ფუნქციას ასრულებს: 1) განმარტოებას; 2) პიროვნების აქტიური განვითარების უზრუნველყოფას.<sup>356</sup>

ამ თვალსაზრისით საგულისხმოა გერმანიის ფედერალური სასამართლოს 1954 წლის ქ. წ. შახტის გადაწყვეტილება, რომლითაც განისაზღვრა, რომ პიროვნული უფლებების დაცვის საუკეთესო საშუალებაა ზოგადი პიროვნული უფლების აღიარება. ამით პრაქტიკულად უზრუნველყოფილი იყო პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის სამართლით დაცვა.<sup>357</sup> „უნებართვო შეცვლილი სახით წერილის გამოქვეყნება ხელყოფს მისი ავტორის პიროვნებას და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით ზოგად პიროვნულ უფლებას.“<sup>358</sup>

საგულისხმოა, რომ ზოგადი პიროვნული უფლება აფართოებს პატივის სამოქალაქო დაცვას. თუმცა აღნიშნული გამართლებულია იმით, რომ კერძო და ინტიმური სფეროების დარღვევის შესაძლებლობა არის ტექნიკური განვითარების (მინიშპიონები, ტელეობიექტივები და ა. შ.) საფუძველზე მუდამ მზარდი. გაყალბებისგან დაცულია იდენტობის ნიშნები. ამასთან, პიროვნული უფლების გზით ხორციელდება პატივის (დირსების) არა მხოლოდ სამოქალაქო დაცვა, არამედ ის ეხება ასევე პირადი სფეროს (*right of privacy*) დაცვის აღიარებას.<sup>359</sup> ამდენად, ტექნოლოგიური განვითარების ფონზე იზრდება პირადი ცხოვრების ხელყოფის საფრთხე. ამ საფრთხისათვე ზიანის მიუენების შემთხვევებში კი აუცილებელია აბსოლუტური უფლება პირადი ცხოვრების დაცვაზე უზრუნველყოფილი იყოს უფლების დაცვის სხვადასხვა ფორმებით და განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდეს დალიქტურ სამართალზე (სსკ-ის 992-ე მუხლი).

ამ ფორმით 1954 წლიდან ზოგადი პიროვნული უფლება, როგორც გფრს კონსტიტუციის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილისა და მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით გარანტირებული ძირითადი უფლება, სამოქალაქოსამართლებრივად სამოქალაქო კოდექსის 823-ე მუხლის შინაარსში აღიარეს. კონსტიტუციის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი პიროვნული უფლებების

<sup>356</sup> იბ. ქ. ემანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 25

<sup>357</sup> იბ. Karl-Heinz Fezer, Kommerzialisierung des Persönlichkeit, (vorgelegt von Claudia Beuter) (Dissertation), 2000, გვ. 5; ხელმისაწვდომია ინტერნეტ-გვერდზე: <[http://www.ub.uni-konstanz.de/kops/volltexte/2000/406/pdf/406\\_1.pdf](http://www.ub.uni-konstanz.de/kops/volltexte/2000/406/pdf/406_1.pdf)> [06.08.10 20:46]. ერთ-ერთ ყოველკვირკულ ჟურნალში გაკრიტიკებულ იქნა ეკონომიკის მინისტრის – ღორგე შახტის აქტიურობა ომის შემდგომ პერიოდში. ადვოკატმა ამის პასუხად ოფიციალური წერილით ჟურნალს მოუწოდა, რომ სტატიაში შესწორებები შეეგანა. ჟურნალმა ადვოკატის წერილის მხოლოდ ნაწილი დაბეჭდა რუბრიკაში „მკითხველთა წერილი“ და ისე, თითქოს მოსარჩევე ადვოკატი კერძო პირი ყოვილიყო და მხარი დაეჭირა შახტისთვის. გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ გერმანიის ძირითადი კანონის 1-ლ და მე-2 მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ პირადი არაქონებრივი უფლებები სამოქალაქო სამართლის მიერაც შეიძლება იქნეს დაცული. აღნიშნულის შესახებ იბ. BGHZ, 13, 334, 337-339, 1954.25.05-Leserbrief-Entscheidung

<sup>358</sup> St. Schweers, Die vermögenswerten und ideellen Bestandteile des Persönlichkeitsrechts nach dem Tod des Trägers (Dissertation), Köln, 2006, გვ. 17; ნაშრომი ხელმისაწვდომია ინტერნეტ-გვერდზე: <<http://kups.ub.uni-koeln.de/1793/>> [31.08.10 13:06]

<sup>359</sup> აღნიშნულის ოაბაზე იბ. ქ. გასერბურგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 48-49

საშუალებით შეიქმნა ვრცელი სასამართლო პრაქტიკა, რომელიც კონსტიტუციის კონკრეტიზაციისა და შევსებისკენ იყო მიმართული.<sup>360</sup> ზოგადი პიროვნული უფლების ცნება, თავის მხრივ, მოიცავს უფლებებს, რომლებიც ახდენს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების კონკრეტიზაციას ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროთა მიხედვით. ზოგადი პიროვნული უფლება იცავს იმ სფეროებს, რომლებიც სპეციალური ძირითადი უფლებებით არ არის დაცული. ამიტომ ზოგად პიროვნულ უფლებას „უხილავ, დაუწერელ ძირითად უფლებად“,<sup>361</sup> „დანარჩენ უფლებად“ მოიხსენიებენ; მას ახასიათებს ზოგადი ნორმის განუსაზღვრელობა, რის გამოც ის არის ჩარჩო-უფლება. ზოგად პიროვნულ უფლებაში მოიაზრება პირის უფლებამოსილება, დამოუკიდებლად განსაზღვროს, დასაშვებია თუ არა და რა ზომით მის შესახებ ინფორმაციის მიღება-გავრცელება და რა მოცულობით არის დასაშვები პიროვნული ინტერესების შელახვა. საერთოდ, პიროვნულ სიკეთეთა რიცხვი უსაზღვროა და პიროვნების შესაძლო უკანონო ხელყოფების წრეც არასოდეს იქნება სრული; ამ ხარვეზების შევსების („განსაკუთრებული კარის“) ფუნქცია აკისრია ზოგად პიროვნულ უფლებას.<sup>362</sup>

ამდენად, გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 823-ე მუხლში დაკონკრეტებულია, რომ თუ პირმა განზრას ან გაუფრთხილებლობით მართლსაწინააღმდეგოდ მიაყენა ზიანი სხვა პირის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, თავისუფლებას, საკუთრებას ან სხვა (დანარჩენ) უფლებას, უნდა აუნაზღაუროს დაზარალებულს მიყენებული ზიანი. გერმანული დელიქტური სამართალი (823-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან დანაწესს შეიცავს სხვა (დანარჩენ) უფლებაზე, რომელიც ფაქტობრივად ზოგად პიროვნულ უფლებას წარმოადგენს. დაახლოებით იგივე შინაარსია გატარებული სსკ-ის 992-ე მუხლში, რომელშიც განისაზღვრა, რომ დელიქტურია ზიანი, რომელიც მხოლოდ მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეული ქმედებითაა გამოწვეული.<sup>363</sup> გენერალური დელიქტის შესახებ ეს ნორმა იცავს ყველა იმ სიკეთეს, რომელიც სსკ-ის მე-18 მუხლით არაა მოცული, თუ სსკ-ის მე-18 და 992-ე მუხლი მჭიდროდ იქნება განსხილული. ამასთან, სსკ-ის 992-1008-ე მუხლები უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების სხვადასხვა გამოვლინებას დაცვით. აღნიშნული მიმართულია პიროვნების ყოველმხრივი დაცვისკენ და უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების იმ გამოვლინებებს, რომელთა დაცვის აუცილებლობაც შეიძლება დადგეს მომავალში.

საერთოდ, ზოგადი პიროვნული უფლება ადამიანის ღირსების დაცვის სფეროდან გადის და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების სფეროში გადადის. ზოგადი პიროვნული უფლება შეიცავს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას (*freie Entfaltung der Persönlichkeit*), რაც გუ-

<sup>360</sup> იქვე, გვ. 49

<sup>361</sup> იხ. კ. კუბლაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 104

<sup>362</sup> იხ. H. Ehmann, Zur Struktur des allgemeinen Persönlichkeitsrechts, გვ. 193, 195, 196; H. Ehmann, BGB, გვ. 25; მარი-დერეს ფრიკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 6-7; ხ. უსევლერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 73

<sup>363</sup> ქართული და გერმანული დელიქტური სამართლის გარკვეული საერთო ნიშნების შესახებ იხ. ჩიტოშვილი, დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები, „მართლმსაჯულება“, 2008, №1, გვ. 52-53

ლისხმობს დაცული სფეროს პატივისცემის უფლების აქტიურ შემადგენელ ნაწილს, რომელსაც მოქმედების ზოგადი თავისუფლება გამოჰყავს.<sup>364</sup> სსკ-ის მე-18 მუხლი იცავს რა დირსებას, საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლში დეკლარირებული საკუთარი პიროვნების განვითარების თავისუფლების კონკრეტიზაციას ახდენს ადამიანის სხვადასხვა სფეროს მიხედვით სამოქალაქოსამართლებრივ სიბრტყეზე. აღნიშნული კი, თავის მხრივ, შეიძლება უფლების დაცვის კონკრეტული ფორმების გამოყენებას შეეხოს და ის ასევე უზრუნველყოფა ქართულ დელიქტურ სამართალზე დაყრდნობით.

ამასთან, პიროვნული უფლების შინაარსი ქონებრივ სამყაროსაც ადგენს; მისი შინაარსი არაა შემოსაზღვრული იდეალური ინტერესებით, ვინაიდან პიროვნება შეიძლება განვითარდეს ეკონომიკურ სფეროში (სამეწარმეო მოქმედებათა თავისუფლება)<sup>365</sup> (ამის დასტურია ერთ-ერთი გადაწყვეტილება – კარერას სარჩევლი).<sup>366</sup> მარლენ დიტრიხის<sup>367</sup> და ბლაუ ენგელის გადაწყვეტილებებში<sup>368</sup> ის ქონებრივ პიროვნულ უფლებად შევასდა. გამოსახულებას, სახელს, პიროვნების სხვა ინდივიდუალურ ნიშნებს, როგორიცაა ხმა, მნიშვნელოვანი ეკონომიკური დირქტულება აქვს, რაც ცნობადობასა და პირის საზოგადოებაში პატივისცემაზეა დაფუძნებული. ამიტომ სასამართლომ განსაზღვრა, რომ მისი პიროვნული ნიშნების რეკლამის მიზნით იდეალური ინტერესებისთვის დაუშვებელი გამოყენებისას ადგილი აქვს დაინტერესებული პირის კომერციული ინტერესების ხელყოფას.<sup>369</sup> თუ ეს თეზისი მყარი არის ან თუ შელახული პიროვნული უფლების ეკონომიკურ დირქტულებას დასაწყისშივე ლატენტურად არ მოიაზრებს, ის შემდგომში მაინც წამოტივგებად.<sup>370</sup> პირადი სფეროს ხელყოფა კი, თავის მხრივ, დელიქტური სამართლის ჭრილში უნდა განიხილებოდეს (სსკ-ის 992-ე მუხლი).

ამდენად, ზოგადი პიროვნული უფლება არის ადამიანის დირსების პატივისცემისა და ინდივიდის განვითარების უფლებისგან გამოყოფილი უფლება, რომელიც ავალებს არა მხოლოდ სახელმწიფოსა და მის ორგანო-

<sup>364</sup> იხ. კ. გარებულების დასახ. ნაშრომი, გვ. 51

<sup>365</sup> იქვე, გვ. 53

<sup>366</sup> პიროვნული უფლებების დაცვაში ეკონომიკური ასპექტების შესახებ იხ. ასევე კარლ-პაინც ფერერის, დასახ. ნაშრომი, გვ. 78-79

<sup>367</sup> იხ. BGH, NJW 2000, 2195-Marlene-Dietrich-Entscheidung.

<sup>368</sup> იხ. BGH, NJW 2000, 2201-Blauer-Engel-Entscheidung.

<sup>369</sup> იხ. ბ. უესტერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 221; ცხადია, გერმანიის ფედერალური სასამართლო 1956 წელს კომერციალიზაციის ფაქტობრივ პირობებს ეფუძნება მაშინ, როდესაც ის პალი-დალკეს გადაწყვეტილებაში საკუთარ გამოსახულებაზე უფლებას ქონებრივ-დირქტულებითი ხასიათის განსაკუთრებულ უფლებად“ აღიარებდა. გერმანიაში პიროვნული უფლებების ქონებრივი ხასიათის აღიარება სასამართლო პრაქტიკის საშუალებით უნდა აკმაყოფილებდეს როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ წინაპირობებზე. ობიექტური კომპონენტის სახით საჭიროა, რომ გამოსახულების უფლება ჩარევის წინ კომერციალიზირებული ან უველაზე მცირე, კომერციალიზებადი მაინც იყოს. სუბიექტური გაბებით აუცილებელია უფლებამოსილი პირის ხება კონკრეტულ შემთხვევაში, შესაბამისი უფლება კომერციულად შეფასდეს. როცა არ არსებობს აღნიშნული წინაპირობები, პირს, სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, რჩება მხოლოდ არამატერიალური ზინანის ანაზღაურების მოთხოვნის დაყენების უფლება, კერძოდ, ფულადი სახით, რომელიც სუბსიდიურია და მხოლოდ მძიმე ჩარევების დროს გამოიყენება. იხ. კარლ-პაინც ფერერის, დასახ. ნაშრომი, გვ. 70, 72

<sup>370</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. კარლ-პაინც ფერერის, დასახ. ნაშრომი, გვ. 73-74

ებს, არამედ თითოეულ პირს, დაიცვას სხვისი უფლება.<sup>371</sup> დირსება კი სსკ-ის მე-18 მუხლის სხვადასხვა ნაწილით არის დაცული და მოცემულ შემთხვევაში ნორმის ადრესატი კერძო პირი, აქცენტიც უნდა გაკეთდეს კერძო ინტერესის დაკმაყოფილებაზე. სწორედ ამ ასპექტიდან შეიძლება გამომდინარეობდეს სამოქალაქო სამართლით პირდაპირ გაუთვალისწინებელი პიროვნული უფლებების ხელყოფის შემთხვევაში „სხვა“ უფლებათა ქართული დელიქტური სამართლით დაცვის მექანიზმი. ეს, თავის მხრივ, ზოგადი პიროვნული უფლებების სამოქალაქოსამართლებრივ აღიარებას უკავშირდება. ამასთან, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაყენების დროს საკითხი შეიძლება გადაწყდეს სსკ-ის მე-18 მუხლის მე-4 ნაწილისა და სსკ-ის 992-ე მუხლის სიღრმისეული ანალიზის შედეგად.<sup>372</sup> ამდენად, ზოგადი პიროვნული უფლება არის ზოგადი ნორმების შესახებ სამართალი, რომელიც ინდივიდის თვითგანხორციელების ძირითადი პირობაა. ზოგადი პიროვნული უფლება იცავს თვითგანხორციელების უფლებას სხვებისგან, კოლიზიური ინტერესებისაგან – განსაკუთრებით მედიისაგან.<sup>373</sup> აღნიშნული კუთხით სსკ-ის 992-ე მუხლი ზოგადი ხასიათის პირობებს შეიცავს და ზოგადი პიროვნული უფლების აღიარების შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში გათვალისწინებულია ასევე ზოგიერთი პიროვნული უფლება: უფლებები სახელის, გამოსახულების, ღირსებისა და სხვათა დაცვაზე (სსკ-ის მე-17-18 მუხლები), პირადი უფლებების დაცვა გარდაცვალების შემდეგ (სსკ-ის მე-19 მუხლი). სხვა პიროვნული უფლებები დაცულია კერძო სამართლის სხვა ქვესფეროებში: ვალდებულებით სამართალში – უფლებები სხეულისა და ჯანმრთელობის დაცვაზე (სსკ-ის 408-ე მხლის მე-2 ნაწილი), ასევე ინტელექტუალური საკუთრების სამართალში – ავტორობის უფლება და სხვა.<sup>374</sup>

ამდენად, ზოგადი პიროვნული უფლების შინაარსი ფართოა. ესაა პირველადი უფლება, რომლიდანაც განსაკუთრებული (სპეციალური) პიროვნული უფლებები გამომდინარეობს.<sup>375</sup> საგულისხმოა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში არ გვხვდება ტერმინი „ზოგადი პიროვნული უფლება.“ თუმცა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით აღიარებულია პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, რომელიც მოიცავს ზოგად პიროვნულ უფლებასა და საყოველთაო თავისუფლებას. ზოგად პიროვნულ უფლებაში შედის თვითგამორკვევის, პირადი ცხოვრებისა და თვითგამოსახვის უფლებები. საქართველოში ზოგადი პიროვნული უფლება კონსტიტუციის ცალკეული მუხლებით აღიარებული ძირითადი უფლებების, მაგალითად, კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებების საფუძველია. ზოგადი პიროვნული უფლება მოიცავს უფლებებს, რომლებიც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას აკონკრეტებს სპეციალური ძირითადი უფლებებით დაუცველი ადამიანის

<sup>371</sup> იხ. კ. ვასერბურგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 53

<sup>372</sup> იხ. დ. კერძებულიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., ეჭსი, 2009, გვ. 138

<sup>373</sup> იხ. ფ. ვიტერნი, დასახ. ნაშრომი, გვ. 265

<sup>374</sup> დ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გვ. 100

<sup>375</sup> იხ. კ. ვასერბურგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 49, 52

ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროთა მიხედვით.<sup>376</sup> ამასთან, ადამიანის თავისუფალი პიროვნულობა უზენაესი ღირებულებაა, ვინაიდან ის ადამიანის ნიჭისა და უნარის რეალიზაციისკენაა მიმართული.<sup>377</sup> ზოგადი პიროვნული უფლება არის ღირსების პატივისცემისა და ინდივიდის განვითარების უფლებისგან ნაწარმოები უფლება, რომელიც როგორც სახელმწიფოსა და მის ორგანოებს, ისე კერძოსამართლებრივ მოქმედებებში თოთოვეულ პირს აკისრებს პატივისცემის მოვალეობას.<sup>378</sup> ამასთან, ზოგადი პიროვნული უფლების მხარეებად გვევლინება პატივის, პიროვნების გამოსახულების, საიდუმლოების, თვითგანვითარების დაცვა.<sup>379</sup> შესაბამისად, ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კონსტიტუციაში პიროვნების თავისუფალი განვითარების განსაკუთრებული კონსტრუქციაა წარმოდგენილი, განსხვავებით ევროპული კონსტიტუციებისგან, რომლებიც იცავს პიროვნების თავისუფალი მოქმედების ცალკეულ სფეროებს და არა ზოგადად პიროვნების თავისუფალ განვითარებას.<sup>380</sup>

ამდენად, ტერმინი „ზოგადი პიროვნული უფლება“ გამოიყენება პიროვნული უფლებების აღსანიშნავად. რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობაში ზოგადი პიროვნული უფლების არსებობას, საქართველოს კანონმდებლობა იცავს პიროვნულ უფლებებს, რომლებშიც შეიძლება აისახოს ზოგადი პიროვნული უფლების ესა თუ ის მხარე.

## 5.1. ზოგადი პიროვნული უფლება და განსაკუთრებული პიროვნული უფლებები

ძირითადი უფლებების კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში მოქმედების შესახებ არსებობს ასევე ე. წ. „შეალედური გადაწყვეტის“ გზა. ამ თეორიის თანახმად, ზოგადი პიროვნული უფლება, როგორც უფლება საკუთარი პიროვნების პატივისცემაზე, კერძო პიროვნული უფლების საფუძველში ქვეს. პიროვნულ სიკეთეთა რიცხვი უსაზღვროა და პიროვნების შესაძლო უკანონო ხელყოფების წრეც არასოდეს იქნება სრული; ამ თვალსაზრისით ყოველთვის რჩება დია ადგილები. ამ ხარვეზების შევსების ფუნქცია კი ზოგად პიროვნულ უფლებას აკისრია. პიროვნების ყოველმხრივი დაცვა უზრუნველყოფილია მხოლოდ მაშინ, როდესაც ცალკეული პიროვნული უფლებების გვერდით არსებობს ზოგადი პიროვნული უფლება ზოგადი ფორმით. შვეიცარიასა და ლიხტენშტეინში მკვეთრად არის ზოგადი პიროვნული უფლება წინა პლანზე დაყენებული. ამ ზოგადი პიროვნული უფლებიდან კი გამომდინარეობს პოზიტურსამართლებრივად გამყარებული სპეციალური პიროვნული უფლებები<sup>381</sup> (სახელის, ავტორობის, საკუთარი

<sup>376</sup> იხ. ქ. კუბლაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 93, 95-96, 104

<sup>377</sup> იხ. გ. ხუბუა, მუხლი 16, წიგნში „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“, თბ., „მერიდიანი“, 2005, გვ. 62

<sup>378</sup> იხ. ქ. გასეგირბურგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 53-54

<sup>379</sup> იხ. H. Ehmann, Zur Struktur des allgemeinen Persönlichkeitsrechts, გვ. 194-195, 197-201

<sup>380</sup> იხ. გ. ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, გვ. 62

<sup>381</sup> იხ. მარი-დეკრეს ფრიკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 6-7

გამოსახულების, პიროვნული მონაცემების დაცვის უფლებები; პიროვნული უფლების დამოუკიდებელი ასპექტია პატივის დაცვაც).<sup>382</sup>

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში პირადი არაქონებრივი ინტერესების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის სრულყოფის გარშემო ვითარდებოდა ორი იდეა: ა) პირადი არაქონებრივი უფლებების სიმრავლის შესახებ თეორია, რომელიც აღიარებდა ყველა ახალ პიროვნულ უფლებას; ბ) ზოგადი პიროვნული უფლების კონცეფცია, რომლის მიხედვით კანონმდებლობამ უნდა დაიცვას არა ცალკეული პიროვნული უფლება, არამედ ზოგადი პიროვნული უფლება. საქართველოს კანონმდებლობა სწორედ პირველ თეორიას ეფუძნება, თუმცა მასში ზოგადი პიროვნული უფლების საწყისებიც მოიქცება. საქმე ისაა, რომ შესაძლებელია პირადი უფლებების სიმრავლის იდეამ არ უზრუნველყოს პიროვნების ინტერესთა ყოველმხრივი დაცვა და გამოიწვიოს სამართლის ნორმათა ოდენობის გაზრდა. ამ შემთხვევაში ზოგადი პიროვნული უფლება იძლევა სამოსამართლო სამართლის მეშვეობით პიროვნულ უფლებათა ყოველმხრივი დაცვის შესაძლებლობას.<sup>383</sup> საგულისხმოა, რომ ბელორუსის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსი (მე-3 განყოფილების მე-8 თავი) პირდაპირ ჩამოთვლის არამატერიალურ სიკეთებს, რომელთაც იცავს კანონი. თუმცა სამოქალაქო უფლებათა ობიექტთა წრეში ასევე მითითებულია ასეთი დათქმა: „და სხვა არაქონებრივი უფლებები და არამატერიალური სიკეთები, რომლებიც ეკუთვნის პირს დაბადებით ან კანონის ძალით“, ექვემდებარება დაცვას (151-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები).<sup>384</sup> ვაქტობრივად იგივე სურათია რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსში, რომლის 150-ე მუხლი იზიარებს პირად უფლებათა სიმრავლის თეორიას. მიუხედავად ამისა, იქვე კანონმდებელი აკეთებს მითითებას სხვა პირად უფლებებსა თუ არამატერიალურ სიკეთებზე, რომელთა დაცვა შეიძლება განხორციელდეს.<sup>385</sup> სწორედ „სხვა დანარჩენი“ არის ზოგადი პიროვნული უფლება. აღნიშნულით კანონმდებელი იძლევა ამ დებულების განზოგადების საშუალებას. აქ შესაძლებელია ეს ვაკუუმი შეივსოს ზოგადი პიროვნული უფლების პრაქტიკის მიერ აღიარებით, რაც სწორედ ასეთი სიტუაციებისთვის არის შექმნილი. ამით თავიდან არის აცილებული სამართლის ნორმათა ხელოფურად გაზრდის საფრთხე. ასევე ამ ფორმით ჩამოყალიბებული დებულებები პიროვნების ყოველმხრივ დაცვას უზრუნველყოფს და ადვილად შეიძლება მოერგოს დროთა განმავლობაში წარმოშობილ ვითარებას.

საყურადღებოა სწორედ ეს პოზიცია. როგორც აღინიშნა, ზოგადი პიროვნული უფლება შეიძლება გამოიხატოს პატივის, პიროვნების გამოსახულების, საიდუმლოების, თვითგანვითარების უფლებებისა<sup>386</sup> და სხვა სპე-

<sup>382</sup> იხ. ვ. ვიტერნი, დასახ. ნაშრომი, გვ. 154, 265; იხ. მარი-დერეს ვრიფი, დასახ. ნაშრომი, გვ. 5-6

<sup>383</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. В. Суховерхий, О развитии гражданского права охраны личных неимущественных прав и интересов граждан, «Правоведение», 1972, №3, 27-31

<sup>384</sup> ბელორუსის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსი იხ. ინტერნეტ-გვერდზე: <<http://pravo.levonevsky.org/kodeksby/gk/20110115/dokument.htm>> [20.10.10 23:44]

<sup>385</sup> რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი იხ. ინტერნეტ-გვერდზე: <[http://www.internet-law.ru/law/kodeks/gk\\_1.html](http://www.internet-law.ru/law/kodeks/gk_1.html)> [20.10.10 23:40]

<sup>386</sup> იხ. H. Ehmann, Zur Struktur des allgemeinen Persönlichkeitsrechts, გვ. 194-195, 197-201

ციალური პიროვნული უფლებების დაცვაში.<sup>387</sup> შესაბამისად, სახელის, პატივის, პერსონალური მონაცემების და სხვა პიროვნულ სიკეთათა დაცვის უფლებები ზოგადი პიროვნული უფლების გამოვლინებანია, რაც ლოგიკის მოთხოვნებს პასუხობს.<sup>388</sup> ამასთან, სსკ-ში დაცულია სახელი, საპასუხო სიტყვის გამოთქმა და საკუთარი გამოსახულება, რომლებშიც შესაძლებელია ზოგადი პიროვნული უფლება გამოვლინდეს. საქართველოს კონსტიტუცია იცავს საკუთარი პიროვნების განვითარების უფლებას, რომლის ერთ-ერთი ელემენტია ზოგადი პიროვნული უფლება. შესაბამისად, თითქოს საქართველოს კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი ზოგადი პიროვნული უფლების არსებობა კანონმდებლობაში მისი სიღრმისეული ანალიზის შემდგომ შესაძლებელია უზოგადესი ცნების („საკუთარი პიროვნების თავის-უფალი განვითარება“) და სპეციალური გამოვლინებების („სახელი, გამოსახულება, პერსონალური მონაცემები...“) შესწავლის საფუძველზე. ამასთან, ზოგადი პიროვნული უფლება ზოგადი წესს უკავშირდება და განსაკუთრებული პიროვნული უფლებები სპეციალურ ნორმას ეხება. პიროვნული უფლებები არის ასევე სპეციალური ნორმებით დაცული.

ასევე საგულისხმოა, რომ სსკ-ის მე-18 მუხლი შესაძლოა არ შეიცავდეს ამომწურავად იმ არამატერიალურ სიკეთებს, რომელთა დაცვის აუცილებლობა შეიძლება მომავალში დადგეს. თუმცა ამ მუხლის მე-2 ნაწილი დირსების ასპექტზე დაყრდნობით არის მნიშვნელოვანი სხვა პიროვნული უფლებების დასაცავად. იგი გარკვეულწილად არის დამაკავშირებელი ხიდი პიროვნულ უფლებებსა და მათ სამოქალაქოსამართლებრივ დაცვას შორის. აქ კი გადამწყვეტ როლს უნდა თამაშობდეს დელიქტური ვალდებულებების შესახებ ნორმები. სწორედ დელიქტიდან წარმოშობილი მოთხოვნები შეიძლება ზოგადი პიროვნული უფლებისა და მისგან გამომდინარე განსაკუთრებული პიროვნული უფლებების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის საფუძველი გახდეს. აღნიშნული შეიძლება შეეხოს გენერალური დელიქტისთვის დამახასიათებელ პირობებს (სსკ-ის 992-ე მუხლი). ასევე შესაძლებელია სსკ-ის 993-ე მუხლის დათქმებიც იყოს გათვალისწინებული.<sup>389</sup>

ამ თვალსაზრისით განსხვავებული სურათია ავსტრიაში, სადაც არსებობს კერძო პიროვნული უფლებების სრული სია, რომელიც სხვადასხვა კანონშია გაფანტული (მაგალითად, ავსტრიის სამოქალაქო კოდექსში, საავტორო უფლებათა შესახებ კანონში, და სხვა). აღნიშნულთან დაკავშირებით ავსტრიაში არის მდიდარი სასამართლო პრაქტიკა.<sup>390</sup>

გერმანიის კანონმდებლობა იძლევა სპეციალური პიროვნული უფლებების სრულ ჩამონათვალს. სამოქალაქო კოდექსი თვითონ არ მოიცავს ზოგადი პიროვნული უფლებების დაცვის შესახებ ნათელ დებულებებს, თუმცა მოძღვრებამ სასამართლო პრაქტიკით შექმნა ზოგადი პიროვნული უფლება.

<sup>387</sup> იხ. კ. გასტრბურგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 49, 52; იხ. ფ. გიტერნი, დასახ. ნაშრომი, გვ. 154

<sup>388</sup> წინააღმდეგობის კანონის არსი ისაა, რომ აზროვნების პროცესში არ უნდა იყოს წინააღმდეგობა. საკმაო საფუძვლის კანონის მიხედვით, წანამძღვრები საკმაო საფუძველს უნდა წარმოადგენდეს დანასკვისთვის ანუ კოველი ჭეშმარიტი დასკვითო მსჯელობა უნდა იყოს დასაბუთებული მსჯელობებით, რომელთა ჭეშმარიტება უკვე დადგენილია. იხ. კ. ბაქრაძე, ლოგიკა, თბ., სტალინის სახ. თბ. სახელმწ. უნ. გამომც., 1954, გვ. 427-428, 434-435

<sup>389</sup> იხ. დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 156-158

<sup>390</sup> იხ. მარი-დერექს ფრიკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 7

განისაზღვრა, რომ ადამიანის უფლება საკუთარი ღირსებისა და პიროვნების თავისუფალი განვითარების პატივისცემაზე არის დედა უფლება ანუ ძირითადი უფლება გამომდინარეობს კონკრეტიზირებული ფორმულირებებიდან, რომელიც სხვადასხვა პიროვნული ღირებულებების, ცხოვრებისეული სიკეთებისა და გარემო პირობების მიხედვით ხორციელდება. მალევე დადასტურდა ნორმათა გაფართოების აუცილებლობის მნიშვნელობა, რასაც შეებლო პიროვნული უფლებების დაცვის გათვალისწინება. შვეიცარიის, ლიხტენშტეინისა და ავსტრიის საპირისპირო, სადაც ზოგადი პიროვნული უფლება სამოქალაქო სამართალშია გამყარებული, გერმანული სამოქალაქო სამართლის ზოგადი პიროვნული უფლებების დაცვა ეჭვარება მხოლოდ სამოსამართლო სამართალშემოქმედებას.<sup>391</sup>

ამდენად, პირად (ქონებრივ) უფლებაში ვიწრო გაგებით მოიაზრება პიროვნების უფლება თავისუფალ განვითარებასა და საკუთარ ქცევაზე, როგორც სხვათა ჩარევებისგან დაცვაზე. პიროვნული უფლებები ემსახურება უშუალოდ პირის დაცვას და უზრუნველყოფს პატივისცემასა და ფიზიკურ მთლიანობას.<sup>392</sup> პიროვნულია უფლებები, რომლებიც ადამიანების ინდივიდუალობას, ფიზიკური, სულიერი და გონებრივი არსებობის, ყოფიერების წესს შეეხება და დაცულია ინდივიდუალური სიკეთების სახით.<sup>393</sup>

### 5.1.1. ზოგადი პიროვნული უფლების სფეროები

ზოგადი პიროვნული უფლება მოიცავს თვითგამორკვევის, პირადი ცხოვრებისა და თვითგამოსახვის უფლებებს. ზოგადი პიროვნული უფლების ელემენტები კორელაციურ ურთიერთობაშია ერთურთობან, ვინაიდან თავისი არსით ერთმანეთს ავსებს და ერთმანეთში გადადის. ზოგად პიროვნულ უფლებაში მრავალი უფლება მოიაზრება, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს მათ არსებობასა და აუცილებლობას პიროვნების თავისუფალი განვითარებისთვის.<sup>394</sup> ზოგადი პიროვნული უფლების გამოვლინებანია: ინფორმაციული თვითგამორკვევა, ანონიმურობაზე უფლება, საკუთარ დაწერილ და ზეპირ სიტყვაზე უფლება. ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საკუთარ იდენტობაზე უფლებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს პირის პორტრეტისა და ბიოგრაფიის წარმოსადგენად შეზღუდვები.<sup>395</sup>

პიროვნულ უფლებათა დაცვის კლასიკური ფორმებია გამოსახულების, სახელის, დირსების, კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებები (სხვის მე-18 მუხლი). ფრანგულმა სასამართლო პრაქტიკამ შეიმუშავა გერმანულ სამართალში მოქმედი კრიტერიუმების მსგავსი მოთხოვნები. ამასთან, სასამართლოები ზღუდავენ პრინციპს „ვერ გამოქვეყნდება გამოსახულება გამოსახულის თანხმობის გარეშე“ ისე, როგორც გერმანული კანონი

<sup>391</sup> იქვე, გვ. 7-8

<sup>392</sup> იქვე, გვ. 5

<sup>393</sup> იხ. J. von Staudinger, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, 12. Aufl., Einleitung, Erstes Buch, Allg. Teil, erläutert von H. Coing, Berlin, 1980, გვ. 133-135

<sup>394</sup> იხ. ო. ბერებეგიძი, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2007, №2/3, გვ. 63

<sup>395</sup> იხ. ჸ. მუხლი, დასახ. ნაშრომი, გვ. 117

მხატვრული შემოქმედების შესახებ იმასთან დაკავშირებით, რომ ცნობილ პირთა გამოსახულება არ საჭიროებს მათ თანხმობას. პირადი წერილის პუბლიკაციაზე ავტორის თანხმობა არაა საჭირო, თუ იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით – სასამართლოში მისი წარდგენის აუცილებლობისას.<sup>396</sup> ეს ყველაფერი პირად ცხოვრებას უკავშირდება, რადგან შეეხება მისი სხვადასხვა ასპექტის საჯაროდ გამოფენასა თუ გამოქვეყნებას.

### 5.1.1.1. თვითგამორკვევის უფლება

ზოგადი პიროვნული უფლების ერთ-ერთი ელემენტი – თვითგამორკვევის უფლება – გულისხმობს ყოველი ინდივიდის უფლებას საკუთარი წარმოშობის გარკვევაზე, ასევე საკუთარი პიროვნების შეგრძნების უფლებას, აგრეთვე, ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებას. საკუთარი წარმოშობის უფლება, ესაა ყველას უფლება, მოიძიოს მონაცემები საკუთარი მშობლების, პაპების, ბებიების და წინაპრების შესახებ. ამასთან, საკუთარი პიროვნების შეგრძნების უფლებაში მოიაზრება თითოეული ინდივიდის თავისუფლება, თავად, ყოველგვარი გარეგანი ჩარევებისაგან დამოუკიდებლად შეიგრძნოს და განსაზღვროს საკუთარი პიროვნება ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად, აგრეთვე, განსაზღვროს თავისი სახელი, სქესი, შვილების რაოდენობა და მათი დაბადების დრო. ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება არის უფლებამოსილება, ძირითადად თვითონ გადაწყვიტოს, როდის და რა ფარგლებში უნდა გახდეს ცნობილი საზოგადოებისთვის მისი პერსონალური მონაცემები და პირადი ცხოვრების შინაარსი. ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება არ არის აბსოლუტურად გარანტირებული, მაგრამ მისი შეზღუდვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონის საფუძველზე, რომელიც ზომიერების პრინციპს უნდა შეესაბამებოდეს.<sup>397</sup> თვითგამორკვევა არის არაპირდაპირ გათვალისწინებული სსკ-ის 1190-ე მუხლის მე-3 ნაწილში, რომლითაც დაცულია ბავშვის უფლება, იცოდეს საკუთარი წარმომავლობის, მშობლების შესახებ. მამობის დადგენის საკითხის პირადი ცხოვრების ჭრილში განხილვით დადგინდა, რომ საქმე ეხება ინდივიდის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ინტეგრაციას.<sup>398</sup> ეს გადაწყვეტილება ეფუძნებოდა ერთ-ერთ ადრინდელ გადაწყვეტილებას, რომელშიც აღიარებულია პირის უფლება, მიიღოს საკუთარი პიროვნების, ასევე ბოლოგიური მშობლების შესახებ ინფორმაცია.<sup>399</sup>

<sup>396</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. ქ. ცვაიგერტი, ქ. კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართალში, ტ. II, გამოცემის მეცნ. რედაქცია და ბოლოთქმა ოუზღვრუნინის, თბ., „ჯისიაი“, 2001, გვ. 386, 387

<sup>397</sup> იხ. ქ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბ., „ჯისიაი“, 2003, გვ. 105-107

<sup>398</sup> იხ. *Mikulić v. Croatia*, 2000 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება

<sup>399</sup> იხ. *Gaskin v. the United Kingdom*, 1989 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება (საქმე №ას-41-40-2010)

### 5.1.1.2. თვითგამოსახვის უფლება და პირადი ცხოვრების უფლება

ზოგადი პიროვნული უფლების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია თვითგამოსახვის უფლებაც. ის გულისხმობს ყოველი ადამიანის უფლებამოსილებას, თვითონ აირჩიოს და გადაწყვიტოს, თუ რა ვითარებასა და რა ფარგლებში სურს მას საკუთარი სახის, პიროვნებისა და ხასიათის გახსნა საზოგადოებისთვის. თვითგამოსახვის უფლება, თავის მხრივ, მოიცავს ადამიანის უფლებებს საკუთარ სიტყვაზე, სურათსა და პიროვნების წარმოსახვაზე. ამასთან, ადამიანის უფლება საწინააღმდეგო შინაარსის ინფორმაციის გავრცელებაზე არის თვითგამოსახვის უფლების გამოვლინება.<sup>400</sup> ზემოაღნიშნულს ამყარებს სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი, რის საფუძველზეც პირს შეუძლია სასამართლოს მეშვეობით კანონით დადგენილი წესით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებითაც ხელიყოფა მისი პატივი, ღირსება, პირადი საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაადასტურებს, რომ ეს ფაქტები სინამდვილეს შეესაბამება.<sup>401</sup> ამდენად, თვითგამოსახვის უფლება თავისი შემადგენელი ნაწილებით უკავშირდება პირადი ცხოვრების უფლებას. თვითგამოსახვის ერთ-ერთმა ელემენტმა (პიროვნების წარმოსახვაზე უფლების შეღაესავამ) შესაძლოა გამოიწვიოს პირადი ცხოვრების ხელყოფა.

საკუთარ სიტყვაზე უფლების არსი ისაა, რომ დაუშვებელია პირის ნებართვის გარეშე მის მიერ არასაჯაროდ წარმოთქმული სიტყვის ფირზე ჩაწერა. გამოხაკლისი შეიძლება დაიშვას საიდუმლო ჩაწერის სახით, მაგრამ: ა) იგი არ უნდა ეხებოდეს ინტიმურ სფეროს; ბ) უნდა იყოს კანონით განსაზღვრული; გ) აღნიშნულზე უნდა არსებობდეს მხოლოდ მოსამართლის თანხმობა და დ) საიდუმლოს ჩაწერა უნდა იყოს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის დაცვით განპირობებული (მაგალითად, მძიმე დანაშაულის გახსნა).<sup>402</sup>

ამასთან, საკუთარ სურათზე უფლების მეოხებით ყოველი ინდივიდი უფლებამოსილია თვითონ განსაზღვროს, რამდენად მისაწვდომი შეიძლება იყოს ფოტოსურათები ან ვიდეოჩანაწერები მისი გამოსახულებით სხვებისთვის ან საზოგადოებისთვის. საკუთარი პიროვნების წარდგენაზე უფლება ნიშნავს პირი ძალაუფლებას, თავად განსაზღვროს, როგორ წარსდგეს სხვათა წინაშე ანუ როგორ წარმოაჩინოს თავისი პიროვნული პორტრეტი საზოგადოებისთვის. რაც შეეხება უფლებას საწინააღმდეგო შინაარსის ინფორმაციის გავრცელებაზე, ესაა ყოველი ინდივიდის უფლებამოსილება მოითხოვოს მისი ღირსებისა და ზოგადი პიროვნული უფლების შემლახველი ინფორმაციის უარყოფელი და საპასუხო ცნობების გავრცელება მედიის იმავე საშუალებით, რომლითაც გავრცელდა აღნიშნული ინფორმაცია.<sup>403</sup> საპასუხო აზრის გამოთქმის იურიდიულ შესაძლებლობას ფესვები აქვს გადგმული ზოგად პიროვნულ უფლებაში, რომელშიც ის საკუთარი

<sup>400</sup> ი. კუბლაშვილი, მირითადი უფლებები (მე-2 გამოც.), გვ. 116

<sup>401</sup> ი. მ. ბეჭოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 68-69

<sup>402</sup> ი. კუბლაშვილი, მირითადი უფლებები (მე-2 გამოც.), გვ. 116-117

<sup>403</sup> იქვე გვ. 118, 120, 122

პიროვნების წარმოდგენით ემსახურება პირთა თვითგამორკვევის დაცვას.<sup>404</sup> ამ უფლების ხელყოფა, თავის მხრივ, უკავშირდება უფლების დაცვის კონკრეტულ ფორმებს, რომლებიც უმნიშვნელოვანებია პიროვნების (ინდივიდუალობის) კერძოსამართლებრივი დაცვისთვის. ამდენად, თვითგამოსახვის უფლების დასაცავად სსკ-ის მე-18 მუხლში განსაზღვრულია უფლების დაცვის ისეთი ფორმები, როგორიცაა უფლების აღიარება, ხელმყოფი მოქმედების შეწყვეტა და სხვა. თუმცა აქ ცენტრალური საკითხებია ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, ვინაიდან შეიძლება თვითგამოსახვის უფლების ხელყოფას მოჰყვეს ზიანი, რაც დაცულ უნდა იქნეს სამოქალაქოსამართლებრივი ფორმებით. აქ კონკრეტული შემთხვევები უნდა განიხილებოდეს სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძვლების მიხედვით და შეიძლება დადგეს დელიქტური პასუხისმგებლობა (სსკ-ის 992-ე მუხლი).

თვითგამოსახვის უფლება მჭიდროდ უკავშირდება პირადი ცხოვრების უფლებას ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ორივე ზოგადი პიროვნული უფლების გამოვლინების ფორმაა; მეორე, არაა გამორიცხული, რომ თვითგამოსახვის უფლების შეღასამ გამოიწვიოს პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფა რადგან ეს უფლებები ერთმანეთთან დაკავშირდებულია. პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფის თავიდან აცილების ერთ-ერთი გზა თვითგამოსახვის უფლების დაცვა და მისი ხელშეუხებლობაა.

### **5.1.2. პირადი ცხოვრების დაცვის უფლება და განსაკუთრებული პიროვნული უფლებები**

#### **ა) პირადი ცხოვრების დაცვა და სახელის დაცვის უფლება**

„სახელის უმთავრესი ფუნქცია მოქალაქის ან ორგანიზაციის ინდივიდუალიზაციაა. ამით ის შეუცვლელ სამსახურს უწევს საზოგადოებას. სახელი სოციალური მოვლენაა,“ „საზოგადოება კარნახობს ადამიანს მისი არჩევის აუცილებლობას.“<sup>405</sup> აქ უნდა გამოიკვეთოს სახელის უფლების შინაარსი. დასადგენია პირად ცხოვრებასა და სახელს შორის მიმართებანი, რაც ზოგადი და განსაკუთრებული პიროვნული უფლებების მიმოხილვით უნდა განხორციელდეს.

სახელის უფლება არის პირადი არაქონებრივი უფლება, რაც მე-18 მუხლით დასტურდება, თუმცა სსკ-ის მე-17 მუხლით ცალკეა გამოყოფილი უფლება სახელისა, რომელიც მოიცავს სახელსა და გვარს. სწორედ ეს აღძრავს მკითხველში ბუნდოვანებას, რის გაფანტვასაც შევეცდებით ქვემოთ მოცემული უფლების ანალიზისას. სავარაუდოდ, სსკ-ის მე-17 მუხლით განმტკიცებული უფლება პირადი არაქონებრივი უფლებაა, რადგან მე-18 მუხლში სახელის უფლება სხვა პირად უფლებასთან ერთადაა მოხსენიებული.<sup>406</sup> მოცემული დისონანსურ სიტუაციას ქმნის, ვინაიდან თუ სახელის

<sup>404</sup> იხ. კარლ-ჰაინრიხ ვეიცერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 12

<sup>405</sup> იხ. თ. ნინიძე, სახელის უფლების შინაარსი, გვ. 29

<sup>406</sup> იხ. ლ. ჭაბუტიშვილი, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., „სამართლი“, 1997, გვ. 168

უფლება პირადი არაქონებრივი უფლებაა, მაშინ რატომ გახდა საჭირო მისი ცალკე მუხლში გამოყოფა.

სახელის უფლება, მსგავსად სხვა პიროვნული უფლებებისა, არის აბსოლუტური უფლება. სახელის დასაცავად პირს შეუძლია უფლების აღიარების ან მისი ხელყოფისგან თავის შეკავების მოთხოვნები დააყენოს. აღსანიშნავია, რომ სახელის უფლების შინაარსი ასეთია: შესაძლებლობანი, იქონიოს და შეცვალოს სახელი და გვარი, ატაროს დედის ან მამის გვარი ან დედის და მამის შეერთებული გვარი ან მეუღლის გვარი ან საკუთარი და მეუღლის შეერთებული გვარი; მოითხოვოს სახელის აღიარება, თუ მას ეცილებიან; მოითხოვოს სახელის ხელმყოფი მოქმედების აღკვეთა ან სახელის შელახვით მიყენებული ქონებრივი თუ მორალური ზიანის ანაზღაურება. ამასთან, სახელის უფლების შინაარსში შედის ინდივიდის უფლება, ისარგებლოს ფსევდონიმით ან გამოგონილი სახელით. გარდა ამისა, სახელის უფლების შინაარსი მოიცავს არაოფიციალური სახელის უფლებას. რაც შეეხება იურიდიულ პირს, აქ საგულისხმოა კომერციული იურიდიული პირის საფირმო სახელწოდებისა და არასამეწარმეო იურიდიული პირის სახელწოდების ცნების მოცულობა.<sup>407</sup> ამასთან, პიროვნული უფლებების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანია ის, რომ შეუძლებელია მათი გადაცემა სხვა პირისთვის, ესე იგი, სახელის უფლება განეკუთვნება გადაუცემადი უფლებათა კატეგორიას (გამონაკლისია ინტელექტუალურსა-მართლებრივ სფეროში). კომერციულ ურთიერთობებში არის შემთხვევები, როცა ადამიანის სახელი გადაცემითა. ამ შესაძლებლობას ითვალისწინებს კანონი „მეწარმეთა შესახებ“. ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო სახელი გარდაიქმნება სავაჭრო სახელად, საწარმოს ქონების ნაწილად და შეიძლება იგი განიხილებოდეს, როგორც არამატერიალური ქონებრივი უფლება.<sup>408</sup> ასეთი ორმაგი (დუალისტური) ბუნებისაა სახელის სამოქალაქოსა-მართლებრივი დაცვა.

სსკ-ის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „ვისაც სახელის ტარების უფლებას შეეცილებიან ან ვისი ინტერესებიც ილახება მისი სახელით უნებართვო სარგებლობით, მას უფლება აქვს ხელმყოფს მოსთხოვოს მოქმედების შეწყვეტა ან უარის თქმა მასზე.“ აქ საქმე ეხება ორ შემთხვევას: ა) როცა ფიზიკურ პირს ეცილებიან სახელს, მაშინ სასარჩელო მოთხოვნის დაყენება შეიძლება, თუ სადაცო სახელი ეკუთვნის მოსარჩელეს და მოპასუხე უარყოფს იმას, რომ სადაცო სახელი მოსარჩელეს ეკუთვნის. მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა არის სახელის აღიარება. თუ დავის საგანი სამოქალაქო სახელია, მოსარჩელემ მტკიცებულების სახით უნდა წარმოადგინოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ჩანაწერი ან სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მის სახელს. თუ დავა ეხება ფსევდონიმს, მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ შესაბამის სფეროში

<sup>407</sup> ი. თ. ნინიძე, სახელის უფლება, წიგნში: „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომეტარი“, წ. I, თბ., „სამართლი“, 2002, გვ. 52-53, 116-117

<sup>408</sup> ი. ლ. ჭაბურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გვ. 166, 168-169. დაწვრ. საოჯახო ურთიერთობებში სახელის დაცვის თუ შეცვლის შესახებ ი. თ. ნინიძე, სახელის უფლება, გვ. 54-57. სახელის შესახებ ი. ასევე M. Schemitsch, Identitätsdaten als Persönlichkeitsgüter (Dissertation), Darmstadt, 2004, გვ. 129, <<http://tuprints.ulb.tu-darmstadt.de/515/1/Dissertation-Schemitsch-FB01.pdf>> [16.03.10 08:45]

ინდივიდუალობა შექმნა; თუ სადაცოა არაოფიციალური სახელი, მტკიცებულება შეიძლება იყოს მისი ტარება დროის ხანგრძლივ პერიოდში. რაც შეეხება სსკ-ის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულ მეორე შემთხვევას (სახელის უნებართვოდ სარგებლობით სხვისი ინტერესების შეღაბულების), აქ სარჩელის წანამდვრებს უნდა წარმოადგენდეს შემდეგი: а) სახელი ეკუთვნის მოსარჩელეს; ბ) მოპასუხე მოსარჩელეს სახელით სარგებლობს უნებართვოდ; გ) მოსარჩელის ინტერესებს აღგება ზიანი.<sup>409</sup>

მართალია, სახელის შეცვლა პირის ინდივიდუალური უფლებაა, მაგრამ გარკვეულ იურიდიულ შედეგებს უკავშირდება. სახელის შეცვლა, თავის მხრივ, როდი გულისხმობს იმ ქონებრივი ურთიერთობების შეცვლას ან შეწყვეტას, რომელ შიც პირი სახელის შეცვლამდე მონაწილეობდა. სსკ-ის მე-17 მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადება პირდაპირ ადგენს, რომ პირს ეკისრება მოვალეობა, აცნობოს კრედიტორებსა თუ მოვალეებს სახელის შეცვლის თაობაზე. თუ კრედიტორმა შეიცვალა სახელი და აღნიშნული დროულად არ შეატყობინა მოვალეს, რის გამოც მოვალემ ვერ მოახერხა დროულად კრედიტორისთვის შესრულების გადაცემა, ეს შეფასდება კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებად. ამიტომ ამ შემთხვევაში დადგება სსკ-ის 390-393-ე მუხლებით დადგენილი შედეგები.<sup>410</sup>

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ავტორობისა და სახელის უფლება ერთმანეთან კავშირში უნდა განიხილებოდეს. ავტორობა წარმოშობს სახელის უფლებას. სახელის უფლება მოცავს ავტორის უფლებას, მიუთითოს ნაწარმოებზე საკუთარი სამოქალაქო სახელი ან გამოგონილი სახელი – ფსევდონიმი ან დარჩეს ანონიმად.<sup>411</sup> სახელი ხომ ადამიანის იდენტიფიკაციის საშუალებაა, თან ადასტურებს ამა თუ იმ პირის ავტორობას, რაც არის დაცული შესაბამისი კანონმდებლობით და მას პატივი უნდა ვცეთ. სახელის დაცვის უფლება მოიცავს ორ ასპექტს: მისი პოზიტიური მხარის არსი ისაა, რომ პირს აქვს გარკვეული სახელის ტარების უფლება; სახელის უფლების ნეგატიური ასპექტი გამოიხატება იმაში, რომ აეკრძალოს სხვას სახელის გამოყენება და სახელის შეცვლა თავიდან იქნეს აცილებული, სადაც „იდენტობის ინტერესი“ დგას წინა პლანზე. ხშირად სახელი მაინც გამოიყენება, მაგალითად, სპორტსმენსა და პროდუქტს შორის დამოკიდებულების გამოსაკვეთად და მათი იმიჯისგან სარგებლის მისაღებად. აქ საქმე არ ეხება თვითონ სახელს, არამედ იმას, რომ მხოლოდ საზოგადოება ახდენს სპორტსმენის იდენტიფიკაციას სახელის მეშვეობით.<sup>412</sup>

საგულისხმოა, რომ ავტორობისა და ავტორის სახელის უფლებები დამოუკიდებელი, ერთურთისაგან განსხვავებული შინაარსის არაქონებრივი უფლებებია.<sup>413</sup> ჯერ ერთი, პირი, რომელიც ქმნის ნაწარმოებს, უფლებამოსილია საკუთარი თავი ამ ნაწარმოების ავტორად ჩათვალოს. მეორე, თუ

<sup>409</sup> თ. ნინიძე, სახელის უფლება, გვ. 59

<sup>410</sup> იხ. ლ. ჭაბურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გვ. 205

<sup>411</sup> იხ. შ. ჩიკვაშვილი, მემკვიდრეობითი სამართალი, თბ., 2000, გვ. 110-113

<sup>412</sup> იხ. P. Heermann, Verwertung von Persönlichkeitsrechten der Bundesligafußballspieler durch die Bundesligaclubs sowie die Deutsche Fußball Liga GmbH (Seminar zum Sportrecht), 2008, გვ. 7, 8, <[http://www.sportrecht.org/studarbeiten/Kleinau\\_Pers%F6nlichkeitsrechte.pdf](http://www.sportrecht.org/studarbeiten/Kleinau_Pers%F6nlichkeitsrechte.pdf)> [14.10.11 22:05]

<sup>413</sup> იხ. О. Иоффе, Советское гражданское право, т. з. Л., Изд-во Ленинградского ун-та, 1965, გვ. 37. შეად. Б. Антимонов, Е. Флейшиц, Авторское право, М., «Госюриздан», 1975, გვ. 45-47

ნაწარმოები უგარგისია და ოედაქციამ ან სხვა დაწესებულებამ იგი არ მიიღო, ავტორობის უფლება პირს მასზე მაინც რჩება, ვინაიდან საავტორო უფლება ვრცელდება ნებისმიერ ნაწარმოებზე, „მიუხედავად მისი ავტორობისა“. ამ შემთხვევაში არ არსებობს ავტორის მიერ თავისი სახელის რეალიზაციის საშუალება.<sup>414</sup> სახელის შეცვლა ზემოხსენებული თვალსაზრისით რადგან უკავშირდება პირადი ცხოვრების უფლებას, ავტორობის უფლებაც (თავისი სახელის უფლებასთან კავშირის გამო) გარკვეულწილად ასოცირდება პირადი ცხოვრების უფლებასთან. თუ პირმა შეიცვალა სახელი, ამით „ახალი“ ცხოვრება დაიწყო და, შესაბამისად, სახელის შეცვლამ გამოიწვია ავტორის შეცვლაც.

სამართლიანად აღნიშნავს თ. ნინიძე, რომ სახელისა და ავტორობის უფლებების წარმოშობისა და განხორციელების საწყისი სხვადასხვაა. ამიტომ მიზანშეწონილი არაა ავტორობის უფლების შინაარსში სახელის უფლების შეტანა. ამასთან, შესაძლებელია შეილახოს ავტორის სახელის უფლება და არ დაირღვეს ავტორობის უფლება (მაგალითად, პირმა გამომცემლობასთან დადო ხელშეკრულება ნაწარმოების ფსევდონიმით გამოქვეყნების თაობაზე, გამომცემლობამ კი ნაწარმოები გამოაქვეყნა ავტორის ნამდვილი სახელით). ავტორის სახელის უფლების დაცვა ხდება ამ უფლების ხელშეუხებლობის აღიარებით. ფსევდონიმი დაცვის ისეთივე გარანტიით სარგებლობს, როგორითაც ავტორის ნამდვილი სახელი.<sup>415</sup> „თუ სახელის უფლება დაირღვა მოპასუხის განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით, მოსარჩევეს დელიქტური სარჩელით უფლება აქვს მოითხოვოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება.“<sup>416</sup> ცხადია, პირადი ცხოვრების დაცვის უფლების ელემენტთა შორის განსაკუთრებულ პიროვნულ უფლებად გამოიყოფა სახელის დაცვის უფლება.<sup>417</sup> თუმცა ეს არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ სახელი დამოუკიდებლად არ არის დაცული. სახელის უფლება წარმოადგენს დამოუკიდებელ პიროვნულ უფლებას.

ამდენად, ჯერ ერთი, სახელის ცვლილებისას პირის ინდივიდუალიზების საშუალებაც იცვლება; მეორე, დღევანდელ პირობებში არის აქტუალური და პრობლემური სქესის შეცვლა. ამას კი მოჰყვება სახელის შეცვლა. შესაბამისად, ამ დროიდან მას წარმოეშობა უფლება, მოითხოვოს სხვებისგან მისი პირადი ცხოვრების პატივისცემა; გარდა ამისა, პირადი ცხოვრების უფლება სახელის მეშვეობით ინდივიდუალიზდება და იძენს მხოლოდ მისი მფლობელისთვის დამახასიათებელ ინდივიდუალურ თავისებურებებს. შესაბამისად, სქესის შეცვლა უკავშირდება ისეთ საკითხებს, როგორიცაა სამოქალაქო აქტების მდგომარეობის რეგისტრაცია (პირადობის მოწმობა...), მართვის მოწმობის აღება, იმ უფლებების გავრცელება, რაც კონკრეტულ სქესს შეეხება. მართალია, აქ ადგილი აქვს მხოლოდ გარეგნულ ცვლილებას (სომატური სქესის სახეცვლას) და არა რეალური (ქრომოსომული) სქესის

<sup>414</sup> იხ. თ. ნინიძე, ადამიანის ინდივიდუალობა – საბჭოთა სამოქალაქო სამართლის დაცვის საგანი, საქართვ. სსრ მეცნ. აკადემიის მაცნე, ფილოსოფიის, ფიქტოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1977, №4, გვ. 91-92

<sup>415</sup> იხ. თ. ნინიძე, სახელის უფლების შინაარსი, გვ. 33

<sup>416</sup> თ. ნინიძე, სახელის უფლება, გვ. 60

<sup>417</sup> იხ. ფ. ვიტერნი, დასახ. ნაშრომი, გვ. 154; იხ. B. v. France, 1992 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება

შეცვლას,<sup>418</sup> მაგრამ პიროვნების დაცვის მიზნით ეს მოვლენა, ალბათ, უნდა განიხილებოდეს სამართლებრივი ფიქციის ჭრილში. ამდენად, სახელის მეშვეობით ხდება ადამიანის ინდივიდუალიზება ყოფით და სამართლებრივ ურთიერთობებში. სახელით ადამიანი ერთგვარად დაცულია სოციალური უგულებელყოფისგან. სახელი პიროვნულობის განუყოფელი ელემენტია. შესაბამისად, სახელის უფლება ზოგადი პიროვნული უფლების ერთ-ერთი გამოვლინებაა.<sup>419</sup> ამასთან, სახელის უფლების შელახვამ შესაძლებელია პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფა გამოიწვიოს.

ცივილისტიკაში ასევე ფეხს იკიდებს შეხედულება, რომლის თანახმად, სახელის შემადგენელი ნაწილი შეიძლება იქოს ფიზიკური პირის ხელმოწერა. ხელმოწერას პირი არჩევს დამოუკიდებლად და ის ფიქსირდება მისთვის პასპორტის გაცემისას. ცალკეულ შემთხვევებში სახელის გამოყენებას სავალდებულო წესით თან უნდა ახლდეს ხელმოწერა. სსკ-ის 68-ე მუხლის მიხედვით, მარტივი წერილობითი ფორმის არსებობისას გარიგების ნამდვილობისთვის საკმარისია მონაწილე მხარეთა ხელმოწერა. სახელის კომპონენტად განიხილება ხელმოწერა, თუ საქმე ეხება ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმებას, ვინაიდან ნოტარიუსი ამოწმებს ხელმოწერის ნამდვილობას. ეჭვის შემთხვევაში ხელმოწერის იდენტიფიკაცია შესაბამისი ექსპერტის პრეროგატივას წარმოადგენს.<sup>420</sup>

საგულისხმოა, რომ ანონიმურობაზე უფლება გერმანიის პრესის საჩივრების საბჭოს მიერაა აღიარებული. დაუშვებელია პირის სახელის გამოქვეყნება, თუ რეპორტაჟისთვის სახელის ხსენებას არა აქვს მნიშვნელობა და საქმე თანამედროვე ისტორიის რელატიურ პირს არ ეხება.<sup>421</sup> გერმანიის პრესის საბჭომ თანამედროვე ისტორიის რელატიური პირის არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის გამხელა დასაშვებად მიიჩნია. თანამედროვე ისტორიის რელატიური პირები არიან სუბიექტები, რომლებიც ცნობილი ხდებიან მხოლოდ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან მოვლენასთან კავშირის საფუძველზე. ამ პირთა ცნობადობა თანამედროვე ისტორიის მოვლენასთან არის კავშირში. მათ განეკუთვნება უბედური შემთხვევის ან დანაშაულის მსხვერპლი ან დამნაშავე, მნიშვნელოვან სისხლის სამართლის საქმეებში ადვოკატი, თანამედროვე ისტორიის აბსოლუტური პირების ოჯახის წევრი ან პარტნიორი მეუღლე. რაც შეეხება თანამედროვე ისტორიის აბსოლუტურ პირებს, ისინი არიან პირები, რომლებიც ცალკეული მოვლენებისგან დამოუკიდებლად საკუთარი საქმიანობის გამო დგანან საჯარო ცხოვრებაში (სახელმწიფო მოღვაწეები, მაღალი რანგის დიპლომატები, რეკორდსმენები, ცნობილი ხელოვანები, სამეცნიერო, სახელოვნებო და სოციალური გაერთიანებების ხელმძღვანელები...). ამ პირებთან დაკავშირებით მხოლოდ კორექტული, ობიექტური რეპორტაჟის გაკეთება ვიწრო პირადი

<sup>418</sup> ი. ბ. ვ. France, 1992 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება

<sup>419</sup> ი. თ. ნინიძე, სახელის უფლება, გვ. 52

<sup>420</sup> ი. თ. (პ.) მონიავა, სამოქალაქო სამართლის სუბიექტები, გვ. 63

<sup>421</sup> ი. ჸ. მუხრანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 205

სფეროს ან სამედიცინო ინტიმური სფეროს შესახებ დასაშვებია, როცა არსებობს მჭიდრო კავშირი პოლიტიკურ ფუნქციასთან.<sup>422</sup>

ამასთან, სახელის უფლება არის განსაკუთრებული პიროვნული უფლება, როგადი ზოგადი პიროვნული უფლების შემადგენელი ნაწილია. ზოგადი პიროვნული უფლება არის ზოგადი ნორმა და სახელი ამ შემთხვევაში კერძო ნორმას უკავშირდება, შესაბამისად, აქ მხედველობაშია მისაღები ზოგად და კერძო ნორმებს შორის ურთიერთმიმართება. პირადი ცხოვრების დაცვის უფლება ზოგადი პიროვნული უფლების ერთ-ერთი ელემენტია. სახელის უფლება შეიძლება ზოგადი პიროვნული უფლების ელემენტად განიხილებოდეს.<sup>423</sup> მაშასადამე, პირადი ცხოვრების დაცვის უფლების კომპონენტთა შორის გამოსაყოფია სახელის უფლება. როგორც ჩანს, სახელის უფლების ფუნქციების სახით შეიძლება გამოიყოს იდენტიფიკაციის, ინდივიდუალიზაციისა და ინდივიდუაციის ფუნქციები. პირის იდენტიფიკაცია გულისხმობს პირის იდენტობის გარკვევას. ინდივიდუალიზაციაში მოიაზრება სხვა პირებს შორის კონკრეტული პირის გამოცალკევება. ინდივიდუაცია კი პირის საქმიანობასთანაა დაკავშირებული და ესება პირის შრომის პროდუქტის (ნაწარმის) განსხვავებას სხვა პროდუქციისაგან. სამივე მომენტი კერძო ცხოვრების სხვადასხვა ასპექტთან ასოცირდება. იდენტიფიკაცია უკავშირდება თვითგამორკვევას, ინდივიდუალიზაცია – ინდივიდუალურ ნიშნებსა და განმარტოება-გამოცალკევებას სხვა ინდივიდებისაგან, ხოლო ინდივიდუაცია – საკუთარი შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს. ამასთან, სახელის უფლების, როგორც აბსოლუტური უფლების, შელახვა იწვევს დელიქტურ ვალდებულებას. მოცემულ შემთხვევაში შეიძლება დადგეს ქონებრივი თუ არაქონებრივი ზიანი და საკითხი უნდა განიხილებოდეს სამოქალაქო პასუხისმგებლობის წინაპირობების გათვალისწინებით (სსკ-ის 992-ე მუხლი). ასევე სახელის უკანონო გამოყენებამ შეიძლება წარმოშვას უფლების დაცვის ფორმის სახით ხელმყოფი მოქმედების შეწყვეტა, სსკ-ის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით (უფლების დაცვის სხვადასხვა ფორმაზე იხილეთ კონკრეტული ქვეთავი). ამდენად, სახელის დაცვაც დასახელებულ გარემოებებზე აქცენტირებით უნდა განხორციელდეს.

#### **ბ) პირადი ცხოვრების დაცვა და საკუთარი გამოსახულების დაცვის უფლება**

გამოსახულებაში შეიძლება მოიაზრებოდეს კინოფილმში, ტელეგადაცემასა თუ ვიდეოფილმში ინდივიდის გამოსახულება, მხატვრული პორტრეტი, ფოტოსურათი, რომლითაც მისი ცხობა შეიძლება. ამასთან, საკუთარი გამოსახულების უფლების ობიექტი შეიძლება იყოს ინდივიდის თავისუფლება და არა მხატვრული ტილო ან ფოტოსურათი თუ კინოლენტი, რომლებ-

<sup>422</sup> იქვე, გვ. 134-136, 203; თანამედროვე ისტორიის რელატიური პირების თაობაზე იხ. J. Koch, Die Verwertung von Persönlichkeitsrechten von Sportlern in Lizenzverträgen, Seminar zum Sportrecht bei W. Heermann, LL. M. im Wintersemester 2004-2005, გვ. 12; იხ. <[http://www.sportrecht.org/studarbeiten/Koch\\_komplett.pdf](http://www.sportrecht.org/studarbeiten/Koch_komplett.pdf)> [23.09.10 17:36]

<sup>423</sup> სახელის დაცვის კონკრეტულ საშუალებებზე იხ. უფლების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის ფორმებში.

ბიც განიხილება ფიზიკურ საგნად. აქ მოქმედებს პრინციპი – ინდივიდის გამოსახულების გამოქვეყნება მისი თანხმობით შეიძლება.<sup>424</sup>

პირადი გამოსახულების დაცვაზე უფლებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ოგო ბისმარკის საქმიდან გამომდინარე. ფოტოგრაფებმა შეაღწიეს რა მის სახლში, კუბოში ჩასვენებულ გარდაცვლილ ბისმარკს გადაუდეს სურათი მემკვიდრის ნებართვის გარეშე. თუმცა საგულისხმოა, რომ თანამედროვე ისტორიის სფეროდან პირის გამოსახულების გასავრცელებლად ან სურათის გადასაღებად არაა საჭირო თანხმობა.<sup>425</sup> მოცემული მოქმედება დაკვალიფიცირდა, როგორც ბინის ხელშეუხებლობის დარღვევა.<sup>426</sup> ამით კი საკუთარი გამოსახულების დაცვის მხრივ არსებული ხარვეზი შეივსო და აღინიშნა, რომ ეს სიკეთედ დამოუკიდებელ დაცვას საჭიროებს.

გამოქვეყნება, ეს არის ინდივიდის გამოსახულების საჯაროდ გამოტანა. თანხმობა გამოქვეყნებაზე შეიძლება განიხილებოდეს როგორც ცალმხრივი ნებართვა, ისე ხელშეკრულების ელემენტი. თუ პირი თანახმაა, გამოქვეყნდეს გამოსახულება შემხვედრი მოვალეობის გარეშე, საქმე ეხება თანხმობის ცალმხრივ ნებართვას (სსკ-ის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილი). თუმცა თანხმობა, როგორც ნების გამოვლინება, შეიძლება გაპროტესდეს, თუ პიროვნება მოტყუების გზით შეცდომაში შეიყვანეს. თანხმობა შეიძლება იყოს გამოთხოვილი, თუ გარემოებები ისე რადიკალურად შეიცვალა, რომ აღნიშნულმა კორესპონდენციამ შეიძლება მისი პიროვნული უფლებები ხელყოს. რაც შეეხება თანხმობას, როგორც ხელშეკრულების ელემენტს, ფოტომოდელი უფლებამოსილია, გააპროტესტოს თანხმობა, თუ გამოსახულებაში მისმა ავტორმა დაამახინჯა ფოტომოდელის პიროვნულობა ან გამოსახულება გამოიყენა ხელშეკრულების პირობებისაგან განსხვავებული მიზნით. თუმცა როცა გამოსახულების გამოქვეყნება უკავშირდება ინდივიდის მიმართ საჯარო ინტერესის არსებობას, მაშინ მისი თანხმობა გამოსახულების გამოსაქვეყნებლად საჭირო არაა. ინდივიდის მიმართ საჯარო დაინტერესებად შეიძლება განიხილებოდეს საზოგადოებრივი აღიარება, დაკავებული თანამდებობა, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნები, სამეცნიერო, სასწავლო ან კულტურული მიზნები ან ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა. შ.) საზოგადო ვითარებაში. ასევე თანხმობა არაა აუცილებელი, როცა პირმა პოზირებისთვის საზღაური მიიღო (სსკ-ის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილი).<sup>427</sup> თუმცა ზიანის ბრალეულად მიყენების შემთხვევაში სსკ-ის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურებას. აქ შეიძლება როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ზიანი წარმოიშვას და სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგები დადგეს.

ამასთან, თუ გამოსახულებაში აღბეჭდილი მოვლენა თავისი არსით სცილდება კერძო ცხოვრების ფარგლებს და საზოგადოებრივი ცხოვრების

<sup>424</sup> იბ. თ. ნინიძე, პირადი არაქონებრივი უფლებები, გვ. 65-66. თანხმობის აუცილებლობის შესახებ იბ. თ. ჟორჟინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 238

<sup>425</sup> იბ. ბ. ჟეიგრი, დასახ. ნაშრომი, გვ. 9; ბისმარკის საქმეზე საუბრობს ასევე შელცი და იურგენსი. იბ. W. Schulz, U. Jurgens, Das Recht am eigenen Bild – Eine fall-orientierte Einführung in Struktur und aktuelle Probleme des Bildnisschutzes, JuS, 1999, Heft 7, გვ. 664

<sup>426</sup> იბ. ლ. ჭაბუტიშვილი, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გვ. 191

<sup>427</sup> იბ. თ. ნინიძე, პირადი არაქონებრივი უფლებები, გვ. 66-68

ნაწილად მოიაზრება, საქმე ეხება აქტუალობისა და თანამედროვეობის შესატყვის მოვლენას. ამიტომ საზოგადო ინტერესი სჭარბობს ინდივიდის ინტერესს – დაუპირისპირდეს საკუთარი გამოსახულების გამოქვეყნებას. ეს უკავშირდება ცნებას „თანამედროვე ისტორია“, რომელიც გამოსახულებაზე აღბეჭდილი მოვლენის საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი კუთვნილებას ეხება. „საზოგადო ვითარებას“ განეკუთვნება მოვლენები, რომლებიც საზოგადოების ლეგიტიმურ ინტერესს იწვევს. საზოგადო ვითარებაში წარმოდგენილი პიროვნება უნდა ასახავდეს მოვლენის მიზეზს, უნდა იყოს მისი მონაწილე ან მსხვერპლი. დანაშაულთან დაკავშირებით პირთა გამოსახულების გამოქვეყნება ეხება საზოგადოებრივი უშიშროების ინტერესებს; დასაშვებია ძებნილ თუ დამნაშავე პირთა გამოსახულების გამოქვეყნება, რაც აადვილებს დამნაშავის ძებნას. სიტუაცია იცვლება ეჭვმიტანილებთან დაკავშირებით.<sup>428</sup> ამდენად, გარეგან გარემოებებს არა მარტო თანამედროვე ისტორიის მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, არამედ უშუალოდ გამოსახულებაში აღბეჭდილი პირი ამ გარემოებებში თანამედროვე ისტორიის მნიშვნელობას უნდა ატარებდეს; გამოსახვის ობიექტი უნდა იყოს თანამედროვე ისტორიის მონაწილე აბსოლუტური ან რელატიური პირები. თანამედროვე ისტორიის აბსოლუტურ პირთან ქორწინება შეიძლება მეუღლეთათვის ასევე თანამედროვე ისტორიის აბსოლუტური პირის სტატუსით დასაბუთდეს. ცნობადი სახეების პარტნიორთა თანამედროვე ისტორიის რელატიური პირის სტატუსი გრძელდება საოჯახო კავშირის გაწყვეტის შემდეგაც. თანამედროვე ისტორიის პირთა ბავშვები მათი მშობლების სტატუსის საფუძველზე მეტად არ არიან თამედროვე ისტორიის აბსოლუტური ან რელატიური პირები, რადგან ისინი საზოგადოებაში ოჯახის წევრებად გამოდიან ან მხოლოდ მათი მშობლების მოვალეობათა წრეში არსებობს საჯარო ფუნქცია.<sup>429</sup>

ამდენად, გამოსახულების უნებაროვო სარგებლობისას პირს შეუძლია ხელმყოფი მოქმედების შეწყვეტა ან მასზე უარის თქმა მოითხოვოს (სსკ-ის მე-18 მუხლის 1-ლი და მე-5 ნაწილები). თუ აღნიშნულმა გამოიწვია ზიანი, შეიძლება როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხები დადგეს (სსკ-ის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი). ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია დელიქტური სამართლის ნორმები სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძვლების მიხედვით (სსკ-ის 992-ე მუხლი). შესაბამისად,

<sup>428</sup> იქვე, გვ. 68-69

<sup>429</sup> იხ. პ. მუხრანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 134-135, 136. სასამართლო პრაქტიკა გამორიცხავს დაცული სფეროდან ორ შემთხვევას – „ცნობადობას“ და „ახალი ამბები“. „ცნობადის“ პირი, რომელიც დაკავებული მდგრმარეობის, პოპულარობის, ცხოვრების წესის ან მოღვაწეობის ძალით საზოგადოების ყერადღებას იცემობს. ასეთი პირები აღწევენ საზოგადოებრივ ყურადღებას და ფაქტობრივად თანხმდებიან იმას, რომ მათ იხადონ არასასურველი საქმეების ხარჯი; რომ პირადი თვისებები და მოქმედებები საინტერესო გახდა საზოგადოებისთვის და ისინი უკვე მათი პირადი საქმე არაა. „ცნობადი-ერთდღიურები“ (იმწუთიერები) არიან დამნაშავეები, რომლებიც მონაწილეობენ გახმაურებულ საქმეებში, ძალადობისა და უბედური შემთხვევების მსხვერპლები. ისინი ხდებიან „საფუძვლიანი ინტერესებს“ ობიექტები ვიდრე მათი ქცევა ან უბედურება იმსახურებს საყოველთაო ყურადღებას. მათი „პირად სფეროზე უფლება“ არ არსებობს, ვიდრე ისინი კანონიერ ცხოვრებას დაუბრუნდებიან. რაც შეეხება ახალ ამბებს, ისინი უნდა შეიცავდეს ქონიკულობის ელემენტს. გამოქვეყნება, რომელიც ეხება მოვლენებს, რომლებიც უკვე არაა ახალი, განიხილება ჩვეულებრივ „პირად სფეროზე უფლების“ დარღვევად. იხ. პ. კუტროსიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 167

მიზანშეწონილია, მოცემულ შემთხვევაში მჭიდროდ იყოს განხილული სსკ-ის მე-18 და 992-ე მუხლები.

ამასთან, აუცილებელია სისხლის სამართლის საქმე აღიძრას კონკრეტული პირის მიმართ, რომ მისი ფოტოები გამოიკრას ძებნილ პირთა-თვის განკუთვნილ დაფაზე; წინააღმდეგ შემთხვევაში ამ პირის ფოტოების ამგვარი გამოქვეყნება ლახავს განმცხადებლის რეპუტაციას საზოგადოება-ში. თუ განმცხადებელი ბრალდებული არ ყოფილა მკვლელობის საქმეზე, ის სტატუსის მიხედვით ჩვეულებრივი პირია. ამიტომ მას არც თმენის ვალ-დებულება აკისრია და დაუშვებელია მისი პირადი სფეროს შეზღუდვა რაიმე ლეგიტიმური მიზნისთვის. საქ. სისხ. საპრ. სამ. კოდექსის 393-ე მუხლის მიხედვით, ძებნილად შეიძლება მხოლოდ იმ უკვმიტანილის ან ბრალდებულის გამოცხადება, რომელიც ემალება გამოძიებას ან სასა-მართლოს. საქმეზე, რომელშიც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გამოსახულების უფლებასთან დაკავშირებით იმსჯელა, განმცხადებელი არც უკვმიტანილი ყოფილა და არც ბრალდებული, რის გამოც ის „ძებნი-ლად“ არ უნდა გამოცხადებულიყო. ასევე არ აღმოჩნდა სასამართლოს გა-დაწყვეტილება მოწმის იძულებით მოყვანასთან დაკავშირებით და დაცულ სფეროში ჩარევის რაიმე სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა, რასაც მოითხოვს ევროკონვენციის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი.<sup>430</sup> ე.ო., აშკარად შეილახა პირადი ცხოვრების დაცვის უფლება. აღნიშნულს კი შეიძლება დელიქტური პასუხისმგებლობა მოჰყვეს (სსკ-ის 992-ე მუხლი).

აღსანიშნავია კაროლინა ფონ მონაკოს საქმეზე გერმანიის გადაწყვეტი-ლება, რომელიც შეეხო იმას, რომ უურნალმა „ბუნთი“ ინტერვიუს მიცემაზე პრინცესის უარის საფუძვლების შესახებ ექსკლუზიური „ფსიქო-ინტერვიუ“ ააგო. ინტერვიუ კი იყო უაღრესად პიროვნული...<sup>431</sup> პრინცესა კაროლინასთან არასწორად წარმოდგენილი ინტერვიუ არის მისი გარე სახის შესახებ თვითგამორკვევის უფლებაში ჩარევა.<sup>432</sup> გამოსახულებების, პიროვნული და ინტიმური ინფორმაციის გავრცელება შეიცავს სადაც საკითხებს.<sup>433</sup>

საგულისხმოა, რომ პრინცესა კაროლინას, როგორც მეცის ტიტულის ოჯახის ერთგულ წევრს, რამდენიმე წარმომადგენლობითი მოვალეობა აქვს, თუმცა მაინც არ იყენებს მონაკოს სახელმწიფოს სახელმწიფოებრივ ფუნ-ქციას. დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა ზოგადი პიროვნული უფლების დარ-ღვევას, რამდენადაც გერმანულმა სასამართლოებმა მოსარჩელეს პრინცესის საკუთარ შვილებთან ფოტოების გამოქვეყნების აკრძალვაზე არ დააკმაყო-ფილა. აღნიშნული საქმე გაგრძელდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასა-მართლოში, სადაც განხილვა შეეხო სხვადასხვა უურნალში („ბუნთი“, „ფრაიცაიტ რევიუ“, „ნოიე ფოსტა“) გამოქვეყნებულ დაახლოებით ორმოც ფოტოს. ფოტოებში წარმოდგენილი იყო პრინცესის პირადი ცხოვრება ყოველდღიურ სიტუაციაში, მაგალითად, თავის ბავშვებთან, საყიდლებზე,

<sup>430</sup> ი.ბ. ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ 2009 წლის 13 იანვრის განაჩენი (განაცხადი №37048/04)

<sup>431</sup> ი.ბ. კარლ-პაინც ვეცერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 56-57

<sup>432</sup> BGH 128, 1-Caroline von Monaco-Entscheidung I; BGH, NJW 1996, 984, 985-Caroline von Monaco-Entscheidung II.; ი.ბ. კარლ-პაინც ვეცერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 56-57

<sup>433</sup> Nr. 59320/00, Urteil vom 24. Juni 2004. შეად. Urs Sixer, Zu viel Schutz für Prominente? Eine Bewertung des "Caroline-Urteils", NZZ vom 24. September 2004, გვ. 63

გელოსიპედით სეირნობისას, ტენისის თამაშის დროს, საზღვაო სანაპიროზე და ა. შ. სურათები საფრანგეთში ან მონაკოში პრინცესის თანხმობის გარეშე „პაპარაციის“ მიერ (ნაწილი შინაურულად, ნაწილი დიდი დისტანციის მოშორებით) იყო გადატებული.<sup>434</sup>

ამასთან, სამოქალაქო საქმის განმხილველმა სასამართლოებმა შეიმუშავეს ორი მიმართულება: პირველი, ამ სასამართლოებმა პრინცესა კაროლინა აღიარეს „თანამედროვეობის აბსოლუტურ პირად“, რადგან მისი სურათები პრინცესის პიროვნების კონკრეტული მიღწევებისგან დამოუკიდებლად იმსახურებს საზოგადოებაში ყურადღებას. მეორე, მტკიცედ დადგინდა, რომ დაცვის დირსი პირადი სფერო, რომელიც თანამედროვე ისტორიის აბსოლუტურ პირსაც ეხება, „ადგილობრივ განმარტოებას“ გულისხმობს. ზოგადი პიროვნული უფლებიდან გამომდინარე გამოქვეყნების აკრძალვა დაიშვება, თუ პირადი ცხოვრებიდან არსებულ სურათებს არა აქვს კავშირი საზოგადოებრივ ინტერესთან.<sup>435</sup> თუმცა წარმოდგენილი გარემოებები მოგვიანებით გადაფასდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. აქ ხაზი გაესვა, რომ კაროლინა ფონ მონაკო იყო საჯარო ფიგურა, რომელსაც თმენის ვალდებულება პქონდა და გამოსახულების გავრცელება, თავის მხრივ, უკავშირდებოდა საჯარო ინტერესს, კერძოდ, ინფორმაციის თავისუფლებას. ინფორმაციის გავრცელება გულისხმობს გამოქვეყნებასაც, რომელიც მართლსაწინააღმდეგო იქნებოდა გამოსახულების უკანონოდ (უნებართვოდ) მოპოვების შემთხვევაში. ქმედების მართლწინააღმდეგობას გამორიცხავს საჯარო ინტერესი, ასევე თანხმობის არსებობა. ამ გარემოებების გათვალისწინებით სრულიად შეიცვალა სურათი და დადგინდა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ იყო პირადი ცხოვრება ხელყოფილი.<sup>436</sup>

საგულისხმოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს მოვალეობა წარმოეშობა, აქტიური დაცვითი (ეფექტური) ღონისძიებები გატაროს პირადი ცხოვრების პატივისცემის უზრუნველსაყოფად. ამასთან, მან უნდა გაამახვილოს უურადღება კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად სხვების უფლებებსა და თავისუფლებაზე. ნეგატიურ და პოზიტიურ ვალდებულებებს შორის ნათელი საზღვრები ევროსაბჭოს აზრით არაა ახსნილი. ორივე შემთხვევაში საქმე ეხება სამართლიან ბალანსს კოლიზიურ ინტერესებს შორის. აღნიშნული კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით, პირადი ცხოვრების უფლების პატივისცემის ძირითადი უფლება მოიცავს საკუთარ გამოსახულებაზე უფლებას. პირადი სფეროს გარანტია იცავს პირთა პიროვნების შეუფერხებელ განვითარებას სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში.<sup>437</sup>

ამდენად, ფიზიკური პირის თანხმობის გარეშე მისი გამოსახულების გამოქვეყნება არის არამართლზომიერი გავრცელება, რაც შეუძლია უფლებამოსილ პირს აღკვეთოს მოქმედების შეწყვეტის ან მასზე უარის თქმის

<sup>434</sup> ი. მ. Peters, Zur Pressefreiheit auf dem Prüfstand des deutschen Bundesverfassungsgerichts und des Europäischen gerichtshofs für Menschenrechte, Justiz in aller Welt, Betrifft JUSTIZ Nr. 83, September 2005, გვ. 160; <[http://www.betrijfjustiz.de/Texte/BJ%2083\\_Peters.pdf](http://www.betrijfjustiz.de/Texte/BJ%2083_Peters.pdf)> [11.09.10 19:25]

<sup>435</sup> იქვე გვ. 161

<sup>436</sup> ი. მ. Hannover v. Germany, 2012 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№2)

<sup>437</sup> ი. მ. კუტერხი, დასახ. ნაშრომი, გვ. 162, 163

მოთხოვნების საშუალებით. „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ 58-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ გამოყენებულ იქნა რეკლამის სახით პირის ნებართვის გარეშე მისი გამოსახულება, ეს სიუჟეტი ექვემდებარება დაუყოვნებლივ პროგრამიდან ამოღებას. ამასთან, ზოგჯერ გამოსახულებაში ფართო გაგებით იგულისხმება ფიზიკური პირის გარეგნობა, ფიზიკური მონაცემები, ტანსაცმელიც კი და სხვა ასევექტები, რომელთა აღქმა შესაძლებელია სპეციალური კვლევა-ძიების გარეშე.<sup>438</sup>

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გამოსახულების უფლების შინაარსი საქართველოს კანონმდებლობაში არაა ნათლად წარმოდგენილი. ამიტომ შეიძლება გაჩნდეს შეკითხვა: ამ უფლების ხელყოფისას შესაძლებელია თუ არა პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის სხვა ფორმის გამოყენება? აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მართებულად განმარტა, რომ სსკ-ის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილით არაქონებრივ უფლებათა დაცვის ობიექტს მიეკუთვნება გამოსახულება.<sup>439</sup> ამასთან, გამოსახულება დაცულია ზოგადი ნორმებითა (სსკ-ის მე-18 მუხლი) და სპეციალური ნორმებით (საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 47-ე მუხლი). აღნიშნული სპეციალური კანონი (59-ე მუხლი) განასხვავებს საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის ისეთ დონის-ძიებებს, როგორიცაა ზიანის (ქონებრივი და არაქონებრივი) ანაზღაურება და კომპენსაციის გადახდა. შესაბამისად, სსკ-ის მე-18 მუხლისა და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ პუნქტის მიხედვით, ბრალის მიუხედავად, შეიძლება პირმა დააყენოს მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებისა და შემოსავლის ჩამორთმევის ნაცვლად კომპენსაციის გადახდის ოაობაზე.<sup>440</sup> ამასთან, ბელორუსიის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსი შეიცავს საავტორო სამართლის ობიექტების შესახებ ცალკე დებულება (992-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-4 პუნქტი), რომლითაც დაცულია გამოსახულება.<sup>441</sup> რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლი ჩამოთვლის პირად უფლებათა გარკვეულ წრეს, რომელშიც არაა დასახელებული საკუთარ გამოსახულებაზე უფლება. თუმცა ამის შემდგომ 152<sup>1</sup>-ე მუხლით დამოუკიდებლადაა წარმოდგენილი საკუთარი გამოსახულება, რითაც კანონმდებელმა მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა გამოკვეთა. ამასთან, გვხვდება სამოქალაქო კოდექსის ქვედარგის საავტორო სამართლის სფეროდან 1259-ე, 1263-ე, 1276-ე მუხლები, რომლებიც გამოსახულების დაცვას შეეხება (საავტორო სამართლის ობიექტები).<sup>442</sup> ეს კი გარკვეულწილად პარალელური ნორმების საფრთხის შემცველია. ამ თვალსაზრისით აღნიშნული ბელორუსიის რესპუბლიკის

<sup>438</sup> აღნიშნულზე იხ. თ. (პ.) მონიავა, სამოქალაქო სამართლის სუბიექტები, გვ. 119-120

<sup>439</sup> აქ განიხილება პირის უფლება საკუთარ გამოსახულებაზე. აქ არაა სწორად ობიექტის პრობლემა გაგებული.

<sup>440</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივნისის განჩინება (საქმე №ას-280-264-2011)

<sup>441</sup> ბელორუსიის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის იხ. ინტერნეტ-გვერდზე: <<http://pravo.levonevsky.org/kodeksby/gk/20110115/dokument.htm>> [20.10.10 23:44]

<sup>442</sup> რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის შესახებ იხ. ინტერნეტ-გვერდი: <[http://www.internet-law.ru/law/kodeks/gk\\_1.html](http://www.internet-law.ru/law/kodeks/gk_1.html)> [20.10.10 23:40]

სამოქალაქო კოდექსში უკეთესადაა მოწესრიგებულია, ვიდრე რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსში.

ამდენად, პირადი გამოსახულების დაცვა უნდა განიხილებოდეს ორი გაბებით: а) იგი არის ინდივიდუალობის დაცვის უფლების ერთ-ერთი გარანტია და დგას სახელის დაცვის უფლების გვერდით;<sup>443</sup> ბ) პირადი გამოსახულების დაცვის უფლება უნდა წარმოადგენდეს პირადი საიდუმლოების დაცვის უფლების ერთ-ერთი იურიდიულ გარანტიას, ვინაიდან მისი შელახვა ხშირად პირის ინტიმური ცხოვრებისა და ღირსების ხელყოფას იწვევს.<sup>444</sup>

გარდა ამისა, საკუთარი გამოსახულების დაცვის უფლება ერთ-ერთი განსაკუთრებული პიროვნული უფლებაა,<sup>445</sup> რომელიც ზოგადი პიროვნული უფლებიდან გამომდინარეობს.<sup>446</sup> ზოგადი პიროვნული უფლების ერთ-ერთი ელემენტია თვითგამოსახვის უფლება, რომელშიც მოიაზრება საკუთარ სიტყვაზე, სურათსა და პიროვნების წარმოსახვაზე, საწინააღმდეგო შინაარსის ინფორმაციის გავრცელებაზე უფლებები. საქართველოში ზოგადი პიროვნული უფლება კონსტიტუციის ცალკეული მუხლებით აღიარებული ძირითადი უფლებების, მაგალითად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლების საფუძველია.<sup>447</sup> გამოსახულების დაცვა კი ამ თვალსაზრისით თვითგამოსახვის გარკვეულ ელემენტებს ემთხვევა. ამდენად, საქართველოს კანონმდებლობა იცავს განსაკუთრებულ პიროვნულ უფლებას გამოსახულების დაცვის უფლების სახით, რომელიც კერძო სამართალში საკუთარი პიროვნების განვითარების თავისუფლებას (საქ. კონსტიტუციის მე-16 მუხლი) აკონკრეტებს. ის უკავშირდება ზოგად პიროვნულ უფლებას. შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა აღიარებს ზოგად პიროვნულ უფლებას, ვინაიდან ყველა კერძო გამომდინარეობს ზოგადიდან. ამ წანამდევრებიდან დანასკვი ასეთია: საქართველოს კანონმდებლობაში აღიარებულია ზოგადი პიროვნული უფლება, რაც შეესაბამება ლოგიკის წინააღმდეგობისა და საკმაო საფუძვლის კანონებს.<sup>448</sup> აქ უნდა ვიხელმძღვანელოთ ზოგადი და კერძო ნორმების ურთიერთმიმართების წესებით. ამდენად, პირადი ცხოვრება შეიძლება აისახოს გამოსახულებაში, ვინაიდან გამოსახულების დამახინჯებულად ან არასწორად წარმოდგენით შეიძლება პირადი ცხოვრების ხელყოფაც. აღნიშნული, თავის მხრივ, წარმოშობს პირადი სფეროს უზრუნველყოფას უფლების დაცვის ფორმებით. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელმყოფი მოქმედების შეწყვეტა, უფლების აღიარება, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა (სსკ-ის მე-18 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-5 ნაწილი).

<sup>443</sup> საგულისხმოა გაუპატიურების 1992 წლის აქტი ხელს უშლის სექსუალური დანაშაულის მსხვერპლთა გამოსახულებისა ან სახელის გამოქვეყნებას. იხ. ა. მუხრანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

<sup>444</sup> იხ. თ. ნინიძე, პირადი საიდუმლოების დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი გარანტიები, „საბჭოთა სამართალი“, 1977, №1, გვ. 24.

<sup>445</sup> იხ. თ. პოერენი, დასახ. ნაშრომი, გვ. 238.

<sup>446</sup> იხ. მარი-დერეს ფრიკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

<sup>447</sup> იხ. კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები (მე-2 გამოც.), გვ. 95-96.

<sup>448</sup> იხ. კ. ბაქრაძე, ლოგიკა, თბ., სტალინი სახ. თბ. სახელმწ. უნივერს. გამომც., 1954, 427-428, 434-435. აღნიშნული გაცილებით უკეთესადაა ახსნილი. იხ. კ. ბაქრაძე, ლოგიკა, თბ., საქ. პედაგოგ. მეცნ. ინსტ. გამომც., 1946, გვ. 193-194, 197-198.

ლები), ქონებრივი თუ არაქონებრივი ზიანისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრება (სსკ-ის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი და 992-ე მუხლი).<sup>449</sup>

## გაპირადი ცხოვრებისა და პატივისა და დირსების დაცვა

სსკ-ის მე-18 მუხლით დაცულია ასევე პატივი და დირსება, რომლებიც ემსახურება ადამიანის ინდივიდუალიზაციას, რადგან საზოგადოებაში მის თვითგამორკვევას უკავშირდება. ისინი დამოუკიდებელ როლს ასრულებს ადამიანის ინდივიდუალიზაციაში.<sup>450</sup> ამდენად, საინტერესოა, თუ როგორი დამოკიდებულება არსებობს პირად სფეროს, პატივისა და დირსების კატეგორიებს შორის. აღნიშნულისთვის კი აუცილებელია თვით პატივისა და დირსების არსის გარკვევა მათვის დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით.

პიროვნების „პატივი“ პიროვნების მორალური თუ სხვა თვისებების საზოგადოებრივი შეფასებაა. პატივი არის პიროვნების ობიექტური საზოგადოებრივი შეფასება, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულებას ამ პიროვნების მიმართ. „დირსება“ კი ნიშნავს თვით პიროვნების მიერ საკუთარი მორალური ან სხვა თვისებების, უნარის, საზოგადოების წინაშე მისი ვალის მოხდის, საკუთარი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასებას. აღნიშნული თვითშეფასების საფუძველია მორალური თუ სხვა თვისებების შეფასების საზოგადოების მიერ აღიარებული კრიტერიუმები.<sup>451</sup>

თუმცა პატივისა და დირსების ცნებებისადმი მიღვომა დროთა განმავლობაში შეიცვალა. ღირსებაში მოიაზრება საზოგადოების მიერ ადამიანის სოციალური ღირებულების, უნიკალურობის, ყოველი პიროვნების, როგორც ინდივიდის, აღიარება.<sup>452</sup> ამასთან, ღირსება უკავშირდება საკუთარი თავის დამაჯერებლად წარმოდგენას ისევე, როგორც საკუთარი აასუხის-მებლობით გარკვეული დავალების გადაწყვეტას.<sup>453</sup> მ. ლექციების კი პიროვნების პატივსა და ღირსებას კომპლექსურ ცნებად მიიჩნევს.<sup>454</sup> პატივი, ა. კობახიძის განმარტებით, არის პირის მორალური და საქმიანი თვისებების შეფასება საზოგადოების მიერ.<sup>455</sup>

დღესდღეობით პატივს განიხილავენ, როგორც ადამიანის შინაგან და გარეგან ღირებულებას, ასევე როგორც საკუთარ ღირსებას საზოგადოების ფარგლებში, რაც ნიშნავს თვითაღიარებასა და პირის შეფასებას საზოგადოების თვალსაზრისით.<sup>456</sup> პატივის ეს ორივე გამოვლინება სამოქალაქოსა-

<sup>449</sup> ქონქრებულად ამ უფლების დაცვის შესახებ იხ. დაცვის ფორმების განვითარებაში

<sup>450</sup> იხ. თ. ნინო ბიბიძე, ადამიანის ინდივიდუალობა – საბჭოთა სამოქალაქო სამართლის დაცვის საგანი, გვ. 88

<sup>451</sup> იხ. თ. ნინო ბიბიძე, პირადი არაქონებრივი უფლებები, გვ. 60

<sup>452</sup> იხ. Авторский коллектив, Права человека, Учебник для вузов, Москва, 2002, გვ. 144

<sup>453</sup> იხ. W. Höfling, Menschenwürde und gute Sitten, NJW, 1983 36. Jahrgang, 2. Halbband, გვ. 1584

<sup>454</sup> იხ. მ. ლექციების სისხლის სამართალი (განსაკუთრებული ნაწილი), თბ., „ნორმა“, 1996, გვ. 123

<sup>455</sup> იხ. ა. კობახიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 262

<sup>456</sup> იხ. T. Perger, Ehrenshutz von Soldaten in Deutschland und anderen Staaten, Köln, (TUP-Productions) (Dissertation), 2003, გვ. 22, ნაშრომი ხელმისაწვდომია ინტერნეტ-გვერდზე: <<http://ub.unibw-muenchen.de/dissertationen/ediss/perger-tilmann/inhalt.pdf>> [10.09.10 08:45]

მართლებრივ დაცვას საჭიროებს.<sup>457</sup> კონსტიტუციურად აღიარებულია პიროვნული პატივი. ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანებია დებულება – ადამიანის დირსება ხელშეუხებელია. კონსტიტუციის უზენაეს პრინციპად არის აღიარებული ადამიანის დირსება. ამდენად, პიროვნულ პატივს აქვს მჭიდრო კავშირი ადამიანის დირსებასთან. პიროვნული პატივის უფლება თავის საფუძვლებს უშუალოდ ადამიანის პიროვნებაში პოულობს. რამდენადაც ადამიანის დირსება უშუალოდ უკავშირდება პირის არსებობას, შინაგანი პატივი მაინც მეტ-ნაკლები ხარისხით ადამიანის ყოფა-ცხოვრების ფაქტიდან გამომდინარეობს. ამასთან, ადამიანი, როგორც პირი, არის უზენაესი სულიერი და ზნეობრივი ფასეულობის მატარებელი და ამყარებს საკუთარ ზნეობრივ როლს, საზოგადოების ნებისმიერი მოთხოვნისგან განუყოფლად, კერძოდ, სახელმწიფოსა და საზოგადოების ყველა კანონის ფარგლებში.<sup>458</sup>

საგულისხმოა პატივის სისხლისსამართლებრივი გაგება, რომელიც ფაქტობრივ და ნორმატიულ ცნებებს უკავშირდება. პატივი ფაქტობრივად არის საზოგადოებრივი პატივისცემა, მის რეალურ ყოფაში სახელი, თანამშრომელთა მხრიდან შეფასება. ამდენად, პატივი არის, ერთი მხრივ, საკუთარი ღირსების შეგრძნება, მეორე მხრივ, ის, თუ რამდენადაა ადამიანთა ქცევა მათი წარმოდგენით ზნეობრივ მოთხოვნებთან შესაბამისობაში. რაც შეეხება პატივის ნორმატიულ გაგებას, პატივი არის ადამიანის შინაგან ღირებულებაზე დაფუძნებული პირთა ღირსება. ასევე არსებობს ახალი მიღვომა, რომელიც ნორმატიულ და ფაქტობრივ ელემენტებს აერთიანებს. ეს პოზიცია გაზიარებულია სასამართლო პრაქტიკასა და ლიტერატურაში. პატივი მოიცავს როგორც შინაგან, ისე გარეგან პატივს. შინაგანი პატივი არის პიროვნების ფაქტობრივად არსებული ღირებულება, რომელიც დანახულია ზნეობრივი და სოციალური თვალსაზრისით. გარეგანი პატივი არის საზოგადოებაში საკუთარი თავის პატივისცემა, რომელიც კანონით დადგენილი წესებიდან გამომდინარებს.<sup>459</sup>

პატივის ნორმატიულ-ფაქტობრივი (ნორმატიულ-რეალური) გაგების მიხედვით, შეიძლება გარეგანი პატივისა და შინაგანი პატივის დაცვის განსხვავება. გარეგან პატივში იგულისხმება საზოგადოებაში ადამიანის სახელი ან პატივისცემა ანუ სოციალური პატივისცემის უფლება, რომელიც ამ პირს აქვს. შინაგანი პატივი ძირითადად დამოკიდებულია თვითშეფასებაზე<sup>460</sup> და ამიტომ წარმოიშობა ფსიქოლოგიური, შემდეგ კი იურიდიული პრობლემა.<sup>461</sup> თუმცა შინაგანი პატივის წარმოდგენილი წრე არის პიროვნული.

<sup>457</sup> ob. *Marc-Oliver Martin*, *Publizistische Freiheit und Persönlichkeitsschutz, Zu den Grenzen der Verwertbarkeit realer Biografien*, Göttingen, Universitätsverlag Göttingen, 2008, 33, 147

<sup>458</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. თ. პერვერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 22-24

<sup>459</sup> oJg 33, 83, 25-26, ob. I. Siebrecht, Der Schutz der Ehre im Zivilrecht, in der Zeitschrift "Juristische Schulung" (JuS) 2001, Heft 4, 22-27.

<sup>460</sup> შინაგანი პატივი არსობრივად ახლოს დგას საბჭოთა პერიოდის იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებულ „ღირსების“ მნიშვნელობასთან. ღირსების განსაზღვრების შესახებ იხ. *Рафиева Л. К.*, Гражданско-правовая защита чести и достоинства личности в СССР, Автореф. дисс. на соискание ученой степени кандидата юрид. наук, Ленинград, 1966, გვ. 5; Курс советского гражданского права, *Братусь С. Н.*, Предмет и система советского гражданского права, М., Государств. изд. Юридической Литературы, 1963, გვ. 85.

<sup>461</sup> об. о. ზიბრეგიშვილ, დახახ. სტატია, გვ. 337

ლი დირსება. ამდენად, პატივი სისხლისსამართლებრივი გაგებით მოიცავს პირის ნამდვილ შინაგან ღირებულებას, ასევე საზოგადოებაში დამსახურებულ სახელს. სამოქალაქოსამართლებრივად პატივი არაა განსაზღვრული.<sup>462</sup> დირსების განსაკუთრებული სამართლებრივი ბუნების ერთ-ერთი გამოხატულება ისაა, რომ დედის სხეულში მყოფ მომავალ სიცოცხლესაც შეუძლია ადამიანის დირსების საშუალებით დაიცვას საკუთარი უფლებები. ამასთან, დირსება გარდაცვალების შემდეგაც ვრცელდება გვამსა და გარდაცვლილი ადამიანის ხსოვნაზე.<sup>463</sup> ამ ნაწილში დირსება ვლინდება დირებულებაში, რომელიც გარდაცვალების შემდეგ პიროვნების სახით რჩება და პიროვნების ხსოვნას უზრუნველყოფს. დირსება ხომ პიროვნებისთვის დამახასიათებელი თვისებაა.<sup>464</sup>

რაც შეეხება ტერმინს „რეპუტაცია“, იგი შეფასებითი კატეგორიაა. მასში მოიაზრება ადამიანის სტატუსი საზოგადოებაში და მის შესახებ შექმნილი წარმოდგენა.<sup>465</sup> ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანი რეპუტაცია იმ თვისებათა და შეფასებათა ერთობლიობაა, რომელთანაც მათი მატარებელი ასოცირდება თავისი კონტრაგენტების, კლიენტების, მომხმარებელების, კოლეგების, თაყვანისმცემლების (შოუ-ბიზნესში), ამომრჩეველთა (არჩევითი თანაბდებობისთვის) შეგნებაში და პერსონიფიცირდება ამ დარგის სხვა პროფესიონალთა შორის.<sup>466</sup> ამიტომ საქმიან რეპუტაციაში იგულისხმება პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასება, რასაც ეფუძნება საზოგადოების დამოკიდებულება მოცემული ფიზიკური ან იურიდიული პირის მიმართ.

მაშასადამე, ძირითადია დირსების, როგორც დირებულების, განხილვა, რაც მის განსაკუთრებულ მხარეს წარმოაჩენს. მართალია, ამ შემთხვევაში მსჯელობა დირებულებით ჭრილში გადადის, მაგრამ ეს აქსიოლოგიური მიდგომა გამოკვეთს დირსების სამართლებრივ ბუნებას. მოცემული გაგებით ხაზგასმულია დირსების ძირითადი ნიშანი – ინდივიდუალობა, აღნიშნული კი შეფასებით ხასიათს ატარებს.

ზემოთ განხილულის გათვალისწინებით აუცილებელია მოკლედ შევჩერდეთ სსკ-ის მე-18 მუხლზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი და დირსება შელახვისაგან. აქ იქმნება შთაბეჭდილება, რომ სიტყვა „საკუთარი“ სრულიად ზედმეტია, ვინაიდან საკუთარი პატივი უკვე დირსებაა და დირსება ამ ნორმაში ცალკეც არის ნახსენები. საქმე ისაა, რომ მოცემულ შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია კანონით დადგენილი წესით დაიცვას თავისი პატივი და არა სხვისი, რას მის

<sup>462</sup> იხ. თ. პერგერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 27

<sup>463</sup> იხ. კ. ეუბლაშვილი, ძირითადი უფლებები (მე-2 გამოცემა), გვ. 87

<sup>464</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. თ. ნინიძე, ცოცხალი ხატი დირსებისა, გვ. 67

<sup>465</sup> იხ. კ. (თ.) მოხიავა, პატივის, დირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამართლებრივი პრობლემები (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 1999, გვ. 34

<sup>466</sup> იხ. შ. ჩიქვაშვილი, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბ., „მერიდიანი“, 1998, გვ. 125

ექვლუზიურობას გამოკვეთს. თუმცა აღნიშნული განსხვავებულადაა გარდაცვლილის პიროვნულ უფლებათა დაცვასთან დაკავშირებით.<sup>467</sup>

საყურადღებოა, რომ დირსება, საქმიანი რეპუტაცია სასამართლოს წესით დაცვას ექვემდებარება, თუ: 1) შელახულია ფიზიკური ან იურიდიული პირის პატივი, დირსება ან საქმიანი რეპუტაცია; 2) გავრცელებულია პატივის, დირსების, საქმიანი რეპუტაციის შელახველი ცნობები; 3) გავრცელებული ცნობები სინამდვილეს არ შეესაბამება. პატივის, დირსების, საქმიანი რეპუტაციის შელახვა შეიძლება გულისხმობდეს პირის შესახებ ისეთი ცნობების გავრცელებას, რომლებიც შეიცავს მტკიცებას მათ მიერ კანონის ან მორალური ნორმების დარღვევის, უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ. ცნობები შეიძლება გავრცელდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გამოქვეყნების მეშვეობით, ცნობების გამოცემით, მათი მოწოდებით დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისთვის, ერთი ან რამდენიმე პირისთვის.

ამასთან, დირსება არის რა ზოგადი პიროვნული უფლების ცენტრალური რაობა, სსკ-ით მისი დაცვა ზოგადი პიროვნული უფლების დაცულობაზე მიანიშნება. როცა პირის პატივის, დირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები გამოქვეყნებულია პრესაში, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მათი უარყოფა უნდა მოხდეს ბეჭდვითი სიტყვის იმავე საშუალებით, რომელმაც გაავრცელა ისინი (სსკ-ის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილი). თუ პიროვნების გამაწილებულ<sup>468</sup> ცნობებს შეიცავს ამა თუ იმ ორგანიზაციის მიერ გაცემული დოკუმენტი და ისინი სინამდვილეს არ შეესაბამება, სასამართლო უფლებამოსილია ორგანიზაციას დააკისროს დოკუმენტის შეცვლა. ის უნდა დაეგზავნოს ყველა იმ დაინტერესებულ პირს, ვისაც თავდაპირველი დოკუმენტი მიეწოდა.<sup>469</sup> განისაზღვრა, რომ ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავის საგანი არ შეიძლება იყოს განცხადება, რომელიც ეხება პირთა განსაზღვრულ ჯაუფს ან/და რომელშიც მოსარჩელე არ არის ერთმნიშვნელოვნად იდენტიფირებული.<sup>470</sup>

ამ სიკეთების თაობაზე საქმეთა სამოქალაქო სამართალწარმოების დროს მოსარჩელე შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირიც. რაც შეეხება მოპასუხეებს, ისინი არიან სუბიექტები, რომლებიც ავრცელებენ სინამდვილესთან შეესაბამო პატივის, დირსებისა ან საქმიანი რეპუტაციის შემლახველ ცნობებს ან ისინი, რომელნიც ხელს აწერენ მათზე. სარჩელის დაკმაყოფილებისას სასამართლომ სარეზოლუციო ნაწილში უნდა მიუთითოს სახელის გამტეხი ცნობების გამაბათილებელი საშუალება და დაადგინოს ვადა, რომლის განმავლობაშიც უნდა განხორციელდეს უარყოფა.<sup>471</sup> პატივისა და დირსების შელახვა შეიძლება გამოიწვიოს სახელის

<sup>467</sup> კონკრეტულად დაცვის დონისძიებებზე იხ. უფლების დაცვის სამოქალაქოსამართლებრივ ფორმებში

<sup>468</sup> ცილისწამების (საქ. სისხ. სამ. კოდ. 148-ე მუხლი) დეკრიმინალიზაციის მიზეზებზე იხ. თ. „კინტურაშვილი, მართლმსაჯულების ლოგიკა (სიტყვის თავისუფლება და ქართული სასამართლო პრაქტიკა), „თავისუფლება“, 2005, №3 (39), გვ. 4-13

<sup>469</sup> იხ. თ. ქალდანი, უურნალი „ჩემი უფლებები“, მორალური ზიანი, თბ., 2002, გვ. 73-75

<sup>470</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 ოქტომბრის განჩინება (საქმე №ას-431-403-2010)

<sup>471</sup> იხ. შ. ქურდაძე, სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, თბ., „მერიდიანი“, 2005, გვ. 130

ხელყოფამ. თუმცა ეს არ ნიშნავს ამ სიკეთეების ცალკე სამართლებრივი დაცვის უგულებელყოფას.<sup>472</sup> პატივისა და ღირსების ხელყოფით კი საბოლოო ჯამში შეიძლება პირადი ცხოვრების შელახვაც.

უურადდების ღირსია კონსტიტუციის მე-16 მუხლით განმტკიცებული პიროვნების თავისუფალი განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ნიჭისა და უნარის რეალიზაციას, აყალიბებს ადამიანის ღირსების მატერიალურ და შინაარსობრივ მხარეს. ამიტომ ხშირად ეს უფლება განიხილება, როგორც ღირსების უფლების კონკრეტიზაცია. როგორც ადამიანის ღირსება, ისე პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება ხელშეუვალია.<sup>473</sup> ამდენად, სამოქალაქოსამართლებრივი თვალსაზრისით უმნიშვნელოვანებია სსკ-ის მე-18 მუხლით დაცული ღირსების ასპექტის გამოკვეთა. ამასთან, აქ აქცენტი უნდა გაკეთდეს სუბიექტებს შორის პორიზონტალურ ურთიერთობაზე, რაც მათ თანაბარ პოზიციებში აყენებს (სსკ-ის 1-ლი მუხლი). ასევე პირადი სფეროს დაცვა უნდა განხორციელდეს კერძო ავტონომიის პრინციპის სხვადასხვა გამოვლინების ფუნდამენტური ანალიზის საფუძველზე, ხოლო ზიანის მიუენებისას, როგორც ითქვა, წარმოიშობა დელიქტური ვალდებულებები (სსკ-ის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი და 992-1008-ე მუხლები). აღნიშნული კი იძლევა საშუალებას, ზოგადი პიროვნული უფლების აღიარებით დაცული იუოს პირადი ცხოვრება საქართველოს სამოქალაქო სამართალში.

ამასთან, განსაკუთრებული პიროვნული უფლება არის ზოგადი პიროვნული უფლების ქვესფერო. განსაკუთრებულ პიროვნულ უფლებებს შორის ნახსენებია პიროვნული პატივის უფლება. კერძო პიროვნული უფლებათა ჯგუფიდან გამოიყოფა რეპუტაციისა და პატივის უფლებები.<sup>474</sup> ამდენად, საქმე ეხება მთელისა და ნაწილის პრობლემას. პატივის დაცვის უფლება წარმოადგენს რა განსაკუთრებულ პიროვნულ უფლებას, შეიძლება დაგასკვნათ: ზოგადი პიროვნული უფლება იცავს განსაკუთრებულ პიროვნულ უფლებას – პატივის უფლებას.

ამრიგად, აღნიშნული სიკეთეების ღირებულებით ჭრილში განხილვას გადაჰყავს კვლევა სხვა საფეხურზე, რომელიც პირად ცხოვრების სხვა რანგში შესწავლას უკავშირდება. ამ კონტექსტში კი პირადი ცხოვრების განსაკუთრებული სამართლებრივი ბუნება იკვეთება.

## დ)პერსონალური მონაცემების დაცვა და პირადი ცხოვრება

პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება წარმოადგენს ერთ-ერთ სპეციალურ პიროვნულ უფლებას, რომელიც ახდენს პირის ინდივიდუალიზაციას. ამ გაგებით პირადი სფეროს ერთ-ერთი ასპექტი სწორედ პერსონალური მონაცემებია. დღესდღეობით ხშირად კერძო ცხოვრება განიხილება მხოლოდ ინფორმაციულ ჭრილში, რითაც ხაზი ესმევა პირადი სფეროს მო-

<sup>472</sup> იხ. ო. ნინიძე, ადამიანის ინდივიდუალობა – საბჭოთა სამოქალაქო სამართლის დაცვის საგანი, გვ. 88

<sup>473</sup> იხ. ლ. იზორია, ქ. კორტელია, ქ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., „მერიდიანი“, 2005, გვ. 62

<sup>474</sup> იხ. ქ. ვახურბურგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 59-60

ცემული ნიშნის მნიშვნელობას. ამდენად, შესასწავლია პერსონალური მონაცემების რაობა, მისი კავშირი პირად ცხოვრებასთან, საქართველოში პერსონალური მონაცემების დაცვის სამართლებრივი სისტემა.

პერძო ცხოვრება ინფორმაციული გაგებით ნიშნავს, რომ პირებს შეუძლიათ საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის დაცვის, გაცემისა და ხელმისაწვდომობის გაკონტროლება.<sup>475</sup> პიროვნული მონაცემები არის ფიზიკური პირების იდენტიფიცირების საშუალება. პიროვნულ მონაცემთა შინაარსი არამატერიალური ბუნებისაა. პიროვნული მონაცემების მატარებელმა უნდა გადაწყვიტოს, შეიძლება თუ არა რომ გადაეცეს სხვებს თუ გამრავლდეს. ამასთან, საქმე შეიძლება კოდირებასაც შეეხოს.<sup>476</sup>

საერთოდ, პერძო ცხოვრება ტექნოლოგიური განვითარების ფონზე პირად სფეროს განიხილავს მნიშვნელოვანწილად „ინფორმაციული კერძო ცხოვრების“ ჭრილში. ინფორმაციული კერძო ცხოვრება არის პირთა ან პირთა ჯგუფის ან დაწესებულების თუ ორგანიზაციის უფლება, განსაზღვროს, როდის, როგორ და რა ფორმით გააცნოს სხვებს საკუთარი თავი.<sup>477</sup>

საქართველოში ბოლო პერიოდში მიექცა უურადღება პერსონალური მონაცემების დაცვის პროცედურას. აღნიშნული განპირობებული იყო საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო აქტებთან პარმონიზაციითა და საზოგადოებრივი ცვლილებებით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კონკრეტული დებულებები იცავდა პერსონალურ მონაცემებს, არ იყო ეფექტური მისი დაცვა. აუცილებელი იყო კერძოსამართლებრივ ნორმებშიც პერსონალური მონაცემების დაცვა, მით უმეტეს, საქართველოს კონსტიტუცია ძირითადი უფლების სახით ითვალისწინებდა კიდევ მას. სწორედ ამიტომ დაემატა სსკ-ს მე-18<sup>1</sup>-ე მუხლი, რომელიც შეეხება პერსონალური მონაცემების მიღების შესაძლებლობას.<sup>478</sup> აღნიშნულით პერსონალური მონაცემების დაცვა ამჯერად კერძოსამართლებრივ ფარგლებშიც მოექცა და საერთაშორისო განვითარების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოვიდა.

პერსონალურ მონაცემთა წრე სხვადასხვა შეიძლება იყოს: პირის ანგარიში ბანკში, ჯანმრთელობის მონაცემები, გენეტიკური კოდი, პერსონალთან დაკავშირებული ცნობები, მაღაზიაში სტუმრობის ჩვევები და „სექსუალური ინტერესები“ მხოლოდ უფლებამოსილი პირის საქმეა.<sup>479</sup> ამავე ჯგუფს განეკუთვნება ფინანსური ინფორმაცია.<sup>480</sup> ასევე საქართველოში პერსონალური მონაცემები დაცულია ქვეყნის აქტებით.<sup>481</sup> აქ არსისმიერია ის, თუ რა

<sup>475</sup> იხ. ბ. ბაიერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 8; აღნიშნულის შესახებ ასევე იხ. რ. დოუკავ. გ. ა. ფილ. კარსტებ კერძო, დასახ. ნაშრომი, გვ. 22-23

<sup>476</sup> იხ. მ შემიხი, დასახ. ნაშრომი, გვ. 125

<sup>477</sup> იხ. ჯონ თ. სომა, ჯ. ზ აჩარი კორსონი, ჯონ კადეინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 5-6

<sup>478</sup> იხ. პ. (თ.) მონიაზა, პერსონალური მონაცემების მიღების უფლება სამოქალაქო სამართალში, გვ. 17

<sup>479</sup> იხ. W. Safire, Nosy Parker Lives, The New York Times, Sept. 23, 1999, გვ. 29

<sup>480</sup> იხ. Fred H. Cate, The Privacy Problem, A broader view of information privacy and the costs and consequences of protecting it, First amendment center publication, Vol. 4 , No. 1, March 2003, გვ. 6

<sup>481</sup> პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით არსებული კანონებისა თუ აქტების შესახებ საუბარია განყოფილებაში „პირადი ცხოვრების საჯაროსამართლებრივი რეგულირების ზოგადი დახასიათება.“

ფორმით (კონტექსტში) შეიძლება გავრცელდეს ეს ინფორმაცია, ვინაიდან აღნიშნულს შესაძლოა პირადი ცხოვრების შელახვა მოჰყვეს.

დღევანდელ საზოგადოებაში პრაქტიკულად უმნიშვნელოვანესია ინფორმაციული კერძო ცხოვრების დაცვა. აშშ-ში 1974 წელს მიიღეს კერძო ცხოვრების შესახებ კანონი, რომელიც კერძო სფეროს იცავს სახელისუფლო ჩარევებისგან. აღნიშნული კანონის ეფექტურობა უკავშირდება პირის შესაძლებლობას, იმოქმედოს ხელისუფლების წინააღმდეგ იძულების ფორმით.<sup>482</sup> ეს კანონი იყო მცდელობა, განსაზღვრულიყო მტკიცე ბალანსი ხელისუფლების მოთხოვნილებას, შეაგროვოს და გამოიყენოს პირადი ინფორმაცია, და ამ სახის ინფორმაციის კონტროლზე კერძო ინტერესს შორის.<sup>483</sup> აღნიშნული კანონის მიღება განაპირობა ხელისუფლების მიერ ინფორმაციის მოპოვებამ, ელექტრონული საშუალებებით ოვალთვალმა და ინფორმაციის ფართო წრემ, რომელიც გროვდებოდა მონაცემთა კომპიუტერულ სისტემაში.<sup>484</sup> ამ კანონში ჩამოყალიბებული რვა პრინციპი ემსახურება ნებისმიერ სახელმწიფოში ინფორმაციული თვითგამორკვევის უზრუნველყოფას: არ უნდა მოხდეს საიდუმლო ანკეტურ მონაცემებში რაიმენაირი ჩაწერა და შემუშავდეს ორგანიზაციათა, მეთოდთა და სისტემათა საჯაროობის პოლიტიკა ანკეტური მონაცემების ჩაწერის შესახებ (საჯაროობის პრინციპი). ადამიანს, რომლის შესახებაც არის ორგანიზაციაში პერსონალური მონაცემები, უნდა პქონდეს უფლება, გაეცნოს მათ და გადაიღოს ქსეროასლები (ინდივიდუალური ხელმისაწვდომობის პრინციპი). ორგანიზაციაში ინდივიდის შესახებ მონაცემების შეცვლა უნდა შეეძლოს თვით ამ ინდივიდს (ინდივიდის მონაწილეობის პრინციპი). ამასთან, უნდა არსებობდეს შეზღუდვები ადამიანის შესახებ ინფორმაციის ტიპებზე, რომელთა შეგროვებაც ორგანიზაციას შეუძლია განსაზღვრული ქცევის წესების დაცვით (შეგროვების შეზღუდვის პრინციპი). გარდა ამისა, უნდა იყოს პირის შესახებ ინფორმაციის შინაგან გამოყენებაზე ორგანიზაციის შიდასაუწყებო წესები შეზღუდვების დონეზე (გამოყენების შეზღუდვის პრინციპი). ასევე უნდა იყოს პირის შესახებ ინფორმაციის გარებან გახსნაზე შეზღუდვები, რაც შეუძლია გააკეთოს ორგანიზაციას წესების მიღებით (ინფორმაციის გახსნის შეზღუდვის პრინციპი). აუცილებელია, ორგანიზაციამ აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე გონივრული და სწორი ინფორმაციის გავრცელებაზე. ესე იგი, ადამიანის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, მომსახურება, გამოყენება-გავრცელება უნდა იყოს აუცილებელი, კანონიერი, ხოლო თვით ინფორმაცია – ზუსტი და მიმდინარე (ინფორმაციის მართვის პრინციპი). ორგანიზაცია უნდა იღებდეს პასუხისმგებლობას ინდივიდუალური პოლიტიკისთვის წესების, მეთოდებისა და სისტემის თაობაზე (პასუხისმგებლობის პრინციპი). ამ კანონში დაშვებულია გამონაკლისები, რომლებიც ხელისუფლებას აძლევს საშუალებას, ჩაერიოს პირად ცხოვრებაში თვით ამ პირის თანხმობის გარეშე. ხელისუფლების უზურპაციის თავიდან ასაცილებლად

<sup>482</sup> ი. პ. პონგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 72

<sup>483</sup> ი. პ. Todd R. Coles, Does the privacy act of 1974 protect your right to privacy? an examination of Routine use exemption, THE AMERICAN UNIVERSITY LAW REVIEW, 1991, გვ. 965, 1001, <<http://www.wcl.american.edu/journal/lawrev/40/coles.pdf?rd=1>> [16.04.11 18:07]

<sup>484</sup> ი. პ. პონგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 80

კონგრესმა დაამატა პირობები პირადი სფეროს დასაცავად, კერძოდ, პირს შეუძლია ხელისუფლების წინააღმდეგ განახორციელოს სამოქალაქო მოქმედებანი და სასამართლო აკრძალვა. აღნიშნული იძლევა ფულად-საკრედიტო სფეროში ზიანის არსებობისას კომპენსაციის მიღების უფლებას.<sup>485</sup>

თუმცა ზემოთ მოყვანილ ინტერესებს შორის ამ კანონით ბალანსი მაინც ვერ იქნა მიღწეული; აქ საქმე ეხებოდა ხელისუფლების მხრიდან ტაქტიკურ სვლას, რომელიც ჩვეულებრივ გაამართლებდა ინფორმაციის არაკანონიერ გამოყენებას, რათა გაეხსნა პირადი ინფორმაცია ინდივიდის თანხმობის გარეშე. ამასთან, ამ კანონის მიზანი, დაეცვა პირადი ცხოვრება, ვერ იქნა აღნიშნული კანონით მიღწეული. თუმცა კონგრესმა აღიარა ინდივიდის უფლება კერძო ცხოვრების დაცვაზე პირადი ინფორმაციის ფარგლებში, მაგრამ არ შესწევდა ძალა, უზრუნველეყო მისი დაცვა. ამდენად, ვიდრე კონგრესი არ განიხილავს ამ კანონის სისუსტეებს (მაგალითად, ინფორმაციის გამოყენების გამართლება), ინდივიდის კერძო ცხოვრება ხელისუფლების ჩარევის საფრთხის წინაშე დგას.<sup>486</sup>

ასევე მნიშვნელოვანია 1998 წლის ბავშვთა „ონლაინ-კერძო ცხოვრების დაცვის შესახებ კანონი“, რომელიც ვრცელდება ცამეტი წლამდე ასაკის ბავშვებზე. ეს კანონი ზრდის მშობელთა მონაწილეობას ონლაინის საშუალებით ბავშვთა მოქმედებაში, რომ დაიცვან ისინი ონლაინში მონაწილეობაგან; ონლაინის ფორუმების ხელმისაწვდომობისა და პირადი ინფორმაციის უსაფრთხოების დასაცავად; ამდენად, იზღუდება პირადი ინფორმაციის შეგროვება ბავშვებისაგან მშობელთა თანხმობის გარეშე.<sup>487</sup>

პერსონალური მონაცემების დაცვა უნდა გამომდინარეობდეს საეუთარი პიროვნების განვითარების თავისუფლებიდან (საქ. კონსტიტუციის მე-16 მუხლი), რომელიც ამოსავალია საერთოდ პირადი სფეროს არსის განსასაზღვრად. პერსონალური მონაცემების უკანონო გავრცელება ინფორმაციული კერძო ცხოვრების შელახვას გულისხმობს. არადა ეს ის სფეროა, რომელიც უფლებამოსილი პირის „საუფლოს“ წარმოადგენს. აქ უფლებამოსილი პირი გასცემს ნებართვას კერძო ხასიათის ინფორმაციის გაცემაზე. ეს შეიძლება განსაკუთრებით ღრმა, პიროვნულ სფეროსაც შეეხოს. კერძო ცხოვრების ამ მხარეთა შელახვა ექცევა სამართლებრივი დაცვის ფარგლებში და წარმოშობს უფლების დაცვის სხვადასხვა ფორმის გამოყენების აუცილებლობას, მაგალითად, ხელმყოფი მოქმედების შეწყვეტას. ამასთან, შესაძლებელია ამ სიკეთის შელახვამ გამოიწვიოს ქონებრივი თუ არაქონებრივი ზიანი და იმის მიხედვით, თუ რომელ კონკრეტულ გარემოებებს გულისხმობს სხვადასხვა შემთხვევა, დადგება დელიქტური პასუხისმგებლობა სსკ-ის 992-1008-ე მუხლებზე დაყრდნობით.

ამდენად, საქართველოს კანონმდებლობამ ორმხრივად შექმნა პერსონალური მონაცემების საჯარო და კერძოსამართლებრივი დაცვის მექანიზმები. ამით ადრინდელი საკანონმდებლო გაკუუმი ინფორმაციული კერძო ცხოვრების კერძოსამართლებრივი დაცვის არარსებობის თაობაზე შეიივნება.

<sup>485</sup> იქვე, გვ. 82-84; *Doe v. Chao*, 124 S. Ct. 1204, 1208-10 (2004)

<sup>486</sup> იხ. თოდე რ. ქოულხი, დასახ. ნაშრომი, გვ. 1001-1002

<sup>487</sup> იხ. ჯონ თ. ხომა, ჯ. ზაჩარი კორსონი, ჯონ ჯადჯინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 16-17

## 5.2. სამართლებრივ დირექულებათა კოდიზია

ინფორმაციის თავისუფლების იურიდიული საფუძველი არის პირთა გარანტია, ხელი მიუწვდებოდეთ ინფორმაციასთან. ეს წარმოშობს ინფორმაციული კერძო ცხოვრების დაცვის პროცესების. ინფორმაციის თავისუფლებისა და პირად სფეროს დაცვას შორის კონფრონტაცია ამ ფორმით საჭიროებს საზოგადოებრივი ინტერესების ბალანსირებას პირადი პრივილეგიებით.<sup>488</sup>

მასობრივი ინფორმაციის გავრცელების საშუალებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს საზოგადოების განვითარების პროცესში, რადგან მედიას პროფესიულად ევალება, დააკმაყოფილოს საზოგადოებრივი ინტერესი. ამასთან, მედიას აქვს კანონის შესახებ ცნობების გავრცელების და ურთიერთობათა ცვლილებების შესახებ აზრისა და საჯარო უფლების ჩამოყალიბების ფუნქციებიც, ვინაიდან მედიას შეუძლია ეფექტური გზით მიმართოს მასას. მედიასაშუალებებით რაიმეს გადაცემა კი შეიძლება გულისხმობდეს სხვადასხვა წყაროდან ან კეტური მონაცემების შეგროვება-დამუშავებას (ჯანმრთელობის მდგრამარეობის, სოციალური უზრუნველყოფის, საგადასახადო მონაცემები და ა. შ.). ამით საფრთხე ექმნება კერძო ცხოვრებას, რომელსაც პატივს უნდა სცემდეს სახელმწიფო და ნებისმიერი კერძო პირი.<sup>489</sup> სწორედ პრესის თავისუფლებას უკავშირდება მჭიდროდ აზრის გამოხატვის თავისუფლება, რომელიც მრავლისმომცველია და ამიტომ აქვს იმის უნარი, რომ გარკვეულწილად სხვა უფლებებთან ჰიდილში აღმოჩნდეს.<sup>490</sup> აზრისა და პრესის თავისუფლებას ორი ძირითადი ამოცანა აქვს: ა) გამოხატვის თავისუფლება ადამიანის თვითგანხორციელების მნიშვნელოვანი ასპექტია; ბ) ის ცენტრალური მნიშვნელობისაა დემოკრატიული საზოგადოებისთვის. ამასთან, პრესისა და აზრის თავისუფლება „ყველა თავისუფლების კენტროა“ ან „კონსტიტუციური პრინციპია“, ასევე პრესის თავისუფლება ჩვეულებრივ ცოცხალი დემოკრატიის გარანტია.<sup>491</sup>

ინფორმაციულ ეპოქაში ბევრი ინტერნეტ-მომხმარებელი ცდება, როცა მიიჩნევს, რომ ინტერნეტ-საუბრები რჩება საიდუმლოდ. თუ პირი ფიქრობს, რომ მისი კომპიუტერი მისივე თვალია კიბერსივრცეში, სინამდვილეში ეს აღმოჩნდება თვალი, რომელსაც ორმხრივი მაყურებელი ჰყავს. არსებობს ინტერნეტის მრავალი საძიებო მეთოდი, რაც სხვებს აძლევს შესაძლებლობას, დაინახონ ამ პირის ქცევა კიბერსივრცეში და ადვილად მოიპოვონ მასზე ინფორმაცია. ამასთან, ბევრი დამსაქმებელი საკუთარ თანამშრომლებს სთავაზობს ინტერნეტ-მომსახურებასა და უქმნის ელექტრონულ ფოსტას. როდესაც ადამიანი გებგერდს ესტუმრება, ყიდულობს რაიმეს ან

<sup>488</sup> აღნიშნულზე იხ. N. Serirak, Towards Personal Data Protection: A Proposed Model for the Development of ‘Right to Know’ in Thailand, Thammasat Review, გვ. 127-128, <[http://www.thammasatreview.tu.ac.th/tu\\_doc/2006-Volume11-No1/5\[1\].pdf](http://www.thammasatreview.tu.ac.th/tu_doc/2006-Volume11-No1/5[1].pdf)> [10.12.10 10:34]

<sup>489</sup> იქვე, გვ. 133, 134-135

<sup>490</sup> იხ. აზრის გამოხატვის თავისუფლება ადამიანის უფლებათა ეპროპული კონვენციის სამართალში, შეადგინა და კომენტარი დაურთო ე. გოცირიძემ, თბ., „სტამბა ქართული ფილმი“, 2006, გვ. 9

<sup>491</sup> იხ. ქ. მუხაი, დასახ. ნაშრომი, გვ. 17, 23

აგზავნის ელექტრონული ფოსტით, ანკეტური მონაცემების უმეტესობა რეგისტრირდება. ეს ზრდის ინტერნეტში ადამიანის კერძო ცხოვრების იზოლირების ტენდენციას.<sup>492</sup> ამდენად, 1990-იანი წლების შუალედში მრავალმა მოვლენამ კერძო ცხოვრების გარშემო ახალი საკითხი წამოჭრა: ახალი ტექნოლოგიების ჩქარი ზრდა; უფროდაუფრო აგრესიული (სკანდალური) ამბების გავრცელება პრესის მეშვებოთ; იდენტურობის ქურდობის ზრდა...<sup>493</sup>

ამასთან, ორგანიზაციების საქმიანობა უკავშირდება მომხმარებელთა ნდობის მოპოვებას, ანკეტური მონაცემების დაცვას ქურდობის რისკისაგან და სხვა.<sup>494</sup> ორგანიზაცია უნდა იცავდეს პირადი ინფორმაციის განსაზღვრულ წრეს: ფინანსურ მონაცემებს, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ და ფარმაცევტულ ინფორმაციას.<sup>495</sup> კომპანიის თანამშრომლები თუ ნებაყოფლობით ამყარებენ კავშირს ელექტრონული ფოსტით, რომელიც კომპანიის საკუთრებაშია, კერძო სფეროში ჩარევა მიიჩნევა დარღვევად, თუ ის არსებითი და ძალიან შეურაცხმყოფელია ჩვეულებრივი გონიერი ადამიანის-თვის.<sup>496</sup> ასევე კომპანიებს აქვს განსაზღვრული მოვალეობები ინვესტორების, საქმიანი პარტნიორების, კლიენტებისა და მომსახურე პირთა მიმართ, მათ შორის ინფორმაციის საიდუმლოებისა და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა სხვადასხვა მეთოდით, თუნდაც თვალთვალით.<sup>497</sup> აქ მთავარია, რომ ზიანი არ დადგეს, წინააღმდეგ შემთხვევაში დადგება ქართული დელიქტური სამართლით დადგენილი შედეგები (სსკ-ის 992-1008-ე მუხლები).

ამდენად, პირადი სფეროს დაცვა და პრესის თავისუფლება თავისუფალი საზოგადოებისთვის თანაბარწილად კონსტიტუციური მნიშვნელობისაა. მხოლოდ ინგლისში იყო დღემდე სასამართლო პრაქტიკის მიერ პირადი სფეროს პატივისცემის უფლება უარყოფილი. აზრის თავისუფლება ბრიტანული და გერმანული სამართლის სისტემაში, როგორც ადამიანის უფლებათა ეკროპულ კონვენციაში, ცენტრალურ როლს თამაშობს.<sup>498</sup> ამდენად, როგორიცაა ბალანსის შენარჩუნება კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობასა და თავისუფალ მედიას შორის.<sup>499</sup>

<sup>492</sup> ი. დო. Deborah M. McTigue, Marginalizing Individual Privacy on the Internet, Boston University Journal of Science & Technology Law, June 1, 1999, გვ. 1-2; <<http://www.bu.edu/law/central/jd/organizations/journals/scitech/volume5/5bujsl5.pdf>> [07.09.10 21:00]

<sup>493</sup> ი. ფრედ ფ. ქეითი, დასახ. ნაშრომი, გვ. 5

<sup>494</sup> ი. Privacy and Data Protection: Mitigating the Risks of Information Exposure, A Technical White Paper, July 2004, გვ. 4, 5

<sup>495</sup> დარღვევის ყველაზე ხშირი ტიპი იყო იდენტობის ქურდობა. უკანასკნელი 5 წლის მანძილზე 27 მდნ-ზე მეტი ამერიკელი გახდა იდენტურობის ქურდობის შსხვერპლი, მათ შორის ბოლო წელს 9,9 მლნ. ადამიანი. ამასთან, ევროსაბჭოს დირექტივა მონაცემთა დაცვის შესახებ, რომელიც ადგენს წესებს, რომლებიც ანკეტური მონაცემების ყველა ტიპის დამუშავებას ეხება. ი. Privacy and Data Protection: Mitigating the Risks of Information Exposure, A Technical White Paper, July 2004, გვ. 1, 2, 9

<sup>496</sup> ი. B. Smyth v. Pillsbury Co., 1996 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება, აღნიშნულზე ი. დებორა ქ. მაქოვკ, დასახ. ნაშრომი, გვ. 12-14

<sup>497</sup> ი. გ. ლეიიბი, დასახ. ნაშრომი, გვ. 3-4

<sup>498</sup> ი. ჰ. მუნკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 17

<sup>499</sup> ი. ბ. ბურჯაძე, გამოხატვის თავისუფლების საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება, უკრნალი „მართლმაჯულება“, 2008, №1, გვ. 142

მოცემული გაგებით მნიშვნელოვანია მედიის თვითრეგულირების მექანიზმი, რაც გარკვეული ვალდებულებებისა და წესების დაცვით დააბალანსებს ინტერესთა შორის კონფლიქტს. პოზიტიურია, როცა პრესას არ შეუძლია კონვენციის მე-8 მუხლის ხელყოფის დროს დაიმოწმოს, რომ „ობიექტური და კორექტული“ იყო; ამ სახის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესაძლებლობა ევროკონვენციის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარეობს.<sup>500</sup> საქართველოში ამ თვალსაზრისით მოქმედებს მაუწყებელთა ქცევის კოდექსი. მასში დასაწყისშივე განმარტებულია კერძო ცხოვრების ლეგიტიმური მოლოდინი, როგორც პირის მოლოდინი, მოეპურან მას აღიარებული და დამკვიდრებული პრაქტიკის ან წესების შესაბამისად. თუმცა იქვე ხაზგასმაა, რომ შეიძლება გარკვეულმა კერძო ქმედებამ წამოჭრას საკითხები, რომლებიც ლეგიტიმურ საზოგადოებრივ ინტერესს ეხება (მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-5 მუხლის „o“ პუნქტი). ამასთან, მაუწყებლის მოვალეობას წარმოადგენს ბალანსის დაცვა ინფორმაციის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ლეგიტიმურ მოლოდინს შორის (ამავე კოდექსის 34-ე მუხლი). ზოგ შემთხვევაში როულია იმის დადგენა, არსებობს თუ არა იმ ხარისხის საზოგადოებრივი ინტერესი, რომ კერძო ცხოვრების შესახებ გარკვეული ცნობები გავრცელდეს. ამასთან, განსასაზღვრია, თუ როდის შეიძლება საზოგადოებრივ ინტერესით გამართლებული იყოს გამოქვეყნება. მიზანშეწონილია, ინფორმაციის გავრცელების ლეგიტიმაციის საკითხი საფუძვლიანი მსჯელობის საგანი იყოს და არ მოხდეს კერძო სფეროს უხეში ხელყოფა. მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 36-ე მუხლის 1-ლ ნაწილში ასევე დაცულია სხეულებრივი პირადი ცხოვრება: არაა მიზანშეწონილი დაზარალებულის, გვამის ან დასახიჩრებული სხეულის, სისხლისა და სხვა მსგავსი სცენების ჩვენება მნიშვნელოვანი სარედაქციო დასაბუთოების გარეშე. მათი გადადება უნდა მოხდეს ისეთი მანძილიდან, რომ შეუძლებელი იყოს დაზარალებულის იდენტიფირება.<sup>501</sup> აღნიშნული გარდაცვალების პირადულ ხასიათს გამოკვეთს.<sup>502</sup>

გერმანიაში არსებობს თვითრეგულირების ნებაყოფლობითი ინსტანცია – პრესის საბჭო,<sup>503</sup> რომელიც იყენებს პრესის კოდექსს. ეს წესები პუბლიკაციური სამუშაოსთვის დირექტივების საშუალებით გერმანული პრესის საბჭოს მიხედვით კონკრეტიზირდება.<sup>504</sup> ასევე ინგლისში არსებობს პრესის

<sup>500</sup> იხ. პ. მუნკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 102

<sup>501</sup> აღნიშნული კოდექსი შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტ-გვერდზე: <[http://www.gncc.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=110&info\\_id=6986](http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=110&info_id=6986)> [20.04.11 15:50]. აქაც

აღრეულია ტერმინები „პირადი ცხოვრება“ და „კერძო ცხოვრება“.

<sup>502</sup> იხ. C. Calvert, The Privacy of Death: An Emergent Jurisprudence and Legal Rebuttal to Media Exploitation and a Voyeuristic Culture, 26 Loyla of Los Angeles Entertainment L. Rev., 2006, გვ. 133-163

<sup>503</sup> შემდგ. და რედაქტ. ო. კინწურაშვილი, მედიის თვითრეგულირების ქრესტომათია (თარგმნა მ. თაბაგარმა და სხვებმა), თბ., თავისუფლების ინსტიტუტი, 2004, გვ. 81

<sup>504</sup> გერმანული პრესის საბჭოს პრესის კოდექსის მე-4 და მე-8 მუხლები ემსახურება პირადი სფეროს დაცვას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრინციპი – პატივი ეცი „ადამიანების პირად ცხოვრებასა და ინტიმურ სფეროს“ პრესის საშუალებით (ამ კოდექსის მე-8 მუხლი). სხეულებრივი და ფსიქიკური დაავადება ადამიანების საიდუმლო სფეროში შედის (დირექტივა 8.3). საჯარო ინტერესის არსებობისას პირადი ქცევის განხილვა გამართლებულია. იხ. პ. მუნკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 186, 188. ფიზიკური და გონებრივი დაავადებები და დაზიანებები პიროვნების ცხოვრების კონფიდენციალური მხარეა. ამასთან,

საჩივრების კომისია, რომელიც მუშაობს საჩივრებზე, რომლებშიც გამოთქმულია რაიმე სახის პრეტენზია ურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მასალების შინაარსის თაობაზე. ეს კომისია ხელმძღვანელობს პრაქტიკის კოდექსით.<sup>505</sup> სწორედ ამ კოდექსის მე-3, მე-5, მე-6, მე-7, მე-10 და მე-12 მუხლები პირადი სფეროს დაცვას ეძღვნება. სკოლის მოსწავლეების შესახებ ფოტორეპორტაჟების ან რეპორტაჟების გაკეთება შეიძლება ძირითადად მხოლოდ აღზრდაზე უფლებამოსილი პირების თანხმობით მოხდეს. არასრულწლოვნების პირადი ცხოვრების შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია არ შეიძლება მშობელთა ცნობადობის გზით გამართლებულ იქნეს (მე-6 პუნქტი, ციფრი)...<sup>506</sup>

როგორც ჩანს, ხშირად ერთი „თავისუფლება ეჯახება სხვა მრავალ თავისუფლებას და სახელმწიფოს ფუნქციონირების“<sup>507</sup> ამ თვალსაზრისით აღანიშნავია აზრის გამოხატვის თავისუფლება, რომელსაც, ერთი მხრივ, დემოკრატიული პროცესის ფუნქციონირებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, მეორე მხრივ, სხვა ინტერესებში ენერგიული შეჭრის უნარის გამო, გაცილებით უფრო პრობლემურია სამართლიანი ბალანსის მიღწევა ამ უფლების სხვა ღირებულებებთან დაპირისპირებისას.<sup>508</sup> ამასთან, ადამიანის ღირსება არ შეიძლება იქცეს სახელმწიფოსა თუ საზოგადოების მოთხოვნის საგნად.<sup>509</sup>

თუმცა ზოგჯერ არის შემთხვევები, როცა აზრის გამოხატვა პრიორიტეტულია რეპუტაციის დაცვასთან შედარებით, მაგრამ აღნიშნული ყოველთვის არაა გამართლებული, ზოგჯერ კი მას შეიძლება ჰქონდეს ობიექტური გამართლება. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, ამ თავისუფლების განხორციელება რადგან მოიცავს ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, უნდა დაექვემდებაროს კანონით დადგენილ პირობებს, შეზღუდვებს. ეს შეზღუდვები უნდა იყოს აუცილებელი და მოკრატიულ საზოგადოებაში გარკვეული საჯარო ინტერესების დასაცავად, რათა პირად სფეროში ჩარევა იყოს მართლზომიერი. ეს ინტერესებია ეროვნული უსაფრთხოება, ტერიტორიული მთლიანობა ან საზოგადოებრივი წესრიგი, უწესრიგობისა და დანაშაულის აღკვეთა, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამქდაგნების თავიდან აცილება ან სასამართლოს ხელისუფლებისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნება.<sup>510</sup> ცხადია, ეს კონ-

ნებისმიერ პირს, ცნობად სახეებსაც კი, სიცოცხლეში და გარდაცვალების შემდეგაც იცავს კანონი ისეთი ფაქტების გახმაურებისაგან, რომლებიც მის დისკრედიტაციას იწვევს. იხ. შემდგ. და რედაქტ. თ. კინწურაშვილი, მედიის თვითრეგულირების ქრესტომათია, გვ. 96

<sup>505</sup> იხ. შემდგ. და რედაქტ. თ. კინწურაშვილი, მედიის თვითრეგულირების ქრესტომათია, გვ. 103

<sup>506</sup> იხ. პ. მუხრანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 189, 77

<sup>507</sup> ა. შაიორ, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მეცნიერული რედაქციი და წინათქმა თ. ნინიძისა, თბ., აირის საქართველო, 2003, გვ. 309

<sup>508</sup> იხ. აზრის გამოხატვის თავისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართლში, შეადგინა და კომენტარი დაურთო კ. გოგირიძემ, გვ. 9-10

<sup>509</sup> იხ. ი. თაბორიძე, ბუნებითი სამართლის როლი ადამიანის ღირსების გაგების ჩამოყალიბებაში, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 2004, სპეც. გამოცემა, გვ. 105

<sup>510</sup> იხ. იურისტის ბიბლიოთეკა, საერთაშორისო ხელშეკრულებები, პაქტები, კონვენციები, თბ., 2005, გვ. 9

ფლიქტები განსაზღვრულ ფარგლებში გადაწყვეტას საჭიროებს, კონკრეტული ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე.

აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალური გახდა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მიღებით, ვინაიდან ამით შეიქმნა საფრთხე იმისა, რომ ქართული სამოქალაქო სამართლი დაშორებოდა გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიღვოძას. საქმე ისაა, რომ სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი პირს ანიჭებდა უფლებას, მოეთხოვა იმ ცნობების საჯაროდ უარყოფა, რომელიც ლახავს პატივს, დირსებასა თუ საქმიან რეპუტაციას. ეს მუხლი განსაზღვრავდა, რომ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ადეკვატური ფარგლების დაღვენა მიიღწევა სსკ-ის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ უფლების დაცვის ფორმებით. ამდენად, სსკ-ის მე-18 მუხლის მითითება „სინამდვილებთან შეუსაბამობის დამტკიცების შესახებ“, თავის მხრივ, ფაქტებზე მსჯელობას ეხება, რაც განსხვავდება შეფასებისაგან. ნამდვილობა შეიძლება დამტკიცდეს მხოლოდ ფაქტებთან დაკავშირებით, აზრი კი მტკიცებას არ ექვემდებარება. შესაბამისად, ამ ორი კომპონენტის (ფაქტისა და აზრის) გონივრული გამიჯვნა არის სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის მართებულად გამოყენების წინაპირობა. თუმცა საერთო სასამართლომ უნდა დაადგინოს არა მხოლოდ ნამდვილობა, არამედ შეაფასოს გავრცელებული ცნობების ხასიათი და გადაწყვიტოს, ხელყოფს თუ არა აღნიშნული ცნობები კონსტიტუციით დაცულ უფლებებს. არადა გერმანიაში აღიარებულია, რომ პიროვნული უფლებების დაცვა გაცილებით რელევანტურია, ვიდრე ინფორმაციის თავისუფლება, თუ საქმე ეხება ცრუ ან დაუდასტურებელი ფაქტების მტკიცებას. აღნიშნული კი უახლოვდება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს მიღვოძას. ამდენად, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ერთადერთ კანონიერ მიზნად უნდა ჩაითვალოს სხვათა უფლებების დაცვა.<sup>511</sup> სსკ-ში 2004 წლის საკანონმდებლო ცვლილებამ დირსებისა თუ სხვა სიკეთეთა კონსტიტუციური დაცვის ხარისხის შესუსტების საფრთხე გააჩინა.

ამასთან, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონმა“ შემოიღო ტერმინები „კვალიფიციური და აბსოლუტური პრივილეგიები.“ აბსოლუტურ პრივილეგიაში მოიაზრება კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან პირის სრული და უპირობო განთავისუფლება, ხოლო კვალიფიციურ პრივილეგიად ითვლება კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის ნაწილობრივი ან პირობითი განთავისუფლება. თუმცა პირმა შეიძლება დაკარგოს პრივილეგია ბრალეული ქმედების ჩადენისთვის სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით, თუ ეს აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად („სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „ქ“ და „ლ“ პუნქტები). ამასთან, აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით.<sup>512</sup> თუმცა მოცემული კანონის მე-7 მუხლით დადგენილია, რომ ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ნების-

<sup>511</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს (მე-2 კოლეგია) 2004 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება (საქმე №2/1/241).

<sup>512</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის განჩინება (საქმე №ას-1278-1298-2011).

მიერი შეზღუდვა უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს. კანონით დადგენილი წესით დაუდასტურებელი ეჭვი უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ.<sup>513</sup>

როგორც ჩანს, ინტერესთა დაბალანსება მეტად რთული საქმეა. აქ აუცილებელია მაქსიმალურად ზუსტად იყოს კანონის ტექსტი ინტერპრეტირებული და პრაქტიკაშიც სწორად გამოყენებული, ვინაიდან არ შეიქმნას მახინჯი პრაქტიკა, რასაც გამოყენებენ შემდგომ სხვა გადაწყვეტილებათა საფუძვლად. ამ გაგებით საგულისხმოა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის პრაქტიკული გამოყენების ტენდენციები. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განსაზღვრა, რომ მოცემული კანონი განიმარტება საქართველოს კონსტიტუციის მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად. დადგინდა, რომ პრესის გზით გავრცელებული ინფორმაცია შეიძლება სხვა პირთა უფლებებისა და მათი რეპუტაციის შელახვის რისკს შეიცავდეს. გავრცელებული ინფორმაცია შეიძლება იყოს შეურაცხმყოფელი ან შემაშფოთებელი, მაგრამ ამ უფლების დაცვა აუცილებელი იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით დადგენილი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მოცემულ შემთხვევაში „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“ უნდა განიხილებოდეს, როგორც „დასაშვები კრიტიკა.“ აქ გადამწყვეტია, თუ რას ისახავდა მიზნად სტატით გავრცელებული ინფორმაცია და რამდენად არსებობდა ამ ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიღების აუცილებლობა. საზოგადოებრივი ინტერესების უზრუნველსაყოფად თუ სტატიაში მოცემული ინფორმაცია საზოგადოების ინტერესის საგანია და საზოგადოებრივი დებატების ნაწილს წარმოადგენს, უნდა მიეთითოს სტატიის მიზანი – საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილება. ამას თავის-თავად შეიძლება შეეწიროს კონკრეტული პირის რეპუტაცია.<sup>514</sup>

თუ აღნიშვნულს გავითვალისწინებო, მაშინ ერთი შეხედვით შეიძლება გაჩნდეს აზრი, რომ კანონმა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ პატივისა და ლირსების დაცვის ხარისხი გაცილებით ქვემოთ დასწია, ვიდრე ეს კონსტიტუციით შეიძლებოდა ყოფილიყო ნაგულისხმევი.<sup>515</sup>

თუმცა მხედველობის არედან არ უნდა გამოგვრჩეს რამდენიმე უმნიშვნელოვანესი გარემოება: ა) ეს კანონი უნდა განიმარტოს ასქ: უპირველეს ყოვლისა, ლირსების დაცვის შესახებ საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი წესები უნდა გამოყენებოდეს და თუ ლირსების დაცვის უკეთეს პირობებს ითვალისწინებს საერთაშორისო აქტები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, მაშინ ისინი უნდა ასრულებდეს სუბსიდიურ და შემავსებელ ფუნქციას. საქართველოს კონსტიტუციის მე-19

<sup>513</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე №207-194-2011)

<sup>514</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის განჩინება (№ას-1174-1319-08)

<sup>515</sup> იხ. გ. გოცირიძე, „აზრის გამოხატვის თავისუფლება და რეპუტაციის უფლება“ (დირექტორითი კონფლიქტის დილექტი), გვ. 28-29

მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, დასაშვებია აზრის თავისუფლების შეზღუდვა სხვათა უფლების ხელყოფის შემთხვევაში. ამდენად, იქრარქიულად უფრო მაღლა მდგომი სამართლის წყარო უნდა იყოს გამოყენებული მოცემული უზუსტობის განსამარტად; ბ) ამასთან, თუ ღირსება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით მაღალი ხარისხით, მაშინ კანონიც მის განმტკიცებას უნდა ისახავდეს მიზნად, წინადმდგრ შემთხვევაში კონსტიტუციის მნიშვნელობა ძალას დაკარგავდა; გ) ასევე საქართველოს კონსტიტუცია ადგენს ღირებულებათა განსაზღვრულ წესრიგს, რომელიც გარკვეულწილად იქრარქიულ ხასიათს ატარებს და ღირსება სიცოცხლის გვერდით დგას. ხშირად დაობენ კიდეც, თუ რომელი მათგანია უპირველესი, საფუძველთასაფუძველი; გერმანული პრაქტიკით ადამიანის ღირსება კველა სხვა ძირითადი უფლების ლიბოა, აზრის გამოხატვის თავისუფლებამ კი ყოველთვის უნდა დაიხიოს ღირსების შელახვისას. საქართველოს კონსტიტუცია კი განსაზღვრავს ღირსების ხელშეუვალობას და სხვა დათქმას შეზღუდვის თაობაზე არ შეიცავს. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილიც პირიქით, აძლიერებს 1-ლი ნაწილის შინაარსს და მიუთითებს „პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობის“ დაუშვებლობაზე.<sup>516</sup> ამასთან, კანონმდებელი არ უნდა დაუპირისპირდეს ადიარებულ ზეობრივ ფასეულობებს. საგულისხმოა ისიც, რომ არ უნდა მოხდეს კონსტიტუციასა და სამართლებრივ სისტემას შორის გაუცხოება. ამიტომ მნიშვნელოვანია მოქმედი კანონმდებლობა იყოს კონსტიტუციით აღიარებულ ღირებულებებთან შესაბამისობაში.<sup>517</sup> ამდენად, მიზანშეწონილია, აზრის თავისუფლებისთვის მეტისმეტმა პრიორიტეტმა არ შექმნას კერძო ცხოვრების ხელყოფის საფრთხე. ინტერესთა დაუბალანსებლობამ შეიძლება შელახოს პირადი სფერო და გამოიწვიოს ზიანი. ზიანის მიყენების შემთხვევაში უმნიშვნელოვანებია დელიქტური სამართლის ნორმებით სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის მექანიზმის გამოყენება (სსკის 992-ე მუხლი).

აქ საგულისხმოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელშიც განიმარტა, რომ ერთ-ერთი გარანტირებული ფასეულობა, რომლის დაცვის მიზნითაც სახელმწიფოს შეუძლია შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება, არის პიროვნების რეპუტაცია. რეპუტაციაში კი მოიაზრება პიროვნების პატივი და ღირსება.<sup>518</sup> საყურადღებოა ისიც, რომ გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით ადამიანის ღირსებას ქველა სხვა ძირითადი უფლების საფუძვლად მიიჩნევს და აღიარებს, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლებამ ყოველთვის უკან უნდა დაიხიოს, თუ შეხედულებით შელახულია ადამიანის ღირსება.<sup>519</sup> ლუკაიდისის აზრით, რეპუტაციის უფლების საზიანოდ აზრის გამოხატვის თავისუფლების გადამეტებით დაცვა განპირობებულია იმით, რომ რეპუტაციის უფლება არაა კონვენციით

516 σιζη

<sup>517</sup> აღნიშვნელის შესახებ იხ. ბ. ზორავა, საკონსტიტუციო კონტროლი და დირექტულებათა წესრიგი საქართველოში, გვ. 139, 160-161

518 საქართველოს უზენაგესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეცნიერო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 1 დეკემბრის განჩინება (საქმე №ას-448-775-05)

<sup>519</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. კ. გუბლაშვილი, აზრის თავისუფლება – ადამიანის უმნიშვნელოვანების ძირითადი უფლებაა, კრებულში: „ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართლები“, თბ., საია, 2002, გვ. 124-126

გარანტირებული ცალკე უფლება. თუმცა რეპუტაციის დაცვის უფლება მხოლოდ მაშინაა მოცული კონვენციის მე-8 მუხლით, თუ რეპუტაციის შელახვა უკავშირდება კერძო და საოჯახო ცხოვრების სფეროს. აღნიშნულს ხშირად შეიძლებოდა გამოეწვია ინდივიდის დირსებისა და რეპუტაციის დაცვის კანონიერი მოთხოვნის ნეიტრალიზება.<sup>520</sup> ამდენად, სწორედ ამ ორ ელემენტს შორის კავშირის შემთხვევაში ხორციელდება რეპუტაციის დაცვა.

სპეციფიკურია მოსამართლის რეპუტაციის დაცვა, რადგან პიროვნული რეპუტაციის შელახვა იმავდროულად მართლმსაჯულების ავტორიტეტსაც შეიძლება აუქნებდეს ზიანს. რაც შეეხება საჯარო პირებს, აზრის გამოხატვის თავისუფლებას აქვს აშკარა პრიორიტეტი რეპუტაციის დაცულობის უფლებასთან შედარებით. ერთადერთი გამოხატვისია, თუ ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ დიფამაციური განცხადება მათი კერძო ცხოვრების უვალაზე უფრო ინტიმურ ასპექტს შეეხება. ამიტომ წინასწარი მომგებიანი მდგომარეობა, რომელიც მოპასუხეს შეექმნა ქართული კანონის საფუძველზე მტკიცების ტვირთის მოსარჩევეზე დაკისრებით, შეესაბამება აზრის გამოხატვის თავისუფლებისთვის პრიორიტეტის მინიჭების აუცილებლობას და ემსახურება კიდევაც მის უზრუნველყოფას.<sup>521</sup> საქართველოს უზენაესმა სასამართლომ „ლინგენის აგენტის წინააღმდეგ“ საქმეზე დაყრდნობით განმარტა, რომ საჯარო პირებმა დასაშვებ ზღვარზე მეტი კრიტიკა უნდა ითმინონ, თუ ეს კრიტიკა უხეშად არ ხელყოფს მათ პატივს, დირსებას, პირად ცხოვრებასა და ხელშეუხებლობას.<sup>522</sup>

ამასთან, პირადი სფერო შეიძლება მჭიდროდ დაუკავშირდეს შემოქმედების თავისუფლებას. თუმცა პიროვნული უფლებების დარღვევა კი ავტორის მიერ არ შეიძლება გამართლდეს ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლების დაცვის საფუძვლით. ნაწარმოები უნდა აკმაყოფილებდეს ჰუმანურობის, ზნეობრიობისა და სამართლიანობის მოთხოვნებს, ხოლო აღნიშნულ პრინციპებთან შეუსაბამობისას ავტორის თანხმობით უნდა შევიდეს მასში ცვლილება ან საერთოდ მოხდეს მისი გავრცელების აკრძალვა. ყველა, ვინც სარგებლობს გამოხატვის თავისუფლებით, ვალდებულებებსაც უნდა ასრულებდეს, რომ არ ხელყოს სხვისი პატივი და დირსება.

სამართლებრივ დირექტულებათა კოლიზიის გადაწყვეტასთან დაკავშირებით არსებობს მოსაზრება, რომ როგორც ინფორმაციის თავისუფლებას, ისე კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობას ჰყავს თავისი მტერი და მოყვარე, ამ ორ ინტერესს შორის არჩევანი არ უნდა გაკეთდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვკარგავთ კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობაზე უფლებას.<sup>523</sup> არ

<sup>520</sup> იხ. Loukas G.Loucaides, „Freedom of Expression and the Right of Reputation“. MELANGES oggerts a` silio Marcus Helmons, Bruxelles, 2003, 200. ციტირებულია: ქ. გოცირიძე, გამოხატვის თავისუფლება დირექტულებათა კონფლიქტში (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრატეგიის სასამართლოს იურისპუდიციის მიხედვით), თბ., „ჯიხაი“, 2008, გვ. 363-364

<sup>521</sup> იხ. ქ. გოცირიძე, „აზრის გამოხატვის თავისუფლება და რეპუტაციის უფლება“ (დირექტულებითი კონფლიქტის დილექტი), „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2005, №3, გვ. 21, 24, 25

<sup>522</sup> იხ. საქართველოს უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 14 ივნისის განჩინება (საქმე №ას-1106-352-05)

<sup>523</sup> იხ. Neil M. Richards, Reconciling Data Privacy and the first Amendment, 51 UCLA Law Review 1149, 2005, გვ. 1220 <<http://law.wustl.edu/Faculty/documents/richards/NRichardsreconcilingdatapriv.pdf>> [07.09.10 20:43]

შეიძლება ერთი სამართლებრივი სიკეთის დაცვით შეიძლახოს სხვა სა-მართლებრივი სიკეთე<sup>524</sup> საგულისხმოა, რომ „წესრიგი კი კერძო და საჯარო ინტერესების მშვიდობიანად და გვერდიგვერდ არსებობის განცდაა.“ „არ შეიძლება კანონმდებელმა გადაუხვიოს საყოველთაოდ აღიარებულ იმ ელემენტარულ დირექტულებებს, რომლებიც ყველაზე დაბალი მართლშეგნების ადამიანისთვის ბუნებრივია. კანონმდებელი იმავდროულად ხელს უნდა უწყობდეს ხალხის მართლშეგნების განვითარებას.“<sup>525</sup> ფაქტობრივად პირითადი უფლებების დაცვა შეუძლებელია, თუ არ არსებობს უფლებათა საერთო წესრიგი. ნებისმიერი წესრიგი საერთო კონსტიტუციური წესრიგის გამოხატულებას უნდა წარმოადგენდეს და სამართლით აღიარებულ ფასეულობებზე უნდა აიგოს. უფლების დაცვაც სამართლებრივი წესრიგის ფარგლებში უნდა მოთავსდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი უფლებები არც კი შეიძლება უფლებებად ჩაითვალოს.<sup>526</sup> შესაბამისად, პირითადი ცხოვრების დაცვის უფლებაც საერთო წესრიგის ნაწილს წარმოადგენს.

საყურადღებოა, რომ პირითადი სფერო ერთ-ერთი ყველაზე უფრო ხელშეუხებელია. რეპუბლიკის უფლებაც ისარგებლებს დაცვის იმ მაღალი სტანდარტით, რომელიც კონვენციის მე-8 მუხლთან დაკავშირებით გამოიყენება, განსაკუთრებით თუ დიფამაციური განცხადება ინტიმურ სფეროს შეეხება. ამ შემთხვევაში უკან უნდა დაიხიოს აზრის გამოხატვის თავისუფლებამ, ვინაიდან საჯარო ინტერესი ნაკლებ რელევანტურია (მით უფრო, თუ საქმე კერძო პირს შეეხება) კერძო ინტერესთან შედარებით.<sup>527</sup>

საერთოდ, თავისუფლება ზღვარდებულია პასუხისმგებლობით, კანონის დანაწესებით, ზოგადად გარკვეული შეზღუდვებით. თუ თავისუფლება ამ ფარგლებს არღვევს, ის თავისუფლებაც არაა. შეუზღუდავი თავისუფლება, რომელიც პირითად ცხოვრებას ხელყოფს, ქმნის არა ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევას, არამედ ლახავს პირითად სფეროს.<sup>528</sup> ერთი პირის კერძო ავტონომია შეიძლება გახდეს მეორის კერძო ავტონომიის მნიშვნელოვანი შეზღუდვა, ასევე სხვისი თავისუფლება შეიძლება შეზღუდოს საზოგადოებრივი სტანდარტებისა და საჯარო ინტერესების საფუძველზე.<sup>529</sup>

ამდენად, საქმე ეხება რა სამართლებრივ დირექტულებებს შორის ჭიდილს, აუცილებელია დირექტულების არსის გარკვევა. დირექტულება

<sup>524</sup> ადნიშნულის შესახებ იხ. ო. ბექუმშვილი, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2007, №2/3, გვ. 69

<sup>525</sup> ბ. ზოდე, მოძღვრება საკანონმდებლო კულტურის შესახებ, „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2006, №1, გვ. 43, 45

<sup>526</sup> იხ. ბ. ზოდე, საკონსტიტუციო კონტროლი და დირექტულებათა წესრიგი საქართველოში, თბ., GTZ, 2007, გვ. 45; ადნიშნულზე იხ. ბ. ზოდე, სამართლებრივი წესრიგისა და სამართლებრივი უსაფრთხოების შესახებ, „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2006, №3, გვ. 82-83

<sup>527</sup> იხ. გ. გოცირიძე, აზრის გამოხატვის თავისუფლება და რეპუბლიკის უფლება (დირექტულებითი კონფლიქტის დილექტი), გვ. 18

<sup>528</sup> განხოგადებულ ინტერპრეტაციას უარყოფითი შედეგი მოჰყვება, თუ საქმე პიროვნული უფლებების დაცვის სხვა შეზღუდვებს ეხება, მათ შორის წესები, რომლებმაც უნდა დაიცვას კერძო და ინტიმური სფეროები; იხინი ასევე ქმნის აზრის თავისუფლების შეზღუდვას. იხ. Fr. Kübler, Ehrenschutz, Selbstbestimmung und Demokratie, NJW, 52. Jahrgang, 1. Halbband, 1999, გვ. 1285

<sup>529</sup> ადნიშნულის თაობაზე იხ. Christoph G. Paulus, W. Zenker, Grenzen der Privatautonomie, Jus, 41. Jahrgang, 2001, Heft 1, გვ. 2, 4

იდეალია, რომლის საფუძველზეც რაიმე ფასდება. ამ გაგებით კი ღირებულება ჯერარსულია ანუ იგი ჯერ არაა განხორციელებული. ღირებულებაა ის, რაც უნდა იყოს, როგორც იდეალური, რომელიც რეალურში ყოფნის დირსია. ამდენად, ლოგიკურად სამართლებრივი ღირებულებაც, როგორც ქცევის განსაზღვრული წესი, სამართლის ნორმის ფორმაში არსებობს. სამართლებრივი ღირებულება კი იერარქიული ბუნებისაა. იგულისხმება საზოგადოდ ღირებულებათა წესრიგი. ღირებულებათა იერარქია ვლინდება სამართლის დარგებად დაყოფის პრინციპებშიც. სამართლის დარგებად კლასიფიკაციაც სამართლებრივ ღირებულებათა გადანაწილების აქსიოლოგიური კანონის გამოხატულებაა.<sup>530</sup> ესაა ობიექტური კანონზომიერება. ამდენად, სწორედ სამართლის ნორმებში გამოხატული ღირებულებები უნდა დაუპირისპირდეს ერთმანეთს და როგორც სპეციალურ და ზოგად ნორმათა კოლიზიისას ხდება სპეციალური ნორმით ხელმძღვანელობა, ისევე უნდა იყოს სამართლებრივი ღირებულებების კოლიზია განხილული.

შესაბამისად, მიზანშეწონილია, გარკვეული ნიშნის მიხედვით ღირებულებათა დალაგება (მაგალითად, პიროვნების ავტონომიურობის კრიტერიუმით). ეს ნიშანი დააკავშირებდა დღესდღეობით ერთმანეთისაგან მოწყვეტით სხვადასხვა მუხლში განთავსებულ კერძო ცხოვრების დაცვის უფლებასა და პიროვნების განვითარების თავისუფლებას. ეს გამოკვეთდა, რომ პირადი ცხოვრების უფლების რეალიზება დამოკიდებულია პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების განხორციელების ხარისხზე. ასევე კერძო ცხოვრების დაცვის უფლება განსაკუთრებული სამართლებრივი ბუნებისაა და მისი როლია, მოქმედებული სხვა პიროვნულ უფლებას, რომლის ხელყოფითაც იქმნება თვით პირადი სფეროს დაუცველობის საშიშროება. შესაბამისად, კონკრეტული პიროვნული უფლების შედახვასა და პირადი ცხოვრების უფლებას შორის კავშირის არსებობისას პირადი ცხოვრების უფლება საკუთარ თავზე იდებს ამ უფლების დაცვასაც.

სწორედ ინტერესთა დაუბალანსებლობას ეხება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი საქმე, რომელიც შემდგომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განხჯის საგანი გახდა. საქართველოში მოცემულ შემთხვევაში განიხილებოდა პატივისა და ღირსების შელახვა, თუმცა სარჩელი არ დაკმაყოფილებულა. ეს საქმე გაგრძელდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, სადაც გამოკვეთა პირადი სფეროს ხელყოფა, საჯარო და კერძო ინტერესთა დაუბალანსებლობა. დადგინდა, რომ არ იყო რაიმე, რაც ახსნიდა საზოგადოებრივ ინტერესს, რისთვისაც გაზეოთმა გადაწყვიტა სურათების გამოქვეყნება; სურათს არ ჰქონდა ინფორმაციული მნიშვნელობა და სურათი განკუთვნილი იყო მხოლოდ იმისთვის, რომ ეწვენებინა პიროვნება, ვიზუც იყო საუბარი.<sup>531</sup>

ინტერესთა კონფლიქტი მკვეთრად არის წარმოდგენილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, რომელშიც გა-

<sup>530</sup> დაწვრილებით ღირებულების თაობაზე იხ. გ. ნაგებია, სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი, თბ., 2006, გვ. 66-71, 100-101

<sup>531</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს მე-2 სექციის 2006 წლის 17 ოქტომბრის განახენი საქმეზე „გურგენიძე საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადი №71678/01) (საბოლოო 17/01/2007)

ზიარებულია ევროპული სასამართლოს გამოცდილება და გამოყოფილია პროპორციულობის პრინციპის დაცვა უძირითადეს საწყისად. აქ ვერ ხერხდება კოლიზიის თავიდან აცილება, ამიტომ ორი სიკეთიდან (ერთი მხრივ, მამის უფლება, არ ჩაიგაროს ტესტი და, მეორე მხრივ, ბავშვის უფლება, იცოდეს ნამდვილი მამის შესახებ) უნდა მოხდეს ერთის არჩევა. სასამართლომ ჩათვალა, რომ განმცხადებელი (ბავშვი) რამდენიმე წლის მანძილზე სოციალური იდენტიფიცირების გარეშე იყო დატოვებული ანუ მან არ იცოდა, თუ ვინ იყო მისი მამა. აშკარაა ინტერესთა კონფლიქტი, რომელშიც პრიორიტეტი უნდა მიენიჭებინათ ბავშვის უფლებისთვის საკუთარი მამის წარმომავლობის შესახებ. შესაბამისად, დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი პოზიტიური ვალდებულების განუხორციელებლობის გამო. ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლო სწორად აწონ-დაწონა ინტერესები და გამოკვეთა ბავშვის ინტერესის დაცვის პრიორიტეტულობა.<sup>532</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო დაეყრდნო რა „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციას, განმარტა, რომ ოჯახური გარემო შეიძლება მოიცავდეს არა მარტო მშობლების გარემოცვას, არამედ ისეთ გარემოს, სადაც ბავშვი თავს დაცულად და უსაფრთხოდ იგრძნობს. ამასთან, ოჯახურ გარემო უნდა უზრუნველყოფდეს მის, როგორც ინდივიდის, მზაობას, სრულფასოვნად და დამოუკიდებლად, მომზადებულად გრძნობდეს თავს საზოგადოებაში. განისაზღვრა, რომ მშობლისაგან (ამ შემთხვევაში ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების გამო) ბავშვის დაშორება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ეს დაშორება ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარეობს და აუცილებლობითაა გამოწვეული. ბავშვების მამის მკურნალობას ვინაიდან დადებითი შედეგები მოჰყვა, უზენაესი სასამართლოს აზრით, უსაფუძვლოა, რომ მამასთან ბავშვების ცხოვრება სარისკოდ და სახიფათოდ ჩათვალოს. ამიტომ ეს საქმე სიფრთხილით იქნა განხილული და ამ გარემოებების გამოსაკვლევად ხელახლა განსახილველად გადაეგზავნა სააპელაციო სასამართლოს.<sup>533</sup>

## მოქლე დასკვნა

როგორც კვლევამ ცხადყო, საქართველოს კანონმდებლობაში სრულად არა სამართლებრივად დაცული ზოგადად თვითგამორკვევა (თუ თვითგამოსახვა) და სხვა განსაკუთრებით პიროვნული გამოვლინებანი. ისინი რეგულირებულია მორალის ნორმებით. დაცვის სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით ხარვეზების შევსების პროცესში კი გადამწყვეტ როლს თამაშობს ზოგადი პიროვნული უფლება. მართალია, საქართველოს კანონმდებელობა აღიარებს პიროვნულ უფლებათა სიმრავლის თეორიას, მაგრამ მასში გათვალისწინებულია ზოგადი პიროვნული უფლების ესა თუ ის მხარეც. ამასთან, საქართველოს სასამართლო პრაქტიკა ძირითადად ზოგადი პიროვნული

<sup>532</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება (საქმე №ას-4140-2010)

<sup>533</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 ოქტომბრის განხილება (საქმე №ას-669-630-2011)

უფლების დაცვის უნივერსალურ ფორმას ეფუძნება. ამდენად, თუ პიროვნული უფლებები არაა ყოველმხრივ დაცული და არის ახალი პიროვნული უფლებების წარმოშობით სამართლებრივი ნორმები უსაზღვროდ გაზრდის საფრთხე, საქართველომ (და არა მხოლოდ) უნდა ადიაროს ზოგადი პიროვნული უფლება. ეს პრაქტიკული ხარვეზების აღმოფხვრისკენაა მიმართული. ასევე აღსანიშნავია, რომ სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლშიც საკუთარი პიროვნების განვითარების თავისუფლება (საქ. კონსტიტუციის მე-16 მუხლი) ვლინდება, ზოგადი პიროვნული უფლების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის საფუძველია. პიროვნების ყოველმხრივი დაცვის მისადწევად კი განსაკუთრებულია გენერალური დელიქტებიდან გამომდინარე მოთხოვნები, რომლებიც იძლევა კანონით უშუალოდ გაუთვალისწინებელი სიკეთების დაცვის საშუალებას. აღნიშნული უკავშირდება ზოგადი პიროვნული უფლების აღიარებას დელიქტური სამართლის ნორმებისა (სსკ-ის 992-ე და შემდგომი მუხლები) და სსკ-ის მე-18 მუხლის გამოყენებით.

რაც შეეხება ცალკეულ პიროვნულ უფლებას, ზოგადი და განსაკუთრებული პიროვნული უფლებები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ამასთან, ზოგჯერ მათ შორის არსებობს ზოგად და სპეციალურ ნორმებს შორის მიმართება, ზოგჯერ იკვეთება გარკვეული კორელაციაც. ამასთან, ინტერესთა კონფლიქტის დროს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია გარემოებების სიღრმისეულად შესწავლა, ვინაიდან თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურია. შესაბამისად, ინტერესთა კონფლიქტის გადაწყვეტის გზაც შეიძლება სხვადასხვა იყოს. ასევე გამოსაკვეთია, რომ ზოგჯერ საჯარო ინტერესთან შედარებით პირადი ცხოვრების დაცვა გაცილებით მნიშვნელოვანია. თუმცა დირებულებითი კონფლიქტის გადაწყვეტის საერთო კრიტერიუმებად შეიძლება ჩაითვალოს სიკეთეთა აწონ-დაწონვა და თანაზომიერების პრინციპის დაცვა.

### თავი III. პირადი ცხოვრების დაცვის სამოქალაქოსამართლებრივი ფუნქციები და ფორმები

ზოგად და განსაკუთრებულ პიროვნულ უფლებათა შორის მიმართების გარკვევა მნიშვნელოვანია მათი სამართლებრივი ხასიათის გამოსაკვეთად და ხელს უწყობს ცხოვრებაში მათი დაცვის განხორციელებას. ზოგადად უფლებები გამოიხატება მოთხოვნაში,<sup>534</sup> რაც უფლებას „აცოცხლებს“ და გარკვეული მიზნისკენ მიმართავს. თუმცა ამ მოთხოვნებს საფუძვლად უდევს განსაზღვრული საწყისები, რომელთა რანგში გამოდის უფლების დაცვის ფუნქციები. ამდენად, პირადი ცხოვრების დაცვის კერძოსამართლებრივი ფუნქციები უნდა იყოს ამოსავალი, საიდანაც აღნიშნული უფლების დაცვის ფორმები გამოიკვეთება. შემდეგ მიზანშეწონილია იმის განხილვა, თუ როგორ ხორციელდება უფლების სუბიექტთა მიერ პირადი ცხოვრების დაცვა. ამ ფორმით სისტემაში იქნება მოყვანილი უფლების დაცვის ფუნქციები და ფორმები.

<sup>534</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. ლ. ჭაბურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გვ. 99-101

## 6. პირადი ცხოვრების დაცვის სამოქალაქოსამართლებრივი ფუნქციები

სანქციას ზოგადად შეიძლება რეპრესიული, რესტიტუციური ან პრევენციული ზეგავლენა ჰქონდეს.<sup>535</sup> აქ, ცხადია, მოიაზრება მისი სისხლისსამართლებრივი, ადმინისტრაციულსამართლებრივი და სამოქალაქოსამართლებრივი ხასიათი. ამასთან, რეპრესიას ძირითადად ახორციელებს სისხლის სამართლი, რის გამოც სადამსჯელო ფუნქცია სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას აახლოვებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.<sup>536</sup> უფლების დაცვის დანარჩენი ფუნქცია მეტ-ნაკლები ხარისხით ეხება ადმინისტრაციულ და სამოქალაქო კანონმდებლობას. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფუნქციათაგან მნიშვნელოვანი საკომპენსაციო, სატისფაქციისა და პრევენციის ფუნქციები.

### 6.1. პ რ ე გ ე ბ ც ი ა

როგორც აღინიშნა, სამოქალაქო პასუხისმგებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა დაცვა, რომელსაც გამაფრთხილებელი და აღმზრდელობითი ხასიათი აქვს. ყველაზე ნათლად ეს ფუნქცია გამოხატულია პირადი არაქონებრივი ურთიერთობების რეგლამენტაციაში.<sup>537</sup> აქ საქმე ეხება „პრევენციის იდეას.“<sup>538</sup> ზიანის ანაზღაურების ოდენობის შესაბამისობის განსაზღვრისას სასამართლო პრაქტიკაში პრევენციის ფუნქცია ყოველთვის იყო წინა პლანზე.<sup>539</sup>

მართალია, პრევენცია სამოქალაქო სამართლში არაა ნათლად განსაზღვრული, მაგრამ სისხლის სამართალში სასჯელის მიზნებიდან გამომდინარე არის შესწავლილი. ამიტომ პრევენციის ცნება სამოქალაქო სამართალში სისხლის სამართლიდან არის გადმოღებული. პრევენციაში მოიაზრება გაფრთხილება ან პროფილაქტიკა. ის ძირითადად დროებით სამართლებრივ დაცვასთან ასოცირდება. აღნიშნული ფუნქცია ითვლება უზრუნველყო-

<sup>535</sup> ი. ხ. Weis, Der immaterialgüterrechtliche Uebertragungsanspruch, zugleich ein Beitrag zum Kennzeichen- und Domainrecht in Deutschland, Frankreich und der Schweiz (Dissertation), 2004, გვ. 67; <<http://kops.ub.uni-konstanz.de/volltexte/2006/1710/pdf/KWeis.pdf>> [09.09.09 9:51]

<sup>536</sup> ი. ხ. ბ. ბარაბაძე, მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის საფუძვლები, „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2005, №3, გვ. 68

<sup>537</sup> ი. ხ. <<http://www.vip-study.ru/files/8.doc>> [12.03.10 12:34]

<sup>538</sup> პრევენციის შესახებ ი. ხარლ-ჭაინც ვეცერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 38-39

<sup>539</sup> პრევენციასთან დაკავშირებით ი. ხ. ბ. უქელევრი, დასახ. ნაშრომი, გვ. 248, 219, 220; ი. ხ. BGH 128, 1-Caroline von Monaco-Entscheidung I; BGH, NJW 1996, გვ. 984, 985-Caroline von Monaco-Entscheidung II.; ასევე ი. ხ. შ. შვეიცერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 25; არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ფუნქციებისა და დაცვის საშუალებების შესახებ ი. ხ. K. Osakve, Anatomия морального вреда: Классическая интерпретация морального вреда в англо-американском праве, «Актуальные вопросы частноправового регулирования», 2009, №3, გვ. 36-38

ფის (საგარანტიო) ფუნქციად. პრევენცია არის კონკრეტული დაცვის ფორმებით საფრთხის შემცველი სამართალდარღვევების თავიდან აცილება.<sup>540</sup>

ამასთან, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას დაზარალებულისთვის ვინაიდან მორალური დაკმაყოფილების ფუნქცია აქვს, რეალური რესტიტუცია მეტად არაა შესაძლებელი და ფულადი სახით კომპენსაცია, ახალი სა-სამართლო პრაქტიკის მიხედვით, პრევენციას ფუნქციას გამოხატავს.<sup>541</sup>

პრევენციის იდეის სახეცვლას გერმანიის უმაღლესმა სასამართლომ კრიტიკა დაუთმო. პირველად გაუდერდა, რომ დელიქტურ სამართალსა და სისხლის სამართალს შორის სხვაობა იკარგება. კომპენსაციისგან განსხვავებით, პრევენცია, გავრცელებული შეხედულების მიხედვით, უცხოა სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის. ასევე არსებობდა საფრთხე, რომ გერმანული სამართალი მიუახლოვებოდა ამერიკულ „სადამსჯელო ღონისძიებებს“, რომლის მირითადი ფუნქცია პრევენციაა. ამასთან, პრევენციის ფუნქციის აღიარება „გერმანიის უმაღლესი სასამართლოს სა-მართლებრივ პოლიტიკას“ ეფუძნება და ამ ფორმით „მნიშვნელოვანი სა-მართლებრივი უსაფრთხოების გამორიცხვისკენ“ მიემართება.<sup>542</sup>

პრევენციის იდეის არსი ისაა, რომ პიროვნული უფლებების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის ფორმირება „არასაკმარისია“, თუ პიროვნული უფლების ხელყოფის შედეგად წარმოშობილი არაქონებრივი ზიანის დროს არ ხდება ადეკვატური სანქციის გამოყენება. გერმანიის უმაღლესი სასა-მართლოს სანქციისა და პრევენციის იდეები ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ხორაიას გადაწყვეტილებაში იყო გაზიარებული.<sup>543</sup>

როცა დაზარალებული მოქმედებს მატერიალური ხარჯების მისადებად ხელყოფის საშუალებით, მოგების მიღების განზრახვა ფულადი კომპენსაციის ოდენობაში აისახება ეფექტური პრევენციის უზრუნველსაყოფად.<sup>544</sup> შესაბამისად, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრევენციული ფუნქციის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია სამართალდარღვევის განმეორების საშიშროება ზიანის მიმყენებლის მიერ.<sup>545</sup>

საერთოდ, პრევენციის ფუნქცია არსებობს, მიუხედავად იმისა, პასუხისმგებლობა დაეკისრება ვინმეს თუ არა. თვით პასუხისმგებლობის დადგენის ფაქტს და მისი გამოყენების შესაძლებლობას აქვს პრევენციული ზემოქმედება. თუმცა ეს არ უნდა ნიშნავდეს, რომ პრევენციული ფუნქცია სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის სხვა ფუნქციებისაგან დამოუკიდებელია. პასუხისმგებლობის აღმზრდელობით-გამაფრთხილებელი ზემოქმედება ვლინდება სამართლებრივი რეპრესიის გამოყენების შესაძლებლობასა დასახ. ნაშრომი, გვ. 40

<sup>540</sup> იხ. კ. გაიხი, დასახ. ნაშრომი, გვ. 66-67

<sup>541</sup> იხ. კ. მუხრანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 130

<sup>542</sup> იხ. კარლ-ჰაინც ვეცერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 39-40; ინგლისის სასამართლოები უზრუნველყოფს პატივის ხელყოფის თაობაზე სარჩელის შემთხვევაში მხოლოდ პრევენციულ დაცვას. სარჩელის მიზანია მოქმედების შეწყვეტა და ზიანის ანაზღაურება. იხ. კ. მუხრანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 40

<sup>543</sup> იხ. კარლ-ჰაინც ვეცერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 40; *Soraya-Entscheidung*, NJW 1965, გვ. 685 და შემდგომი გვერდები

<sup>544</sup> იხ. შტ. შეკერსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 25

<sup>545</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-868-817-2010)

და ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრებაში. ამდენად, აშკარაა, რომ აქ მნიშვნელოვანია ზოგადი პრევენცია. ამასთან, საქმე ეხება ქონებრივ რეპრესიას, როგორც პრევენციის ზემოქმედების პირობას.<sup>546</sup> სსკ-ის მე-9 მუხლშიც აღიარებულია, სამოქალაქო კანონები უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლებას, თუ ამ თავისუფლების განხორციელება მესამე პირთა უფლებებს არ ხელყოფს. ამდენად, დოგმატური თვალსაზრისით სამოქალაქო პასუხისმგებლობის ერთ-ერთ მიზნად ითვლება სამართალდარღვევის თავიდან აცილება.

## 6.2. სატოს ფაქტოს

ზოგადი პიროვნული უფლების ხელყოფისას განსაკუთრებულია არაქონებრივი ზიანის მორალური დაკმაყოფილების ფუნქცია,<sup>547</sup> რომელიც გამოიხატება ლათინური ტერმინით „სატისფაქცია“<sup>548</sup>

(მორალური) დაკმაყოფილება გამოიყენება, როგორც „დაკმაყოფილება“ და როგორც „სრული დაკმაყოფილება.“ სრული დაკმაყოფილება წარმოშვა ავსტრიულმა დელიქტურმა სამართალმა და მოიცავს ზიანის ანაზღაურებას, ნეგატიური ზიანის ანაზღაურებასა და შეურაცხყოფის შეწყვეტას. ეს შეურაცხყოფა არამატერიალური ზიანის სახით მხოლოდ იქ მიიღწევა, სადაც კანონი ამას იმპერატიულად ითვალისწინებს. რაც შეეხება დაკმაყოფილებას, ის შვეიცარიული სამართლიდან მომდინარეობს. დაკმაყოფილება დაზარალებულის უფლების ხელყოფისას გადატანილი სულიერი ტკივილის „გამრთელებას“ უწყობს ხელს. დაკმაყოფილების მიზანია, რომ ფულადი შესრულებით მოახდინოს სხეულებრივი ზიანის, სულიერი ტანჯვის კომპენსირება. სრული დაკმაყოფილებისგან განსხვავებით, დაკმაყოფილება შვეიცარიული სამართლის მიხედვით, არაა ზიანის ანაზღაურება, ვინაიდან მას არ შესწევს ქონებრივსამართლებრივი ზიანის დაბალანსება. ავსტრიული „სრული დაკმაყოფილება“ და „დაკმაყოფილება“ არაა თანაბარი ხარისხის. მათ შორის როგორც სამართლებრივ ბუნებაშია განსხვავება, ისე გამოყენების სფეროსა და ნაწილობრივ მოცულობის განსაზღვრის საფუძვლებში.<sup>549</sup> ამდენად, დაკმაყოფილების არსის გამოსახატად დაკმაყოფილების ორივე გაგება უნდა იყოს გათვალისწებული. დაკმაყოფილება უნდა იყოს მიმართული სულიერი ტკივილების კომპენსირებისკენ, რომლისთვის გადამწყვეტი როლს თამაშობს ფულადი ფორმით ზიანის ანაზღაურება.

აღნიშნული ფუნქცია ემსახურება სუბიექტური ასპექტების დაკმაყოფილებას, რაც სამართლებრივი თვალსაზრისით არ უნდა იყოს იმდენად რელევანტური, რამდენადაც ობიექტურ მოცემულობაში არსებული რაობა.

<sup>546</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. *B. Варкало*, Об Ответственности по гражданскому праву (возмещение вреда – функции, виды, границы), Перевод с польского *B. Залесского*, М., «Прогресс», 1978, გვ. 38, 44-45

<sup>547</sup> იხ. *ქარლ-ჰაინც ფეცერი*, დასახ. ნაშრომი, გვ. 29

<sup>548</sup> სატისფაქციის შესახებ იხ. Большой юридический словарь, под ред. *A. Сухарева, B. Крутских*, М., 2002, გვ. 541

<sup>549</sup> იხ. *მარი-დერეს ფრიკი*, დასახ. ნაშრომი, გვ. 19

სწორედ ამიტომაა, რომ გერმანიის ფედერალური სასამართლო არაა მიზან-მიმართული პირის მორალურ დაკმაყოფილებაზე. ამ გაგებით ხომ შეუძლებელია ინდივიდის ყველა სუბიექტური ასაკის იყოს მხედველობაში მიღებული, რაც არც უნდა იყოს სამართლის მიზანი. იურიდიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ზიანის ობიექტურ ფორმებში ასახვა.<sup>550</sup>

### **6.3. კომპენსაცია**

საგულისხმოა, რომ პიროვნული უფლების ხელყოფისას შედეგად გამონაკლის შემთხვევებში მატერიალურის გვერდით ასევე არამატერიალური ზიანი წარმოიშობა. ამასთან, არამატერიალური ზიანის მიუქნებით წარმოშობილი კომპენსაციის მოთხოვნა მატერიალური მოთხოვნის სიმყარის საშუალებით კი არ კარგავს თავის მნიშვნელობას, არამედ მისი პირველ-საწყისი ფუნქცია მცირდება.<sup>551</sup> ამასთან, მნიშვნელოვანია ზიანის ანაზღაურების ორი ფუნქცია: კომპენსაციისა და (მორალური) დაკმაყოფილების ფუნქციები, რომლებიც პიროვნული უფლებების ხელყოფისას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ცენტრალურ მიზანს ემსახურება. პრევენციის ფუნქცია ფულადი სახით ანაზღაურებას არ მიეკუთვნება.<sup>552</sup>

ინგლისის სამართლში არაქონებრივი და მატერიალური ზიანის ანაზღაურებას კომპენსაციის ფუნქცია აქვს. აქ ზიანის ანაზღაურების ამ ორ სახეს შორის არ ჩანს განსხვავება. ზოგჯერ ზიანის ანაზღაურება შეიძლება ატარებდეს სადამსჯელო ხასიათს ან მოხდეს გაზრდილი ზარალის ანაზღაურება, რა დროსაც სამართალდარღვევისთვის შეიძლება პირის დასჯა ან მცირე ზიანის დროს სიმბოლურად ანაზღაურება (*nominal damages*). კომპენსაცია ორ საფუძველს ეყრდნობა: ა) ფულადი კომპენსაციის ოდენობას განსაზღვრავს ნაფიცი მსაჯულები; ბ) ზიანის ანაზღაურებამ უნდა მოახდინოს ტანჯვის კომპენსირება და მას მხოლოდ გამონაკლისის სახით უნდა ჰქონდეს სადამსჯელო ხასიათი. მისი სადამსჯელო ხასიათი ემსახურება პრესის დისკიპლინირებას, რადგან სხვაგვარად ზიანის ანაზღაურება პიროვნული უფლებების ხელყოფის გზით მხოლოდ კომპენსაციური ბუნებისაა.<sup>553</sup>

საყურადღებოა ზიანის კომპენსაციის ფუნქციონალური ამოცანა. კომპენსაციის ფუნქცია გულისხმობს განცდილი ტანჯვის კომპენსირებას და ემსახურება „უმართლობის“ კორექტირებას. ამასთან, რესტიტუციის კრიტერიუმებია ჩარევის ინტენსიურობა და ხანგრძლივობა. როგორც ქონებრივი ზიანი, ისე არაქონებრივი ზიანი არის ფულადი ფორმით გამოხატული ზიანი. აღდგენა შეიძლება რესტიტუციის გზით და რეპარაცია მიიღწევა პატივის ხელმყოფი მოქმედების შეწყვეტით ან უკანონოდ გამოცემული ფოტოასლების გადაცემის ფორმით.<sup>554</sup> ამიტომ ამ ფუნქციას კომპენსატორულ-

<sup>550</sup> იხ. ბ. უესელერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 241

<sup>551</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. კარლ-ასინც უესელერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 183-186

<sup>552</sup> იხ. ბ. უესელერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 217

<sup>553</sup> იხ. პ. მუხრანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 40-41

<sup>554</sup> იხ. ბ. უესელერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 217-218

ადდგენით ფუნქციადაც მოიხსენიებენ.<sup>555</sup> აღსანიშნავია კაროლინა ფონ მონაკოს გადაწყვეტილება, რომელიც მისი გარეგანი სახის შესახებ თვითგამორკვევის უფლებაში ჩარევას ეხება.<sup>556</sup> საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ გირკე მე-19 საუკუნეში თვლიდა პიროვნულ უფლებებს „ქონებრივი ხასიათის უფლებებად“, ვინაიდან უპირატესად სამეურნეო ინტერესების დაცვას ემსახურება. ამასთან, ფაქტობრივად ბაზარი პიროვნების განსაზღვრული შემადგენელი ნაწილებისაგან შედგება და ადამიანის ღირსების კომერციულობის თემას ადვილად უკავშირდება.<sup>557</sup>

ამდენად, ზიანის ანაზღაურება ხშირად არა თუ რესტიტუციურ, არამედ კომპენსაციურ ბუნებას ატარებს.<sup>558</sup> პიროვნული ღირებულებების ხელყოფის-თვის კანონი ითვალისწინებს სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რომელსაც საკომპენსაციო ფუნქცია აქვს. აღნიშნული პასუხისმგებლობა გამოიხატება ფულადი თანხის დაკისრებაში. არაქონებრივი ზიანის შინაარსი და მოცულობა განისაზღვრება სასამართლოს მიერ გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით (სსკ. 413-ე მუხლი). ამ შემთხვევაში ზიანის მოცულობის შეფასებისას მნიშვნელობა ენიჭება გარკვეული სოციალური ფაქტორების გათვალისწინებას. ფულადი კომპენსაცია უზრუნველყოფს იმ დადებით ემოციას, რომელიც ეხმარება დაზარალებულს, სრულფასოვნად ჩაერთოს სოციალურ ურთიერთობებში.<sup>559</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომპენსაციური ფუნქცია მიმართულია დაზარალებულის სულიერი ტკივილის შემსუბუქებისკენ. კომპენსაცია ამ ფორმით უარყოფითი ემოციების გაქარწყლებას და მოპასუხეზე ზეგავლენის მოხდენას უნდა ისახავდეს მიზნად.<sup>560</sup> ფულადი კომპენსაცია უნდა იყოს სამომხმარებლო ინტერესების დაკმაყოფილებისკენ მიმართული, რაც გააკრიტიკა სამართლის ფინანსურის თეორიამ. საქმე ისაა, რომ სასამართლოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, განსაზღვროს ფულადი კომპენსაციის ოდენობა, რომელიც იქნება საკმარისი მიუწებული სულიერი ზიანის გამო დაზარალებულის დასაკმაყოფილებლად.<sup>561</sup> ამასთან, ვინაიდან ზოგჯერ დაზარალებული ვერ აღწევს საკუთარი ტკივილის შემსუბუქებას, ამიტომ ხშირად პიროვნული უფლებების ხელყოფისას კომპენსაცია წარმოადგენს არამატერიალური ზიანის დამაბალანსებელი ფუნქციის დამატებით კომპონენტს. ამავე ფუნქციის შემადგენელ ნაწილად მოიაზრება შეფასებითი ფუნქცია, რომელიც განუსაზღვრელი და არასაკმარისია იმისთვის, რომ არამატერიალური ზიანის ანაზღაურების შეფასება პიროვნულობის

<sup>555</sup> იხ. В. Голышев, Гражданско-правовая ответственность, Гражданское право, общая часть (Курс лекций), М., МИЭМП, 2007, გვ. 200

<sup>556</sup> ამის შესახებ BGH 128, 1-Caroline von Monaco-Entscheidung I; BGH, NJW 1996, გვ. 984, 985-Caroline von Monaco-Entscheidung II.; იხ. კარლ-პაინც ფულერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 56-57

<sup>557</sup> იხ. კარლ-პაინც ფულერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 64-65

<sup>558</sup> იხ. თ. ნინიძე, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, „საბჭოთა სამართალი“, 1978, №2, გვ. 54

<sup>559</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ნოემბრის განხილება (№ას-505-852-07)

<sup>560</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-868-817-2010)

<sup>561</sup> იხ. ვ. გარეალი, დასახ. ნაშრომი, გვ. 137-139

ხელყოფის შემთხვევათა ტოლფასოვანი იყოს. დირებულებითი ფაქტორის გათვალისწინებით უნდა იყოს ყველა არსებითი გარემოება განხილული<sup>562</sup>, ვინაიდან თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურია.

პირადი ცხოვრების ხელყოფის ან ასეთი ზიანის საფრთხის არსებობისას ყოველთვის არ არის კომპენსაცია ზიანის ეკვივალენტური.<sup>563</sup> ამიტომ ქონებრივი ზიანი შეიძლება ობიექტურ ფორმებში იყოს გამოხატული, მაგრამ არამატერიალური ზიანი შეუფასებელია ფულადი ნიშნით. თუმცა განხილული სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფუნქციებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა დამაბალანსებელი ფუნქცია. სწორედ ამ ფუნქციაშია ობიექტური მომენტები ასახული<sup>564</sup> და კომპენსაცია წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს, რომელშიც შეიძლება გარკვეულწილად გამოიხატოს ზიანი. ამიტომაა, რომ არაქონებრივი ზიანის მიუწებისას არ მოქმედებს ეკვივალენტურობის პრინციპი, რაც წინასწარ განსაზღვრავს სამოქალაქოსამართლებრივი ტანჯვის განსაკუთრებულ ხერხს. ამდენად, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება სიმბოლური ხასიათისაა.<sup>565</sup>

## 7. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა პირადი ცხოვრების ხელყოფისთვის

პირადი ცხოვრების ხელყოფა, თავის მხრივ, უკავშირდება სამოქალაქო პასუხისმგებლობას, რომელიც გარკვეულ წინაპირობებს უნდა აკმაყოფილებდეს. ზოგადი წესის მიხედვით, აუცილებელია სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმოსაშობად ოთხივე წინაპირობის არსებობა. მიუხედავად ამისა, არსებობს გარკვეული გამონაკლისებიც, რომლებიც სხვადასხვა მოთხოვნასთან დაკავშირებით სპეციფიკურია.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია უფლებათა დაცვა კონკრეტული ფორმების მეშვეობით. საერთოდ, სამოქალაქო უფლებათა დაცვა არის კანონმდებლობის მიერ დადგენილი ზომები, რომლებიც მიმართულია დარღვეული სამოქალაქო უფლების აღდგენის, მოსალოდნელი დარღვევის თავიდან აცილებისა და სადაცო უფლების დაცვისკენ. სამოქალაქო უფლების დაცვაში მოიაზრება კანონით დაცული ინტერესის დაცვა. აქ კი მნიშვნელოვანია სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები, რომლებიც კანონით გათვალისწინებული იძულებითი ხასიათის მატერიალურსამართლებრივი ზომებია. ისინი მიმართულია დარღვეული თუ სადაცო უფლების აღდგენისკენ ან აღიარებისა და სამართალდამრღვევზე ზემოქმედებისკენ. სამოქალაქო უფლებათა დაცვაზე მიუთითებს სსკ-ის მე-10 მუხლი, თუმცა აქ არაა უფლების დაცვის ფორმები ჩამოთვლილი.<sup>566</sup> პირის სამოქალაქოსამართლებ-

<sup>562</sup> იბ. ბ. უქსელური, დასახ. ნაშრომი, გვ. 242-243, 248

<sup>563</sup> იბ. A Special Report issued by Privacilla.org., *The Privacy Torts: How U. S. State Law Quietly Leads the Way in Privacy Protection*, July, 2002, გვ. 15, <[http://www.privacilla.org/releases/Torts\\_Report.pdf](http://www.privacilla.org/releases/Torts_Report.pdf)> [10.09.10 13:41]

<sup>564</sup> იბ. ბ. უქსელური, დასახ. ნაშრომი, გვ. 241

<sup>565</sup> იბ. გ. ჩიკვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, გვ. 104-105, 108-109

<sup>566</sup> იბ. ა. კობახიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 334-338

რიგ დაცვას, სისხლისა და ადმინისტრაციულსამართლებრივი ნორმებისაგან განსხვავებით, ახასიათებს სპეციფიკური თავისებურებები. ეს, უპირველეს ყოვლისა, სამოქალაქოსამართლებრივი რეგულირების მეთოდითაა განპირობებული, რომელიც უმეტესწილად დისპოზიციურია, ხოლო სისხლისა და ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში ხორციელდება მხოლოდ იმპერატიული მეთოდი. ამდენად, პიროვნების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვა შეიძლება როგორც სახელმწიფოს ან დაწესებულებისა და ოკით პირთა მიერაც, ასევე ასეთი დაცვის სახელშეკრულებო საშუალებებით.<sup>567</sup>

ზოგადად სამოქალაქო კანონმდებლობა იცნობს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ზიანს. ეს უკანასკნელი წარმოიშობა უშუალოდ დელიქტიდან, ამიტომ მას დელიქტურ ვალდებულებას უწოდებენ. სპეციფიკურია დელიქტური ვალდებულებების თავისებურებები: ეს ურთიერთობა იმით განსხვავდება სახელშეკრულებო ურთიერთობისაგან, რომ ამ შემთხვევაში ზიანი მიეკუთხდებულია ისეთი დარღვევის შედეგად, როდესაც მხარეთა შორის არ არსებობდა ვალდებულებითი ურთიერთობები; ვალდებულებათა მოქმედების სფერო კრიელდება ქონებრივ და პირად არაქონებრივ ურთიერთობებზე; ეს ვალდებულებები წარმოიშობა აბსოლუტური (როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ხასიათის) უფლებების შეღაეს შედეგად; ამიტომ ეს ვალდებულებები ატარებს არასახელშეკრულებო ხასიათს;<sup>568</sup> სწორედ აბსოლუტური უფლებების დარღვევაზე რეაგირებად მოიაზრება სანქცია არასახელშეკრულებო ურთიერთობებში. აქ ყურადღება ექცევა დარღვეული ურთიერთობის აღდგენას, პასუხისმგებლობის მასტიმულირებელი ფუნქციის განხორციელებას.<sup>569</sup> ამასთან, ვალდებულება დაზარალებულისთვის ზიანის სრულ ანაზღაურებას ისახავს მიზნად, რამდენადაც ეს არის შესაძლებელი. ასევე კანონით დადგენილ შემთხვევებში ზიანის ანაზღაურება ეკისრება არა მარტო ზიანის მიმეკუთხელს, არამედ სხვა პირებსაც.<sup>570</sup>

ამდენად, მიზანშეწონილია, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფუნქციები იყოს ამოსავალი უფლების დაცვის კონკრეტული ფორმების განსახილებელად. აქვე უნდა დადგინდეს, საკმარისია თუ არა უფლების დაცვის ერთი ფორმა სამოქალაქოსამართლებრივი ფუნქციების განხორციელებისა და პიროვნების ყოველმხრივი დაცვისთვის. აღნიშნულისთვის აუცილებელია უფლების დაცვის თითოეული ფორმის შესწავლა.

<sup>567</sup> იხ. <<http://www.vip-study.ru/files/8.doc>> [12.03.10 22:35]

<sup>568</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ქ. ჩიკვაშვილი, დელიქტური ვალდებულებები სამოქალაქო სამართალში, კრებულში: „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები“, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავისადმი, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომც., 2003, გვ. 181-183

<sup>569</sup> იხ. ბ. ზოიძე, ქონებრივი პასუხისმგებლობა ვალდებულებათა დარღვევისთვის, თბ., „მეცნიერება“, 1989, გვ. 38-39

<sup>570</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. ქ. ჩიკვაშვილი, დელიქტური ვალდებულებები სამოქალაქო სამართალში, გვ. 181-183

## 7.1. პირადი ცხოვრების უფლების დაცვის ფორმები

### 7.1.1. ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნები

ცალკე გამოიყოფა გადახდის შესახებ მოთხოვნები, რომლებიც მოიცავს არამატერიალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების, ასევე უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილ მოთხოვნებს. უსაფუძლო გამდიდრებიდან წარმოშობილი მოთხოვნა შეიძლება დაყენებულ იქნეს დაინტერესებული პირის სახელის ან გამოსახულების გამოყენების შემთხვევაში, თუ აღნიშნული არ უკავშირდება სახელისა და პატივის ხელყოფას.<sup>571</sup> ამასთან, აქ საქმე შეიძლება შეეხოს ქონებრივ ზიანსა (ქონების შემცირებას) და პიროვნული სიკეთეების (პატივი, ჯანმრთელობა და სხვა) ხელყოფას. ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა კი სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის კომპლექსურობით ხასიათდება. აქ შეიძლება სამოქალაქო პასუხისმგებლობის ფუნქციათა ტრიადა არსებობდეს. თუმცა ყველაზე ფართო მოქმედების არეალი აქვს საკომპენსაციო ფუნქციას.<sup>572</sup>

#### 7.1.1.1. ქონებრივი ზიანის ანაზღაურება

##### ა) ქონებრივი ზიანი

კერძო ცხოვრების ხელყოფა, თავის მხრივ, წარმოშობს ზიანს ანუ ფიზიკური თუ იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის დამცირებას, განადგურებას. აქ (აბსოლუტური) სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს ევალებათ წინდახედულობის ნორმების დაცვა. ზიანის მიყენებით სპეციალური ნორმების საფუძველზე მხარეთა შორის ახალი სამართლებრივი ურთიერთობა (დელიქტური) წარმოიშობა (სსკ-ის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და 992-1008-ე მუხლები). შესაბამისად, ამ ურთიერთობის სუბიექტებად გვევლინება დაზარალებული – კრედიტორი (როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი) და ზიანის მიმეუძღველი – მოვალე, რომელიც შეიძლება იყოს მხოლოდ დელიქტუნარიანი პირი. აღნიშნული სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს სიცოცხლე და ჯანმრთელობა ან ქონება, რომელსაც ადგება ზიანი. შესაბამისად, სამართალდარღვევის მატერიალური შედეგი, თუ მას აქვს ღირებულებითი ფორმა, ცივილისტიკაში იწოდება ქონებრივ ზიანად.<sup>573</sup> აღნიშნული კი ცენტრალურ როლს თამაშობს პირადი ცხოვრების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის საქმეში და გულისხმობს ამ საკითხის პასუხისმგებლობის საფუძველთა მიხედვით განხილვას.

<sup>571</sup> იხ. კარლ-ჰაინც ვეცერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 20-24

<sup>572</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. ვ. გარეალო, დასახ. ნაშრომი, გვ. 48-77, 105-106

<sup>573</sup> იხ. შ. ჩიკვაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. მე4, ტ. მე2, თბ., „სამართლი“, 2001, გვ. 378-381

ქონებრივი ზიანის ანაზღაურების პირველი და უმთავრესი პირობაა ქონებრივი ზიანის არსებობა.<sup>574</sup> ქონებრივი ზიანში მოიაზრება ზარალი, რომელიც შეიძლება გამოიხატოს დაზიანებული ქონების დირებულების პირდაპირ შემცირებაში ან მის დაკარგვაში, ასევე სარგებლის ხელიდან გაშვებაში.<sup>575</sup> შესაბამისად, ზიანის ანაზღაურება არის ფულადი კომპენსაცია, რაც გამოწვეულია დანაკლისით ან დაზიანებით, ხელშეკრულების დარღვევით, სამოქალაქო სამართალდარღვევით ან უფლებების ხელყოფით.<sup>576</sup>

ამასთან, პიროვნებისთვის ზიანის მიყენებასაც შეიძლება ჰქონდეს ქონებრივი ხასიათი<sup>577</sup> ან დროის განსაზღვრულ მონაკვეთში ზიანს მხოლოდ არაქონებრივი ხასიათის ჰქონდეს და შემდეგ შეიძინოს მან ქონებრივი სახე. შესაბამისად, ზიანის ბუნება დამოკიდებულია იმაზე, მოეპოვება თუ არა ზიანის შედეგს ფულადი გვივალენტი.

საგულისხმოა, რომ ქონებრივი ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ იმ პიროვნელი სიკეთების შელახვისას, რომლებიც სსკ-ის მე-18 მუხლში არის ჩამოთვლილი.<sup>579</sup> ზიანის მიყენების გამო პირისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელია ზიანის, ქმედების მართლწინაადმდეგობის, ამ ქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის, ბრალის კუმულატიურად არსებობა.<sup>580</sup> ამ პირობათა ერთობლიობა ქმნის იურიდიულ შემადგენლობას („გენერალური დელიქტი“).<sup>581</sup> ამდენად, სსკ-ის მე-18 მუხლით პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფისთვის შესაბალებელია ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაყენება.

ამასთან, არაქონებრივი უფლების ხელყოფის შედეგად ქონებრივი ზიანის წარმოშობას ეხება სსკ-ის 993-ე მუხლი. აქ მატერიალური ზიანის ანაზღაურება უკავშირდება ორი პირის კუმულატიურ არსებობას: ა) გავრცელებული ცნობები სინამდვილეს აშკარად არ უნდა შეესაბამებოდეს (ცნობების სინამდვილესთან ნაწილობრივ შესაბამისობა გამორიცხავს ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებას); ბ) გავრცელებულ ცნობებს არ უნდა ჰქონდეს საზოგადოებრივი მნიშვნელობა.<sup>582</sup> შესაბამისად, ამ მოთხოვნებს თუ არ აკმაყოფილებს ცნობების გავრცელების ფაქტი, მაშინ გამოირიცხება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებაც.

<sup>574</sup> ცივილისტიკაში ზარალის ორი სახის (ზიანისა და დანაკლისის) შესახებ იხ. ქ. ჩიკაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, გვ. 23.

<sup>575</sup> ქონებრივი ზიანის შესახებ იხ. ქ. იასჩური, ზიანის მიყენებით წარმოშობილი ვალდებულების (თარგმნა გ. დოლიძემ, თბ., საქ. წსრ იუსტიციის სამინისტროს გამოცემა, 1947, გვ. 8).

<sup>576</sup> იხ. ქ. ჯორგენაძე, ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი დექსიკონი, თბ., „სამართალი“, 1998, გვ. 102.

<sup>577</sup> იხ. ქ. შენგალია, ქონებრივი ზიანი და მისი ანაზღაურების ვალდებულება, თბ., 1991, გვ. 3; სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებების (განსაკუთრებით ქონებრივი პასუხისმგებლობის) შესახებ იხ. ქ. ზოიძე, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნებისთვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ეპონომიკისა და სამართლის სერია, 1985, №3, გვ. 85-95.

<sup>578</sup> იხ. თ. ნინიძე, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, გვ. 45, 54-55.

<sup>579</sup> იხ. თ. ნინიძე, პირადი არაქონებრივი უფლებები, გვ. 70, 71.

<sup>580</sup> იხ. ქ. იასჩური, დასახ. ნაშრომი, 1947, გვ. 7.

<sup>581</sup> იხ. ქ. ჩიკაშვილი, დელიქტური ვალდებულებები სამოქალაქო სამართალში, გვ. 184.

<sup>582</sup> იხ. თ. ნინიძე, პირადი არაქონებრივი უფლებები, გვ. 72.

## ბ) მართლწინააღმდეგობა

ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისთვის მეორე აუცილებელი საფუძველი არის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება ან უმოქმედობა (ქმედება).<sup>583</sup> არა-მართლზომიერება გულისხმობს მოქმედებას, რომელიც არღვევს არა მხოლოდ მოცემულ ნორმას, არამედ ამ ნორმით დაცული პირის კონკრეტულ უფლებას.<sup>584</sup> მართლწინააღმდეგობა შეიძლება მოიცავდეს პირადი სფეროდან მონაცემების უნებართვოდ საჯაროდ გავრცელებას, ინფორმაციის არაკანონიერად მიღებას, პიროვნული უფლებების შესახებ ფაქტობრივი გარემოებების გავრცელებას, არაკანონიერი გზით ინფორმაციის მიღებას. თუმცა აქვე უნდა გაირკვეს, არის თუ არა გარემოებები, რომლებიც საბოლოოდ სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამორიცხავდა. თანხმობა, საჯარო ინტერესი, საზოგადოებრივი დაინტერესება გამორიცხავს ქმედების მართლწინააღმდეგობას.<sup>585</sup>

ამდენად, ქონებრივი ზიანისთვის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის წინაპირობაა მოქმედების კანონსაწინააღმდეგო ხასიათი.<sup>586</sup>

## გ) მიზეზობრივი კაგშირი

სსკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით, აუცილებელია ზიანსა და მართლსაწინააღმდეგო ქმედებას შორის არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.<sup>587</sup> ამდენად, ქმედება უნდა იყოს წინაპირობა კონკრეტული შედეგისთვის. ესე იგი, ზიანი უნდა იყოს მისი მიმუენებლის მოქმედების შედეგი.<sup>588</sup> მიზეზობრივი კავშირი, თავის მხრივ, არის ობიექტური კავშირი, რომელიც ადამიანის ცნობიერებისა და ნებისგან დამოუკიდებლად არსებობს. ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის საკითხი პრაქტიკულად დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართალდარღვევა მთავრდება მართლსაწინააღმდეგო შედეგით ან ამგვარი შედეგის დადგომის კონკრეტული საფრთხის შექმნით.<sup>589</sup>

ასევე საგულისხმოა, რომ პირის არამართლზომიერი მოქმედება მხოლოდ მაშინ ითვლება მიყენებული ზიანის მიზეზად, თუ მოქმედებასა და ზიანს შორის არსებითი კავშირია. თუ ეს კავშირი მხოლოდ არაარსებითია და ზიანი გამოწვეულია სხვა მიზეზებით, მაშინ ქონებრივი პასუხისმგებლობა არ დადგება.<sup>590</sup> ამდენად, ქმედება წინ უნდა უსწრებდეს შედეგს (ზიანის) და სწორედ მართლსაწინააღმდეგო ქმედებამ უნდა წარმოშვას ეს ზიანი. პასუხისმგებლობაც მხოლოდ მაშინ დადგება, თუ ზიანი იყო ზიანის

<sup>583</sup> იხ. კ. იაიჩქოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 8-9

<sup>584</sup> იხ. რ. შეხვედია, ქონებრივი ზიანი და მისი ანაზღაურების ვალდებულება, გვ. 4

<sup>585</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. კ. მუხრანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 124-126

<sup>586</sup> აღნიშნულზე იხ. თ. პერგერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 84

<sup>587</sup> იხ. შ. ჩიკვაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, გვ. 381-382

<sup>588</sup> იხ. რ. შეხვედია, ქონებრივი ზიანი და მისი ანაზღაურების ვალდებულება, გვ. 4

<sup>589</sup> იხ. გ. ნაჭეულია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., საგამომც. სახლი „ინვაცია“, 2011, გვ. 264-265

<sup>590</sup> იხ. რ. შეხვედია, ქონებრივი ზიანი და მისი ანაზღაურების ვალდებულება, გვ. 5

მიმუენებლის ქმედების პირდაპირი (და არა ირიბი) და გარდაუვალი (და არა შემთხვევითი) შედეგი.<sup>591</sup>

## დ) ბრალი

ქონებრივი ზიანის ანაღაურების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად აუცილებელია ასევე დამტკიცდეს, რომ ხელმყოფი ბრალეულად მოქმედებდა. ბრალის შესახებ არსებობს ძირითადად ფსიქოლოგიური, ნორმატიული და ფსიქოლოგიურ-ნორმატიული თეორიები. ფსიქოლოგიური თეორიის თანახმად, ბრალი არის პირის ფსიქიური დამოკიდებულება თავისი არამართლზომიერი მოქმედებისა და დამდგარი შედეგის მიმართ.<sup>592</sup> თუმცა ბრალის ასეთი განსაზღვრა ფსიქოლოგიზმის ზეგავლენითაა ნაკარნახევი. ამ გაგებით ბრალი ფსიქოლოგიური ცნება გამოდის, რაც გაუმართლებელია, ვინაიდან ბრალი ფსიქოლოგის კვლევის სფერო არაა.<sup>593</sup> ამასთან, ბრალის ფსიქოლოგიური თეორია გამოუსადეგარია იურიდიული პირის პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად.<sup>594</sup> იურიდიული პირის ბრალის სპეციალური ცნება უნდა განისაზღვროს განსხვავებულად, რადგან რაც მხოლოდ ადამიანისთვის არის დამახასიათებელი, ყველა ნიშნით ვერ გავრცელდება იდენტურად იურიდიულ პირთან დაკავშირებით. ამიტომაა, რომ ბრალის ფსიქოლოგიური თეორია ვერ გამოდგება იურიდიული პირის ბრალის განსასაზღვრად.<sup>595</sup> ასევე გაუფრთხილებლობის დროს ასეთი ფსიქიური კავშირი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.<sup>596</sup>

ბრალის შესახებ წმინდა ნორმატიული მიდგომის მიხედვით, ბრალი განიხილება გასაკიცხაობად. აღნიშნული ბრალის შინაარსობრივი დატვირთვის აუცილებელი და მნიშვნელოვანი მახასიათებელია, მაგრამ ეს მისი ფორმალური ხასიათია და არაა ბრალის სამართლებრივი ბუნება სრულად გამოკვეთილი. ასევე ფინალური თეორია უკიდურესად აპირისპირებს არსესა და ჯერარსეს.<sup>597</sup> ამ გაგებით განხრახვა და გაუფრთხილებლობა, როგორც შეფასების ობიექტები, ქმედების შემადგენლობის ნიშნებია. აქ ბრალი ახდენს პირის პერსონალურ გაკიცხვას იმისათვის, რომ მან უარი თქვას მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაზე, თუ შეეძლო არ ჩაედინა იგი.<sup>598</sup>

<sup>591</sup> იხ. ქ. ჩიკვაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, გვ. 390

<sup>592</sup> იხ. რ. შენგელია, ქონებრივი ზიანი და მისი ანაზღაურების ვალდებულება, გვ. 6-7

<sup>593</sup> იხ. გ. ნაჭეუბია, ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, თბ., 2001, გვ. 190-193, 202

<sup>594</sup> იხ. გ. ნაჭეუბია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, გვ. 444

<sup>595</sup> აღნიშნულთან დაკავშირებული დისკუსიის შესახებ იხ. ხ. ჯორბეგაძე, იურიდიული პირის ბრალის შინაარსის განსაზღვრისათვის, „საბჭოთა სამართალი“, 1985, №4, გვ. 13-22

<sup>596</sup> იხ. გ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, წ. I, დანაშაულის მოძღვრება, თბ., „მერიდიანი“, 2011, გვ. გვ. 406-407

<sup>597</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. გ. ნაჭეუბია, ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, გვ. 237-253

<sup>598</sup> იხ. გ. ტურავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 410-411

ასევე გაჩნდა ბრალის შესახებ ახალი მიდგომა ფუნქციონალური თეორიის სახით, რომელიც სასჯელის ფუნქციებიდან გამომდინარე განიმარტება. თუმცა აღნიშნულს მეცნიერული კრიტიკა მოჰყვა.<sup>599</sup>

რაც შეეხება ბრალის ფსიქოლოგიურ-ნორმატიულ თეორიას, მან ბრალის ცნებაში შემოტანა შეფასების მოქნეტი და ის განსაზღვრა, როგორც პირის გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედებასა და დამდგარი შედეგისადმი. ამ გაგებით ბრალი წარმოდგენილია სოციალურ-ეთიკურ კატეგორიად, რომელიც საკუთარი ქცევისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულების გასაკიცხაობას წარმოადგენს თავის განუყოფელ ნიშნად.<sup>600</sup>

საყურადღებო ბრალის შესახებ მოსაზრება, რომლითაც ბრალეულობა თავისი არსით უკავშირდება ტერმინს „უპასუხისმგებლობა“. ამ გაგებით ბრალი პასუხისმგებლობის ასპექტების ერთიანობის საფუძველია. აქ უნდა არსებობდეს პასუხისმგებლობის ნეგატიური და პოზიტიური ასპექტები. ეს უკავშირდება მოვალისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლობის დამოკიდებულებას, რომელიც კონკრეტული სამართალდარღვევის ჩადენაში ვლინდება. ბრალი გარკვეულწილად პასუხისმგებლობის ამ ასპექტების კავშირის ფორმად შეიძლება ჩაითვალოს.<sup>601</sup> ესე იგი, ბრალი უნდა იყოს გაგებული, როგორც პოზიტიური პასუხისმგებლობის ნეგატიურ პასუხისმგებლობაში გადასვლის ფორმა, მათ შორის არსებული შუალედური რგოლი.

ამასთან, ბრალის გამოვლენის ფორმებია განზრახვა და გაუფრთხილებლობა.<sup>602</sup> განზრახია ქმედება, რომელიც პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი. პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი ქმედება, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი ან ითვალისწინებდა ასეთი შედეგის დადგომის გარდაუვალობას. ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, თუმცა შეგნებულად უშევებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას (საქ. სისხლ. სამართლის კოდექსის მე-9 მუხლი). პირდაპირი განზრახვა ინტელექტუალური და ნებელობითი მოქნებების გარკვეულ კომბინაციას გულისხმობს. ინტელექტუალური მხარის მიხედვით, სუბიექტს გაცნობიერებული აქვს ქმედებისა და მისი შედეგის ყველა ფაქტობრივი და სოციალური (შეფასებითი) ნიშნის საზოგადოებრივი საშიშროება, გარდა სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობისა. ნებელობითი მოქნები მოიაზრებს განზრახვას, რომ სუბიექტს სურს მავნე შედეგის დადგომა.<sup>603</sup> რაც შეეხება გაუფრთხილებლობას, არც ისაა სამოქალაქო სამართალში განსაზღვრული. აქ გამოიყოფა უხეში და მარტივი

<sup>599</sup> იქვე, გვ. 416

<sup>600</sup> იხ. მ. უგრეხელიძე, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., თბილისის უნივერსიტეტი, გამომც., 1982, გვ. 7

<sup>601</sup> გ. ნაჭეუბია, ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, გვ. 180-184, 260, 267-268

<sup>602</sup> იხ. მ. უგრეხელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 7; მ. ჩიკვაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომბინაციი, გვ. 378-387; კარლ-ასანც ფერერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 130

<sup>603</sup> იხ. მ. უგრეხელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 12-13

გაუფრთხილებლობა. უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც თავისი მოქმედებით აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნებს არღვევს უჩვეულოდ მაღალი ხარისხით. მარტივ გაუფრთხილებლობაში მოიაზრება აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნათა დარღვევა შედარებით დაბალი დონით.<sup>604</sup>

ამდენად, ზოგადი წესის მიხედვით, სამოქალაქო პასუხისმგებლობა დადგება ოთხივე წინაპირობის ერთდროულად არსებობისას. შესაბამისად, ცივილისტიკაში გამოიყენება ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის პრეზუმუციის პრინციპი. ამ პრინციპის თანახმად, ზიანის მიმყენებელი მიიჩნევა ბრალეულად, თუ ის ბრალის არარსებობის მომენტს არ დაამტკიცებს. ამიტომაა, რომ მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის უნდა გადანაწილდეს.<sup>605</sup>

### ე) ქონებრივი ზიანის ანაზღაურების კრიტერიუმები

თუ ქონებრივი ზიანის ანაზღაურების წინაპირობები არსებობს, მაშინ შემდგომი ეტაპია მატერიალური ზიანის გამოთვლა, რომელსაც პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. ქონებრივი ზიანის ოდენობა უნდა განისაზღვროს იმ ხარჯების მიხედვით, რომლებიც აუცილებელია დაზარალებულისთვის გაზრდილი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად (აუცილებელი ხარჯები). ამასთან, მატერიალური ზიანის ოდენობის განსასაზღვრად საყურადღებოა მიუღებელი შემოსავალიც.<sup>606</sup>

მატერიალური ზიანის გამოთვლის ერთ-ერთ კრიტერიუმად შეიძლება დასახელდეს მოგებაც. თუ ზიანის მიმყენებელი ხშირად უგულებელყოფს პიროვნულ უფლებებს მოგების მიზნით, მაშინ მის შესაჩერებლად საჭიროა განსაკუთრებული დამცავი საშუალებები, რაც თავისთავად საკომპენსაციო თანხას არსებითად ზრდის. ის მოგება, რომელიც პიროვნული უფლებების ხელყოფითაა მიღებული, შესაძლებლობისამებრ უნდა იქნეს გამოანგარიშებული და ფულადი კომპენსაციის მეშვეობით მთლიანად ამოღებული.<sup>607</sup> ამდენად, ქონებრივი ზიანის ანაზღაურება პრევენციის, სატისფაქციისა და საკომპენსაციო ფუნქციების მიღწევისკენ მიისწრაფვის. თუმცა კიდევ ერთხელ საგულისხმოა, თუ რამდენად არის შესაძლებელი სუბიექტური მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილება. სამართლისთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს ზიანის ობიექტურ ფორმებში წარმოდგენა.

როგორც აღინიშნა, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობა ძირითადად არის რეგულატიური სამოქალაქო უფლებების უზრუნველყოფის საშუალება.<sup>608</sup> სამოქალაქო სამართლი ძირითადად აწესრიგებს ქონებრივ ურთიერთობებს, ასევე პირად არაქონებრივ ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულია ქონებრივთან. სწორედ ამ ურთიერთობებთან დაკავშირებით იკვეთება რეგულატიური ურთიერთობის სპეციფიკა. თუმცა გარკვეული

<sup>604</sup> იხ. შ. ჩიკვაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, გვ. 386

<sup>605</sup> იქვე, გვ. 378-387

<sup>606</sup> იხ. ქ. გარეალო, დასახ. ნაშრომი, გვ. 140-143

<sup>607</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. თ. ნინიძე, პირადი არაქონებრივი უფლებები, გვ. 75-77

<sup>608</sup> იხ. ქ. კრაშენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 14, 18

პირადი არაქონებრივი ურთიერთობები, რომლებიც არაა ქონებრივთან დაკავშირებული, დაცულია სამოქალაქოსამართლებრივი ნორმებით.<sup>609</sup> ამასთან, ქონებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა დაზარალებულის ქონებრივი მდგომარეობის აღდგენა. მას აქვს კომპენსაციური ხასიათი,<sup>610</sup> რაც ქონებრივი ზიანის ანაზღაურების არსს გამოხატავს. კერძო ცხოვრება მოიცავს რა კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო თუ პირად სფეროებს, თუ დადგა ქონებრივი ზიანი, მისი ანაზღაურების დროს წამყვანი უნდა იყოს საკომპენსაციო ფუნქციის განხორციელება.

### 7.1.1.2. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება

#### ა) არაქონებრივი ზიანი

პირადი ცხოვრების ხელყოფას, გარდა ქონებრივი ზიანისა, შეიძლება მოჰყევეს არამატერიალური ზიანიც ან ორივე ერთად.<sup>611</sup> არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ ზოგადი ნორმა მეცნიერული დისკუსიის შედეგად მოთავსდა დელიქტური ვალდებულებების თავში. აქვე განისაზღვრა არამატერიალური ზიანის ანაზღაურების ძირითადი პრინციპები: არაქონებრივი ზიანი ანაზღაურდება ყველა შემთხვევაში, თუ ზიანი გამოწვეულია მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული მოქმედებით; იგი უნდა ანაზღაურდეს ფულადი ფორმით სასამართლოს მიერ დადგენილი ოდენობით; მორალური ზიანი ანაზღაურდება ქონებრივი ზიანისაგან დამოუკიდებლად. იგი ანაზღაურდება, მიუხედავად იმისა, არამატერიალურ ზიანთან ერთად დადგა თუ არა ქონებრივი ზიანი და ეს უკანასკნელი ანაზღაურდება თუ არა.<sup>612</sup> ამდენად, ამ თვალსაზრისით დელიქტური სამართლის როლი პირადი ცხოვრების დაცვაში განსაკუთრებულია და უკავშირდება არაქონებრივი ზიანისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძვლებს. აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს, კონკრეტულად რომელ ასპექტებს მოიცავს არამატერიალური ზიანი. ასევე დასადგენია, თუ რამდენად მართებულია ტერმინ „მორალური ზიანის“ გამოყენება და გამოსაკვლევია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების კრიტერიუმები, რასაც, გარდა თეორიულისა, პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

არაქონებრივი ზიანისთვის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა რამდენიმე პირობის კუმულატიური წესით არსებობას უკავშირდება. შესაბამისად, თუ არამატერიალური ზიანი მიზეზ-შედეგობრივად არის არამართლზომიერი და ბრალეული ქმედების შედეგი, დადგება სამოქალაქო პასუხისმგებლობაც (სსკ-ის 992-ე მუხლი).<sup>613</sup>

<sup>609</sup> იხ. ბ. ბალეინა, დასახ. ნაშრომი, გვ. 24

<sup>610</sup> იხ. ბ. ზოდე, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნებისთვის, გვ. 92-93

<sup>611</sup> იხ. შ. ჩიქვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, გვ. 23

<sup>612</sup> იხ. შ. ჩიქვაშვილი, დელიქტური ვალდებულებები სამოქალაქო სამართალში, გვ. 188

<sup>613</sup> აღნიშნულის თაობაზე იხ. ნ. ბარაბაძე, მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის საფუძვლები, გვ. 68-69

მორალური ზიანი არის არამართლზომიერი მოქმედებით გამოწვეული ფიზიკურ-ზნეობრივი ხელყოფა. არამატერიალური ზიანი არ მოიცავს ქონებრივ ელემენტს და არის წმინდა ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა, თუმცა მორალური ზიანი შეიძლება იყოს არა მხოლოდ არაქონებრივი, არამედ ქონებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგიც.<sup>614</sup> ამდენად, მორალური ზიანი არის ფიზიკური და ზნეობრივი ხასიათის ტანჯვა, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს როგორც დამოუკიდებლად, ისე ერთობლივად და მოჰყვეს უარყოფითი ფსიქიკური რეაქცია.<sup>615</sup>

თ. მონიავა მიიჩნევს, რომ მორალური ზიანი მოიცავს პიროვნების ფიზიკურ და სულიერ ტრავმას, რომელსაც არ მოეძებნება შესაბამისი ფულადი ეკვივალენტი, თუმცა ბოლოს აქვე აერთიანებს ზნეობრივ განცდებს. ბ. ზოიძის აზრით, „ფსიქოლოგიური ზიანი“ მორალური ზიანის იდენტურია, რაც გამოიყენება საერთო სამართლის ქვეყნებში და იგი ზემოხსენებულ ცნებაში გულისხმობს ფიზიკურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას. ამასთან, არაქონებრივი ზიანის ვითარებაში ობიექტური მასშტაბები თვით დაზარალებულის სუბიექტშია.<sup>616</sup> „ფსიქიკა“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს სულს.<sup>617</sup> შესაბამისად, ფსიქიკური არის სულიერის იდენტური. მორალური ზიანი გულისხმობს სულიერ ტანჯვასაც.

„სულიერი ტანჯვა“ შეიძლება მეტ-ნაკლებად გამოიხატოს ცნებით „განცდები“. განცდებს იწვევს სხვადასხვა უსიამოვნება. ინგლისისა და ამერიკის სამართლის თანახმად, „მორალური ზიანის“ ანალოგიურია „ფსიქიკური ზიანი“, რომელიც განისაზღვრება, როგორც „ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა“. „ფიზიკური ტანჯვა“ და „ფიზიკური ზიანი“ ეტიმოლოგიურად არ ემთხვევა ერთურთს. ფიზიკურ ტანჯვას მთლიანად მოიცავს ცნება „მორალური ზიანი“, მაგრამ, გარდა ფიზიკური ტანჯვისა, მორალური ზიანი გულისხმობს ფსიქიკურ ტანჯვასაც. ამასთან, ტანჯვა საბოლოოდ იწვევს უარყოფით ფსიქიკურ რეაქციას.<sup>618</sup> ამიტომ ერდებულებული გვთავაზობს, რომ გამოირიცხოს ტერმინი „ფიზიკური ზიანი“ და შემოღებულ იქნეს ცნება „სხეულის დაზიანება“.<sup>619</sup>

უგლოვის აზრით, სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობები არა მხოლოდ ამცირებს ადამიანის ღირსებას, არამედ მძიმედ მოქმედებს მის ჯანმრთელობაზე, ნერგულ სისტემაზე. პირველ რიგში კი ზიანდება გული. შეურაცხეოფას, როგორც წესი, ორგანიზმი პასუხობს გულისა და ტვინის სისხლძარღვების საპაზმით, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ორგანოები არ იღებენ საკმარის საკვებს, რის შედეგადაც შეიძლება განვითარდეს სტენოკარდია,

<sup>614</sup> იხ. С. Беляцкинъ, Возмещение морального (неимущественного) вреда, в Еженедельном юридическом газете «Право», воскресенье 24 июля, 1911, №29, გვ. 1620-1627; იხ. А. Зейц, Возмещение морального вреда по советскому праву, в журнале «Еженедельник советской юстиции», 1927, №47, გვ. 1465; ასევე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-868-817-2010)

<sup>615</sup> იხ. შ. ჩიკვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, გვ. 26-27

<sup>616</sup> იხ. ბ. ზოიძე, ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვის, წიგნში: „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“, წ. მე-3, თბ., „სამართალი“, 2001, გვ. 469

<sup>617</sup> იხ. ფილოსოფიური ლექსიონი, რედ. ფროლოზა, თბ., 1987, გვ. 620

<sup>618</sup> იხ. შ. ჩიკვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, გვ. 26-27

<sup>619</sup> იხ. А. Ерделевский, Компенсация морального вреда, М., 1996, გვ. 10

მიოკარდის ინფარქტი და ინსულტი, რაც უპელაზე ხშირად ინვალიდობისა და სიკვდილიანობის მიზეზია.<sup>620</sup> ეს ცხადყოფს, რომ ფსიქიკურმა ტანჯვამ შეიძლება გამოიწვიოს ფიზიკური ზიანი. აღნიშნული უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი მტკიცებულებით.

ფიზიკური ტკივილი არის სხეულის ნორმალური მდგომარეობის დარღვევის, სხეულში მავნებელ ძალთა გაჩენის ნიშანი. იგი ტკივილით გვაცნობს, რომ რაღაც საფრთხე გვიახლოვდება და გვაგებინებს, რომ მოახლოებული საშიშროების წინააღმდეგ ზომების მიღება არის საჭირო. იგივე ითქმის ზნეობრივ ტკივილზედაც, რომელსაც აღძრავს ხოლმე ჩვენში განზრახული უსამართლობა, თვითნებობა. ეს ტკივილიც (ფიზიკური ტკივილივით) აფრთხილებს მას, რომ საჭიროა მიღებულ იქნეს ზომები არა იმდენად ტკივილის მოსასპობად, რამდენადაც თვით სიმართლის დასაცავად, რომელსაც თანდათან ძირი ეთხერება ჩვენი უმოქმედო მოთმინების გამო. ასეთი გაფრთხილება ერთ შემთხვევაში ფიზიკური თვითარსებობის დაცვას ეხება, მეორეში კი – ზნეობრივი თვითარსებობისას.<sup>621</sup>

ესე იგი, ზემოთ მითითებულმა ელემენტებმა შესაძლოა წარმოშვას ერთმანეთი და ისინი თითქმის მუდამ განუყოფლად თანაარსებობს,<sup>622</sup> რაც ადასტურებს მათ უპირატეს მნიშვნელობას არაქონებრივი ზიანის არსებობისათვის. ალბათ, სწორედ ამითაა განაკირობებული მესამე ელემენტისადმი (ზნეობრივი) ნიჰილისტური დამოკიდებულება, რადგან ნებისმიერი ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა თავისთავად არაზნეობრივია. მეორე მხრივ, ზნეობრივი მოვლენა არის სულიერის იდენტური, რასაც, თავის მხრივ, ფსიქიკურიც გულისხმობს. შესაბამისად, ზნეობრივ ასპექტზე ცალკე აქცენტირება ზედმეტია და ფაქტობრივად ფსიქიკურის გამეორება გამოდის.

რაც შეეხება „ფსიქოლოგიურ ზიანს“, ის უფრო ფართო ცნებას უნდა წარმოადგენდეს და საკუთარ თავში აერთიანებს სულიერ ტანჯვას.

მორალური ზიანი, პირველდაწყებითი მოსაზრების მიხედვით, ასოცირდება მორალთან, რის გამოც დასაკონკრეტებელია მორალური ზიანის ცნების მოცულობა. საქმე ისაა, რომ სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ აღიარებულია: „მოპასუხეთა მიერ გავრცელებული ცნობები ფაქტების შესახებ აშკარად ლახავს [მოსარჩელის] პატივს, დირსებასა და საქმიან რეპუტაციას, ვინაიდან შეიცავს მტკიცებას მოსარჩელის მიერ კანონის, მორალური ნორმების დარღვევისა და უღირსი საქციელის ჩადენის თაობაზე.“<sup>623</sup> ეს მიღომა არ ეყრდნობა მორალური ზიანის გენეზისს. იგი სულიერ ტანჯვას უკავშირდება და არა ზნეობის ნორმების დარღვევას.<sup>624</sup> ამასთან, სამართალი არ შეიძლება ყველა ზნეობის ნორმას შეიცავდეს, რადგან მო-

<sup>620</sup> იხ. ფ. უგოვ, Грубоє слово, М., «Известия», 1964, გვ. 4

<sup>621</sup> იხ. რ. ფოხ იურიგი, ბრძოლა უფლებისათვის, თბ., 2000, გვ. 55

<sup>622</sup> არაქონებრივი ზიანის სხვადასხვა კლასიფიკაციის შესახებ იხ. კ. ოსაკვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 34-36

<sup>623</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაეოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 1 ივნისის (№ას-168-465-04) და 2005 წლის 29 ივნისის (№ას-627-903-05) გადაწყვეტილებები. იხ. კ. კორქელია, ადამიანის უფლებათა ეკროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, გვ. 203

<sup>624</sup> მორალისა და ზნეობრივი პასუხისმგებლობის შესახებ იხ. კ. ერქომაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 175-183

რალური ქცევის წესები იმდენად ბევრი და მრავალგვარია სხვადასხვა ქვეყნის სინამდვილის გათვალისწინებით, რომ ძნელია მათი ერთად თავმოყრა კანონმდებლობაში. კანონი უნდა იყოს, მორალური ნორმებიდან გამომდინარე, შედგენილი.<sup>625</sup>

ამასთან, ფსიქიკური ან ფიზიკური ტანჯვა თავისთავად ეწინააღმდეგება ზნეობის წესებს და არაა აუცილებელი, რომ ცნებაში აისახოს ის, რაც ისედაც იგულისხმება; შესაბამისად, ლოგიკურად ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა უფრო ამორალური ზიანია, ვიდრე მორალური; ასევე მორალური ზიანის არსი სულიერ ტანჯვას უკავშირდება და არა მორალის ნორმების ხელყოფას; ამასთან, იურიდიული პირის მიერ მორალური ზიანის განცდაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას; ასევე ტერმინი „მორალური ზიანი“ ასოცირდება სოციოლოგიური აზროვნების წესთან და საკითხი განიხილება სოციოლოგიურ ჭრილში, თუმცა იურისპრუდენციისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია პრობლემის სამართლებრივი საფარველი. ამ გაგებით უმჯობესია მორალური ზიანის ნაცვლად ვიხელმძღვანელოთ ტერმინით „არაქონებრივი ზიანი.“<sup>626</sup> ამდენად, არაქონებრივი ზიანი არის ფსიქიკური (ფსიქოლოგიური) ტანჯვა ან სხეულის დაზიანება, რომელსაც მოხდევს მნიშვნელოვანი უარყოფითი (ფსიქიკური) შედეგი ან ორივე ერთდროულად.

## ბ) მართლწინააღმდეგობა

არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს ზიანის მიმეუნებლის ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი. მართლწინააღმდეგობა გულისხმობს მოპასუხის ქმედების მოქმედი სამართლის ნორმებთან შეუსაბამობას. არამართლზომიერი შეიძლება იყოს როგორც მოქმედება (სინამდვილის შეუსაბამო ცნობების გავრცელება), ისე უმოქმედობა (ადამიანის მიტოვება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშ გარემოში). ამდენად, მართლსაწინააღმდეგოა ქმედება, თუ ის კანონით ან სხვა ნორმატიული აქტით არის აკრძალული. რაც შეეხება უმოქმედობას, მისი მართლწინააღმდეგობა ეფუძნება პირის მოვალეობას, რომელიც მას უნდა შეესრულებინა.<sup>627</sup> თუმცა ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი შეიძლება ხელშეკრულების დარღვევიდანაც გამომდინარეობდეს. ამდენად, აქ საქმე შეეხება შემთხვევას, როცა პირი ვალდებული იყო, განეხორციელებინა გარკვეული ქმედება, პქონდა ამის შესაძლებლობა, თუმცა არ შეასრულა ან არაჯეროვნად შესასრულა კანონით თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობა.<sup>628</sup> შესაბამისად, ქმედების მართლზომიერი ხასიათი გამორიცხავს სამოქალაქო პასუხისმგებლობას.

<sup>625</sup> იხ. კ. წერული, კონსტიტუციური მოვალეობები ობიქტური აუცილებლობაა, თბ., 1995, გვ. 6.

<sup>626</sup> აღნიშნული მოსაზრების შესახებ იხ. გ. ჩიქვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, გვ. 27.

<sup>627</sup> იხ. ხ. ბარაბაძე, მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის საფუძვლები, გვ. 70-71.

<sup>628</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. კ. ქოჩაშვილი, ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, „სამართლის ურნალი“, 2009, №1, გვ. 82.

## გ)მიზეზ-შედევობრივი კავშირი

არამატერიალური ზიანისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დასაკისრებლად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ასევე ქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობას. მაშასადამე, მართლსაწინააღმდეგო ფიზიკურმა ან ფსიქიკურმა ტანჯვამ უნდა გამოიწვიოს უარყოფითი შედეგი. თუმცა გამოიყენება ასევე არამატერიალური ზიანის ანაზღაურების პრეზუმუცია ანუ პიროვნების მიმართ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენით ივარაუდება, რომ მას არაქონებრივი ზიანი მიადგა (ვიდრე ამის საწინააღმდეგო დამტკიცდება). აქედან გამონაკლისი შეიძლება შეეხოს ფსიქიკურად დაავადებულ პირს, ვინაიდან მას არ ძალუმს საკუთარი უფლებების შელახვისა და ფიზიკური თუ სულიერი ტანჯვის არარსებობის გაცნობიერება.<sup>629</sup> ამასთან, მართალია, მიზეზობრივი კავშირის შესახებ გამოიყოფა მრავალი თეორია (აუცილებელი და შემთხვევითი მიზეზობრივი კავშირის თეორია, შესაძლებლობისა და სინამდვილის თეორია და სხვ.), მაგრამ პრაქტიკასთან ყველაზე ახლოსაა პირდაპირი და არაპირდაპირი მიზეზობრივი კავშირის თეორია. აღნიშნული მიდგომის მიხედვით, მიზეზობრივი კავშირის დასადგენად გადამწყვეტია მოვლენებს შორის ობიექტური კავშირის არსებობა, ხოლო მიზეზი და შედეგი მნიშვნელოვანია მხოლოდ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში. სსკ-ის 412-ე მუხლშიც აღიარებულია, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება ზიანი, რომელიც ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგია.<sup>630</sup>

## დ)ბრალი

ზოგადი წესის თანახმად, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ ზიანის მიმუნებლის ბრალეული მოქმედების დროს, რაზეც მითითებულია სსკ-ის 412-ე მუხლში. ამდენად, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების აუცილებელი პირობაა ბრალი, რომელიც ვლინდება განზრახვასა თუ გაუფრთხილებლობაში.<sup>631</sup>

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, პირს შეიძლება დაეკისროს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისთვის შემდეგი პირობების კუმულატიურად არსებობისას: ა) თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ; ბ) ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა; გ) განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისთვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხება გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითაც მცდარი ფაქტის შემცველი განცხადე-

<sup>629</sup> იხ. ნ. ბარაბაძე, მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის საფუძვლები, გვ. 69-71

<sup>630</sup> იხ. ზ. ახვლევიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბ., „სამართალი“, 1999, გვ. 68-69

<sup>631</sup> იქვე გვ. 69

ბის გავრცელება. შესაბამისად, მოსარჩევლებ უნდა ამტკიცოს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს მის შესახებ, ამ განცხადებით მას მიადგა ზიანი და მოპასუხე მოქმედებდა ბრალეულად.<sup>632</sup>

თუმცა ცივილისტიკაში არის გამონაკლისი წესიც, როდესაც ბრალის გარეშეც შეიძლება პასუხისმგებლობა დადგეს არამატერიალური ზიანის-თვის. ამ შემთხვევაში ნეგატიური პასუხისმგებლობა მისი პოზიტიური ასპექტისგან მოწყვეტილია და იგი სხვა რამეა, ვიდრე პასუხისმგებლობა. საერთოდ, ზიანის მიუენებიდან წარმოშობილ სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობაში უპასუხისმგებლობის ცნება გამოსადეგია აბსოლუტური უფლების მიმართ, რომლის დარღვევაც წარმოშობს დელიქტურ ვალდებულებას. აღნიშნულს იმიტომ აქვს ადგილი, რომ დელიქტურ ვალდებულებას წინ უსწრებს აბსოლუტური სამართლებრივი ურთიერთობა და აქ ხდება ზიანის მიუენება. მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს ახალი ვალდებულების წარმოშობას. არასახელშეკრულებო ვალდებულებისაგან განსხვავებით, სახელშეკრულებო ურთიერთობაში არსებობს პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტი, ვინაიდან სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისას ახალი სახელშეკრულებო ვალდებულება არ წარმოშობა და მხარე უნდა მოეკიდოს ამ ვალდებულების შესრულებას პასუხისმგებლობით.<sup>633</sup>

არაქონებრივი ზიანისთვის ბრალის გარეშე სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა დადგება, თუ ზიანი მიადგა ფიზიკური პირის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას მომეტებული საფრთხის წყაროთი; ასევე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში უკანონო მიცემის, დაკავების ან მის მიმართ ადმინისტრაციული სახელის უკანონო შეფარდების დროს; პატივის, ღირსების თუ სახელის ხელმყოფი ცნობების გავრცელების და სხვა შემთხვევებში.<sup>634</sup> აქ არამატერიალური ზიანისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება არა თვით ზიანის მიმუენებლს, არამედ სუბიექტებს, რომლებიც, კანონის ძალით, იღებენ საკუთარ თავზე მატერიალურ პასუხისმგებლობას ზიანის მიმუენებლის მიერ გამოწვეული ზარალისთვის. მაგალითად, თუ სახელმწიფო მოსამსახურის უკანონო ქმედებას მოჰყვა არაქონებრივი ზიანი, ზიანისთვის პასუხს აგებს სახელმწიფო; თუ სინამდვილესთან შეუსაბამო ინფორმაცია გავრცელდა, რამაც გამოიწვია პირადი ცხოვრების ხელყოფა, არამატერიალური ზიანისთვის პასუხისმგებელია მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.<sup>635</sup> თუმცა პირადი ცხოვრების ბრალებული შელახვის შემთხვევაში საჯარო მოსამსახურები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს. ამასთან, სახელმწიფო ორგანოს (თანამდებობის პირის) ბრალებულობის პრეზუმუცია ყოველთვის არსებობს და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდება, თუ ბრალის არარსებობას დაამტკიცებს.<sup>636</sup>

<sup>632</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამქარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება (საქმე №810-1129-07)

<sup>633</sup> იხ. გ. ნაჭერია, ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, გვ. 272-273, 173

<sup>634</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. გ. ბარაბაძე, მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის საფუძვლები, გვ. 72-73

<sup>635</sup> იქვე, გვ. 73-74

<sup>636</sup> იხ. გ. ბარაბაძე, მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა, თბ., „უნივერსალი“, 2012, გვ. 196

ზემოაღნიშნული, თავის მხრივ, უკავშირდება სსკ-ის 413-ე მუხლს, რომელიც სსკ-ის 1005-ე მუხლთან ერთად უნდა განიხილებოდეს. ამ ნორმათა ანალიზი ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი დელიქტური ვალდებულებების საფუძველზე უნდა გადაწყდეს. არამატერიალური ზიანი ანაზღაურდება სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობის თვის ვნების მიენების დროს (სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილი). თუ ასეთი მატერიალური შედეგი არ დადგა და შემთხვევა სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის წინაპირობებს აკმაყოფილებს, დაზარალებული მოითხოვს ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას. თუმცა აქ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია არამატერიალური ზიანის ანაზღაურება. ამიტომ, ნ. ბარაბაძის აზრით, არამატერიალური ზიანის ანაზღაურებას ამ შემთხვევაში სამართლებრივი საფუძველი რომ პქონდეს, უმჯობესია სსკ-ის 1005-ე მუხლში მიეთითოს ამ სახის ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის შესახებ.<sup>637</sup> ამდენად, მიზანშეწონილია აღნიშნული საკითხი სსკ-ის 1005-ე მუხლთან მჭიდრო კავშირში განიხილებოდეს, ვინაიდან ეს მუხლი ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლს და გულისხმობს კომპენსაციის მიღების უფლებას მატერიალური თუ არაქონებრივი ზიანისთვის. პირის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის ხელყოფას, როგორც წესი, ყოველთვის მოსდევს მძიმე შედეგი სულიერი განცდებისა და ფიზიკური ტანჯვის სახით. ამიტომ გასაზიარებელია მოსაზრება, რომ არამატერიალური ზიანის კონსტიტუციური გაგება უნდა აისახოს სსკ-ის მე-18 მუხლშიც, რათა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრინციპა აზრი არ დაკარგოს.<sup>638</sup>

### ე) არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების კრიტერიუმები

არაქონებრივი ზიანის დროს ზეწოლა ხდება ადამიანის სულიერ ასპექტებზე. ამიტომ დაზარალებულის მოთხოვნა არამატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სატისფაქციური მოთხოვნაა ანუ შესაძლებლობა, დაიკმაყოფილოს სხვა სულიერი თუ ქონებრივი ინტერესები. ზიანის ანაზღაურება ხშირად არა თუ რესტიტუციურ, არამედ კომპენსაციურ ბუნებას ატარებს. ამდენად, მორალური ზიანის რეპარაციაც ყოველთვის კომპენსაციური ხასიათის იქნება.<sup>639</sup> „ზიანის რეპარაციისთვის სამართლის განკარგულებაში მხოლოდ ორ საშუალებაზე საუბრობს გრ. რცხილაძე: 1) აღდგენა იმ ფაქტობრივი მდგომარეობისა, რაც ვნების მიუენებამდე არსებობდა (ქ. წ. „რესტიტუციო“); 2) ფულადი თანხის გადახდევინებით ანაზღაურება იმ დანაკლისისა, რასაც განცდილი ზიანი გულისხმობს (ქ. წ. „კომპენსაციო“).“ არაქონებრივი ზიანის რესტიტუცია ვერ მოხდება ამ ზიანის ხასიათის გამო. რჩება ფულადი ანაზღაურება. ფულადი ანაზღაურება არამატერიალური ზიანის ეკვივალენტური ვერ იქნება, ვინაიდან მორალისა და ფულის გათანაბრება დაუშვებელია.<sup>640</sup>

<sup>637</sup> იქვე, გვ. 196, 210

<sup>638</sup> იხ. შ. ჩიკვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, გვ. 190

<sup>639</sup> იხ. თ. ნინიძე, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართლში, გვ. 45, 54-55

<sup>640</sup> იხ. გრ. რცხილაძე, მორალური ზიანის ანაზღაურება, „საბჭოთა სამართალი“, 1928, №4, გვ. 81

ცხადია, საკომპენსაციო ფუნქციის განსახორციელებლად უპირველეს ფაქტორად ითვლება ფსიქიკური ზიანი ანუ სულიერი ტკივილი, რომელიც პიროვნული უფლებების შეღარების შედეგად შეიძლება დადგეს. თუ ფსიქიკური ზიანი აისახება დაზარალებულის ფსიქიკურ მდგომარეობაზე, მაშინ წინა პლანზე უნდა წამოიწიოს ასანაზღაურებელი ზიანის მნიშვნელოვანი მასშტაბები. რაც შეეხება კომპენსაციის მოცულობას, ის განსაკუთრებით შეიძლება გაიზარდოს ინტიმური სფეროების ხელყოფისას. ამასთან, თუ პიროვნული უფლებები შეიღავა მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებებით, მაშინ უნდა იქნეს გათვალისწინებული ასევე გამოქვეყნებული მასალის მოცულობა, ფორმა, გამოქვეყნების ადგილი.<sup>641</sup>

ამდენად, ქონებრივი ზიანისაგან განსხვავებით, გაცილებით რთულია, დადგინდეს, თუ რა ოდენობით უნდა ანაზღაურდეს არაქონებრივი ზიანი, ვინაიდან ამ შემთხვევაში იღავება არამატერიალური სიკეთეები, რომლებსაც ფულადი ეკვივალენტი არა აქვთ. კანონში დადგენილია, რომ არაქონებრივი ზიანი უნდა ანაზღაურდეს გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით (სსკ-ის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). თუმცა აქ არაა განსაზღვრული, თუ რა შეიძლება გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებად ჩაითვალოს. საქმე ისაა, რომ ეს საკითხი შეფასებითია და მისი დადგენა მთლიანად სასამართლოს შეხედულობაზე უნდა იყოს დამოკიდებული. ასევე სასამართლომ საქმის განხილვისას უნდა გაითვალისწინოს სხვა უფრო ობიექტური გარემოებები, როგორიცაა, მაგალითად, ყალბი და სახელის გამტები ცნობების სიმძიმე და მისი გავრცელების ფარგლები. თუმცა სასამართლოსთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოცულობის დადგენისას ამოსავალია მოსარჩევის მოთხოვნა, რომლის ფარგლებსაც ის ვერ გასცდება. მართალია, მოსარჩევე სასარჩევლო განცხადებაში უთითებს ფულად თანხას, რომელიც, მისი აზრით, მიმართულია მიუენებული სულიერი თუ ფიზიკური ტკივილის კომპენსირებისკენ, მაგრამ საბოლოოდ ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო საქმის გარემოების შეფასების შედეგად.<sup>642</sup>

არაქონებრივი ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ ფულადი ფორმითა და განსაზღვრული ოდენობით. ამასთან, ის შეიძლება ანაზღაურდეს ქონებრივი ზიანისაგან დამოუკიდებლად. ზიანის ანაზღაურებისას გადამწყვეტია ზიანის სიმძიმე, ბრალის ხარისხი. მსუბუქი სულიერი განცდები და ფიზიკური ტკივილები მხედველობაში არ მიიღება. არაქონებრივი ზიანისთვის კომპენსაცია მოპასუხეს არ ეკისრება, თუ მის მიერ მიუენებულმა ტკივილმა არ გამოიწვია ფიზიკური ან სულიერი ტანჯვა. ასევე უნდა დამტკიცდეს, არსებობდა თუ არა „ხანგრძლივი ტანჯვა“, რომელმაც სერიოზული შედეგები გამოიწვია. ამასთან გასათვალისწინებელია მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, რათა ისინი არ აღმოჩნდნენ მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში<sup>643</sup> და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება არ გახდეს უსაფუძვლო

<sup>641</sup> იხ. თ. ნინიძე, პირადი არაქონებრივი უფლებები, გვ. 75-76

<sup>642</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, თბ., 25 ივლისი, 2007, გვ. 14-15

<sup>643</sup> იხ. შ. ჩიკვა შვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, გვ. 96-98

გამდიდრების წეარო.<sup>644</sup> აქ მნიშვნელოვანია ფუნქციონალური მიღღომა, რომელიც ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურებას იმ ოდენობით, რაც საკმარისი იქნება პირის „გონივრული ნუგეშისთვის“.<sup>645</sup>

პერძო ცხოვრების უფლების მიზანი არის, დაიცვას პირები არასასურველი საჯაროობისა („right to be let alone“ – განმარტოების უფლება) და ფსიქიკური ხელყოფისგან („mental distress“ – „სულიერი სიმშვიდის დარღვევა“), უზრუნველყოს ის ანაზღაურებით განცდილი არამატერიალური ზიანისთვის.<sup>646</sup> ამასთან, ფულადი ანაზღაურება მხოლოდ სუროგატია და არა პირდაპირი სარეპარაციო იარაღი. უკეთესი სანქციის უქონლობის გამო სამართალი ფულადი თანხის გადახდევინებით უნდა მფარველობდეს უფლებებს, რომელთა შელახვაც არაქონებრივ ზიანს იწვევს.<sup>647</sup> თუმცა არამატერიალური ზიანის თითოეული შემთხვევა უნდა შეფასდეს „სამართლის სისტემის საერთო მიზნების თვალსაზრისით და ანაზღაურდეს მხოლოდ ისეთი ზიანი, რაც დაცვის დირსი მორალური სიკეთის შელახვისაგან წარმოსდგება.“<sup>648</sup>

გარდა ამისა, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას შეიძლება ჰქონდეს სადამსჯელო (ანუ რეპრესიული) ხასიათი, ვინაიდან ის ემსახურება შერისძიებას.<sup>649</sup> არამატერიალური ზიანის ანაზღაურების რეპრესიული ხასიათი ძირითადად შეიძლება იყოს მხოლოდ სისხლის სამართალში, რათა გარკვეული ზემოქმედება მოახდინოს სამართალდამრდველზე. თუმცა სამოქალაქო სამართალშიც გვხვდება რეპრესიის ელემენტები იმ თვალსაზრისით, რომ არამატერიალური ზიანის ერთ-ერთ ფუნქციად უნდა ჩაითვალოს ზიანის მიმყენებელზე ზემოქმედების მოხდენა. აქ არსებითია ქონებრივი უფლებების აღდგენა, რასაც კომპენსაციის ფუნქცია აღწევს. ამდენად, პასუხისმგებლობის რეპრესიული, სატისფაქციური და პრევენციული ფუნქციების კომბინაცია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ერთიანი მიზანია, რაც უნდა აისახოს არამატერიალური ზიანის ფულად ანაზღაურებაში.<sup>650</sup>

გარდა აღნიშნულისა, შეცდომის გამოსწორება მხოლოდ გამოთქმული აზრის საჯაროდ უარყოფაში არ უნდა გამოიხატებოდეს, რადგან ეს ნაწილობრივი რეპარაციაა. მართალია, სულიერი ტანჯვის ფულადი ერთეულით გადმოცემა როული და პირობითია, მაგრამ აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს არაქონებრივი ზიანის რეპარაციისთვის, თუმცა ის მხოლოდ სუროგატია. ამიტომ ამას უნდა დაემატოს უფლების დაცვის სხვა ფორმა. ამდენად, არაქონებრივი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკომპენსაციო ფუნქცია მიიღწევა დაცვის ორი ფორმის გამოყენებით, რომელთაგან ერთერთი იქნება ფულადი ფორმით ზიანის ანაზღაურება.

აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ საქმის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე, გა-

<sup>644</sup> ი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-440-754-09)

<sup>645</sup> ი. ი. Ogus F. I, The Law of Damages, L., 1973, გვ. 195

<sup>646</sup> ი. კარლ-პაინ უკერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 67

<sup>647</sup> ი. თ. ნინიძე, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, გვ. 50

<sup>648</sup> გ. რცხილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 82

<sup>649</sup> ი. ა. ხეიცი, დასახ. ნაშრომი, გვ. 1466

<sup>650</sup> ი. თ. ნინიძე, პირადი არაქონებრივი უფლებები, გვ. 74

მოთქმული აზრის საჯაროდ უარყოფამ შეიძლება შეამციროს ფულადი კომპანიების ოდენობა. დაცვის ორი ფორმის გამოყენების საფუძველი კი არის მიუენებული ტანჯვისა და სულიერი განცდის შემსუბუქება. პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისას უმნიშვნელოვანებისა ამ სიკეთების ხელყოფის უარყოფა იმავე საშუალებებით არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად და იმ ეფექტის დასაცმაყოფილებლად, რომლის იურიდიული ინტერესიც დაზარალებულს აქვს. სწორედ ამ ეფექტის შეფასება შეიძლება იყოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ოდენობის დადგენის ერთ-ერთი კრიტერიუმი. თვით „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხის მიერ შესწორების ან უარყოფის კანონით დადგენილ ვადაში გამოქვეყნება არაა საკმარისი ცილისწამებით მოსარჩელისთვის მიუენებული ზიანის ჯეროვანი ანაზღაურებისთვის, მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს ქონებრივი ან არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება.<sup>651</sup> აღნიშნულს დიდი მნიშვნელობა აქვს დაზარალებულის სულიერი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ტანჯვის შემსუბუქებისთვის.

საგულისხმოა, რომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ვერ იქნება სრული სატისფაქცია, ვინაიდან აქ შეუძლებელია თითოეული სუბიექტური ასპექტის გათვალისწინება. ამასთან, თ. ნინიძე სრულიად მართებულად უსვამს ხაზს, რომ თუ ზიანის ანაზღაურებისას მისი მხოლოდ ერთი ნაწილის ამოღება მოხდება, ზიანის მიმყენებლის მხრიდან არის ასეთი ხასიათის ქმედების განმეორების საშიშროება. ამ შემთხვევაში არაქონებრივი ზიანის მიუენება სამართალდამრღვევისთვის მომგებიან საქმედ რჩება და მიღწეული ვერ იქნება სასურველი პრევენცია. თუ პირადი ცხოვრების ხელყოფა არავითარ სუბსტანციურ ზიანს არ აყენებს პიროვნებას, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას სიმბოლური დატვირთვა აქვს. მაგრამ სიმბოლური ფულადი ანაზღაურებით ხდება როგორც დარღვეული პიროვნული უფლების აღიარება, ისე ქონებრივი ზემოქმედება პიროვნული უფლების ხელმყოფზე მის მიერ ჩადენილი დარღვევის სიმძიმის მიხედვით, რასაც თავისთავად ახლავს პრევენციული ფუნქცია უცხო პირების მიმართ.<sup>652</sup> ამასთან, იურისპრუდენციის კვლევის სფერო უნდა იყოს ობიექტურ ფორმებში ზიანის ასახვა. ეს, თითქოს შეიძლება იყოს კომპენსაცია, თუმცა საყურადღებოა, რომ გამონაკლის შემთხვევებში სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობა ხელყოფის შემდეგაც არსებობს.<sup>653</sup> იურიდიულ დაცვაში მოიაზრება შესაძლო ან განხორციელებული სამართალდარღვევების გაფრთხილება და შეწყვეტა (აღკვეთა).<sup>654</sup> ამასთან, გარკვეული პირადი არაქონებრივი ურთიერთობები, რომლებიც არაა ქონებრივთან დაკავშირებული, დაცულია სამოქალაქოსამართლებრივი ნორმებით.<sup>655</sup> ცხადია, ზიანის ანაზღაურება ვერ იქნება იმ

<sup>651</sup> იბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-440-754-09); დაცვის ორი საშუალების გამოყენების შესახებ იბ. რ. ფოს მაისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 175-176

<sup>652</sup> იბ. თ. ნინიძე, პირადი არაქონებრივი უფლებები, გვ. 77, 75-76

<sup>653</sup> ა. ვერშინინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 36

<sup>654</sup> იბ. O. Иоффе, Личные неимущественные права и их место в системе советского гражданского права, გვ. 53

<sup>655</sup> იბ. გ. მალევინა, დასახ. ნაშრომი, გვ. 24

არაქონებრივი ზიანის შესატყვისი. შესაბამისად, კერც საკომპენსაციო ფუნქცია განხორციელდება სრულად.<sup>656</sup> ამდენად, პირად სფეროში შემავალი არამატერიალური ასპექტების დასაცავად უპირველეს ფუნქციად უნდა იქცეს პრევენცია, რომლის შემდგომაც სიმბოლურ დატვირთვას უნდა ატარებდეს საკომპენსაციო ფუნქციის მიღწევა.

### 7.1.13. უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი მოთხოვნა (რესტიტუცია)

ქონებრივი ურთიერთობების რეგულირებაში პრიორიტეტი არა დასჯას, არამედ სამართლიანობის აღდგენას ენიჭება.<sup>657</sup> ეს, თავის მხრივ, უკავშირდება რესტიტუციას. რესტიტუციაში იგულისხმება პირვანდელი ანუ იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება (სსკ-ის 408-ე მუხლი). რესტიტუცია შეიძლება ჩაითვალოს ნორმად, რომლის ძალითაც უნდა აღდგეს თავდაპირველი მდგომარეობა, ხელშეკრულების ბათილად აღიარების ან სხვა პირობების გამო. ამ დროს პირმა, რომელიც უკანონოდაა სხვის ხარჯზე გამდიდრებული, სამართლიანობა ქონების ან თანხის დაბრუნების გზით უნდა აღადგინოს. მოცემული შეიძლება ამ შემთხვევაზეც გავრცელდეს, ვინაიდან აქ აუცილებელია პირის ქონებრივ უფლებებში აღდგენა და მისი მაქსიმალური „რესტიტუცია.“ ამდენად, ეს ის შემთხვევაა, როდესაც დარღვეული უფლება სამართლდარღვევის შედეგად არ წყვეტს არსებობას და შეუძლია რეალურად აღდგენა სამართლდარღვევის შედეგების ლიკვიდირების გზით. დაცვის ეს ფორმა მოიცავს კონკრეტულ მოქმედებათა ფართო წრეს, მაგალითად, პირს, რომლის სახელიც გამოიყენება მისი თანხმობის გარეშე დაწესებულების სახელწოდებად, შეუძლია ამ დაწესებულებას საკუთარი სახელის მოშორება მოსთხოვოს. ასეთივე უფლება აქვს მის მემკვიდრეებსაც. ამასთან, ხელყოფამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა შეიძლება განხორციელდეს დაცვის როგორც იურისდიქციული, ისე არაიურისდიქციული წესებით.<sup>658</sup> ეს ფორმა გულისხმობს კერძო პრევენციის დაცვას. თუმცა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა ასევე უკავშირდება სატისფაქციისა და კომპენსაციის ფუნქციების შესრულებას. ამასთან, კომპენსაცია არ უნდა გულისხმობდეს ზიანის ანაზღაურებით დაზარალებულის უსაფუძლო გამდიდრებას, არამედ ზიანის ქონებრივი შედეგების ლოკვიდირებას უნდა ისახავდეს მიზნად. ის უკავშირდება გათანაბრებითი სამართლიანობის იდეას, რომლის განსაკუთრებულ ფორმად უნდა ჩაითვალოს კომპენსაციური ფუნქციის განხორციელებით ზიანის ანაზღაურებიდან წარმოშობილი პასუხისმგებლობა.<sup>659</sup>

<sup>656</sup> შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, თბ., 25 ივლისი, 2007, გვ. 14-15

<sup>657</sup> იხ. ქ. ლაპაჩი, დასახ. ნაშრომი, გვ. 68

<sup>658</sup> იხ. ტ. დოლიშვილია, დასახ. ნაშრომი, გვ. 59

<sup>659</sup> იხ. ქ. ვარკალო, დასახ. ნაშრომი, გვ. 96

## 7.1.2. უფლების დაცვის სხვა ფორმები

### 7.1.2.1. უფლების აღიარება

არაქონებრივი უფლებების დაცვის ერთ-ერთ ფორმად ითვლება უფლების აღიარება (სსკ-ის მე-18 მუხლი),<sup>660</sup> რომელიც მიმართულია სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრევენციული ფუნქციის განხორციელებისკენ. უფლების აღიარების საკითხი წამოიჭრება უფლების სადაცობის ან საეჭვოობის, ასევე უარყოფის დროს ან თუ არის რეალური საფრთხე, რომ ის უარყოფილი ან სადაცო გახდება. უფლების აღიარება უკავშირდება რომელიმე იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ სასამართლოსთვის მიმართვას.<sup>661</sup> ეს შეეხება სიტუაციას, როდესაც აღიარებულია პიროვნების კერძო სფერო, რომელიც ხელშეუხებელია. აქ შეიძლება პირმა დააყენოს მოთხოვნა მოქმედების შეწყვეტისა და მოქმედების განხორციელების ან მოქმედების განხორციელებისგან თავის შეკავების შესახებ (ნებატორული ან პოზიტიური), ასევე აღიარების თაობაზე<sup>662</sup> მაგალითად, სსკ-ის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ ადგილი აქვს სახელის შეცილებას, მაშინ სასარჩელო მოთხოვნა უნდა ეფუძნებოდეს შემდგომ საფუძვლებს: ა) სადაცო სახელი უნდა ეკუთვნოდეს მოსარჩელეს და ბ) მოპასუხე უნდა უარყოფდეს, რომ სადაცო სახელი ეკუთვნის მოსარჩელეს. შესაბამისად, ამ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა იქნება სახელის აღიარება,<sup>663</sup> რომელიც დაცულია, ხელყოფის ბრალეულობის მიუხედავად. ამასთან, უფლების აღიარება, როგორც უფლების დაცვის ფორმა, დაზარალებულის უფლებების აღდგენას უკავშირდება.<sup>664</sup> ამდენად, პირადი ცხოვრების დაცვის უფლების აღიარებით ყველა მესამე პირს წარმოეშობა ამ უფლების პატივისცემის მოვალეობა. უფლების აღიარებით ცხადია, თუ რომელია „ტერიტორია“, რომელშიც შედგევა აკრძალულია. შესაბამისად, თვით ამ იურიდიული გარემოების აღიარება პრევენციისკენ არის მიმართული.

### 7.1.2.2. მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებისა და შეწყვეტის შესახებ მოთხოვნები

სსკ-ის მე-18 მუხლი არაქონებრივი უფლებების დაცვის ფორმათა შორის გამოყოფს ამ უფლებების ხელყოფი მოქმედების შეწყვეტას ან მათზე უარის თქმას, რომლებიც დაზარალებულის უფლებათა აღდგენას ემსახურება. კანონმდებლობა ამ მოთხოვნების დაყენების შესაძლებლობას ითვალისწინებს ხელყოფის ბრალეულობის მიუხედავად. თუმცა თუ პირადი

<sup>660</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №3-კ-1240-02).

<sup>661</sup> იხ. T. B. Дробышевская, Личные неимущественные права граждан и их гражданско-правовая защита, Краснояр. гос. ун-т., Красноярск 2001, გვ. 58; ა. ჯობახიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 339

<sup>662</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. რ. ფონ მაისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 175-176

<sup>663</sup> თ. ნინოძე, სახელის უფლება, გვ. 59

<sup>664</sup> იხ. თ. ნინოძე, პირადი არაქონებრივი უფლებები, გვ. 70

ცხოვრება შეიძლახა ვინმეს ბრალული მოქმედებით, პირს შეუძლია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება.<sup>665</sup>

ხელმყოფი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავება არის დროებითი განკარგულება და დაინტერესებულ პირს აძლევს სწრაფ და ეფექტურ საშუალებას მედიის სამართალდამრღვევ რეპორტაჟის გაკეთებაზე. მომავალში წამოყენებულ ამ მოთხოვნას შეუძლია კერძო სფეროს ხელმეორედ ხელმყოფა აიცილოს თავიდან; მას ინფორმაციის თანამედროვე ელექტრონული სისტემისა და კომპიუტერზე დამოკიდებული პრესისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მოთხოვნის წამოყენების წინაპირობაა გამეორების საფრთხე, რომელიც ხელმეორედ დარღვევის სერიოზულ საფრთხეს ნიშნავს. ასეთი საფრთხე ივარაუდება, როცა სამართალდარღვევა უკვე მოხდა და არაა გამორიცხული, რომ ეს საფრთხე კვლავ გამეორდეს. თუ მოთხოვნის წამყენებელი არაპირდაპირ საფრთხის მუქარის ვარაუდს ქმნის, მაშინ მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების მოთხოვნა პროფილაქტიური ხასიათისაა და შეიძლება პირმა დააყენოს დასაწყისშივე დარღვევის საფრთხის არსებობისას.<sup>666</sup>

ხელმყოფი მოქმედების შეწყვეტის შესახებ მოთხოვნა მიმართულია მიმდინარე დარღვევის წყაროების ლიკვიდაციისკენ ხელმყოფის შედეგების ლიკვიდაციით. აქ საქმე ეხება არასწორი ფაქტების გავრცელებას, რაც დელიქტურ ვალდებულებებს უკავშირდება. ამ ფორმით შეიძლება ადგილი პქონდეს ადამიანთა შესახებ არასწორი წარმოდგენის შექმნას. ამასთან, პირადი ცხოვრებიდან გარევეული ფაქტების გამოქვეყნება, რისი გავრცელებაც უფლებამოსილ პირს არ სურს, ხელმყოფს მის პირად ცხოვრებას.<sup>667</sup> სწორედ ამ მოქმედების შეწყვეტის შესახებ მოთხოვნის დაყენების შესაძლებლობას ითვალისწინებს სსკ-ი სახელისა და გამოსახულების დაცვის უფლებების შეღაბვისას (მე-18 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები). ამასთან, მოქმედების შეწყვეტის ან მასზე უარის თქმის მოთხოვნათა დაყენება კანონით მკაცრად დადგენილ პირობებში შეიძლება. ნორმადარღვეული უფლების რეალიზაციას კანონმდებელი ორ შემთხვევას უკავშირებს: ა) როცა პირს სახელის ტარების უფლებაში ეცილებიან და ბ) თუ პირის უფლება ილახება მისი სახელის უნებართვო გამოყენებით (სსკ-ის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილი). შეიძლება წარმოშვას შეკითხვა: სასამართლოში სარჩელით წადგენისას სახელის უფლების გამოყენება იმის მიმართ, ვის წინააღმდეგაც სარჩელია შეტანილი, წარმოშობს თუ არა მოქმედების შეწყვეტის შესახებ მოთხოვნას? პასუხი თავად კონსტიტუციაში უნდა ვეძებოთ, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლითაც აღიარებულია სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის უფლება, რაც დამოიკიდებულ სამართლებრივ პრინციპადაც მოიაზრება.

<sup>665</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №3-კ-1240-02)

<sup>666</sup> იხ. პ. მუხლი, დასახ. ნაშრომი, გვ. 128-129

<sup>667</sup> იქვე

ამიტომ ამ უფლების გამოყენება არ ჩაითვლება იმ პირის უფლების შედებაზე, ვის წინააღმდეგაც სარჩელი იყო შეტანილი.<sup>668</sup>

ამდენად, კონკრეტული პირობების არსებობისას დასაშვებია უფლების დაცვის ამ ფორმის გამოყენება, ხელყოფის ბრალეულობის მიუხედავად.

### 7.1.2.3. საკუთარი პასუხის გამოქვეყნების შესახებ მოთხოვნა

საქართველოს კანონმდებლობა პირს აძლევს ასევე უფლებას, მოითხოვს საკუთარი პასუხის გამოქვეყნება. მასში მოიაზრება დაინტერესებული პირის ახესნა-განმარტება, რომელიც პერიოდული ბეჭდვითი მედიის საშუალებით გავრცელებული სტატიის საწინააღმდეგო გარემოებებზე მიუთითებს. საპასუხო მონაცემები უნდა იყოს მოკლედ წარმოდგენილი და ფაქტებზე ორიენტირებული. აქ, ცხადია, უნდა გაიმიჯნოს ფაქტების მტკიცება და აზრის გამოხატვა ერთმანეთისაგან. პრაქტიკულ პრობლემას უკავშირდება საპასუხო მონაცემების დროს წინაპირობისა და დამატებების დასაშვებობა საპასუხო მონაცემების სრულად წარმოსადგენად.<sup>669</sup> სსკ-ი ითვალისწინებს ასევე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობების გამოქვეყნებისას იმავე საშუალებებით პასუხის გამოქვეყნებას (სსკ. მე-18 მუხლის მე-4 ნაწილი),<sup>670</sup> რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია.

საგულისხმოა, რომ დამატება და საპასუხო სიტყვა განსხვავდება ერთმანეთისაგან. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დაწესებულებას არ აქვს უფლება დაინტერესებული პირის მიერ გამოგზავნილი ტექსტი შეცვალოსა და დამატებითი აღნიშვნებით დატვირთოს. ამ დაწესებულებას შეუძლია დაამატოს მხოლოდ ახესნა-განმარტება, თუ ის მისი ფაქტების შესახებ წარმოდგენებთან არის დაკავშირებული ან გაცემულია ცნობები, რომელთა წყაროსაც პირი იმოწმებს. ამ დაწესებულებას არ აქვს უფლება, საპასუხო სიტყვას (უარყოფას) კომენტარი დაურთოს.<sup>671</sup>

### 7.1.2.4. უარყოფის შესახებ მოთხოვნა

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფაქტების უარყოფის შესახებ მოთხოვნას. ის უპირატესად შეეხება პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე მტკიცებას. უარყოფის მოთხოვნის ფორმაც დასაშვებია მხოლოდ ფაქტების მტკიცებებთან დაკავშირებით.<sup>672</sup>

სსკ-ის მე-18 მუხლში დეკლარირებული სიკეთების დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სასამართლო წესით სინამდვილესთან შეუსაბამო

<sup>668</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება (საქმე №ას-152-146-2011)

<sup>669</sup> იხ. კარლ-პაინც ფეცერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 12-13

<sup>670</sup> საპასუხო სიტყვის შესახებ იხ. თ. პერგერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 81-82

<sup>671</sup> იხ. მარი-დერეს ფრიუ, დასახ. ნაშრომი, გვ. 21

<sup>672</sup> იხ. კარლ-პაინც ფეცერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 18

ინფორმაციის უარყოფის მოთხოვნა,<sup>673</sup> რომელიც წარმოიშობა, მიუხედავად ხელყოფის ბრალეულობისა. ამასთან, ეს მოთხოვნა დაზარალებულის უფლებების აღდგენას ემსახურება.<sup>674</sup>

სწორედ მე-18 მუხლთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლო-ში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ მუხლის მე-2 ნაწილი პირს ანიჭებდა უფლებას, მოითხოვოს იმ ცნობების საჯაროდ უარყოფა, რომელიც ლახავს პატივს, დირსებასა თუ საქმიან რეპუტაციას. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს ზღვრულ და გონივრულ ჩარევას სიტყვის თავისუფლებაში, რაც სსკ-ის მე-18 მუხლით დადგენილ უფლების დაცვის ფორმებს გულისხმობს. ამასთან, სსკ-ის მე-18 მუხლი აშკარად უკავშირდება ფაქტებზე მსჯელობას, რაც განსხვავდება შეფასებისაგან. ამდენად, ნამდვილობა შეიძლება დამტკიცდეს მხოლოდ ფაქტებთან დაკავშირებით, აზრი კი მტკიცებას არ ექვემდებარება. შესაბამისად, ამ ორი კომპონენტის (ფაქტისა და აზრის) გონივრული გამიჯვნა არის სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის მართებულად გამოყენების წინაპირობა.<sup>675</sup> თუმცა აზრის თავისუფლების წინ წამოწევამ განაპირობა 2004 წლის 24 ივნისს სსკ-ის მე-18 მუხლში ცვლილების შეტანა, რომლითაც სსკ-ის მე-18 მუხლში გათვალისწინებულ უფლებათა დაცვა შეიძლება მოხდეს „კანონით დადგენილი წესით“. აღნიშნული უკავშირდება „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონს, რომლის 1-ლი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით ცილისწამებად ჩაითვალა არსებითად მცდარი ინფორმაციის შემცველი და პირისთვის საზიანო, მისი სახელის გამტები განცხადება. ამავე კანონის მე-13 მუხლის მიხედვით, პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისთვის, თუ მოსარჩევე სასამართლოში დამტკიცებს, რომ მოპასუხებ გაავრცელა განცხადება, რომელიც შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩევის შესახებ და ამ განცხადებამ მის პატივს, დირსებასა და საქმიან რეპუტაციას ზიანი მიაყენა. აქ მნიშვნელოვანია ფაქტებისა და შეფასებების გამიჯვნა ცილისწამების განსასაზღვრად, კინაიდან ამ კანონის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით.<sup>676</sup>

ამასთან, ამ სახის ფაქტების გავრცელებით პირისთვის ზიანის მიყენების მტკიცების ტკირთი აკისრია მოსარჩევეს. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის თანახმად, პირის მიერ საჯაროდ გავრცელებული ცნობების უარყოფა შეიძლება დაევალოს მას მხოლოდ მის მიერ სხვა პირის ცილისწამების შემთხვევაში. შესაბამისად, ცილისწამების არარსებობა გამორიცხავს საჯაროდ გავრცელებული ცნობების უარყოფის მოთხოვნის დაკმაყოფილებას.<sup>677</sup> ამასთან, აღნიშნული

<sup>673</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 1 ივნისის განჩინება (საქმე №ას-1284-1520-05)

<sup>674</sup> იხ. თ. ნინიძე, პირადი არაქონებრივი უფლებები, გვ. 70

<sup>675</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს (მე-2 კოლგი) 2004 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება (საქმე №2/1/241)

<sup>676</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2012 წლის 20 ოქტომბრის განჩინება (საქმე №ას-1278-1298-2011)

<sup>677</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე №ას-207-194-2011); იხ.

კანონის მე-7 მუხლი განსაზღვრავს, რომ ამ კანონით გათვალისწინებული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის მტკიცების ტკირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს.<sup>678</sup>

სსკ-ის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, პირადი ცხოვრების შეურაცხმყოფელი ცნობების მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გავრცელებისას უარყოფაც ამავე მასობრივი ინფორმაციის საშუალებით უნდა მოხდეს. ამ მოთხოვნის დაყენება დასაშვებია, თუ ცნობების გამავრცელებელი ვერ დაამტკიცებს, რომ გავრცელებული ცნობები სინამდვილეს შესაბამება. ამასთან, შეიძლება დადგეს უარყოფასთან ერთად მიყენებული ზარალისა და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხი. თუმცა თუ გავრცელდა სინამდვილის შესაბამისი ცნობები, გამოირიცხება უარყოფის შესახებ მოთხოვნის უფლების წარმოშობა. ამ სახის ცნობების შეურაცხმყოფელი ფორმის შემთხვევაში დასაშვებია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება.<sup>679</sup>

ასევე საგულისხმოა, რომ გამოთქმული აზრის საჯაროდ უარყოფა ამცირებს არამატერიალური ზიანის ანაზღაურების ოდენობას.<sup>680</sup> ამასთან, თუ პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის დაცვის დროს უზრუნველყოფილია პირის ცხოვრების საზოგადოებრივი მხარეები სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობების გავრცელების უარყოფით, პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა ამ თვალსაზრისით სპეციფიკურია. ეს თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ პირადი ცხოვრების საიდუმლოების ამსახველი ცნობები შეიძლება სინამდვილეს შეესაბამებოდეს, თუმცა თვით პირი იყოს დაინტერესებული ამ ცნობების გახმაურებისაგან დაცვით,<sup>681</sup> ვინაიდან პირადი ცხოვრების საიდუმლოების ამსახველ ცნობებს შეიცავს (სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი). საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ შეიძლება ფაქტობრივი მონაცემები არასრულად გამოქვეყნდეს და ამ შემთხვევაშიც იგივე წესები გამოიყენება, თუ აღნიშნულით იღახება პირის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია.<sup>682</sup>

## მოკლე დასკვნა

როგორც ჩანს, უფლების დაცვის სხვადასხვა ფორმა სამოქალაქო პასუხისმგებლობის კონკრეტული ფუნქციების შესრულებისკენაა მიმართული. ზიანის ანაზღაურებისას უნდა იყოს მხედველობაში მიღებული

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-131-125-10)

<sup>678</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე №207-194-2011)

<sup>679</sup> იხ. 6. ბარაბაძე, მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის საფუძვლები, გვ. 75, 76

<sup>680</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №440-754-09)

<sup>681</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №3-კ-1240-02)

<sup>682</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №ას-593-1241-03)

ობიექტური გარემოებები, რომლებშიც ეს ზიანი აისახება. პირადი ცხოვრების ხელყოფის გამო ზიანის ანაზღაურებისთვის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფუნქციები კუმულატიური წესით არსებობს. კვლევამ ცხადყო, რომ პირადი სფეროს შელახვისას ქონებრივი ზიანის ანაზღაურება, უპირველეს ყოვლისა, საკომპენსაციო ფუნქციის ემსახურება.

ამასთან, პირადი ცხოვრების ხელყოფით გამოწვეული არამატერიალური ზიანის დროს მიზანშეწონილია, მორალური ზიანის ნაცვლად ვიხელმძღვანელოთ ტერმინით „არაქონებრივი ზიანი“, რათა თავიდან ავიცილოთ ზემოთ განხილული გაუგებრობები. რაც შეეხება არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, მისთვის პირველადი უნდა იყოს პრევენციის ფუნქციის განხორციელება. აქვე მნიშვნელოვანია, საკომპენსაციო ფუნქციის გაფართოება. მოცემულ შემთხვევაში უნდა მოიაზრებოდეს გარკვეული ფულადი ანაზღაურება, რომელიც დაზარალებულის მორალურ დაკმაყოფილებაში გამოიხატება. ამ ასპექტების განსახორციელებლად აუცილებელია უფლების დაცვის სხვა ფორმის გამოყენებაც. მაგალითად, უარყოფა ან მოქმედების შეწყვეტა და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება. ეს უნდა იყოს მძიმე პიროვნელი ხელყოფის დროს გამოყენებული. თუმცა პიროვნების ყოველმხრივი დაცვისთვის ძირითადი უნდა იყოს უფლების დაცვის არაქონებრივი ფორმა და დამხმარე ხასიათს უნდა ატარებდეს კომპენსაცია, თუ ეს აუცილებელია შემთხვევიდან გამომდინარე. ცხადია, არაქონებრივი ზიანის დროს განხორციელებული კომპენსაცია სიმბოლური ხასიათისაა, მაგრამ აუცილებელია დაზარალებულის ზიანის შესამსუბუქებლად.

## 8. პირადი ცხოვრების დაცვის უფლების სუბიექტები

### 8.1. ფიზიკური პირების პირადი ცხოვრების დაცვა

სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები არიან პირები. სამართლებრივად აღიარებულია პირის „შესაძლებლობა, გახდეს კერძოსამართლებრივი ურთიერთობის შედეგების ადრესატი: აღიჭურვოს ცალკეული კერძოსამართლებრივი ურთიერთობისთვის დამახასიათებელი უფლებებით და იტვირთოს შესაბამისი ურთიერთობიდან გამომდინარე მოვალეობები.“<sup>683</sup> პირები, თავის მხრივ, იყოფა ფიზიკურ და იურიდიულ პირებად. მართალია, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ძირითადი მონაწილე ადამიანია, მაგრამ ასევე შეიძლება გაერთიანება ან ზოგადად იურიდიული პირიც იყოს. თვით ასეთი ორგანიზმებული წარმონაქმნის უკან დგას ადამიანი, რომელიც ცივილისტიკაში იწოდება ფიზიკურ (ანუ ბუნებრივ) პირად (გერმანულ სამართლის წრეში), მოქალაქედ (რუსულ სამართალში). რაც შეეხება იურიდიულ პირს, ის ყოველი კონკრეტული სამართლის მიერაა შექმნილი და სამართლებრივი რეგულირების მიზნებისთვის გათანაბრებულია ადამიანის სამართლებრივ მდგომარეობასთან, უპირველეს ყოვლისა,

<sup>683</sup> დ. კერძოული კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 96

ქონებრივ ურთიერთობებში.<sup>684</sup> შესაბამისად, გამოსაკვეთია უფლებაუნარიანობისა და უფლების მიმართებანი, რის შემდგომაც უპრიანი იქნება იმის განსაზღვრა, თუ რა თავისებურებებით ხასიათდება პირთა პირადი ცხოვრების დაცვა, რაც კონკრეტულ კანონებზე დაყრდნობით არის შესასწავლი.

სსკ-ის მე-11 მუხლის მიხედვით, ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წარმოშობა დაბადების მომენტიდან. დაბადებად კი მიიჩნევა მომენტი, როდესაც ნაყოფი გამოეყოფა დედის საშოს და დააგმაყოფილებს უკელანიშანს, რასაც თანამედროვე მედიცინა ბავშვის დაბადებას უწოდებს. შესაბამისად, ამ მომენტიდან მას აქვს უნარი, იყოს სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების მატარებელი ანუ უფლებაუნარიანი. უფლებაუნარიანობა არის აბსტრაქტული, უფლება – კონკრეტული.<sup>685</sup> უფლებაუნარიანობის გამოვლენის ფორმად შეიძლება ჩაითვალოს პიროვნული უფლებების ქონის უნარი.<sup>686</sup> ამდენად, პირადი უფლებების წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს დაბადება, თუმცა გარკვეულ შემთხვევაში ისინი შეიძლება წარმოშვას გარიგების საფუძველზე. მაგალითად, საადვოკატო საიდუმლოება. ასევე შეიძლება კანონის ძალით აღიჭურვოს პირი არაქონებრივი უფლებებით. მაგალითად, კომერციული იურიდიული პირის უფლება საფირმო სახელწოდების დაცვაზე.<sup>687</sup>

ამდენად, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მართებულად განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი, ასევე ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის მე-8 მუხლი მხოლოდ მაშინ კი არ გამოიყენება, როცა საქმე ეხება სახელმწიფოსაგან ინდივიდის დაცვას, არამედ თუ ერთი კერძო პირი ხელყოფს მეორე პირის ინტერესებს. ამასთან, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლიც იცავს პიროვნებას როგორც კერძო პირის, ისე სახელმწიფოსაგან.<sup>688</sup>

სამოქალაქო სამართლის ფუნდამენტი არის კერძო ავტონომია, თუმცა ეს როდი ნიშნავს ამ თავისუფლების შეზღუდულობას. ზოგადი წესის მიხედვით, სამოქალაქო ურთიერთობის სუბიექტებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით უშუალოდ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება. თუმცა ეს თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს, თუ ის მესამე პირთა უფლებებს ხელყოფს (სსკ-ის მე-9 მუხლი). მხარეთა კერძო ხასიათის ურთიერთობებიდან წარმოიშობა თავისუფლების შეზღუდვის კლასიკური ფორმები ხელშეკრულებისა და დელიქტის სახით. აქ მნიშვნელოვანია ავტონომიის შეზღუდვა კერძო სამართალში (დელიქტურ სამართალში) აკრძალვების მეშვეობით. ამიტომაცაა, რომ პირმა, რომელიც მოქმედებს კანონსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად აყენებს ზიანს სხვას, უნდა აანაზღაუროს ზიანი (სსკ-ის 992-ე მუხლი).<sup>689</sup> ეს განსაკუთრებით აქტუალურია კერძო ინტერესის ხელყოფისას, გინაიდან სამართლებრივი საფუძვლებით

<sup>684</sup> იხ. ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გვ. 125

<sup>685</sup> იქვე, გვ. 130, 132, 137-138, 147

<sup>686</sup> იხ. დ. კერესელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 135

<sup>687</sup> იხ. შ. ჩიკვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, გვ. 8-9

<sup>688</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 14 აპრილის განჩინება (საქმე №ას-593-1241-03)

<sup>689</sup> იხ. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გვ. 85-89

გარკვეულ საზღვრებში აქცევს სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეობა თავისუფლებას და ასევე კერძო ცხოვრების დაცვას ემსახურება.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, საადვოკატო საიდუმლოების სუბიექტია ადვოკატი,<sup>690</sup> ხოლო საადვოკატო საიდუმლოების გახმაურებისგან დაცვა შეიძლება მოითხოვოს კლიენტმა.

„შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შვილად აყვანასთან დაკავშირებულ ურთიერთობაში პირადი ცხოვრების დაცვის უფლების სუბიექტთა წრე საკმაოდ ფართოა. ეს კატეგორია მოიცავს არასრულწლოვან საქართველოს მოქალაქეს ან საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირს.

„აივ ინფექცია/შიდსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, აივ ინფექციის/შიდსის თაობაზე წარმოშობილ ურთიერთობებში კერძო ცხოვრების დაცვის უფლებით სარგებლობენ საქართველოს მოქალაქე, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად ან დროებით მცხოვრები ან მყოფი ნებისმიერი პირს, უცხოელი მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირი.

საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“ განსაზღვრავს, რომ ჯანმრთელობის დაცვასა თუ მკურნალობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება აქვს პაციენტს. პაციენტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც მიუხედავად ჯანმრთელობის მდგომარეობისა, სარგებლობს, საჭიროებს ან აპირებს ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მომსახურებით („პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „დ“ პუნქტი).

ასევე შეიძლება პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაციის დაცვის უფლება ჰქონდეთ არასრულწლოვნებს, ქმედუუნარო პირებსა და პირებს, რომელთაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ აქვთ საკუთარი უფლებების განხორციელების საშუალება. თუმცა მათი პირადი ცხოვრების ამ ასპექტების დაცვა ხასიათდება სპეციფიკური თავისებურებებით, რაც მათი მდგომარეობითაა განპირობებული.<sup>691</sup>

„კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილია დაცვის ობიექტად ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, უძრავი ან მოძრავი ნივთი („კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტი). შესაბამისად, ამ სიკეთეთა ხელყოფა უკავშირდება პირადი ცხოვრების დაცვას. ამ შემთხვევაში დამკვეთი შეიძლება იყოს ფიზიკური პირიც, რომელიც დაცვით ორგანიზაციას უკვეთავს ობიექტის დაცვას („კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ პუნქტი). მცველად მოიაზრება 18 წელს მიღწეული, ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც დაცვით ორგანიზაციასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს ობიექტის დაცვას და რომელზეც გაიცემა მცველის მოწმობა („კერძო დაც-

<sup>690</sup> აღნიშნულ საკითხის შესახებ იხ. T. V. Дробышевская, Личные неимущественные права граждан и их гражданско-правовая защита, Красноярск, Краснояр. гос. ун-т., 2001, გვ. 77

<sup>691</sup> იხ. პ. (თ.) მოხიავა, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამართლებრივი პროცედურები (სადისერტაციო ნაშრომი), გვ. 75-78

ვითი საქმიანობის „შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ზ“ პუნქტი). ამდენად, მცველს ევალება რა ფიზიკური ან იურიდიული პირის ობიექტის დაცვა, მას შეიძლება დამკვეთის პირადი სფეროს გარკვეული დეტალების შესახებ პქონდეს ინფორმაცია, რაც პირადი ცხოვრების ხელყოფის საფრთხეს ქმნის. ამიტომ აუცილებელია მცველმაც დაიცვას პირადი ცხოვრების საიდუმლოება. ე. ი., მოცემულ შემთხვევაში კერძო სფეროს დაცვის უფლებით სარგებლობს დამკვეთი (ფიზიკური და იურიდიული პირი).

ამასთან, პატიმრებსა და თავისუფლებაადკვეთილებსაც აქვთ პირადი ცხოვრება, თუმცა მათი სამართლებრივი მდგომარეობა ამ თვალსაზრისით შეზღუდულია და გამოიხატება პირადი ცხოვრების მხოლოდ ცალკეულ გამოვლინებებში. ისინი სარგებლობენ საკომუნიკაციო კერძო ცხოვრებით, ასევე გარკვეულწილად პიროვნების განვითარების უფლებით, დირსებისა და პატივის დაცვით (პატიმრობის კოდექსის მე-14 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა.დ.“ და „ა.ე.“ ქვეპუნქტები, ამავე ნაწილის „გ“ და „დ“ პუნქტები, 87-ე მუხლის მე-2 ნაწილი). თუმცა ეს უფლებები განსაზღვრულ შეზღუდულ ფარგლებშია მოქცეული ამ პირთა სამართლებრივი სტატუსის გათვალისწინებით.

რაც შეეხება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტებს, მათ შეიძლება განეკუთვნებოდეს მხოლოდ ქმედუნარიანი ფიზიკური პირები. ფიზიკური პირი ქმედუნარიანი ხდება 18 წლის ასაკიდან, თუმცა გამონაკლის შემთხვევებში (დაქორწინება, ემანსიპაცია) სრულწლოვნების მიღწევამდე წარმოშობს ქმედუნარიანობას (სსკ-ის მე-12 მუხლი). ამასთან, სსკ-ის 994-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ათი წლის ასაკს მიუღწეველი არასრულწლოვანი საქუთარი ქმედებით გამოწვეული ზიანისთვის პასუხს არ აგებს. ეს როდი ნიშნავს იმას, რომ არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანისთვის არავინაა პასუხისმგებელი. მოცემულ შემთხვევაში კანონი ზიანის ანაზღაურებას აკისრებს მშობლებს ან მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირებს. ამ უკანასკნელთა წრეში შედის, გარდა მშობლებისა, მეურვე (მზრუნველი), აღმზრდელებითი, სასწავლო, სამკურნალო დაწესებულებები, საბავშვო ბაღები და ა. შ. თუმცა მშობლებისა და მეურვის (მზრუნველის) პასუხისმგებლობის ფარგლები მეთვალყურეობაზე ვალდებულ სხვა პირებთან შედარებით გაცილებით ფართოა. მშობლები აღნიშნულ შემთხვევებში პასუხისმგებლობას იდებენ თანაბარი წილობრივი პრინციპით. მიუხედავად ამისა, შეიძლება მათი პასუხისმგებლობა გამოირიცხოს მაშინ, თუ მათ არ შეეძლოთ ზიანის თავიდან აცილება, მაგალითად, მძიმე ავადმყოფობის გამო (სსკ-ის 994-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ამასთან, ათ წელზე მეტი ასაკის არასრულწლოვანი ჩვეულებრივ პასუხისმგებელია საკუთარი ქმედებისთვის. თუმცა კანონი აღნიშნულს უკავშირებს არასრულწლოვნის ქონებრივ მდგომარეობას, რის გამოც განისაზღვრება, რომ ის მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს ზიანისთვის, თუ მისი ქონება ან შემოსავალი არის საკმარისი ზიანის ასანაზღაურებლად. თუ არასრულწლოვნის ქონება ან შემოსავალი არ ყოფნის ზიანის ანაზღაურებას, გამოიყენება წარმომადგენელთა დამატებითი პასუხისმგებლობის წესი (ნაწილობრივი ანაზღაურება). სუბსიდიური პასუხისმგებლობა, თავის მხრივ, შეიძლება გამოიხატოს

ასევე ზიანის სრულად ანაზღაურებაში, თუ არასრულწლოვანი საერთოდ ვერ ახერხებს ზიანის ანაზღაურებას.<sup>692</sup>

ასევე საგულისხმოა, რომ ზიანის ანაზღაურება სხვა შემთხვევებშიც შეიძლება დაეკისროს სხვა პირებს და არა ზიანის მიმყენებლებს. მაგალითად, სახელმწიფო არის პასუხისმგებელი სახელმწიფო მოსამსახურის უკანონო ქმედების შედეგად არაქონებრივი ზიანისთვის (სსკ-ის 1005-ე მუხლი). რაც შეეხება პატივისა და ღირსების ან პირადი ცხოვრების ხელმყოფი ცნობების გავრცელებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გზით, ამ შემთხვევაში პასუხს აგებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.<sup>693</sup> ამდენად, პირთა მონაწილეობა სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში ეფუძნება თანასწორობისა (სსკ-ის 1-ლი მუხლი) და კერძო ავტონომიის პრინციპებს (სსკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი). აღნიშნული მხარეთა დისპოზიციურობას უწყობს ხელს და გამოკვეთს ურთიერთდაუქვემდებარებელთა შორის ურთიერთობის სპეციფიკას. თუმცა ეს თავისუფლება გარკვეულ სამართლებრივ ფარგლებშია მოქცეული.

## 8.2. იურიდიული პირი და კერძო ცხოვრების დაცვის პრობლემა

იურიდიული პირების მონაწილეობა სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობაში სპეციფიკურია. საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით არის აღიარებული პიროვნების განვითარების თავისუფლება, რომელიც, თავის მხრივ, ზოგად პიროვნულ უფლებებსაც მოიცავს. საქმე ისაა, რომ პირად არაქონებრივ ურთიერთობაში შეიძლება სუბიექტი იყოს ორგანიზაციაც თავისი პიროვნული უფლებებით. ამასთან, კონსტიტუციის მითითება იურიდიული პირის მიმართ კონსტიტუციის მე-2 თავით განმტკიცებული უფლებებისა და თავისუფლებების იურიდიულ პირზე გავრცელებასთან დაკავშირებით, აჩენს კითხვას, თუ რა ხარისხით შეიძლება შეეხოს ეს უფლებები იურიდიულ პირს. უპირველეს ყოვლისა, მათი ხელყოფისას იურიდიულ პირს ადგება არაქონებრივი ზიანი, ხოლო სსკ-ის 27-ე მუხლიდან ჩანს, რომ იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვისას გამოიყენება მე-18 მუხლის წესები. თუმცა ეს საკითხი ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით, რასაც ქვემოთ შევხებით.

დასაწყისშივე უნდა ითქვას, რომ საკორპორაციო სამართალში ზიანის სპეციალურ ცნებას არ ვხვდებით. იგი იყენებს სამოქალაქო სამართალში განმტკიცებულ ზიანის განსაზღვრებას. ზიანის ანაზღაურების სახეებისა და მოცულობის მიმართ გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის დებულებები და, შესაბამისად, ზიანის გამოთვლის ზოგადი წესები. პროფ. ლ. ჭანტურია აკეთებს მინიშნებას, რომ ამ ხორმებში შეიძლება იგულისხმებოდეს, მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 249-ე და მომდევნო პარაგრაფები,

<sup>692</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. ქ. ჩიქვაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, გვ. 392-395

<sup>693</sup> იხ. ნ. ბარაბაძე, მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის საფუძვლები, გვ. 73-74

სსკ-ის 408-ე და მომდევნო მუხლები და ა.შ.<sup>694</sup> ამასთან, სამოქალაქო სამართალში განასხვავებენ ქონებრივ და არაქონებრივ ზიანს. შესაბამისად, მათ შესახებ წესები ასევე უნდა იყოს საკორპორაციო სამართალში გამოყენებული.<sup>695</sup> თუმცა აქტუალურია იურიდიული პირის არამატერიალური ზიანის ანაზღაურების პრობლემა, ამიტომ განსაკუთრებით აღნიშნულზე შევჩერდებით.

იურიდიული პირისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხი დგება საქმიანი რეპუტაციის დაცვასთან დაკავშირებით. ა. შიჩანინის აზრით, სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა, კომერციული საიდუმლოების გამჟღავნება, სასაქონლო ნიშნით უკანონო სარგებლობა და სხვა აყენებს იურიდიულ პირს მორალურ ზიანი. ამიტომ მას გამართლებულად მიაჩნია კანონში იმის გათვალისწინება, რომ იურიდიული პირის პირადი არაქონებრივი უფლებების სახელის გამტეხი და საქმიანი რეპუტაციის შემდახველი ცნობების გავრცელება ექვემდებარება ანაზღაურებას მოქალაქეებისთვის მიენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პირობებით.<sup>696</sup>

ამასთან, იურიდიული პირის მიმართ მორალური ზიანის ანაზღაურება ვერ იქნება გამოყენებული, ვინაიდან იურიდიულ პირს არ შეუძლია ზნეობრივი ტანჯვის განცდა. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს სხვა ობიექტსაც – იმ კონკრეტულ პირთა პატივსა და დირსებას, საქმიან რეპუტაციას, რომელთა ქმედებითაც ხორციელდება იურიდიული პირის საქმიანობა. თუ რეალობის შეუსაბამო იმ ცნობების გავრცელებით, რომელმაც ზიანი მიაყენა იურიდიული პირის საქმიან რეპუტაციას, ზიანი ადგება ფიზიკურ პირთა – მოცემული იურიდიული პირის თანამშრომელთა – პატივის, დირსებასა და საქმიან რეპუტაციას. იურიდიულ პირებს ფიზიკურ პირებთან შედარებით პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის ნაკლები შესაძლებლობები აქვთ.<sup>697</sup> იურიდიული პირი მორალურ ზიანს განიცდის მხოლოდ საქმიანი რეპუტაციის შელახვისას. აქ უნდა გაფართოვდეს საქმიანი რეპუტაციის ცნება, რომელიც უკავშირდება მის სახელწოდებას, სასაქონლო ნიშანს, კომერციულ საიდუმლოებას და სხვა. ამასთან, ყალბი ცნობების გავრცელება შეიძლება ერთდროულად იყოს პატივის, დირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვის საფუძველი. შესაძლებელია, შეილახოს იმ მუშაკის დირსებაც, რომელიც დაკავებულია პროდუქციის დამზადებით.<sup>698</sup> თუმცა აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს ქონებრივი ზიანიც, ვინაიდან იურიდიულმა პირმა შესაძლებელია ვერ მიიღოს მოგება, რომელსაც იღებდა ხოლმე, კლიენტურა დაკარგოს და სხვა. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ქონებრივი ზიანი

<sup>694</sup> იხ. ლ. ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ., „სამართალი“, 2006, გვ. 400-401

<sup>695</sup> ob. Schiemann, In I. Von Staudingers Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch. 13. Aufl. (1998) vorbem zum §§249ff Rn. 43ff.

<sup>696</sup> об. Шичанин А., Проблемы становления и перспективы развития института возмещения морального вреда. Автореф. канд. дисс. М. 1955, гл. 18. б. ձարձագյուր Յօհանէ Նիկողայովա՞ի պատճեմական ձեռքբա՞ն առաջնօն ու շնորհածական աշխատանքները. 2006, №2, 22, 105.

ଏହା ଦେଖିଲୁ କୀର୍ତ୍ତି କରିବାକୁ ପାଇଁ ଆମେ ଯାଏନ୍ତି, „ଅଳ୍ପତିତିରୁ ଦେଖିବାକୁ ପାଇଁ ଆମେ ଯାଏନ୍ତି“ ।

ანაზღაურდება კონკრეტული წინაპირობების არსებობისას (სსჯ-ის 992-1008-ე მუხლები).

იაროშებულ აღნიშნავდა, რომ „ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვები“ სათანადოდ ვერ გამოხატავს ზიანის არსს იურიდიული პირის მიმართ, რადგან ასეთი ტანჯვები დამახასიათებელია მხოლოდ ადამიანისთვის. მისი აზრით, მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება იურიდიულ პირებსაც აქვთ.<sup>699</sup>

აღსანიშნავია, რომ იურიდიული პირი მხოლოდ სახელი როდია, არამედ იურიდიული პირის მიღმა დგას საერთო ინტერესის ქვეყნის ფიზიკური პირები და მის საქმიანობას წარმართავენ კანონით დადგენილი უფლებამოსილი პირები (ან პირი). ამიტომ მათი (ან მისი) იგნორირება დაუშვებელია. ამდენად, მისი გაგება, მხოლოდ როგორც აბსტრაქტული ცნების, დაუშვებელია. ღირსებაშემლახველი ცნობების გავრცელება ეხება იმ ადამიანებსაც, რომელებიც ამ ორგანიზაციაში, ასოციაციაში მუშაობენ. თუ იურიდიული პირის პატივისა და ღირსების შელახვა შეუძლებელია, მასთან დაკავშირებით მხოლოდ საქმიანი რეპუტაციის ხელყოფაზე საუბარი არასწორია. ამასთან, მორალური ზიანი გულისხმობს ფიზიკურ და ზნეობრივ-ფიქირურ ტანჯვას. იურიდიულ პირს არ შეუძლია ამ ტანჯვის განცდა, თუ არ მიიღება მხედველობაში მასში გაერთიანებული პირები და მისი წარმომადგენელი, რომელთა თავზეც გადადის ღირსებაშემლახველი ცნობების გავრცელების განცდა.

იურიდიული პირების საქმიანი რეპუტაცია ვინაიდან უფრო ფართო ცნებაა, იგი მოიცავს იურიდიული პირის პატივსა და ღირსებასაც. სსჯ-ის 27-ე მუხლში საუბარია იურიდიული პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისას სსჯ-ის მე-18 მუხლის წესების გამოყენებაზე, თ. მონიავას მიზანშეწონილად მიაჩნდა, ასახულიყო მხოლოდ საქმიანი რეპუტაცია, თვით ამ მუხლის მე-3 პუნქტი კი ჩამოყალიბულიყო შემდეგნაირად: „იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში გამოიყენება მე-18 მუხლის წესები“.<sup>700</sup> მიუხედავად ამისა, თ. მონიავაზ თავისივე შეხედულება გადააფასა. იურიდიული პირი აბსტრაქტული ცნებაა და როგორც ნორმატიულ-სამართლებრივი კონსტრუქცია, გამოიყენება იმ ორგანიზაციის გამოსახატავად, რომელიც შეიძლება იყოს კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. იურიდიულ პირში სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლით გაერთიანებული არიან დამფუძნებლები, წევრები, მასში დასაქმებული სხვა ადამიანები და დესტინატერები (წილის მიღებაზე უფლებამოსილი პირები). ისინი იურიდიული პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვას მიიჩნევენ საზოგადოებაში წარმოჩენის პირბად. პირები, რომელთა პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია შეიღასა იურიდიული პირის მიმართ გავრცელებული სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობებით, საზოგადოების თვალში ასოცირდებიან მოცემულ იურიდიულ

<sup>699</sup> ი. კ. Ярошенко, Гражданско-правовая защита чести и достоинства Граждан, Проблемы совершенствования советского законодательства, Труды 43 (Всесоюзный, научно-исследовательский институт советского государственного строительства), М., 1998, გვ. 612

<sup>700</sup> ი. კ. (თ.) მონიავა, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამართლებრივი პროცედურები (სადისერტაციო ნაშრომი), გვ. 25, 93-94

პირთან.<sup>701</sup> მართალია, იურიდიული პირი შეიძლება ერთმა ადამიანმა შექმნას (მაგალითად, შპს), მაგრამ ამ შემთხვევაში მასზე ვრცელდება ყოველივე ზემოთ თქმული. შესაბამისად, საერთო ჯამში იურიდიულ პირს ზოგადად უწდა ჰქონდეს პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფისას არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლება.

გარდა ამისა, სსკ-ის 27-ე მუხლი გვაძლევს მითითებას, რომ იურიდიულ პირებზე ვრცელდება სსკ-ის მე-18 მუხლის ნორმები, რომლებიც პირად არაქონებრივ უფლებებს შეეხება. ამავე კოდექსის 27-ე მუხლში უხერხულადაა ჩამული მოცემული დებულება, ვინაიდან მრავალგვარი ინტერპეტაციის საფუძველს იძლევა: უპირველეს ყოვლისა, იგი მოთავსებულია იურიდიული პირების შესახებ თავის მე-2 ქვეთავში არაკომერციული იურიდიული პირების თაობაზე და ამიტომ ლოგიკურად ფორმალური გაგებით ეს ნორმა მხოლოდ არასამეწარმეო იურიდიულ პირებს ეხება. მეორე, სსკ-ის 27-ე მუხლის მე-5 ნაწილში აღნიშნულია ზოგადად იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში ამ კოდექსის მე-18 მუხლით დადგენილი წესების გამოყენება, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი უნდა გავრცელდეს როგორც არასამეწარმეო, ისე კომერციულ იურიდიულ პირზე, თუმცა მაშინ ისმის კითხვა, თუ რატომაა ეს ნორმა ამ ნაწილში მოთავსებული. მოცემული პრობლემა სამოქალაქო კოდექსის 2005 წლის რედაქციის მიხედვით, იურიდიული პირის შესახებ ზოგად დებულებებში იყო გათვალისწინებული და, შესაბამისად, ეს ნორმა ფართოდ გაიგებოდა (სსკ-ის 27-ე მუხლი, 2005 წლის რედაქციით). იმ დროის მდგომარეობით იურიდიულ პირთან დაკავშირებული ეს საკითხი სწორად იყო მოთავსებული იურიდიული პირის შესახებ ზოგად დებულებებში, ვინაიდან ეხებოდა სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირებს. დღეს, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მოცემულობა „იურიდიული პირი“, არაკომერციული იურიდიული პირების თაობაზე მეორე ქვეთავში ზემოაღნიშნული დებულების მოთავსებით იქმნება ამ ნორმის ორმხრივად გაგების საფრთხე. მოცემული ნორმის სხვა თავში ხელოვნურად გადაადგილებამ გამოიწვია ამ ხარვეზის წარმოშობა. უმჯობესი იქნება, იგი განთავსდეს იურიდიული პირის ზოგადი დებულებების შესახებ თავში, ვინაიდან აქ ზოგადად იურიდიული პირის ორივე სახისთვის დამახასიათებელ თავისებურებებზეა საუბარი.

თ. ნინიძე წარმოაჩენს კომერციული იურიდიული პირის ფირმის ინსტიტუტის საწარმო ორგანიზაციის პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის მიზანს და ამით პროდუქციის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობას. ამასთან, ფირმის მნიშვნელობა დიდია ორგანიზაციის საზოგადოებრივი შეფასების ინდივიდუალიზაციაში, ე. ი. საწარმოს რეპუტაციის, ღირსების ჩამოყალიბება-განმტკიცებაში.<sup>702</sup> იურიდიული პირი რეგისტრაციისთანავე სარგებლობს სახელით. სახელი მისი საზოგადოებრივი შეფასებისა და ინდივიდუალიზაციის მანიშნებელი უმნიშვნელოვანების ელემენტია, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია იურიდიული პირის კერძო ცხოვრების უფლების არსებობა.

<sup>701</sup> ი. თ. მონიავა, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვა საქართველოში (უძველესი დროიდან საბჭოთა პერიოდის ჩათვლით), გვ. 28-29; ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის კომენტარი, მე-3 გამოც., თბ., „სამართალი“, 2002, გვ. 34

<sup>702</sup> ი. თ. ნინიძე, სახელის უფლების შინაარსი, გვ. 36-39

წარმოიშობა კითხვა: როცა ინდივიდს მიადგება ფსიქიკური ტანჯვა (და იგი ამავე დროს საწარმოს დამფუძნებელია), კერძოდ, რა გზას უნდა მიმართოს მან ამ შემთხვევაში. ერთი შეხედვით მას უნდა პქონდეს არჩევანის უფლება, სასამართლოს მიმართოს იურიდიული პირის სახელით ან როგორც ფიზიკურმა პირმა არაქონებრივი უფლებების დაცვის მოთხოვნით. ეს უკვე იწვევს ცნებათა ადრევას. როცა დირექტორის სახელის შეიღება, შეიძლება აღნიშნული შემთხვევა იყოს იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაზიანება? საკითხის ნათლად წარმოსახენად მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: დირექტორს ადგება ფსიქიკური ტანჯვა, ვინაიდან პირმა შეიტანა სარჩელი მის წინააღმდეგ საკუთარი უფლებამოსილების არაჯეროვნად ან არასწორად შესრულების ან თავისი კომპეტენციის განხორციელების შეუძლებლობის თაობაზე. მართალია, დაწესებულების ხელმძღვანელი კონკრეტული ორგანიზაციის სახეა, მაგრამ ეს მოთხოვნა შეეხება დირექტორის საქმიანობის შეუსაბამობას კანონთან ან შინაგანაწესთან, რაც მეტყველებს ფიზიკური პირის რეპუტაციის შელახვაზე. ასეთ შემთხვევაში საქმე ეხება პირის სახელის, პატივისა და ლირსების ხელყოფას, ე. ი. სარჩელი კონკრეტული ადამიანის წინააღმდეგ არის მიმართული. თუ მოთხოვნა შეიცავს მითითებას იმის შესახებ, რომ ესა თუ ის ორგანიზაცია ან ასოციაცია ვერ (არ) ასრულებს საკუთარ უფლება-მოვალეობებს, მაშინ უნდა ვისაუბროთ იურიდიული პირის მისამართით დაწერილ მიმართვაზე. ამასთან, როცა ვიტყვით, რომ ეს შეეხება ფიზიკურ პირს, მაშინ ლოგიკურად სხვა მუშამოსამსახურების მისამართითაც ყოფილა სარჩელი წარდგენილი, რადგან იურიდიული პირი ასოცირდება თანამშრომლებთანაც. მართალია, ამ შემთხვევაში დირექტორსაც და სხვა მუშაკებსაც ადგებათ ფსიქიკური ტანჯვა, მაგრამ, ჯერ ერთი, აღნიშნული განაპირობებდა სარჩელთა რიცხვის გაზრდას, რაც არასწორია, რადგან ჩვენ უნდა მივიღობოდეთ სამართალ-წარმოების გამარტივებისკენ; მეორე, კონკრეტულ სიტუაციაში უპირატესობით სარგებლობს იურიდიული პირის წინააღმდეგ მიმართული მოთხოვნა და სწორედ ეს მომენტები უნდა იქნეს გაზიარებული.

ამასთან, შესაძლებელია, წარმოიშვას სხვა საკითხი, თუ რომელ იურიდიულ პირს აქვს პიროვნული უფლებები. საერთოდ, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება ნაწილობრივ შეიძლება გავრცელდეს კერძო სამართლის იურიდიულ პირზეც. მაგალითად, ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების სუბიექტი სავსებით დასაშვებია იყოს იურიდიული პირი. რაც შეეხება საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, იგი ვერ იქნება პიროვნების თავისუფალი განვითარების სუბიექტი, რამდენადაც იგი ავითარებს არა „საკუთარ პიროვნებას“, არამედ ახორციელებს მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს.<sup>703</sup> თუმცა აქაც არსებობს გამონაკლისები. მათი არსებობა შეიძლება დასაბუთდეს იმით, რომ ზოგიერთი, განსაკუთრებით საეციფიკური ტიპის საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქმიანობას ახორციელებს კონკრეტული ძირითადი უფლების დაცულ სფეროში; ეს იურიდიული პირები ემსახურება ფიზიკურ პირებს და ეხმარება მათ ინდივიდუალური უფლებების განხორციელებაში. ეს გამონაკლისებია: უმაღლესი სასწავლებლები; რელიგიური გაერთიანებები; სახელოვნებო,

<sup>703</sup> იხ. ლ. იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 64

მუსიკალური უმაღლესი სასწავლებლები, ორგესტრები, გალერეები, მუზეუმები და ა. შ. ძირითადი უფლებები, რომლებიც შეზღუდვის გარეშე შეიძლება გავრცელდეს (კერძო სამართლის) იურიდიულ პირებზე, არის მრავალი. მათ შორის ადსანიშნავია ადამიანის პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება (კონსტიტუციის მე-16 მუხლი), ასევე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ძირითადი უფლება ვრცელდება სამუშაო ოფისებზე („პირადი საქმიანობის ადგილი“).<sup>704</sup>

ეს ძირითადი უფლებები იურიდიულ პირებზე, კონსტიტუციის 45-ე მუხლის თანახმად, მათი შინაარსის გათვალისწინებით ვრცელდება. ამდენად, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება (რომელიც შეიცავს პიროვნულ უფლებებსაც) თავისი სპეციფიკის მიხედვით შეეხება კერძო სამართლის იურიდიულ პირს. კერძო სამართლის იურიდიულ პირთან დაკავშირებით პირადი ცხოვრების უფლება არ არსებობს, მაგრამ მას შეიძლება ჰქონდეს კერძო საიდუმლოება, რომელიც ფართო მნიშვნელობისაა, ვიდრე პირადი საიდუმლოება ფიზიკურ პირთან დაკავშირებით. აქ მნიშვნელოვანია კომერციული საიდუმლოების, საქმიანი რეპუტაციის დაცვა...

საგულისხმოა ასევე ის გარემოება, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის რეალური განხორციელება დაკავშირებულია ისეთი სამართლებრივი მექანიზმის შექმნასთან, რომელიც ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას ადგვეთავს. ამ მექანიზმის ძირითადი მამორავებელი ძალა ადამიანის ე. წ. „საჯარო უფლებებია“, რომლებიც გულისხმობს ადამიანის უფლებას, მოსთხოვოს და პასუხი აგებინოს თანამდებობის პირს.<sup>705</sup> პიროვნულ ასპექტში იგი მოიცავს ადამიანის ბუნებრივ ლტოლვას, შექმნას სხვებისგან შეუღახავი, შეუღწევადი საკუთარი ინტიმური სამყარო. საჯარო უფლებების გვერდითაა კერძო უფლებებიც, რომლებიც ორიენტირებულია ადამიანის ინდივიდუალობაზე, განუმეორებლობაზე. ეს წარმოაჩენს სახელმწიფოსა და პიროვნების თანაარსებობის საჯარო და კერძო ასპექტებს. კერძო უფლებები პიროვნების სოციალური აქტიურობის შესაძლებლობასა და საზოგადოებაში გარკვეული უთანასწორობის სარგებლიანობასაც ასაბუთებს.<sup>706</sup> საჯარო სამართლის იურიდიულ პირს აქვს კერძო საიდუმლოების დაცვის უფლება, მაგრამ ეს საჯაროსამართლებრივი უფლებაა და არა ზოგადი პიროვნული უფლება. შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს არა აქვს პირადი საიდუმლოების უფლება, როგორც პიროვნული უფლება (კერძო უფლება). ეს უფლება მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს ისიც გარკვეული სპეციფიკური თავისებურებებით. ამასთან, იურიდიულ პირს არ შეიძლება ჰქონდეს პირადი ცხოვრების უფლება, ვინაიდან ის მხოლოდ ფიზიკურ პირს აქვს; იურიდიულ პირს აქვს კერძო ცხოვრების საიდუმლოების დაცვის უფლება.

<sup>704</sup> დაწვრ. იხ. პ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები (1-ლი გამოც.), გვ. 62-63, 66, 68

<sup>705</sup> იხ. პ. ხაგანელი, „ხელისუფლებათა განაწილების პრინციპი და ადამიანის უფლებების კონსტიტუციური გარანტიები (ბრძოლა უფლებისთვის) კრებულში: „სამართლის რეფორმა საქართველოში“ (გამომც.: ს. ჯორბეგაძე, რ. კნიჭერი, ლ. ჭანტურია), თბ., (1994 წლის 23-25 მაისს თბილისში გამართული საერთაშორისო კონფერენციის მასალები), 1994, გვ. 25-27

<sup>706</sup> იქვე, გვ. 29-30

### **8.3. გარდაცვლილის პირადი ცხოვრების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვა**

#### **8.3.1. გარდაცვლილის პირადი ცხოვრების დაცვა სამოქალაქო კოდექსის მიხედვით**

გარდაცვლილის პირადი ცხოვრების დაცვა ხასიათდება სპეციფიკური თავისებურებებით. ამ პრობლემის გარკვეული ასპექტები აისახა თეორიებში, რომლებიც აღნიშნულ საკითხს სხვადასხვა ჭრილში განიხილავს. განასხვავებენ ზოგადი სამართლებიერობის, ნაწილობრივი ქმედუნარიანობის, უსუბიექტო უფლებების, ზოგადი სამართლებრივი მოვალეობის შესახებ თეორიებს. ასევე არსებობს კონცეფცია, რომელიც გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და მათ უფლებებს იცავს.

ზოგადი სამართლებულიერებობის თეორიის თანახმად, დაცვას ექვემდებარება ადამიანის ღირსება; თანხმობა უნდა გასცეს ცოცხალმა პირებმა. ამ თეორიის მიხედვით, მხედველობაში არ მიიღება ზოგადი პიროვნული უფლება. აქ გარდაცვლილის დაცული უფლებები სცდება არამატერიალურ უფლებათა ფარგლებს და ამიტომ ისინი არ ეკუთვნის ზოგადი პიროვნული უფლების სფეროებს. ნაწილობრივი ქმედუნარიანობის შესახებ კონცეფციის მიხედვით, პირი უკავშირდება პიროვნების არა მხოლოდ აქტიურ, არამედ ასევე პასიურ ნაწილს. პასიური ნაწილი მოიცავს შემოქმედების პროდუქტს, რომელიც აგტორის გარდაცვალების შემდეგ ადამიანისთვის დამახასიათებელ ფუნქციას არ კარგავს. ამიტომ გარდაცვალების შემდეგ არსებობს პიროვნება. თუმცა საგულისხმოა, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით აუცილებელია პირის მიერ უფლებათა აღქმა, რასაც ეს თეორია ვერ ითვალისწინებს. აღნიშნული მიიღწევა ოჯახის წევრთა ან სხვა დაინტერესებულ პირთა მოქმედების თავისუფლების საშუალებით. ამიტომ მიუღებელია არა თუ გარდაცვლილის ქმედუნარიანობის არარსებობა, არამედ გარდაცვალების შემდეგ პირის საკუთარი პიროვნების დატოვება, რასაც ნაწილობრივი ქმედუნარიანობა უკავშირდება. ამ გაგებით საქმე ფიქციას ეხება.<sup>707</sup>

როგორც ჩანს, დასახელებული თეორიები არაა საკმარისი გარდაცვლილის სამართლებულიერებობისა და ქმედუნარიანობის აღსაწერად. ეს არ ეხება სუბიექტის დამოკიდებულებას საგანთან, არამედ უკავშირდება მხოლოდ სუბიექტის განვითარებას. ამასთან, პირი რომ იწოდებოდეს სამართლის სუბიექტად, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა (ზოგადი სამართლებულიერებისა), რასაც უარყოფს ნაწილობრივი ქმედუნარიანობა.<sup>708</sup>

ცალკე გამოიყოფა უსუბიექტო უფლებების შესახებ მოსაზრება. ამ თეორიის არსი ისაა, რომ გარდაცვალების შემდეგ რჩება უსუბიექტო უფლებები დაცვის საგნის სახით. ამდენად, საქმე შეეხება უფლებებს სუბიექტის გარეშე. აქ დაცვის საგანია გარდაცვლილის ნაწარმოები. აღნიშნული კონცეფცია შეიცავს ხარვეზს, ვინაიდან ა-სა და ბ-ს შორის უფლების გადაცემა არის იურიდიული ხასიათის, სადაც უფლება მესაკუთრის გარეშე არსებობს. ამასთან, უსუბიექტო უფლებები გაურბის იდეალური უფლებების

<sup>707</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. შპ. ხ. შვეიცარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 167-170, 181

<sup>708</sup> იქვე, გვ. 174, 181

გადაცემის პრაქტიკულ პრობლემებს. ამ თეორიაში სუბიექტის არარსებობა საგნის არარსებობას ნიშნავს. აღნიშნული თეორიის მიხედვით, ქმედუნარიანობა წყდება სუბიექტის გარდაცვალებით.<sup>709</sup>

არსებობს ასევე ზოგადი სამართლებრივი მოვალეობის თეორია, რომლითაც სამართლებრივი სიკეთე დაცვას ექვემდებარება, მიუხედავად იმისა, ცოცხალია თუ არა პირი. აქ გარდაცვლილის ბიოგრაფია არის დაცვის დირსი. ამასთან, ოჯახის წევრების ემოციური წუხილი უკავშირდება საკუთარი ყოფა-ცხოვრების დაცულ სფეროს.<sup>710</sup>

გარდა ამისა, ჩამოყალიბდა კონცეფცია, რომლის თანახმად, გარდაცვლილის დაცვა შეუძლებელია და გარდაცვლილის დაცვა არაპირდაპირ მიიღწევა მხოლოდ ოჯახის წევრთა (ნათესავების) პიროვნული უფლებების დაცვის გზით. დაცვას ექვემდებარება გარდაცვლილის ბიოგრაფია და შემოქმედება. ამ თეორიის ნაკლი ისაა, რომ არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი ის, რომ ოჯახის წევრთა ზოგადი პიროვნული უფლება და გარდაცვლილის ზოგადი პიროვნული უფლება არაა იდენტური ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ. საქმე შეეხება ოჯახის წევრის პიროვნების განვითარების თავისუფლების სამართლებრივად დაცულ ნაწილს. საერთოდ, პიროვნება სხვა ადამიანთან ერთად ცვლილებას განიცდის, ვითარდება. თუმცა საგულისხმოა ისიც, რომ ოჯახის წევრთა და გარდაცვლილის ემოციური კავშირი არ ქრება.<sup>711</sup>

მართალია, ეს თეორიები შეიცავს ხარვეზებს, მაგრამ თითოეული მათგანიდან არის გარკვეული მომენტები გასაზიარებელი, რაც გარდაცვლილის პირადი სფეროს სამართლებრივი რეჟიმის დაცვის საშუალებას იძლევა.

სამართალში ადამიანი ფიგურირებს პირისა და პიროვნების სახით. „პირი და პიროვნება ადამიანის ორი ურთიერთგანსხვავებული იპოსტასია. ადამიანს, როგორც პირს ანუ სამართლის სუბიექტს აქვს უფლება-მოვალეობანი; პიროვნება ადამიანის სულიერ დირებულებათა ერთობლიობაა“ და „სამართლებრივი დაცვის საგანს წარმოადგენს.“<sup>712</sup> როგორც ცნობილია, სიტყვა „პირი“ წარმოსდგება ლათინური სიტყვა „persona“-სგან, რომელიც ძირითადად გამოიყენება „როლის, ხასიათის, ნიღბის“ გაგებით.<sup>713</sup> ჩვენ სწორედ „პირის“ ნიღაბს ამოფარებული ადამიანი გვაინტერესებს სამართლებრივი გაგებით. თუმცა ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ადამიანი, რომელიც ორი განსხვავებული – რეალური და იდეალური საწყისისგან შედგება. მისი ბიოლოგიური სტრუქტურა და ფსიქიკური პროცესები რეალური არსის სფეროს ეკუთვნის.<sup>714</sup>

<sup>709</sup> იქვე, გვ. 170-171, 182

<sup>710</sup> იქვე, გვ. 172

<sup>711</sup> იქვე, გვ. 173, 184, 185, 186

<sup>712</sup> ო. ნინიძე, პირადი უფლებების დაცვა გარდაცვალების შემდეგ, წიგნში „საქართველოს სამოქადაქო კოდექსის კომენტარი“, წ. I, თბ., „სამართალი“, 2002, გვ. 78-79

<sup>713</sup> აღნიშნული ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ინტერნეტ-გვერდზე: <<https://www.psyrecon.de/content/e480/Publikationen/persoenlichkeit.pdf>> [09.12.09 17:45]

<sup>714</sup> რეალური არსის ამ ნიშნის შესახებ იხ. ს. ავალიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 37; ამასთან, ფიზიკური პირის სამართალსუბიექტობისათვის აუცილებელია და სრულიად საჭმარისი უფლებაუნარიანობის ქონა. ბუნებაში ცოცხალი ადამიანის არსებობა თავისთავად გულისხმობა მისი სახით სამართლის სუბიექტის არსებობას. იხ. ო. ჯულული, ფიზიკურ

ადამიანი, როგორც ფიზიკური პირი ანუ სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტი, გარდაცვალებით ქრება, თუმცა ადამიანი, როგორც პიროვნება, ე. ი. როგორც განსაკუთრებული სულიერი ღირებულება, არ ქრება, არამედ პირიქით, მისი სოციალური ზემოქმედება შეიძლება გაგრძელდეს. იგი რჩება ადამიანთა ცნობიერებაში და სიკვდილის შემდეგაც ინარჩუნებს ღირებულებას საზოგადოებისთვის. ამ გაგებით კანონი იცავს პიროვნებას, ვიდრე არ შეწყდება მისი სოციალური ზემოქმედება. სწორედ ეს ღირებულება არის მოცემული ღირსებაში, რომელიც გარდაცვალების შემდეგაც არის დაცვის ღირსი. სსკ-ის მე-19 მუხლის თანახმად, მე-18 მუხლში დეკლარირებული სიკეთები შეუძლია გამოიყენოს იმ პირსაც, რომელიც თუმცა თვითონ არ არის სახელის ან პირადი ღირსების უფლების მატარებელი, მაგრამ საამისოდ აქვს დაცვის ღირსი ინტერესი. მას შეუძლია სახელისა და ღირსების ისეთი დაცვის მოთხოვნა, რომელიც პიროვნების არსების განმსაზღვრელია და გრძელდება სიკვდილის შემდეგაც. სახელის, პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია. ამავე დროს, ბელორუსიის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსში აღიარდა კონცეფცია, რომლის თანახმად, გარდაცვლილის პირადი უფლებების დაცვას ახორციელებს დაინტერესებული პირი, რომელიც დამოუკიდებელი მოთხოვნის სუბიექტია. თუმცა აქ ჩანს ფიქციის თეორიის ნიშნებიც. საქართველოს კანონმდებლობისაგან განსხვავებით, ბელორუსიის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსი მიუთითებს, რომ გარდაცვლიულის პირადი უფლებების დაცვა შეუძლია „სხვა პირს“, რომელშიც დაინტერესებული პირი უნდა მოიაზრებოდეს. თუმცა ამავე ქვეყნის სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ მიუთითებს, რომ გარდაცვლილის არაქონებრივი უფლებები შეიძლება დაიცვას მისმა მემკვიდრეებმაც (151-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).<sup>715</sup> ანალოგიურია რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი გარდაცვლილის პირადი უფლებების დაცვის თაობაზე (150-ე მუხლი).<sup>716</sup> ამით კანონმდებელი გამოკვეთს, რომ გარდაცვლილის მემკვიდრეებს აკისრიათ უფლებამოსილი პირის დაცვის ექსკლუზიური მოვალეობა. სხვებს შეუძლიათ გარდაცვლილის პირადი უფლებები დაიცვან კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე.

საინტერესოა, თუ ვინ შეიძლება იყოს „დაცვის ღირსი ინტერესის მქონე პირი“. ა. ერდელევსკის აზრით, ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მქონე პირებს განეკუთვნება: მეუღლე, პირველი და მეორე ხარისხის ნათესავები (თუმცა არაა მითითებული, თუ ვინ არიან პირველი და მეორე რიგის ნათესავები), მშვილებლები და ნაშვილები, თუ ისინი ერთად ცხოვრობენ და საერთო მეურნეობას ეწეოდნენ.<sup>717</sup> ამასთან, შესაძლებელია, დამტკიცდეს კიდეც ახლობლის მიერ ფიზიკური ან სულიერი ტანჯვის სიძლიერე დაზარალებულზე მეტად, თუმცა ეს უნდა ნიშავდეს, რომ მას აქვს განცდილი

პირთა სამართლსუბიექტობა (შედარებით-სამართლებრივი კვლევა ქართული და ფრანგული სამართლის მაგალითზე), თბ., „უნივერსალი“, 2007, გვ. 66

<sup>715</sup> ბელორუსიის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის შესახებ იხ. <<http://pravo.levonevsky.org/kodeksby/gk/20110115/dokument.htm>> [20. 10.10 23:44]

<sup>716</sup> იხ. ინტერნეტ-გვერდი: <[http://www.internet-law.ru/law/kodeks/gk\\_1.html](http://www.internet-law.ru/law/kodeks/gk_1.html)> [23.10.10 23:40]

<sup>717</sup> იხ. A. Ерделевский, Компенсация морального вреда, 2-е издание, М., «БЕК», 2000, გვ. 105 6. ბარაბაძე, მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირები, გვ. 103

არამატერიალური ზიანი. შ. ჩიკვაშვილი მიიჩნევს, რომ ასეთი მსჯელობით შეიძლება არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლების მქონე პირთა წრე გაფართოვდეს და აღნიშნულმა ამ ზიანის ანაზღაურების მნიშვნელობამ აზრიც დაკარგოს. ამიტომ მიზანშეწონილია, ასეთი უფლებით სარგებლობდნენ გარდაცვლილის მეუღლე, მშობლები, შვილები და დედ-მამის შვილები, ბაბუები, ბებიები, მმები, დები, მემკვიდრე, მისი არარსებობისას კი გარდაცვლილის ღირსება, შეიძლება დაიცვას მისმა მეგობარმაც. რამდენადაც ოჯახისა და საგვარეულოს ღირსება უკავშირდება დასახელებულ პირთა შორის ურთიერთობასა და ღირსების ურთიერთშერწყმას, ამდენად, თუ დადგინდა განცდილი სულიერი და ფიზიკური ტანჯვის ხარისხი, შესაბამისად, დაკმაყოფილდება სასარჩელო მოთხოვნაც. ფსიქიკური და ზნეობრივი ტანჯვის ხარისხი ასახვას ჰქოვებს არაქონებრივი ზიანის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას.<sup>718</sup> საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურებისთვის აუცილებელია ზიანის, მართლწინააღმდეგობის, ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირისა და ბრალის კუმულატიურად არსებობა.<sup>719</sup>

6. ბარაბაძის თქმით, რაიმე აუცილებლობას არ წარმოადგენს კანონმდებლობაში იმ პირთა წრის განსაზღვრა, რომელთაც არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლება წარმოეშობათ ახლობლის სიკვდილის დროს. აღნიშნული სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით უნდა გადაწყვიტოს.<sup>720</sup>

მიუხედავად ამისა, შექმნილია უზენაესი სასამართლოს მიერ ერთგვაროვანი პრატიკა, რომელიც მიზანშეუწონლად თვლის გარდაცვლილის პირადი ცხოვრების ხელყოფის გამო მესამე პირებისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას. მოცემულის საილუსტრაციოდ აუცილებელია მაგალითის მოხმობა საქართველოს სასამართლოს პრატიკიდან: მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხისაგან (შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის თანამშრომლისაგან) ანაზღაურებას იმ არაქონებრივი და მატერიალური ზიანისა, რომელიც მან განიცადა მოპასუხის მიერ მისი მეუღლის მკვლელობის შედეგად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, არაქონებრივი ზიანი არის პიროვნული უფლებების ხელყოფით გამოწვეული ზიანი, რომლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ ამ უფლებათა სუბიექტს და არა სხვა პირს; მესამე პირი აღნიშნული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას მოკლებულია. განისაზღვრა, რომ გარდაცვალების შემდეგ შეიძლება პირადი უფლებების დაცვა, თუმცა მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია, რაც გამომდინარეობს სსკ-ის მე-19 მუხლიდან.<sup>721</sup> თუმცა ამ საკითხის გარშემო სასამართლო ინსტანციებს შორის

<sup>718</sup> იხ. შ. ჩიკვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, გვ. 33, 161, 130-131

<sup>719</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 15 სექტემბრის განჩინება (საქმე №ას-393-642-08)

<sup>720</sup> იხ. 6. ბარაბაძე, მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირები, გვ. 103

<sup>721</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №3-გ-1218-01)

მაინც არის ორაზოროვნება,<sup>722</sup> რაც ცხადყოფს მის პრაქტიკულ მნიშვნელობას. მიზანშეწონილია, გათვალისწინებულ იქნეს რამდენიმე არსებითი გარემოება, რაც იძლევა საფუძველს, განსხვავებულად განიხილებოდეს აღნიშნული პრობლემა.

საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში ეს პირი თვითონ ხდება არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დამოუკიდებელი სუბიექტი. ამ სუბიექტთა წრეში შედის გარდაცვლილის პირველი და მეორე რიგის ნათესავები, რომლებსაც შეუძლიათ დამოუკიდებელი სარჩელის საფუძველზე პირადად მათვის მიყენებული მორალური ზიანის კომპენსაცია მოითხოვონ. დაინტერესებულ პირთა ჯგუფს განეკუთვნება გარდაცვლილის მემკვიდრეები, რადგან მემკვიდრეობის მიღებით მათ ხელში გადადის ქონებრივი უფლება-მოვალეობები, რომელთა განსხვარციელება ნაწილობრივ განსაზღვრულია გარდაცვალების რეპუტაციით. ამასთან, თუ გარდაცვლილს არ ჰყავს ნათესავი, ოჯახის წევრი და მემკვიდრე, გარდაცვლილის ღირსების დაცვა შესაძლებელია განახორციელოს მისმა მეგობარმაც.<sup>723</sup>

ამასთან, 6. ბარაბაძის თქმით, თუ ახლობელი დაზარალებულისთვის ზიანის მიყენების ფაქტს ესწრებოდა, რამაც გამოიწვია მის მიმართ ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვა, მას დაზარალებულისაგან დამოუკიდებლად უნდა წარმოეშვას არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლება. აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხშირად ახლობელთა მხრიდან სულიერი ტანჯვის განცდის ხარისხი დაზარალებულთან შედარებით შეიძლება გაცილებით დიდი იყოს.<sup>724</sup>

არაქონებრივი ზიანის დროს საქმე ეხება სულიერ აღელვებას, ფსიქიკურ ტანჯვას და როცა ცოცხალი პირის დაცვისას ისეთი ღონისძიებები გამოიყენება, როგორიცაა ცნობების უარყოფა და ფულადი კომპენსაცია, მისაღებია გარდაცვლილთან დაკავშირებითაც იქნეს აღნიშნული ზომები გატარებული. მიუხედავად ამისა, საქმის სიმძიმიდან გამომდინარე, პირს შეიძლება დაეკისროს ფულადი სახით მორალური ზიანის ანაზღაურება, მაგრამ მას თან უნდა დაერთოს უფლების დაცვის სხვა ფორმის გამოყენება. პკალიფიკაცია კი თავად ვითარების შესაბამისად, სიტუაციის ხარისხის მიხედვით უნდა მოხდეს. როცა კანონმდებელი აღნიშნავს, რომ „დაცვის ღირს პირებს“ შეუძლიათ სახელისა და ღირსების ისეთი დაცვის მოთხოვნის განსხვარციელება, რომელიც გარდაცვლილის არსების განმსაზღვრელია და სიკვდილის შემდეგ გრძელდება, მაშინ გაუგებარია მომდევნო წინადადება. მასში მკითხველი ამოკითხავს, რომ სახელის, პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის ქონებრივი მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია.

ალბათ, ლოგიკურად წარმოიშობა კითხვა: მაშინ რა ღირებულებებია პატივი, ღირსება? განა ეს სიკეთები არ წარმოადგენს განუსხვისებელ

<sup>722</sup> პირგელმა ინსტანციამ და სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილეს გარდაცვალების შემდეგ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა, რომელიც შეცვალა შემდეგ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-868-817-2010).

<sup>723</sup> იხ. ქ. ჩიგაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, გვ. 132-133 161

<sup>724</sup> იხ. 6. ბარაბაძე, მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირები, გვ. 101

უფლებებს, რომელთა დაცვა სიკვდილის შემდეგაც გრძელდება? უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ აქ საუბარია მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნის დაუშვებლობაზე გარდაცვალების შემდეგ. ესე იგი, ამ შემთხვევაში შესაძლებელია ქონებრივი ზარალის მატერიალური ფორმით კომპენსაციის მიზნით აღიძრას სარჩელი. ეს აშკარა უპატივის-მცემლობაა გარდაცვლილის მიმართ, რადგან თუ შეიძლება ცოცხალი პირის პატივის ან დირსების ხელყოფისას ქონებრივი სახით მორალური ზიანის ანაზღაურება, მაშინ რატომ უნდა გამოვყოთ გარდაცვლილები ცალკე-მაგრამ რადგან გარდაცვლილი ვერ განიცდის სულიერ ტანჯვას, მისი ინტერესების გამტარებელს მატერიალურად გაცილებით ნაკლები თანხით (ორჯერ ნაკლებადაც კი) უნდა აუნაზღაურდეს ზიანი, ვიდრე ეს გვექნებოდა ცოცხალი პირის მიმართ. ამასთან, ჩვენ დაინტერესებული პირი უნდა წარმოვიდგინოთ, აუცილებელია, შემოვილოთ სახელის პატივისცემის პრინციპი.

გარდაცვლილს რა ფორმით შეიძლება ჰქონდეს პირადი ცხოვრების უფლება? პირადი ცხოვრების უფლების არარსებობა სამოქალაქო კოდექსში გარდაცვლილთან დაკავშირებით არ ნიშნავს იმას, რომ პირადი ცხოვრების უფლება უნდა იქნეს გათვალისწინებული. ჯერ ერთი, ღირსების ხელყოფისთვის გარდაცვალების შემდეგ შეიძლება ღირსების დაცვა. სსკ-ის მე-19 მუხლის მიხედვით, „დაცვის ღირსი ინტერესის მქონე პირის“ მიერ შეიძლება განხორციელდეს სახელის, პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისთვის მორალური ზიანის არაქონებრივი ფორმით (მოქმედების შეწყვეტა და მოქმედების განხორციელებაზე უარის თქმა, უფლების აღიარება) დაცვა. ამასთან, ვინაიდან ამ ნორმაში პირადი საიდუმლოების დაცვის უფლებაზე არაფერია ნათქვამი, უნდა ვივარაუდოთ, რომ გარდაცვლილის პირადი საიდუმლოების ხელყოფისას დასაშვებია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაყენება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პირადი საიდუმლოება პირადი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია, შესაბამისად, გარდაცვლილის პირადი ცხოვრების შელახვისთვის შეიძლება არაქონებრივი ზიანის მატერიალური ანაზღაურება. მაშასადამე, მოქმედებს გარდაცვლილის პირადი ცხოვრების ხელყოფისას არამატერიალური ზიანის ანაზღაურების პრეზუმცია. გარდაცვლილ ადამიანსაც უნარჩუნდება ღირსების ხელშეუხებლობის უფლება. ღირსება ამ ასპექტით წარმოადგენს პირადი ცხოვრების უფლების ელემენტს. შესაბამისად, როცა კავშირი იქნება ღირსების ხელყოფასა და პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფას შორის, უნდა ამოქმედდეს სსკ-ის მე-19 მუხლით დადგენილი დებულება. აღნიშნული, მართალია, არაფერებურია, მაგრამ აუცილებლად უნდა მოხდეს ამ ნორმის გამოყენება გარდაცვალების შემდეგ პირადი ცხოვრების უფლების დასაცავად). მიზანშეწონილია მოცემული უფლების დაცვა ისეთი სამოქალაქო-სამართლებრივი ფორმებით, როგორიცაა უფლების აღიარება, უფლების შემლახავი მოქმედების აღკვეთა, ქონებრივი თუ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება,<sup>725</sup> რაც პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია.

<sup>725</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. თ. ნინიძე, პირადი არაქონებრივი უფლებები, გვ. 64-65

### **8.3.2. გარდაცვლილის პირადი ცხოვრების დაცვა „სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მიხედვით**

სპეციალურ განხილვას იმსახურებს საქართველოს 2004 წლის კანონი „სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, რომელმაც მთლიანად შეცვალა სსკ-ის მე-19 მუხლი. „სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონით ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავა არ შეიძლება ეხებოდეს გარდაცვლილის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას.<sup>726</sup> აკრძალულია გარდაცვლილის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა და მის ნაცვლად სარჩელის წარდგენა სასამართლოში დაუშვებელია, თუ საქმე ცილისწამებას ეხება („სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი). ეს, კანონმდებლის აზრით, მისასალმებელია, რადგან გამოხატვის თავისუფლება მნიშვნელოვანი ფასეულობაა დემოკრატიული საზოგადოებისთვის და მასში ჩარევა დასაშვები უნდა იყოს მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს ამ უფლების შეზღუდვის ძლიერი სოციალური მოთხოვნილება. სამოქალაქო კოდექსი კი უშვებს გარდაცვალების შემდეგ რეპუტაციის უფლების გამოყენებას „დაცვის დირსი ინტერესის მქონე პირის“ მიერ (სსკ-ის მე-19 მუხლი). აღიილი აქვს კანონთა კოლიზიას. თანაბარი იურიდიული ძალის მქონე აქტებს შორის კოლიზისას გვიან მიღებულ აქტს ენიჭება უპირატესობა, ე. ი. კანონს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“<sup>727</sup>

ამდენად, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონმა მრავალი დებულების გადახედვის აუცილებლობის საკითხი დააყენა სსკ-ში გათვალისწინებულ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით. მათ შორის აღსანიშნავია მემკვიდრის მიერ გარდაცვლილის რეპუტაციის დაცვის უფლების გაუქმება. საქმე ისაა, რომ ბუნდოვანია, თუ რა იგულისხმება გარდაცვლილის პირადი უფლებების შესახებ ცილისწამებასთან დაკავშირებით სასამართლოში დაცვის დაუშვებელობაში. ეს ზოგადად უპირისპირდება პრინციპს, რომ ადამიანის ღირსების დაცვა ვრცელდება როგორც გვამზე, ისე გარდაცვლილის ხსოვნაზე.<sup>728</sup> ასევე მიზანშეწონილია, რომ არ იყოს აქ საერთოდ უფლების დაცვა უგულებელყოფილი და უფლების დაცვის სხვა ფორმები იქნეს გამოყენებული (უარყოფა, ქონებრივი ზიანის ანაზღაურება...). ამასთან, კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება“ ამ კუთხით ეწინააღმდეგება კონსტიტუციით დადგენილ დანაწესს პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობის თაობაზე. შესაბამისად, არ უნდა იყოს კონსტიტუციით მინიჭებული დაცვის ხარისხი დაკინებული.

პიროვნების არსების განმსაზღვრელი ღირებულებები (სახელი და ღირსება) ასოცირდება ნაწარმოებთან ორგანულ კავშირში არსებულ ავტორობის, ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის პატივისცემის

<sup>726</sup> იხ. მ. თოდევა, შ. ქურდაძე, ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებანი, თბ., საქართვ. მოსამართლეთა ასოციაცია, 2005, გვ. 54

<sup>727</sup> თავისუფლების ინსტიტუტი, კომენტარები საქართველოს კანონზე „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, თბ., 2005, გვ. 32; <[www.liberty.ge](http://www.liberty.ge)> [20.10.10 23:20]

<sup>728</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. შვ. ბ. შვერსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 172-174

უფლებებთანაც. ამ შემთხვევაში დირსება ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლებებს გულისხმობს. როგორც ვიცით, ავტორობა წარმოშობს სახელის უფლებას, რომელიც მოიცავს ავტორის უფლებას, მიუთითოს ნაწარმოებზე საკუთარი სამოქალაქო სახელი ან გამოგონილი სახელი – ფსევდონიმი ან დარჩეს ანონიმად. სახელი კი ამა თუ იმ პირის ავტორობას ადასტურებს. ესე იგი, კოდექსისეული სახელის უფლება მოიცავს ნაწარმოებთან დაკავშირებულ ავტორობისა და სახელის უფლებებსაც, ხოლო დირსება – ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლებებსაც. იბადება კითხვა: არის ეფექტური სიკვდილის შემდეგ სახელის, პატივის, დირსების ან საქმიანი რეპუტაციის შეღასვისას კანონისმიერი (ან თუნდაც კოდექსისეული) დაცვის ფორმა?

მართალია, პირი უკვე გარდაცვლილია, მაგრამ მისი სახელი არსებობს და პატივი უნდა ვცეთ. თუ გარდაცვალების შემდეგ შეურაცხველოფთ პირს, ე. ი. კონკრეტული ადამიანის საქმიანობა, მისი საქმიანი რეპუტაცია, ის, რაც მან მოელი ცხოვრების მანძილზე მოიპოვა, იბილწება და უფასურდება, ალბათ, ყველას უნდა ეშინოდეს სიკვდილის მერე თავისი სახელის, პატივის ხელყოფის. ამდენად, აუცილებელია გარდაცვლილის პირად არაქონებრივ უფლებებზე ზრუნვა, რომ არ გადაიქცეს თითოეული პირი სიკვდილის შემდეგ გალანძღვისა და შეურაცხველოფის ობიექტიად. გარდაცვლილის პიროვნება ხომ გარდაცვალების შემდგომაც განაგრძობს არსებობას. მიზანშეწონილია, მოცემულ შემთხვევაში გამოვიყენოთ დონისძიებათა (როგორც არამატერიალურის, ისე ფულადი ფორმის) კუმულაცია, რა თქმა უნდა, გაცილებით ნაკლები ოდენობით, ვიდრე ეს ხდება ცოცხალთან დაკავშირებით. მართალია, ინდივიდი, რომლის დირსება იბილწება, გარდაცვლილია, მაგრამ „დაცვის დირსი ინტერესის პირი“ განიცდის სულიერ ტანჯვას თავისი ახლობლის შეურაცხველოფის გამო, რითაც მის პატივსა და დირსებასაც ადგება ზიანი. ამ შემთხვევაში ცოცხალი ადამიანის დირსების შელახვას დაინტერესებული პირი განიცდის უფრო ნაკლები ხარისხით, ვიდრე ამას თავად ეს ინდივიდი განიცდიდა ცოცხალი რომ ყოფილიყო. დასახელებული პირი თვითონ ხდება არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დამოუკიდებელი სუბიექტი.

შესაბამისად, მემკვიდრეებს არ აქვთ გარდაცვლილის პიროვნული უფლებების დაცვის მონოპოლია; დაცვას კი ექვემდებარება გარდაცვლილის პიროვნულობის ისეთი ელემენტები, როგორიცაა სახელი, პატივი, რეპუტაცია, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, საკუთარი გამოსახულების უფლება (სსკ-ის მე-19 მუხლი).<sup>729</sup>

აქ მიზანშეწონილია, მოქმედებდეს კეთილსინდისიერების პრეზუმაცია. ამდენად, თუ პირის სიცოცხლეში არ ყოფილა სამართლებრივად დადასტურებული გარემოებებით შეურაცხველოფილი, არ უნდა შეიქმნას იმის საშიშროება, რომ მისი სიკვდილის შემდეგ მისი პატივი და დირსება დაუსაბუთებლად შეილახება. ბუნებრივია, გამონაკლისიც უნდა არსებობდეს: მაგალითად, გამოძიების (საჯარო) ინტერესებიდან გამომდინარე. თუ პირი სიცოცხლეში უმწიკვლო და კარგი რეპუტაციით სარგებლობდა, იგულისხმება, რომ სიკვდილის შემდეგაც ისეთივე კარგი სახელით სარგებლობს. ესე იგი,

<sup>729</sup> იხ. თ. ნინიძე, პირადი უფლებების დაცვა გარდაცვალების შემდეგ, გვ. 79, 80

ივარაუდება, რომ ის კეთილსინდისიერი იყო. მიზანშეწონილია, რომ კონსტიტუციით დაცულ სიკეთეებს არ გამოეცალოს კონსტიტუციით მინიჭებული დაცვის ფორმები და გამყარდეს მისი დაცვის მექანიზმი.

მაშასადამე, ღირსების დაცვის გზით შესაძლებელია გარდაცვლილის არაქონებრივი ინტერესების დაცვა. აქ მნიშვნელოვანია გარდაცვლილის ხსოვნის დაცვაც, რომელიც ესოდენ ორგანული და იმანენტურია ჩვენი რეალობისთვის. ღირსება ამ გაგებით უნდა იყოს პიროვნების ღირებულების გამომსატველი. ამდენად, ღირსება არის ძირითადი წყარო, რომლის მეშვეობითაც უნდა გაიბას ლოგიკური ჯაჭვი გარდაცვლილის არაქონებრივი ინტერესების დაცვასა და ხელყოფისას არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას შორის. ამასთან, ევროპაში არსებობს გარდაცვლილის ხსოვნის პატივისცემის პრინციპი, რაც საქართველოს სინამდვილისთვისაცაა დამახასიათებელი. ამდენად, ეს მომენტები აუცილებელია გარდაცვლილის არაქონებრივი უფლებრივი მდგომარეობის უკეთესი სამართლებრივი მექანიზმის შექმნისა და დაცვის ეფექტური ფორმების, გარანტიების ჩამოყალიბებისთვის.

## მოკლე დასკვნა

პირადი ცხოვრების უფლების სუბიექტად შეიძლება გამოვიდეს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. ამასთან, კერძო სამართლის იურიდიულ პირს შეიძლება პქონდეს კერძო ცხოვრების დაცვის უფლება, რომელშიც ძირითადად კერძო ცხოვრების საიდუმლოებაა წარმოდგენილი.

რაც შეეხება გარდაცვლილის პირადი სფეროს დაცვას, მისი ღირსების დაცვა გარდაცვალების შემდეგაც უნდა გაგრძელდეს. მართალია, მოცემულ შემთხვევაში თვით უფლებამოსილი პირის არაა ცოცხალი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ღირსების დაცვა გარდაცვლილზეც ვრცელდება. გარდაცვლილის პირადი ცხოვრება უნდა დაიცვან დაინტერესებულმა პირებმა, რომლებსაც მჭიდრო ახლობლობა აკავშირებდა გარდაცვლილთან.

## თავი IV. პირადი ცხოვრების დაცვის სამოქალაქო საპროცესოსამართლებრივი გარანტიები

### 9. პირადი საიდუმლოების ხელყოფის საფრთხე სამართალწარმოებისას

პირადი ცხოვრების დაცვის პრობლემის უმნიშვნელოვანესი ნაწილია პირადი სფეროს დაცვის პროცესუალურსამართლებრივი მხარე. მართალია, კვლევის ძირითადი ნაწილი ეხება პირადი სფეროს სამოქალაქოსამართლებრივ დაცვას, მაგრამ ვინაიდან პირადი ცხოვრების დაცვა ორმაგი ბუნებისაა (მატერიალური და საპროცესო), ამიტომ, ცხადია, გვერდს ვერ ავუგლიდით მის დაცვას სამოქალაქო საპროცესო სამართალში. აქ საყურადღებოა სამართალწარმოებისას ნებისმიერი პირის მიერ კერძო ცხოვრების ხელყოფის ალბათობა თუ შესაძლებლობა, რაც პროცესის მონა-

წილეთა პირადი სფეროს შეღახვის წინაპირობა შეიძლება გახდეს. ამასთან, მხარე საქმეზე შეიძლება იყოს მოწინააღმდეგე მხარის საიდუმლოს მატარებელი, მაგალითად, საოჯახო, მემკვიდრეობის თაობაზე საქმეებში, როცა მოწინააღმდეგე მხარის საიდუმლო მჟღავნდება. მოწმეთა საიდუმლო სფეროც შეიძლება შეიღახოს პროცესის გამო, რადგან შესაძლოა საქმე შეეხოს როგორც მოწმის ურთიერთობებს მხარესთან, ისე საქმის გარემოებების შესახებ ახსნა-განმარტებები შეიძლება იყოს მოწმის საიდუმლო სფეროს საგანი. ამასთან, საიდუმლო სფერო მესამე პირებისა, რომლებიც არც მხარესთან და არც პროცესში საქმის გარემოებებთან არ არიან დაკავშირებული, შეიძლება საფრთხეში აღმოჩნდეს.<sup>730</sup> საყურადღებოა ასევე ადვოკატსა და კლიენტს შორის ფიდუციური ურთიერთობა, ვინაიდან ის კლიენტის პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების გავრცელება-დაცვას უკავშირდება. აქვე აღსანიშნავია სამართალწარმოებაში სხვა დამხმარე პირების მონაწილეობისას პირადი სფეროს დაცვის თავისებურებები. ამდენად, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სამართალწარმოებისას პირადი ცხოვრების ხელყოფის სპეციფიკისა და მისი დაცვის საპროცესო სამართლებრივი ასპექტების წარმოდგენა.

სამართალწარმოებისას საიდუმლო სფეროს შესახებ ცნობები შეიძლება გაავრცელდეს ძირითადად სამი გზით: 1. უშუალოდ საიდუმლოების მფლობელის საშუალებით საჯაროდ გავრცელებით. საქმე შეეხება სიტყვიერად ან წერილის (ფონოგრამის ან განცხადების) გავრცელებას ან იმ წერილს გადაცემას, რომელიც მაშინვე გაცნობის საშუალებას იძლევა (მაგნიტოფონის კასეტები, ფილმები); 2. საიდუმლოს მატარებლის მიერ საჯარო გავრცელების გზით. ის ხორციელდება ისევე, როგორც საიდუმლო მფლობელის მიერ საჯაროდ გაცხადებისას ხდება; 3. საიდუმლოების მფლობელის ან საიდუმლოების მატარებლის ხების გარეშე საიდუმლო სფეროში აქტიური ჩარევით. ამ შემთხვევებში საიდუმლოს ეცნობიან მხედველობის (რაც პირდაპირ ჩვენებასთან არაა იდენტური) ან სმენის ორგანოების საშუალებით.<sup>731</sup> პირველ და მეორე შემთხვევებში საიდუმლოების მფლობელის ან მატარებლის მიერ ხებაყოფლობით ქვეყნდება ცნობები. რაც შეეხება მესამე გზას, საიდუმლოების მფლობელის ან მატარებლის ხებისაგან დამოუკიდებლად ეცნობიან მესამე პირები სხვისი პირადი ცხოვრების შესახებ არსებულ ცნობებს.

სამოქალაქო პროცესში ჩვენების მიცემის გზითაც შეიძლება საიდუმლო სფეროები უშუალოდ სასამართლოების მეშვეობით გამოაშეარავდეს. საერთოდ, მხარემ უნდა მისცეს სწორი ჩვენება; ცრუ ჩვენებამ შეიძლება გამოიწვიოს სისხლისსამართლებრივი სანქციების გამოყენება. სამოქალაქო პროცესში მხარეებს აქვთ შესაძლებლობა თავიანთი საიდუმლო სფეროს დასაცავად, ეჭვი შეიტანონ იმაში, რომ მათ უნდა მიეცათ სწორი ჩვენება, ჭეშმარიტების ძიების ინტერესიდან გამომდინარე. ამასთან, ჩვენების მიცემა ლოგიკურად უკავშირდება ასევე მოწმეს, რომელიც პროცესში საქუთარი აღქმის საფუძველზე გაგონილი ან ნანახი (ასევე ევენტუალურად) ფაქტების

<sup>730</sup> ამ დებულებასთან დაკავშირებით იხ. R. W. von Meiss, Die persönliche Geheimsphäre und deren Schutz im prozessualen Verfahren, Diessenhofen, Verlag Rüegger, 1975, გვ. 85, 86

<sup>731</sup> იქვე გვ. 91

დადგენის მიზნით დაიკითხებიან. თუ კანონში არაა გათვალისწინებული მოწმის დუმილის უფლება, მაშინ მოქმედებს მოწმეთა ახსნა-განმარტების მიღების მოვალეობა, რაც მოიცავს სასამართლოს წინაშე წარდგომისა და სწორი ჩვენების მიცემის მოვალეობას. მოწმის მიერ ჩვენების მიცემაზე უსაფუძვლო უარი კი იწვევს კანონით დადგენილ სანქციებს.<sup>732</sup>

ამასთან, მოსარჩელებ საკუთარი ინიციატივით შეიძლება გაახმაუროს თავისი საიდუმლო სფეროს შესახებ ან მესამე პირის საიდუმლო სფეროდან ცნობები, როცა ეს მისი მდგომარეობის შემსუბუქება-გაუმჯობესებას ემსახურება. იგივე შეიძლება ითქვას ბრალდებულზეც.<sup>733</sup> ჩვენებებს მხარეები ადგოკატს აძლევენ იმ იმედით, რომ ამ გზით პროცესში შეიძლება რისკები შემცირდეს. ასევე ჩვენების მიცემის ვალდებულება სამართალწარმოებისას პირადი სფეროს ხელყოფის საფრთხეს ქმნის. ეს უკავშირდება მხარეთა ან მესამე პირების მიერ მტკიცებულების წარდგენის მოვალეობას, თუ მტკიცებულებები მათ ხელთაა, რაც შეიძლება საიდუმლოების მფლობელის ან მატარებლის ნების საწინააღმდეგოდ ზოგჯერ საიდუმლო სფეროებში ჩარჩვას შეეხოს. პირადი საიდუმლო სფეროს დაცვის უფლებაში სახელმწიფოებრივი ჩარევა უნდა ეფუძნებოდეს კანონიერ საფუძვლებს და გამომდინარეობდეს საჯარო ინტერესიდან.<sup>734</sup>

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ადრინდელი საქმეების გამოხმობა. სამოქალაქო პროცესშიც შეიძლება სასამართლომ ჰეშმარიტების დასადგენად დოკუმენტები ადრეული სამოქალაქო ან ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის საქმეებიდან გამოიხმოს. თუმცა სასამართლო აქტების გამოხმობის გზით შეიძლება პროცესის მხარეების საიდუმლო სფერო ხშირად ასევე მესამე პირების მიერ შეილახოს. მხარეთა მიერ მტკიცებულებების წარმოდგენის მოვალეობა ცალკეულ საპროცესო კანონში იზღუდება იმ დოკუმენტებთან დაკავშირებით, რომლებშიც დასახელებულია მოწინაღმდეგებ მხარე, როგორც პროცესის მონაწილე. ამასთან, ოფიციალური აქტების წარდგენისას გამომცემი (ადმინისტრაციული) ორგანოების საიდუმლოს შენახვის კომპეტენტური ორგანო, თანამდებობიდან გამომდინარე, ყოველთვის გადაამოწმებს, საიდუმლოს შენახვის ინტერესია უფრო მნიშვნელოვანი თუ სასამართლოს ინტერესი ჰეშმარიტების დადგენაზე.<sup>735</sup>

## 10. სამართალწარმოების მონაწილეთა პირადი ცხოვრების ხელყოფის საფრთხე

### 10.1. მხარეთა პირადი ცხოვრება

სამოქალაქოსამართლებრივი სუბიექტები მხარეების სახით მოქმედებენ კერძო ავტონომიისა და თანასწორობის საწყისებზე დაყრდნობით. თუმცა ეს თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვა, თუ ის მესამე პირთა

<sup>732</sup> იქვე, გვ. 92, 93, 94

<sup>733</sup> იქვე, გვ. 94-95

<sup>734</sup> იქვე, გვ. 95-97

<sup>735</sup> იქვე, გვ. 97, 198-200

უფლებებს ხელყოფს (სსკ-ის მე-9 მუხლი). განსაკუთრებულია თავისუფლების შეზღუდვა დელიქტურ სამართალში აკრძალვების მეშვეობით,<sup>736</sup> უფლების დაცვის სხვა ფორმების გამოყენება. სწორედ ამ გაგებითაა მნიშვნელოვანი მხარეთა მონაწილეობა საპროცესო ურთიერთობებში, რათა მათ საფრთხე არ შეუქმნან პირადი ცხოვრების დაცვას.

მხარეები უნდა იყვნენ სრულად ინფორმირებული საქმის ყველა ფაქტისა და გარემოების შესახებ. თუ მხარეებისთვის ყველაფერი არ იქნებოდა ცნობილი, მათ შეექმნებოდათ შესაძლებლობა, შესაბამისი პუნქტებით დაეკავებინათ განსაზღვრული საპროცესო მდგომარეობა და სასამართლოს განხილვაზე უარი ეთქვათ.<sup>737</sup>

მხარე ეცნობა ინფორმაციას საიდუმლო სფეროების შესახებ ასევე საპროცესო მოქმედებების გზით; საიდუმლოს მფლობელი განსაზღვრულწილად უკვე ხდება საიდუმლოს მატარებელი ფსიქიატრიული ექსპერტის გზით, რომელიც საიდუმლოს მფლობელის პირად საიდუმლო ცნობებს ააშკარავებს. საიდუმლო სფეროს ამ ნაწილების თაობაზე სრული წარმოდგენა უყალიბდებათ მხარეებს ისევე, როგორც მოსამართლეს. მაგრამ მათ ისევე, როგორც ცალკეულ მოწმეებს, შეიძლება შეექმნათ მოსამართლესთან შედარებით გაცილებით დრმა და ფართო წარმოდგენა მოწინააღმდეგე მხარის პირადი საიდუმლოების სფეროებზე მოწინააღმდეგე მხარესთან პირადი ურთიერთობების გამო. მოსამართლეს საქმე აქვს მხარეებთან მხოლოდ საქმის განხილვასთან დაკავშირებით. მხარეები ისევე აღიქვამენ ახლო ან შორი ნაცნობების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, როგორც პირები, რომლებსაც მისი დაცვა, პროფესიული საიდუმლოების დაცვის მოვალეობიდან გამომდინარე, ევალებათ. ასევე ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის საფუძველზე ადვოკატი წარმოადგენს რა მხარეს სასამართლოში, სასამართლოც გადასცემს აქტებს მინდობილს (ადვოკატს), რომელიც ისევე, როგორც მხარე, პროცესის მთელ მიმდინარეობას ადევნებს თვალყურს.<sup>738</sup>

სამოქალაქო პროცესში მხარეთა დაკითხვისას მხარეს შეუძლია, სხვადასხვა სამოქალაქო საპროცესო კანონის მიხედვით, პასუხის გაცემაზე უარი თქვას, როცა კითხვები მათ პატივს ან ახლობლებს ან კომერციულ საიდუმლოებას უკავშირდება. მოწმის ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებიდან არ შეიძლება მხარეთა ჩვენების მიცემაზე უარის თქმა გამომდინარეობდეს. მოწმის აბსოლუტურად სხვა პოზიცია პროცესში იწვევს მის უკეთეს დაცვას მხარესთან შედარებით. ზოგჯერ მოწმე უარს ამბობს უშუალოდ მისთვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით ჩვენების მიცემაზე, როდესაც სწორედ ამას მეორე მხარე არ ვარაუდობს. მნიშვნელოვანია ასევე ის საპროცესო ნორმები, რომლებიც სიცრუეს, ცრუ დაპირების ან ცრუ მუქარის და ა. შ. გამოყენებას კრძალავს, ემსახურება ბრალდებულის პირადი საიდუმლოების სფეროს დაცვას.<sup>739</sup>

ამდენად, პირადი საიდუმლოების დაცვა მოწმეთა დაკითხვაში, ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შესახებ უფლებების მიუხედავად, სუსტია. ვიდრე

<sup>736</sup> იხ. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გვ. 85-89

<sup>737</sup> იხ. რ. ფონ მაისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 125

<sup>738</sup> იქვე, გვ. 126-127

<sup>739</sup> იქვე, გვ. 191-193

მოწმის ჩვენება არ ეხება სამსახურებრივ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან მოწმეთა ან მისი ოჯახის წევრების პატივის მძიმე ხელყოფას იწვევს ან ემსახურება მოწმის ტაჯვას, მოწმემ უნდა მისცეს ჩვენება ყველაფრის შესახებ, რაც მის ან მესამე პირების პირადი საიდუმლოების სფეროს მიეკუთვნება. ამასთან, ვიდრე, ერთი მხრივ, კანონით არ განისაზღვრება, რომ ჩვენების მიცემის მოვალეობა პირადი საიდუმლოების გახმაურებას შეეხება და, მეორე მხრივ, ინტერესების გავრცელება არაა აუცილებელი, მანამ არ არსებობს პირადი საიდუმლოს ხელშეუხებლობის უფლებაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებელი საფუძვლები.<sup>740</sup>

საგულისხმოა, რომ მხარეთა პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემცველი დეტალების გავრცელების საფრთხე არსებობს სასამართლო სხდომის მდივნებთან დაკავშირებითაც. პროცესში მონაწილე სასამართლო სხდომის მდივნები ეცნობიან საიდუმლო სფეროებიდან პროცესისთვის მნიშვნელოვან ნაწილს ისევე, როგორც მოსამართლე. ზოგჯერ შეიძლება სასამართლო სხდომის პასუხისმგებელმა მდივანმა გარკვეული მიზეზით ვერ მიიღოს მონაწილეობა სასამართლო განხილვაში და მის ნაცვლად სხვა მდივანმა განახორციელოს მისი უფლებამოსილება; ამ შემთხვევაში ის საქმეს გაეცნობა სხდომის ოქმით. ამასთან, კანცელარიის მოსამსახურებმაც შეიძლება პროცესში მონაწილეთა პირადი საიდუმლოება ხელყონ. მათზეც უნდა გავრცელდეს კონფიციენციალური ინფორმაციის დაცვის მოვალეობა. თუმცა სასამართლოს კანცელარიის მუშაკები მუშაობენ ასევე მოსამართლისთვის, მათი მოქმედების არეალი ძირითადად იზღუდება აღმინისტრაციული დაგაალებებით. ამავე დროს, სასამართლო მანდატურები სასამართლო პროცესს ესწრებიან სრულად ან მხოლოდ ნაწილს. მათ (დამსწრე) საზოგადოება მიჰყავს დანიშნულების ადგილას ან დგანან კარგბთან, როცა საზოგადოებას ან პროცესის მონაწილეს (ჯერ კიდევ დაუკითხავ მოწმეებს) არ შეუძლიათ საქმის მოსმენაში მონაწილეობის მიღება. განსაზღვრული გარემოებებისას სასამართლო მანდატურები მონაწილეობენ პროცესებში, რომლებიც დახურულად ტარდება.<sup>741</sup> ამ შემთხვევებში კი არის მხარეთა საიდუმლოების გამჟღავნების საფრთხე.

განსაკუთრებით პრობლემურია საკითხი, თუ რომელ ინსტანციას შეუძლია ინტერესთა კონფლიქტი გადაწყვიტოს, მხარეს ან მოწმეს შეუძლია თუ არა ჩვენების მიცემაზე უარის თქმა. თუმცა, ალბათ, არ იქნებოდა მიზან-შეწონილი ცალკე ინსტანციის გამოყოფა, რომელიც საჯარო და კერძო ინტერესთა აწონ-დაწონვას განახორციელებდა, ვინაიდან, თვით მაისის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ინსტანცია უნდა ფლობდეს ნაწილობრივ მაინც საიდუმლო სფეროს შესახებ ინფორმაციას. ამასთან, აღნიშნული ეწინააღმდეგება პროცესის ეკონომიის პრინციპს. ასევე საქმის კიდევ სხვა ინსტანციისთვის გადაცემა ინტერესთა კონფლიქტის გადასაწყვეტად ზრდის საიდუმლო სფეროს მატარებელთა წრეს, რაც უფრო ეწინააღმდეგება პირადი ცხოვრების დაცვის მიზანს, ვიდრე მას ემსახურება.<sup>742</sup>

<sup>740</sup> იქვე, გვ. 194-195

<sup>741</sup> იქვე, გვ. 120-122

<sup>742</sup> იქვე, გვ. 196-198

ამდენად, მართალია, სამოქალაქო ურთიერთობის ზემოთ ხსენებულ სუბიექტებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით უშუალოდ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება, მაგრამ ეს თავისუფლება არ უნდა იყოს შეუზღუდვავი. კერძო ავტონომია უნდა შეიზღუდოს, თუ ის ხელყოფს მესამე პირთა უფლებებს (სსკ-ის მე-9 მუხლი). ადნიშნული თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმას წარმოადგენს დელიქტურ სამართალში არსებული აკრძალვები. შესაბამისად, თუ პირმა, რომელიც მოქმედებდა კანონსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად, ზიანი მიაყენა მხარეთა პირად ცხოვრებას, დაზარალებულს უნდა აუნაზდაუროს ზიანი (სსკ-ის 992-1008 მუხლები).<sup>743</sup>

## 10.2. მოწმის ინსტიტუტი და პირადი ცხოვრება

მოწმე შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, ვისთვისაც რაიმე გარემოების შესახებ არის ცნობილი (სსსკ-ის 140-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). სსკ-ის 145-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოწმის მიერ ჩვენებაზე უარის თქმა ან განზრახ არასწორი ჩვენების მიცემა ისჯება სისხლისსამართლებრივი წესით. ამდენად, მოწმე საქმის გარემოებების შესახებ აძლევს რა სასამართლოს ჩვენებას, წარმოადგენს საიდუმლო სფეროს ხელყოფის საფრთხის წყაროს, ვინაიდან მანაც შესაძლოა იცოდეს პირადი საიდუმლოების შესახებ განსაზღვრული დეტალები. ადნიშნულის გახმაურება კი, ბუნებრივია, უკავშირდება ამ უფლებამოსილი პირის პირადი საიდუმლოების შელახვას. მოცემული ოვალსაზრისით მოწმე (მოსამართლეც, სასამართლო სხდომაზე დამსწრე საზოგადოებაც და ა. შ.) არის საიდუმლოების მატარებელი, ვინაიდან მოწმის ჩვენების მიცემით ავტომატურად ხდება საიდუმლო სფეროების შესახებ ცნობების გავრცელება. ამასთან, ზოგადად აღიარებულია, რომ მოწმე შეიძლება ყველა იყოს. არსებობს გამონაკლისიც, რომლის თანახმად, მოწმის სტატუსით არ შეიძლება პირის დაბარება-დაიკითხვა: ა) ის, ვისაც ფიზიკური თუ ფსიქიკური ნაკლის გამო არ ძალუმს ფაქტების სწორად აღქმა და მათ შესახებ სწორი ჩვენების მიცემა; ბ) სასულიერო პირი – იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც მას აღსარებისას გაანდეს; გ) წარმომადგენლები სამოქალაქო საქმეებსა და დამცველები სისხლის სამართლის საქმეებზე – ისეთ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც მათვის ცნობილი გახდა წარმომადგენლის ან დამცველის მოვალეობის შესრულებისას.<sup>744</sup> ვინაიდან დაუშეგებელია ადვოკატის მოწმედ დაკითხვა, კანონი გამორიცხავს ამ შემთხვევაში მის პასუხისმგებლობას.<sup>745</sup>

საიდუმლოების დაცვასთან დაკავშირებით საყურადღებოა მოწმის იმუნიტეტის ინსტიტუტიც. იმუნიტეტში მოიაზრება ზოგიერთი კატეგორიის მოწმის უფლება, უარი თქვას სასამართლოში ჩვენების მიცემაზე და კანონით დადგენილ შემთხვევებში გაათავისუფლოს მოწმე ჩვენების მიცემის მოვალეობისაგან. საქართველოს კონსტიტუციაში აღიარებულია, რომ არავინ

<sup>743</sup> იხ. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გვ. 85-89

<sup>744</sup> იხ. შ. ქურდაძე, სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, თბ., „მერიდიანი“, 2005, გვ. 370, 372-373.

<sup>745</sup> იხ. ა. ბორკო, დასახ. ნაშრომი, გვ. 16

არის ვალდებული მისცეს ჩვენება თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგოდ, რომელთა წრეც კანონით განისაზღვრება. სსსკ-ის 142-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაზუსტებულია, რომ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა დასაშვებია, თუ ჩვენების მიცემა მოწმის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ სისხლისა-მართლებრივი დევნის დაწყებას გამოიწვევს ან ქონებრივ ზიანს მიაყენებს. ეს, ცხადია, სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზოგადი საფუძვლების მიხედვით უნდა განხორციელდეს დელიქტური სამართლის ნორმებზე დაყრდნობით (სსსკ-ის 992-ე მუხლი). ამასთან, სსსკ-ის 142-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილია პირები, რომლებსაც შეუძლიათ ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადონ: ა) მხარეთა მეუღლეები; ბ) ახლო ნათესავები – შვილები, შვილიშვილები, მმები, დები, მშობლები, მშვილებლები, შვილობილები, მზრუნველები, მეურვეები, ბებიები, პაპები; გ) პირები, რომლებმაც თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო საიდუმლოება უნდა დაიცვან, თუ ისინი არ არიან ამ მოვალეობისგან განთავისუფლებული. ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება აქვს პარლამენტის წევრსაც იმ ფაქტოან დაკავშირებით, რაც მას, როგორც პარლამენტის წევრს, გაანდეს. ეს უფლება პარლამენტარს მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც უნარჩუნდება. ეს ცნობები შეიძლება გაერთიანდეს პროფესიულ საიდუმლოებათა წრეში. მათ განეკუთვნება: საადვოკატო, ფიზიკურ პირთა საბანკო ანაბრების, სამედიცინო (ზოგიერთი დაავადების, როგორიცაა ტუბერკულიოზი, ვენერიული, ონკოლოგიური და სხვა დაავადება), სანოტარო მოქმედების და სხვა საიდუმლოებანი.<sup>746</sup>

ამასთან, მოწმის განცხადება იმაზე, რომ მას უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს, არასაკმარისია; მას ევალება ჩვენების მიცემაზე უარის დასაბუთება. მაგალითად, თუ მოწმე რომელიმე მხარის ნათესავია, მან სასამართლოს ამის დამადასტურებელი ცნობა უნდა წარუდგინოს ან უნდა დაამტკიცოს, რომ რაიმეზე ჩვენების მიცემა გამოიწვევს უშუალოდ მის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.<sup>747</sup>

### **10.3. ექსპერტების მოწვევა და პირადი ცხოვრება**

„ექსპერტები“ არიან პირები, რომლებიც სასამართლოს ებმარებიან ფაქტების შესახებ სპეციალური ცოდნის საფუძველზე დასკვნის წარდგენის გზით. ამ ფაქტების აღქმა განსაკუთრებულ კომპეტენტურობას მოითხოვს ან ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგად შეძენილ თვისებებს, რომლებიც სასამართლოსთვის კარგად ნაცნობ სფეროს არ მიეკუთვნება. ექსპერტის გამოძახებით მოსამართლეს შეუძლია გაეცნოს ცნობებს საქმის გარემოებების შესახებ. ამიტომ საქმის ეს გარემოებები ხშირად ეხება საიდუმლო სფეროს, რომელიც ექსპერტების დასკვნით ხელიყოფა.<sup>748</sup> თუმცა უნდა ითქვას, რომ მისი უფლებრივი მდგომარეობა სამოქალაქოსამართლებრივ

<sup>746</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. შ. ქურდაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 374-376

<sup>747</sup> იხ. თ. ლილია შეიძლი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., „სანი“, 2004, გვ. 256-257, 258

<sup>748</sup> იხ. რ. ფოხ მაიხ, დასახ. ნაშრომი, გვ. 100-101

ურთიერთობაში, მსგავსად სხვა სუბიექტების, თანასწორობისა და კერძო ავტონომიის საწყისებს ეფუძნება. ამასთან, ისინი შებოჭილი არიან კანონისმიერი წესებით. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია დელიქტურსა-მართლებრივი დათქმები, რომლებიც თავისუფლებას გარკვეულ ფარგლებში აქცევს და ზიანის მიყენების შემთხვევაში ითვალისწინებს სამოქალაქო პასუხისმგებლობას (სსკ-ის 992-1008 მუხლები).<sup>749</sup>

ექსპერტი მოწვეული იქნება რა საქმეზე, ის დებულობს პირველ ცნობებს პროცესის შესახებ ექსპერტისთვის დასმული შეკითხვების სახით. ექსპერტმა უნდა გასცეს მიღებულ საქმეზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით პასუხები. ამდენად, ექსპერტის ყურადღება ორიენტირებულია (მისთვის) მნიშვნელოვან ან საქმის სრულ მასალაზე. ამიტომ წარმოდგენილი საქმის გაცნობისას ექსპერტი შეიძლება გაეცნოს პროცესში მონაწილეობა ან მესამე პირების საიდუმლოს. ამასთან, ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში ამოწმებს არა მხოლოდ საქმის კომერციულ-ეკონომიკურ გარემოებებს, არამედ ასევე კერძო საფინანსო საქმეების წარმოებასა და კერძო ქონებრივ მდგომარეობას. ექსპერტს შეუძლია სპეციალური ცოდნის გამოყენებით საიდუმლო სფეროებში შეიჭრას გაცილებით უფრო ღრმად, ვიდრე ეს შეიძლებოდა განსაზღვრული გარემოებების არსებობისას მოსამართლეს განეხორციელებინა. მხარეთა საიდუმლო სფეროები შეიძლება დიდი ხარისხით საფრთხეში აღმოჩნდეს ექიმების, ფქსიქიატრების, ფსიქოლოგების ან გრაფოლოგების, როგორც ექსპერტების, მოწვევის დროს. ეს ექსპერტები დაკავებული არიან არა ადამიანის გარეგნული ნიშნების შესწავლით, არამედ მთლიანად ადამიანით (ფიზიკური ან ფსიქიკური თვალსაზრისით გაცნობით). ამდენად, ექსპერტის საქმიანობის გზით შეიძლება განსაკუთრებით პირადული, საიდუმლო სფეროები გახმაურდეს.<sup>750</sup>

ამასთან, ექსპერტი თავისი პროფესიისადმი კუთვნილების საფუძველზე, და დისციპლინარულსამართლებრივი დებულებების შესაბამისად, ვალდებულია საიდუმლოდ შეინახოს ის, რაც მისთვის გახდა ცნობილი ან რაც მან აღიქვა საკუთარი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. ამდენად, ექსპერტების მოწვევასთან დაკავშირებით პრაქტიკულად არ არსებობს საპროცესო შეზღუდვები, რომლებიც შეიძლებოდა პირადი საიდუმლოების დაცვას მომსახურებოდა.<sup>751</sup>

ცნობილია, რომ დათვალიერების ჩატარება, ბინის ჩხრეკა, მტკიცებულებების შემოწმება ქმნის პირადი ცხოვრების ხელყოფის საფრთხეს, რა დროსაც უნდა იყოს პროპორციულობის პრინციპი დაცული.<sup>752</sup> საცხოვრისში შეჭრა ძირითადად პირის ნების საწინააღმდეგოდ ხორციელდება, მით უმეტეს საცხოვრებლის მფლობელისთვის არასახურველ დროს. ამ პროცესში შეიძლება გამოყენებულ იქნეს თვით ამ პირის დღიურები, წერილები, პირადი ქადაღდები, ასევე საგნები და დოკუმენტები, რომლებიც მისი პირადი, ინტიმური ცხოვრების შესახებ ინფორმაციას შეიცავს. ამასთან, შეიძლება ჩხრეკის დროს ტელეფონი დროებით გაითიშოს. ამდენად, ამ ტიპის მასა-

<sup>749</sup> იხ. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გვ. 85-89

<sup>750</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. რ. ფონ მაიხი, დასახ. ნაშრომი, გვ. 122-124

<sup>751</sup> იქვე, გვ. 217, 203

<sup>752</sup> იქვე, გვ. 101-103, 203-204

ლის გაცნობის შედეგად ცნობილი ხდება ცნობები, რომლებიც საფინანსო ანგარიშების შესახებ საიდუმლოებას, საფოსტო-სატელეგრაფო კორესპონდენციების თაობაზე საიდუმლოებას, გაშვილების საიდუმლოებას, სანოტარო მოქმედებათა და სამოქალაქო მდგომარეობის ჩამწერი აქტების შესახებ საიდუმლოებას შეიცავს. ჩხრეკამ შეიძლება ასევე სახლში წესრიგი დაარღვიოს, გამოიწვიოს არაქონებრივი ზიანი, ხელყოს პირის დირსება და პატივი.<sup>753</sup> ეს კი გამოკვეთს ამ თვალსაზრისით პირადი სფეროს გამოვლინებათა სამოქალაქოსამართლებრივ დაცვას დელიქტური ვალდებულებების შესახებ ნორმები დაყრდნობით (სსკ-ის 992-1008 მუხლები). ამასთან, შესაძლებელია უფლების დაცვის სხვა ფორმების გამოყენებაც (პირვანდელი მდგომარეობის ადგენა, ხელმყოფი მოქმედების შეწყვეტა და სხვა).

აქ პირადი სფეროს ჩხრეკისაგან (მოსმენისგანაც) (გარდა პირადი ჩხრეკისა) დასაცავად მნიშვნელოვანია საცხოვრებლის ფართო გაგება: საცხოვრისი უნდა მოიცავდეს საცხოვრებელ ოთახებს, რომლებიც ბრალდებულს უკავია; საერთო სარგებლობის ადგილებს (დერეფნებს, სამზარეულოს, აიგანს); სარდაფსა და სხვენს; სახლის გარე მოწყობილობებს; ბრალდებულის მიერ დაკავებული სასტუმროს, სანატორიუმის, დასვენების სახლის, საერთო საცხოვრებლის ოთახებს; ბინაში ოთახს; კარავს. ასევე საცხოვრებელს უნდა გაუტოლდეს: სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც პირის პირად საკუთრებაშია ან მხოლოდ ფლობაშია, სარგებლობაშია; პირადი ავტოფარეხები მათი განთავსების ადგილის მიუხედავად; კუპე და სალონები, რომლებიც ბრალდებულს აქვს მაგარებელში ან ორთქლმავალში.<sup>754</sup>

პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვას უკავშირდება ასევე პირადი ჩხრეკის ჩატარება, ვინაიდან ეხება პირის სხეულისა და ფსიქიკის კვლევა-შესწავლას. ეს, თავის მხრივ, ასოცირდება სირცხვილის გრძნობასა და პირის პატივის (დირსების) შელახვასთან. ასევე აღნიშნული შეიძლება შეეხოს საპროცესო მოქმედებებს – სასამართალო-სამედიცინო და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზას. ზოგჯერ მოყვანილი მოქმედებების ჩატარება მიზნად ისახავს პირის პირადი სფეროს შესახებ საქმისთვის მტკიცებულებითი მნიშვნელობის გარემობების დადგენას: არის თუ არა სხეულზე სქესობრივი კავშირის ან სხვა უსამსი მოქმედებების ნიშნები? როგორია მისი სქესობრივი შესაძლებლობანი და ა. შ. ამასთან, ამ პროცესში შეიძლება აღმოჩენილი იქნეს პირის სხეულზე სვირინგები, დეფექტები, რისი გავრცელებაც არ შეიძლება, რადგან ეს პირის პირადი საიდუმლოებაა.<sup>755</sup> ადამიანი ზოგჯერ აკრძალული საძიებო საგნის ან დოკუმენტის დასამალად იყენებს როგორც ტანსაცმელს, ისე საკუთარ სხეულს და მათი დამალვის მიზნით ათავსებს მათ თავისი სხეულის ბუნებრივ ხვრელებში.<sup>756</sup> პირადი

<sup>753</sup> იბ. ი. პეტრუხინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 63-64

<sup>754</sup> იქვე გვ. 93, 94

<sup>755</sup> იქვე, გვ. 165-170; ასევე დირსებისა და პატივის ხელყოფის თაობაზე ან საოჯახო ურთიერთობებში ექსპერტიზის როლის შესახებ იბ. Е. Н. Холопова, Судебно-психологическая экспертиза по гражданским делам: Проблемы, возможности и тенденции развития, В научные записки Таврического национального университета им. В. И. Вернадского, Серия «Юридические науки», Гражданское право и процесс, т. 19 (58), 2006, гв. 216, 218-222, 225

<sup>756</sup> იბ. შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (დანაშაულის გახსნის ტაქტიკა), თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამოძელება, 2001, გვ. 278

ექსპერტისას შესაძლებელია, რომ პირის გენიტალიები იქნეს გა-  
მოკვლეული და აუცილებელი იყოს ამოღებული ბიოლოგიური ობიექტების  
შესწავლა, რამაც შეიძლება სირცხვილის გრძნობა და პატივის (ლირსების)  
შელახვა გამოიწვიოს.<sup>757</sup>

თანამედროვე საზოგადოების არსებობა მიმოწერის საიდუმლოების გა-  
რეშე უინტერესოა. მიმოწერის საიდუმლოება არის პირის ინტიმური და სხვა  
პირადი მხარეების დაცვის გარანტია, მათ შორის გულწრფელი ურთიერთო-  
ბის პირობა.<sup>758</sup> ამასთან, საფოსტო, სატელეგრაფო და სატელეფონო კომუ-  
ნიკაციაზე კონტროლი დაიშვება გამოძიებასთან დაკავშირებით მხოლოდ  
მაშინ, როცა საქმე დანაშაულს, დელიქტს შეეხება.<sup>759</sup> ასევე ხაზგასმით  
უნდა აღინიშნოს, რომ პირადი სფეროს თაობაზე ცნობების გაცნობის  
ზღვარი სატელეფონო საუბრების მოსმენის გზით უნდა იყოს მაქსი-  
მალურად ვიწრო; მოსმენის (საერთოდ პირადი საიდუმლოს დაცვის უფლე-  
ბაში სახელმწიფოს ჩარევის) საფუძველი და წესები კი უნდა იყოს ზუსტად  
რეგლამენტირებული კანონით.<sup>760</sup>

ამავე დროს, დაკითხვამ შეიძლება მოიცვას სფეროები, რომლებიც  
ბრალდებულის ან მესამე პირების საიდუმლო სფეროს ეკუთვნის. ამასთან,  
მოწმეთა დაკითხვა, საქმეების გამოხმობა, ექსპერტების მოწვევა, დათვა-  
ლიერება, ბინის ჩხრეკა, მტკიცებულებათა წარმოდგენა და საფოსტო, სატე-  
ლეფონო, სატელეგრაფო კომუნიკაციის კონტროლი, ასევე ნივთიერ მტკიცე-  
ბულებათა ჩამორთმევა შეიძლება ინდივიდის პირადი საიდუმლო სფეროს  
სელფოფის საფუძველი იყოს.<sup>761</sup> გარდა ამისა, ნებისმიერი სახის კრიმინა-  
ლისტიკური მეთოდის ან სხვა დარგის მეთოდის გამოყენებისას უნდა იყოს  
დაცული სამი მოთხოვნა: კანონიერება, უსაფრთხოება და ეთიკურობა, მეც-  
ნიერული ხასიათი. ამდენად, პროცესის მონაწილეებს არ შეიძლება დაეგა-  
ლოს ისეთი მოქმედების შესრულება, რაც საშიშია მისი ჯანმრთელობის-  
თვის ან დამამცირებელია დირსებისთვის.<sup>762</sup>

ცხადია, რომ პროცესის განმხილველი მოსამართლე უნდა გაეცნოს  
ცნობებს ყველაფრის შესახებ იმდენად, რამდენადაც ამას შეიძლება გა-  
დაწყვეტილების გამოსატანად მნიშვნელობა პქონდეს. სამოქალაქო პროცეს-  
ში მოსამართლე პირველი იძენს ცნობებს პროცესისთვის მნიშვნელოვანი  
გარემოებების შესახებ ზეპირი ან წერილობითი ფორმით სარჩელისა და შე-  
საგებლის გაცნობით. ცნობებს შეიძლება რეპლიკა, რეპლიკაზე უარის თქმა  
და მტკიცების დასაბუთება მოჰყვეს. მოწმეთა მოსმენის, საქმის მასალების  
გაცნობის, წარმოდგენილ საქმეებსა და დოკუმენტებში მტკიცებულების  
დათვალიერებისა და ჩატარებულ მოქმედებათა დათვალიერების საშუალე-  
ბით მოსამართლეს შეუძლია ის, რაც თვითონ იცის ამ საქმეზე, საქმის  
მასალებს დაამატოს. ასევე საქმეს დაერთვის ექსპერტიზის მასალები.<sup>763</sup>

<sup>757</sup> იხ. ი. პეტრუშენი დასახ. ნაშრომი, გვ. 176-179, 184

<sup>758</sup> იქვე, გვ. 136

<sup>759</sup> იხ. რ. ფონ მაისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 205

<sup>760</sup> იხ. ი. პეტრუშენი, დასახ. ნაშრომი, გვ. 154, 159-160; ბინის ჩხრეკისა თუ დათვალიერე-  
ბისას პირად სფეროში ჩარევის შესახებ იხ. რ. ფონ მაისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 102-103

<sup>761</sup> იხ. რ. ფონ მაისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 116-118, 103-104

<sup>762</sup> იხ. ა. ვალიაშვილი, კრიმინალისტიკა, ტ. 1., თბ., „მერიდიანი“, 2000, გვ. 36

<sup>763</sup> იხ. რ. ფონ მაისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 118-120

ამდენად, ექსპერტის ჩატარება და ექსპერტის მოწვევა მჭიდროდაა დაკავშირებული პირადი ცხოვრების ხელყოფასთან. შესაბამისად, აუცილებელია გარკვეულწილად დაცული იქნა ამ ინტერესთა შორის ბალანსი და უსაფუძვლოდ არ შეილახოს პირადი სფერო. წინააღმდეგ შემთხვევაში პირადი ცხოვრებისთვის ზიანის მიენება წარმოშობს სსკ-ის 992-1008-ე მუხლებით გათვალისწინებულ შედეგებს.

## 11. პირადი ცხოვრებისა და პროფესიული საიდუმლოების დაცვა

ნებისმიერი საიდუმლოება უნდა ეფუძნებოდეს საიდუმლოს შესახებ ზოგადმეცნიერულ წარმოდგენებს. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია საიდუმლოების არსის გარკვევა და შემდგომ მისი გამოვლინებების წარმოჩენა. აქ საქმე ეხება მხარეების მიერ ისეთი ცნობების შენახვას, რომელთა გავრცელებაც არ აისახებოდა კარგად მათ მდგომარეობაზე. თვით საიდუმლოება ეფუძნება ნდობას, პირის დარწმუნებას იმაში, რომ სხვა პირისთვის გაცემული ცნობები მისი ნების გვერდის ავლით არ იქნება მესამე პირთა-თვის ხელმისაწვდომი. ამდენად, საიდუმლოება, შეიძლება განიმარტოს, როგორც ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კანონიერი აკრძალვა, რომლის უნებართვო მიღებამ, გავრცელებამ ან სხვანაირმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ზიანი. საიდუმლოების საგანია ინფორმაცია, რომლის ხელმისაწვდომობა იკრძალება ან გამოირიცხება ამა თუ იმ სუბიექტის მიერ. ამით საიდუმლოების საგანში შედის არა მხოლოდ მისი შინაარსი, არამედ ამ საიდუმლოების სუბიექტის არსებობა-არარსებობის შესახებ ცნობები. საიდუმლოების თაობაზე სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტია ინტერესები, რომელთაც შეიძლება მიაღეს ზიანი უნებართვო გავრცელებისა ან კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენების შედეგად. არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საიდუმლოების სამართლებრივ რეჟიმს, რომელიც საიდუმლოების თითოეული სახის მიხედვით სხვადასხვაა. ამასთან, ნებისმიერი პროფესიული საიდუმლოებისთვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები: საიდუმლოების სუბიექტთა შორის ნდობაზე აგებული ურთიერთობა; ეთიკური ნორმების სისტემა, რომელთა შინაარსი განპირობებულია ამა თუ იმ პროფესიული საქმიანობის სპეციფიკით; რთული ობიექტი, რომელიც არის კერძო და საჯარო ინტერესთა ან სიკეთეთა ერთობლიობა, რომელთაც საიდუმლოების ხელყოფის შემთხვევაში შეიძლება ზიანი მიაღეს.<sup>764</sup> ამასთან, პროფესიული საიდუმლოების გარკვეული ასპექტები კი პირად ცხოვრების შემადგენელი ნაწილებია. შესაბამისად, პროფესიული საიდუმლოების შელახვამ შეიძლება პირადი სფეროს ხელყოფა გამოიწვიოს. ესე იგი, პროფესიული საიდუმლოების დაცვა არის პირადი ცხოვრების დაცვის წინაპირობა. ამდენად, პროფესიულ საიდუმლოებასა და პირად ცხოვრებას შორის არის მჭიდრო კავშირი.

<sup>764</sup> იხ. Ю. Пилипенко, Основные направления исследования адвокатской тайни, Часопис Академії адвокатури України, №2, 2009, გვ. 1, 4, 10, <<http://www.nbuvgov.ua/e-journals/Chaa/2009-1/09psiat.pdf>> [06.02.10 01:20]

## 11.1. პირადი ცხოვრების დაცვა და სამედიცინო საიდუმლოება

### 11.1.1. სამედიცინო საიდუმლოების არსი

საექიმო საიდუმლოების დაცვა, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება ექიმის ფიცს, რომელიც პიპორატებს სახელთან ასოცირდება. სამედიცინო საიდუმლოება არის მრავალწახნაგა პრობლემა და ავადმყოფის სულიერი სიმშეიდის დაცვის ერთ-ერთი საშუალება.<sup>765</sup> ავადმყოფი ექიმს ანდობს ყველაზე ძვირფას – ჯანმრთელობას, სიცოცხლეს. ამიტომ ავადმყოფის ნდობა ექიმმა რომ დაიმსახუროს, საჭიროა უანგარო შრომა, საგნის საფუძვლიანი ცოდნა, ამაღლებული თვისებები.<sup>766</sup> ასევე ექიმმა ცალკეულ ავადმყოფთა ფსიქიკური სფეროს თავისებურებანი უნდა გაითვალისწინოს, რომ ავადმყოფში გამოიწვიოს სიმშვიდის გრძნობა.<sup>767</sup>

ამასთან, ექიმს სამედიცინო საიდუმლოების დაცვა უნდა ახსოვდეს ავადმყოფის ნათესავებთან შეხვედრისას და ასევე იმათთან, ვინც ავადმყოფს სტუმრობს. აქ შეიძლება იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც არაფრად ესაჭიროებათ ავადმყოფის შესახებ წვრილმანების ცოდნა. ტაქტიკურობა, ავადმყოფის ადგილის საკუთარი თავის დაყენების უნარი, ავადმყოფის შეწუხების თავიდან აცილების უნარი თითოეული მედიცინის მუშაკის მოვალეობა.<sup>768</sup> ასევე უნდა ითქვას, რომ არაა მართებული ტერმინის „საექიმო საიდუმლოება“ გამოყენება, ვინაიდან გაუმართლებლად ავიწროებს პირთა წრეს, რომელმაც უნდა დაიცვას პროფესიული საიდუმლოება. ამიტომ მიზანშეწონილია, ტერმინი „სამედიცინო საიდუმლოება“ გამოიყენებოდეს.<sup>769</sup>

რაც შეახება კანონს, რომლითაც სამედიცინო საიდუმლოება არის დაცული, ასეთად გვევლინება საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.“ უპირველეს ყოვლისა, ამ კანონით აღიარებულია პაციენტის ავტონომია, რაც გულისხმობს პაციენტის უფლებას, დამოუკიდებლად განსაზღვროს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ყველა საკითხი („ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტი). განისაზღვრა, რომ სამედიცინო (საექიმო) საიდუმლო არის ექიმისა და სხვა სამედიცინო პერსონალის მიერ პროფესიული საქმიანობის პროცესში პაციენტის ფიზიკური, ფსიქიკური მდგომარეობის, მისი საზოგადოებრივი ან სამსახურებრივი საქმიანობის, ოჯახური ან პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაცია; მოიცავს ექიმისთვის მიმართვის ფაქტსაც, სიკვდილის გარემოებებსაც („ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტი).

<sup>765</sup> იხ. В. Бухар, Врачебная тайна, «Здравовъе», 1978, №6, გვ. 18, 19

<sup>766</sup> იხ. ვ. გაბუბაშვილი, ექიმის ფიცი და საექიმო ეთიკის ზოგიერთი საკითხი, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1987, გვ. 10, 86

<sup>767</sup> იხ. ვ. ხიმშიაშვილი, ვ. ბანიძე, საექიმო ეთიკა, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1974, გვ. 9-10

<sup>768</sup> იხ. ბ. პეტროვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 56

<sup>769</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. ლ. კრასავჩიკოვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 131

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სამედიცინო საიდუმლოების შინაარსში შედის მონაცემები: а) თვით სამედიცინო დახმარებისთვის მიმართვის ფაქტის შესახებ; б) ავადმყოფობის შესახებ (დიაგნოზი, ხანგრძლივობა, პროგნოზი); გ) მკურნალობისთვის გამოყენებული მეთოდების თაობაზე და მათი ეფექტურობა; დ) პირის შესახებ, რომელმაც სამედიცინო დახმარებას მიმართა – მისი წარსულის, ჩვევების, გადახრების, ინტიმური კავშირების შესახებ; ე) ავადმყოფის ოჯახისა და სახლში ცხოვრების წერიგის შესახებ. ამ ტიპის ცნობები იყოფა ორ ჯგუფად: а) თვით სამედიცინო მონაცემები; ბ) ინფორმაცია ავადმყოფის პირადი ცხოვრების შესახებ, რომელიც სამედიცინო მოვალეობების განხორციელებისას მიიღება.<sup>770</sup>

### 11.1.2. სამედიცინო საიდუმლოებისა და პირადი ცხოვრების დაცვა

ექიმმა უნდა შეინახოს საიდუმლო, გაამხევოს ავადმყოფი და დაუსახოს მკურნალობის სწორი გზა. ასევე შესაძლებელია ექიმს გაანდონ ინტიმური საიდუმლოება. ეს შეიძლება შეეხოს მამაკაცის სასქესო ორგანოს განვითარების მანქს, რასაც ავადმყოფი მტკივნეულად განიცდის. ამ შემთხვევაში კი აუცილებელია ინტიმური საიდუმლოების მკაფიოდ დაცვა.<sup>771</sup> ამდენად, სამედიცინო საიდუმლობად შეიძლება მოიაზრებოდეს შარდსასქესო ორგანოთა, ფსიქიკური დაგადებების შესახებ ინფორმაცია.<sup>772</sup> ქირურგიულ და სამეანო-გინეკოლოგიურ პრაქტიკაში არის ოპერაციები (საშვილოსნოს ამოკვეთა, სასქესო ორგანოების პლასტიკური ოპერაციები, ხელოვნური საშოს შექმნა და სხვა), რომლებიც კეთდება ექიმისა და პაციენტის ურთიერთშეთანხმებით სხვა გარეშე პირის ჩაურევლად; ასეთი ანომალია პიროვნების საიდუმლოებაა და მათი ღირსების დასაცავად ექიმი ვალდებულია მტკიცედ შეინახოს ის.<sup>773</sup> ამავე დროს, დაუშვებელია სქესის მიხედვით ან თუნდაც სექსუალური ორიენტაციის გამო პაციენტის დისკრიმინაცია („ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილი).

საგულისხმოა, რომ სამედიცინო საიდუმლოება დიდი ხნის მანძილზე აბსოლუტური დაცვით სარგებლობდა და ამ თვალსაზრისით არ იცნობდა რაიმე გამონაკლისს. ამასთან, ექიმის მოწმედ დაკითხვა არ შეიძლებოდა. თუმცა ექიმმა არ უნდა დაუმალოს სახელმწიფო ორგანოებს ვენერიული და სხვა გადამცემი ავადმყოფობის შესახებ ინფორმაცია. ექიმი, რომელსაც პროფესიულ შეცდომაში ადანაშაულებენ, უნდა ჰქონდეს უფლება საჯარო გახადოს ან უკიდურეს შემთხვევაში დახურულ სასამართლო სხდომაზე გადასცეს ცნობები ავადმყოფისა და ავადმყოფობის შესახებ, რათა განახორციელოს საკუთარი უფლება დაცვაზე. ამიტომ გამომძიებლისა და სასამართლოსთვის იმ ცნობების დამალვა, რომელიც საექიმო საიდუმლოებას შეიცვს, ეწინააღმდეგება დანაშაულის გახსნისა და სახელმწიფო თუ საზო-

<sup>770</sup> იხ. ი. პეტრუხინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 24

<sup>771</sup> იხ. კ. გაბუხაძია, დასახ. ნაშრომი, გვ. 94

<sup>772</sup> იხ. კ. ბუხარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 18

<sup>773</sup> იხ. კ. ხიმშვილი, კ. ბანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 37

გადოებრივ ინტერესებს აქენებს ზიანს. ამდენად, სამედიცინო საიდუმლოების გამჟღავნება დასაშვებია კანონით დადგენილ შემთხვევებში.<sup>774</sup>

### 11.13. სამედიცინო საიდუმლოების ხელყოფის ლეგიტიმაცია

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები მედიცინის მუშაკები და სამედიცინო დაწესებულება მოქმედებენ კერძო ავტონომიისა და თანასწორობის საწყისების საფუძვლით. თუმცა ეს თავისუფლება იზღუდება ზემოთ მოყვანილი კანონისმიერი დაოქმებით, რომელთა დარღვევამ შეიძლება სამოქალაქო სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოშვას დელიქტური ვალდებულებები (სსკ-ის 992-1008 მუხლები).<sup>775</sup>

მართალია, მედიცინის მუშაკი და სამედიცინო დაწესებულება მოვალეა, დაიცვას სამედიცინო საიდუმლო, მაგრამ კანონი განსაზღვრავს ამ წესიდან გამონაკლისსაც; თუ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას მოითხოვს გარდაცვლილის ნათესავი ან კანონიერი წარმომადგენელი, სასამართლო, საგამოძიებო ორგანოები ან ეს აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებებს დასაცავად („ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლი). ამავე დროს, გარდაცვლილის სამედიცინო დოკუმენტაციაც არის სამედიცინო საიდუმლო, გარდა ზემოთ დასახელებულ გამონაკლისი შემთხვევებისა („ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 152-ე მუხლი).

უნდა აღინიშნოს, რომ დაუშვებელია პაციენტის საოჯახო და პირად ცხოვრებაში სამედიცინო მომსახურების გამწევის ჩარევა ან კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა: ა) ჩარევა აუცილებელია დაავადების პრევენციის, პაციენტის დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და მოვლისთვის (პალიატური მზრუნველობისთვის), რაზეც არსებობს პაციენტის თანხმობა; ბ) ჩაურევლობით საფრთხე ექმნება პაციენტის ოჯახის წევრთა ჯანმრთელობას ან/და სიცოცხლეს (მაგალითად, გადამდები ინფექციური დაავადების, აივ/შიდსის დაავადების დროს) (კანონი „პაციენტთა უფლებების შესახებ, 28-ე მუხლი, 29-ე მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტები; კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, 48-ე და 49-ე მუხლები). ამ კანონში ცალკე თავი ეძღვნება პირადი ცხოვრების კონფიდენციალობასა და ხელშეუხებლობას<sup>776</sup>, რითაც ხაზი გაესვა მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ავადმყოფობისა და მისი პროგნოზის შესახებ ავადმყოფის ახლონათესავების ინფორმირებას შეიძლება ორი მიზანი ჰქონდეს: ა) ავადმყოფის საგარაუდო შედევისა და მისი ხანგრძლივობის შესახებ საქმის კურსში ჩაყენება; ბ) ოჯახში საფრთხის შემცველი ინფექციური ავადმყოფის გავრცელების თაობაზე გაფრთხილება. ამ მიზნის მისაღწევად დასაშვებია შესაუღლებელი პირების ავადმყოფობის შესახებ ინფორმირება. მოცემული არის არაჯანსაღი თვალისა და ავადმყოფი შთამომავლობის გაჩენის თავი-

<sup>774</sup> იხ. ი. პუბლუხინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 26-28

<sup>775</sup> აღნიშნულზე იხ. დ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გვ. 85-89

<sup>776</sup> აქაც პირადი ცხოვრების ნაცვლად უნდა გამოიყენებოდეს ტერმინი „პერმო ცხოვრება.“

დან აცილების ერთ-ერთი წინაპირობა.<sup>777</sup> ამასთან, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არის დადგენილი პროფესიული მოვალეობების შესრულებისას სხვისთვის შიდსის გაუფრთხილებლობით შეერისთვის (131-ე მუხლი).<sup>778</sup> თუმცა ვინაიდან აღნიშნულს შეიძლება მოჰყვეს ზიანი, კერძოსა-მართლებრივი გაგებით მნიშვნელოვანია ქონებრივი თუ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება (სსკ-ის 992-ე მუხლი).

ასევე გარკვეული ახალი ინფექციური ავადმყოფობის შესახებ, როგორიცაა შიდსი, აუცილებელია სამედიცინო საიდუმლოების დაცვა. აქ სამედიცინო დაწესებულებებმა სრულად უნდა დაიცვას შიდსის გამოვლენის მიზნით გამოკვლევისთვის მოქალაქეთა მიმართვისას მათი ანონიმურობა და კონფიდენციალობა („აივ ინფექცია/შიდსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილი). თვით გვარი და საცხოვრებელი ადგილიც არ უნდა დაფიქსირდეს.<sup>779</sup> თუმცა აივ ინფიცირებული/შიდსით დაავადებულმა, რომლისთვისაც ცნობილია თავისი დაავადების თაობაზე, უნდა აცნობოს მეუღლეს ან სქესობრივ პარტნიორს საკუთარი აივ ინფიცირების თაობაზე („აივ ინფექცია/შიდსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილი). აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობისას მომსახურების მიმწოდებელმა დაწესებულებამ, რომელიც ახორციელებს აივ ინფიცირებულთა/შიდსით დაავადებულთა მკურნალობას, უნდა მიაწოდოს პირის მეუღლეს ან სქესობრივ პარტნიორს კანონით დადგენილი წესით ინფორმაცია პირის აივ დადებითი სტატუსის შესახებ, თუ მისი მეუღლის ან სქესობრივი პარტნიორის ვინაობა ცნობილია („აივ ინფექცია/შიდსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილი). სხვა დანარჩენ შემთხვევაში მომსახურების მიმწოდებელმა დაწესებულებამ უნდა დაიცვას აივ ინფიცირებულის/შიდსით დაავადებულის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობა, რაც დაავადებულის გარდაცვალების შემდეგად გრძელდება („აივ ინფექცია/შიდსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი). ამასთან, დაიშვება აივ ინფიცირებულის/შიდსით დაავადებულის შესახებ ინფორმაციის გაცემა, თუ აივ ინფიცირებულის/შიდსით დაავადებულისგან მიღებულია ინფორმირებული თანხმობა; აივ ინფიცირებულის/შიდსით დაავადებული წინასწარ განაცხადებს წერილობითი ფორმით თანხმობას მისი გარდაცვალების შემთხვევაში ინფორმაციის გაცემის შესახებ („აივ ინფექცია/შიდსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტები, „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი 27-ე მუხლი). ასევე დასაშვებია ამ ინფორმაციის გაცემა სასწავლო ან სამეცნიერო მიზნით, თუმცა მონაცემები ისე უნდა წარმოდგენილი, რომ პირის იდენტიფიკაცია შეუძლებელი იყოს („აივ ინფექცია/შიდსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 ნაწილი, „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ პუნქტი, კანონი „საქმიანობის შესახებ“, მუხლი 48).

<sup>777</sup> იხ. ი. პეტრუსინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 29

<sup>778</sup> იხ. მ. კვაჭაძე, ი. მანჯავიძე, ხ. კვახტალიანი, ხ. მირზიკაშვილი, ხ. გვერდიაძე, გ. აზაურაშვილი, წიგნი პაციენტებისთვის, აღმიანის უფლებები და ჯანდაცვა (გზამკვლევი), ობ., 2011, გვ. 35-36

<sup>779</sup> იქვე, გვ. 31

საგულისხმოა ზემოთ დასახელებული ცნობები უკავშირდება სხვა-დასხვა საპროცესო მოქმედებას. არსებობს სამედიცინო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის მიღების სამი პროცესუალური საშუალება: ა) მედიცინის მუშაკთა დაკითხვა მოწმის სახით; ბ) სასამართლო-სამედიცინო და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებისას; გ) სამედიცინო დოკუმენტების დათვალიერებისა და ამოდებისას (ავადმყოფის ისტორია, რენტგენული სურათები, ლაბორატორიული ანალიზები და სხვა). რაც შეეხება სამედიცინო საიდუმლოების მიღების არაპროცესუალურ საშუალებებს, მათ განეკუთვნება სამედიცინო ცნობისა და ამონაწერის მიღება ავადმყოფობის ისტორიიდან.<sup>780</sup> ეს საშუალებები, თავის მხრივ, უკავშირდება პირადი საიდუმლოების დაცვას, რადგან შეიძლება შეეხოს პირთა პირად თუ ინტიმურ სფეროებს, რომლებიც დაცვას ეჭვემდებარება. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს დანაშაულის გახსნისა და გამომიების ინტერესებსა და კერძო ცხოვრების დაცვის ინტერესს შორის კოლიზიას, რომელიც საბოლოოდ საზოგადო ინტერესის გამარჯვებით სრულდება. თუმცა უნდა ითქვას, რომ აუცილებელია განსაკუთრებით პიროვნული, ინტიმური დეტალები იქნეს მაქსიმალურად მკაცრად დაცული და უკიდურეს შემთხვევაში მათ შესახებ რაიმე ცნობის გაცემა უნდა იყოს უაღრესად მოზომილი, ტაქტიანი, კორექტულ ფორმებში გამოხატული.

ასევე კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემა დასაშვებია, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი სავალდებულო აღრიცხვას დაქვემდებარებულ დაავადებაზე; ინფორმაცია მიეწოდება სამედიცინო მომსახურების მონაწილე სხვა სამედიცინო პერსონალს; ინფორმაციის გამედავნება აუცილებელია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზისთვის; ინფორმაციის გამედავნებას, სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, მოითხოვს სამართალდამცავი ორგანოები ან ინფორმაციის გათქმას მოითხოვს პროცესის მწარმოებელი ორგანო; ინფორმაცია მიეწოდება სახელმწიფო ორგანოებს პაციენტისათვის სოციალური შედაგათების დაწესების მიზნით (კანონი „პაციენტთა უფლებების შესახებ, მუხლი 28; კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, მუხლი 48).

ამასთან, გარკვეულწილად შეიძლება დაავადების შესახებ სამედიცინო დასკვნამ ან „ისტორიის“ არასწორმა დიაგნოზმა გამოიწვიოს პირის ჯანმრთელობის ხელყოფა. ამიტომ თუ აღნიშნულს მოჰყვა სამედიცინო საიდუმლოების შელახვა, გამოიწვევს დელიქტური სამართლის ნორმების ამოქმედებას, რაც სამედიცინო დაწესებულების წინაშე პასუხისმგებლობას დააყენებს (სსკ. 1007-ე მუხლი). ასევე სამედიცინო დაწესებულებაში არასწორად წარმოებულმა პროცედურამ შეიძლება გამოიწვიოს დირსებისა და პატივის, პირადი ცხოვრების ხელყოფა, რა შემთხვევაშიც პიროვნული უფლებების დაცვა უნდა მოხდეს სსკ-ის მე-18 და 992-ე მუხლებზე დაყრდნობით.

<sup>780</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. ი. პეტრუხინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 33

## 11.2. პირადი ცხოვრების დაცვა და შვილად აყვანის საიდუმლოება

### 11.2.1. შვილად აყვანის საიდუმლოების არსი

შვილად აყვანასთან დაკავშირებული ძირითადი სამართლებრივი საკითხები მოწესრიგებულია სსკ-ით, კანონით „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ.“ იურიდიულ მეცნიერებაში განსახილველი პრობლემა სამართლიანად განეკუთვნება საქორწიო-საოჯახო კანონმდებლობას.

თვით შვილად აყვანის საიდუმლოებაში მოიაზრება ცნობები, რომლებიც გარკვევით მიუთითებს, რომ ბავშვის აღმზრდებები არიან არა მისი ბიოლოგიური მშობლები, არამედ მხოლოდ მშვილებლები. ამ ტიპის მონაცემების გადაცემა მესამე პირებისთვის, რომლებმაც გაშვილების ფაქტის თაობაზე არაფერი იცოდნენ, არის შვილად აყვანის საიდუმლოების გამქდავნება. ჩნდება შეკითხვა: რატომაა აუცილებელი კანონით იყოს შვილად აყვანის საიდუმლოება დაცული? უპირველეს ყოვლისა, შვილად აყვანის საიდუმლოების გამქდავნება ოჯახში იწვევს დაძაბულობას, გართულებულ ურთიერთობებს, რის გამოც პრაქტიკულად შეუძლებელია მშვილებლების მიერ ბავშვის შემდგომი აღზრდა. ამასთან, ამ საიდუმლოების მოულოდნელი გამქდავნება უმეტესწილად ახდენს ბავშვის ფსიქიკაზე უარყოფით ზეგავლენას. თუმცა მხოლოდ ამით როდი ამოიწურება შვილად აყვანის საიდუმლოების გაცემის შედეგები; იგი საერთოდ, აყენებს ზიანს თრივე მხარეს – როგორც გაშვილებულს, ისე მშვილებელს.<sup>781</sup>

სსკ-ის 1264-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მშვილებლის თხოვნით შვილად აყვანის კონფიდენციალობის უზრუნველსაყოფად დასაშვებია ნაშვილების დაბადების ადგილისა და თარიღის შეცვლა. თუმცა „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ კანონი უშვებს ასევე იგივე მოტივით სახელისა და გვარის, განსაკუთრებული მიზანების არსებობისას კი დაბადების თარიღის შეცვლის შესაძლებლობას. სსკ-ით ბუნდოვანია, თუ რა ვადით შეიძლება თარიღის შეცვლა, რასაც ასწორებს „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ კანონი, რომლითაც დადგენილია, რომ დაბადების თარიღი არ შეიძლება შეიცვალოს ერთ თვეზე მეტი ვადით („შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ კანონი 23-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). დაბადების თარიღად შეიძლება ნებისმიერი რიცხვის ჩაწერა. ამდენად, რეგისტრაციის წიგნში ბიოლოგიური შვილისა და ნაშვილების ერთი და იმავე დაბადების ადგილისა და თარიღის დაფიქსირება ტყუპი შვილების გაჩენის პრეზუმეციას ეხება. ამასთან, ნაშვილების დაბადების ადგილისა და თარიღის შეცვლა უნდა მოხდეს გამონაკლისის სახით, თუ ესაა შვილად აყვანის საიდუმლოების დაცვის ერთ-ერთი უძირითადესი გარანტი. ნაშვილების დაბადების ადგილისა და თარიღის შეცვლის შესაძლებლობის თაობაზე უნდა იყოს აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილებაში შვილად აყვანის შესახებ. თუმცა ნაშვილების შესახებ ნამდვილი მონაცემები არ ისპობა და რეგისტრაციის წიგნში გაკეთებული ჩანაწერებით დას-

<sup>781</sup> ლ. კრასავჩიკოვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 138-139

ტურდება შვილად აყვანის ფაქტი, ასევე ნაშვილების დაბადების ნამდვილი ადგილი და თარიღი. აქვე არის გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს შესახებ მონაცემები.<sup>782</sup> ნაშვილების დაბადების ნამდვილი ადგილი და თარიღი უნდა ინახებოდეს და არ გამჟღავნდეს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამას ითხოვს თვით მშვილებელი, სანამ ნაშვილებს 18 წელი შეუსრულდება. ასევე ამ მონაცემების გამჟღავნება დაიშვება, თუ ამას მოითხოვს ნაშვილები, რომელმაც უკვე კანონით დადგენილი პირობების მიხედვით მიაღწია სრულწლოვანებას. ამდენად, ნაშვილების დაბადების თარიღი და ადგილი შეიძლება ადდგეს მისი მოთხოვნით, თუ მან სრულწლოვანებას მიაღწია ან მშვილებლების მოთხოვნით, ვიდრე ნაშვილებს 18 წელი შეუსრულდება. ამასთან, დაბადების ნამდვილი ადგილისა და თარიღის აღსაღენად გასათვალისწინებელია 10 წლის ნაშვილების თანხმობა (სსკ-ის 1264-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილები). ასევე მხედველობაშია მისაღები 10 წლის ნაშვილების აზრი სახელისა და გვარის შეცვლისთვის („შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ კანონი 23-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

## 11.2.2. შვილად აყვანის საიდუმლოების გაცემის დასაშვებობა

ბუნებრივია, აქტუალურია შეკითხვა: შეიძლება გაიცეს გაშვილების შესახებ ცნობები ან ამონაწერი? აღნიშნულზე პასუხს იძლევა სსკ-ი, სახელდობრ, შვილად აყვანის შესახებ ცნობების შეკრება-გავრცელება მშვილებლის თანხმობის გარეშე აკრძალულია, ვიდრე შვილად აყვანილს არ შეუსრულდება 18 წელი. ასევე დაუშვებელია ამ სახის ცნობების გავრცელება შვილად აყვანილის თანხმობის გარეშე, თუ მას უკვე შეუსრულდა 18 წელი. გაშვილებულის ბიოლოგიური მშობლის თაობაზე ცნობების შეკრება-გავრცელებაც საჭიროებს ბიოლოგიური მშობლის თანხმობას (სსკ-ის 1263-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილები). საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მართალია, „შვილად აყვანის აუცილებელი პირობაა მშვილებლის თავისუფალი ნება, მაგრამ ეს ნება უნდა ემსახურებოდეს არასრულწლოვნის კეთილდღეობასა და ინტერესებს. შვილად აყვანა ხდება იმ მიზნით, რომ მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოიშვას ისეთივე ურთიერთობა, როგორიცაა მშობელსა და შვილს შორის.“<sup>783</sup> ამასთან, ცალკე განხილვის საგანია შემთხვევა, როცა ნაშვილები ცდილობს საკუთარი წარმომავლობის შესახებ ინფორმაციის მოძიებას. აქ განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. საქმე ზოგჯერ შეიძლება ხელოვნური განაყოფიერების ან ემბრიონის იმპლანტაციის გზით გაჩენილ ბავშვს შეეხოს, ეს კი კიდევ უფრო ართულებს ნაშვილების წარმომავლობის განსაზღვრას. ამიტომ უფლებამოსილმა ორგანოებმა დაინტერესების შემთხვევაში ხელი უნდა შეუწყოს ბავშვს შესაბამისი ინფორმაციის მოძიებაში. აღნიშნული ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციითაც არის აღიარებული.<sup>784</sup> ასევე შესაძლებელია, ნაშვილების ინტერესი კონფლიქტში

<sup>782</sup> იხ. რ. შენგელია, კ. შენგელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 324-325

<sup>783</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 მარტის განხინება განხინება (საქმე №ას-1349-1188-2010)

<sup>784</sup> იხ. რ. შენგელია, კ. შენგელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 326

აღმოჩნდეს სხვა ინტერესთან (მამის უფლება, არ ჩაიტაროს ტესტი), მაგრამ უნდა გამოიკვეთოს შედარებით რელევანტური ინტერესი. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მართებულად მიანიჭა პრიორიტეტი ბავშვის უფლებას საკუთარი წარმომავლობის შესახებ. აღნიშნულს ითვალისწინებს ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი, რომელიც პოზიტიური ვალდებულების განხორციელებლობასაც გულისხმობს.<sup>785</sup>

საერთოდ შვილად აყვანის საიდუმლოების დაცვის მოვალეობა ვრცელდება მოსამართლეზე, რომელმაც შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილება გამოიტანა, ბიოლოგიურ მშობელზე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელზე, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს თანამშრომელსა და შვილად აყვანის პროცედურებში მონაწილე ნებისმიერ პირზე. ამ სახის საიდუმლოების გამუდავნება დაუშვებელია მშობლის, მშვილებლისა და სრულწლოვანი ნაშვილების თანხმობის გარეშე („შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ კანონის 25-ე მუხლი).

შვილად აყვანის საიდუმლოების გამუდავნების უარყოფითი შედეგების განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო კანონმდებელმა დააწესა მისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე დანაშაულად გამოჰყო ამ ტიპის კონფიდენციალური ინფორმაციის გამუდავნება (საქართვ. სისხ. სამ. კოდექსის 175-ე მუხლი). თუმცა შვილად აყვანის საიდუმლოების გამუდავნებას შეუძლია გამოიწვიოს პირადი სფეროს ხელყოფა, რაც საბოლოოდ გაშვილებულისა თუ მშვილებლის სულიერ მდგრმარეობაზე აისახება. აღნიშნულმა შეიძლება გაშვილებულის ცხოვრებასა და პიროვნებას ზიანი მიაყენოს.<sup>786</sup> ზიანის მიუწენების შემთხვევაში შვილად აყვანის საიდუმლოების შელახვა უნდა იყოს განხილული დელიქტური პასუხისმგებლობის ჭრილში. ყოველი კონკრეტული შემთხვევის შესწავლის შემდეგ შესაძლებელია დადგეს სსკ-ის 992-1008-ე მუხლებით დადგენილი შედეგები.

### **11.3. პირადი ცხოვრების დაცვა და სამოქალაქო საპროცესო წარმომადგენლობა**

#### **11.3.1. საადვოკატო საიდუმლოების ძირითადი არსი და საფუძვლები**

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. ამავე კანონის მე-3 მუხლის „ზ“ პუნქტით საადვოკატო საქმიანობის ერთ-ერთ უძირითადეს პრინციპად ჩამოყალიბებულია ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვა. ამასთან, კანონმდებელმა საჭიროდ ჩათვალა საადვოკატო საიდუმლოების დაცვის მნიშვნელობის გამოსაკვეთად ცალკე გამოეყო

<sup>785</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება (საქმე №ს-41-40-2010)

<sup>786</sup> იხ. რ. შენგელია, ქ. შენგელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 325

ადგოკატის მოვალეობებად პროფესიული ფუნქციების კეთილსინდისიერად შესრულება და სასამართლოსა და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებების შეულახავად პროფესიული საიდუმლოების დაცვა („ადგოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“, „ბ“, „გ“ პუნქტები).<sup>787</sup>

საპროცესო ურთიერთობაში ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულია ადგოკატსა და კლიენტს შორის არსებული ურთიერთობა, რადგან იგი ნდობაზე დამყარებული (ფიდუციური) ურთიერთობაა. დავალების მიმცემი (კლიენტი) ენდობა საკუთარ დამცველს, რაც არის აუცილებელი წინაპირობა ადგოკატის რაციონალური საქმიანობისთვის. ამასთან, შესაძლებელია ადგოკატისთვის იუოს მნიშვნელოვანი კლიენტისაგან მიიღოს ცნობები სრულად საქმის გარშემო, რათა საქმე წარმატებით შეისწავლოს და აქვე საადგოკატო საიდუმლოებაზე მიუთითებს. თუმცა ზოგჯერ ადგოკატისთვის ძალიან რთულია, კლიენტის ნდობა მოიპოვოს. განსაკუთრებით ეს შეეხება სისხლის სამართლის საქმეებს. სამოქალაქო პროცესში ძირითადად მიმნდობის ნდობის მიღება და კლიენტის შესაძლო არასაკმარისი დაინტერესებულობა იწვევს ადგოკატთან მხოლოდ იშვიათად კონფლიქტს. აქ მიმნდობის გულწრფელობა და კომუნიკაციებურობა ზრდის ადგოკატის რაციონალური საქმიანობის შესაძლებლობას, ვინაიდან ამაზე ამყარებს ბევრ რამეს გამოცდილი ადგოკატი.<sup>788</sup>

ამდენად, კლიენტი ძირითადად აცხობიერებს აუცილებლობას, ადგოკატს მიანდოს ყველა შესაძლო რელევანტური დეტალი როგორც საკუთარი სარგებლობისთვის, ისე საქმის ინტერესიდან გამომდინარე. ეს წარმოშობს ადგოკატსა და კლიენტს შორის ნდობაზე დამყარებულ ურთიერთობას, რომელიც გონივრული თანამშრომლობის საშუალებას იძლევა. ამ ფორმით ხშირად საქმე შეეხება სფეროებს, რომლებიც თვით კლიენტების ან მესამე პირების საიდუმლო სფეროებია. კლიენტი კი საიდუმლოს მატარებელია. რაც უფრო უკავშირდება საქმის გარემოებებს ინფორმაცია, რომელიც ადგოკატსა და კლიენტს შორის უნდა იქნეს გაცვლილი და საიდუმლო სფეროს განეკუთვნება, მთო უფრო შეიცავს ინფორმაცია საჯაროდ გახმაურების საფრთხეს.<sup>789</sup>

რაც შეეხება მათ მონაწილეობას სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში, ამ სუბიექტებზე ვრცელდება იგივე წესები, რაც სამოქალაქო ურთიერთობის ნებისმიერ სუბიექტზე. აქ უპირველესია ის, რომ ეს ურთიერთობა ეფუძნება თანასწორობის პრინციპს (სსკ-ის 1-ლი მუხლი). ასევე ხაზგასასმელია, რომ ადგოკატმა, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილემ, კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს თავისი უფლება-მოვალეობანი (სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი). რაც შეეხება მხარეთა თავისუფლებას, რომელიც პერძო ხასიათის ურთიერთობებიდან წარმოიშობა, ის იზღუდება ხელშეკრულებითა და დელიქტით. განსაკუთრებით აქტუალურია ზიანის მიყენების შემთხვევა, რომელიც დელიქტს უკავშირდება. სწორედ დელიქტურ სამართალში ხდება ავტონომიის შეზღუდვა

<sup>787</sup> საქართველოს კანონი „ადგოკატთა <[http://gba.ge/pdf/2010/kanoni\\_advokatta\\_shesaxeb.pdf](http://gba.ge/pdf/2010/kanoni_advokatta_shesaxeb.pdf)>“ ის. ინტერნეტ-გვერდზე: [27.05.10 18:36]

<sup>788</sup> ის. რ. ფონ მაისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 106-107

<sup>789</sup> იქვე გვ. 107-108

აკრძალვების მეშვეობით. აღნიშნულზე დაყრდნობით სსკ-ის 992-ე მუხლით დადგენილია, რომ პირმა, რომელიც მოქმედებს კანონსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად აყენებს ზიანს სხვას, უნდა აანაზღაუროს მას ზიანი.<sup>790</sup>

ამასთან, საადვოკატო საიდუმლოება იმდენად მნიშვნელოვანია, რადენად ინტენსიურადაც მიეკუთვნება გამოთქმული განცხადებები პირად საიდუმლო სფეროს. ადვოკატისთვის, როგორც ინფორმაციის მიმღებისთვის, ძალიან კარგი ფიდუციური ურთიერთობის გამო რთულია იმის შეფასება, რომელი საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია განიხილოს და რა შეიძლება საორიენტაციოდ თავისუფლად გამოიყენოს. საიდუმლო სფერო უნდა იქნეს ფართოდ გაგებული: ადვოკატი გამოდის იქიდან, რომ კლიენტის თითოეული ინფორმაცია საიდუმლო სფეროა და ის ხდება ამ ინფორმაციის საიდუმლოების მატარებელი. აქედან გამონაკლისია საჯაროდ ცნობილი ფაქტები, მაგრამ არა უპირობო პოზიცია, რომ კლიენტი საქმის კურსშია ამ საჯარო ფაქტების შესახებ. ამასთან, კლიენტების საიდუმლო სფეროს განეკუთვნება ადვოკატისგან კონსულტაციის მიღება.<sup>791</sup>

ადვოკატის მიერ საკუთარი პროფესიული საიდუმლოების დაცვის მოვალეობა განიხილება, როგორც ადვოკატის საქმიანობის ზეობრივი საწყის.<sup>792</sup> საადვოკატო საქმიანობაში მოიაზრება ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემა პირისთვის, რომელმაც მას დახმარებისთვის მიმართა; კლიენტის წარმომადგელობა საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში არბიტრაჟში, დაკავების, მოკვლევისა და გამოძიების ორგანოებში, მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადება და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენა; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევა, რომელიც მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას არ უკავშირდება („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი). იურიდიული დახმარების ეს სახეები მოიცავს (გარდა წარმომადგენლობისა) სხვა სახის იურიდიულ დახმარებასაც. ამდენად, ლოგიკურია, ადვოკატს დაევალოს გაუხმაურებლობა იმ ცნობებისა, რომლებიც მან მიმნდობისგან მიიღო, მიუხედავად იმისა, თუ იურიდიული დახმარების რომელ სახესთან გვაქვს საქმე (არა აქვს მნიშვნელობა, ეს წარმომადგენლობა იქნება სასამართლოში თუ საჩივრის ან განცხადების დაწერა). საადვოკატო საიდუმლოება არის სხვადასხვა სახის ცნობები, რომელთა ცოდნაც აუცილებელია ადვოკატისთვის დაცვის განსახორციელებლად, იურიდიული დახმარების აღმოსაჩენად. ამდენად, უმჯობესია საადვოკატო საიდუმლოების ფართო გაგება, რათა მან მოიცვას კლიენტისგან ადვოკატისთვის მიცემული ცნობები, რომელთა გავრცელება კლიენტისთვის არასასურველია.<sup>793</sup>

საადვოკატო საიდუმლოების გავრცელების საფრთხე არსებობს ასევე იმ პირთა მხრიდან, რომლებიც ადვოკატს ეხმარებიან საადვოკატო საქმიან-

<sup>790</sup> ი. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გვ. 85-89

<sup>791</sup> ი. ლ. ჭანტურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 108-109

<sup>792</sup> ი. ლ. კრასავჩიკოვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 152. საადვოკატო ეთიკაზე, არ გაავრცელოს მიმნდობის საიდუმლოება, რომელიც ადვოკატს გაანდეს ხდობის საფუძველზე, ი. ა. ბოიკოვ, ეтические нормы деятельности советского адвоката, «Советская юстиция», 1966, №10, გვ. 16

<sup>793</sup> ი. ლ. კრასავჩიკოვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 153-154

ობის განხორციელებისას, მაგალითად, მდივანი. ის ადვოკატის კლიენტურის შესახებ ცნობებს იღებს ტელეფონთან მუშაობისას, ადვოკატის მიერ დიქტირებული წერილებისა და განცხადებების დაფიქსირება-ჩაწერის დროს. მდივანის მიერ საქმეების გაცნობა ადვოკატის მუდმივი სიფრთხილის შემთხვევაში იმ ფაქტებით ამოიწურება, რასაც ადვოკატი კლიენტებს ან მესამე პირებს ატყობინებს. ის, რომ მდივანი ამ ფარგლებში კლიენტებისგან ადვოკატისთვის გაკეთებული განცხადებების გამცნობი ხდება, გონიერმა კლიენტმაც უნდა გაითვალისწინოს. მსგავს კონტექსტში უნდა განიხილებოდეს დამლაგებელიც.<sup>794</sup> ამდენად, კონფიდენციალობის დაცვის მოვალეობა უნდა გავრცელდეს საადვოკატო ბიუროსა და იურიდიული კონსულტაციის გამწევ ნებისმიერ თანამშრომელზე (ბუღალტერი, მდივანი და სხვა).<sup>795</sup>

ბოლოს, მნიშვნელოვანია საადვოკატო ბიუროებში სათანადო პირობების შექმნა, რათა მესამე პირებს არ ჰქონდეთ კლიენტის საიდუმლო ცნობების გაცნობის საშუალება. ხშირად მხოლოდ მარტივად შექმნილი კედლები და ხმაგაუმტარი კარები ყოფს საადვოკატო ბიუროს მისადებისგან ან მოსაცდელი ოთახისგან. იურიდიული კონსულტაციის გაწევის დროს პროცესის თანამონაწილეებად სხვა კლიენტები რომ არ გადაიქცნენ, ადვოკატმა, ერთი მხრივ, საცხოვრებელ სახლში უნდა იზრუნოს საკმარის ხმაგაუმტარობაზე და, მეორე მხრივ, ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, რომ კლიენტები მოსაცდელ ოთახში არ შეხვდნენ ერთურთს და რომ საადვოკატო ბიუროში სტუმრობისას სხვა კლიენტებთან დაკავშირებული საქმეები არ იყოს გარშემო მიმოფანტული.<sup>796</sup> აღნიშნულს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან შესაძლებელია გამოიწვიოს კონფიდენციალობის დარღვევა. ამასთან, ეს პრობლემა განსაკუთრებით საგრძნობია, თუ ერთ საადვოკატო ბიუროში მოღვაწე ადვოკატთა კლიენტები პროცესში მოწინააღმდეგებე მხარეები არიან. ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ მოწინააღმდეგებე მხარეთა ადვოკატებს არ უნდა მიუწვდებოდეთ ერთმანეთის ინფორმაციაზე ხელი; ის, რომ ისინი მუშაობენ ერთ შენობაში, არ განიხილება კონფიდენციალობის დარღვევად.“ ამ პრინციპის ხელყოფის დასამტკიცებლად აუცილებელია, მხარემ მინიმუმ მაინც დაადასტუროს ამ სახის ინფორმაციის გადაცემა ან განდობა მისი ადვოკატისთვის. აქ მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატები მუშაობდნენ სხვადასხვა ოთახში, რომელსაც აქვთ დამოუკიდებელი შესავლელები. ისინი კი აუცილებლად უნდა იკეტებოდეს და ადვოკატთა სამუშაო დოკუმენტაცია ერთმანეთისაგან განცალკევებით უნდა ინახებოდეს.<sup>797</sup> აუცილებელია ეს პირობები იყოს უზრუნველყოფილი კონფიდენციალობის დასაცავად, რაც პირადი ცხოვრების დაცვის წინაპირობაა.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილი პროფესიულ საიდუმლოებას ეძღვნება, რაც მისი დაცვის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. მართალია, დასაწყისში შეიძლება მკითხველს გასჩენოდა შეკითხვა, თუ რა ვადით შეიძლება ადვოკატმა შეინახოს საიდუმ-

<sup>794</sup> იხ. რ. ფონ მაისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 109-110

<sup>795</sup> იხ. ტ. დორობიშვილსაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 78

<sup>796</sup> იხ. რ. ფონ მაისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 110-111

<sup>797</sup> იხ. სხიდ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის 2010 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება (№086/10)

ლოება, მაგრამ აღნიშნული დებულება იძლევა ამაზე პასუხს: ადვოკატმა უნდა დაიცვას პროფესიული საიდუმლოება გასული დროის მიუხედავად და კლიენტის თანხმობის გარეშე არ უნდა გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას მისგან მიღებული ინფორმაცია (მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტები).<sup>798</sup> ამავე კანონის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ადვოკატმა არ უნდა განახორციელოს ისეთი ქმედება და არ უნდა დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს უქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას, რომელშიც, თავის მხრივ, საადვოკატო საიდუმლოების დაცვა მოიაზრება. ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დარღვევა იწვევს ამ კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ პასუხისმგებლობას („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი). ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაკუთრებულ ყურადღებას ფიდუციური ურთიერთობის სპეციფიკას უთმობს. აქ ჩამოყალიბებულია პროფესიული საქმიანობის პრინციპები, რომელთა შორისაც დასახელებულია კონფიდენციალობა, ნდობა, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 1-ლი მუხლი).<sup>799</sup> ამასთან, ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლში აღიარებულია ნდობის პრინციპი, რომლის თანახმად, ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად დირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას, კომპეტენტურობას და მიუკერძოებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვებეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. ამასთან, ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში (კონფიდენციალობის პრინციპი). საყურადღებოა, რომ ადვოკატის მიერ ახსნა-განმარტებაში კლიენტის მიმართ ჩამოყალიბებული შეფასებებიც, რაც პროფესიული საქმიანობისას მიღებულ ინფორმაციას ეფუძნება, კონფიდენციალობის ხელყოფაა. აღნიშნულს პრაქტიკული დატვირთვა აქვს.<sup>800</sup> ამდენად, მართალია, აქ შეიძლება დადგეს პროფესიული პასუხისმგებლობა, მაგრამ აღნიშნული არ გამორიცხავს პირის სამოქალაქო პასუხისმგებლობას. ადვოკატს, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთ მონაწილეს, შეუძლია განახორციელოს კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება (სსკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი). თუ ზემოთ დასახელებული ნორმების შელახვამ გამოიწვია კლიენტის საიდუმლოების ბრალეულად ხელყოფა, ადვოკატი პასუხს აგებს სამოქალაქოსამართლებრივი წესით.

<sup>798</sup> ეს კანონი იხ. ინტერნეტ-გვერდზე: <[http://gba.ge/pdf/2010/kanoni\\_advokatta\\_shesaxeb.pdf](http://gba.ge/pdf/2010/kanoni_advokatta_shesaxeb.pdf)> [27.05.10 18:36]; ადვოკატისთვის განდობილი ინფორმაციის დაცვის მოვალეობის შესახებ იხ. პ. მუხლი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51

<sup>799</sup> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი იხ. ინტერნეტ-გვერდზე: <[https://docs.google.com/viewer?url=http://gba.ge/pdf/2010/eTikis\\_kodexi.pdf](https://docs.google.com/viewer?url=http://gba.ge/pdf/2010/eTikis_kodexi.pdf)> [28.06.10 18:40]

<sup>800</sup> აღნიშნულთა დაკავშირებით იხ. სსკ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის 2011 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება (№029/11)

მიუხედავად ამისა, ადგოკატი უფლებამოსილია გაამჟღავნოს კლიენტის შესახებ ინფორმაცია კლიენტის თანხმობით ან გამონაკლის შემთხვევაში, თუ ინფორმაციის გამჟღავნება აუცილებელია ადგოკატის მიერ, მის მიმართ წაყენებული ბრალდებისგან თავის დასაცავად ან კანონით უშუალოდ გათვალისწინებულ შემთხვევებში. ასევე განსაზღვრულია კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი, რაც გულისხმობს იმას, რომ ადგოკატმა უოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირად და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა (ადგოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3, მე-4 და მე-5 მუხლები).<sup>801</sup> აქ საქმე პრაქტიკულად შეიძლება შეეხოს ინტერესთა კონფლიქტს, რის თაობაზეც ადგოკატმა უნდა შეატყობინოს კლიენტს. ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ ადგოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადგოკატის პირადი ინტერესი ან კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ. საქმე შეიძლება შეეხოს კლიენტის ინტერესებზე მაღლა ადგოკატის პირადი ან კლიენტის მოწინააღმდეგებ მხარის ინტერესის დაყენების საფრთხეს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ადგოკატმა არ უნდა დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესთა დაცვას. თუმცა თუ ასეთი ურთიერთობა უკვე არსებობს, ადგოკატმა თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს.<sup>802</sup> ადგოკატმა ყოფილი კლიენტისგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია შემდეგში მის წინააღმდეგ არ უნდა გამოიყენოს და აიცილოს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების საფრთხის შექმნა. ესაა საფრთხე, რომელიც შეიძლება უარყოფითად აისახოს ყოფილი კლიენტის ან არსებული კლიენტის ინტერესებზე. საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას თანაბარმნიშვნელოვანია კონფიდენციალობისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა. ამიტომ ადგოკატმა თავი უნდა აარიდოს შემთხვევებს, როდესაც შეიძლება საფრთხე შეექმნას ერთ-ერთ ზემოთ დასახელებულ ინტერესს.<sup>803</sup> ინტერესთა კონფლიქტიც შეიძლება გახდეს პირადი ცხოვრების ხელყოფის საფუძველი. შესაბამისად, ზიანის მიყენება უნდა შემოწმდეს სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძვლების მიხედვით (სსკ-ის 992-ე მუხლი).

ადგოკატი უნდა ზრუნავდეს მიმნდობის იმუნიტეტის უზრუნველყოფასა და დაცვაზე. საადვოკატო იმუნიტეტი გულისხმობს ადგოკატის, საადვოკატო დოკუმენტაციის და პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი შენობის, კლიენტთან ადგოკატის კომუნიკაციის, ასევე კლიენტის, როგორც ადგოკატთან კომუნიკაციის შესახებ ინფორმაციის პოტენციური წყაროს, ხელშეუხებლობას. შესაბამისად, საადვოკატო შეზღუდვები ინფორმაციის გამოყენებისას ვრცელდება არა მხოლოდ კლიენტის ხელისა და ინტერესებზე, არამედ მის იმუნიტეტზე, რომელიც საადვოკატო საიდუმლოებითაა უზრუნველყო-

<sup>801</sup> ადგოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი იხ. ინტერნეტ-გვერდზე: <[https://docs.google.com/viewer?url=http://gba.ge/pdf/2010/eTikis\\_kodexi.pdf](https://docs.google.com/viewer?url=http://gba.ge/pdf/2010/eTikis_kodexi.pdf)> [28.06.10 18:40]

<sup>802</sup> იხ. სსკ „საქართველოს ადგოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის 2011 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილება (№022/11)

<sup>803</sup> იხ. სსკ „საქართველოს ადგოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის 2011 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება (№092/10)

ფილი. ამდენად, უცხო პირთა ხელყოფისაგან საადვოკატო საიდუმლოების დაცვის პრობლემა ორ ძირითად ასპექტს ეხება: а) საადვოკატო იმუნიტეტსა და ბ) მესამე პირთათვის საადვოკატო საიდუმლოების ხელმისაწვდომობას სამართლებრივად დასაშვები საფუძვლებით.<sup>804</sup>

ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში არის პრინციპი, რომლის მიხედვით, მხარეებს შეუძლიათ სასამართლოში საქმე აწარმოონ პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით (სსსკ-ის 93-ე მუხლი),<sup>805</sup> რაც სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობის მნიშვნელოვანი ელემენტია.<sup>806</sup> ამიტომ მიზანშეწონილია, კონფიდენციალობა დაიცვან პირებმა, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოდიან წარმომადგენლებად. აქაც ადგილი აქვს კლიენტსა და წარმომადგენელს შორის ფიდუციურ ურთიერთობას. იგივე შეიძლება ითქვას ორგანიზაციის თანამშომლებზე, რომლებიც ორგანიზაციის საქმეებზე წარმომადგენელებად გამოდიან სასამართლოში (სსსკ-ის 96-ე მუხლი). საგულისხმოა, რომ ადვოკატის თანაშემწებ გასული დროის მიუხედავად კლიენტის თანხმობის გარეშე არ უნდა გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას მისგან მიღებული ინფორმაცია („ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები, მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტები).<sup>807</sup> ამდენად, საადვოკატო საიდუმლოების დაცვის მოვალეობა ადვოკატის თანაშემწებზეც უნდა გავრცელდეს. კონფიდენციალობის დაცვა ამ ფორმით ილუზორული იქნებოდა, თუ მაგალითად, აუცილებელი წერითი სამუშაოს შემსრულებელი მდივანი არ იქნებოდა ვალდებული შეენახა საიდუმლო.<sup>808</sup> ე.ო., მდივანმა უნდა დაიცვას ეს საიდუმლო.

გარდა აღნიშნულისა, ადვოკატს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუძლია, მიიღოს სტაჟიორი, რომელიც კანონით დადგენილი წესით ადვოკატის დავალებით მის უფლებამოსილებებს ახორციელებს. ასევე განსაზღვრულია, რომ სტაჟიორი არ შეიძლება დაიკითხოს მოწმედ იმ საკითხზე, რომელიც მისთვის პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას გახდა ცნობილი. მასზე ვრცელდება ამ კანონის მე-7 მუხლის ვალდებულებები („ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის 1-ლი, მე-3 და მე-4 ნაწილები). ესეც პირადი სფეროს ხელყოფის საფრთხეს უკავშირდება. მაშასადამე, ადვოკატის სტაჟიორმაც უნდა დაიცვას პროფესიული საიდუმლოება გასული დროის მიუხედავად და კლიენტის თანხმობის გარეშე არ უნდა გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას მისგან მიღებული ინფორმაცია („ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტები).<sup>809</sup> აღნიშნულს ასწორებს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, რომლითაც თუ ადვოკატის მიერ ინფორმაციის გამუდავნება აუცილებელია მის მიმართ წაყენებული ბრალდე-

<sup>804</sup> იხ. ი. პილიკენერ, დასახ. ნაშრომი, გვ. 22, 23, 24

<sup>805</sup> იხ. თ. ლილუაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 176-177

<sup>806</sup> იხ. შ. ქურდაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 212

<sup>807</sup> ეს კანონი იხ. ინტერნეტ-გვერდზე: <[http://gba.ge/pdf/2010/kanoni\\_advokatta\\_shesaxeb.pdf](http://gba.ge/pdf/2010/kanoni_advokatta_shesaxeb.pdf)> [27.05.10 18:36]

<sup>808</sup> იხ. რ. ფონ მაისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 177-178

<sup>809</sup> ეს კანონი იხ. ინტერნეტ-გვერდზე: <[http://gba.ge/pdf/2010/kanoni\\_advokatta\\_shesaxeb.pdf](http://gba.ge/pdf/2010/kanoni_advokatta_shesaxeb.pdf)> [27.05.10 18:36]

ბისაგან თავის დასაცავად<sup>810</sup> (და სხვა კანონით დადგენილ გამონაკლის შემთხვევებში), მაშინ დასაშვებია კლიენტის შესახებ ინფორმაციის გავრცელება. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში გაზიარებულია სწორედ ის პოზიცია, რაზეც საუბარია საქართველოს კონსტიტუციაში: პირს შეუძლია უარი თქვას ჩვენების მიცემაზე საკუთარი თავის ან ახლობელთა წინააღმდეგ, რომელთა წრეც კანონითაა განსაზღვრული (საჭ. კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-8 ნაწილი). ეს უნდა ეხებოდეს საკუთარი თავის მიმართ ბრალდების თავიდან აცილებას, სხვა შემთხვევებში აუცილებელია კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა იყოს დაცული და ინტერესთა კონფლიქტიც მისი ინტერესების გათვალისწინებით გადაწყდეს.

### 11.3.2. პასუხისმგებლობა საადვოკატო საიდუმლოების ხელყოფისთვის

ადვოკატი, ერთი მხრივ, მოსარჩელეს უნდა ეხმარებოდეს, მეორე მხრივ, ზოგადად სასამართლო პრაქტიკისა და ჭეშმარიტების დადგენის სამსახურში უნდა იყოს. ცხადია, ის არაა ვალდებული, შეატყობინოს სასამართლოს თავისი კლიენტის მდგომარეობის დამამდიმებელი გარემოებები. ადვოკატმა უნდა მოახსენოს სასამართლოს მხოლოდ ის, რაც თავისი კლიენტის სასარგებლოდ მეტყველებს. პირველ რიგში ადვოკატი იცავს კლიენტის ინტერესებს, რაც ელემენტარული პროფესიული მოვალეობაა. ამასთან, მრავალი საჯაროსამართლებრივი ნორმის საფუძველზე სახელმწიფოს შეუძლია ინდივიდის პირად საიდუმლოებაში ჩარევა. სახელმწიფოს შეუძლია მოქალაქის ნდობა მხოლოდ მაშინ დაიმსახუროს, თუ ის, როგორც კერძო საიდუმლოს მატარებელი, საიდუმლოს დაცვას უზრუნველყოფს. თუმცა აქ ზოგადი ჩვენების მიცემის მოვალეობას არ შეუძლია თანამშრომლების ჩვენების მიცემის მოვალეობა მოიცვას.<sup>811</sup> მოცემულ შემთხვევაში უპირველესია კლიენტის ინტერესების დაცვა.

ამასთან, შესაძლებელია ადვოკატმა კლიენტის საიდუმლო სფერო ხელყოს, თუ ის კლიენტების საიდუმლო სფეროების გარკვეული ნაწილების შესახებ გაგებულ ცნობებს მესამე პირებს გადასცემს ან მათთვის ხელმისაწვდომს ხდის. ამ ფორმით ადვოკატი არღვევს საიდუმლოების შენახვის მოვალეობას (სსკ-ის 709-723-ე მუხლები). ამდენად, კლიენტს შეუძლია დავალების ხელშეკრულების შეუსრულებლობისას სახელშეკრულებო სამართლის ნორმებით ხელმძღვანელობა.<sup>812</sup> თუმცა აქ, ალბათ, უფრო ქონებრივი ინტერესის დაკმაყოფილება უნდა იგულისხმებოდეს.

თუ ადვოკატი არ იცავს საადვოკატო საიდუმლოებას და პროფესიული ეთიკის კოდექსს, მაშინ შეიძლება მის მიმართ დადგეს დისციპლინური პასუხისმგებლობა („ადვოკატთა შესახებ“ კანონის 32-ე მუხლი 1-ლი ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტები). ადვოკატის მიმართ გამოსაყენებელი დისციპლინური

<sup>810</sup> თუ მიმნდობის (ან მესამე პირების) პირადი (ინტიმური) ცხოვრების შესახებ ცნობები ადვოკატმა შეიტყო კანონიერი გზით არა თვით კლიენტისაგან (ან თვით კლიენტისგან), მაშინ ადვოკატს შეუძლია ამ ცნობების გამოყენება მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის პასუხისმგებლობის შემსუბუქების მიზნით. იხ. ლ. კრასავჩიკოვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 155

<sup>811</sup> იხ. რ. ფოხ მაიხ, დასახ. ნაშრომი, გვ. 176-177, 211-212

<sup>812</sup> იქვე გვ. 188-189

სახდელის სახეებია: გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 თვიდან 3 წლამდე; საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა („ადვოკატთა შესახებ“ კანონის 34-ე მუხლი 1-ლი და მე-2 ნაწილები). დისციპლინური პასუხისმგებლობის წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს ინტერესთა კონფლიქტის არსებობაც. თუ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი, მაშინ ადვოკატმა წარმომადგენლობაზე უნდა განაცხადოს უარი. აღნიშნული პრაქტიკული მნიშვნელობისაა, კინაიდან ამ შემთხვევაში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გაგრძელება საფრთხეს უქმნის კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობას, ნდობისა და კონფიდენციალობის დაცვას.<sup>813</sup>

ამასთან, ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია ადვოკატის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტკუნებელი განახენი განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის („ადვოკატთა შესახებ“ კანონის 21<sup>3</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ პუნქტი). ადვოკატს სამართლდარღვევის ჩადენისთვის ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საერთო წესით („ადვოკატთა შესახებ“ კანონის 36-ე მუხლი), თუ ჩადენილი ქმედება დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. მაგალითად, ადვოკატი შეიძლება დაისაჯოს თაღლითობისთვის (180-ე მუხლი), კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევისთვის (158-ე მუხლის მე-3 ნაწილი)... საჯარიმო სანქცია ამ შემთხვევაში ეხება როგორც ადვოკატებს, ისე მათ თანაშემწევებს.<sup>814</sup> ამდენად, აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს საადვოკატო საიდუმლოების ხელყოფაც.

წესების დარღვევის გამო სისხლისსამართლებრივი და დისციპლინარული სანქციები შეიძლება კუმულატიურად იყოს გამოყენებული.<sup>815</sup>

დიდი მნიშვნელობა აქვს დისციპლინური დასჯის შესაძლებლობას მაშინ, როცა სისხლისსამართლებრივი სანქცია შეუძლებელია, მაგალითად, საჩივრის წარდგენის შეუძლებლობის ან განზრახვის დოკუმენტურად დასაბუთების შეუძლებელობის გამო. დისციპლინურ სამართალში გაბატონებულია მართლზომიერების პრინციპი, რის გამოც პრინციპები „nulla poena sine lege“ (არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე) და „ne bis in idem“ (დაუშვებელია ერთი და იგივე ქმედებისთვის განმეორებით დასჯა) არ მოქმედებს.<sup>816</sup>

ამასთან, უმნიშვნელოვანებია კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელებისთვის ადვოკატის მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრება, რაც ზემოთ განხილული დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან განსხვავდება. თუმცა საიდუმლოს მფლობელის თანხმობის შემთხვევაში ან

<sup>813</sup> ი. სის „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის 2011 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილება (№022/11). საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ამ საკითხის სამართლებრივად სწორად გადაწყვეტის გამო ძალაში დატოვა დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად გაფრთხილების გამოყენების შესახებ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება. ი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2011 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება (№დს-შ/7-11)

<sup>814</sup> ი. რ. ფონ მაისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 176-188. საადვოკატო საიდუმლოების სამართლებრივ ასპექტებზე სისხლის საპროცესო სამართლებში ი. გ. მეფარიშვილი, ცხოვრება და კანონი, მე-2 შევსებული გამოცემა, თბ., „სამართალი“, 2008, გვ. 206-219

<sup>815</sup> ი. რ. ფონ მაისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 182

<sup>816</sup> იქვე გვ. 185, 213-214

მაკონტროლებელი ორგანოების წერილობითი თანხმობის არსებობისას საიდუმლოების გამუდავნება არაა მართლსაწინააღმდეგო.<sup>817</sup>

უპირველეს ყოვლისა, არასათანადო პრაქტიკის წარმოებისთვის ზიანის მიუენების შემთხვევაში ადვოკატს (წარმომადგენელს) შეიძლება დაეკისროს სამოქალაქო პასუხისმგებლობა. მაგალითად, ადვოკატი დაახლოებით ათი წლის განმავლობაში ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას და საგულდაგულოდ იცავდა კლიენტის ინფორმაციას. თუმცა ერთხელ ადვოკატის ოთახის კეთილმოუწყობლობის გამო ადვოკატმა კლიენტის შესახებ მონაცემები (მათ შორის ინტიმური ინფორმაციის შემცველი მტკიცებულებები) დროებით შეიტანა სხვა ადვოკატის ოთახში, რომელშიც სხვა კლიენტებიც შედიოდნენ. ადვოკატის სამუშაო ოთახში რამდენიმეჯერ კლიენტების მარტო დატოვების გამო ისინი გაეცნენ საიდუმლო ინფორმაციას. ამასთან, ადგილი ჰქონდა ამ ინფორმაციის გამოყენებას თვით საიდუმლოს მფლობელის წინააღმდეგ, რის გამოც მან ეს საქმე წაგო. აღნიშნულმა თავისთავად გამოიწვია ზიანი, რომელიც შეიძლება ქონებრივი ან/და არაქონებრივი ხასიათის იყოს. ამდენად, ადვოკატმა ვერ უზრუნველყო კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა და ამ ინფორმაციის დაცვის მოვალეობის შესახებ წესები დაარღვია. სწორედ აღნიშნულმა მართლსაწინააღმდეგო ქმედებამ განაპირობა შედეგი, რომელიც აისახა ზიანში. ადვოკატის (ან ადვოკატთა) წინაშე შეიძლება დადგეს სამოქალაქოსართლებრივი პასუხისმგებლობა, რომელიც გარკვეული საფუძვლების კუმულატიურ არსებობას გულისხმობს. თვით ზიანის ხასიათიდან გამომდინარე, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით ადვოკატის მიმართ შეიძლება დელიქტური პასუხისმგებლობა დადგეს (სსკ-ის 992-ე მუხლი).

როგორც ითქვა, საადვოკატო ბიუროებში უნდა იყოს სათანადო პირობები, რათა მესამე პირებს არ ჰქონდეთ კლიენტის საიდუმლო ცნობების გაცნობის საშუალება.<sup>818</sup> აღნიშნულს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან შეიძლება გამოიწვიოს კონფიდენციალობის დარღვევა.<sup>819</sup> საერთოდ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ადვოკატმა არ უნდა განახორციელოს ისეთი ქმედება და არ უნდა დაამჟაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს უქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას, რომელშიც, თავის მხრივ, საადვოკატო საიდუმლოების დაცვა მოიაზრება. ამასთან, ადვოკატი ასევე უნდა ზრუნავდეს მიმნდობის იმუნიტეტის უზრუნველყოფასა და დაცვაზე.<sup>820</sup> აღნიშნული წესის დარღვევა მიუთითებს ადვოკატის მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე, რომელმაც შეიძლება ბრალეულად (განზრას ან გაუფრთხილებლობით) გამოიწვიოს ზიანი. ამ ზიანის ხასიათის დადგენის შემდეგ უნდა იყოს შესწავლილი სამოქალაქო პასუხისმგებლობის სხვა წინაპირობები. აღნიშნულს უნდა მოჰყვეს ზიანის გამოთვლა სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით. შემდეგ დაინტერესებულ პირს შეუძლია

<sup>817</sup> იქვე, გვ. 179

<sup>818</sup> იქვე, გვ. 110-111

<sup>819</sup> ი. სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის 2010 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება (№086/10)

<sup>820</sup> აღნიშნულის შესახებ ი. ი. პილიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 22-24

საკუთარი ინტერესის დაცვა მოსთხოვოს ადვოკატს უფლების დაცვის კონკრეტული ფორმების გამოყენებით. აქ ცენტრალურ როლს თამაშობს პირადი სფეროს დაცვა ქონებრივი თუ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნათა დაყენების გზით. ამდენად, სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძველთა არსებობისას უნდა დადგეს სსკ-ის 992-1008-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები.

## 11.4. პირადი სფერო და საბანკო საიდუმლოება

### 11.4.1. საბანკო საიდუმლოების არსი

საბანკო საიდუმლოება დაცულია საქართველოს კანონით „კომერციული ბანკების შესახებ“, ასევე ორგანული კანონით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ.“ იურიდიულ ლიტერატურაში საბანკო სამართლი ტრადიციულად განიხილება კომპლექსურ დარგად. შესაბამისად, ამ კონტექსტში განიხილება საბანკო საიდუმლოებაც, რომელიც გათვალისწინებულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში. შევჩერდეთ ცნებაზე „საბანკო საიდუმლოება“. იგი გაიგება, როგორც საბანკო ანგარიშისა და შენატანის, ანგარიშთან დაკავშირებით საბანკო ოპერაციები და კლიენტის შესახებ ცნობები,<sup>821</sup> რომელთა გავრცელებამ შეიძლება კერძო ცხოვრება ხელყოს.<sup>822</sup>

საბანკო საიდუმლოებაზე უფლების წარმოშობის საფუძველია პირის თავისუფალი ნების გამოვლენა, დადოს გარიგება საბანკო ანგარიშის ან შენატანის თაობაზე. ასეთი სურვილი პირს ჩამოუყალიბდება საკრედიტო დაწესებულებათა განუსაზღვრელ წრესთან დაკავშირებით. შემდეგ პირი ირჩევს იმ ორგანიზაციას, რომელიც შედარებით სრულად შეესაბამება მის პირად ინტერესს და რომელსაც შეუძლია ყველაზე სრულად დააკმაყოფილოს მისი პირადი მოთხოვნილებანი. ამასთან, საბანკო საიდუმლოებაზე უფლება წარმოიშობა იმ მომენტიდან, როცა პირი მიმართავს კონკრეტულ საკრედიტო ორგანიზაციას, რომელიც პირმა ამოირჩია საკუთარი ფულადი საშუალებების ან სხვა დირექტულებების შესატანად. პირს აქვს უფლება, განკარგოს ბანკებში საკუთარი შენატანების შესახებ ცნობები. ეს ყველაფერი, თავის მხრივ, ეხება კერძო ცხოვრებას. შესაბამისად, მას შეუძლია ამ ცნობების ფარულობა (კონფიდენციალობის დაცვა) მოითხოვოს. ასევე კერძო ცხოვრებასთან უშუალოდ კავშირშია ცნობები, რომლებიც ეხება განსაზღვრული თანხის შეტანას თავის ან სხვის სახელზე, შეტანანის განკარგვაზე ნდობის გაცემას, შენატანის მიღებას, ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვას და სხვა ოპერაციებს. ბანკთან გარიგების დადებით კი კლიენტი ბანკს ანდობს საკუთარ ბიუჯეტის, ასევე სხვებთან კავშირ-ურთიერთობების შესახებ ცნობების.<sup>823</sup> ამდენად, საიდუმლოების დაცვის მოვალეობა ვრცელდება კლიენტთან დაკავშირებული ყველა ფაქტსა და შეფასებაზე, რის შესახებაც ბანკმა მიიღო ცნობები. მნიშვნელობა არა აქვს, ცნობები კლიენტის

<sup>821</sup> იხ. ტ. დორობიშვილია, დასახ. ნაშრომი, გვ. 85

<sup>822</sup> იხ. მ. ცაცანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 117-119

<sup>823</sup> იხ. ტ. დორობიშვილია, დასახ. ნაშრომი, გვ. 86-87

შეტყობინების საფუძველზე მოიპოვეს, მესამე პირებისა თუ საკრედიტო დაწესებულების, კერძოდ, მისი ორგანოს ან თანამშრომლის მიერ განხორციელებული ღონისძიების შედეგად. საბანკო საიდუმლოებას განეკუთვნება არა მხოლოდ საბანკო ოპერაციებიდან ცნობილი ფაქტები, როგორიცაა ანგარიშის მდგომარეობა, სამეწარმეო დაწესებულებათა პასივებისა და აქტივების შესახებ ძირითადი ცნობების ერთობლიობა და სხვა მსგავსი ცნობებისა, არამედ ასევე აქტების გაცნობა-დათვალიერება, კვალი და შეფასებები, რომლებიც საკრედიტო დაწესებულებას ჩამოუყალიბდა. ამასთან, საიდუმლოების დაცვის მოვალეობა არა მხოლოდ წმინდა ქონებრივი საკითხებით შემოიფარგლება, არამედ უკავშირდება ასევე კლიენტთა კერძო ურთიერთობის საფუძველზე სამკვიდროს გახსნას, განქორწინებას, საალიმენტო მოვალეობებს და ა. შ.<sup>824</sup>

#### 11.4.2. საბანკო საიდუმლოების დაცვის ძირითადი სამართლებრივი საფუძვლები

საბანკო საიდუმლოება დაცულია საქართველოს კანონით „კომერციული ბანკების შესახებ“. მოცემული კანონის მე-17 მუხლის 1-ლ ნაწილში დადგენილია, რომ არავის აქს უფლება დაუშვას ვინმე კონფიდენციალურ ინფორმაციასთან, გათქვას და გაავრცელოს ასეთი ინფორმაცია ან გამოიყენოს პირადი სარგებლობისთვის. ამ სახის ინფორმაცია შეიძლება მიეცეს მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ბანკს მისი კომპეტენციის ფარგლებში. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ფიზიკური და იურიდიული პირების ოპერაციებისა და ანგარიშების შესახებ ინფორმაცია შეიძლება მიეცეთ თვით ანგარიშის მფლობელებს, მათ ზემდგომებს და წარმომადგენლებს, სასამართლო და საგამოძიებო ორგანოებს მათ წარმოებაში არსებულ საქმეებზე და საგადასახადო სამსახურებს მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით. ეს მონაცემები პირის კერძო ცხოვრების ქონებრივ ასპექტებს ეხება. ცნობები, რომლებიც საბანკო თუ საკრედიტო დაწესებულებებს აქვთ ამა თუ იმ ანგარიშისა თუ შეტანატის თაობაზე, წარმოადგენს პირის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას. სწორედ ამ ინფორმაციის გახმაურებამ შეიძლება გამოიწვიოს კერძო სფეროს შელახვა.

პროფესიული საიდუმლოების ერთ-ერთი გამოვლინება საბანკო საიდუმლოების სახით ასევე გათვალისწინებულია ორგანულ კანონში „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ.“ საგულისხმოა, რომ ეროვნული ბანკის საბჭოს მოქმედ თუ ყოფილ წევრს, ეროვნული ბანკისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლებს ან აუდიტორს ეკრალება არაუფლებამოსილი პირის დაშვება კონფიდენციალურ ინფორმაციასთან, ასეთი ინფორმაციის გათქმა ან გავრცელება ან პირადი სარგებლობისთვის გამოყენება (ორგანული კანონის „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ მე-20 მუხლის 1-ლი ნაწილი). ამასთან, დასაშვებია ეროვნულ ბანკში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია, მონეტარული პოლიტიკის,

<sup>824</sup> ob. P. Kersten, Zur Reichweite der Verschwiegenheitspflicht im Kreditgewerbe (Dissertation), Köln, 2010, გვ. 23

სტატისტიკური და საფინანსო სექტორის სტაბილურობის მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება გონივრული ვადით გამოცხადდეს კონფიდენციალურად. ამ სახის ინფორმაციის ნუსხას, შეზღუდვის ვადასა და გაცემის წესს განსაზღვრავს ეროვნული ბანკის საბჭო (ორგანული კანონის „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ მე-20 მუხლის მე-5 ნაწილი).

გარდა აღნიშნულისა, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის წესი და პირობები განისაზღვრება „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ (ორგანული კანონის „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ მე-20 მუხლის მე-2 ნაწილი). პირის ფინანსურ მდგრმარეობას შეეხება გარკვეული გარიგებების დადება. თუმცა გარიგებათა განსაზღვრული წრე ექვემდებარება მონიტორინგს: პირის მიერ დადებული ან შესრულებული გარიგება ან/და მისი დანაწევრების მიზნით განხორციელებულ გარიგებათა ერთობლიობა, თუ ამ გარიგების ან გარიგებათა ერთობლიობის ფასი აღემატება 20 000 ლარს ნადი ანგარიშ-სწორების შემთხვევაში და 40 000 ლარს უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში და, ამავე დროს, გარიგება საუჭვოა და არის ამ მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი გარიგება („უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილი).

ამავე კანონის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა, საზედამხედველო და სამართალდამცავმა ორგანოებმა, ამ ორგანოების ხელმძღვანელებმა და თანამშრომლებმა უნდა უზრუნველყონ მოცემული კანონის შესაბამისად მიღებული იმ ინფორმაციის დაცვა, რომელიც შეიცავს პირად, საბანკო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოს და ასეთი ინფორმაცია გასცეს საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით („უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილი). ამასთან, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს, საზედამხედველო ორგანოებს, მათ ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული შესაბამისი მოქმედების შედეგად ნორმატიული აქტით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულების დარღვევისთვის ან ასეთი ინფორმაციის დაცვის ან გაცემისთვის, გარდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევისა („უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილი).

ასევე შეიძლება წარმოიშვას შეკითხვა: არასაბანკო დაწესებულებებმაც უნდა დაიცვას კონფიდენციალობა? „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკრედიტო კავშირის წევრის ანაბრისა და სასესხო ოპერაციის თაობაზე ინფორმაცია ამავე კავშირის არაწევრი პირებისთვის კონფიდენციალურია. იგი მათზე გაიცემა მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით. თუმცა მოცემული მუხლის მე-2

ნაწილის თანახმად, საზედამხედველო ფუნქციის განსახორციელებლად ეროვნულ ბანკს შეუძლია მიიღოს დასახელებული და საკრედიტო კავშირის საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტი.

ამდენად, საბანკო საიდუმლოების ხელყოფისას შესაძლებელია სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე დადგეს სამოქალაქო პასუხისმგებლობა. დაინტერესებულ პირს საკუთარი საიდუმლოება შეუძლია დაიცვას სსკ-ის 863-ე მუხლის საფუძველზე, რომლითაც საკრედიტო დაწესებულებამ უნდა დაიცვას ანგარიშთან დაკავშირებული და სხვა ისეთი ფაქტების საიდუმლოება, რომლებიც ცნობილი გახდა მისთვის ანგარიშის მფლობელთან საქმიანი ურთიერთობისას. ოუმცა აქედან არსებობს გამონაკლისი, როცა ამ ვალდებულების დარღვევა გამორიცხავს სამოქალაქო პასუხისმგებლობას, კერძოდ, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ან თუ საქმე ეხება ისეთ ჩვეულებრივ საბანკო ინფორმაციას, რომელიც ანგარიშის მფლობელის ინტერესებს არ ხელყოფს. ამასთან, როცა აღნიშნული ტიპის საიდუმლოების დაცვის მოვალეობა არის ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი, ამ მოვალეობის ხელყოფა, თავის მხრივ, ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია დადგინდეს ვალდებულების დარღვევა, რაც იწვევს სსკ-ის 394-399-ე მუხლებით გათვალისწინებულ შედეგებს.

გარდა ამისა, საბანკო საიდუმლოების ხელყოფა გამოიხატება შესაბამისი ინფორმაციის გავრცელებაში ან უფლებამოსილი პირის ნებართვის გარეშე მესამე პირთა ინტერესების გამოყენებაში. სხვა შემთხვევაში ბანკის მიერ საბანკო საიდუმლოების გახმაურების დროს წარმოიშობა კლიენტის უფლება ქონებრივი თუ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ<sup>825</sup> და შეიძლება დადგეს სსკ-ის 992-1008-ე მუხლებში მოცემული შედეგები.

## 11.5. პირადი სფერო და სანოტარო მოქმედების საიდუმლოება

### 11.5.1. სანოტარო მოქმედების საიდუმლოების არსი

კანონი „ნოტარიატის შესახებ“ განსაზღვრავს სანოტარო მოქმედების საიდუმლოებას. მას განეკუთვნება ცნობები, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. სანოტარო მოქმედების საიდუმლოების დაცვა ევალება ნოტარიუსს თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგაც (მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილი). მართალია, ეს კანონი საჯაროსამართლებრივი ხასიათისაა, მაგრამ ეხება იმ მონაცემებს, რომლებიც კერძო ხასიათისაა. აქ კი უმნიშვნელოვანესია მათი დაცვა კერძოსამართლებრივი თვალსაზრისით, ვინაიდან პირის უფლებრივი მდგომარეობის აღდგენას უკავშირდება.

უპირველეს ყოვლისა, სანოტარო მოქმედების საიდუმლოების დასადგენად აუცილებელია, განისაზღვროს, რა მოიაზრება მოცემულ სანოტარო მოქმედებაში. როგორც „ნოტარიატის შესახებ“ კანონის 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან ჩანს, სანოტარო მოქმედებებს განეკუთვნება: კანონით დადგენი-

<sup>825</sup> იხ. 6. ბარაბაძე, მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პროცესი, გვ. 125

ლი წესით ან მხარეთა შეთანხმებით დადებული გარიგების დადასტურება; საკუთრების უფლების მოწმობის გაცემა; მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემა; მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობის გაცემა; დოკუმენტის ასლისა და ამონაწერის სისწორის შემოწმება დედანთან; ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის სისწორის შემოწმება; შესანახად გადაცემული დოკუმენტების მიღება და სხვა. ასევე ნოტარიუსი უწევს პირებს სამართლებრივ კონსულტაციას და მათი თხოვნით აღგენს დოკუმენტების პროექტებს („ნოტარიატის შესახებ“ კანონის 38-ე მუხლის მე-3 ნაწილი). „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ“ საქართველოს კანონით სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის კი დაწესებულია საზღაური. ამდენად, მიზანშეწონილია, სანოტარო მოქმედებათა საიდუმლოება მთელ ზემოთ ჩამოთვლილ მოქმედებაზე გავრცელდეს. აღნიშნული კი პირის კერძო ცხოვების საიდუმლოების გაცილებით ეფექტურად დაცვის წინაპირობა. მაშასადამე, ნოტარიატის კომპეტენცია არა მხოლოდ გარიგების საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების, არამედ უფლებების არსებობისა და იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადასტურებას ეხება.<sup>826</sup> ამდენად, სანოტარო მოქმედების საიდუმლოებაა კანონით დადგენილი წესით ან მხარეთა შეთანხმებით დადებული გარიგების დადასტურების, სხვადასხვა უფლების დამადასტურებელი მოწმობების გაცემის, დოკუმენტის ასლისა და ამონაწერის დედანთან სისწორის, ასევე თარგმანის სისწორის შემოწმების, შესანახად გადაცემული დოკუმენტების, სანოტარო მოქმედებებისთვის საზღაურის გადახდისა და სხვა მსგავსი მოქმედებების განხორციელებისას მიღებული ცნობები. პროფესიული საიდუმლოების დაცვის მოვალეობა აღიარებულია ასევე ნოტარიუსთა დეონტოლოგიის (ეთიკის) კოდექსით (მე-2 მუხლის მე-6 ნაწილი).

### **11.5.2. სანოტარო მოქმედების საიდუმლოებისა და კერძო სფეროს დაცვის მირითადი სამართლებრივი საფუძვლები**

იბადება შეკითხვა: სანოტარო მოქმედების საიდუმლოების დაცვის მოვალეობა მხოლოდ ნოტარიუსზე ვრცელდება? აღნიშნული საკითხი პრაქტიკული მნიშვნელობისაა. მიზანშეწონილია, მოცემული პროფესიული საიდუმლოება ფართოდ იყოს ინტერეტირებული, ვინაიდან სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელთა წრე მხოლოდ ნოტარიუსით როდი შემოიფარგლება. სანოტარო მოქმედება შეიძლება სხვა თანამდებობის პირმაც ჩაატაროს (მაგალითად, გემის კაპიტანმა). აქედან გამომდინარე, უმჯობესია სანოტარო მოქმედების საიდუმლოების დაცვა დაევალოს როგორც ნოტარიუსს, ისე სანოტარო მოქმედების შემსრულებელ სხვა თანამდებობის პირს. ასევე აღნიშნული საიდუმლოება უნდა დაიცვან იმ თანამდებობის პირებმა, რომლებმაც მათი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას შეიტყვეს სანოტარო მოქმედების შესახებ. ეს მოვალეობა გრძელდება მათი თანამდე-

<sup>826</sup> იხ. დო. ინწურებული, ნოტარიატისა და სასამართლოს კომპეტენციათა გამიჯვნისთვის, წიგნში „ქართული კერძო სამართლის კრებული“, წ. I, თბ., საია, 2004, გვ. 221

ბობიდან განთავისუფლების შემდეგაც<sup>827</sup> ამასთან, სანოტარო მოქმედების შესახებ ცნობები გაიცემა მხოლოდ მათზე, ვისი თხოვნითაც შესრულდა სანოტარო მოქმედება ან მათ წარმომადგენელზე. საგამოძიებო ან სასამართლოს ორგანოს მოთხოვნით დასაშვებია ნოტარიუსმა გასცეს ცნობები სანოტარო მოქმედების შესახებ იმ სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე, რომლებიც საგამოძიებო ორგანოს ან სასამართლოს წარმოებაშია. ასევე საგადასახადო ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში ნოტარიუსმა უნდა წარუდგინოს ცნობა იმ ქონების ღირებულების შესახებ, რომელიც პირის საკუთრებაში გადავიდა („ნოტარიატის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი).

გარდა ამისა, ნოტარიუსს შეუძლია ანდერძის არსებობისა თუ შინაარსის შესახებ მხოლოდ მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ გაამხილოს („ნოტარიატის“ შესახებ კანონის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი). აღნიშნული კანონი ასევე უშვებს სანოტარო მოქმედების საიდუმლოების დაცვის მოვალეობისაგან განთავისუფლების შემთხვევებსაც, სახელდობრ, იმ პირის წერილობითი თანხმობისას, ვისი თხოვნითაც შესრულდა სანოტარო მოქმედება ან მისი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობისას; ასევე ამ მოვალეობისაგან შეიძლება სასამართლომაც გაათავისუფლოს ნოტარიუსი, თუ პირი გარდაიცვალა და არ ჰყავს უფლებამონაცვლე ან უფლებამონაცვლესთან დაკავშირება არის შეუძლებელი („ნოტარიატის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მე-4 ნაწილი). მართალია, სანოტარო მოქმედების საიდუმლოების დაცვა პირის კერძო სფეროს ერთ ნაწილს ეხება, მაგრამ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს კერძო ცხოვრების დასაცავად. ესაა პირის უფლება, ვისთან, რის თაობაზე და როგორ შევა სამართლებრივ ურთიერთობაში, რაც შეიძლება სანოტარო წესით დადასტურდეს. აქ საქმე ეხება სახელშეკრულებო თავისუფლების, ზოგადად კი ნების ავტონომიის განხორციელებას. სწორედ ამ სფეროში ვლინდება პირადი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამიტომ სანოტარო მოქმედების საიდუმლოების დაცვა უზრუნველყოფს კერძო სფეროს დაცვას.

ასევე საგულისხმოა, რომ ნოტარიუსმა უნდა აანაზღაუროს ზიანი, რომელიც კლიენტს მიადგა სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის თანახმად, ნოტარიუსს პასუხისმგებლობა ეკისრება პირდაპირი ქონებრივი ზიანისთვის, რომელიც გამოიწვია ნოტარიუსის განზრახმა ან გაუფრთხილებელმა მოქმედებამ. ის მიუღებელი ზიანისთვის პასუხს არ აგებს.<sup>828</sup>

საგულისხმოა ერთ-ერთი საქმე, რომელშიც განიხილებოდა სანოტარო მოქმედების ბათილად ცნობა. აქ, ბუნებრივია, რომ საქმე ამ მოქმედების განხილვას შეეხებოდა, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება სანოტარო მოქმედების საიდუმლოების ხელყოფას. აქ უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის მე-18 მუხლი შეეხება სახელის ტარების უფლებას, პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებლობას,

<sup>827</sup> სანოტარო მოქმედებათა საიდუმლოების პრინციპის შესახებ იხ. დ. ხუხიტაშვილი, საქართველოს სანოტარო სამართლი, თბ., 2002, გვ. 15-16

<sup>828</sup> იქმ გვ. 49

საქმიან რეპუტაციას, ნებართვის გარეშე გამოსახულების გამოქვეყნებას. ნოტარიუსის მიერ განხორციელებული სანოტარო მოქმედებები არ შეიცავს ამ სიკეთეთა ხელყოფას, ამიტომ მათი მხრიდან მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა უკანონოა. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება დასაშვებია კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში (სსკ. 413-ე მუხლი), კერძოდ, ფულადი კომპენსაცია შეიძლება მოხდეს სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების შემთხვევაში.<sup>829</sup> აქ აშკარაა საკანონმდებლო ხარვეზი. მიზანშეწონილია, აღნიშნული საკითხი კერძო ცხოვრების დაცვის კონტექსტში განხილებოდეს. ეს იძლევა საფუძველს, რომ მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელი გახდეს არამატერიალური ზიანის ანაზღაურებაც. ამდენად, სანოტარო მოქმედების საიდუმლოების ხელყოფამ შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული ზიანი, რაც ეხება სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძველთა სიღრმისეულ შესწავლას. პირის კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მოვალეობის შელახვა კონკრეტული პირობების არსებობისას შეიძლება ჩაითვალოს დელიქტად და დადგება სსკ-ის 992-1008-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები.

## 11.6. პროფესიული საიდუმლოების სხვა ასპექტები

პროფესიული საიდუმლოების გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს ასევე მომსახურების გაწევისას ან ნარდობის შედეგად გარკვეული ცნობები, რომლებიც მათ საქმიანობას უკავშირდება. უპირველეს ყოვლისა, მუშა, რომელიც შემოდის ოჯახში ოთახების ან სანტექნიკისა თუ ელექტროგავანილობის შესარემონტებლად, მან შეიძლება ნახოს ყველაზე ინტიმური ოთახები, როგორიცაა საძინებელი ოთახი, აბაზანა. ამ ფორმით კი ის ეცნობა პირადი ცხოვრების განსაზღვრულ დეტალებს, რომლებიც მან უნდა დაიცვას სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების შემდეგაც. ამასთან, მუშა, რომელიც ახორციელებს ოთახების გარემონტებას ან ქმნის მის დიზაინს, ხდება კონკრეტული პირის კერძო ცხოვრების ნაწილი. შესაბამისად, ის პროფესიული საიდუმლოების ჭრილში უნდა განიხილებოდეს. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც მუშები საკუთარ ნახელავს წარმოადგენები ინტერნეტით, თუმცა ეს ნახელავი უკვე სხვა პირის კერძო სფეროს ელემენტია. აღნიშნული წარმოშობს ამ ორ ინტერესს შორის კონფლიქტს, რაც მოითხოვს მოცემული ურთიერთობის დაბალნებას. იგივე შეიძლება ითქვას პირზე, რომელმაც მომსახურება გაუწია პირს სახლში. ამ შემთხვევაში პირის თვალწინ გადაიშლება ხოლმე საოჯახო ცხოვრების ესა თუ ის დეტალი, რასაც ოჯახი საგულდაგულოდ ინახავდა ან რაც სულაც ოჯახის წესრიგსა თუ უწესრიგობაზე მეტყველებს. ესეც კერძო ცხოვრების გამოვლინებაა. აქ ვინაიდან საქმე ეხება პირად სფეროს დაცვის უფლებას, წარმოშობა არასახელშეკრულებო ვალდებულება, რომელიც დელიქტურ ვალდებულებებს შეეხება. საქმე ისაა, რომ პირადი ცხოვრების დაცვის უფლება

<sup>829</sup> აღნიშნულზე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 25 ოქტომბერის განჩინება (საქმე №ას-751-1381-03)

აბსოლუტური უფლებაა, რომელიც წარმოშობს დელიქტურ ვალდებულებებს. ამიტომ პირადი სფეროს დასაცავად ამ ვალდებულებების შესახებ წესები უნდა იყოს გამოყენებული (სსკ-ის 992-ე მუხლი).

## 12. ინტერესთა კონფლიქტი სამართალწარმოებაში

### 12.1. ზოგადი დახასიათება სამართალწარმოების საჯაროობისა და საიდუმლო სფეროს დაცვის თაობაზე

როგორც გამოიკვეთა, სამართალწარმოებისას ხშირად შეიძლება წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი საიდუმლო სფეროსა და პროცესის საჯაროობას შორის, რაც საინტერესოა საპროცესო ურთიერთობებში კოლიზის მოწესრიგების სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასამართლოს საჯაროობის ან სამართალწარმოების საჯაროობაში მოიაზრება მხარეებისთვის, როგორც სამართალწარმოების გარეთ მდგომი პირებისთვის, საპროცესო სტადიების უშუალო აღქმა. სასამართლოს სამართალწარმოება ძირითადად საჯაროა. სასამართლო გადაწყვეტილების მისაღებად გამართული მოსამართლეთა თათბირი და გადაწყვეტილების გამოტანა საჯაროდ უნდა მოხდეს. თუმცა პირადი საიდუმლოების სფეროს დაცვისთვის ეს პრობლემა მნიშვნელოვანი არაა, რადგან მოსამართლეთა თათბირისა და გადაწყვეტილების (ან განაჩენის) გახმაურებისას პირადი საიდუმლოების შესახებ ახალი განცხადებების გახმაურება არ ხდება.<sup>830</sup>

აქვე ხაზგასასმელია, რომ სასამართლოში ყველა საქმე განიხილება დია სხდომაზე, თუმცა კანონით დადგენილ შემთხვევებში დასაშვებია საქმის დახურულ სხდომაზე განხილვა. ყველა სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ. ამასთან, პროცესის ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღება და ტრანსლაცია დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ამას სასამართლო ან სასამართლოს მიერ უფლებამოსილი პირი ასორციელებს. ასევე შესაძლებელია სასამართლომ გაავრცელოს თავის ხელთ არსებული ვიდეო თუ სხვა სახის მასალა, თუ ის კანონს არ ეწინააღმდეგება. სასამართლო სხდომის სტენოგრაფია და აუდიოჩარტურა შეიძლება სასამართლოს მიერ დადგენილი წესით. ამასთან, ეს უფლება შეიძლება სასამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილებით შეიზღუდოს („საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 ნაწილები).

როგორც წესი, მხარეები არიან დაინტერესებულნი, რომ შესაძლებლობისამებრ ნაკლები რამ გახმაურდეს მთელი პროცესის შესახებ; ეს ხდება განსაკუთრებით მაშინ, როცა დასახელებული პირი აქამდე სარგებლობდა კარგი რეპუტაციით. აქ საქმე შეიძლება შეეხოს მეტწილად არა მხოლოდ საქმის უშუალო მდგომარეობას, არამედ პირად საფინანსო ურთიერთობებს, საოჯახო ურთიერთობებს, მხარეთა ურთიერთობების მოტივებს ან მაქსიმალურად პირადულ, ავადმყოფურ (პათოლოგიურ) მოთხოვნილებებს და სხვა მრავალს. მაგრამ თუ პირადი საიდუმლო სფეროს დაცვის მოთხოვ-

<sup>830</sup> იხ. რ. ფონ მაიხი, დასახ. ნაშრომი, გვ. 127-128

ნილება გაცილებით ფართო ხასიათს უნდა ატარებდეს, მაშინ პრაქტიკულად სრულად უნდა ითქვას უარი სამართალწარმოების საჯაროობაზე.<sup>831</sup>

### 12.1.1. სამართალწარმოების საჯაროობის ობიექტური დირექტულება

დროთა განმავლობაში არ შეცვლილა სამართალწარმოების საჯაროობის პრინციპი, მაგრამ მისი არსი და მიზანი – კი. დასაწყისში მოქალაქეთა ან გვარის წარმომადგენელთა მონაწილეობა სასამართლო პროცესში სავალდებულო იყო, ვინაიდან მათ ერთად უნდა მოწონებოდათ გადაწყვეტილება, რადგან მოსამართლის როლი მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში სიზუსტეებზე იყო აგებული და სასამართლოს საჯაროობა მიიღწეოდა სამართლის განვითარებით (სამართლებრივი განათლების შეძენით). ზუსტად ასევე სამართლებრივი კონტროლი, რომელიც სასამართლოში სამართლწარმოების საჯაროობას მოითხოვს; სამართლის განვითარებამ სასამართლოს საჯაროობის გზით და პრესის საშუალებით სასამართლო სხდომების შესახებ რეპორტაჟების წყალობით წონადობა შეინარჩუნა. ორივე – სამართლებრივი კონტროლი და სამართლებრივი განვითარება (განათლება) – სამართლებრივ სახელმწიფოში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.<sup>832</sup>

აქ საქმე ეხება უზენაესი ხელისუფლის (სუვერენის) – ხალხის – მიერ სასამართლების გაკონტროლებას ცალკეული პროცესებისა და გადაწყვეტილებების მატერიალურ და ფორმალურ სისტორეზე, რადგან ეს იქნებოდა შეუძლებელი რიგითი მოქალაქისთვის არასაკმარისი სამართლებრივი ცოდნის გამო. აღნიშნული მიიღწევა ადვოკატების ან სასამართლოს პრესის მომხსენებლების საშუალებით. ამასთან, სამართლებრივი განათლების განვითარება სასამართლოს საჯაროობაზე დაფუძნებულ სამართლებრივ კონტროლთან კავშირშია; ის, ერთი მხრივ, წინაპირობაა და, მეორე მხრივ, ამ სამართლებრივი კონტროლის შედეგი.<sup>833</sup>

სასამართლოს საჯაროობის ინტერესთან კოლიზიაში პროცესის მონაწილეთა პირადი საიდუმლოს დაცვის ინტერესი. როგორც ნაწილობრივ სასამართლოს საჯაროობის, ისე პირადი საიდუმლო სფეროს დაცვის პოსტულატიც დემოკრატიის იდეას ეფუძნება. ამდენად, ამოუსხენელია ინტერესთა კონფლიქტი, რადგან შეუძლებელია ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ორივე ინტერესს ითვალისწინებს. შესაძლებელია მხოლოდ ინტერესთა აწონ-დაწონგა და ორი პოსტულატიდან კომპრომისი ერთის სასარგებლოდ.<sup>834</sup>

### 12.1.2. სასამართლოს საჯაროობის ფაქტობრივი მნიშვნელობა

სამართალწარმოების საჯაროობის ფაქტობრივი დირექტულება გაცილებით ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე მისი ობიექტური დირექტულება ანუ

<sup>831</sup> იქვე, გვ. 129-130

<sup>832</sup> იქვე, გვ. 132

<sup>833</sup> იქვე, გვ. 133

<sup>834</sup> იქვე, გვ. 134-135

მნიშვნელობა, რომელსაც კანონი იძლევა. საზოგადოება იშვიათად იყენებს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სხდომაზე დასწრების უფლებას. სამოქალაქო დავებს საზოგადოების წევრები ესწრებიან ძირითადად დიდი და ცნობილი ქონებრივი დავების ან სენსაციური ხასიათის საქმეებზე. სამოქალაქო საქმეთა უმეტესობაში შეუძლებელია პროცესში დასწრების გზით მიმდინარე პროცესის შესახებ სრული წარმოდგენის შექმნა. საქმის გარემოებებზე სრული სურათის შექმნა ერთადერთ შემთხვევაში შეიძლება, თუ კანონმდებლობით დასაშვებია წერილობითი ფიქსაცია და გადაწყვეტილების გამოტანა ხდება მტკიცებულებების სასამართლო განხილვის გზით.<sup>835</sup>

სასამართლო პროცესში თუ ვინმეს მაინც სურს, გარკვეული მოტივებიდან გამომდინარე, სასამართლო სხდომის დარბაზში მომხდარის თაობაზე ინფორმირება, დღეს მას ხელი მიუწვდება მრავალ საშუალებასთან (დაინტერესებულ პირს შეუძლია სასამართლო შენობებთან მისვლა, ყოველდღიური პრესის საშუალებებში, პროცესების შესახებ სენსაციურად შეფუთულ და სურათებით მოფენილ სტატიას გაეცნოს სხვადასხვა უურნალში ან სატელევიზით გადაცემებს უცქიროს). შესაბამისად, საზოგადოებისთვის განკუთვნილი სკამები რჩება სასამართლოს შეხვედრის ოთახებში პრაქტიკულად ყოველთვის ცარიელი. უმეტესწილად საქმეთა მცირე რაოდენობას შეუძლია განსაკუთრებული მასალის გამო ან ასევე პროცესში საჯარო პირების (კინოვარსკვლავი, პოლიტიკოსი, ასევე ცნობილი დამნაშავეები და ა. შ.) არაერთხელ მონაწილეობის გამო სასამართლო დარბაზებში საზოგადოების ყურადღება მიიქციოს. ზოგჯერ შეიძლება ბულვარული პრესის საშუალებით გაცხარდეს და „სენსაციურ პროცესებად“ მოინათლოს საქმეები, რომლებშიც ემოციები მნიშვნელოვანწილად მძლავრობს. იბადება შეკითხვა: ფაქტობრივი ურთიერთობების გათვალისწინებით სასამართლოს საჯაროობას აქვს თუ არა აზრი? რთულია მტკიცე პასუხის გაცემა. სასამართლოების ობიექტურობა რაც უფრო საჭიროა, მით უფრო დიდია ინტერესი საქმის განხილვის ეტაპზე. სასამართლო სხდომის დარბაზებში იზრდება კრიტიკოსთა რაოდენობა. პროცესში შეიძლება ესწრებოდნენ მესამე პირებიც, თუმცა ამ გზით კიდევ უფრო მეტი ადამიანი ეცნობა მათ საიდუმლოს, ვიდრე მხოლოდ პროცესში მონაწილეობისას.<sup>836</sup>

### **12.1.3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, როგორც საჯაროობის ქომაგები**

თავისუფალ სახელმწიფოში პრესას ცნობების გავრცელებასა და მოქალაქის ნების ფორმირებასთან დაკაშირებით დიდი როლი აქვს. პრესის მოვალეობაა, გაავრცელოს საიდუმლო ინფორმაციის საზოგადოებაში შესაძლო მართლსაწინააღმდეგო გამოყენება, სასამართლო სამართლაწარმოებას თვალყური ადევნოს, გააკრიტიკოს. ამ გაგებით პრესა არის სასამართლო განხილვის მაკონტროლებელი საშუალებაც.<sup>837</sup>

<sup>835</sup> იქვე, გვ. 135-136

<sup>836</sup> იქვე, გვ. 136-138

<sup>837</sup> იქვე, გვ. 138-139

სასამართლოს საჯაროობის პრინციპი პრაქტიკულად ძირითადად პრესის საშუალებით ხორციელდება. პრესა სასამართლოს საჯაროობას ეფექტურად ახორციელებს, თუმცა უქმაყოფილებასაც ტოვებს: პრესა საზოგადოების ზოგად გემოვნებაზეა დამოკიდებული, რის გამოც ხშირად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ნაკლებად სენსაციური შინაარსის გამო პრესის საშუალებით საზოგადოებამდე ვერ მიდის. ამდენად, პრესას აქვს მასობრივი ზეგავლენის უნარი იმაზე, რომ საზოგადოება უშუალოდ მიჰყევს პროცესის მიმდინარეობას და პრესა ცნობების გავრცელების გამო საფრთხეში აყენებს საიდუმლო სფეროებს.<sup>838</sup>

გაზეთების მკითხველები ეცნობიან პროცესების შესახებ მოხსენებებს. ისინი იგებენ გარკვეულ გარემოებებს უშუალოდ და არაპირდაპირ მსხვერპლის, ბრალდებულის საიდუმლო სფეროებიდან და ბრალდებულის გარშემომყოფა შესახებ დანაშაულის ხასიათისა და ფონის სენსაციური შინაარსის მიხედვით. გაზეთის მკითხველები ინფორმაციას, ერთი მხრივ, პრესის ფურცლების ძიების შედეგად, მეორე მხრივ, საპოლიციო და საგამომიებო ორგანოების და წინასწარი გამოძიების მიერ ინტერვიუების საფუძვლზე იღებენ.<sup>839</sup>

პროცესის მიმდინარეობის შესახებ რეპორტაჟების გაკეთების დროს აუცილებელია კერძო ინტერესის დაცვის მიზნით, ჯერ ერთი, მომხსენებლის სწორად ინფორმირება, მეორე, ინფორმაციის მიმღები ნდობით უნდა იყოს აღჭურვილი და თანახმა იყოს, დაემორჩილოს ზოგიერთ სამსახურებრივ ეთიკურ წესებს. ამ თვალსაზრისით არსებობენ ნდობით აღჭურვილი უნალისტები, რომლებიც სასამართლოს მიერ აკრედიტებულნი არიან და რომელთაც აქვთ უფლება, საზოგადოების ყურადღების მიღმა არსებული ინფორმაცია მიიღონ. აკრედიტაციასთან დაკავშირებული საკითხები შეიძლება სასამართლოს სამართლწარმოების შესახებ კანონით ან სპეციალური წესებით მოწესრიგდეს.<sup>840</sup> აღნიშნული მნიშვნელოვანია, ვინაიდან შეიძლება წარმოშვას პირის მოთხოვნა დაცულ იქნეს მისი ცხოვრების საიდუმლოება, მიუხედავად ინფორმაციის სისწორისა. ამასთან, სინამდვილესთან შეუსაბამო მონაცემების გავრცელების შემთხვევაში დაინტერესებულ პირს შეუძლია ამავე ინფორმაციის უარყოფა მოითხოვოს (სსკ-ის მე-18 მუხლი),<sup>841</sup> რაც დაზარალებულის უფლებების აღდგენას ემსახურება.<sup>842</sup> გარდა ამისა, შეიძლება დადგეს ზიანი (ქონებრივი ან/და არაქონებრივი), რაც დელიქტური სამართლის ჭრილი უნდა იყოს შესწავლილი (სსკ-ის 992-1008-ე მუხლები).

ამასთან, სისხლისსამართლებრივი სასამართლო განხილვების შესახებ რეპორტაჟში სახელის ხეენება შეიძლება მხოლოდ გამონაკლისის სახით და არის დასაშვები მხოლოდ შემდგომი სამი პრინციპის არსებობისას: ა) როცა საქმე ეხება დანაშაულს, რომელიც საზოგადოებას აღელვებდა და მის დიდ

<sup>838</sup> იქვე, გვ. 139-140

<sup>839</sup> იქვე, გვ. 140-141

<sup>840</sup> იქვე, გვ. 143-144

<sup>841</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 1 ივნისის განჩინება (საქმე №ას-1284-1520-05)

<sup>842</sup> იხ. თ. ნინიძე, პირადი არაქონებრივი უფლებები, გვ. 70

ინტერესს აღვივებდა; ბ) როცა საზოგადოება უკვე წინასწარაა წარმოებაზე ორიენტირებული და, ამავე დროს, ბრალდებულის, როგორც დამნაშავის, პიროვნება, უკვე საქმის განხილვის წინ ცნობილი იყო; გ) როცა ბრალდებული (მსჯავრდებული) საჯარო ცხოვრებაში თავისი პოზიციის საფუძველზე ან საჯარო სამსახურის გამო განსაკუთრებულ საპასუხისმგებლო პოსტს იყენებდა და ამას უკავშირდება დასახელებული დელიქტი. თუმცა ეს პრინციპები შეიძლება ასევე სამოქალაქო პროცესის შესახებ რეპორტაჟისთვის ლოგიკურად იქნეს გამოყენებული.<sup>843</sup>

ამასთან, სახელის დასახელება დაიშვება მხოლოდ მაშინ, როცა ამაზე მნიშვნელოვანი საფუძველი (საჯარო ინტერესი) არსებობს.<sup>844</sup> რეპორტაჟის გაკეთების დროს პიროვნულ უფლებათა დაცვის პროცესი კვლავ მხარეთა სახელის ხსენებასთან დაკავშირდებით დგება. სახელის ხსენება და პიროვნულობის („მე“-ს) ხელყოფა არის დასაშვები მხოლოდ მაშინ, როცა დაზარალებული კანონიერ ინტერესებს აღიქვამს და პირადი სიკეთის ხელყოფა სწორი მიზნისთვის სწორი საშუალებაა. შესაბამისად, ხდება ინტერესთა აწონ-დაწონგა. სახელის ხსენების ინტერესი მხოლოდ სრულიად განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით იზრდება პირადი საიდუმლოების სფეროს ინტერესის დაცვის ინტერესთან შედარებით. ამასთან, პრესამ შეიძლება სასამართლოს მოსთხოვოს შესწორებების შეტანა, რაც სასამართლოს ადლევს შესაძლებლობას, ნაკლული რეპორტაჟი შეასწოროს. ასევე პროცესზე გაცხადებული საიდუმლო სფეროების შესახებ ასენა-განმარტებები მეტ-ნაკლები ხარისხით შეიძლება გადაწყვეტილებების კრებულში აისახოს. აქაც შეიძლება სახელი იყოს ნახსენები.<sup>845</sup>

საქმეები შეიძლება შეეხოს პირადი და ოჯახური საიდუმლოების ხელყოფის (საქართვ. სისხ. სამ. კოდექსის 157-ე მუხლი), კერძო საუბრების დარღვევის (158-ე მუხლი), ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის შელახვის (160-ე მუხლი), შვილად აყვანის საიდუმლოების გამუდავნების (175-ე მუხლი) შემთხვევებს... აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კერძო და საჯარო ინტერესთა შორის ბალანსის დაცვა. მართალია, კერძო ცხოვრების ეს გამოვლინებანი სისხლისსამართლებრივადაა დაცული, მაგრამ მათი ხელყოფით შეიძლება დადგეს დელიქტური პასუხისმგებლობა. აღნიშნულის წარმოდგენა კი აქტუალურია სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის ფორმებში და დელიქტის განხილვა სამოქალაქო პასუხისმგებლობის წინაპირობათა მიხედვით. (სსკ-ის 992-1008-ე მუხლები).

ამავე დროს, პროცესუალური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის, თუ რა სტადიებს უკავშირდება პირადი ცხოვრების ხელყოფის შესწავლა იმისათვის, რომ საბოლოოდ ის შეფასდეს სამართალდარღვევად. პირადი ცხოვრების დაცვის უფლების დარღვევა გულისხმობს ხუთი ეტაპის გავლას: აუცილებელია დადგინდეს, 1) პირადი სფეროს დაცვის გარანტია მოიცავს თუ არა ამ შემთხვევას; 2) ადგილი პქონდა თუ არა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევას; 3) თუ ადგილი პქონდა ამ უფლებაში ჩარევას, უნდა დადასტურდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის

<sup>843</sup> იხ. რ. ფონ მაისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 223-224

<sup>844</sup> იქვე, გვ. 224

<sup>845</sup> იქვე, გვ. 226-227, 144-145

მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები. უპირველეს ყოვლისა, უნდა შემოწმდეს კანონიერების მოთხოვნა; 4) კანონიერი ჩარევა უნდა ემსახურებოდეს ევროკონვენციის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილ ერთ-ერთ მიზანს; 5) ბოლოს სასამართლომ უნდა განიხილოს პროპორციულობის საკითხი. შესაბამისად, თუ ამ წინაპირობებს არ აკმაყოფილებს კონკრეტული შემთხვევა, მაშინ ადგილი აქვს სამართალდარღვევას. აქ აუცილებელია, დაზუსტდეს, თუ რა იგულისხმება კანონში. კანონს აქვს ფორმალური და არსებითი ასპექტი. ფორმალური მხარის მიხედვით, საქმე ეხება პარლამენტის ან სხვა ეკვივალენტური ორგანოს მიერ მიღებულ ნორმას. რაც შეეხება კანონის არსებით ასპექტს, იგი უფრო ფართო მნიშვნელობისაა და მოიცავს ასევე დადგენილებებს, განკარგულებებს, ბრძანებებს, მითითებებს, რომლებიც ზოგადი გამოყენების ნორმას შეიცავს. სასამართლო, როგორც წესი, მისაღებად მიიჩნევს კანონის ამ (ფართო) ცნებას.<sup>846</sup> ამასთან, კანონი გულისხმობს როგორც დაწერილ, ისე დაუწერელ კანონსაც.<sup>847</sup> ასეთი მიღები მისაღებია, თუ საქმე საერთო სამართლის სისტემას ეხება. ასევე კანონი უნდა აკმაყოფილებდეს განჭვრეტადობის კრიტერიუმს, სიზუსტისა და დეტალურობის მოთხოვნებს.<sup>848</sup> კანონი არ უნდა განიმარტოს ერთნაირად ორივე სისტემის შემთხვევაში, ვინაიდან კონტინენტური ევროპის სისტემაში ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაწერილ კანონს.<sup>849</sup>

რაც შეეხება პროპორციულობის მოთხოვნას, ის გამოიხატება სიტყვებით „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ და განიხილება მხოლოდ კონკრეტული ჩარევის კონტექსტში. აქედან გამონაკლისია მხოლოდ არაადამიანური ან დამამცირებელი მოყვრობა, რომელიც მკაფიოდ არის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალული. ამ საკითხის განხილვისას აუცილებელია სიფრთხილის დაცვა, სახელდობრ, „აუცილებელი“ არის იმაზე ნაკლები, ვიდრე „უკიდურესად აუცილებელი“ და იმაზე მეტი, ვიდრე „სასარგებლო“, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება სასამართლოზე; ჩარევა უნდა შეესაბამებოდეს „გადაუდებელ საზოგადოებრივ საჭიროებას“, გამონაკლისი უნდა იყოს „გიროდ ინტერპრეტირებული“.<sup>850</sup>

#### 12.1.4. ინფორმაციის თავისუფლება და სასამართლოს გამჭვირვალობა

სასამართლოს გამჭვირვალობა არ შემოიფარგლება მხოლოდ სასამართლო სხდომის საჯაროობით, არამედ მთლიანად სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაზე ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნებზეც

<sup>846</sup> ი. მ. *De Wilde, Ooms and Versyp (“Vagrancy”)* v. *Belgium* (merits), 1971 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება, § 93.

<sup>847</sup> ი. მ. *The Sunday Times* v. *the United Kingdom*, 1979 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება, § 47, § 49.

<sup>848</sup> ი. მ. *Kruslin v. France*, 1990 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება, § 28.

<sup>849</sup> ი. მ. ქ. ტრექელი (სარა ქ. სამერსის დახმარებით), ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში (თარგმნა ქ. გოგელიაძ და სხვებმა), ნაწ. 1-ლი, თბ., 2009, გვ. 558-560.

<sup>850</sup> ი. მ. *Handyside v. The United Kingdom*, 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება, § 48, § 49.

კრიტიკულება. სასამართლოს გამჭვირვალობისა და ინფორმაციის თავისუფლების მიმართების წარმოსახენად საყურადღებოა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი, რომლის თანახმად, პატივი და ლირსება ხელშეუვალია. კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 ნაწილი ინფორმაციის თავისუფლებას ზღუდვას „სხვათა უფლებებისა და ლირსების დაცვით“, 24-ე მუხლით ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების განხორციელებამ (ინფორმაციის თავისუფლების ინტერესებიდან გამომდინარეც) არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები. თუმცა საიდუმლოება არაა საჯარობის ტოლფასოვანი დირექტულება. საიდუმლოება გაზრდილი საჯარო ინტერესის გამო შეიძლება გაიხსნას. შესაბამისად, საიდუმლოება საჯარობას კონკურენციას ვერ უწევს.<sup>851</sup>

თუმცა პირად კანონიერ ინტერესს ენიჭება პრიორიტეტი ინფორმაციის თავისუფლებასთან შედარებით ან ზოგადად საჯარო ინტერესთან შედარებით (სსსკ-ის მე-14 მუხლის მე-3 ნაწილი). საიდუმლოების დაცვის მიზნით გადაწყვეტილებაში არ უნდა მიეთითოს მონაცემი, რაც გასაიდუმლოებული ინფორმაციის გამუდარებას გამოიწვევს. ამდენად, გასაზიარებელია მოსაზრება, რომ უნდა გაიმიჯნოს სასამართლოს გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადება და გადაწყვეტილების ქსეროასლების გაცემის პროცედურა. ე. ი., სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა გამოაცხადოს საჯაროდ ისე, რომ საიდუმლო ინფორმაცია არ გამოვლინდეს. ამასთან, დასაშვებია გადაწყვეტილების ქსეროასლის გაცემა შესატყვისი დაცული ინფორმაციის ამოშლით.<sup>852</sup>

## 12.1.5. სამართალწარმოების საჯარობის შეზღუდვა

საჯარობის პრინციპი მნიშვნელოვანია, მაგრამ უპირობოდ არ ხორციელდება. ამიტომ შეიძლება სასამართლო წარმოების რელატიური (=შეზღუდვითი) საჯაროობის შესახებ საუბარი. საგულისხმოა, რომ ყველა შემთხვევაში საჯაროობა გამოირიცხება საჯარო წესრიგის, სახელმწიფო ებრივი უსაფრთხოების, მორალის დასაცავად ან ასევე უფლებამოსილი კერძო პირის ინტერესების დასაცავად.<sup>853</sup>

დასავლეთის დემოკრატიებში სასამართლო საჯაროობას სასამართლო გადაწყვეტილების მიღების საშუალებით სრულად ან ნაწილობრივ გამორიცხავს მაშინ, როცა სახელმწიფო უსაფრთხოება, საჯარო წესრიგი ან მორალი საფრთხის ქვეშაა ან როცა მონაწილეობა ინტერესი ამას საჭიროებს (თუ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირადი საიდუმლოების დაცვა). სასამართლო ვალდებულია, გადაამოწმოს, არის თუ არა გამორიცხული მონაწილის ინტერესში საჯაროობა. მოცემული განაპირობებს შესაბამისი მონაწილის საიდუმლოს დაცვის ინტერესის აწონ-დაწონვას საჯარო ინტერესთან შედარებით. საჯარო არაა საოჯახო ურთიერთობიდან გამომდინარე პროცესები და მამობის დადგენის თაობაზე საქმე, ასევე პრო-

<sup>851</sup> აღნიშნულის თაობაზე იხ. მ. კოპალეიშვილი, ინფორმაციის თავისუფლება და სასამართლოს გამჭვირვალობა, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2007, №1, გვ. 14-15, 20

<sup>852</sup> იქვე, გვ. 23, 24

<sup>853</sup> იხ. რ. ფოს მაისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 220

ცესები დაბადებასთან, (ქორწინებაში) ბაგშვის დაბადების კანონიერად გამოცხადებასა და (ქორწინებაში) ბაგშვის დაბადებასთან დაკავშირებით. ეს დებულებები ატარებს პირობით, მაგრამ შესაბამისი ფორმით პირადი საიდუმლოების სფეროს გრძნობისმიერი მხარეების ლეგიტიმური დაცვის ხასიათს. საჯარობის გამორიცხვა სასამართლოს გადაწყვეტილების საშუალებით შეიძლება, თუ საჯარო წესრიგს, სახელმწიფო უსაფრთხოებას ან მორალს საფრთხე ემუქრება. გარდა ე.წ. მორალური წესებისა, შეიძლება ამ დებულებიდან არც კი გამომდინარეობდეს პირადი საიდუმლოების სფეროს დაცვა. ამასთან, სასამართლოს შეუძლია საჯარობა ასევე გამორიცხოს, თუ მონაწილეთა ინტერესი ამას მოითხოვს.<sup>854</sup>

იბადება შეკითხვა: არის თუ და რამდენადაა დამოკიდებული იმავე სამართლებრივ დირებულებასთან დაკავშირებით საიდუმლო სფეროს კერძოსამართლებრივი დაცვა საჯარო სამართლის ზოგად ხასიათზე ან შეიძლება კერძო სამართლის საშუალებით სამართლებრივი სიკეთის დაცვიდან გამომდინარეობდეს ასევე სახელმწიფოს ჩარევებისგან დაცვის უფლება? აღსანიშნავია, რომ კერძო სამართალი და საჯარო სამართალი ერთმანეთის გვერდი-გვერდ არსებობს და არა იერარქიულად. დამოკიდებულება წმინდა ფორმალურ ხასიათს ატარებს. კერძო სამართლის კანონმდებელი დემოკრატიულ სახელმწიფოში არის ასევე კანონმდებელი, რომელიც საჯაროსამართლებრივ ნორმებს ეყრდნობა. ამ გზით სახელმწიფოს შიგნით უზრუნველყოფილია სამართლის სისტემის აუცილებელი ერთიანობა, რადგან ამ ფორმით წარმოიშობა მსგავსი მართლშეგნების კოდიფიკაცია. ამდენად, კერძო საიდუმლო სფეროს დაცვა, ერთი მხრივ, საჯაროსამართლებრივი ნორმებიდან და, მეორე, მხრივ, პირადი საიდუმლოების დაცვა კერძოსამართლებრივი ნორმებიდან უნდა გამომდინარეობდეს.<sup>855</sup>

ამდენად, მხოლოდ პირადი საიდუმლოების სფეროს პრევენციული დაცვაა ეფექტური. თუ საიდუმლო სფერო ერთხელ ხელყოფილია და პირადი საიდუმლოება საჯარო ხდება, მაშინ ლონისძიებებს არ შეუძლია ეს კვლავ საყურადღებო გახადოს. პრევენციული დაცვა შეიძლება მხოლოდ, თუ საიდუმლო სფეროს ინტერესის ხელყოფა დისკრედიტებულია ან ერთხელ არსებული არამართლზომიერი ხელყოფა (მაგალითად, საადვოკატო საიდუმლოების ხელყოფის გზით) სირთულეების გარეშე და მასობრივი საშუალებებით შეიძლება დაისაჯოს, რომ მუქარის შემცველი დონისძიებები იყოს მიმართული სასარგებლო პრევენციული დაცვისკენ. ამდენად, თითოეულ ნორმას უნდა ჰქონდეს პირადი საიდუმლოების დასაცავად პრევენციულ ზეგავლენა, თუ მას სურს მისი მიზნის მიღწევა.<sup>856</sup>

### **13. პირადი საიდუმლოების დაცვის სამოქალაქო საპროცესოსამართლებრივი საშუალებები**

სამოქალაქო უფლების დაცვა საქართველოში დადგენილი წესით საერთო სასამართლოების, კერძო არბიტრაჟებისა და ნოტარიატის მიერ ხორ-

<sup>854</sup> იქვე, გვ. 221

<sup>855</sup> იქვე, გვ. 148-149

<sup>856</sup> იქვე, გვ. 234-235

ციელდება. სხვა პირის მხრიდან სუბიექტის სამოქალაქო უფლების დარღვევის ან უფლების ხელყოფის საფრთხის შემთხვევებში, რა თქმა უნდა, შესაძლებელია დამრღვევის მიერ ნებაყოფლობით აღდგეს შელახული უფლება. თუმცა როდესაც ადგილი არა აქვს დამრღვევის მხრიდან ხელყოფილი უფლების ნებაყოფლობით აღდგენას, მაშინ წარმოშობა საჭიროება იმისა, რომ მოვალის მიმართ გამოყენებულ იქნეს უფლების დაცვის კანონიერი დონისძიებები, რომლებიც პროცესუალური ბუნებისაა.<sup>857</sup> ამასთან, არსებობს უფლების დაცვის ფორმები, რომლებიც მატერიალური სამართლითაა განმტკიცებული.

განასხვავებენ სამოქალაქო უფლების დაცვის შემდეგ ზომებს: ა) უფლების აღიარება. უფლების აღიარებით ქრება, ქარწყლდება ამა თუ იმ პირისადმი უფლების კუთვნილების ეჭვი, უფლების კუთვნილება აღარ არის სადაც; ბ) რესტიტუცია, რომელიც უფლების დარღვევამდე არსებული (პირვანდელი) მდგომარეობის აღდგენასა და უფლების დამრღვევი მოქმედების ან უფლების დარღვევის საფრთხის შემქმნელი მოქმედების აღკვეთას გულისხმობს; გ) სადაც გარიგების ბათილად ცნობა და ბათილობის შედეგების გამოყენება; დ) უფლების თვითდაცვა. ამ შემთხვევაში აღგილი აქვს სასამართლოს ჩარევის გარეშე პირის მიერ საკუთარი მოქმედებით თავისი უფლების დაცვას. უფლების თვითდაცვის საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს გირავნობის უფლება ქირავნობის, საიჯარო, ნარდობის ურთიერთობებში, თუმცა თუ მესაკუთრე ნივთის დაბრუნებას მოითხოვს, ის იძულებული იქნება თავისი უფლების დასაცავად სასამართლოს მიმართოს; ე) ვალდებულების ნატურით შესრულების დაკისრება. მას რეალური შესრულება ჰქვია. როდესაც უფლების დამრღვევი ნებაყოფლობით არ ასრულებს იმ მოქმედებებს, რომლებიც მან უნდა შეასრულოს ვალდებულებიდან გამომდინარე, სასამართლო აიძულებს მას იძულებით შესრულებას; ვ) ზიანის ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურების საფუძვლები და წესი არის დეტალურად სსკ-ით დადგენილი. თუ ზიანის მიმყენებელი ნებაყოფლობით არ აანაზღაურებს მას, დაზარალებულს უფლება აქვს სასამართლო წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და მოთხოვის დასასაბუთებლად შესაბამისი მტკიცებულებები წარადგინოს; ზ) პირგასამტებლოს გადახდევინება. პირგასამტებლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების ვალდებულებითსამართლებრივ საშუალებას და მისი გადახდევინება შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე; თ) მორალური ზიანის კომპენსაცია; ი) სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლა და შეწყვეტა. უფლების დაცვის ეს დონისძიება შეიძლება ნებაყოფლობით განხორციელდეს, მაგრამ ზოგჯერ საჭიროა სამართლებრივ ურთიერთობათა იძულებითი (სასამართლო) წესით შეცვლა ან შეწყვეტა.<sup>858</sup>

უფლების დაცვის ფორმა უკავშირდება უფლების დაცვის საშუალებას, თუმცა ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება. აქ აქტუალურია კომპეტენტური ორგანოს მიერ კანონით დადგენილი საქმიანობა, რაც უფლების დაცვის მიზნით ხორციელდება. განსაკუთრებულია უფლების დაცვა სასამართლო წესით, ვინაიდან ამ შემთხვევაში სასამართლო უზრუნველყოფს

<sup>857</sup> იხ. შ. ქურდაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 20

<sup>858</sup> იქვე, გვ. 20-22

კანონის სწორად გამოყენების, მხარეთა შორის რეალურად არსებული უფლება-მოვალეობების დადგენის მყარ (საიმედო) გარანტიებს. ამასთან, სასამართლო მეშვეობით სამოქალაქო უფლების დაცვას აქვს რამდენიმე უმნიშვნელოვანესი უპირატესობა: ა) უფლების დაცვა ხორციელდება სპეციალური ორგანოს – სასამართლოს მიერ, რომელიც უფლების შესახებ დავის განსახილველად არის შექმნილი; ბ) სასამართლო აღძრულ მოთხოვნებს წყვეტს სამოქალაქო, საოჯახო, შრომისა და სამართლის სხვა დარგების ნორმათა შეფარდების საფუძველზე სამოქალაქო სამართლწარმოების წესით; გ) საქმის გარემოებათა გამოკვლევა ხდება სამოქალაქო საპროცესო ფორმით დადგენილი წესით, რაც არის დავის კანონიერად და დასაბუთებულად გადაწყვეტის გარანტია; დ) უფლების დაცვა ხორციელდება მიუკერძოებლობის საფუძველზე; ე) საქმის განხილვაში მონაწილეობენ მხარეები, რომელთა შორისაც არსებობს დავა, და სხვა დაინტერესებული პირები.<sup>859</sup>

აქვე საგულისხმოა, რომ უფლების დაცვა სასასამართლო წესით უკავშირდება სასარჩელო წესით ინტერესების დაცვას. ამ უკანასკნელისთვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები: ა) მხარის დარღვეული ან სადაცო უფლებიდან გამომდინარე მატერიალურსამართლებრივი მოთხოვნის, ე. ი. სარჩელის არსებობა, რომელიც უწყებრივად სასამართლოს ქვემდებარებულად იყოს; ბ) უფლების შესახებ დავის არსებობა და გ) ორი ურთიერთდაპირისპირებული ინტერესის არსებობა.<sup>860</sup> სასარჩელო წარმოების არსი ისაა, რომ იგი სასამართლოში სარჩელის წესით აღიძვრება; მოწესრიგებულია სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმათა კომპლექსით; მიზნად ისახავს უფლების შესახებ დავის განხილვასა და გადაწყვეტას, კანონით დადგენილი საშუალებებით უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას... საერთოდ, სარჩელი უფლების დაცვის საპროცესო საშუალებაა მაშინ, როცა მხარეთა შორის მატერიალურსამართლებრივი დავა წარმოიშობა ანუ დაირღვა უფლება ან სადაცოდაა იგი ქცეული ან არსებობს უფლების ხელყოფის საფრთხე. მოსარჩელე მიმართავს რა სასამართლოს სარჩელით, შესაძლოა ითხოვდეს უფლების დარღვევამდე არსებული პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, უფლების დამრღვევი ან ისეთი მოქმედების აღკვეთას, რომელიც უფლების ხელყოფის საფრთხეს ქმნის, ვალდებულების ნატურით შესრულების დაკისრებას, ზიანის (როგორც ქონებრივი, ისე მორალური ზიანის) ანაზღაურებას... ამდენად, უფლების შესახებ დავა შეიძლება უფლების დაცვის სხვადასხვა ფორმას დაუკავშირდეს.<sup>861</sup>

ამასთან, მოკლედ მაინც უნდა იყოს წარმოდგენილი მოპასუხის უფლების დაცვის საპროცესო საშუალებები, რათა დაცულ იქნეს ბალანსი. მოპასუხების სარჩელის საწინააღმდეგო აქტის, კერძოდ, შესაგებლის შედგენის უფლება აქვს. შესაგებელი თავისი ბუნებით წარმოადგენს სასარჩელო განცხადებაში მითითებული გარემოებების არგუმენტირებულად გაბათილებას შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე, რაზე დაყრდნობითაც მოპასუხე უარყოფს ან არ ცნობს სარჩელს. ამასთან, შეიძლება მოპასუხემ წამოაყენოს დამოუკიდებელი მოთხოვნები. ამ შემთხვევაში იგი იყენებს შეგებებული

<sup>859</sup> იქვე, გვ. 24-25, 26

<sup>860</sup> იქვე, გვ. 422-423

<sup>861</sup> იქვე, გვ. 423, 425, 426

სარჩელის წარგდენის უფლებას. შეგებებული სარჩელი, თავის მხრივ, მოსარჩელისადმი არის მოპასუხის დამოუკიდებელი მატერიალურსამართლებრივი მოთხოვნა, რომელსაც მოპასუხე განაცხადებს იმავე პროცესში ამ მოთხოვნის თავდაპირველ სარჩელთან ერთად განხილვის მიზნით. ასევე შეგებებული სარჩელის აღმოჩენა ხორციელდება სასარჩელო მოთხოვნის ჩათვლის (როდესაც ორივე სარჩელი ქონებრივი ხასიათისაა, შეიძლება ურთიერთგაქვითვა ანუ მოთხოვნათა ჩათვლა (იხ. სსკ-ის 442-447-ე მუხლები), შთანთქმის ან გადაფარვის მიზნით.<sup>862</sup> ამდენად, უფლების დაცვის ფორმა მატერიალურსამართლებრივ ხასიათს ატარებს და მატერიალური კანონმდებლობით განტკიცებული სამართლებრივი შესაძლებლობის დაცვის ღონისძიებაა. რაც შეეხება უფლების დაცვის საშუალებას, მას პროცესუალური ბუნება აქვს.

## მოკლე დასკვნა

როგორც აღინიშნა, პროცესუალური თვალსაზრისითაც საყურადღებოა პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა, რომელიც მრავალ ასპექტს უკავშირდება. საყურადღებოა პროფესიული საიდუმლოების დაცვის სტანდარტი, რომელიც გარკვეულ თავისებურებებს მოიაზრებს. კვლევის შედეგად გამოიკვეთა პროფესიული საიდუმლოებისთვის დამახასიათებელი ნიშნები: საიდუმლოების სუბიექტთა შორის ნდობაზე აგებული ურთიერთობა; ეთიკური ნორმების სისტემა, რომელთა შინაარსი განპირობებულია ამა თუ იმ პროფესიული საქმიანობის სპეციფიკით; რთული ობიექტის არსებობა, რომელიც წარმოადგენს კერძო და საჯარო ინტერესთა ან სიკეთეთა ერთობლიობას, რომელთაც საიდუმლოების დარღვევის შემთხვევაში შეიძლება ზიანი მიადგეს.

საადვოკატო, სანოტარო მოქმედების, საბანკო თუ საექიმო საიდუმლოება კერძო ცხოვრების რამდენიმე ასპექტს შეეხება და, ბუნებრივია, დაცვას საჭიროებს, მაგრამ არის გამონაკლისები დაშვებული საჯარო ინტერესის პრიორიტეტულობის შემთხვევაში. ეს ინტერესიც უნდა იყოს კანონიერი და უნდა ისახავდეს საზოგადოებრივი დირებულების დაცვას თანაზომიერების ფარგლებში. სავარაუდო, სწორედ საექიმო საიდუმლოებას უნდა ეხებოდეს გამონაკლისი, როდესაც ინტიმური სფეროდან მონაცემები შეიძლება ლეგიტიმური საჯარო ინტერესის მიზნით გაიცეს. შესწავლილმა მასალამ ცხადყო, რომ მართებულია ტერმინის „საექიმო საიდუმლოება“ ნაცვლად ტერმინის „სამედიცინო საიდუმლოება“ გამოყენება. რაც შეეხება საბანკო საიდუმლოებას, მასში ჩანს კერძო სფეროს ქონებრივი ასპექტები. სწორედ საბანკო საიდუმლოების დაცვით კერძო ცხოვრებაც იქნება დაცული. ამასთან, სამართლწარმოების დროს კერძო სფერო შეიძლება გამოვლინდეს სანოტარო მოქმედების საიდუმლოებაში, რაც ძირითადად სახელშეკრულებო თავისუფლების პრობლემას უკავშირდება.

პირადი სფეროს ერთ-ერთი გამოვლენის ფორმაა ასევე შვილად აუვანის საიდუმლოება. აქ მნიშვნელოვანია ბავშვის ინტერესების გათვალისწინება,

<sup>862</sup> იქვე, გვ. 448, 451, 453, 455

თუმცა მშობელს შეუძლია დაბადებისთანავე საჯაროდ განაცხადოს შვილად აყვანასთან დაკავშირებული ინფორმაცია და შემდგომ მშვიდად განაგრძოს ცხოვრება. შვილად აყვანის საიდუმლოების დაცვა და კონფიდენციალურ სფეროთა წრეში მოთავსებაც თვით უფლებამოსილი პირის ნებაზეა დამოკიდებული.

პირადი ცხოვრების ერთ-ერთი კომპონენტი არის ფიდუციური ურთიერთობის საფუძველზე ინფორმაციის მინდობა, რაც უკავშირდება საადვოკატო საიდუმლოებას. კონფიდენციალობის დაცვის მოვალეობა უნდა გავრცელდეს სხვა ადვოკატზე ან მის თანაშემწეზე, ასევე ადვოკატის სტაჟიორზე, რადგან წარმოიშობა კლიენტსა და ამ პირებს შორის ნდობაზე აგებული ურთიერთობა; ასევე მდივანზე. საადვოკატო საქმიანობა ინფორმაციის გამოყენებისას შეზღუდულია არა მხოლოდ კლიენტის ნებითა და ინტერესებით, არამედ მისი იმუნიტეტით, რომელიც საადვოკატო საიდუმლოებითაა უზრუნველყოფილი.

ცალკე ყურადღების დირსია პროფესიული საიდუმლოების სხვა მომენტები, რაც ხშირად უგულებელყოფილია. საგულისხმოა, რომ პროფესიული საიდუმლოებაში შეიძლება იგულისხმებოდეს ასევე მომსახურების გაწევისას ან ნარდობის შედეგად გარკვეული ცნობები, რომლებიც მათი საქმიანობის შედეგად გარკვეული კერძო ხასიათის ინფორმაციის შეძენას უკავშირდება. ხელოსნის მიერ ინტიმური ოთახების გარემონტება ან სანტექნიკის მოწესრიგება პირადი ცხოვრების ელემენტებია და უნდა განიხილებოდეს არასახელშეკრულებო ვალდებულებების ჭრილში, რასაც შესაძლებელია მოჰყევს არაქონებრივი ან/და ქონებრივი ზიანი. ამდენად, პროფესიული საიდუმლოების ხელყოფამ შესაძლებელია გამოიწვიოს დელიქტი და სამოქალაქო პასუხისმგებლობის კონკრეტული საფუძვლების შესწავლის შემდეგ დადგება სსკ-ის 992-1008-ე მუხლებით დადგენილი შედეგები.

კვლევამ აჩვენა, რომ განსაკუთრებით საგრძნობია სამართალწარმოებისას საიდუმლო სფეროსა და პროცესის საჯაროობას შორის ინტერესთა კონფლიქტი. აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული სასამართლოს საჯაროობის პრინციპის ობიექტური და ფაქტობრივი მნიშვნელობა და თანაზომიერების საწყისის საფუძველზე შეფასდეს საიდუმლოს დაცვა-დაუცველობის საკითხი საჯარო ინტერესთან კონლიქტში.

საყურადღებოა მხარეების სახელის ხსენება. სახელის დასახელება დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ აღნიშნულზე საჯარო ინტერესი არსებობს. ამასთან, საიდუმლოების დაცვის მიზნით აუცილებელია სასამართლოს გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადებისა და გადაწყვეტილების ქსეროასლების გაცემის პროცედურის გამიჯვნა. მართალია, სასამართლო გადაწყვეტილებას აცხადებს საჯაროდ, მაგრამ იმ ფორმით, რომ არ გამჟღავნდეს საიდუმლო ინფორმაცია. რაც შეეხება გადაწყვეტილების ქსეროასლის გაცემას, გასაზიარებელია მოსაზრება, რომ ისიც ისე უნდა გაიცეს, რომ დაცული ინფორმაცია არ გამოვლინდეს (დაცული ინფორმაციის ამოშლით). ამასთან, ადამიანის თავისუფლების განხორციელებამ (ინფორმაციის თავისუფლებიდან გამომდინარეც) არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები. თუმცა საიდუმლოება არაა საჯაროობის ტოლფასოვანი ღირებულება. საიდუმლოება გაზრდილი საჯარო ინტერესის გამო შეიძლება გაიხსნას; საიდუმლოება საჯაროობას კონკურენციას ვერ უწევს.

## დ ა ს პ გ ნ ა

პირადი ცხოვრების დაცვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ პრობლემათა გადაწყვეტისათვის ჩამოყალიბებულია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობის შემდეგი წინადადებები:

მიზანშეწონილია, კერძო და საჯარო ცხოვრების გასამიჯნად საჯარო სფეროდ განიხილებოდეს ის, რაც სახელისუფლებო ან სხვა საჯარო (არა-სახელისუფლებო) ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს გულისხმობს. კერძო ცხოვრებაში უნდა მოიაზრებოდეს სფერო, რომელიც არაა საჯარო და გამოიხატება ადამიანთა შორის არასაჯარო საწყისებზე აგებული ურთიერთობის თავისუფლებაში, რომელშიც ჩარევა დაუშვებელია და სადაც ინდივიდს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ მოქმედება, ასევე ეკონომიკურ სფეროში პიროვნების განვითარება. რაც შეეხება კერძო და პირადი ცხოვრების ცნებებს, ისინი ჩვეულებრივ ყოფით ურთიერთობებში, მეცნიერებაში, კანონმდებლობასა და პრაქტიკაშიც აღრეულია, რაც ამ სფეროთა შორის მიჯნის გავლებას საჭიროებს. როგორც კვლევიდან ჩანს, მხოლოდ უფლებამოსილ პირს აქვს უფლება, გადაწყვიტოს, თუ ვის რა გაუზიაროს საკუთარი პირადი ცხოვრებიდან. თუმცა საჯარო და კერძო სფეროთა საზღვრები მუდამ ცვალებადია და ხშირად ეს სფეროები ისე უახლოვდება ერთმანეთს (განსაკუთრებით ტექნოლოგიური განვითარების ფონზე), რომ ზოგჯერ მათ შორის მიჯნაც იკარგება.

მიზანშეწონილია, გარკვეულწილად მოხდეს პირადი სფეროს დაცვის სამართლებრივ საშუალებათა სისტემატიზაცია. ამ თვალსაზრისით გამოიყოფა ძირითადი კანონი კონსტიტუციის სახით, კანონები საჯარო და კერძო სამართლის სფეროში და სასამართლო პრაქტიკა, რითაც ფაქტობრივად იკვრება პირადი ცხოვრების დაცვის სამართლებრივი საშუალებები ერთ მთელად.

კერძო სამართლი იცავს კერძო სფეროს ქონებრივი, საოჯახო, პირადი თუ სხვა მხარეების სახით. კერძო ცხოვრების ცნების მოცულობა საქმაოდ ფართოა. რაც შეეხება პირად ცხოვრებას, ის არის კერძო სფეროს შემადგენელი ნაწილი, რომელიც უშუალოდ პიროვნებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ეხება სხეულებრივ და მორალურ მთლიანობას (სიცოცხლე, ჯანმრთელობა, მორალური და ფიზიკური ხელშეუხებლობა), უზრუნველყოფს პიროვნების ავტონომიას (პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, მიმოწერის საიდუმლოება), განავითარებს ინდივიდუალობას (პატივი, ღირსება, სახელი, სქესობრივი თავისუფლება, თვითგამოსახვა, თვითგამორკვევა, ცხოვრების წესი). ამასთან, ეს კომპონენტები შეიძლება დამოუკიდებლადაც არსებობდეს. როგორც ჩანს, კერძო და პირად სფეროებს შორის გვარისა და სახის დამოკიდებულება არსებობს. მიზანშეწონილია, სასამართლო პრაქტიკაშიც ასე იყოს ეს სფეროები გაგებული, რაც ხელს შეუწყობს პირადი ცხოვრების დაცვას. ამდენად, კერძო ცხოვრების საიდუმლოება გაცილებით ფართოა, ვიდრე პირადი ცხოვრების საიდუმლოების ცნების შინაარსი.

მართალია, არამატერიალური სიკეთეები გადაუცემადი და ბრუნვაუზნაროა, მაგრამ სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობაში ჩვეულებრივი ობიექტებია. ბრუნვაუზნარობა არ უნდა იყოს სიკეთეების სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტებად აღიარებისთვის დამაბრკოლებელი გარემოება. ამდენად, კერძო ცხოვრება მოიცავს რა კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო თუ პირად სფეროებს, მასზე უნდა გავრცელდეს კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტის წესები. უნდა აღინიშნოს, რომ პირადი ცხოვრება თავისი არსით არის არამატერიალური სიკეთეა და ის უნდა ჩაითვალოს დაცვითი სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტად. სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობა კი წარმოიშობა როგორც რეგულატიური, ისე დაცვითი სამართლებრივი ურთიერთობების დროს. ასევე მსედველობაში უნდა იქნეს მიღებული აბსოლუტური უფლების სპეციფიკა. სახელდობრ, ის შეიძლება სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს გარეთ არსებობდეს, მაგრამ მაინც სიკეთედ მოიაზრებოდეს. შესაბამისად, კერძო და პირადი სფეროები უნდა განიხილებოდეს სიკეთეებად, რომლებიც სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტებია.

ამდენად, პირადი ცხოვრების დაცვის უფლების ობიექტს წარმოადგენს პირადი ცხოვრება, რაც მათ შორის მჭიდრო კავშირს ცხადყოფს. პირადი არაქონებრივი უფლებებიდან კი აღსანიშნავია პატივისა და ლირსების დაცვის უფლებები, რომლებსაც სხვა პირად არაქონებრივ უფლებებთან მჭიდრო ურთიერთობა აქვს. პირადი არაქონებრივი უფლებებით დაცულია (სპეციალური) პიროვნული უფლებები, რომლებიც ზოგადი პიროვნული უფლების ქვესფეროებს წარმოადგენს. პიროვნულ უფლებებს შორის გამოირჩევა პატივის დაცვის უფლება. ზოგადი პიროვნული უფლება უზრუნველყოფს პატივის ფართო დაცვას. მას მჭიდროდ უკავშირდება პირადი სფერო, ვინაიდან პირად ცხოვრებაში უსაფუძვლო ჩარევისას შეიძლება შეილახოს პატივი, ღირსება, ასევე საქმიანი რეპუტაცია. ამდენად, პირადი ცხოვრების დაცვის უფლება არის რა კანონით ზოგადად აღიარებული, ის იცავს პატივის დაცვის უფლებას, როგორც პიროვნულ უფლებას. ამასთან, აუცილებელია პირადი ცხოვრების ეფექტური დაცვისთვის სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის ფუნქციების გაფართოება.

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში კერძო ცხოვრება ძირითადად გაგებულია, როგორც საიდუმლოება. ამასთან, პირადი სფეროს არსის გასარკვევად აუცილებელია სხვა თეორიებიდანაც გარკვეული ელემენტების გათვალისწინება, ვინაიდან საიდუმლოების შესახებ თეორია ავიწროებს მის მასშტაბს. კვლევით დადგინდა, რომ კერძო ცხოვრების დაცვის თაობაზე გაცილებით მეტია საჯაროსამართლებრივი ნორმები, ვიდრე კერძოსამართლებრივი. თუმცა ჩვენთვის მნიშვნელოვანია საჯაროსამართლებრივი ნორმები, რათა სრულად იყოს კერძო ცხოვრების ის მხარეები გაგებული, რაც საქართველოს კანონმდებლობითაა აღიარებული. გარდა ამისა, საჯარო სამართალში არსებული კერძო ცხოვრების გამოვლინებების შედეგა, თავის მხრივ, შეიძლება ქონებრივი ან/და არაქონებრივი ზიანის დეტერმინანტი გახდეს. ამ თვალსაზრისით კი მნიშვნელოვანია დელიქტური პასუხისმგებლობა კონკრეტული საფუძვლების მიხედვით, კერძოდ, დადგება სსკ-ის 992-1008-ე მუხლებით დადგენილი შედეგები.

ამასთან, პირადი სფეროს უმნიშვნელოვანესი ელემენტები სრულად არაა სამართლით დაცული. ამიტომ მათი დაცვა ლოგიკურად ზოგადი პიროვნული უფლების აღიარებას უკავშირდება. საქართველოში ინფორმაციული კერძო ცხოვრების კერძოსამართლებრივი დაცვა განპირობებულია საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანით. თუმცა საქართველოს კანონმდებლობაში ძირითადად არაა სამართლებრივად დაცული ზოგადად თვითგამორკვევა (თუ თვითგამოსახვა) და სხვა განსაკუთრებით პიროვნული გამოვლინებანი, ისინი რეგულირებულია მორალის ნორმებით. დაცვის სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით გადამწყვეტია ზოგადი პიროვნული უფლების როლი. მით უმეტეს, კვლევამ ცხადყო, რომ საქართველოს კანონმდებლობაში აღიარებს პიროვნულ უფლებათა სიმრავლის თეორიას, მაგრამ მასში გათვალისწინებულია ზოგადი პიროვნული უფლების გარკვეული მომენტებიც. ამასთან, საქართველოს სასამართლო პრაქტიკა ძირითადად ზოგადი პიროვნული უფლების დაცვის უნივერსალურ ფორმას ეფუძნება. ამდენად, ზოგჯერ შეიძლება პიროვნული უფლებები ყოველმხრივ არ იყოს დაცული და ახალი პიროვნული უფლებების წარმოშობამ სამართლებრივი ნორმები უსაზღვროდ გაიზარდოს. სწორედ ამ შემთხვევაში საქართველოსთვის (და არა მხოლოდ) აუცილებელია ზოგადი პიროვნული უფლების აღიარება, რაც მიიღწევა დირსების, კერძო ავტონომიისა და დელიქტური ვალდებულებების შესახებ ნორმებით (სსკ-ის 992-ე მუხლი). ესე იგი, აღნიშნული გამორიცხავს ჩვენი კანონმდებლობით ზოგადი პიროვნული უფლების დაუცველობას. მის დასაცავად პირად არაქონებრივ უფლებებზე დაყრდნობით აუცილებელია შემოქმედებითი უნარის გაფართოება (აბსტრაქტორება). აღნიშნული კი პრაქტიკული ხარჯების აღმოფხვრისკენაა მიმართული.

ტერმინი „ზოგადი პიროვნული უფლება“ ფართო გაგებით უნდა გამოიყენებოდეს პიროვნული უფლებების აღსანიშნავად. ზოგადი პიროვნული უფლება არ არის პირადი არაქონებრივი უფლებების ანალოგიური. მათ შორის მჭიდრო კავშირია, მაგრამ ისინი ურთიერთგანსხვავებულიცაა.

ზოგადი პიროვნული უფლების ელემენტებს – თვითგამორკვევის, კერძო ცხოვრებისა და თვითგამოსახვის უფლებებს შორის მჭიდრო კავშირია. ისინი კორელაციურ ურთიერთობაშია ერთურთთან. ამასთან, არც ის უნდა იყოს გასაოცარი, რომ პირადი ცხოვრების დაცვის უფლება, როგორც პიროვნული უფლება, სხვა პიროვნულ უფლებებთან განსაზღვრულ (ზოგჯერ მჭიდრო, ზოგჯერ მთელისა და ნაწილის) დამოკიდებულებაში იყოს. არაა გამორიცხული, თვითგამორკვევის უფლება თავისი შინაარსობრივი დატვირთვის გამო კერძო ცხოვრების დაცვის უფლების „ქედქეშ“ აღმოჩნდეს, თუმცა ეს არ ნიშნავს მისი ცალკე სამართლებრივი დაცვის უგულებელყოფის სისტორეს. ამასთან, შეიძლება თვითგამოსახვის ერთ-ერთი ელემენტის (მაგალითად, პიროვნების წარმოსახვაზე უფლების) შეღახვამ გამოიწვიოს პირადი ცხოვრების ხელყოფა. საერთოდ, თვითგამორკვევის, კერძო სფეროსა და თვითგამოსახვის უფლებებს შორის ისეთი მიმართებაა, როგორიც შეიძლება ჰქონდეს „შვილობილ“ უფლებებს პირველად უფლებასთან.

პირადი ცხოვრება მჭიდრო კავშირშია თავისუფლებასა და ხელშეუხებლობასთანაც. საქართველოს სამოქალაქო სამართლისთვის პირადი ხელშეუხებლობის განსასაზღვრად ამოსაგადი უნდა იყოს აღნიშნულთან

დაკავშირებული კონსტიტუციური დებულება. ამ უკანასკნელის მიხედვით, პირად ხელშეუხებლობაში მოიაზრება თავისუფლების ხელშეუვალობა, თავისუფლების აღკვეთის ან მისი სხვაგვარად შეზღუდვის დაუშვებლობა. აუცილებელია, გამოიკვეთოს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლების, როგორც არამატერიალური უფლების, მნიშვნელობა კერძოსა-მართლებრივი დაცვის ხერხების გაფართოების გზით.

პირადი ცხოვრება უკავშირდება ინდივიდუალიზაციის საშუალებას – სახელს, ვინაიდან სახელის შელახვამ შეიძლება გამოიწვიოს პირადი სფეროს ხელყოფაც, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მისი ცალკე სამართლებრივი დაცვის უარყოფის საფუძველი. აღნიშნული კი ეხება პირადი ცხოვრების დაცვას დელიქტური სარჩელით.

იგივე შეიძლება ითქვას საკუთარი გამოსახულების დაცვის უფლებაზეც, რომელიც თავისი სამართლებრივი ბუნების გამო ზოგჯერ პირადი ცხოვრების დაცვის ქვეშ მცვევა.

ამასთან, პირადი ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეა პერსონალური მონაცემები. აქვე უნდა გაიმიჯნოს საჯარო და კერძო-სამართლებრივი პერსონალური მონაცემების მიღების უფლებები და აქცენტი გაკეთდეს კომპენსატორულ-სატისფაქციურ, პრევენციულ თუ რეპრესიულ მომენტებზე. ამდენად, საქართველოში საჯაროსამართლებრივმა და კერძო-სამართლებრივმა კანონებმა ორმხრივად შექმნა პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი. აღნიშნულით ინფორმაციული კერძო ცხოვრების კერძო-სამართლებრივი დაცვაც განხორციელდა.

დაუშვებელია პირადი ცხოვრების ხელყოფა გამართლდეს ხელოვნების (ან პრესის) თავისუფლების დაცვის საფუძვლით. თავისუფლება ზღვარდებულია გარკვეულწილად პასუხისმგებლობით, რომელიც ეფუძნება კრიტერიუმებს, არ შეურაცხყოს სხვისი პატივი და ღირსება, პირადი ცხოვრება.

პირადი ცხოვრების დაცვის უფლება რეპუტაციის დაცვის უფლების ხელყოფასაც არ ტოვებს უყურადღებოდ, თუ ის კერძო სფეროს უფლებასთან კავშირშია. აქ მნიშვნელოვანია ხელყოფის ფორმა, რომელმაც შეიძლება პირადი ცხოვრებაც შელახოს. შესაბამისად, პირადი ცხოვრების უფლების დაცვით უზრუნველიყოვა რეპუტაციის უფლებაც. ამდენად, კერძო ცხოვრების დაცვის უფლებას აქვს სხვა პიროვნულ უფლებებთან დაკავშირებით მომსახურებითი ფუნქციაც, რაც მიზანშეწონილია პრაქტიკაშიც გამოიკვეთოს.

პირადი არაქონებრივი უფლებები დაცულია სამოქალაქოსამართლებრივი ნორმებით. ზოგადი პიროვნული უფლება ღირსების, პატივის დაცვის შესაბამისი ფორმებითაც უნდა იქნეს დაცული. სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, პირს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი და ღირსება შელახვისაგან. ზიანის მიუენების შემთხვევაში პირადი სფეროს დასაცავად გამოიყენება სსკ-ის 992-ე მუხლი.

უმჯობესი იქნება კერძო ცხოვრების დაცვის უფლების დამოუკიდებელინდივიდუალურ უფლებად გათვალისწინება სსკ-ში, მით უფრო, რომ კონსტიტუციით ის არაა სხვა უფლებასთან „მიკერებული“ და პირადი ცხოვრების შემადგენელი ელემენტი დაცულია სსკ-ით. გარდა ამისა, სსკ-ის მე-18 მუხლში პირადი ცხოვრების გვერდით კერძო ცხოვრების ჩამატება გაუსვამს ხაზს, რომ კერძოსამართლებრივად დაცულია ზოგადი უფლება, თუმცა არც

მისი ცალკეული გამოვლინებანია დაუცველი. ეს კი მნიშვნელოვანია, ვინაიდან პიროვნების ყოველმხრივ დაცვას ემსახურება. ამასთან, აღნიშნულ კოდექსში გარკვეული განმარტებების გაკეთებით პრაქტიკაში დამკვიდრებული არაერთგაროვნება აღმოიფხვრება.

ასევე საგულისხმოა, რომ სსკ-ის მე-18 მუხლი შეიძლება ვერ ამოწურავდეს იმ არამატერიალურ სიკეთეებს, რომელთა დაცვის აუცილებლობის წინაშეც შეიძლება დადგეს პირი მომავალში. აქ უმნიშვნელოვანესია საკუთარი პიროვნების განვითარების თავისუფლება (საქ. კონსტიტუციის მე-16 მუხლი), რომელიც კერძოსამართლებრივად კერძო ავტონომიის პრინციპია მოცემული (სსკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი). პირადი ცხოვრების კერძოსამართლებრივი დაცვისთვის სწორედ ესაა ამოსავალი სხვა მომენტებთან ერთად. სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი დირსების ასპექტზე დაყრდნობით არის მნიშვნელოვანი სხვა პიროვნული უფლებების დასაცავად. ეს დეტალები გარკვეულწილად არის დამაკავშირებელი ხიდი პიროვნულ უფლებებსა და მათ სამოქალაქოსამართლებრივ დაცვას შორის. აქ კი გადამწყვეტილს უნდა თამაშობდეს დელიქტური ვალდებულებების შესახებ ნორმები. სწორედ დელიქტიდან წარმოშობილი მოთხოვნები შეიძლება ზოგადი პიროვნული უფლებისა და მისგან გამომდინარე განსაკუთრებული პიროვნული უფლებების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის საფუძველი გახდეს. შესაბამისად, ის, რაც არაა დაცული სსკ-ის მე-18 მუხლით, შეიძლება დაცული იქნეს დელიქტური სამართლით (გენერალური დელიქტი – სსკ-ის 992-ე მუხლი). ასევე შესაძლებელია სსკ-ის 993-ე მუხლის დათქმებიც იყოს გათვალისწინებული.

რაც შეეხება კანონს „სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, ის უნდა განიხილებოდეს სისტემურად. აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში იქნეს მიღებული კონსტიტუციით დადგენილი დაცვის სტანდარტი, ხოლო უკეთესი დაცვისა და კონსტიტუციური დაცვის სარისხის გასაძლიერებლად – საერთაშორისო აქტები და ვალდებულებები. კონსტიტუციით უზრუნველყოფილი ადამიანის პატივისა და ღირსების ხელშეუვალობის დაცვის სტანდარტის დამცირების თავიდან ასაცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სამართლის წყაროთა და სამართლებრივ დირებულებათა იერარქია. ასევე ზოგჯერ ძალაუნებულად მაინც წარმოიშობა ღირებულებათა კონფლიქტი. ის გულისხმობს აწონ-დაწონვის შედეგად პრიორიტეტული ინტერესის გამოკვეთას და ერთ-ერთი ინტერესის მსხვერლად შეწირვას გაცილებით რელევანტური ინტერესის დასაცავად. ამდენად, მაქსიმალური სიფრთხილითა და სიდრმისეული ანალიზის შედეგად უნდა იქნეს საკითხი შესწავლილი, რათა გამოირიცხოს თავისუფლებათა „მსხვერლთშეწირვა.“ ამ შემთხვევაში კონფლიქტი უნდა გადაწყდეს თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით აწონ-დაწონვის მეთოდის გამოყენებით. აღნიშნული კი შეფასებითია და ინდივიდუალურ გარემოებებზეა დამოკიდებული. მაგრამ ნებისმიერ პირთან დაკავშირებით ინტიმური სფეროს დაცვა არის გაცილებით მნიშვნელოვანი, ვიდრე სხვა ინტერესის უზრუნველყოფა. პირადი ცხოვრების დაცვის უფლება საერთო წესრიგის ნაწილია. თუ ამ წესრიგს ემუქრება საფრთხე ერთი ინტერესისთვის პრიორიტეტის მინიჭებით მეორის ხარჯზე, მაშინ ასეთი უპირატესობა მიუღებელია. მაშასადამე, პირადი სფეროს დაცვა სამართლებრივი წესრიგის

ჩარჩოებში უნდა განხორციელდეს, რაც, თავის მხრივ, ურთიერთობათა დაბალანსებას შეუწყობს ხელს.

უმჯობესი იქნებოდა, კონსტიტუციით აშკარად მოცემულ პირადი ცხოვრებას შესაბამისი სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის გარანტიები შეექმნა. ამას ხელს შეუწყობდა პრაქტიკის მიერ ზოგადი პიროვნული უფლების აღიარება. პირადი ცხოვრება საჯაროსამართლებრივად დაცულია, რაც საკმარისი არ არის. მნიშვნელოვანია კერძო ცხოვრების უფლების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალებებისა და ფუნქციების გაფართოება, მისი კომპენსაციული ხასიათიდან გამომდინარე.

ამასთან, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობა ძირითადად რეგულატიური ურთიერთობაა. სამოქალაქო სამართლი ძირითადად აწესრიგებს ქონებრივ ურთიერთობებს, ასევე პირად არაქონებრივ ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულია ქონებრივთან. კერძო ცხოვრება მოიცავს რა გარკვეულ ქონებრივ ასპექტებს, მისი ხელყოფისას ქონებრივი ზიანის ანაზღაურების დროს პირველადია საკომპენსაციო ფუნქცია.

კვლევიდან ჩანს, რომ უფლების დაცვის სხვადასხვა ფორმა სამოქალაქო პასუხისმგებლობის კონკრეტული ფუნქციების შესრულებისკენაა მიმართული. ზიანის ანაზღაურებისას უნდა იყოს მხედველობაში მიღებული ობიექტიური გარემოებები, რომლებშიც ეს ზიანი აისახება. პირადი ცხოვრების ხელყოფის გამო ზიანის ანაზღაურებისთვის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფუნქციები კუმულატიური წესით არსებობს.

ასევე მიზანშეწონილია, მორალური ზიანის ნაცვლად დამკვიდრდეს ტერმინი „არაქონებრივი ზიანი“, რათა აღმოიფხვრას ზემოთ განხილული გაუგებობები. ამასთან, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების კრიტერიუმები თითოეული გარემოების გათვალისწინებით უნდა ჩამოყალიბდეს და ყოველი შემთხვევა ინდივიდუალურად შეფასდეს. რაც შეეხება არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, მისთვის პირველადი უნდა იყოს პრევენციის ფუნქციის განხორციელება. აქვე მნიშვნელოვანია, საკომპენსაციო ფუნქციის გაფართოება. არაქონებრივი ზიანის დროს განხორციელებული კომპენსაცია სიმბოლურ ხასიათს ატარებს, თუმცა ის გადამწყვეტ როლს თამაშობს პირის მიერ განცდილი ტანჯვის შემსუბუქებაში. ეს, თავის მხრივ, სატისფაქციურ ფუნქციასაც აამოქმედებს.

კერძო ცხოვრების დაცვასთან დაკაშირებით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია სუბიექტად გამოვიდეს ხან ფიზიკური, ხან კიდევ იურიდიული პირი. მიზანშეწონილია აღინიშნოს, რომ კერძო სამართლის იურიდიულ პირს შეიძლება პქონდეს კერძო ცხოვრების დაცვის უფლება. მასში ძირითადად კერძო ცხოვრების საიდუმლოებაა წარმოდგენილი და არა პირადი ცხოვრების დაცვის უფლება. ამ კუთხით უნდა გაიმიჯნოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლი. ამის გათვალისწინებით უკვე იურიდიულ პირსაც შეიძლება არაქონებრივი ზიანი მიადგეს კერძო სფეროს ხელყოფისთვის.

ასევე აუცილებელია მოკლედ შევჩერდეთ სსკ-ის 27-ე მუხლზე, რომელიც იურიდიულ პირებზე ავრცელებს სსკ-ის მე-18 მუხლის ნორმებს პირადი არაქონებრივი უფლებების შელახვის შემთხვევაში. არადა სსკ-ის 27-ე მუხლის (სპეციალურ) ქვეთავაში ხელოვნურად გადაადგილებამ გარკვეულწილად შექმნა ხარვეზი, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. მიზანშეწონილია,

ეს ნორმა გავრცელდეს ორგორც არასამეწარმეო, ისე კომერციულ იურიდიულ პირზე, ვინაიდან საერთოა მათთვის. ამიტომ უმჯობესია, იგი განთავსდეს იურიდიული პირის ზოგადი დებულებების შესახებ თავში. აღნიშნული მნიშვნელოვანია სისტემატიზაციის და ასევე პრაქტიკული პრობლემების თავიდან აცილების თვალსაზრისით.

გარდაცვლილის პირადი ცხოვრების დაცვის დროს „დაცვის დირსი ინტერესის მქონე პირი“ ხდება მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დამოუკიდებელი სუბიექტი. ამდენად, „დაცვის დირსი ინტერესის მქონე პირს“ უნდა შეეძლოს მისი უფლების დაცვის განხორციელება.

პირადი ცხოვრების დაცვის უმნიშვნელოვანები ნაწილია პირადი სფეროს დაცვის პრობლემის პროცესუალურსამართლებრივი მხარე. აქ საყურადღებო გარემოებები, რაც პროცესის მონაწილეთა პირადი სფეროს შელახვის წინაპირობა შეიძლება გახდეს. ორგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი და საინტერესო სამართალწარმოებისას პირადი ცხოვრების ხელყოფის სპეციფიკის წარმოდგენა.

საერთოდ, მხარე ვალდებულია სწორი ჩვენება მისცეს. ცრუ ჩვენებამ შეიძლება გამოიწვიოს სისხლისსამართლებრივი სანქციების გამოყენება. მხარეს ასევე არა აქვს შესაძლებლობა, საპატიო მიზეზების გარეშე თავი აარიდოს სასამართლო პროცესს ან უსაფუძვლოდ უარი თქვას პასუხის მიცემაზე. საპროცესო კანონები მსგავს შემთხვევაში სასამართლოს აძლევს უფლებას, რომ მან მიიღოს იძულებითი დონისძიებები ამ მხარის მიმართ. სამოქალაქო პროცესში მხარეებს აქვთ შესაძლებლობა თავიანთი საიდუმლო სფეროს დასაცავად, ეჭვი შეიტანოს სწორი ჩვენების მიცემის ვალდებულებაში, ჭეშმარიტების აღმოჩენის ინტერესიდან გამომდინარე.

მხარეთა მიერ ჩვენებების აღვრცატისთვის მიცემა, თავის მხრივ, უკავშირდება მხარეთა ან მესამე პირების მიერ მტკიცებულების წარდგენის მოვალეობას. აღნიშნული შეიძლება საიდუმლოების მფლობელის ან მატარებლის ნების საწინააღმდეგოდ ზოგჯერ საიდუმლო სფეროებში ჩარევას შეეხოს. თუ მხარე დაიმოწმებს სამოქალაქო პროცესში დოკუმენტებს, რომლებიც მოწინააღმდეგებ მხარის ან მესამე პირების ხელთაა, მაშინ მას შეუძლია დოკუმენტების წარმოდგენის დავალდებულება მოითხოვოს. ეს მტკიცებულებები შეიძლება შეიცავდეს მხარეთა ან მესამე პირთა საიდუმლოებებს.

საიდუმლო სფეროს ხელყოფა შესაძლებელია ასევე სასამართლოს მიერ ჭეშმარიტების დასადგენად სხვა საქმიდან დოკუმენტების გამოხმობამაც გამოიწვიოს, თუ ეს ცნობები პირად სფეროს შეეხება.

განისაზღვრა, რომ არაა მართებული ტერმინის „საექიმო საიდუმლოება“ გამოყენება. იგი გაუმართლებლად ავიწროებს პირთა წრეს, რომლებმაც უნდა დაიცვან პროფესიული საიდუმლოება. ამ ტიპის საიდუმლოების დაცვა სხვა პირებსაც ევალებათ. ამიტომ მიზანშეწონილია, ტერმინ „სამედიცინო საიდუმლოების“ გამოყენება. გარდა ამისა, სამედიცინო საიდუმლოება შეიძლება შეეხოს ინტიმურ დეტალებს, რაც ხელშეუხებელია. სამედიცინო საიდუმლოების დაცვა კი უზრუნველყოფს ინტიმური სფეროს დაცვასაც.

ამასთან, სამედიცინო სფეროში არსებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამედავნება დასაშვებია, თუ ამას მოითხოვს გარდაცვლილის ნათესავი ან კანონიერი წარმომადგენელი. აღნიშნული ცნობების გაცემა შეიძლება ასევე, თუ ისინი მოითხოვა სასამართლომ, საგამოძიებო ორგანოებმა ან

ეს აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების, სხვათა უფლებების დასაცავად. გარდა ამისა, დაიშვება აივ ინფიცირებულის/შიდსით დაავა-დებულის შესახებ ინფორმაციის გაცემა, თუ აივ ინფიცირებულის/შიდსით დაავადებულისგან მიღებულია ინფორმირებული თანხმობა. აქ აივ ინფიცი-რებულის/შიდსით დაავადებული წინასწარ განაცხადებს წერილობითი ფორ-მით თანხმობას მისი გარდაცვალების შემთხვევაში ინფორმაციის გაცემის შესახებ. ამასთან, აღნიშნული ცნობების გაცემა დასაშვებია სასწავლო ან სამეცნიერო მიზნით გაიცემა, თუმცა მონაცემები ისე უნდა იყოს წარ-მოდგენილი, რომ პირის იდენტიფიკაცია შეუძლებელი გახდეს. ასევე საგუ-ლისხმოა კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, რომელიც კერძო ცხოვრე-ბის დაცვას ეხება და ადგენს კერძო სფეროში ჩარევას მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, რაზეც ზემოთ იყო საუბარი.

მნიშვნელოვანია პირადი სფეროს ერთ-ერთი მხარე შვილად აყვანის საიდუმლოების სახით. აქ პრიორიტეტულ ინტერესად უნდა იყოს ბავშვის ინტერესი წარმოდგენილი. ამასთან, თვით უფლებამოსილი პირის ნებაა გა-დამწყვეტი, შვილად აყვანის საიდუმლოება გამჟღავნდება თუ ის კონფიდენ-ციალურ სფეროთა წრეში ჩაეწერება.

საგულისხმოა ფიდუციური ურთიერთობის საფუძველზე ინფორმაციის მინდობა, რაც საპროცესო კანონმდებლობაში ხდება პროფესიული საიდუმ-ლოების დაცვაზე აქცენტირებით. კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მოვალეობა უნდა გავრცელდეს პირებზე, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოდიან წარმომადგენლებად; სხვა ადვოკატზე ან მის თა-ნაშემწეზე, ასევე ადვოკატის სტაჟიორზე, რადგან წარმოშობა კლიენტსა და წარმომადგენელს შორის ნდობაზე აგებული ურთიერთობა; ასევე მდივანზე. ამასთან, უმჯობესია საადვოკატო საიდუმლოების ფართო გაგება მოხდეს, რათა მოიცვას კლიენტისგან ადვოკატისთვის მიცემული ცნობები, რომელთა გავრცელება კლიენტისთვის არასასურველია. ადვოკატის მიერ საკუთარი პროფესიული საიდუმლოების დაცვის მოვალეობა უნდა განიხი-ლებოდეს ადვოკატის საქმიანობის ზნეობრივ საწყისად. ამდენად, საადვო-კატო საიდუმლოების უცხო პირთა ხელყოფისაგან დაცვის პრობლემა ორ ძირითად ასკექტს უნდა შეეხებოდეს: ა) საადვოკატო იმუნიტეტი. ეს გუ-ლისხმობს ადვოკატის, საადვოკატო დოკუმენტაციის და პროფესიული საქ-მიანობისას გამოყენებული შენობის, კლიენტოან ადვოკატის კომუნიკაციის, კლიენტის, როგორც ადვოკატთან კომუნიკაციის შესახებ ინფორმაციის პოტენციური წყაროს, ხელშეუხებლობას; ბ) მესამე პირთათვის საადვოკატო საიდუმლოების ხელმისაწვდომობა დასაშვებია სამართლებრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში.

როგორც ჩანს, „ადვოკატთა შესახებ კანონში“ საუბარია იმაზე, რომ კლიენტის შესახებ ინფორმაციის გავრცელება მხოლოდ კლიენტისავე თან-ხმობით შეიძლება და სხვა გამონაკლიის არაა დასახელებული. აღნიშნულს ასწორებს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი. კერძოდ, თუ ადვო-კატის მიერ ინფორმაციის გამჟღავნება აუცილებელია მის მიმართ წაყენე-ბული ბრალდებისაგან თავის დასაცავად (და სხვა კანონით დადგენილ გა-მონაკლის შემთხვევებში), მაშინ დასაშვებია კლიენტის შესახებ ინფორმა-ციის გავრცელება. დასაწყისში იქმნება მცდარი შთაბეჭდილება, რომ ეს, თოქოს, წინააღმდეგობაში მოდის კონფიდენციალობისა და კლიენტის

ინტერესებისთვის პრიორიტეტულობის მინიჭების პრინციპებთან. საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს, რომ პირს შეუძლია უარი თქვას ჩვენების მიცემაზე საკუთარი თავის წინააღმდეგ. სწორედ ესაა გაზიარებული ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში ადვოკატის მიერ კლიენტის შესახებ ინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. ამასთან, ადვოკატმა თავიდან უნდა აიცილოს კონფლიქტი მის და კლიენტის ინტერესებს შორის, წინა საქმეზე წარმოდგენილი კლიენტისა და ამჟამად წარმოსადგენი პირის ინტერესებს შორის და სხვა. აღნიშნული მნიშვნელოვანია პირადი სფეროს დასაცავად.

ასევე საბანკო საიდუმლოებაში განსაკუთრებით ჩანს კერძო სფეროს ქონებრივი მხარე. ამდენად, სწორედ საბანკო საიდუმლოების დაცვით კერძო ცხოვრებაც იქნება დაცული.

ამასთან, სამართალწარმოების დროს კერძო სფერო შეიძლება გამოვლინდეს სანოტარო მოქმედების საიდუმლოებაში, რაც ძირითადად სახელშეკრულებო თავისუფლების პრობლემას უკავშირდება.

გარდა აღნიშნულისა, ცალკე უურადღების დირსია პროფესიული საიდუმლოების სხვა მომენტები, რაც ხშირად უგულებელყოფილია. საგულისხმოა, რომ პროფესიულ საიდუმლოებაში შეიძლება იგულისხმებოდეს ასევე მომსახურების გაწევისას ან ნარდობის შედეგად მიღებული ცნობები. ხელოსნები ხშირად საკუთარ ნახელავს წარმოადგენენ ინტერნეტით, თუმცა ეს ნახელავი უკვე სხვა პირის პირადი სფეროს ელემენტია. ამიტომ მისი საჯაროდ გავრცელება უფლებამოსილი პირის თანხმობას საჭიროებს. ხელოსნის მიერ ინტიმური ოთახების გარემონტება უნდა დარჩეს მხარეებს შორის კონფიდენციალურ სფეროდ. აქ საქმე ეხება აბსოლუტურ უფლებას პირად ცხოვრებაზე, რომლის ხელყოფა დელიქტური სამართლის ნორმებით უნდა მოწესრიგდეს. ესე იგი, დადგება დალიქტური სამართლით გათვალისწინებული შედეგები (სსკ-ის 992-1008-ე მუხლები).

კვლევამ აჩვენა, რომ განსაკუთრებით საგრძნობია სამართალწარმოებისას საიდუმლო სფეროსა და პროცესის საჯაროობას შორის ინტერესთა კონფლიქტი. აღნიშნული კოლიზიური სიტუაციის გადასაწყვეტად მიზანშეწონილია სასამართლოს საჯაროობის პრინციპის ობიექტური და ფაქტობრივი ღირებულების გათვალისწინება. აღნიშნული გულისხმობს მისი კანონით დადგენილი მნიშვნელობის აღქმას სამართლებრივი განათლებისა და სამართლებრივი კონტროლის საფუძველზე, ასევე პირთა მიერ გარკვეული პროცესებითა თუ გადაწყვეტილებებით დაინტერესება-ჩართვას. სამართლებრივი კონტროლი უკავშირდება სასამართლო სხდომებში მხარეთა მონაწილეობას, პროცესების შესახებ რეპორტაჟების გაკეთება-გაცნობას და საქმის მიმდინარეობის თუ კომპეტენტური პირების (ადვოკატის) საშუალებით გადაწყვეტილების მატერიალურ და ფორმალურ სისწორეში დარწმუნებას. ამასთან, საპროცესო კანონმდებლობაში სასამართლო პროცესის საჯაროობის პრინციპი კანონზომიერადა გათვალისწინებული, მაგრამ კანონი საჯაროობის პრინციპს უწევსებს შეზღუდვებსაც. აღნიშნული პროცესის მონაწილეთა პირადი საიდუმლოების დაცვას ემსახურება. ასეთია საჯაროობის ობიექტური მნიშვნელობა. რაც შეეხება პროცესის საჯაროობის ფაქტობრივ მნიშვნელობას, აქ საყურადღებოა ფაქტობრივი შესაძლებლობები, რომელთა საშუალებითაც პირს შეუძლია გარკვეული წარმოდგენა შეიქმნას საქმის

მიმდინარეობის (თუ შედეგის) შესახებ. ამ თვალსაზრისით კი გადამწყვეტია პირის დაინტერესება, რათა სასამართლო სხდომის დარბაზებში არ დარჩეს სკამები ცარიელი. მოცემულ საქმეში უმნიშვნელოვანესია მასობრივი ინფორმაციის გავრცელების საშუალებების (ტელეკონია, გაზეთი და სხვა) როლი. ამასთან, სწორედ ამ ფაქტობრივი შესაძლებლობებით შეუძლია პირს (სასამართლო სხდომაზე დაუსწრებლად) გარკვეული ინფორმაცია მიიღოს ამა თუ იმ საქმის შესახებ.

ეს საკითხი, თავის მხრივ, ეხება მხარეთა სახელის ხენებასაც. სასამართლო განხილვის შესახებ რეპორტაჟი მიზანშეწონილია მოხდეს სახელის დასახელების გარეშე. სახელის დასახელება დაიშვება მხოლოდ მაშინ, როცა მნიშვნელოვანი საფუძველი (საჯარო ინტერესი) არსებობს. ასევე პირად კანონიერ ინტერესს ენიჭება პრიორიტეტი ინფორმაციის თავისუფლებასთან შედარებით ან ზოგადად საჯარო ინტერესთან შედარებით. მიზანშეწონილია, საიდუმლოების დაცვიდან გამომდინარე, გაიმიჯნოს სასამართლოს გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადებისა და გადაწყვეტილების ქსეროსლების გაცემის პროცედურა. ამასთან, სასამართლოს გამჭვირვალობა მთლიანად სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაზე ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნების გავრცელებას გულისხმობს. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 ნაწილი ინფორმაციის თავისუფლებას ზღუდავს „სხვათა უფლებებისა და ღირსების დაცვით“. აღნიშნული მუხლით ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების განხორციელებამ (ინფორმაციის თავისუფლების ინტერესებიდან გამომდინარეც) არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები.

ამდენად, ზემოთ მოყვანილი გარემოებების გათვალისწინება აუცილებელია, რათა მატერიალურსამართლებრივი და პროცესუალური თვალსაზრისით პირადი ცხოვრება ეფექტურად იყოს დაცული.

## გამოყენებული ლიტერატურა

### ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კონსტიტუცია. 1995 წლის 24 აგვისტო.
2. ადამიანის უფლებათა ეპროცესუალი კონვენცია. 1950 წლის 4 ნოემბერი.
3. ბავშვთა უფლებების კონვენცია. 1989 წლის 20 ნოემბერი.
4. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი. 1966 წლის 16 დეკემბერი.
5. საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“. 2009 წლის 22 ოქტომბერი, რეგისტრაციის №1876
6. საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“. 1998 წლის 29 აპრილი, რეგისტრაციის №1362

7. საქართველოს კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“. 1997 წლის 16 ოქტომბერი, რეგისტრაციის №934
8. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 1997 წლის 26 ივნისი, რეგისტრაციის №786
9. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. 1999 წლის 25 ივნისი, რეგისტრაციის №2181
10. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. 1997 წლის 14 ნოემბერი, რეგისტრაციის №1106
11. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 1998 წლის 20 ოქტომბერი, რეგისტრაციის №1251
12. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 1999 წლის 22 ივნისი, რეგისტრაციის №2287
13. საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“, 2001 წლის 20 ივნისი, რეგისტრაციის №976
14. საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის შესახებ“. 1997 წლის 10 დეკემბერი, რეგისტრაციის №1139
15. ადვოკატთა ეთიკის კოდექსი. 2006 წლის 15 აპრილი.
16. საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ.“ 2004 წლის 24 ივნისი, რეგისტრაციის №220
17. საქართველოს კანონი „შვილად აუგანისა და მინდობით აღზრდის შესახებ.“ 2009 წლის 18 დეკემბერი, რეგისტრაციის №2381
18. საქართველოს კანონი „აივ ინფექცია/შიდსის შესახებ.“ 2009 წლის 17 ნოემბერი, რეგისტრაციის №2042
19. საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ.“ 2000 წლის 5 მაისი, რეგისტრაციის №283
20. საქართველოს კანონი „გერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ.“ 2008 წლის 21 ნოემბერი, რეგისტრაციის №536
21. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ.“ 2009 წლის 4 დეკემბერი, რეგისტრაციის №2257
22. საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“. 2009 წლის 4 დეკემბერი, რეგისტრაციის №2283
23. განმარტებითი ბარათი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 14 მარტის №5919-I-ს კანონზე.
24. მაუწყებელთა ქცევის კოდექსი. 2009 წლის 9 მარტი, [\[20.04.11 15:50\]](http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=110&info_id=6986)
25. ნოტარიუსთა დეონტოლოგიის (ეთიკის) კოდექსი.
26. იურისტის ბიბლიოთეკა, საერთაშორისო ხელშეკრულებები, პაქტები, კონვენციები, თბ., 2005
27. პატიმრობის კოდექსი. 2010 წლის 9 მარტი. №2696-III
28. ბელორუსიის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსი, [\[20.10.10 23:44\]](http://pravo.levonevsky.org/kodeksby/gk/20110115/dokument.htm)
29. რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი იხ. ინტერნეტ-გვერდზე: [\[20.10.10 23:40\]](http://www.internet-law.ru/law/kodeks/gk_1.html)

## **სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები და სტატიები:**

30. ადამიანის უფლებათა ევროპული სასასამართლოს პრეცედენტული სამართლი (მასალები მოიძია და მოამზადა ბ. ბოხაშვილმა), თბ., საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2004, იხ.  
<http://gyla.ge/files/publications/q9z18pmtnn.pdf> [24.01.11 21:43]
31. შემდგ. და რედაქტ. თ. კინწურაშვილი, მედიის თვითრეგულირების ქრესტომათია (თარგმნა მ. თაბაგარმა და სხვებმა), თბ., თავისუფლების ინსტიტუტი, 2004
32. ს. აგალიანი, თეორიული ფილოსოფია, თბ., „უნივერსალი“, 2007
33. ს. ახვლევდიანი, ვალდებულებითი სამართლი, თბ., „სამართლი“, 1999
34. ს. ბარაბაძე, მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები, „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2004, №2
35. ს. ბარაბაძე, მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის საფუძვლები, „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2005, №3
36. ს. ბარაბაძე, მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირები, „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2006, №2
37. ს. ბარაბაძე, მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა, თბ., „უნივერსალი“, 2012
38. კ. ბაქრაძე, ლოგიკა, თბ., საქ. პედაგოგ. მეცნ. ინსტ. გამომც., 1946
39. კ. ბაქრაძე, ლოგიკა, თბ., სტალინის სახ. თბ. სახელმწ. უნივერს. გამომც., 1954
40. ს. ბურკაძე, გამოხატვის თავისუფლების საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება, „მართლმსაჯულება“, 2008, №1
41. თ. ბეჭოშვილი, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2007, №2/3
42. გ. გაბუნია, ვირტუალური კომუნიკაციების როლი თბილისელ ლესბი ქალთა ცხოვრებაში, თბ., 2010
43. გ. გაბუნია, ექიმის ფიცი და საექიმო ეთიკის ზოგიერთი საკითხი, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1987
44. ი. სურგულაძი, ხელისუფლება და სამართლი, გერმანულიდან თარგმნა თ. გამყრელიძემ, თბ., საია, 2002
45. ა. გეგია, „მატერიალური და მორალური ზიანის შედარებით სამართლებრივი ანალიზი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით“ იურიდიულ-ფსიქოლოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა II სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციის შრომათა კრებული, თბ., 2005
46. გ. გოგიჩაიშვილი, რჩეული ნაწერები, გ. 1, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1974
47. გ. გოცირიძე, „აზრის გამოხატვის თავისუფლება და რეპუტაციის უფლება“ (ღირებულებითი კონფლიქტის დილემები), „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2005, №3

48. აზრის გამოხატვის თავისუფლება ადამიანის უფლებათა უკროპული კონვენციის სამართალში, შეადგინა და კომენტარი დაურთო ქ. გოცირიძემ, თბ., „სტამბა ქართული ფილმი“, 2006
49. ქ. გოცირიძე, გამოხატვის თავისუფლება დირექტულებათა კონფლიქტში ადამიანის უფლებების უკროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით, თბ., „ჯისიაი“, 2008
50. გრ. ერემოვი, საქართველოს მთავრობა, 1995
51. ქ. ერქმაიშვილი, ადამიანი, თავისუფლება, იდეოლოგია, თბ., სახ. უნივერ. გამომც., 2002
52. ბ. ელიახი, ცივილიზაციის პროცესის შესახებ, სოციოგენეტიკური და ფსიქოგენეტიკური გამოკვლევები, წ. I, ქცევის ცვლილებანი დასავლური სამყაროს საერო ზედა ფენებში (თარგმნა ი. წერეთელმა), თბ., „ნეკერი“, 2005
53. ბ. ზოიძე, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნებისთვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1985, №3
54. ბ. ზოიძე, ქონებრივი პასუხისმგებლობა ვალდებულებათა დარღვევისთვის, თბ., „მეცნიერება“, 1989
55. ბ. ზოიძე, ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვის, წიგნში „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“, წ. მე-3, თბ., „სამართალი“, 2001
56. ბ. ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, მეორე გადამუშ. და სრულყ. გამოცემა, თბ., „მეცნიერება“, 2003
57. ბ. ზოიძე, სამართლებრივი წესრიგისა და სამართლებრივი უსაფრთხოების შესახებ, „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2006, №3
58. ბ. ზოიძე, მოძღვრება საკანონმდებლო კულტურის შესახებ, „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2006, №1
59. ბ. ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და დირექტულებათა წესრიგი საქართველოში, თბ., GTZ, 2007
60. ი. თაბორიძე, „ბუნებითი სამართლის როლი ადამიანის დირსების გაგების ჩამოყალიბებაში“, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2004
61. ბ. თოდეუ, ქ. ქურდაძე, ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებანი, თბ., საქართვ. მოსამართლეთა ასოციაცია, 2005
62. ქ. იათქოვი, ზიანის მიუენებით წარმოშობილი ვალდებულებანი (თარგმნა გ. ლოლიძემ), თბ., საქ. სსრ იუსტიციის სამინისტროს გამოცემა, 1947
63. ლ. იზორია, ქ. კორკელია, ქ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., „მერიდიანი“, 2005
64. რ. ფონ იერიხვი, ბრძოლა უფლებისათვის, თბ., 2000
65. ლ. ინწურველი, ნოტარიატისა და სასამართლოს კომპეტენციათა გამიჯვნისთვის, წიგნში „ქართული კერძო სამართლის კრებული“, წ. I, თბ., საია, 2004

66. დ. კურესელიძე, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 7/2004-1
67. დ. კურესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., ეშიო, 2009
68. გ. კვაჭაძე, ი. მანჯავიძე, გ. კვანტალიანი, გ. მირზიკაშვილი, გ. გვერდებაძე, გ. აზაურაშვილი, წიგნი პაციენტებისთვის, ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა (გზამკვლევი), თბ., 2011
69. უ. კილკელი, პირადი და ოჯახური ცხოვრებს პატივისცემის უფლება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის განხორციელება (გზამკვლევი) (თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო ლ. ჭელიძემ, გ. ბოხაშვილმა, თ. მამუკელაშვილმა), თბ., ევროპის საბჭო, 2005
70. თ. კინწურაშვილი, მართლმსაჯულების ლოგიკა (სიტყვის თავისუფლება და ქართული სასამართლო პრაქტიკა), „თავისუფლება“, 2005, №3 (39), მარტი
71. შემდგ. და რედაქტ. თ. კინწურაშვილი, მედიის თვითრეგულირების ქრესტომათია (თარგმნა გ. თაბაგარმა და სხვებმა), თბ., თავისუფლების ინსტიტუტი, 2004
72. ა. კობახიძე, სამოქალაქო სამართალი, ტ. I, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001
73. კ. კორკელია, სასამართლოს როლი საერთაშორისო ხელშეკრულების გამოყენებაში, „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1998, №1
74. კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბ., ევროპის საბჭო, 2004
75. კ. კორკელია, გ. მჭედლიძე, ა. ნალბანდოვი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბ., ევროსაბჭოს საინფორმაციო ბიურო საქართველოში, 2005
76. კ. კორკელია, ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება, თბ., ევროპის საბჭო, 2007
77. კ. კორკელია, სასამართლოს აქტივიზმი და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გავლენა საქართველოს სასამართლო პრაქტიკაზე, „საკონსტიტუციო სასამართლოს მიმოხილვა“, 2011, №4
78. კ. კუბლაშვილი, აზრის თავისუფლება – ადამიანის უმნიშვნელოვანების ძირითადი უფლება, კრებულში: „ადამინის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში“, თბ., საია, 2002
79. კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბ., „ჯისიაი“, 2003
80. კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბ., „ჯისიაი“, 2010
81. გ. ლევაგეიშვილი, სისხლის სამართალი (განსაკუთრებული ნაწილი), თბ., „ნორმა“, 1996
82. თ. ლილუშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., „სანი“, 2004
83. გ. მეფარიშვილი, ერთი საკანონმდებლო სიახლის გამო, „სამართალი“, 1991, №34
84. გ. მეფარიშვილი, ცხოვრება და კანონი, მე-2 შევსებული გამოცემა, თბ., „სამართალი“, 2008

85. პ. (თ.) მონიავა, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამართლებრივი პროცედურები (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 1999
86. პ. (თ.) მონიავა, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის სამართლებრივი დაცვა, თბ., 1999
87. თ. მონიავა, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვა საქართველოში (უძველესი დროიდან საბჭოთა პერიოდის ჩათვლით), თბ., „მერიდიანი“, 2005
88. პ. (თ.) მონიავა, პერსონალური მონაცემების მიღების უფლება სამოქალაქო სამართლიში, „ცხოვრება და კანონი“, 2009, №2 (6)
89. თ. (პ.) მონიავა, სამოქალაქო სამართლის სუბიექტები, თბ., 2011
90. თ. მონიავა, ფიზიკური პირის პატივისა და ღირსების ცნება, „სამართალი“, 2003, №6-7
91. გ. ნადარეიშვილი, ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფერდალური სამართლის ქადაგებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით, „ალმანახი“, ქართული სამართლის ისტორიის ქადაგი, 2000, №14
92. გ. ნადარეიშვილი, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., „ბონა კაუზა“, 2003
93. გ. ნაჯუებია, სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი, თბ., 2006
94. გ. ნაჯუებია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., საგამომც. სახლი „ინოვაცია“, 2011
95. გ. ნაჯუებია, ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, თბ., 2001
96. თ. ნინიძე, სახელის უფლების შინაარსი, „საბჭოთა სამართალი“, 1976, №1
97. თ. ნინიძე, ადამიანის ინდივიდუალობა – საბჭოთა სამოქალაქო სამართლის დაცვის საგანი, საქართვ. სსრ მეცნ. აკადემიის მაცნე, ფილოსოფიის, ფილოსოფიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1977, №4
98. თ. ნინიძე, პირადი საიდუმლოების დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი გარანტიები, „საბჭოთა სამართალი“, 1977, №1
99. თ. ნინიძე, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, „საბჭოთა სამართალი“, 1978, №2
100. თ. ნინიძე, ცოცხალი ხატი ღირსებისა, საქართვ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1987, №3
101. თ. ნინიძე, სახელის უფლება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, თბ., „სამართალი“, 2002
102. თ. ნინიძე, პირადი არაქონებრივი უფლებები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, თბ., „სამართალი“, 2002
103. გ. ოქრუაშვილი, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თბ., თავისუფლების ინსტიტუტი, 2005
104. გ. ოქრუაშვილი, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თბ., თავისუფლების ინსტიტუტი, 2008

105. ს. პაპუაშვილი, თავისუფლებააღკვეთილი პირების უფლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, სტატიათა კრებულში: „ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე“ (რედ. ჭ. კორუელია), თბ., 2006
106. გრ. რცხილაძე, „მორალური ზიანის ანაზღაურება“, „საბჭოთა სამართალი“, 15 თებერვალი 1928, №4
107. პ. სავანეგლი, ხელისუფლებათა განაწილების პრინციპი და ადამიანის უფლებების კონსტიტუციური გარანტიები (ბრძოლა უფლებისთვის), კრებულში „სამართლის რეფორმა საქართველოში“ (გამომცემლები: ს. ჯორგენაძე, რ. კნიპერი, ლ. ჭანტურია), თბ., (1994 წლის 23-25 მაისს თბილისში გამართული საერთაშორისო კონფერენციის მასალები), 1994
108. დ. სუხიტაშვილი, საქართველოს სანოტარო სამართალი, თბ., 2002
109. გ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, წ. I, დანაშაულის მოძღვრება, თბ., „მერიდიანი“, 2011
110. გ. ტრექეგლი (სარა ჯ. სამერსის დახმარებით), ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში (თარგმნა გ. გოგელიამ და სხვებმა), თბ., საქ. საკონსტ. სასამართლო, 2009
111. გ. უგრებელიძე, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., თბილისის უნივერსიტ. გამომც., 1982
112. ა. ფალიაშვილი, კრიმინალისტიკა, ტ. 1., თბ., „მერიდიანი“, 2000
113. ფილოსოფიური ლექსიკონი, რედ ფროლოვა, თბ., 1987
114. გ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (დანაშაულის გახსნის ტაქტიკა), თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001
115. თ. ქალაძე, უურნალი „ჩემი უფლებები“, მორალური ზიანი, თბ., 2002
116. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც., თბ., 1955
117. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, საქართვ. სსრ მეცნ. აკად. გამომც., თბ., 1960
118. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (მთ. რედ. არნ. ჩიქობავა), ერთობლეული, თბ., ქართ. ენციკლოპედიის მთ. სამეცნ. რედაქცია, 1990
119. ქ. ქოჩაშვილი, ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, „სამართლის უურნალი“, 2009, №1
120. გ. ქურდაძე, სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, თბ., „მერიდიანი“, 2005
121. ა. შაიორ, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მეცნიერული რედაქცია და წინათქმა თ. ნინიძისა, თბ., აირის საქართველო, 2003
122. რ. შენგელია, ქონებრივი ზიანი და მისი ანაზღაურების გალდებულება, თბ., 1991
123. გ. ჩიკვაშვილი, დელიქტური ვალდებულებები სამოქალაქო სამართალში, კრებულში: „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები“, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთვისადმი, თბ., თბ. უნივერსიტეტის გამომც., 2003

124. რ. შენგელია, ქ. შენგელია, საოჯახო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბ., „მერიდიანი“, 2011
125. ო. შეგაბანეკი, სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები (თარგმნა ო. გრატიაშვილმა), თბ., „მეცნიერება“, 1997
126. გ. ჩიკვაშვილი, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბ., „მერიდიანი“, 1998
127. გ. ჩიკვაშვილი, მემკვიდრეობითი სამართალი, თბ., 2000
128. გ. ჩიკვაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. მე-4, ტ. მე-2, თბ., „სამართალი“, 2001
129. გ. ჩიკვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, თბ., „მერიდიანი“, 2003
130. გ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, მე-4 გადამუშავებული გამოცემა, თბ., „მერიდიანი“, 2004
131. ო. ჩიტოშვილი, დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები, „მართლმსაჯულება“, 2008, №1
132. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, საკანონმდებლო აქტების კრებული (შემდგ: პ. ცნობილაძე), თბ., 2002
133. მე-19 მუხლი – გამოხატვის თავისუფლების გლობალური კომპანია, საქართველოს კანონის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ სახელმძღვანელო, თბ., 2005 წ. (აპრილი)
134. თავისუფლების ინსტიტუტი, კომენტარები საქართველოს კანონზე „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, თბ., 2005, [www.liberty.ge](http://www.liberty.ge) [20.10.10 23:20]
135. გ. ცაცანაშვილი, ინფორმაციული სამართალი, თბ., 2004
136. კ. ცვაიგერტი, პ. კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართალში, ტომი II, გამოცემის მეცნიერული რედაქცია და ბოლოთქმა თუვდორე ნინიძის, თბ., „ჯისიაი“, 2001
137. გ. ძეგლაშვილი, საგადასახადო საიდუმლოების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი, „მართლმსაჯულება“, 2008, №2
138. კ. წერეთელი, კონსტიტუციური მოვალეობები ობიქტური აუკილებლობაა, თბილისი, 1995
139. ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. თბ., „სამართალი“, 1997.
140. ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის კომენტარი, მე-3 გამოცემა, თბ., „სამართალი“, 2002
141. ლ. ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ., „სამართალი“, 2006
142. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., „სამართალი“, 2011
143. გ. ხიდშიაშვილი, გ. ბანიძე, საექიმო ეთიკა, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1974
144. გ. ხუბუა, მუხლი 16, წიგნში „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“, თბ., „მერიდიანი“, 2005
145. ს. ჯორბეგნაძე, საბჭოთა საოჯახო სამართალი, თბ., თბილისის უნივერს. გამოც., 1957

146. *b. ჯორბეგაძე, იურიდიული პირის ბრალის შინაარსის განსაზღვრისათვის, „საბჭოთა სამართალი“, 1985, №4*
147. *b. ჯორბეგაძე, ინტელექტუალური საქუთრების განმარტებითი დექსიკონი, თბ., „სამართალი“, 1998*
148. *თ. ჯუღელი, ფიზიკურ პირთა სამართალსუბიექტობა (შედარებით-სამართლებრივი კვლევა ქართული და ფრანგული სამართლის მაგალითზე), თბ., „უნივერსალი“, 2007*
149. *თავისუფლების ინსტიტუტი, კომენტარები საქართველოს კანონზე „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, თბ., 2005, <<http://www.liberty.ge>> [20.10.10 20:22]*
150. Авторский коллектив, Права человека, Учебник для вузов, М., 2002
151. *Б. Антимонов, Е. Флейшиц, Авторское право, М., Госюриздан, 1975*
152. *С. Беляцкинъ, возмещение морального (неимущественного) вреда, в еженедельном юридическом газете «право», 1911, воскресенье 24 июля, №29*
153. *А. Бойков, Этические нормы деятельности советского адвоката, «Советская юстиция», 1966, №10*
154. Курс советского гражданского права, *Братусь С. Н.*, Предмет и система советского гражданского права, М., Государств. изд. Юрид. Лит-ры, 1963
155. *С. Братусь, О. Иоффе, Гражданское право, М., «Знание», 1967*
156. *В. Бухар, Врачебная тайна, «Здаровье», 1978, №6*
157. *В. Варкалло, Об Ответственности по гражданскому праву (возмещение вреда – функции, виды, границы), Перевод с польского В. Залесского, М., «Прогресс», 1978*
158. *А. Вершинин, Охранительные материально-правовые отношения и право на судебную защиту, в материалы научной конференции: «Вопросы теории охранительных правоотношений», Ярославь, 1991*
159. *В. Голышев, Гражданско-правовая ответственность, Гражданское право, общая часть (Курс лекций), М., МИЭМП, 2007*
160. *Т. В. Дробышевская, Личные неимущественные права граждан и их гражданско-правовая защита, Красноярск, Краснояр. гос. ун-т., 2001*
161. *Н. Егоров, Личные неимущественные права граждан и организации как институт советского гражданского права, в журнале «Правоведение», 1984, №6*
162. *А. Ерделевский, Компенсация морального вреда, М., 1996*
163. *А. Ерделевский, Компенсация морального вреда, 2-е издание, М., «БЕК», 2000*
164. *А. Зейц, Возмещение морального вреда по советскому праву, в журнале «Еженедельник советской юстиции», 1927, №47*
165. *В. Иванский, Правовая защита информации о частной жизни граждан, М., Изд. российского ун-та дружбы народов, 1999*
166. *О. Иоффе, Советское гражданское право, т. з. Изд-во Ленинградского ун-та, Л., 1965*
167. *О. Иоффе, Советское гражданское право, общая часть. право собственности. общее учение об обязательствах, Л., Изд. Ленинградского Ун-та, 1958*
168. *О. Иоффе, Личные неимущественные права и их место в системе советского гражданского права, «Советское государство и право», 1966, №7*

169. Я. Коломинский, О. Белановская, Жизнь и судьба в контексте социологического исследования, Актуальные проблемы психології, т. 7, вып. 20, ч. 1, <[http://www.nbuv.gov.ua/portal/soc\\_gum/znpip/2009\\_20\\_1/Sb20\\_Ch1\\_48.pdf](http://www.nbuv.gov.ua/portal/soc_gum/znpip/2009_20_1/Sb20_Ch1_48.pdf)> [20.04.2011 16:08]
170. Л. Красавчикова, Личная жизнь граждан под охраной закона, М., «Юрид. Лит-ра», 1983
171. Е. Крашенинников, Охраняемый законом интерес и средства его защиты, в материалы научной конференции: «Вопросы теории охранительных правоотношений», Ярославль, 1991
172. Е. Крашенинников, Учение Муромцева о защищаемых и защищающих отношениях, в материалы научной конференции: «Вопросы теории охранительных правоотношений», Ярославль, 1991
173. В. Лапач, Система объектов гражданских прав: теория и судебная практика, Санкт\_Петербург, «Юридический центр Пресс», 2002
174. Р. Лукич, методология права, перевод с сербохорватского В. Кулистикова, , М., «Прогресс», 1981
175. М. Малеина, Личные неимущественные права граждан: понятие, осуществление, защита, 2-е издание, исправленное и дополненное, М., «МЗ–ПРЕС», 2001
176. Е. Мотовиловкер, Основное разделение охранительных правоотношений, В материалы научной конференции: «Вопросы теории охранительных правоотношений», Ярославль, 1991
177. Е. Мотовиловкер, Теория регулятивного и охранительного права, Воронеж, Изд. Воронежского ун-та, 1990
178. К. Осакве, Анатомия морального вреда: Классическая интерпретация морального вреда в англо-американском праве, «Актуальные вопросы частноправового регулирования», 2009, №3
179. М. Петросян, США: Правовая защита от вторжения в «личную сферу», Всесоюзный научно-исследовательский институт советского законодательства, «Учебные записки», Выпуск 30, М., 1974
180. И. Петрухин, Личная жизнь: пределы вмешательства, М., «Юрид. Лит-ра», 1989
181. Ю. Пилипенко, Основные направления исследования адвокатской тайни, Часопис Академії адвокатури України, №2, 2009, <<http://www.nbuv.gov.ua/e-journals/Chaaу/2009-1/09pysiat.pdf>> [06.02.10 01:20]
182. Рафиева Л. К., Гражданско-правовая защита чести и достоинства личности в СССР, Автореф. дисс. на соискание ученой степени кандидата юрид. наук, Ленинград, 1966
183. Р. Сеннет, Падение публичного человека, Перевод с английского /Перевод О. Исаева, Е. Рудницкая, Вл. Софонов, К. Чухрукидзе. М., «Логос», 2002
184. В. Сенчищев, Объект гражданского правоотношения. Общее понятие, Змінда та змінду: «Актуальные проблемы гражданского права» (ред. Брагинский М.), М., «Статут», 1998

- B. C. Слипченко, Личные неимущественные права: определение содержания их преподавания в пределах курса гражданского права, «Форум права», 2006, №3, <<http://www.nbuv.gov.ua/e-journals/FP/2006-3/06ssakgp.pdf>> [29.09.11 18:10]
185. Совет Европы. Конвенция о защите личности в связи с автоматической обработкой персональных данных, от января 1981, Спб.: Манускрипт, 1995
186. П. Сорокин, Американская сексуальная революция, Перевод Г. Войтенковой, М., 2006
187. В. Суховерхий, О развитии гражданскоправовой охраны личных неимущественных прав и интересов граждан, «правоведение», май-июнь 1972, №3
188. Л. Чантuria, Свобода и ответственность, право и правосудие постсоветской эпохи, Тб., САНИ, 2004
189. М. Шиминова, имущественная ответственность за моральный вред, «Советское государство и право», январь, 1970, №1
190. А. Шичанин, Проблемы становления и перспективы развития института возмещения морального вреда. Автореф. канд. дисс. М. 1955
191. К. Ярошенко, Гражданско-правовая защита чести и достоинства Граждан, Проблемы совершенствования советского законодательства, Труды 43 (Всесоюзный, научно-исследовательский институт советского государственного строительства), М., 1998
192. А. Харчев, Личная жизнь в зеркале социологии, «Советская культура», 3 февр. 1979, №10
193. Н. Холопова, Судебно-психологическая экспертиза по гражданским делам: Проблемы, возможности и тенденции развития, В ученые записки юридического национального университета им. В. И. Вернадского, Серия «юридические науки», Гражданское право и процесс, т. 19 (58), 2006
194. Л. Эннекцерус, Т. Кипп, М. Вольф, Курс германского гражданского права, т. 1, введение и общая часть, Перевод с 13-го немецкого издания К. Граве, Г. Полинской и В. Альтшулера, М., Изд. Иностранной Лит-ры, 1949
195. Ф. Углов, Грубое слово, М., «Известия», 1964
196. Н. Малеин, возмещение вреда причинённого личности, «Юр. лит-ра» М., 1965
197. М. Шиминова, имущественная ответственность за моральный вред, «Советское государство и право», январь, 1970, №1
198. Юридический энциклоредический словарь (главный редактор А. Сахаров), 2-е дополнение издание, М., 1987
199. A Special Report issued by Privacilla.org., *The Privacy Torts: How U. S. State Law Quietly Leads the Way in Privacy Protection*, July, 2002, <[http://www.privacilla.org/releases/Torts\\_Report.pdf](http://www.privacilla.org/releases/Torts_Report.pdf)> [10.09.10 13:41]
200. Richard J. Arneson, Egalitarian justice versus the right to privacy? (published in Social Philosophy and Policy 17, No. 2 (Summer, 2000)
201. Randall P. Benzanson, The Right to Privacy Revisited: Privacy, News, and Social Change, 1890-1990, 80 Calif. L. Rev., 1992
202. Sissela Bok, Secrets: On the Ethics of Concealment and Revelation, 1983
203. G. Bonder, M. Nari, A turning point for Women's political participation in Argentina, The 30 percent quota Law,

<<http://www.un.org/womenwatch/osagi/feature/postconflict/argentina.pdf>> [20.10.10  
20:55]

204. *J. Brassil*, Technical Challenges in Location-Aware Video Surveillance Privacy, HP Laboratories, HPL-2008-213, Ed. Springer-Verlag, Computer Imaging, 2009
205. *C. Calvert*, The Privacy of Death: An Emergent Jurisprudence and Legal Rebuke to Media Exploitation and a Voyeuristic Culture, 26 Loyla of Los Angeles Entertainment Law Review, 2006
206. *Fred H. Cate*, The Privacy Problem, A broader view of information privacy and the costs and consequences of protecting it, First amendment center publication, Vol. 4 , No. 1, March 2003
207. *Todd R. Coles*, Does the privacy act of 1974 protect your right to privacy? an examination of Routine use exemption, THE AMERICAN UNIVERSITY LAW REVIEW, 1991, <<http://www.wcl.american.edu/journal/lawrev/40/coles.pdf?rd=1>> [16.04.11 18:07]
208. Congress and the Right to Privacy, An Introductory Essay by Donald R. Wolfensberger For the Congress Project Seminar on, „Congress and Individual Privacy in a New Security Age,“ Woodrow Wilson International Center for Scholars, Monday, May 15, 2006, <<http://www.wilsoncenter.org/events/docs/privacy-essay-drw4.pdf>> [15.01.10 22:35]
209. *W. Freedmann*, Right of Privacy in Age of Computer-London, N.Y., 1986
210. *A. Michael Froomkin*, The Death of Privacy?, 52 Stan. L. Rev. , 2000
211. *A. Gajda*, What if Samuel D. Warren hadn't married, a senator's daughter?: Uncovering, the press coverage that led to "the right to privacy", Michigan State Law Review 35, 2008
212. *Tom Gerety*, Redefining Privacy, 12 Harv. C.R.-C.L. L. Rev., 1977
213. *Dorothy J. Glancy*, The invention of the right to privacy, Arizona Law Review 1, 1979 (VOLUME 21), <<http://law.scu.edu/site/dorothy-glancy/File/Privacy.pdf>> [07.09.10 20:54]
214. *H. Hofmann*, Die Grundrechte 1789-1949-1989, NJW, 1989, 42. Jahrgang, Heft 50,
215. *H. Hong*, Dismantling the private Enforcement of the privacy act of 1974: Doe v. Chao, Akron Law Review, [38:71] 2005 (HONG.DOC 12/17/2004 12:05 PM).
216. *M. Hüinemörder*, The right to privacy: Debates and meanings in American political and legal history, Ghi Reserch, Buletin No. 41 (Fall 2007)
217. *D. Kellner*, Habermas, the Public Sphere, and Democracy: A Critical Intervention, <[https://files.pbworks.com/download/aLa0UOrJbA/knowledgepublic/13684704/Habermas\\_Public\\_Sphere\\_Democracy.pdf?d=1](https://files.pbworks.com/download/aLa0UOrJbA/knowledgepublic/13684704/Habermas_Public_Sphere_Democracy.pdf?d=1)> [16.03.11 15:44]
218. *Bert-Jaap Koops, Ronald Leenes*, 'Code' and the slow erosion of privacy, 12 Michigan Telecommunications and Technology Law Review, 2005
219. *G. Leiby*, Privacy As It Relates To Security, PUBP 726-001, Telecommunications Policy, Wednesday (7:20-10:00 PM), <<http://www.theleibys.com/pdf/privacy.pdf>> [15.01.10 21:46]
220. *Deborah M. McTigue*, Marginalizing Individual Privacy on the Internet, Boston University Journal of Science & Technology Law, June 1, 1999; <<http://www.bu.edu/law/central/jd/organizations/journals/scitech/volume5/5bujst15.pdf>> [07.09.10 21:00]
221. *Jeffray A. Meldman*, American expectations of privacy in an information age (CISR No. 66, Sloan WP No. 1180-81), January 1981

222. *Patricia Mell*, Seeking Shade in a Land of Perpetual Sunlight: Privacy as Property in the Electronic Wilderness, 11 BERKELEY TECH. L.J., 1996
223. *Robert E. Mensel*, The Antiprogressive Origins and Uses of the Right to Privacy in the Federal Courts 1860 – 1937, 2008
224. *Arthur R. Miller*, The assault on privacy: computers, Data Banks and Dossiers, 1971
225. *M. Nowak*, UN Covenant on Civil and Political Rights, ICCPR Commentary, 1993
226. *Ogus F. I.*, The Law of Damages, L., 1973
227. *Alan R. Peslak*, Privacy Primer: An Ethical Review in an, Information Systems and Technology Curriculum, Information Systems Education Journal (SemdgomSi \_ ISEDJ) Volume 4, Number 83, September 26, 2006
228. *Robert C. Post*, Three Concepts of Privacy, 89 Geo. L.J., 2001
229. *William L. Prosser*, Privacy, 48 CAL. L. REV., 1960
230. Privacy and Data Protection: Mitigating the Risks of Information Exposure, A Technical White Paper, July 2004
231. *Charles A. Reich*, The New Property, 73 YALE L.J. 1964
232. *J. Rosen*, The Unwanted Gaze: The Destruction of Privacy in America, New York, 2000, <[http://www.amazon.com/Unwanted-Gaze-Destruction-Privacy-America/dp/0679445463/ref=sr\\_1\\_1?ie=UTF8&qid=1327152322&sr=8-1](http://www.amazon.com/Unwanted-Gaze-Destruction-Privacy-America/dp/0679445463/ref=sr_1_1?ie=UTF8&qid=1327152322&sr=8-1)> [20.10.10 22:55]
233. *W. Safire*, “Nosy Parker Lives,” The New York Times, Sept. 23, 1999
234. *Paul M. Schwartz and William M. Treanor*, The new privacy, Michigan Law Review, May 2003, <<http://www.paulschwartz.net/pdf/michiganbookreview.pdf>> [15.01.10 22:09]
235. *Jeffrey M. Shaman*, The right of privacy in State constitutional Law, Table of Contents, Rutgers Law Journal, [Vol. 37:371], 2006, <[http://org.law.rutgers.edu/publications/lawjournal/issues/37\\_4/Shaman.pdf](http://org.law.rutgers.edu/publications/lawjournal/issues/37_4/Shaman.pdf)> [07.09.10 20:37]
236. *N. Serirak*, Towards Personal Data Protection: A Proposed Model for the Development of ‘Right to Know’ in Thailand, Thammasat Review, <[http://www.thammasatreview.tu.ac.th/tu\\_doc/2006-Volume11-No1/5\[11\].pdf](http://www.thammasatreview.tu.ac.th/tu_doc/2006-Volume11-No1/5[11].pdf)> [10.12.10 10:34]
237. *Daniel J. Solove*, Conceptualizing Privacy, California Law Review, 2002, <[http://securitylaw.info/pdf/Daniel\\_Solove\\_Conceptualizing\\_Privacy\\_90\\_Cal\\_L\\_Rev\\_108\\_7\\_2002.pdf](http://securitylaw.info/pdf/Daniel_Solove_Conceptualizing_Privacy_90_Cal_L_Rev_108_7_2002.pdf)> [07.09.10 20:21]
238. *John T. Soma, J. Zachary Courson, John Cadkin*, Corporate Privacy Trend: The “Value” of Personally Identifiable Information (“PII”) Equals the “Value” of Financial Assets, Richmond Journal of Law & Technology, Volume XV, Issue 4, <<http://jolt.richmond.edu/v15i4/Article11.pdf>> [07.09.10 20:47]
239. *J. Stephen*, Liberty, Equality, Fraternity, second edition, SMITH, ELDER, & CO., 15 VATERLOO PLACE, 1873, <<http://library.gipe.ac.in/xmlui/bitstream/handle/1/3331/GIPE-003539-Contents.pdf?sequence=2>> [20.20.10 07:57]
240. *Tübingen (Mohr/Siebeck)*, Das subjektive Recht als Normsetzungsbefugnis, Nr. 3, 1965, <[http://www.eugenbucher.ch/pdf\\_files/03.pdf](http://www.eugenbucher.ch/pdf_files/03.pdf)> [07.05.10 20:57]
241. *R. Wacks*, Personal Information: Privacy and the Law. Oxford Clarendon Press, 1989

242. *Warren and Brandeis*, The Right to Privacy, Harvard Law Review, Vol. IV December 15, 1890 No. 5, <<http://www.abolish-alimony.org/content/privacy/Right-to-Privacy-Brandeis-Warren-1890.pdf>> [07.09.10 20:26]
243. *Samuel D. Warren & Louis D. Brandeis*, The Right to Privacy, 4 HARV. L. REV., 1890
244. *A. F. Westin*, Privacy an Freedom, New York, Athenum, 1967
245. *G. Anders*, Von der Unmöglichkeit einer Orientierung in der ‚Fernseh- und Internet-Gesellschaft‘. Versuch einer Aktualitätsanalyse der medienphilosophischen Reflexionen (Dissertation), Ostenfeld/Nordfriesland, 2003
246. *Chr. Beier*, Autonomie, Privatheit und Selbstbestimmung (Proseminar Informationelle Selbstbestimmung, 21. August 2005, ob. ინტერნეტ-გვერდზე; <<http://www2.informatik.hu-berlin.de/~beier/txts/2005-Informationelle%20Selbstbestimmung%20--%20Autonomie,%20Privatheit,%20und%20Selbstbestimmung.pdf>> [15.01.10 20:40]
247. *R. Bendorf*, (Future of Privacy) Zukunft von Netz und Gesellschaft, In: LDI NRW Persoenlichkeit im Netz 2008
248. *M. Bradtka*, Zwischen öffentlichem Interesse und Voyeurismus, Die Ethik journalistischer Informationsbeschaffung und – verwertung, 2009
249. *N. Brief, M. Markowitz*, Das sog. „Recht auf Gewährleistung der Integrität und Vertraulichkeit informationstechnischer Systeme“ (Präsentation), 2008, <<https://www.datenschutzzentrum.de/vortraege/20080929-brief-markowitz-neues-grundrecht.pdf>> [20.08.11 22:46]
250. *S. Burda*, „Was nützt die Liebe im Virtuellen?“ Adoleszenz, Sexualität und der virtuelle Erfahrungsraum des Internet (Disseration), Freiburg, 2008
251. *A. Demirovic*, Hegemonie und das Paradox von privat und öffentlich, Dienstag, 02. März 2004 um 00:00 Uhr – Aktualisiert Montag, 01. März 2010 um 22:22 Uhr, ob.: <<http://www.pumuck.de/projekte-a-veranstaltungsreihen/2010-veranstaltungsreihe-zu-neoliberaler-hegemonie-und-aneignungsformen/147-hegemonie-und-das-paradox-von-privat-und-oeffentlich-.pdf>> [06.04.11 22:30]
252. *Marie-Noëlle Denis*, Privat- und Wohnbereich im traditionellen elsässischen Haus, In: Revue des Sciences Sociales, 2005, n° 33, "Abgrenzung zwischen öffentlich und privat", Zusammenfassungen, ნაშრომი იბ. ინტერნეტ-გვერდზე: <<http://www-umb.unistra.fr/tele/pdf/00-ResumesDerss33.pdf>> [21.04.09 15:25]
253. *H. Dernburg*, System des Römischen Rechts, Pandekten, 8. Aufl., Zweiter Teil, bearbeitet von *P. Sokolowski*, Berlin, Verlag von Müller, 1912
254. *R. Drüeke, M.A., phil. Karsten Weber*, Mobile Internetdienste und Privatsphäre (Theoretische Überlegungen und empirische Daten zu einem vieldeutigen Konzept), Frankfurt (Oder), Nr. 10 – Dezember 2007
255. *Ehmann*, Zur Struktur des allgemeinen Persönlichkeitsrechts, in: JuS 1997/3
256. *H. Ehmann*, BGB, 12. Auflage, Handkommentar mit AGG, EGBGB, ErbbauRG, HausratsVO, LPartG, ProdHaftG, UKlaG, VAHRG und WEG, 2008 <[http://www.soldan.de/WebRoot/SoldanDB/Shops/Soldan/Sample/9783504471002\\_LP.pdf](http://www.soldan.de/WebRoot/SoldanDB/Shops/Soldan/Sample/9783504471002_LP.pdf)> [11.09.09 9:38].
257. *Karl-Heinz Fezer*, Kommerzialisierung des Persönlichkeit, (vorgelegt von *Cl. Beuter*) (Dissertation zur Erlangung des Grades eines Doktors der Rechte), 2000; <[http://kops.ub.uni-konstanz.de/volltexte/2000/406/pdf/406\\_1.pdf](http://kops.ub.uni-konstanz.de/volltexte/2000/406/pdf/406_1.pdf)> [09.09.09 10:19].

258. S. Fink, Datenschutz zwischen Staat und Markt, Die “Safe Harbor” Lösung als Ergebnis einer strategischen Interaktion zwischen der EU, den USA und der IT-Industrie, Konstanz, 2002, <<http://kops.ub.uni-konstanz.de/bitstream/handle/urn:nbn:de:bsz:352-opus-10126/magarbsfink.pdf?sequence=1>> [02.09.10 20:58].
259. Marie\_theres Frick, Persönlichkeitsrechte, Beiträge, Liechtenstein-Institut, Forschung und Lehre, Nr. 5, Liechtenstein, Fürstentum Liechtenstein, 1996, <[http://www.liechtenstein-institut.li/Portals/11/pdf/lib/LIB\\_5.pdf](http://www.liechtenstein-institut.li/Portals/11/pdf/lib/LIB_5.pdf)> [27.04.09 11:56].
260. M. Fuellsack, Skriptum für den Workshop Informationsethik am Studiengang Information and Communication Solutions (ICS), FH-Studiengänge Burgenland,; ob.: <<http://homepage.univie.ac.at/manfred.fuellsack/Informationsethik.pdf>> [04.09.10 18:51]
261. K. Gareis, Das juristische Wesen der Autorrechte sowie des Firmen und Markenschutzes BuschArch, Bd. 35, 1877. ob.: <[http://www.archive.org/stream/cu31924017565981/cu31924017565981\\_djvu.txt](http://www.archive.org/stream/cu31924017565981/cu31924017565981_djvu.txt)> [20.10.10 19:05]
262. O. von Gierke, Deutsches Privatrecht, Band 1, Allgemeiner Teil u. Personenrecht, Leipzig [u.a.] 1895, ob. <[263. P. Heermann, Verwertung von Persönlichkeitsrechten der Bundesligafußballspieler durch die Bundesligaclubs sowie die Deutsche Fußball Liga GmbH \(Seminar zum Sportrecht\), 2008, <\[http://www.sportrecht.org/studarbeiten/Kleinau\\\_Pers%F6nlichkeitsrechte.pdf\]\(http://www.sportrecht.org/studarbeiten/Kleinau\_Pers%F6nlichkeitsrechte.pdf\)> \[14.10.11 22:05\]

264. T. Hoeren, Internetrecht, 2005, <\[http://www.uni-muenster.de/Jura.itm/hoeren/material/Skript/skript\\\_maerz2005.pdf\]\(http://www.uni-muenster.de/Jura.itm/hoeren/material/Skript/skript\_maerz2005.pdf\)> \[14.09.10 17:43\]

265. H. Hofmann, Die Grundrechte 1789-1949-1989, NJW, 1989, 42. Jahrgang, Heft 50

266. W. Höfling, Menschenwürde und gute Sitten, NJW, 1983, 36. Jahrgang, 2. Halbband

267. H. Hubmann, Das Persönlichkeitsrecht, Köln, Böhlau, 1967, <<http://www.oeaw.ac.at/ita/ebene5/GTPweissenbach.pdf>> \[30.07.10 16:12\]

268. P. Kersten, Zur Reichweite der Verschwiegenheitspflicht im Kreditgewerbe \(Dissertation\), Köln, 2010

269. M. Knill, Privatleben und Öffentlichkeit – ein Balancakt, Kommunikation Medienrhetorik, Juni 2004

270. J. Koch, Die Verwertung von Persönlichkeitsrechten von Sportlern in Lizenzverträgen, Seminar zum Sportrecht bei Peter W. Heermann, LL. M. im Wintersemester 2004-2005, <\[http://www.sportrecht.org/studarbeiten/Koch\\\_komplett.pdf\]\(http://www.sportrecht.org/studarbeiten/Koch\_komplett.pdf\)> \[23.09.10 17:36\]

271. D. Kölmeier, Das Öffentliche-Das Private \(und der \(Un\)Bestand dieser Termin, Wintersemester 2008/09, <\[http://www.dkmotion.at/theses/privatheit\\\_oefentlichkeit\\\_david\\\_koehlmeier.pdf\]\(http://www.dkmotion.at/theses/privatheit\_oefentlichkeit\_david\_koehlmeier.pdf\)> \[25.01.10 13:23\]

272. J Körke, Bedeutung des § 203 Abs. 1 Nr. 5 StGB für Private Krankenversicherer, insbesondere bei der innerorganisatorischen Geheimnisweitergabe \(Dissertation\), Tübingen, 2003

273. Fr. Kübler, Ehrenschutz, Selbstbestimmung und Demokratie, NJW, 52. Jahrgang, 1. Halbband, 1999](http://dlib.pr.mpier.mpg.de/m/kleioc/0010/exec/bigpage/)

274. *Marc-Oliver Martin*, Publizistische Freiheit und Persönlichkeitsschutz, Zu den Grenzen der Verwertbarkeit realer Biografien, Göttingen, Universitätsverlag Göttingen, 2008
275. *R. Von Meis*, Die persönliche Geheimsphäre und deren Schutz im prozessualen Verfahren, Diesenhofen, Bueger Verlag, 1975
276. *H. Münch*, Der Schutz des Einzelnen vor Presseveröffentlichungen durch den Deutschen Presserat und die britische Press Complaints Commission, Eine Untersuchung zur Sprachpraxis unter besonderer Berücksichtigung des zivilrechtlichen Rechtsschutzes der Privatsphäre (Dissertation), Konstanz, 2001, <[www.buskeismus.de/literatur/privatsphaere-muebcg.pdf](http://www.buskeismus.de/literatur/privatsphaere-muebcg.pdf)> [10.07.09 20:10]
277. *Jens Meyer-Ladewig*, Menschenwürde und Europäische Menschenrechtskonvention, NJW, 2004, 57. Jahrgang, 1. Halbband
278. *W. Lesch*, Medienethik zwischen öffentlichem und Privatem, Im Zoom K&M Nr. 11, Juli 1998, <[http://www.medienheft.ch/uploads/media/11\\_ZOOM\\_KM\\_08\\_Walter\\_Lesch\\_Medienethik.pdf](http://www.medienheft.ch/uploads/media/11_ZOOM_KM_08_Walter_Lesch_Medienethik.pdf)> [06.04.11 22:30]
279. *Christoph G. Paulus, W. Zenker*, Grenzen der Privatautonomie, Jus, 41. Jahrgang, 2001, Heft 1
280. *Chr. Peyer*, Die Bildberichterstattung über Prominente im Spannungsfeld von Privatsphärenschutz und Pressefreiheit, unter besonderer Berücksichtigung der „Caroline von Hannover“ – Entscheidung des EGMR und der Reaktionen in der deutschen Lehre, Seminar zum Thema: „Menschenrechtsschutz in Europa“, Wintersemester 2006/2007
281. *T. Perger*, Ehrenschutz von Soldaten in Deutschland und anderen Staaten, Köln, (TUP-Productions) (Dissertation), 2003, ob. ინტერნეტ-გვერდზე: <<http://ub.unibw-muenchen.de/dissertationen/ediss/perger-tilmann/inhalt.pdf>> [10.09.10 08:45]
282. *N. Peters*, Zur Pressefreiheit auf dem Prüfstand des deutschen Bundesverfassungsgerichts und des Europäischen Gerichtshofs für Menschenrechte, Justiz in aller Welt, Betrifft JUSTIZ Nr. 83, September 2005, <[http://www.betrifftjustiz.de/Texte/BJ%2083\\_Peters.pdf](http://www.betrifftjustiz.de/Texte/BJ%2083_Peters.pdf)> [11.09.10 19:25]
283. *B. Rössler*, Der Wert des Privaten, 2001, <<https://www.dpunkt.de/leseproben/1888/Kapitel%201.pdf>> [11.03.10 23:24]
284. *F. C. von Savigny*, System des heutigen Römischen Rechts, 1. 1840, ვ. 337, 335 ბაზრობი ხელმისაწვდომია: <[http://dlib-pr.mpiwg-mpg.de/m/kleioc/0010/exec/bigpage/199236\\_00000387.gif](http://dlib-pr.mpiwg-mpg.de/m/kleioc/0010/exec/bigpage/199236_00000387.gif)> [13.09.09 20:34]
285. *M. Schemitsch*, Identitätsdaten als Persönlichkeitsgüter (Dissertation), Darmstadt, 2004, <<http://tuprints.ulb.tu-darmstadt.de/515/1/Dissertation-Schemitsch-FB01.pdf>> [16.03.10 08:45]
286. *Schiemann*, In I. Von Staudingers Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch. 13. Aufl. (1998) vor dem § 249ff. Rn. 43ff
287. *P. Schmoll*, Spektakuläre Konstruktion der Intimsphäre am Beispiel der Pornographie, In: Revue des Sciences Sociales, 2005, n° 33, "Abgrenzung zwischen öffentlich und privat", Zusammenfassungen, ob. ამ ინტერნეტ-გვერდზე: <<http://www-umb.u-strasbg.fr/tele/pdf/00-ResumesDerss33.pdf>> [21.04.09 15:25]
288. *W. Schulz, U. Jurgens*, Das Recht am eigenen Bild – Eine fall-orientierte Einführung in Struktur und aktuelle Probleme des Bildnisschutzes, JuS, 1999, Heft 7

289. *W. Schulz, U. Jurgens*, Das Recht am eigenen Bild – Eine fall-orientierte Einführung in Struktur und aktuelle Probleme des Bildnisschutzes, JuS, 1999, Heft 8
290. *St. Schweer*, Die vermögenswerten und ideellen Bestandteile des Persönlichkeitsrechts nach dem Tod des Trägers (Dissertation), Köln, 2006, ხელმისაწვდომია ინტერნეტ-გვერდზე: <<http://kups.ub.uni-koeln.de/1793/>> [31.08.10 13:06]
291. *I. Siebrecht*, Der Schutz der Ehre im Zivilrecht, in der Zeitschrift „Juristische Schulung“ (JuS) 2001, Heft 4,
292. *A. Siegetsleitner*, Forschungsinstitut für Angewandte Ethik, Forschungsberichte und Mitteilungen (herausgegeben von *A. Siegetsleitner* und *O. Neumaier*), Heft 29, Salzburg, 2002, <<http://www.uni-salzburg.at/pls/portal/docs/1/467581.PDF>> [11.09.09 9:55]
293. *W. Sofsky*, Verteidigung des Privaten, München, C. H. Beck, 2007
- J. von Staudinger*, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, 12. Auflage, Einleitung, Erstes Buch, Allgemeinen Teil, erläutert von *H. Coing*, Berlin, 1980.
294. *H. Pauer-Studer*, Privatheit: „Ein ambivalenter, aber unverzichtbarer Wert,“ <<http://www.oeaw.ac.at/ita/privconf/pauer-studer.pdf>> [10.09.10 21:43]
295. *G. Tichy, W. Peissl*, Beeinträchtigung der Privatsphäre in der Informationsgesellschaft, „Institut für Technikologen-Abschätzung manu:script“ (ITA-01-01), 2001, Dezember, <<http://epub.oeaw.ac.at/ita?frames=yes>> [30.07.10 16:12]
296. *H. Tretter*, Gutachten, Artikel 8 EMRK als Grundlage eines individuellen Rechts auf zweisprachige Ortstafeln?, Wien, am 17. Oktober 2005, <[https://docs.google.com/viewer?url=http://bim.lbg.ac.at/files/sites/bim/Tretter\\_Gutachten\\_Art8\\_EMRKOrtstafeln.pdf](https://docs.google.com/viewer?url=http://bim.lbg.ac.at/files/sites/bim/Tretter_Gutachten_Art8_EMRKOrtstafeln.pdf)> [07.08.10 18:19]
297. *Tübingen (Mohr/Siebeck)*, Das subjektive Recht als Normsetzungsbefugnis, 1965, Nr. 3, <[http://www.eugenbucher.ch/pdf\\_files/03.pdf](http://www.eugenbucher.ch/pdf_files/03.pdf)> [07.05.10 20:57]
298. *CH. Uesseler*, Einwirkungen der Grundrechte auf das Schadenersatzrecht (Dissertation), Wuppertal, 2008, ინტერნეტ-გვერდზე: <[http://miami.uni-muenster.de/servlets/DerivateServlet/Derivate-4532/diss\\_uesseler.pdf](http://miami.uni-muenster.de/servlets/DerivateServlet/Derivate-4532/diss_uesseler.pdf)> [06.08.10 20:43]
299. *E. Prediger*, Die Grundlagen des Eigentumsrechts, შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტ-მისამართზე: <<http://doctorate.ulbsibiu.ro/obj/documents/REZ-GERM-PREDIGER.pdf>> [07.05.10 20:55]
300. *K. Wasserburg*, Der Schutz der Persönlichkeit im Recht der Medien, Heidelberg, 1988
301. *K. Weber*, Grundlagen der Informations-ethik, China, Konrad Adenauer Stiftung, September 2007, <[http://www.kas.de/upload/dokumente/2007/KAS\\_Rede\\_china.12066.pdf](http://www.kas.de/upload/dokumente/2007/KAS_Rede_china.12066.pdf)> [15.01.10 22:35]
302. *K. Weis*, Der immaterialgüterrechtliche Uebertragungsanspruch, zugleich ein Beitrag zum Kennzeichen- und Domainrecht in Deutschland, Frankreich und der Schweiz (Dissertation zur Erlangung des akademischen Grades Dr. jur.), 2004, <<http://kops.ub.uni-konstanz.de/volltexte/2006/1710/pdf/KWeis.pdf>> [09.09.09 9:51]
303. *F. Wittern*, Das Verhältnis von Right of Privacy und Persönlichkeitsrecht zur Freiheit der Massenmedien (Eine rechtsvergleichende Darstellung des Verhältnisses von Right of Privacy und Persönlichkeitsrecht zu der Redefreiheit in den Vereinigten Staaten von Amerika und der Presse- und Rundfunkfreiheit in Deutschland), (Dissertation), Hamburg,

- 2004; იბ. <<http://www2.sub.uni-hamburg.de/opus/volltexte/2004/2277/pdf/Dissertation.pdf>> [12.08.10 11:55]
304. H. A. Wolff, Ehe und Familie in Europa, in "Europarecht", Eua, Heft 6., Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, Nov-Dec. 2005
305. A. Hornby, Oxford Advanced learner's Dictionary, Oxford, New York, Oxford university press, 2002
306. Urs Sixer, Zu viel Schutz für Prominente? Eine Bewertung des "Caroline-Urteils", NZZ vom 24. September 2004

### სასამართლო პრაქტიკის მასალები:

307. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, თბ., 25 ივლისი, 2007
308. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2000 წლის 1 დეკემბრის განჩინება
309. გურგენიძე საქართველოს წინააღმდეგ, 2006 წლის 17 ოქტომბრის განჩინება, <[www.article42.ge/huma/Gurgenidze\\_v\\_georgia.doc](http://www.article42.ge/huma/Gurgenidze_v_georgia.doc)> [15.03.08 22:24]
310. ნიკოლაი შვილი საქართველოს წინააღმდეგ 2009 წლის 13 იანვრის განაჩენი, <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/BROSHURA-adamianis%20uflebata.pdf>> [15.04.09 23:44]
311. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2001 წლის 18 ოქტომბრის განჩინება (№2-კ-141 დად.-02)
312. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება (№3-კ-1218-01)
313. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება (№3-კ-1240-02)
314. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს (მე-2 კოლეგია) 2004 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება (№2/1/241)
315. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 14 აპრილის განჩინება (№ას-593-1241-03)
316. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 1 ივნისის (№ას-168-465-04) განჩინება
317. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 29 ივლისის (№ას-627-903-05) განჩინება
318. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 25 ოქტომბრის განჩინება (№ას-751-1381-03)
319. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 22 მარტის განჩინება (№ას-902-1149-04)

320. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 1 დეკემბრის განჩინება (№ას-448-775-05)
321. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 31 ოქტომბრის განჩინება (№ას-704-947-05)
322. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 14 ივნისის განჩინება (№ას-1106-352-05)
323. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 1 ივნისის განჩინება (№ას-1284-1520-05)
324. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№3/2058).
325. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 12 სექტემბრის განჩინება (№ას-36-390-07)
326. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ნოემბრის განჩინება (№ას-505-852-07)
327. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება (№1/3/407)
328. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება (№ას-968-1269-07).
329. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება (№810-1129-07)
330. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინება (№1/7/454)
331. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 15 სექტემბრის განჩინება (№ას-393-642-08)
332. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2008 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№2/3/406,408)
333. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება (№ას-440-754-09)
334. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის განჩინება (№ას-1174-1319-08)
335. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება (№ას-41-40-2010)
336. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 5 ივლისის განჩინება (№ბს-1278-1240(გ-08))

337. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილება (№ას-131-125-10)
338. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება (№ას-868-817-2010)
339. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ოქტომბრის განჩინება (№ას-1018-1049-2011)
340. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება (საქმე №ას-152-146-2011)
341. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 3 აგვისტოს განჩინება (№ას-967-1246-09)
342. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 ოქტომბრის განჩინება (№ას-669-630-2011)
343. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივნისის განჩინება (№ას-280-264-2011)
344. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 ოქტომბრის განჩინება (№ას-431-403-2010)
345. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 მარტის განჩინება განჩინება (№ას-1349-1188-2010)
346. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივლისის განჩინება განჩინება (№ას-207-194-2011)
347. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2012 წლის 20 ოქტომბრის განჩინება (№ას-1278-1298-2011)
348. სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის 2010 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება (№086/10)
349. სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის 2011 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილება (№022/11)
350. სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის 2011 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება (№092/10)
351. სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის 2011 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება (№029/11)
352. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2011 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება (№დს-შ/7-11)
353. *Abernethy v. Hutchinson*, 3L.J.Ch. 209 (1825)
354. *Prince Albert v. Strange*, 1 McN. 7 G. 25 (1849); იხ. ინტერნეტ-გვერდი: <[http://www.readingnewengland.org/app/books/righttoprivacy/popups/popup\\_AlbertvStrange.html](http://www.readingnewengland.org/app/books/righttoprivacy/popups/popup_AlbertvStrange.html)> [16.03.11 15:30]
355. *De May v. Roberts*, 9 N. W. 146 Mich. მიჩიგანის უზენაესი სასამართლოს 1881 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება, <<http://faculty.uml.edu/sgallagher/DeMay.htm>> [16.03.11 23:20]
356. *Roberson v. Rochester Folding Box Co.*, 64 App. Div. 30, reversed 1902 წლის გადაწყვეტილება, <<http://faculty.uml.edu/sgallagher/Roberson.htm>> [16.03.11 10:22]
357. *Melvin v. Reid*, 297, კალიფორნიის სააპელაციო სასამართლოს 1931 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება,

<<http://www.findadeath.com/forum/showthread.php?25198-Dorothy-Davenport-Reid>>

[20.10.10 08:40]

358. *Cardy v. Maxwell*, 1957 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება, <[http://174.123.24.242/leagle/xmlResult.aspx?xmlDoc=19573389Misc2d329\\_1179.xml&docbase=CSLWAR1-1950-1985](http://174.123.24.242/leagle/xmlResult.aspx?xmlDoc=19573389Misc2d329_1179.xml&docbase=CSLWAR1-1950-1985)> [09.09.11 22:43]
359. *Spahn v. Messner, INC.*, 1964 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება, <[http://174.123.24.242/leagle/xmlResult.aspx?xmlDoc=196426243Misc2d219\\_1189.xml&docbase=CSLWAR1-1950-1985](http://174.123.24.242/leagle/xmlResult.aspx?xmlDoc=196426243Misc2d219_1189.xml&docbase=CSLWAR1-1950-1985)> [20.07.11 23:35]
360. *Dudgeon v. the United Kingdom*, 1981 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება
361. *Bowers v. Hardwick*, 478 US 186 (1987)
362. *Gaskin v. the United Kingdom*, 1989 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება
363. *MacNamara v. Freedom Newspapers*, 1991 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება
364. *Costello-Roberts v. the United Kingdom*, 1993 წლის 25 მარტის განაჩენი
365. *Kopp v. Switzerland*, 1998 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება
366. *De Wilde, Ooms and Versyp ("Vagrancy") v. Belgium (merits)*, 1971 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება
367. *Handyside v. The United Kingdom*, 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება
368. *X v. the United Kingdom*, 1977 წლის 11 ივნისი, DR 11
369. *Whalen v. Roe*, 429 U. S. 589, 599 (1977)
370. *The Sunday Times v. the United Kingdom*, 1979 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება
371. *Marckx v. Belgium*, 1979 წლის 13 ივნისის განაჩენი
372. *McVeigh, O'Neill and Evans v the United Kingdom*, 1981 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება
373. *X and Y v. Netherlands*, 1985 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება
374. *Boughanemi v. France*, 1986 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება
375. *Gillou v. the United Kingdom*, 1986 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება
376. *Johnston v. Ireland*, 1986 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება
377. *Leander v. Sweden*, 1987 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება
378. *Norris v. Ireland*, 1988 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება
379. *Kruslin v. France*, 1990 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება
380. *B. v. France*, 1992 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება
381. *Kerkhoven, Hinke & Hinke v. the Netherlands*, 1992 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება (განაცხადი №15666/89)
382. *Yousef v. the United Kingdom*, კომისიის მოხსენება, 1992 წლის 30 ივნისი
383. *Niemietz v. Germany*, 1992 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება
384. *G v. the Netherlands*, 1993 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება
385. *A. v. France*, 1993 წლის 23 ნოემბრის გადაწყვეტილება
386. *Doorson v. Netherlands*, 1993 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება
387. *Stjerna v. Finland*, 1994 წლის 25 ნოემბრის განაჩენი
388. *López Ostra v. Spain*, 1994 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება
389. *B. Smyth v. Pillsbury Co.*, 1996 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება

390. *Akdivar and Others v. Turkey*, 1996 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება
391. *Guillot v. France*, 1996 წლის 24 ოქტომბრის განაჩენი
392. *Laskey, Jaggard and Brown v. the United Kingdom*, 1997 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება
393. *Z. v. Finland*, 1997 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება
394. *X, Y and Z v. the United Kingdom*, 1997 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება
395. *Guerra and Others v. Italy*, 1998 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება
396. *Söderbäck v. Sweden*, 1998 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება
397. *Labita v. Italy*, 2000 წლის 1 მარტის განაჩენი
398. *Doe v. Chao*, U. S. 614 (2004)
399. *ADT v. the United Kingdom*, 2000 წლის 31 ივნისის გადაწყვეტილება
400. *Mikulić v. Croatia*, 2000 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება
401. *ADT v. the United Kingdom*, 2000 წლის 31 ივნისის გადაწყვეტილება
402. *P.G. and J.H. v. United Kingdom*, 2001 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება
403. *Nowicka v. Poland*, 2002 წლის 3 დეკემბრის განაჩენი
404. *Elci and Others v. Turkey*, 2003 წლის 13 ნოემბრის განაჩენი
405. *Lawrence v. Texas*, 539 US 558 (2003)
406. *Von Hannover v. Germany*, 2004 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება
407. *Klyakhin v. Russia*, 2004 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება
408. *Sciacca v. Italy*, no 50774/99, § 29, CEDH 2005
409. *Panteleyenko v. Ukraine*, 2006 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება
410. *Jalloh v. Germany*, 2006 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება
411. *Hannover v. Germany*, 2012 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№2)
412. BGH, NJW, 1996
413. BGH, NJW, 1988
414. BayObLG NJW 1979
415. BGH, NJW 2000, 2195-*Marlene-Dietrich*-Entscheidung
416. BGH, NJW 2000, 2201-*Blaue-Engel*-Entscheidung
417. BGHZ 1954.25.05- *Schacht*-Entscheidung
418. BGHZ 1958.14.02- *Herrenreiter*-Entscheidung
419. BGHZ 1958.20.05- *Tonband*-Entscheidung
420. BGH, *Soraya*-Entscheidung, NJW 1965
421. BGH, NJW 1996-*Caroline von Monaco*-Entscheidung II

#### *ინტერნეტ-მასალა:*

422. <<https://www.psyreon.de/content/e480/Publikationen/persoenlichkeit.pdf>> [09.12.09 17:45]
423. <<http://dissertations.ub.rug.nl/FILES/faculties/jur/2002/j.e.wichers/wichers.PDF>> [07.05.10 20:55]
424. <<http://www.koeblergerhard.de/der/DERP.pdf>> [25.01.2010 13:30]
425. <<http://www.vip-study.ru/files/8.doc>> [12.03.10 12:34]